9-387

ჟუჟუნა ფეიქრიშვილი

ქართული ენის მორფოლოგია

შუშუნა ფეიქრიშვილი

ქართული ენის მორფოლოგია

(სალექციო კურსი)

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების
გამომცემლობა „სარანგი“
ქუთაისი — 1992

ЧГ(061)(075.3)
3 387

რეცენზენტები:

ფილოლ. მეცნ. დოქ. **გ. გოგოლაშვილი**
პროფ. **რ. შამელაშვილი**

რედაქტორი **ელგუჯა თავბერიძე**
ტექნიკური რედაქტორი **ირა ნაცვლიშვილი**
კორექტორი **ლია შერგელაშვილი**

გადაეცა წარმოებას 10.09.92. ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.12.92,
საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 14,25, პირობითი ნაბეჭდი
თაბახი 17,75 ტირაჟი 3000, შეკვეთის № 1370

ფასი სახელშეკრულებო

წიგნი გამოიცა ავტორის ხარჯით

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების გამომცემლობა
„სარანგი", ქუთაისი, გრიშაშვილის ქ. № 6

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის
ქუთაისის გალაქტიონ ტაბიძის სახელობის № 5 სტამბა
ქ. ქუთაისი. ი. ჭავჭავაძის გამზირი № 33

769

ქართული ენის, როგორც საგნის, სწავლება უმაღლეს სასწავლებლებში საკმაოდ მრავალ წინააღმდეგობას აწყდება. უპირველესი ამ თვალსაზრისით სახელმძღვანელოების პრობლემაა. მართალია, გვაქვს რამდენიმე მაღალმეცნიერული, ფუნდამენტური მოწოგრაფია თუ სახელმძღვანელო ქართული ენისა (ა. შანიძის, არნ. ჩიქობავას, გ. ასლანიშვილის... ნაშრომები), მაგრამ დღესდღეობით უმეტესი მათგანი სტუდენტისათვის ძნელად ხელმისაწვდომია. მეორე მხრივ, ამ ნაშრომების გამოცემებიდან დიდი ხანი გავიდა. მას შემდეგ ქართული ენის შესწავლაში ბევრი რამ გაკეთდა. თანამედროვე სტუდენტი ფეხდაფეხ უნდა მიჰყვებოდეს მეცნიერებას, რომლის ბოლოდროინდელი მიღწევების გაცნობისა და გააზრების გარეშე მისი ცოდნა მოკლებული იქნება მყარ საფუძველს. სხვა ქვეყნებში სახელმძღვანელოების პრობლემა ამ დგას, ერთდროულად არსებობს რამდენიმე სახელმძღვანელო სხვადასხვა ავტორისა. ეს საქმისათვის სასიკეთოა. ჩვენს სინამდვილეში ამგვარ „ფუფუნებას" მოკლებული ვართ.

ამ ხარვეზის შევსების საინტერესო ცდად გვესახება ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტის, გამოცდილი პედაგოგის, ჟ. ფეიქრიშვილის **სალექციო კურსი — „ქართული ენის მორფოლოგია"**, სადაც სტუდენტისათვის იოლად მისაწვდომი ფორმითაა ჩამოყალიბებული მორფოლოგიის ძირითადი საკითხები.

წიგნის უდავო ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მასში გათვალისწინებულია ქართული ენათმეცნიერების ბოლო პერიოდის ყველა მნიშვნელოვანი გამოკვლევა, თვალსაზრისი, ზოგჯერ სადავო თუ მიუღებელი ვარაუდიც კი, რა თქმა უნდა, შესაბამისი კომენტარით. ეს, ვფიქრობთ, შესაძლებლობას მისცემს სტუდენტს არსებულ საპირისპირო თვალსაზრისთა შეჯერებით, იაზროვნოს, თავად გაერკვეს მოვლენის არსში და გამოიტანოს დასკვნა.

რა თქმა უნდა, ერთ წიგნში, მითუმეტეს ამ სახის ნაშრომში, შეუძლებელია ყველა თვალსაზრისის მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენა, ანალიზი. ამიტომ ნაშრომის დადებით მხარედ მიგვაჩნია ისიც, რომ ყოველ თავს ახლავს ძირითადი ლიტერატურის სია.

ჟ. ფეიქრიშვილის ნაშრომის სასწავლო პროცესში შეტანა ამ წიგნის ღირსება-ნაკლოვანებას უფრო ნათლად წარმოაჩენს, ხელს შეუწყობს წიგნის შემდგომ დახვეწა-დამუშავებას. ამჯერად კი ამ სახით სარეცენზიო ნაშრომის დაბეჭდვა სავსებით შესაძლებლად მიგვაჩნია, უფრო მეტიც, საჭიროდ და აუცილებლებლად.

ამ წიგნის გამოცემა, ჩვენი აზრით, ქართული ენის სწავლების საქმეში ხანგრძლივ სიკეთო ნაბიჯი იქნება.

გიორგი გოგოლაშვილი

ინსტიტუტი
им. Руставели

წინასიტყვა

წარმოდგენილ წიგნს საფუძვლად დაედო ავტორის მიერ თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიაში წლების მანძილზე წაკითხული ლექციების კურსი, შედგენილი სასწავლო პროგრამის შესაბამისად.

მართალია, ლექციების კურსში საკითხების თანამიმდევრობა, ანალიზის ძირითადი მიმართულება და ტერმინოლოგია მეტწილად ემყარება **ა. შანიძის** „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებს“, მაგრამ ნაშრომის უმთავრესი მიზანია, ტრადიციულად განმტკიცებული ძირითადი დებულებების პარალელურად სტუდენტს ზოგადად გააცნოს თანამედროვე ლინგვისტური კვლევის უმთავრესი შედეგები და არსებულ საპირისპირო მოსაზრებათა შეჯერებით გამოუმუშაოს დამოუკიდებელი კვლევა-ძიების უნარი.

თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიის საკითხების დიაქრონიულმა ანალიზმა აღწერით დონეზე მოითხოვა ძველი ქართულისა და ქართველური ენების ვითარების გათვალისწინებაც.

ნაშრომის ყოველ თავს ახლავს ძირითადი ლიტერატურის სია.

ქართული ენის მორფოლოგიაში ამგვარი ლექციების კურსი დამხმარე სახელმძღვანელოდ შედგენის პირველი ცდაა. ცხადია, იგი სრულყოფილი ვერ იქნება მთლიანი სამეცნიერო ლიტერატურის ზოგადი მიმოხილვითაც კი. მაგრამ, თუკი წიგნი ერთგვარი გზამკვლევის როლს შეასრულებს ქართული ენათმეცნიერებით დაინტერესებულ პირთათვის, მასში წარმოდგენილი საკითხები აღძრავს საგანგებო ინტერესს მშობლიური ენისადმი და გარკვეულად გააადვილებს სხვა ენათმეცნიერული დისციპლინების საფუძვლიან შესწავლას, მისი მიზანდასახულებაც გამართლებულ იქნება.

ავტორი მადლიერებით მიიღებს ყველა საქმიან შენიშვნას, წინადადებას, რომელიც ხელს შეუწყობს წიგნის სრულყოფას.

შემოკლებანი

იკე — იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება
სბი — სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში
ქეგლ — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი
ქელს — ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში
ქესს — ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები
ქსკს — ქართული სიტყვის კულტურის საკითხები

მორფოლოგიის საგანი. სიტყვის მორფოლოგიური შედგენილობა

§ 1. მორფოლოგია როგორც გრამატიკის დარგი. მორფოლოგიის საგანი. ენის შემსწავლელ მეცნიერებას ენათმეცნიერება (უცხოურად ლინგვისტიკა) ჰქვია. ყოველი ენის საფუძველს შეადგენს გრამატიკული წყობა და ლექსიკური ფონდი. ამ უკანასკნელს ემყარება ენის ლექსიკური შემადგენლობა, რომლისგანაც, თავის მხრივ, გრამატიკული წყობის მეშვეობით ყალიბდება ენის მთლიანი სისტემა.

გრამატიკული წყობისა და ლექსიკური შედგენილობის ყოველმხრივმა შესწავლამ მოითხოვა საენათმეცნიერო ცოდნის მრავალი დარგის შექმნა.

ენათმეცნიერების დარგებია: ფონეტიკა, გრამატიკა, ლექსიკოლოგია, სემასიოლოგია, ეტიმოლოგია, სტილისტიკა[1] **(ვ. თოფურია).**

გრამატიკა სწავლობს ენის აგებულების საკითხებს: სიტყვათა შედგენილობას, მათს ფორმასა და ფუნქციას.

გრამატიკა არის მოძღვრება ენაში არსებულ სიტყვათა ცვლილებისა და შეკავშირების წესების შესახებ. სხვაგვარად: „გრამატიკა არის ენათმეცნიერების ის დარგი, რომელიც სწავლობს ენის გრამატიკულ მნიშვნელობათა სტრუქტურას და ამ მნიშვნელობათა გამოხატვის საშუალებებს“ („ენათმეცნიერების შესავლის საკითხები“).

ტერმინი „გრამატიკა“ ბერძნული წარმოშობისაა. მისთვის ამოსავალია **გრამმა**, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს **ასოს, წერილობითს ნიშანს, ზედწერილს.** თავდაპირველი გაგებით, გრამატიკა იყო ხელოვნება, რომელიც ასწავლიდა „სწორ ლაპარაკსა და კანონიერ

[1] სამეცნიერო ლიტერატურაში ენათმეცნიერების დარგების რაოდენობა მეტ-ნაკლებად განსხვავებულია (**ა. შანიძე:** ლექსიკოლოგია, გრამატიკა, სტილისტიკა; **არნ. ჩიქობავა:** მორფოლოგია, სინტაქსი, ლექსიკოლოგია, სემასიოლოგია, ეტიმოლოგია, სტილისტიკა, ფონეტიკა; **ლ. კვაჭაძე:** ლექსიკოლოგია, ფონეტიკა, გრამატიკა).

წერას“, ახალი გაგებით კი გრამატიკა არის მეცნიერება ამა თუ იმ ენის აგებულების შესახებ.

გრამატიკის ნაწილებია: მორფოლოგია და სინტაქსი.

მორფოლოგია სწავლობს სიტყვის ფორმას, მის ცვლილებას, მაწარმოებელ აფიქსებს, მის გრამატიკულ მნიშვნელობებს, იკვლევს მეტყველების ნაწილებს, იძლევა მათს დახასიათებას.

ტერმინი „მორფოლოგია“ ბერძნული წარმოშობისაა (morphe-ფორმა, სახე, გარეგნობა, logos-სიტყვა, ლაპარაკი, მოძღვრება...), სიტყვასიტყვით ნიშნავს **მოძღვრებას ფორმის შესახებ.**

ამრიგად, მორფოლოგიის საგანია სიტყვა ფორმის თვალსაზრისით.

§ 2. სიტყვა. სიტყვა მორფოლოგიური თვალსაზრისით. ფორმაცვალებადი და ფორმაუცვლელი სიტყვები. სიტყვა მეტყველების მარტივი ერთეულია. იგი გარკვეულ მნიშვნელობას ატარებს. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს სიტყვის სხვადასხვაგვარი განმარტება: „სიტყვა არის გაბმული მეტყველების უმცირესი ნაწილი“ **(დიონისე თრაკიელი);** „სიტყვა არის მნიშვნელობის მქონე უმარტივესი ერთეული ენისა“ **(არნ. ჩიქობავა),** „სიტყვა არის მნიშვნელობის მქონე ბგერათკომპლექსი, რომელიც ენის ძირითადი ერთეულია“ **(ალ. ღლონტი).**

სიტყვას ორი მხარე აქვს: გარეგანი და შინაგანი. გარეგანია მატერიალური ფორმა (ბგერითი შედგენილობა), შინაგანი — შინაარსი, სემანტიკა.

მორფოლოგიას აინტერესებს სიტყვის გარეგანი მხარე — ფორმა.

მორფოლოგიური თვალსაზრისით ქართულში სიტყვები ორგვარია: ფორმაცვალებადი და ფორმაუცვლელი.

ფორმაცვალებადი სიტყვა მეტყველებაში სხვადასხვა ფორმით გამოიყენება (წიგნ-ი, წიგნ-მა, წიგნ-ს... ვ-აკეთებ, აკეთებ-ს), ფორმაუცვლელი კი ყოველთვის ერთი სახით გვხვდება (ე. ი. ფორმას არ იცვლის. ასეთებია: ახლა, რომ, შარშან, მაშინ...).

ფორმაცვალებადი სიტყვებია სახელები და ზმნა, ხოლო ფორმაუცვლელი — ზმნიზედა, თანდებული, ნაწილაკი, კავშირი, შორისდებული. ქართულში ფორმაცვალებადი სიტყვა ბევრია, ფორმაუცვლელი კი — შედარებით ცოტა.

ფორმაცვალებადი სიტყვები ორგვარია: **ბრუნებადი და ღებადი.** ფორმაცვალებადი სიტყვა გარკვეულ შემთხვევაში შეიძლება ფორმაუცვლელი გახდეს. მაგ., **მაღალი** ზედსართავი სახელია (ფორმაცვალებადი), მაგრამ მისგან მიღებული **მაღლა** ზმნიზედაა (ფორმაუცვლელი). პირიქითაც შეიძლება მოხდეს: ფორმაუცვლელი სიტყვა ფორმაცვალებადის მნიშვნელობით იყოს გამოყენებული. მაგ., **ვაი** შორისდებულია, მაგრამ სახელის მნიშვნელობით გამოყენებისას იბრუნვის: **ვაის** გავეყარე; **ვაიმ** სულ დამღუპა...

ფორმაუცვლელი სიტყვა დაუშლელია, ფორმაცვალებადი კი მორფოლოგიური ანალიზის შედეგად იშლება ნაწილებად.

§ 3. გრამატიკული კატეგორია და მისი გამოხატვის საშუალებანი. ყოველ სიტყვას თავის სემანტიკურ მხარესთან ერთად შეიძლება ახლდეს ერთი ან მეტი გრამატიკული მნიშვნელობა, რომელიც გარკვეული ფორმის საშუალებით არის გადმოცემული. სწორედ გამოხატვის ამ ფორმას ჰქვია გრამატიკული კატეგორია.

აკ. შანიძის განმარტებით, გრამატიკული კატეგორია წარმოადგენს ცნებას, რომლის გამოსახატავად ენას მოეპოვება გარკვეული გრამატიკული საშუალება. მაგალითად, სახელს აქვს ბრუნვის კატეგორია. ეს ნიშნავს, რომ ბრუნვა გამოხატულია გარკვეული ნიშნით **(ი, მა, ს, ის...).**

გრამატიკულ კატეგორიას ორი მხარე აქვს: გარეგანი და შინაგანი. შინაგანი მხარე მნიშვნელობაა, გარეგანი კი — ფორმა. გრამატიკული ფორმის გარეშე არ არსებობს გრამატიკული მნიშვნელობა.

მაშასადამე, გრამატიკული კატეგორიის ამოსავალი ფორმულა არის **გრამატიკული მნიშვნელობა + გრამატიკული ფორმა.** გრამატიკული ფორმის არსებით ნიშნად აღიარებულია ოპოზიციურობა. გრამატიკული მნიშვნელობის გადმომცემი ძირითადი საშუალებაა მორფემებით გამოხატული გრამატიკული ფორმა[1].

გრამატიკული კატეგორია შეიძლება იყოს მორფოლოგიური და სინტაქსური. მორფოლოგიური კატეგორია ყალიბდება თანა-

[1] თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში გრამატიკული კატეგორიის არსებობისათვის ოდენ საპირისპირო ფორმების პოვნიერება საკმარისადაა ჩათვლილი მაშინაც კი, როცა ეს ფორმა სათანადო აფიქსით არაა გამოხატული (იხ. **აკ. დავითიანი,** ქართული ენის სინტაქსი).

ზომიან ფორმათა შეპირისპირების ნიადაგზე. ასეთებია სახელებში: ბრუნვა, რიცხვი, ზმნაში — პირი, რიცხვი, ქცევა... თითოეული საპირისპირო ფორმა თავისთავად კატეგორიაა. კაც-ი სახელობითია, რადგან მის საპირისპიროდ არის **კაც-მა, კაც-ს** და ა. შ.

სინტაქსური კატეგორია ყალიბდება იმის მიხედვით, თუ რა ფუნქცია აქვს სიტყვას წინადადებაში (ქვემდებარე-სუბიექტი, დამატება-ობიექტი...). ისიც შეპირისპირების ნიადაგზეა შექმნილი.

ჩვეულებრივია, რომ ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით დახასიათდეს. მაგ., **ბავშვებმა** — მოთხრობითი ბრუნვა (ნიშანი **მა**), მრავლობითი რიცხვი (ნიშანი **ებ**)...

§ 4. სიტყვის მორფოლოგიური შედგენილობა (ძირი, ფუძე, მორფემა). მორფოლოგიური თვალსაზრისით ფორმაცვალებადი სიტყვა იშლება შემადგენელ ნაწილებად. ეს ნაწილებია: ძირი, ფუძე, მორფემა.

ძირი მონათესავე სიტყვების უმარტივესი საერთო ნაწილია. სხვაგვარად: ძირი სიტყვის ის ნაწილია, რომელიც შემადგენელ ელემენტებად აღარ დაიშლება.

ფუძე ჰქვია სიტყვის იმ ნაწილს, რომელიც ატარებს მოცემული სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობას. მაგ., წიგნ-ი, ფუძეა **წიგნ, ი** საგნობრივ მნიშვნელობას მოკლებულია და ფუძეს უპირისპირდება. უწიგნურ-ი: ფუძეა **უწიგნურ**, მაგრამ იგი კიდევ დაიშლება: უ-წიგნ-ურ.

შესაბამისად: წიგნ-ი-სა და უ-წიგნ-ურ-ი-ს საერთო ნაწილია **წიგნ,** რომელიც აღარ დაიშლება. იგი ძირია. ზოგჯერ ძირი და ფუძე ერთმანეთს ემთხვევა. მაგ., სიტყვაში წიგნ-ი **წიგნ** არის ძირიც და ფუძეც.

ტრადიციულად, ფუძესა და ძირზე დართულ ყოველგვარ ელემენტს **მორფემას** ანუ **ფორმანტს** უწოდებენ. ყოველგვარ ფორმანტს (მორფემას) **აფიქსი** ჰქვია. ქართულად მისი შესატყვისი ტერმინია **სართი (ა. შანიძე).** უფრო ფართო გაგებით, მორფემა არის სიტყვის ნაწილი (სუფიქსი, პრეფიქსი, ფუძე, ძირი), რომელსაც აქვს ლექსიკური ან გრამატიკული მნიშვნელობა[1] **(არნ. ჩიქობავა).**

[1] ამჯერად მორფემაში ვგულისხმობთ მაწარმოებელ აფიქსს.

§ 5. ქართული ენის, როგორც აგლუტინაციური ენის, აფიქსთა ერთფუნქციანობა. ქართული მდიდარია აფიქსებით. ჩვეულებრივ: თითო აფიქსს თითო ფუნქცია შეესაბამება. მაგ., **მა** ბრუნვის ნიშანია, **ებ** — ჩონების სახელთა მაწარმოებელი. ვ-უ-ხატ-ავ-დ-ი-თ ფორმაში 6 აფიქსია. ყველას განსხვავებული ფუნქცია აქვს: **ვ** პირველი სუბიექტური პირის ნიშანია, **უ** — სასხვისო ქცევისა, **ავ** — თემის ნიშანი, **დ** — მწკრივის სავრცობი, **ი** — მწკრივის ნიშანი, **თ** — რიცხვის ნიშანი.

ამ თავისებურებიდან გამომდინარე, ვამბობთ, რომ ქართული აგლუტინაციური ბუნების ენაა.

ტერმინი „აგლუტინაცია“ ლათინური წარმოშობისაა, რაც ნიშნავს „შეწებებას“. ლინგვისტურად აგლუტინაცია არის აფიქსების მექანიკური შეერთება ძირთან ან ფუძესთან, ისე რომ მათი გამოყოფა ადვილია. მიუხედავად ჩვენი ენის ასეთი ბუნებისა, დღეს ძალზე იშვიათად, მაგრამ მაინც ერთი აფიქსი ორი ფუნქციით გვევლინება. ამასთან დაკავშირებით **არნ. ჩიქობავა** აღნიშნავს: ქართულში აგლუტინაციის პრინციპს ემყარება სიტყვათა აგებულება. სადაც ეს პრინციპი დარღვეულია, ყველგან მეორეულ მოვლენასთან გვაქვს საქმე. როცა ეს პრინციპი დარღვეულია, აქ ორი რამაა შესაძლებელი: 1) აფიქსი ერთია, ფუნქცია — ერთზე მეტი, 2) აფიქსი ორია, ფუნქცია — ერთი.

პირველი შემთხვევის მაგალითებია: **თანიანი** მრავლობითი სახელებში (წიგნ-თ-ა: **ა თ** ბრუნვასაც აღნიშნავს და მრავლობით რიცხვსაც); მესამე სუბიექტური პირისა და მრავლობითი რიცხვის ნიშნები: **ენ, ნ, ნენ, ეს, ან;** პირველი ობიექტური პირისა და მრავლობითი რიცხვის ნიშანი **გვ.** ამ აფიქსთა თავდაპირველი ფუნქცია უნდა ყოფილიყო მხოლოდ რიცხვის გამოხატვა. ასეთი შემთხვევა ძალზე იშვიათია.

მეორე შემთხვევის მაგალითები ქართულში უფრო ხშირია: მე-ნავ-ე, სა-ქათმ-ე, სა-კლას-ო... აქაც ისტორიულად ერთ აფიქსს ერთი ფუნქცია უნდა ჰქონოდა (**მ, ს** პრეფიქსები კლას-კატეგორიის[1] ნიშნები უნდა ყოფილიყო: **არნ. ჩიქობავა**).

[1] მკვლევართა აზრით, ქართველურ ენებს უძველეს ხანაში უნდა ჰქონოდა კლას-კატეგორიები. კერძოდ: სანამ სახელს გაუჩნდებოდა რიცხვისა და ბრუნვის კატეგორიები, მანამდე იგი გარჩეული იყო გრამატიკული კლასების მი-

მიუთითებენ, რომ ქართულის გარდა აგლუტინაციური ბუნებისაა კავკასიური, ალთაური და უნგრულ-ფინური ენები.

§ 6. აფიქსთა კლასიფიკაცია. აფიქსები ადგილმდებარეობის მიხედვით. აფიქსებს აჯგუფებენ ადგილმდებარეობისა და ფუნქციის მიხედვით.

ადგილის მიხედვით აფიქსი შეიძლება იყოს პრეფიქსი, სუფიქსი და ინფიქსი.

პრეფიქსი ისეთი აფიქსია, რომელიც უსწრებს სიტყვის ძირს: ვ-წერ, მ-ხატავს... პრეფიქსის შესატყვისი ქართული ტერმინია „თავსართი“.

სუფიქსი ჰქვია ისეთ აფიქსს, რომელიც მოსდევს სიტყვის ძირს: კაც-ი, წიგნ-მა... უცხოურად მას „პოსტფიქსსაც“ უწოდებენ. სუფიქსს შეესატყვისება ქართული ტერმინი „ბოლოსართი“.

ინფიქსი ჩაერთვის სიტყვის ფუძეს. საზოგადოდ, ქართულისათვის ინფიქსური წარმოება უცხოა, მხოლოდ ზოგიერთ სიტყვაში ფონეტიკური ცვლილებების შედეგად სუფიქსისეული ბგერა იქცევა ინფიქსად: კლ-ავ-ს→კვლ-ა, ხრ-ავ-ს→ხვრ-ა, ძრ-ავ-ს→ძვრ-ა...

ინფიქსაცია დამახასიათებელია ინდონეზიური ენებისათვის.

ხედვით. არსებობდა ადამიანისა და ნივთის კლასები. პირველს მიეკუთვნებოდა მხოლოდ ზრდადასრულებული ადამიანი. დაესმოდა კითხვა **ვინ?** მეორეში (ნივთის კლასში) გაერთიანებული იყო დანარჩენი ყველა სახელი, დაესმოდა კითხვა **რა?** სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ დღეს ქართულში **ვინ** მხოლოდ ადამიანის კითხვაა, **რა** კი დანარჩენი ყველასი — სულიერისა და უსულოსი. რუსულსა და ევროპულ ენებში კი **ვინ** არის სულიერი სახელების კითხვა, **რა** — უსულოსი:

უძველესი ქართულის ვითარება დღემდეა შემორჩენილი ზოგიერთ მაგალითში. **ბავშვი** კლას-კატეგორიების მოქმედების ხანაში ნივთის კლასს ეკუთვნოდა, შესაბამისად მისი კითხვა იყო **რა**: რა ჰყავს? რა შეეძინა? და ა. შ.

ადამიანის კლასის ნიშნები იყო **მ, ვ** პრეფიქსები, ნივთისა კლასისა კი — **ს, ნ, ბ, დ, რ.** მოგვიანებით, როცა კლასები მოიშალა, მათ სხვა ფუნქციები შეიძინეს, ზოგი კი ფუძეს შეეზარდა: მ-ეხრე, მ-ეგრელი, მ-აჩაბელი. ვ-წერ... ს-ახრე, ბ-ავ-ეი, დ-ათვი... **(არნ. ჩიქობავა).**

ამ ბოლო წლებში გრამატიკული კლას-კატეგორიის შესახებ ქართულ ლინგვისტიკაში გამოითქვა განსხვავებული აზრი. **თ. გამყრელიძე** სარწმუნოდ არ მიიჩნევს პრექართველურისათვის ამ კატეგორიის არსებობას და თვლის, რომ კლას-კატეგორიის ნიშნებად ჩათვლილ მაწარმოებლებს სხვაგვარი კვალიფიკაცია უნდა მიეცეს.

ხშირად ძირს ერთვის ორ-ორი აფიქსი: პრეფიქსი და სუფიქსი. პრეფიქს-სუფიქსს უცხოურად **კონფიქსი, ცირკუმფიქსი** ჰქვია.

კონფიქსი ლათინური სიტყვაა, რაც ნიშნავს „თანააფიქსს“, „ერთადაღებულს“. კონფიქსი არის კომბინაცია ორი აფიქსისა (პრეფიქსისა და სუფიქსისა), რომლებსაც ერთი დანიშნულება აქვთ, მიუხედავად იმისა, რომ ორ მორფემას წარმოადგენენ. მაგ., მე-ბაღ-ე, სა-ჩოხ-ე... **მე—ე** ხელობის სახელებს აწარმოებს, **სა—ე**— დანიშნულებისას.

პრეფიქსების საშუალებით მიიღება პრეფიქსული წარმოება, სუფიქსების მეშვეობით — სუფიქსური, ხოლო კონფიქსის დართვით — პრეფიქს-სუფიქსური.

ა. შანიძე მიუთითებს, რომ მხოლოდ პრეფიქსული წარმოება ქართულ სახელში ძალზე იშვიათია, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, „არ მოგვეპოვება მარტო პრეფიქსით ნაწარმოები სახელები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ისეთ გამონაკლისებს, როგორიცაა: უ-რიცხვი და **არა**-თი ნაწარმოები სახელები: არაფერი, არათითი, არაიშვიათი... და სხვა“.

მართალია, დღეს ქართულში ასეთი სახელები სუფიქსიანებთან შედარებით მცირეა, მაგრამ სხვა მკვლევრები **(ვ. ბერიძე, ქ. ლომთათიძე, არნ. ჩიქობავა, გ. ბურჭულაძე, გ. გოგოლაშვილი...)** ქართულისათვის ბუნებრივად მიიჩნევენ ამგვარ წარმოებას, როგორც საკმაოდ ძველსა და გავრცელებულს.

არნ. ჩიქობავას აზრით, ქართული სახელებისათვის თავდაპირველად დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ოდენპრეფიქსული (მხოლოდ პრეფიქსული) წარმოება. ეს პრეფიქსები გრამატიკული კლასის ნიშნები იყო.

§ 7. აფიქსები ფუნქციის მიხედვით. ფუნქციის ანუ დანიშნულების მიხედვით აფიქსი შეიძლება იყოს **დამოკიდებულების აღმნიშვნელი** (ფორმათასაწარმოებელი), **მნიშვნელობის მცვლელი** (წარმოსაქმნელი) და **გარდამავალი ტიპისა.**

ზოგჯერ აფიქსის საშუალებით იცვლება მხოლოდ გრამატიკული ფორმა, მაგრამ ლექსიკური მნიშვნელობა იგივეა. სიტყვის ასეთ ცვლას **მიმოხრა ანუ ფლექსია** ჰქვია. ამგვარ აფიქსებს ეძახიან ფორმათასაწარმოებელ ანუ მიმოსახრელ აფიქსებს. მიმოსახრელი აფიქსების მნიშვნელობა დიდია. მათი საშუალებით მყარ-

დება სიტყვებს შორის დამოკიდებულება, გარკვეული მიმართება (აქედანაა მიღებული სახელწოდება „დამოკიდებულების აღმნიშვნელი“ აფიქსი). მაგ., ცა-მ თვალებ-ი გაახილა. ამ წინადადებაში **მ** და **ი** აფიქსებით დამყარდა მიმართება ზმნასთან.

დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსებია ბრუნვის ნიშნები.

სახელის ისეთ ცვლას, როცა აფიქსების საშუალებით იცვლება სახელის ლექსიკური მნიშვნელობა, **წარმოქმნა ანუ დერივაცია** ჰქვია. ასეთ აფიქსებს უწოდებენ მნიშვნელობის მცვლელს ანუ სადერივაციოს. ესენია: **ურ, ელ, იან, ობა, სი—ე, სა—ო...** (ლამაზი—სილამაზე, კაცი — კაცური, ქალაქი — ქალაქელი).

მიმოხრა — ფორმათწარმოება ერთი სიტყვის ფარგლებში ხდება, დერივაცია კი სცილდება ერთი სიტყვის ფარგლებს (სხვა მნიშვნელობის სიტყვა მიიღება). მიმოხრასა და წარმოქმნას შორის გარდაუვალი ზღვარი არ არსებობს. ზოგიერთ აფიქსს ორი ფუნქცია აქვს: მიმოსახრელიცაა და სადერივაციოც (წარმოსაქმნელიც). ასეთებია: მრავლობითი რიცხვის ნიშნები სახელებსა **(ებ, ნ, თ) (ლ. კვაჭაძე)** და ზმნაში **(თ)**, აგრეთვე მწკრივის სავრცობი **დ** და მწკრივის ნიშანი **ე (არნ. ჩიქობავა)**. მაგ., შევადაროთ **წიგნი — წიგნ-ებ-ი**. ამ უკანასკნელში ფორმაც შეცვლილია და, ნაწილობრივ, მნიშვნელობაც, რამდენადაც სიმრავლეს გამოხატავს. ამ აფიქსებს საშუალო ადგილი უჭირავთ საკუთრივ მიმოსახრელსა და წარმოსაქმნელ აფიქსებს შორის. ისინი გარდამავალი ტიპის აფიქსები არიან.

§ 8. პროდუქტიული და არაპროდუქტიული აფიქსები. მოხმარების მიხედვით აფიქსი ძირითადად ორვარია: პროდუქტიული და არაპროდუქტიული.

პროდუქტიულია აფიქსი, რომელიც გამოიყოფა სიტყვაში და ფაქტიურად აწარმოებს ახალ სიტყვებსა და ფორმებს. იგი მოქმედი აფიქსია. თანამედროვე ქართულში პროდუქტიულია ბრუნვისა და რიცხვის ნიშნები, ზოგი წარმოსაქმნელი აფიქსი **(სა—ო, ობა, იან, მე—ე...)**.

არაპროდუქტიული აფიქსი, მართალია, ჯერ კიდევ გამოიყოფა სიტყვაში როგორც მნიშვნელობის მქონე ელემენტი, მაგრამ მას არ გააჩნია ახალი სიტყვის წარმოების უნარი. შესაბამისად, ასეთ აფიქსთა მოქმედების სფერო ძალზე შეზღუდულია, გადმონაშთის

სახით თუ დაიძებნება თითო-ოროლა სიტყვაში, არაპროდუქტიულია **ნ** (ვი-ნ, მან-ნ), **ხ** (ხ-არ, მო-ხ-ვედი), **სა—ურ** (სა-თაგ-ურ-ი).

აფიქსი შეიძლება იყოს უქმი ანუ მკვდარი.

უქმია აფიქსი, რომელიც ოდესღაც იხმარებოდა გარკვეული დანიშნულებით, მაგრამ ახლა აღარ გამოიყენება და არც გამოიყოფა მაწარმოებელ ელემენტად. იგი მთლიანად შეეზარდა ფუძეს. ასეთებია: **მ** (მაჩაბელი, მეგრელი...), **ედ** (ყბედი, უჯრედი).

უნდა შევნიშნოთ, რომ დღეს სამეცნიერო-ტექნიკურ ტერმინოლოგიაში კვლავ გამოცოცხლდა **ედ,** როგორც მაწარმოებელი (თანავარსკვლავედი, ყვავილედი...).

აფიქსის მოხმარების სფეროც არ არის ყოველთვის ერთნაირი. ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იგი შეიძლება იყოს პროდუქტიული ან არაპროდუქტიული. მაგ., მრავლობითი რიცხვის ნიშანი **ებ** ძველად შედარებით იშვიათად იხმარებოდა. მაშინ ძირითადი იყო **ნ** და **თ**. დღეს კი პირიქითაა.

შეიძლება მოხდეს აფიქსის ფუნქციის რეინტერპრეტაცია (ხელახალი ინტერპრეტაცია — ფუნქციის შეცვლა). მაგ., **ვ** დღეს სუბიექტური პირის ნიშანია, მაგრამ მის თავდაპირველ ფუნქციად ვარაუდობენ ადამიანის კლასის გამოხატვას. სახელებში **თ** სუფიქსი მხოლოდ რიცხვს აღნიშნავდა, ახლა კი ერთდროულად არის ბრუნვისა და რიცხვის ნიშანი.

მართალია, ქართული აფიქსებით მდიდარი ენაა, მაგრამ აქაცაა უცხო ენებიდან ნასესხები თითო-ოროლა აფიქსი: **იზმ, ისტ** (კუბიზმი, კუბისტი...).

საზოგადოდ, აფიქსების სესხების სიხშირე საფრთხეს უქმნის ენის არსებობას და ამიტომაც იგი ძალზე იშვიათია.

აფიქსების წარმოშობის ძიება ისტორიული დოკუმენტებით ძნელია, მაგრამ დადგენილია, რომ აფიქსები დამოუკიდებელი სიტყვებისაგან მომდინარეობენ[1]. იმ დროს ენაში არსებობდა მხოლოდ ძირეული სიტყვა, არ უპირისპირდებოდა ერთმანეთს ფუძე და აფიქსი. მაგალითად, ტრადიციული შეხედულებით: **მა** წარმოქმნილია **მან** სიტყვისაგან, **ი — იგი** ნაცვალსახელისაგან, **ა — არის** ზმნისაგან.

---

[1] ამაზე პირველად მიუთითა **ჰორნ ტუკმა** 1786 წელს. ანალოგიურ დასკვნამდე მივიდა **ფრანც ბოპიც.**

მეტყველების ნაწილები

§ 9. მეტყველების ნაწილების კლასიფიკაციის საფუძველი და მისი კრიტიკა. ქართულ ენაში არსებული სიტყვათა მარაგი ლექსიკური მნიშვნელობისა და გრამატიკული ნიშნების მიხედვით დაყოფილია 10 ჯგუფად. თითოეულ მათგანს უწოდებენ **მეტყველების ნაწილს**. მეტყველების ნაწილს ქმნიან სიტყვები, რომლებსაც ერთნაირი აქვთ მორფოლოგიური კატეგორიები, ძირითადი მნიშვნელობა და სინტაქსური ფუნქცია.

ქართული ენის გრამატიკაში მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაცია **ანტონ კათალიკოსიდან** მოდის. მან გამოყო 8 მეტყველების ნაწილი: 1) სახელი, 2) ნაცვალსახელი, 3) ზმნა, 4) მიმდეობა, 5) თანდებული, 6) ზმნიზედა, 7) კავშირი, 8) შორისდებული.

ანტონი და ძველი გრამატიკოსები ხმარობდნენ ტერმინს — „სიტყვის ნაწილი“, რომელიც წარმოადგენს ბერძნული „მერეტულოგუს“-ის ზუსტ თარგმანს. „მერეტულოგუს“ ნიშნავს „წინადადების ნაწილს“. ანტონი წინადადების მნიშვნელობით ხმარობდა „სიტყვას“. სწორედ აქედან წარმოდგა ტერმინი „სიტყვის ნაწილი“.

ახალი ქართულის მიხედვით მეტყველების ნაწილებია:

არსებითი სახელი: წიგნი, სიკეთე...

ზედსართავი სახელი: ლამაზი, ჭკვიანი...

რიცხვითი სახელი: ათი, მესამე, მეხუთედი...

ნაცვალსახელი: მე, შენ, ის, ჩემი, რომელიც...

ზმნა: ვმუშაობ, ხატავს, დარბიან...

ზმნიზედა: წინ, სულ, იქ...

თანდებული: ვით, ზე, კენ...

კავშირი: და, ხან, კი, რომ...

ნაწილაკი: არც, ღა, თურმე...

შორისდებული: ვიშ, ოხ, უჰ...

ეს კლასიფიკაცია ეკუთვნის **ა. შანიძეს, არნ. ჩიქობავა** ასახელებს ცხრა ჯგუფს, არ შეაქვს **ნაწილაკი.**

ძველ ქართულში 11 მეტყველების ნაწილი იყო. ზემოჩამოთ-

ვლილებს ემატებოდა **ნაწევარი.** იგი, რიგით მეათე, ნაწილაკის შემდეგ იდგა[1].

ახალი ქართულის მეტყველების ნაწილებიდან პირველი ხუთი ფორმაცვალებადია, დანარჩენი ხუთი — ფორმაუცვლელი; პირველი ექვსი სრულმნიშვნელოვანია, დანარჩენი — დამხმარე (არასრულმნიშვნელოვანი).

ხუთი მეტყველების ნაწილი (არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ზმნა, შორისდებული) გამოყოფილია იმის მიხედვით, თუ რას აღნიშნავს იგი. დანარჩენი ხუთი (ნაცვალსახელი, ზმნიზედა, თანდებული, კავშირი, ნაწილაკი) დახასიათებულია იმის მიხედვით, რა როლს ასრულებს იგი სხვა სიტყვებთან ურთიერთობაში **(არნ. ჩიქობავა).**

მეტყველების ნაწილებიდან შორისდებული განცალკევებით ღგას. იგი გამოხატავს გრძნობას, განცდას, ემოციას ისე, რომ არ ასახელებს მას, მოკლებულია სხვა სიტყვებთან სინტაქსურ კავშირს. მაგრამ სხვა სიტყვებს უპირისპირდება, როგორც წინადადების ეკვივალენტი **(ა. შანიძე).**

შორისდებული შეიძლება არსებითის ფუნქციითაც იქნეს გამოყენებული: „ტკივილისაგან **ვაი** წამოიძახა“.

მართალია, ენაში არსებული ყოველი სიტყვა მიეკუთვნება ერთ რომელიმე მეტყველების ნაწილს, მაგრამ ზოგჯერ მაინც ხდება სიტყვის გადასვლა ერთი მეტყველების ნაწილიდან მეორეში. მაგალითად: **უნდა** ზმნაა (ბავშვს დასვენება **უნდა**), მაგრამ ზოგჯერ ნაწილაკადაც გვევლინება (ბავშვმა **უნდა დაისვენოს**); **ირგვლივ** ზმნიზედაა **(ირგვლივ** მოჩანდა ტყე), იგი თანდებულის ფუნქციითაც გამოდის **(სახლის ირგვლივ** ბაღია).

ჩვეულებრივ, როცა დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვა

[1] თანამედროვე ქართულ ლინგვისტიკაში მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციასთან დაკავშირებით გამოითქვა განსხვავებული მოსაზრებანიც: 1) ქართულში დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილად შეიძლება გამოიყოს სახელზმნა **(აკ. დავითიანი),** 2) შორისდებული, კავშირი, ნაწილაკი და თანდებული არ წარმოადგენს მეტყველების ნაწილს, რადგან ისინი არიან არა პირობითი ნიშნები, არამედ ამ პირობითი ნიშნების (სახელების, ზმნების) გრამატიკული აქსესუარები და დამოუკიდებლად არ არსებობენ („ენათმეცნიერების შესავლის საკითხები“).

იქცევა დამხმარე მეტყველების ნაწილად, მაშინ ხდება ლექსიკური მნიშვნელობის შესუსტება.

მეტყველების ნაწილების შესახებ მოძღვრება ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში. ძვ. წ. II საუკუნეში ალექსანდრიაში დამუშავდა პირველი გრამატიკა. გრამატიკის შექმნა გამოწვეული იყო პრაქტიკული საჭიროებით: წინანდელი წერილობითი ძეგლების ენა უკვე ძნელი გახდა ბერძენთათვის, აუცილებელი იყო ამ ტხზულებათა ენის შესწავლა და სათანადო კომენტარების შედგენა, რაც კიდეც გააკეთეს ალექსანდრიელმა მეცნიერებმა. მათი მუშაობის შედეგი **დიონისე თრაკიელის** მიერ ჩამოყალიბებულია „ტექნე გრამატიკე“.

პირველ გრამატიკოსებს საქმე ჰქონდათ წერილობითი ძეგლების ენასა და დამწერლობასთან. ამიტომ მათ მიერ მოცემული სახელწოდება „გრამატიკე ტექნე“ (რაც ნიშნავს „საწერაკითხვო ხელოვნებას“) თავისი საგნით გამართლებული იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ქართველი გრამატიკოსებიც (ანტონ კათალიკოსიდან მოყოლებული) გრამატიკას თვლიდნენ ელოვნებად.

ახალი გაგებით, გრამატიკა მეცნიერებაა. იგი სწავლობს სიტყვის ფორმას.

დიონისე თრაკიელის გრამატიკაში მოცემულია მეტყველების ნაწილთა პირველი დამთავრებული სქემა. აქ დასახელებულია 8 მეტყველების ნაწილი: 1) სახელი, 2) ნაცვალსახელი, 3) ნაწევარი ანუ ართროონი, 4) ზმნა, 5) მიმღეობა, 6) ზმნისართი, 7) კავშირი, 8) წინდებული.

ამ კლასიფიკაციით მხედველობაში იყო მიღებული როგორც სიტყვის მნიშვნელობა, ისე ფორმა.

ბერძნებისაგან მეტყველების ნაწილთა ასეთი კლასიფიკაცია აიღეს რომაელებმა და გარკვეული შესწორების შედეგად ლათინურს მიუყენეს: კერძოდ, რადგან ლათინურში სახელს ნაწევარი არ დაერთოდა, ამიტომ იგი ამოიღეს და მერვე წევრად დაუმატეს შორისდებული. ლათინურის საშუალებით იგი გავრცელდა შემდეგში მთელს ევროპაში და ევროპული ენები ლათინურის გრამატიკის სქემას მიუსადაგეს. ამიერიდან მეტყველების ნაწილების შესახებ მოძღვრების გამოყენება დაიწყეს ყველა ინდოევროპული

და არაინდოევროპული ენისათვის და აღმოჩნდა, რომ იგი ისევე შეესადაგა არაინდოევროპულ ენებსაც.

როგორც აღინიშნა, თრაკიელის სქემაში ცალკე მეტყველების ნაწილად შეტანილი იყო სახელი, რომელიც მოიცავდა არსებითს, ხედსართავსა და რიცხვით სახელებს. დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილად ზედსართავი სახელი გამოიყო მხოლოდ შუა საუკუნეებში, რიცხვითი სახელი კი — მე-17 საუკუნეში **(არნ. ჩიქობავა)**.

ტრადიციული სქემა, რომელიც მე-19 საუკუნეში დამკვიდრდა, მხოლოდ მნიშვნელობას უწევს ანგარიშს, ფორმა მხედველობაში არ მიიღება. ამიტომ კლასიფიკაცია უნივერსალური ხდება. ბერძნული ენის სიტყვათა კლასიფიკაცია იქცა საერთო მოძღვრებად „მეტყველების ნაწილების“ შესახებ.

ამ ტრადიციულ კლასიფიკაციას ორი ძირითადი ნაკლი ახასიათებს:

1) ის უვარგისია, როგორც კლასიფიკაცია;

2) უნდა იყოს მორფოლოგიური, არის კი უპირატესად სემანტიკური.

1. საერთოდ ყოველი კლასიფიკაციის მიზანია დააჯგუფოს მსგავსი მონაცემები და გააადვილოს სიმრავლეში გარკვევა. ჯგუფებად დაყოფის პროცესში მხოლოდ ერთი ნიშანი უნდა გამოვიყენოთ: ან მხოლოდ ფორმა, ან მხოლოდ შინაარსი. საკლასიფიკაციო ნიშანი არ უნდა შეიცვალოს. ამ კლასიფიკაციაში კი სწორედ ეს შეცდომაა დაშვებული — მორფოლოგიური და სემანტიკური პრინციპებია გამოყენებული.

2. „მეტყველების ნაწილი“ არის მორფოლოგიის ცნება და მისი დადგენის საფუძველი მორფოლოგიური უნდა იყოს, ე. ი. მეტყველების ყველა ნაწილი ერთი ნიშნის — მორფოლოგიური ნიშნის მიხედვით უნდა დაჯგუფდეს. ამ კლასიფიკაციაში კი პირველი ხუთი გამოყოფილია იმის მიხედვით, თუ რას აღნიშნავს, ხოლო დანარჩენი ხუთი დახასიათებულია იმის მიხედვით, თუ რა როლს ასრულებენ ისინი წინადადებაში. თუმცა აქაც არაა ერთი პრინციპი დაცული. მაგალითად, ზმნიზედა გამოყოფილია მხოლოდ მნიშვნელობის მიხედვით, კავშირი და თანდებული იმის მიხედვით, თუ რა როლი აქვთ მეტყველებაში, შორისდებულები კი მთლიანად მოკლებული არიან მორფოლოგიურ-სინტაქსურ საფუძველს.

597

მაშასადამე, კლასიფიკაციის ორი კრიტერიუმი გვაქვს: 1) რას აღნიშნავს, 2) რა როლს ასრულებს.

მიუხედავად ამ ნაკლისა, ტრადიციული კლასიფიკაცია მაინც ძალაშია, რამდენადაც თითოეულ მეტყველების ნაწილს აერთიანებს: ა) ზოგადი მნიშვნელობა, ბ) მორფოლოგიური თავისებურება (ე. ი. გრამატიკული კატეგორიები), გ) სინტაქსური გამოყენების ხასიათი, დ) საერთო სიტყვაწარმოებითი ფორმები **(ლ. კვაჭაძე)**. მეტყველების ნაწილების დაჯგუფება ენის მორფოლოგიური სისტემის შესწავლას ადვილებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მეტყველების ნაწილები არ წარმოადგენენ ლოგიკურ კატეგორიებს, რადგან მათ შორის არ არსებობს პირდაპირი შესატყვისობა. ქართულში, მაგალითად, საგნის თვისება ზედსართავი სახელით გამოიხატება, ისევე როგორც მრავალ ენაში. მაგრამ არ არსებობს არავითარი ლოგიკური აუცილებლობა იმისა, რომ თვისება მხოლოდ ზედსართავი სახელით აღინიშნებოდეს. ჩინურში საგნის თვისება ზმნით გამოიხატება. მაგალითად, ქართული „წითელი ვაშლი" ჩინური კონსტრუქციით დაახლოებით ასეთი იქნება: „ვაშლი წითლობს"; ამიტომ ჩინურში მეტყველების ნაწილების სქემა არსებითად განსხვავდება ინდოევროპული ენების მასალაზე შემუშავებული ზემოგანხილული სქემისაგან. თუ ბერძნული კლასიფიკაციით ზედსართავი შედის სახელის კლასში, ჩინურში ზედსართავი და ზმნა ექცევა ზმნის (პრედიკატივის) კლასში. აქ სახელის კლასი აერთიანებს არსებითსა და რიცხვით სახელებს.

ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო შორს მიდის იანა ენა (ამერიკელ ინდიელთა ენა კალიფორნიის შტატში, აშშ), სადაც რიცხვითი სახელიც კი ზმნით გამოიხატება. „ათი ვაშლი" იანა ენის მიხედვით დაახლოებით იქნება „ვაშლი ათობს". აქ ცალკე არ გამოიყოფა ზმნიზედის კლასიც. ზმნიზედა ან სახელით გამოიხატება, ან ზმნური აფიქსებით. იანა ენაში ერთმანეთს უპირისპირდება მხოლოდ სახელი და ზმნა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი ისევე კარგად ახერხებს განხილული ლოგიკური კატეგორიების გამოხატვას, როგორც ქართული, რუსული, ინგლისური და ა. შ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ლოგიკური კატეგორია და მისი გამოხატვის ენობრივი საშუალება (მეტყველების ნაწილი) ყოველთვის არ არის თანხვედნილი.

ლიტერატურა

ბურჭულაძე გ. — სახელის ოდენპრეფიქსული წარმოება ქართულში: ქელს, 1971, № 2.

გოგოლაშვილი გ. — სახელთა პრეფიქსული წარმოება ქართულში: ქელს, 1975, № 3.

დავითიანი ა. — სახელზმნათა ადგილისათვის მეტყველების ნაწილთა სისტემაში: ქელს, 1975, № 2.

ენათმეცნიერების შესავლის საკითხები, თბ., 1972.

თოფურია ვ. — მეტყველების ნაწილებისათვის ქართულში: „ახალი სკოლისაკენ", № 11 — 12.

კვაჭაძე ლ. — ქართული ენა, ნაწილი I, თბ., 1981.

ნებიერიძე გ. — ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1991.

სტურუა ნ. — სიტყვა როგორც ენობრივი ერთეული, თბ., 1975.

ფოჩხუა ბ. — ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.

ფოცხიშვილი ალ. — ნარკვევები მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციის ისტორიიდან, თბ., 1960.

ღლონტი ალ. — ქართული ენის ლექსიკოლოგიის საფუძვლები, 1973.

შანიძე აკ. — ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973.

ჩინჩალაძე მ. — მეტყველების ნაწილთა სწავლებისათვის: მასწავლებელთა გამოცდილებიდან, კრებ. II, თბ., 1953.

ჩიქობავა არნ. — ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.

ჩიქობავა არნ. — სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.

არსებითი სახელი

არსებით სახელთა შინაარსობრივი ჯგუფები

§ 10. არსებითი სახელის რაობა. მისი მნიშვნელობა. არსებითი სახელი ჰქვია მეტყველების ნაწილს, რომელიც აღნიშნავს საგანს. არსებითი სახელის ძირითადი ნიშანი არის საგნობრიობის გამოხატვა. ტერმინი „არსებითი სახელი" წარმომდგარია იქიდან, რომ დიდი ნაწილი არსებითისა ისეთ რაიმეს აღნიშნავს, რაც რეალურად არსებობს **(ა. შანიძე)**. მაგრამ ეს ტერმინი პირობითია, თუ იგი ჰქვია რეალურად არარსებულს.

არსებითი სახელის კითხვებია: ვინ? რა?

არსებითი სახელი ქართულში უფრო მარტივია, ვიდრე ევროპულ ენებში, რადგან მას აქვს მხოლოდ ორი გრამატიკული კატე-

გორია — ბრუნვისა და რიცხვისა. არ გააჩნია სქესი, რომელიც ევროპული ენების სახელებისათვის ძირითადი ნიშანია.

არსებითი სახელი სინტაქსური თვალსაზრისით წინადადებაში გამოყენებულია ქვემდებარედ (**ბავშვი** თამაშობს), დამატებად (მე ვხატავ **სურათს**), განსაზღვრებად (**მეზობლის** ბავშვი), შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად (მე **სტუდენტი** ვარ) და გარემოებად (**სოფელში** მივდივარ).

არსებითი სახელი ხასიათდება შინაარსისა და ფორმის მიხედვით.

§ 11. **არსებით სახელთა დაჯგუფება შინაარსის მიხედვით.** შინაარსის მიხედვით არსებითი სახელის ჯგუფებია: ადამიანისა და არაადამიანის (**ვინ** და **რა** ჯგუფის), სულიერი და უსულო, კონკრეტული და აბსტრაქტული, საკუთარი და საზოგადო, კრებითი, ნივთიერებათა და მოქმედების სახელები.

ვინ ჯგუფისაა ყველა ადამიანის სახელი. მისი კითხვაა **ვინ?** ქალი, ბავშვი... ამ კითხვაზე მიუგებს აგრეთვე ღვთაებათა სახელები (ღმერთი...) და, საზოგადოდ, განპიროვნებულ საგანთა სახელებიც. ევროპულ ენებში **ვინ** კითხვა დაესმის სულიერ საგანს.

რა ჯგუფისაა ყველა დანარჩენი სახელი. მისი კითხვაა **რა?** წიგნი, ჩიტი...

არნ. ჩიქობავას აზრით, ქართულში **ვინ** და **რა** ჯგუფის სახელთა დაყოფა გრამატიკული კლას-კატეგორიების არსებობით იყო შეპირობებული. **ვინ** ადამიანის კლასის კითხვა იყო, **რა** — ნივთის კლასისა.

სულიერია სახელი, რომელსაც საკუთარი ძალით მოძრაობა შეუძლია: კაცი, ჩიტი, ძაღლი...

უსულოა სახელი, რომელსაც თავისი ძალით მოძრაობა (გადაადგილება) არ შეუძლია: ქვა, წიგნი...

ზოგიერთი სახელი შეიძლება ერთ შემთხვევაში სულიერი იყოს, მეორეში კი — უსულო. მაგალითად, **ნიანგი** უსულოა, თუ ჟურნალის სახელწოდებაა, მაგრამ სულიერია, თუკი ცხოველს აღნიშნავს.

ასევე ზოგიერთი უსულო საგნის სახელი გარკვეულ შემთხვევაში სულიერთანაა გათანაბრებული. მაგალითად, „მძღოლს ავტომანქანა **მიჰყავდა**", „ავტომანქანა **ჰყავს**" (შდრ. ცხენი მიჰყავდა, ცხენი ჰყავს). ამგვარი ფორმები სალიტერატურო ქართულში მტკიცედ არის დამკვიდრებული და მიჩნეულია მართებულად[1].

საკუთარია სახელი, რომელიც ჰქვია ერთ რომელიმე საგანს. საკუთარი სახელებია: ადამიანის სახელები, გვარები, გეოგრაფიული და ცხოველებზე შერქმეული სახელები, წიგნების, ჟურნალ-გაზეთების, დაწესებულებების, პლანეტების სახელები.

საზოგადოა სახელი, რომელიც ჰქვია მრავალ ერთნაირ საგანს. შეიძლება საზოგადო სახელი იქცეს საკუთარ სახელად და — პირიქით. მაგალითად: **ია, ნუკრი, გუგული** საზოგადოა პირდაპირი მნიშვნელობით (მცენარისა და ცხოველების სახელები), მაგრამ საკუთარია, როცა ადამიანის სახელია. ასევე: ბოიკოტი, ხულიგანი, ნაგანი, მეცენატი, სტახანოვი და ა. შ. წარმოშობით გვარებია (საკუთარი), მაგრამ დღეს საზოგადო სახელებად იქცნენ.

კონკრეტულია სახელი, თუ ის აღნიშნავს ისეთ საგანს, რომელსაც ნივთიერი სახე აქვს: წიგნი, ხე, ქვა, ჰაერი, სუნი... (**ლ. კვაჭაძე**).

აბსტრაქტულია სახელი, რომელსაც ნივთიერი სახე არ გააჩნია. მას წარმოვიდგენთ განყენებულად აბსტრაქციაში. აბსტრაქტული სახელი ლექსიკური მნიშვნელობის მიხედვით მრავალფეროვანია. იგი შეიძლება აღნიშნავდეს თვისებას (ვაჟკაცობა, სილამაზე), მოქმედებას (გმირობა, მხეცობა), მდგომარეობას (სიმშვიდე), მეცნიერების დარგებსა თუ მოძღვრებას (მათემატიკა, დარვინიზმი).

აბსტრაქტული სახელები ძირითადად წარმოქმნილი არიან **ება, ობა, სი** — **ე** **სი** — **ო** აფიქსებით[2].

კრებითი სახელი აღნიშნავს ერთგვარ საგანთა კრებულს, რო-

[1] ამ შემთხვევაში ენამ „ავტომანქანა" (და არა ყოველგვარი მანქანა) — მოძრავი, „მოსიარულე" საგანი გაუთანაბრა სულიერი საგნების გამომხატველ არსებით სახელთა ჯგუფს ალბათ იმის გამო, რომ ავტომანქანაც მოძრაობს, თუმცა საქართველოს ზოგ კუთხეში ამბობენ: „ავტომანქანა **აქვს**" (**გ. შალამბერიძე**).

[2] ენაში არსებობს ბევრი ისეთი სიტყვა, რომელთა ანალიზის დროს ძნელდება ზუსტი დიფერენცირება კონკრეტულობა-აბსტრაქტულობის მიხედვით (შდრ. ომი-მშვიდობა, სიყვარული-სილამაზე...). ამდენად, იქნებ უმჯობესი იყოს, აქაც აბსტრაქტულ სახელებად ჩაითვალოს მხოლოდ სპეციალური სადერივაციო აფიქსებით ნაწარმოები სიტყვები ისევე, როგორც წარმოქმნილ სახელთა შინაარსობრივი დაჯგუფებისას (იხ. **ა. შანიძე,** ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 130—132).

ნაკლიც ერთი მთლიანობაა, წარმოდგენილი მხოლობითის ფორმით: ხალხი, ჯოგი, ფარა, რემა...

ზოგი სახელი ერთ შემთხვევაში კრებითია, მეორეში — ერთი საგნის აღმნიშვნელი. მაგ., წინადადებაში „ცხვარი დავკალი“ **ცხვარი** ერთი კონკრეტული საგნის სახელია, მაგრამ იგივე სიტყვა კრებითია ასეთ წინადადებაში „ცხვარი მთას შეეფინა“.

ზოგი სახელი აბსტრაქტულიცაა და კრებითიც. მაგ., სტუდენტობა, ბავშვობა, ახალგაზრდობა... „სტუდენტობა დღეს ხეიბობს“ (კრებითია). შდრ. „სტუდენტობა ტკბილად გავატარე“ (აბსტრაქტულია).

ნივთიერებათა სახელი აღნიშნავს ერთგვარ ნივთიერებას, რომელთა დათვლა და ცალკეულ ერთეულად წარმოდგენა არ ხერხდება. ასეთებია: მინერალების, ქიმიური ელემენტების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების, ქსოვილების, პროდუქტებისა და სხვათა სახელები: ოქრო, რკინა, წყალი, რძე, ჰაერი...

მოქმედების სახელი აღნიშნავს მოქმედებას ან მდგომარეობას, მაგრამ პირის გაგება არ გააჩნია: წერა, ხატვა, წოლა, დგომა[1].

მაშასადამე, არსებით სახელთა შინაარსეული ჯგუფებიდან ზოგი წყვილეულია, ზოგიც — ცალეული. წყვილეული ჯგუფები (ვინ–რა, სულიერი–უსულო...) რეგულარულია, ცალეული — ფაკულტატური. ცალეულს მიეკუთვნება მხოლოდ გარკვეული სახელები, რომელთაც საპირისპირო არა აქვთ[2].

არსებით სახელთა ბრუნება

§ 12. ბრუნვები და მათი ნიშნები. არსებითი სახელი წინადადებაში შეიძლება სხვადასხვა ფორმით შეგეხვდეს, მაგრამ ისე, რომ

[1] რამდენადაც არსებითი სახელისათვის ძირითადია საგნობრიობის აღნიშვნა, ამდენად **ხატვა, დგომა** ტიპის სახელების შეტანა არსებითი სახელის შინაარსობრივ დაჯგუფებაში მოსალოდნელი არ იყო.

[2] სწორედ ამასთან დაკავშირებით გამოითქვა განსხვავებული მოსაზრება **უ. ყორღანაშვილისა.** ავტორი მეთოდიკური თვალსაზრისითა და კლასიფიკაციის პრინციპის ერთგვაროვნების საფუძველზე გამართლებულად მიიჩნევს, კრებითსა და ნივთიერებათა სახელებსაც მოეძებნოს საპირისპირო შინაარსეული წყვილი: **კრებითი-ცალობითი, ნივთიერებათა-თვლადი** (დაწვრ. იხ. უ. ყორღანაშვილი, არსებით სახელთა შინაარსეული ჯგუფების სწავლებისათვის).

ერთი შეხედვით, მორფოლოგია არ უნდა გულისხმობდეს არსებით სა-

ლექსიკური მნიშვნელობა ყველას ერთი ჰქონდეს: მაგ.: წიგნ-ი, წიგნ-მა, წიგნ-ს, წიგნ-ის, წიგნ-ით, წიგნ-ად, წიგნ-ო. თითოეული ეს ფორმა არის ბრუნვა.

ბრუნვა ეწოდება გრამატიკულ ფორმას, რომლითაც სახელი ამყარებს მიმართებას სხვა სახელთან ან ზმნასთან. მაგალითად, „ცამ თვალები გაახილა“. აქ აუცილებელი იყო, **ცამ** ფორმა დაკავშირებოდა ზმნას (გაახილა). მაშასადამე, ბრუნვის ფორმით გამოიხატა მიმართება სახელსა და ზმნას შორის.

ბრუნვის ფორმას იძლევა ბრუნვის ნიშანი, ე. ი. სახელის ბრუნვა არის გრამატიკული კატეგორია და აღნიშნულია ბრუნვის ნიშნით. იმ ფორმანტს, რომელიც დაერთვის სახელს და მას ბრუნვის ფორმას აძლევს, **ბრუნვის ნიშანი** ჰქვია.

თუ ენას არ გააჩნია ბრუნვის კატეგორია, მაშინ აღნიშნულ მიმართებას ამყარებს სიტყვათა რიგი წინადადებაში: პირველ ადგილზე სუბიექტი (ქვემდებარე) დგება, მომდევნოზე — ობიექტი (დამატება). მაგალითად, წინადადებაში „მზე ეფარება ღრუბელს“ — ქართული ენის გრამატიკის მიხედვით, **მზე** სუბიექტია, **ღრუბელი** — ობიექტი. ვითარება არ შეიცვლება მაშინაც, ადგილი რომ შევუცვალოთ ამ სიტყვებს (ღრუბელს ეფარება მზე). მაგრამ ინგლისურში, გერმანულში... სულ სხვა შედეგს მივიღებთ: სუბიექტი იქცევა ობიექტად.

საერთოდ მიღებული შეხედულების თანახმად, ახალ ქართულში 7 ბრუნვაა. ამ ბრუნვებში ყველა სახელი ერთნაირად იცვლება. სახელის ცვლას ბრუნვაში მიხედვით **ბრუნება** ეწოდება. ქართულში ბრუნება ერთია. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა სახელი ძირითადად ერთნაირ ნიშანს დაირთავს ამა თუ იმ ბრუნვაში. მაგალითად, მიცემითში ყველა სახელი **ს**-ს ღებულობს. ამ მხრივ ქართული მკვეთრად განსხვავდება ევროპული ენებისაგან, სადაც ბრუნება

სელთა შინაარსობრივ დაჯგუფებას, რომლის სწავლებისას თავს იჩენს არაერთი უხერხულობა და სიძნელე ფორმისა და შინაარსის შეუსაბამობის გამო, მაგრამ აქ სემანტიკური კლასიფიკაცია გამართლებულია იმდენად, რამდენადაც იგი შეტწილ შემთხვევაში ფორმობრივადაც იძლევა სხვაობას... არსებით სახელთა შინაარსობრივი დაჯგუფებისას ზემოაღნიშნული თვალსაზრისი ანგარიშგასაწევი ჩანს.

გარჩეულია სქესის მიხედვით[1]. მაგალითად, რუსულში მამრობითი, მდედრობითი და საშუალო სქესის შესაბამისად სამი სახის ბრუნებაა: I, II, III. ბრუნვის ნიშნებიც სხვადასხვაა.

ახალი ქართულის ბრუნვები და ბრუნვის ნიშნებია:

სახელობითი — ი	მოქმედებითი — ით
მოთხრობითი — მა, მ	ვითარებითი — ად, დ
მიცემითი — ს	წოდებითი — ო, ვ
ნათესაობითი — ის	**(ა. შანიძე)**

ძველ ქართულში იყო მე-8 ბრუნვაც — წრფელობითი. მას ბრუნვის ნიშანი არ ჰქონდა (ფუძის სახით იყო წარმოდგენილი).

ბრუნვათა სახელწოდებანი — **სახელობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, წოდებითი** უცხო ენებიდანაა გადმოღებული, **მოთხრობითი და ვითარებითი** ქართულ ნიადაგზეა შექმნილი. ბრუნვის სახელწოდება ყოველთვის არ შეესაბამება ბრუნვის გრამატიკულ ფუნქციას.

ბრუნვები და მათი სახელწოდებანი გამომუშავდა სტოელთა სკოლაში (ძველი საბერძნეთი), უფრო ჩამოყალიბებული სახე მიიღო დიონისე თრაკიელის „ტექნე გრამატიკეში". უნდა შევნიშნოთ, რომ პანინის გრამატიკაში (შემუშავდა ძვ. წ. მე-5 საუკუნეში ძველ ინდოეთში) ბრუნვებს არ ერქვა სახელები და მათ აღნიშნავდნენ ციფრებით ასეთი თანმიმდევრობით: 1 — სახელობითი, 2 — ბრალდებითი, 3 — მოქმედებითი, 4 — მიცემითი და ა. შ.

ქართულისა და, საერთოდ, იბერიულ-კავკასიური ენებისათვის სპეციფიკურია მოთხრობითი ბრუნვა. იგი გააჩნია ბასკურსაც. მაგრამ არ მოეპოვება სხვა ევროპულ ენებს. თუმცა ამ ბოლო ხანს გამოითქვა განსხვავებული მოსაზრება, რომ მოთხრობითი ბრუნვა

[1] მართალია, ქართულს არ ახასიათებს გრამატიკული სქესის კატეგორია, მაგრამ ევროპული ენების გავლენით **პეტრიწის, სულხან-საბა ორბელიანის, ანტონ პირველისა** და სხვათა ნაშრომებში შეიმჩნევა ცდა, გრამატიკულადაც გამოხატულიყო მდედრობითი სქესი. ეს ტენდენცია უფრო გაძლიერდა მე-18-19 საუკუნეებში რუსული ენის ზეგავლენით. მდედრობითი სქესის აღსანიშნავად გამოიყენებოდა **ა, ნა (ინა)** სუფიქსები. შესაბამისად გვხვდებოდა ფორმები: მეფ-ა, ხელმწიფ-ა, ღმერთ-ა, მთავრ-ინა, თავად-ინა... ცოცხალმა მეტყველებამ და სამწერლობო ქართულმა ჩვენი ენის ბუნებისა და სტრუქტურისათვის ეცხო და შეუთავსებელი სქესის ფორმები არ მიიღო **(ს. დანელია)**.

დამახასიათებელია ეგვიპტური და ზოგი სხვა ენისთვისაც **(თ. გამყრელიძე)**.

მოთხრობითი ბრუნვა ქართულ გრამატიკაში დაამკვიდრა **ანტონ კათალიკოსმა**.

ქართულს არა აქვს ბრალდებითი (Akkusativ — **винительный**) ბრუნვა. მის მაგივრობას ასრულებს სახელობითი და მიცემითი. იბერიულ-კავკასიური ენებიდან მხოლოდ უდურშია ეს ბრუნვა. **არნ. ჩიქობავას** აზრით, აქაც იგი მეორეულია — მიცემითის ვარიანტი.

ქართულის ბრუნვები ზოგი ძველია, ზოგიც — შედარებით ახალი. ყველაზე ძველია: მიცემითი, ნათესაობითი, შემდეგ: მოქმედებითი და ვითარებითი, მოთხრობითი, ბოლოს: სახელობითი და წოდებითი.

სახელობითი, ნათესაობითი და მიცემითი თითქმის ყველა ენაში გვხვდება, ამიტომ მათ ეძახიან ძირითად ბრუნვებს.

ენის გახვითარების სხვადასხვა საფეხურზე შეიძლება განსხვავებული იყოს ბრუნვათა რაოდენობა—ბრუნვა შეიძლება წარმოიქმნას ან მოიშალოს, მისი ფუნქცია სხვა ბრუნვას გადაეცეს. მაგალითად, უძველეს ქართულში უნდა ყოფილიყო **ივ** სუფიქსით ნაწარმოები ბრუნვა, რომლის ფორმები ნაშთის სახითაა მოღწეული ძველ ქართულშივე: **მარჯვნივ, მარცხნივ, ღმრთივ...** ეს ბრუნვა უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი სახეობა მოქმედებითისა.

ენები განსხვავდებიან ბრუნვათა რაოდენობის მიხედვითაც. მაგალითად, ახალ ქართულში 7 ბრუნვაა, გერმანულში — 4, რუსულში — 6, ინგლისურში — 2.

ბრუნვათა სისტემა ყველა ენაში ერთნაირად არაა განვითარებული. არსებითი სახელის ბრუნების სისტემა არაა სპარსულში, აფხაზურში, ფრანგულში, ინგლისურში. აფხაზურში ძირითადი ბრუნვებია ნათესაობითი და მიცემითი, მოთხრობითი არ გაირჩევა.

აკ. შანიძის აზრით, თანამედროვე ქართულში 7 ბრუნვის გარდა დამატებით შეიძლება გამოიყოს სამი ახალი ბრუნვა: სადაობითი, გამოსვლითი, მიწევნითი. მაგრამ ეს აზრი საყოველთაოდ არაა გაზიარებული. სადავოდაა მიჩნეული, აგრეთვე, წოდებითის საკითხიც.

§ 13. ბრუნვის ნიშნის გავრცობა, ემფატიკური ა და მისი გამოყენების შემთხვევები ქართულში. ახალ ქართულში ბრუნვის

ნიშანი მიცემით-ში, ნათესაობით-ში, მოქმედებით-ა და ვითარებით-ში შესაძლებელია გავრცობილ იქნეს **ა** ხმოვნის დართვით (ამ **ა**-ს **აკ. შანიძემ** უწოდა მავრცობი, ნართაული **ა**, ხოლო **ნ. მარმა** — ემფატიკური ხმოვანი): სახლ-ს — სახლ-სა, სახლ-ის — სახლ-ისა, სახლ-ით — სახლ-ითა, სახლ-ად — სახლ-ადა, ცალკე აღებულ სიტყვასთან ემფატიკური ხმოვანი შეიძლება ვიხმაროთ და შეიძლება არა. ასეთ შემთხვევაში „**ა**-ს დართვა უფრო სტილისტურ საჭიროებას უპასუხებს, ვინემ მორფოლოგიურს" **(არნ. ჩიქობავა)**.

ძველ ქართულში **ა**-ს ხმარებას სისტემური ხასიათი ჰქონდა. იგი დაერთოდა მხოლოდ საზოგადო სახელების მიცემითის, ნათესაობითისა და უთანდებულო მოქმედებითის ფორმებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს სახელი იყო: ა) კომპოზიტის ნაწილი, ბ) შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი, გ) ზმნიზედად გამოყენებული. ეს წესი ძველ ქართულში მტკიცედ იყო დაცული **(ქ. ძოწენიძე)**.

ახალ ქართულში ემფატიკური ხმოვანი უფრო ხშირად გვხვდება: დაერთვის 4 ბრუნვას და თანაბრად იხმარება საზოგადო და საკუთარ სახელებთან, თუმცა არა აქვს სისტემური ხასიათი. მიუხედავად ამისა, ერთგვარი კანონზომიერება მაინც არსებობს **ა**-ს გამოყენებაში. **ა აუცილებელია:**

1) **ც** ნაწილაკის დართვისას: წიგნ-ს-ა-ც, წიგნ-ის-ა-ც, წიგნ-ით-ა-ც, წიგნ-ად-ა-ც...

2) **ვით** თანდებულიან მიცემითთან: დედა-ს-ა-ვით, ბავშ-ს-ა-ვით...

3) ნათესაობითარი მიცემითის შემთხვევაში: ქალაქ-ის-ა-ს, ამხანაგ-ის-ა-ს...

4) ნათესაობითი ბრუნვის ფორმასთან მართული მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიციური წყობის დროს: ლექსი პოეტ-ის-ა, ბავშვი მეზობლ-ის-ა...

5) მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი ან ვითარებითი ბრუნვის გამოყენებისას შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად მაშინ, როცა **არის** მეშველი ზმნა წარმოდგენილია შეკვეცილად — **ა**-ს სახით. „გოძური სახლს-ა-ა მიშენებული", „კედელი სურათებით-ა-ა დამშვენებული"...

6) **თანხიანი** მრავლობითის მყარ გამოთქმებში: ბავშვ-თ-ა ოთახი, მწერალ-თ-ა კავშირი...

7) და კავშირით შეერთებული ორი სახელის პირველ წევრთან მიცემით-ში, ნათესაობით-ში, მოქმედებით-ა და ვითარებით-ში: მთა-ს-ა და ბარს, ც-ის-ა და დედამიწის...

აღსანიშნავია, რომ ემფატიკურ **ა**-ს უფრო ხშირად იყენებენ აღმოსავლური კილოები და, შესაბამისად, ამ კუთხიდან გამოსული მწერლები. აქ იგი შეიძლება გამოვლინდეს არა მარტო სახელებთან, არამედ ფორმაუცვლელ სიტყვებთან და ზმნასთანაც კი. მაგ.: შიუტანა ვანოსა; უთხრასა და წაიღოს; შინისკენა; მატარებელი მიდიოდა აღმართზე ქშენითა, ქაქანითა...

ემფატიკური **ა** რომ დღემდე ასე მკვიდრადაა შემონახული, ამის მიზეზად მიჩნეულია ის ფაქტი, რომ იგი მახვილიანი ხმოვანია და აღვილად არ დაიკარგა.

§ 14. ემფატიკურ ა-ს შესწავლის საკითხისათვის. ქართულში ემფატიკურ **ა**-ს ფუნქციონირებასა და მისი ზოგადი ბუნების გარკვევას მიეძღვნა არაერთი მეცნიერული ნაშრომი.

ა-ს გამოყენების შემთხვევები ძველი ქართულის წერილობითი ძეგლების მიხედვით საგანგებოდაა შესწავლილი **ქ. ძოწენიძის** მიერ, ხოლო ახალი და თანამედროვე ქართულის დონეზე ეგეგე საკითხი დაწვრილებითაა გაანალიზებული **თ. ზურაბიშვილის** სტატიებში.

ნ. მარი ემფატიკურ **ა**-ს თვლიდა ჩვენებითი **ჰა** ნაწილაკისაგან მომდინარედ. **ა. შანიძისა** და **ივ. იმნაიშვილის** აზრით კი, **ა** მიღებულია განმსაზღვრელი **ამას** ნაწევრისაგან (კაცს ამას→კაც-ს-ა).

არნ. ჩიქობავა ვარაუდობდა, რომ ისტორიულად ეს **ა** ჩვენებითი (განმსაზღვრელი) ნაწილაკი იყო, იმგვარივე ღირებულებისა, როგორიცაა ფუძეუკვეცელ სახელთა **ი** ნათესაობითსა და მოქმედებითში (წყაროს-**ი**, წყაროთ-**ი**) და ფუნქციონალურად ეტოლებოდა სახელობითის **ი**-სა და მოთხრობითის **მან** ფლექსიებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალგზის იქცა მსჯელობის საგნად **ა** ხმოვნის ფუნქციები. ვარაუდობენ, რომ ძველ ქართულში ემფატიკური ხმოვანი სახელს ანიჭებდა განსაზღვრულობას, რითაც უტოლდებოდა ევროპული ენების არტიკლს **(ნ. მარი, ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა...)**. ახალ ქართულში **ა** ხმოვნის დანიშნულებაა წინადადებაში მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილის შემოსაზღვრა **(არნ. ჩიქობავა, თ. უთურგაიძე...)**. მეორე მხრივ, მიუთითებენ, რომ ემფატიკურ **ა**-ს ბუნება მორფოლოგიური კი არ არის,

არამედ ფონეტიკურია. იგი ჩნდება თანხმოვნიანი ამოსავლის შემდეგ, ე. ი. მიზეზია მარცვალთლიაობის შექმნა **(ა. ფოცხიშვილი, გ. დეეტერსი, შ. აფრიდონიძე...)**.

არსებითი სახელის რიცხვი

§ 15. რიცხვის რაობა. მხოლობითი და მრავლობითი რიცხვი. რიცხვი ორგვარია: არითმეტიკული და გრამატიკული. არითმეტიკული რიცხვი ცალკე სიტყვით გადმოიცემა: ერთი, ხუთი, ათი... გრამატიკული რიცხვი თან ახლავს სიტყვის ფორმას. მაგ., **წიგნი, — წიგნები.** ერთმანეთს უპირისპირებენ აგრეთვე გრამატიკულსა და სემანტიკურ (ლექსიკურ) რიცხვს. გრამატიკული რიცხვი მორფოლოგიური კატეგორიაა და გრამატიკული ნიშნით გამოიხატება, სემანტიკური რიცხვი კი სიტყვის შინაარსით არის გადმოცემული. მაგ: **წიგნ-ებ-ი** — გრამატიკული რიცხვია, მისი ნიშანია **ებ. ათი წიგნი** — სიმრავლე გამოხატულია ლექსიკურად, სიტყვის საშუალებით.

რიცხვის სემანტიკურად გამოხატვის საშუალება ყველა ენას მოეპოვება, გრამატიკული რიცხვი კი ყველას არა აქვს. მაგალითად, ჩინურში გრამატიკული რიცხვი არ აღინიშნება, მაგრამ ლექსიკური საშუალებები აქვს სხვა ენის მსგავსად.

გრამატიკული რიცხვი სახელისა და ზმნის საზღაურო კატეგორიაა. იგი შეიძლება იყოს მხოლობითი[1] და მრავლობითი.

---

[1] ტერმინი „მხოლობითი“ პირველად გამოიყენა **ანტონმა** თავის გრამატიკაში, მაგრამ იგი ერთადერთ ფორმად ვერ დამკვიდრდა, რადგან გრამატიკულად სწორია „მხოლოობითი“ (მხოლო→მხოლოობითი, შდრ. კერძო→კერძოობითი), რომელსაც იყენებდნენ ძველი ქართველი გრამატიკოსები: **ს. დოდაშვილი, პლ. იოსელიანი, დ. ყიფიანი, თ. ჟორდანია** და სხვები.

მოგვიანებით **ა. შანიძემ** კვლავ აღადგინა ტერმინი „მხოლობითი“ „მრავლობითის“ გარეგნული მიმსგავსებით (მარცვალთა რაოდენობით ორივე ტოლია). მიუხედავად ამისა, **ვ. თოფურიას** აზრით, „უნდა დარჩეს „მხოლოობითი“ როგორც სწორი, ისტორიულად მართებული და გავრცელებული“. ამ თვალსაზრისს მხარს უჭერს ქართული ენის განმარტებითი და ორთოგრაფიული ლექსიკონები.

დღეს საენათმეცნიერო ლიტერატურაში ორივე ფორმა გამოიყენება, თუმცა მხოლობითის უპირატესობა აშკარაა.

მხოლობითი რიცხვი აღნიშნავს ერთ საგანს ან საგანთა კრებულს: წიგნი, ბავშვი... ხალხი, გუნდი...

მრავლობითი რიცხვი აღნიშნავს ერთზე მეტ ერთგვარ საგანს, წიგნები, ბავშვები, მეგობრები...

ზოგიერთი სახელი შინაარსით მრავლობითს გამოხატავს, მაგრამ ფორმით მრავლობითი რიცხვი არ არის, რადგან მრავლობითი რიცხვის ნიშნით არაა წარმოდგენილი. ასეთებია კრებითი სახელები: ხალხი, გუნდი, ფარა, ერი... თუმცა ამგვარი სახელები ზოგ შემთხვევაში შეიძლება იყოს ფორმითაც და შინაარსითაც მრავლობითი: ხალხები, ერები („მსოფლიოს ხალხები იბრძვიან მშვიდობისათვის“, შდრ. „ქართველი ხალხი გაიმარჯვებს“).

რიცხვის კატეგორია და, საერთოდ, სახელის რიცხვი ყველა ენაში ერთნაირი არაა. ზოგიერთ ენაში (ძველ ბერძნულში, ძველ რუსულში, არაბულში) სახელს რიცხვის მიხედვით სამ-სამი ფორმა მოეპოვება: **ფორმა ერთისა** (მხ. რ.), **ფორმა ორისა (ორობითი), ფორმა მრავლისა** (მრ. რ.). ამ ენებში მრავლობითის გაგება ორს ზემოთ იწყება, მაშინ როდესაც ქართულში ერთზე მეტი უკვე მრავლობითია. მაგ., ძვ. ბერძნ. **ჰო ანთროპოს** — ადამიანი (მხ. რ.), **ჰოი ანთროპოი**—ადამიანები (მრ. რ.), **ტო ანთროპო** ორი ადამიანი—(ორობითი რ.). **ა. შანიძის** დაკვირვებით, ორობითი (წყვილობითი) რიცხვი ჯერ კიდევაა შემორჩენილი ხევსურულში: ოჲნი=ორი ვაჟი, ოჲები=ვაჟები.

ვარაუდობენ, რომ ეს ორობითი რიცხვი წყვილად არსებული საგნების აღნიშვნამ წარმოშვა. მაგ., ორი თვალი, ორი ყური...

ზოგ ენას შერჩენილი აქვს **სამობითი რიცხვიც**. ორობითი და სამობითი რიცხვი გარდამავალი საფეხურია ერთიდან მრავლისაკენ **(არნ. ჩიქობავა)**.

§ 16. მრავლობითი რიცხვის წარმოება. მრავლობითი რიცხვის ფორმა ორგვარია: **ებიანი და ნართიანი.** ებიანი მრავლობითის მაწარმოებელია **ებ** სუფიქსი: ბაღები, სოფლები...

ნართანიანი მრავლობითის მაწარმოებლებია ნ და თ. ნ ნიშნიან მრავლობითს **ნარიანი** ჰქვია, თ ნიშნიანს — **თანიანი.**

ებიან მრავლობითს 7 ბრუნვა აქვს, **ნართიანიანს** — 5. აქედან **ნარიანია** 2 (სახ., წოდ.), **თანიანი** — 3 (მოთხ., ნათ., მიც.), არ ეწარმოება მოქმედებითი და ვითარებითი.

სახ.	ბავშვ-ი	ბავშვ-ებ-ი	ბავშვ-ნ-ი
მოთხ.	ბავშვ-მა	ბავშვ-ებ-მა	ბავშვ-თ-ა
მიც.	ბავშვ-ს	ბავშვ-ებ-ს	ბავშვ-თ-ა
ნათ.	ბავშვ-ის	ბავშვ-ებ-ის	ბავშვ-თ-ა
მოქ.	ბავშვ-ით	ბავშვ-ებ-ით	—
ვით.	ბავშვ-ად	ბავშვ-ებ-ად	—
წოდ.	ბავშვ-ო	ბავშვ-ებ-ო	ბავშვ-ნ-ო

როგორც ვხედავთ, დღეს **ნართანიანი** მრავლობითი არ გვხვდება მოქმედებითსა და ვითარებითში, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ უძველეს ქართულში ამ ორ ბრუნვასაც ჰქონდა **თანიანი** მრავლობითი **(ნ. მარი, თ. შარაძენიძე...)**.

თანიან მრავლობითს მოთხრობითში, მიცემითსა და ნათესაობითში ერთნაირი ფორმა აქვს. რომ გავიგოთ, ესა თუ ის ფორმა რომელ ბრუნვაშია, **თანიანის** ნაცვლად უნდა ჩავსვათ **ებიანი** მრავლობითი:

ფრინველთ (ფრინველებმა) დაიწყეს გალობა (მოთხ.).
ფრინველთ (ფრინველების) გალობა ისმის (ნათ.).

ებიანი და **ნართანიანი** მრავლობითი ქართული ენის განვითარების მთელს მანძილზე ერთნაირად არ გამოიყენებოდა. ძველ ქართულში გაბატონებული იყო **ნართანიანი** მრავლობითი, **ებიანი** შედარებით გვიან გაჩნდა, თავს იჩენს VII—VIII საუკუნეებისა და შემდგომი ხანის ძეგლებში.

ებიანი მრავლობითი თანდათან იფართოვებდა მოხმარების სფეროს და ახალ ქართულში კიდეც გაბატონდა. სამაგიეროდ, ნელნელა იზღუდებოდა და მცირდებოდა **ნართანიანი** მრავლობითის გამოყენების შემთხვევები[1].

დღეს ქრონოლოგიურად **ნართანიანი** მრავლობითი ძველი მრავლობითია, **ებიანი** — ახალი. შესაბამისად მრავლობითი რიცხვის ნიშნებიდან ყველაზე ძველია **თ**, შემდეგ მოდის **ნ**; **ებ** გვიანდელია.

[1] სწორედ ორგვარი მრავლობითის თანაარსებობის შედეგია ქართულში ორმაგი მრავლობითიანი ფორმების გაჩენა. მართალია, სოფლ-**ებ**-**ნ**-ი, ეზო-**ებ**-**თ**-ა და მისთანანი უკვე დაჩნდება IX—X საუკუნეთა ხელნაწერებში, საკმაოდ გავრცელებულია საშუალ. ქართულში, დასტურდება თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაშიც (ძმა-**ნ**-**ებ**-ი, ორ-**თ**-ა-ვე-**ნ**-ი, ბიძა-**ნ**-**ებ**-ი...), მაგრამ სალიტერატურო ენამ იგი მაინც არ მიიღო.

მოხმარების მიხედვით **ებიანი** პირველი მრავლობითია, **ნართანიანი** — მეორე, **თ** სუფიქსს ორი ფუნქცია აქვს: გამოხატავს რიცხვსაც და ბრუნვასაც. მისი ორფუნქციანობა გვიანდელი მოვლენაა. უძველეს ქართულში მხოლოდ რიცხვის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო **(არნ. ჩიქობავა, ნ. მარი, კ. დონდუა...)**. ამას ადასტურებს ზმნის ჩვენებაც. აქაც მრავლობითის გამომხატველია **თ** (ვწერ — ვწერ-თ).

მართალია, დღეს **ებიანი** გაბატონებულია, **ნართანიანი** კი ხშირად აღარ იხმარება, მაგრამ არის მისი აუცილებელი გამოყენების შემთხვევებიც. ესენია:

1) ზოგიერთ ნაცვალსახელს მხოლოდ მეორე მრავლობითი აქვს: ესე-**ნ**-ი, ისი-**ნ**-ი, მა-**თ**...

2) მეორე მრავლობითი ძირითადია მყარ გამოთქმებში: ბავშვ-**თ**-ა ოთახი, მშობელ-**თ**-ა კრება...

3) მოქმედების სახელები შეიძლება მხოლოდ მეორე მრავლობითში შეგვხვდეს: მღერა-**ნ**-ი, ცქერა-**ნ**-ი...

4) რაოდენობითი რიცხვითი სახელები მხოლოდ მეორე მრავლობითს აწარმოებენ: ორ-**ნ**-ი, სამ-**ნ**-ი, შვიდ-**ნ**-ი...

მიუთითებენ, რომ თანამედროვე ქართულში **თანიანი** მრავლობითი უფრო ხშირად იხმარება ნათესაობითი ბრუნვის ფუნქციით, შედარებით ნაკლებადაა მიცემითში (ისიც მეტწილად მხოლოდ **თ** სუფიქსით, **ა**-ს გარეშე). **თანიანი** მრავლობითის ფორმა კი თითქმის აღარ გვხვდება. გარდა ამისა, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გამოიკვეთა ასეთი ტენდენციაც: ნათესაობითში **თა**-ს და მიცემითში **თ**-ს გამოყენება ჩამოყალიბდა როგორც გარკვეული კანონზომიერება და იგი ცდილობს წიგნური გზით საყოველთაოდ გავრცელდეს და სალიტერატურო ნორმად იქცეს **(ბ. საბაშვილი)**.

მრავლობითი რიცხვის წარმოების თვალსაზრისით თავისებურებას იჩენს ზოგიერთი არსებითი სახელი (მეტწილად უცხოურიდან შემოსული). ისინი ფუნქციონირებენ ხან მხოლობითისა და ხან მრავლობითის ფორმით: სათვალე//სათვალეები, ჯუნგლი//ჯუნგლები, კურანტი//კურანტები, კორტესი//კორტესები, რეიტუზი//რეიტუზები, ჯინსი//ჯინსები, შორტი//შორტები და ა. შ.

ცხადია, ამგვარ სახელთა მართლწერა უნდა დაემყაროს ქართული ენის ბუნებასა და სტრუქტურას და არა უცხოურ ენათა

ჩვენებას. შესაბამისად მართებულადაა აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში, რომ: თუ ასეთი სიტყვა აღნიშნავს ერთ საგანს ან მოვლენას და მხოლობითშიც გვხვდება და მრავლობითშიც (ოღონდ ისე, რომ მრავლობითის გაგება არა აქვს), უპირატესობა უნდა მიეცეს მხოლობითს (დღეს ენაში ამგვარი წარმოების გაფართოების ტენდენცია აშკარაა). ამიტომ უნდა ითქვას და დაიწეროს: სათვალე, ჯუნგლი[1], კურანტი[2], კორტესი[3], რეიტუზი, ჯინსი, შორტი და ა. შ. **(მ. ჭაბაშვილი).**

ლიტერატურა

ახალი ნორმების პროექტი (ემფატიკურ ა-ზე): ქელს, 1986, № 4.

დანელია კ. — გრამატიკული სქესის გამოხატვის ცდა ქართულში: მაცნე, 1986, № 4.

ენათმეცნიერების შესავლის საკითხები, თბ., 1972.

ზურაბიშვილი თ. — ემფატიკური ხმოვანი ახალ ქართულში: სბი, I, თბ., 1956.

ზურაბიშვილი თ. — მავრცობი ა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში: ქსკს, I, 1972.

იმნაიშვილი ი. — სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957.

კვაჭაძე ლ. — ქართული ენა, ნაწილი I, თბ., 1981.

ლომთაძე ა. — ემფატიკური ხმოვნები: მაცნე, 1976, № 3.

საბაშვილი ბ. — მრავლობითი რიცხვის თა სუფიქსიანი ფორმების გამოყენების შესახებ ქართულში: ქსკს, I, 1972.

სარჯველაძე ზ. — ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.

ფოცხიშვილი აღ. — მარცვალთღიაობის ა ახალ ქართულში: საიუბილეო კრებული კ. კეკელიძეს — დაბადების 80 წლისთავზე, 1959.

ყორღანაშვილი უ. — არსებითი სახელის შინაარსეული ჯგუფების ხმოვანებისათვის: ქელს, 1979, № 2.

შალამბერიძე გ. — ქართული სწორმეტყველების სწავლების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1980.

შანიძე ა. — ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973.

[1] **ჯუნგლი** ინგლისურია (აქ იგი შესულია ინდურიდან, სანსკრიტიდან), ესაა ტროპიკული გაუვალი ტყე. რუსულში ეს სიტყვა გაფორმებულია მრავლობითად. სწორედ ამის ანალოგიით უნდა იყოს ქართულშიც ხმარებული ჯუნგლები.

[2] **კურანტი** ფრანგულია, ნიშნავს კოშკის საათს, რომელიც ასრულებს რაიმე მუსიკალურ ნაწარმოებს. ქართულში შემოსულია რუსულიდან.

[3] **კორტესი** ესპანურია. არის ესპანეთის პარლამენტის სახელწოდება.

შანიძე ა. — ორობითი რიცხვის საკითხისათვის ხევსურულში: თხზულებანი, ტ. II, 1981.

შარაძენიძე თ. — თა სუფიქსიანი მრავლობითი მოქმედებითსა და ვითარებით ბრუნვებში: სბი, I, 1956.

ჩიქობავა არნ. — ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.

ჩიქობავა არნ. — ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება: ქეგლ, I, 1950.

ჩიქობავა არნ. — მრავლობითის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში: იკე, VI, 1954.

ძოწენიძე ქ. — ემფატიკური ხმოვანი ძველ ქართულში: სბი, I.

ჭაბაშვილი მ. — მრავლობით რიცხვში ხმარებული ზოგი არსებითი სახელის შესახებ ქართულში: ქსკს, I, 1972.

ჯალიტი ლ. — ემფატიკური ა სახელთა მორფოლოგიის ძირითად საკითხებთან დაკავშირებით: მაცნე, 1976, № 1.

სახელის ფუძე

§ 17. ფუძე. ფუძე დაბოლოების, ცვლილებისა და შედგენილობის მიხედვით. ფუძე სახელის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია. ფუძის რეალურობა დადასტურებულ იქნა ანტიკურ გრამატიკულ ლიტერატურაში, სადაც იმდენად გამოწვლილვითაა შესწავლილი თვით ფუძის ძირითადი ნიშან-თვისებანი, რომ დღემდე არსებული ფუძის ყველა განმარტება სათავეს ძველი გრამატიკებიდან იღებს. ჯერ კიდევ მაშინ ცნობილი იყო პირველადი და წარმოქმნილი ფუძეების არსებობა, დეტალურად იყო დახასიათებული წარმოქმნის პრინციპები და საშუალებანი.

ტრადიციული განმარტებით, ფუძე ჰქვია სიტყვის იმ ნაწილს, რომელიც ატარებს მოცემული სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობას. მეორენაირად ფუძეს ასეც განსაზღვრავენ: ფუძე ჰქვია სახელის იმ ნაწილს, რომელსაც ბრუნვის ნიშნები დაერთვის.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანადაა მითითებული ფუძის ზემოაღნიშნული განმარტების ორ ნაკლზე: 1) ფუძე ძირითადად განიმარტება ლექსიკური მნიშვნელობის პოზიციიდან, ამიტომაც მისი სხვა ძირითადი ნიშან-თვისებანი შეუმჩნეველი რჩება; 2) ფუძე განიმარტება განყენებულად და არა ენის მუდმივ, განახლებად პროცესში — დინამიკაში, რაც ენობრივ ფორმათა ურთიერთმიმართებით ვლინდება (ე. ი. ამ განმარტებაში არ იგულისხმება ფუძის ფუნქციურ-ფორმობრივი დახასიათება).

სწორედ ამ ნაკლის გათვალისწინებით ფუძეს ასე განმარტავენ: ნებისმიერი ენობრივი ფორმის ის მონაკვეთი, რომელსაც მოეპოვება ლექსიკური და გრამატიკული ფუნქციები, არის ფუძე მოცემული ფორმისა[1].

სახელის ფუძე უნდა დახასიათდეს დაბოლოების, ცვლილებისა და შედგენილობის მიხედვით.

დაბოლოების მიხედვით, ფუძე შეიძლება იყოს ბოლოთანხმოვნიანი და ბოლოხმოვნიანი. ბოლოთანხმოვნიანი ფუძეებია: ბავშვ-ი, წიგნ-ი, ვაშლ-ი... ბოლოხმოვნიანია: ხე, ცა, წყარო, რუ, ჩაი...

ცვლილების მიხედვით ფუძე სრულია ან უსრული. სრულია ფუძე, თუ მას არ აკლია არც ერთი ხმოვანი. უსრულია, თუ აკლია რომელიმე ხმოვანი. უსრული ფუძე კუმშვადია ან კვეცადი: ქათა-მი — ქათმ-ის, ხე — ხ-ის...

შედგენილობის მიხედვით ფუძე მარტივია, ნაწარმოები ან რთული (კაც-ი, ქუდ-იან-ი, სა-ჩოხ-ე, ქინძისთავი).

§ 18. ფუძის მონახვის საკითხი ქართულ ლინგვისტიკაში. ტრადიციული შეხედულებით, სახელის ფუძე რომ მოვნახოთ, იგი უნდა ჩავსვათ მოთხრობითში, ჩამოვაშოროთ ბრუნვის ნიშანი და, რაც დარჩება, ის იქნება ფუძე: წიგნი — წიგნ-მა → წიგნ.

სახელის ფუძის მოსანახავად ზოგჯერ მიცემითს ანიშნებენ უპირატესობას მოთხრობითთან შედარებით, რადგან მიცემითში ყოველთვის ერთია ნიშანი, მოთხრობითში კი **მა, მ**-ს გვერდით **ნ**-ც გვხვდება (ვი-ნ, მა-ნ).

თანამედროვე ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში (**ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ლ. კვაჭაძე...**) გამოთქმული მოსაზრებით, მრავლობითი რიცხვის ნიშნები **ებ, ნ, თ** შედის სახელის ფუძეში[2] შესაბამისად გვაქვს **კაც, კაცებ, კაცნ** ფუძეები (ამ წესით **კაცთ**-ც უნდა იყოს ფუძე, მაგრამ **თ** ბრუნვის ნიშანიცაა!)

თუ რიცხვის ნიშნებს ფუძეს მივაკუთვნებთ, თავს იჩენს ზოგიერთი საცილობელი მხარე. მაგალითად: 1) ერთსა და იმავე სახელს მხოლობითში სხვა ფუძე ექნება და მრავლობითში — სხვა (მიწა — მიწებ-ი), 2) **თანიანი** მრავლობითის მყარ გამოთქმებში ფუძეს თუ ჩამოვაშორებთ **თ**-ს (როგორც ბრუნვის ნიშანს), მაშინ რიცხვის ნიშანიც ბუნებრივად ჩამოსცილდება. თუ არ ჩამოვაშორებთ, მაშინ ბრუნვის ფორმა ფუძედ გამოვა (ბავშვ-**თა** ოთახი. შდრ. ბავშვთ-**ა** ოთახი). ფუძის მონახვის წესი ერთნაირი უნდა იყოს ორივე მრავლობითში.

ამ და სხვა მიზეზების გამო სამეცნიერო ლიტერატურაში მართებულადაა მითითებული, რომ სახელის ბრუნვის ნიშანი და მის წინ მდგომი რიცხვის ნიშანი ფუძეში არ შედის. თუ სახელის ერთი ფორმის ფარგლებში ერთზე მეტი რიცხვის ნიშანია, მაშინ მხოლოდ ბოლო ნიშანი არ შედის, წინა კი ფუძეს ეკუთვნის: კარებ-ი **(თ. უთურგაიძე)**.

სახელის ფუძის მონახვის ამ წესის სასარგებლოდ ზმნის ანალოგიაც გამოგვადგება (ზმნის ფუძე პირისა და რიცხვის ნიშნების ჩამოშორებით მიიღება. შდრ. ავრეთვე რუსულსა და სხვა ევროპულ ენებში ფუძის მონახვის წესი).

§ 19. ბრუნების ტიპები ფუძეთა მიხედვით. ქართულში ყველა სახელი ერთნაირად არ იბრუნვის. ფონეტიკური ფაქტორის ზეგავლენით ზოგი სახელის ფუძე იკუმშება ან იკვეცება, ზოგის ფუძე უცვლელია; ზოგჯერ კრდევ ბრუნვის ნიშანი განიცდის ცვლილებებს. ამიტომაც გამოყოფენ არსებით სახელთა ბრუნების ტიპებს, სახეებს.

ა. შანიძის მიხედვით. ქართულში ბრუნების სამი ტიპია: პირველ ტიპს მიეკუთვნება თანხმოვანფუძიანი სახელები, მეორეს — ხმოვანფუძიანი კვეცადები, მესამეს კი — ფუძეუკვეცელები.

ამ დაყოფისათვის ამოსავალია ბრუნვის ნიშნების სისრულე. პირველი ტიპის სახელებში ყველა ბრუნვის ნიშანი სრულია (ხელ-ი, ხელ-მა, ხელ-ს, ხელ-ის, ხელ-ით, ხელ-ად, ხელ-ო), მეორე ტიპისაში — ზოგან მოკვეცილი ან არასრულია (დედა, დედა-მ, დედა-ს, დედ-ის, დედ-ით, დედა-დ, დედა-ვ), III ტიპის სახელთა ბრუნებისას იცვლება თვითონ ბრუნვის ნიშანი ნათესაობითსა და მოქმედებითში (წყარო-ს-ი, წყარო-თ-ი).[1]

არნ. ჩიქობავა სახელთა ბრუნებაში განასხვავებს სამგვარ შემთხვევას: 1) არც ბრუნვის ნიშანი იწვევს ცვლილებას ფუძეში და

[1] ამ საკითხთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ. **ბ. ჯორბენაძის** ნაშრომი „ფუძის ფორმობრივი და ფუნქციური სტრუქტურა".

[2] თუმცა **ა. შანიძისა** და **ლ. კვაჭაძის** ავტორობით გამოცემულ სასკოლო გრამატიკაში (იხ. მე-7 კლ., 1989, გვ. 9) რიცხვის ნიშანი ფუძეში არაა შეტანილი.

[1] როგორც ვხედავთ, **ა. შანიძე** ტიპებს ბრუნვის ნიშნების მიხედვით გამოყოფს, მაგრამ ტერმინები შერჩეული აქვს ფუძეთა შესაბამისად.

არც ფუძის დაბოლოება მოქმედებს ბრუნვის ნიშანზე. ამ ტიპისაა ბოლოთანხმოვნიანი უკუმშველი სახელები.

2) ხმოვნით დაწყებული ბრუნვის ნიშანი იწვევს ცვლილებას ფუძეში: ან იკუმშება, ან იკვეცება. ამ ტიპისაა ფუძეკუმშვადი და ფუძეკვეცადი სახელები.

3) ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი მოქმედებს ბრუნვის ნიშანზე, იკვეცება ბრუნვის ნიშნის დასაწყისი ხმოვანი. ასეთ ტიპს მიეკუთვნება ფუძეუკვეცელი სახელები.

არნ. ჩიქობავას დაჯგუფებისათვის ამოსავალია მიმართება ბრუნვის ნიშანსა და ფუძეს შორის. კერძოდ: რა ცვლილება ხდება ფუძეში, ბრუნვის ნიშანში.

ლ. კვაჭაძე გამოყოფს ბრუნების ორ ტიპს. I ტიპს მიეკუთვნება ყველა ფუძეთანხმოვნიანი სახელი, მეორეს — ყველა ფუძეხმოვნიანი.

ჩამოთვლილ სპეციალისტთა აზრით, არსებით სახელთა ტიპებად დაყოფა მხოლოდ მხოლობით რიცხვშია შესაძლებელი, მრავლობითში ეს საკითხი აღარ დაისმის, რადგან ყველა სახელი **ებიან** მრავლობითში ბოლოთანხმოვნიანია და უკუმშველი.

ვ. თოფურიას აზრით, ფუძესა და ზოგჯერ ბრუნვის ნიშანში, მომხდარი ცვლილებების გამო ქართული ენა სახელთა ბრუნების 13 სახეობას (ყალიბს) განასხვავებს.

ბრუნვათა რიგი

§ 20. ბრუნვათა რიგის საკითხი ქართულ ლინგვისტიკაში. ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში ბრუნვათა რიგი არ ყოფილა ყოველთვის ერთნაირი. ძველ გრამატიკებში ბრუნვათა დალაგება მეტ-ნაკლებად შემთხვევითს ხასიათს ატარებდა, ანდა გათვალისწინებული იყო ევროპული ენების ვითარება. მაგალითად, სახელობითის შემდეგ იდგა ნათესაობითი, შემდეგ მიცემითი, მას მოჰყვებოდა მოთხრობითი.

უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოებსა და სასკოლო გრამატიკებში წარმოდგენილი ბრუნვათა რიგი — სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი, წოდებითი — **ა. შანიძის** მიერაა დამკვიდრებული. ეს

რიგი ითვალისწინებს ბრუნვის ფორმათა მორფოლოგიურ და სინტაქსურ მხარეს: ჯერ მოცემულია სუბიექტის ბრუნვები (სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი). მათ ფონეტიკურ-მორფოლოგიური თვალსაზრისითაც აერთიანებს ფუძეუკუმშველობა და უკვეცელობა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ უკანასკნელი პრინციპის გამო წოდებითიც უნდა დამდგარიყო სახელობითის შემდეგ (ფუძე აქაც უცვლელია, თან **ნარიანი** მრავლობითიც ერთად იქნებოდა), მაგრამ, სამაგიეროდ, ეს გათიშავდა სუბიექტის ბრუნვებს. ამიტომ წოდებითი ტრადიციულად ბოლოში დარჩა.

ვითარებითი შეიძლებოდა გადმოგვესვა მიცემითის შემდეგ, რადგან აქ კვეცა არ ხდება და ჯერ უკვეცელი ფუძეები იქნებოდა, შემდეგ — კვეცადები. მაგრამ, რადგან წოდებითი მაინც რჩება ბრუნვათა პარადიგმის ბოლოს, როგორც უკვეცელი და უკუმშველი ფუძე, ამიტომ უმჯობესია ვითარებითი დარჩეს ტრადიციულ ადგილზე მოქმედებითის შემდეგ.

ბრუნვათა დალაგების ამ პრინციპს იზიარებს **ლ. კვაჭაძეც.**

როგორც ზემოთ აღინიშნა, ძველ გრამატიკებში (კერძოდ, ა. შანიძის მორფოლოგიის გამოსვლამდე, 1930 წლამდე) ბრუნვათა რიგი შედარებით განსხვავებული იყო: სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, მოთხრობითი, მოქმედებითი, ვითარებითი, წოდებითი. ამ საკითხს პირველად მიაქცია ყურადღება **არნ. ჩიქობავამ.** და 1928 წელს გამოსულ შრომაში „რატომ არის აუცილებელი ბრუნვათა რიგის შეცვლა ქართულში“ დაასაბუთა, რომ სახელობითის შემდეგ უნდა იყოს მოთხრობითი (რადგან მოთხრობითი სახელობითის ძმაა, ისტორიულად მასზე უფროსი, უფრო ადრე ჩამოყალიბებული, ესაა პირველი სახელობითი), ხოლო მიცემითის შემდეგ უნდა იდგეს ვითარებითი, შემდეგ ნათესაობითი და მოქმედებითი.

სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი ქვემდებარის ბრუნვებია და ამიტომ სამივე ერთად უნდა იყოს. მიცემითსა და ვითარებითში ფუძე უკვეცელია და თანაც მსაზღვრელი საზღვრულთან ბრუნების დროს ერთნაირი ფორმით — ფუძის სახით არის წარმოდგენილი. ამიტომ გამართლებულია მიცემითის შემდეგ ვითარებითის (მიმართულებითის) მოთავსება, ე. ი. პირველ ოთხ ბრუნვაში უკვეცელი ფუძე გვექნება. ნათესაობითსა და მოქმე-

დებითში სახელი ერთნაირად იბრუნება, ორივეგან ფუძეკუმშვადია და კვეცადი, ასევე ერთნაირ ვითარებას უჩვენებს მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებაც.

არნ. ჩიქობავას მიერ შემოთავაზებულ ბრუნვათა რიგში წოდებითი არ იგულისხმება, ამიტომ ასეთი დალაგება ამ შემთხვევაში სწორია. მაგრამ, რადგან წოდებითი სახელმძღვანელოებსა და პროგრამებში მაინც რჩება, ზემოგანხილული ბრუნვათა რიგი ერთი პრინციპით ალარ იქნებოდა აგებული. ვითარებითის მეოთხე ადგილზე მოთავსებით გაითიშება **თანიანი** მიცემითისა და ნათესაობითის ფორმები **(ლ. კვაჭაძე)**.

ბრუნვისა და რიცხვის ნიშანთა გენეზისი

§ 21. ბრუნვებისა და მათი ნიშნების გენეზისი. ბრუნვათა რაოდენობა და რიგი ქართული ენის განვითარების მთელს მანძილზე ერთნაირი არ ყოფილა. ქრონოლოგიურად და გენეზისურად განსხვავდებიან აგრეთვე ბრუნვები და მათი ნიშნები (ზოგი— ძველია, ზოგი — ახალი).

ვ. თოფურია ვარაუდობს, რომ ქართულში ბრუნვათა ჩამოყალიბებისას სახელებმა 5 საფეხური განვლო: 1) გაუფორმებელი (კაც), 2) განუსაზღვრელი ფორმა (კაც-ს), 3) განსაზღვრული ფორმა (კაც-ს ამას), 4) დეიქტიკურელემენტიანი — ემფატიკურხმოვნიანი (კაც-ს-ა), 5) ბრუნების ნარევი ტიპი (კაც-ი იგი).

ამჯერად მოკლედ, ზოგადად იქნება მიმოხილული ქართული ენის ბრუნვებისა და მათი ნიშნების გენეზისის საკითხი.

წრფელობითი ბრუნვა ახასიათებდა ძველ ქართულს. ტერმინი „წრფელობითი“ არის თარგმანი ბერძნული სიტყვისა — „ორთე“ (სწორი, სუფთა, პირდაპირი). ამ ბრუნვაში დასმული სახელი ფუძის სახით იყო წარმოდგენილი: კაც, ხელ... წრფელობითი ბრუნვა პირველადაა დასახელებული **ზ. შანშოვანის** გრამატიკაში „საწრფელოს“ სახელით. ტერმინი „წრფელობითი“ დაამკვიდრა **ანტონ კათალიკოსმა**. ძველი გრამატიკოსები წრფელობითს ხმარობდნენ სახელობითის მნიშვნელობით. **ნ. მარმა** პირველმა გამოყო წრფელობითი ბრუნვა იმ გაგებით, როგორადაც დღეს ჩვენ

ვესმის, და მას გაუფორმებელი ბრუნვა უწოდა, რადგან ბრუნვის ნიშანი არ დაერთვის.

ვ. თოფურიას აზრით (და მას სხვა მეცნიერებიც იზიარებენ), წრფელობითი უძველესი წარმოშობისაა, კერძოდ, გადმონაშთია ქართული ენის იმ საფეხურისა, როცა სახელი გაუფორმებელი იყო, საერთოდ არ დაირთავდა ბრუნვის ნიშანს.

დღეს წრფელობითის (როგორც დამოუკიდებელი ბრუნვის) შესახებ ორი ძირითადი მოსაზრება არსებობს: 1) წრფელობითი ძველ ქართულში ბრუნვაა **(ნ. მარი, ა. შანიძე, ივ. იმნაიშვილი...)**, 2) წრფელობითი გაუფორმებელი ფუძეა **(ვ. თოფურია, არნ. ჩიქობავა, გ. დეეტერსი, გ. კლიმოვი, ზ. სარჯველაძე...)**.

ივ. იმნაიშვილს ტერმინი „გაუფორმებელი ბრუნვა“ არ მიაჩნია მართებულად. მისი აზრით, სწორედ უნიშნობაა ამ ბრუნვის ნიშანი.

სახელობითი ბრუნვა შედარებით ახალი წარმოშობისაა. ტერმინი „სახელობითი“ არის ბერძნული „ნომინატივის“, ლათინური „ნომინატივუსისა“ და რუსული **именительный**-ს თარგმანი. იგი ქართულ გრამატიკაში დაამკვიდრა **პლ. იოსელიანმა** 1840 წელს **(არნ. ჩიქობავა)**[1].

ბრუნვის ნიშანი ი[2] მომდინარეობს განმსაზღვრელი **იგი** ნაწევრისაგან. ძველად გვქონდა: კაც **იგი**→კაც-ი. თავის მხრივ, **იგი** მთლიანად ფუძეა. **იგი**, როგორც პირის ნაცვალსახელი, მეორეულია. წარმოშობით ჩვენებითი ნაცვალსახელია: ი-გ-ი. აქედან **ი-ი** ჩვენებითი ნაწილაკებია, **გ**-ძირი **(არნ. ჩიქობავა, ა. შანიძე)**. **ნ. მარის** ვარაუდით, **ი** მიღებულია **ჱი** ნაცვალსახელისაგან.

მიუთითებენ, რომ მთის კავკასიურ ენებში სახელობითი გაუფორმებელია, წარმოდგენილია ფუძის სახით **(არნ. ჩიქობავა)**.

მოთხრობითი ბრუნვა, ტრადიციული შეხედულებით, სპეციფიკურია ქართველურისა და, საერთოდ, იბერიულ-კავკასიური ენებისათვის. იგი ბასკურ ენაშიც (ქართულის მსგავსად) დამოუ-

---

[1] **ე. ბაბუნაშვილის** დაკვირვებით, სახელობითი ანტონ პირველის გრამატიკაში ისეთივე სრულუფლებიანი ტერმინია, როგორიც წრფელობითი, კიდევ მეტიც: მეორე რედაქციაში სახელობითს მეტი უპირატესობა ენიჭება.

[2] ცალკეული მორფემების ფორმობრივ-სემანტიკური დახასიათება მოცემულია **ბ. ჯორბენაძის, მ. კობაიძის, მ. ბერიძის** წიგნში „ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი“.

კიდებელ მორფოლოგიურ ოდენობად გვევლინება. მოთხრობითი ბრუნვის ქონა შეპირობებულია გარდამავალი ზმნის თავისებურებით.

თავისი წარმოშობით მოთხრობითი ბრუნვა სხვა ძირითად ბრუნვებთან შედარებით ახალია. იგი ქართულ გრამატიკაში დაამკვიდრა **ანტონ კათალიკოსმა**. ტერმინი „მოთხრობითი“ მანვე შექმნა სომხურის მიხედვით. ეს ტერმინი რამდენადმე პირობითია. იგი არ შეესატყვისება გადმოსაცემ შინაარსს. სწორედ ამიტომ, **ა. შანიძის** აზრით, ამ ბრუნვის სახელწოდებად უფრო მართებული იქნებოდა „მოქმედებითი“.

მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი **მ არნ. ჩიქობავას** მიაჩნია ნაცვალსახელური წარმოშობისად. იგი მიღებულია **მან**-ისაგან: კაც-**მან**→**კაც-მა; ხოლო ა. შანიძე** მოთხრობითის თავდაპირველ ნიშნად თვლის **ნ** სუფიქსს. შესაბამისად გვქონდა **კაც-ნ** ტიპის ფორმა, რომელსაც დაერთო **მან** ნაცვალსახელი, მივიღეთ **კაცნმან**, სადაც პირველ ეტაპზე გაუჩინარდა თავდაპირველი **ნ** (კაცნმან→→კაცმან). შემდეგ კი — **მან** ნაცვალსახელის **ნ** (კაცმან→კაცმა). **არნ. ჩიქობავა** მიუთითებდა, რომ მოთხრობითს დღესაც ახასიათებს ორგანული და აღწერითი წარმოება. ორგანული წარმოებისათვის ნიშანია **ნ**[1]. იგი მხოლოდ ორ ნაცვალსახელშია შემორჩენილი: მა-ნ, ვი-ნ. აღწერითი წარმოება **მან**-ის დართვით მიიღება: კაც-მან→კაც-მა. დღეს გაბატონებულია ასეთი წარმოება.

მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად **ნ** სუფიქსს თვლიდა ავსტრიელი ქართველოლოგი **ჰუგო შუხარდტი**. მან ამ ბრუნვას **ერგატივი** უწოდა. შესაბამისად, მოთხრობითბრუნვიან კონსტრუქციას ერგატიული კონსტრუქცია ჰქვია.

მიცემითი ბრუნვა უძველესი წარმოშობისაა. ტერმინი „მიცემითი“ არის ბერძნული „დოტიკეს“, ლათინური „დატივუსისა“ და რუსული **„дательный“**-ს თარგმანი.

მიცემითი ბრუნვის ნიშანია **ს**, რომელიც საერთო ქართველური ენებისათვის.

ნათესაობითი ბრუნვაც უძველესია. ტერმინი „ნათესაობითი“

[1] ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული თვალსაზრისი იხილეთ **ალ. ფოცხიშვილის** ნაშრომში „პირისა და კითხვითი ნაცვალსახელების ბრუნების საკითხები თანამედროვე ქართულში“.

არის ბერძნული „გენიკეს“, ლათინური „გენეტივუსისა“ და რუსული **„родительный“**-ს თარგმანი.

ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია **ის** სუფიქსი, რომელსაც მეცნიერები შლიან **ი** და **ს** ელემენტებად. **ს** იგივეა, რაც მიცემითის **ს** სუფიქსი, ხოლო **ი** იმავე ოდენობადაა ჩათვლილი, რაც არის მოქმედებითი ბრუნვის **ით** ნიშნის **ი** ხმოვანი **(ნ. მარი, ვ. თოფურია, გ. როგავა)**[1]. **არნ. ჩიქობავას** მიხედვით, მიცემითისა და ნათესაობითის **ს** ერთი და იგივე ოდენობაა. მისი თავდაპირველი ფუნქცია უნდა ყოფილიყო ნივთის კლასის გამოხატვა.

ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად **ის** სუფიქსის პარალელურად ვარაუდობენ **ინ**-საც, რომელიც დღეს შემორჩენილია მხოლოდ ზმნისართებსა და ზედსართავებში: გუშ-ინ, ხვალ-ინ-დელი, უწ-ინ-დელი... ასეთივე მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ **თვის** და **მდის** თანდებულების დიალექტური ფორმები: **თვინ, მდინ.**

მოქმედებითი ბრუნვა ქრონოლოგიურად ძველია. იგი დაამკვიდრეს რომაელებმა და უწოდეს „ინსტრუმენტალისი“. ქართული სახელი „მოქმედებითი“ ლათინურიდანაა თარგმნილი. თუმცა, **ა. შანიძის** აზრით, ეს ტერმინი შესაცვლელია, ა.ობებდა „საშუალებითი“, რომელიც იქნება ინსტრუმენტალისის ზუსტი შესატყვისი.

მოქმედებითი ბრუნვის ნიშანია **ით** სუფიქსი. იგი იშლება **ი და თ** ელემენტებად. **თ** გენეზისურად იგივეა, რაც ვითარებითის **დ**, ორივე ნივთის კლასის ნიშნადაა მიჩნეული, **ი** ხმოვანი კი ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის **ი**-ს ტოლია.

ფუძეუკვეცელ სახელთა ნათესაობითსა და მოქმედებითში ბრუნვის ნიშნების **ს** და **თ** თანხმოვნების შემდეგ ჩნდება **ი** ხმოვანი: წყარო-ს-ი, წყარო-თ-ი.

რა გრამატიკული ოდენობაა ეს **ი**?

ამ საკითხზე მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული. **ნ. მარს** საანალიზო **ი** მიაჩნდა **ის, ით** ბრუნვის ნიშნების **ი**-დ, ოღონდ გადასმულად: წყარო-**ის**→წყარო-**სი,** წყარო-**ით**→წყარო-**თი. ა. შანიძისა** და **ვ. თოფურიას** აზრით, ნათესაობითი ბრუნვის **ი წყალი წყაროსი** ტიპის სახელებში წარმოშობით არის სახელობითის ნი-

[1] **გ. როგავას** აზრით, ეს **ი** გენეზისურად უკავშირდება ქცევის **ი** პრეფიქსს, რომელიც, თავის მხრივ, ნაცვალსახელური წარმოშობისაა.

შანი. თვითონ ფორმა **წყაროსი** ნანათესაობითარი (ნაგენეტივარი) სახელობითია. მოქმედებითის **ი** არ არის ნათესაობითის **ი**-ს ტოლი.

არნ. ჩიქობავას დაკვირვებით, ნათესაობითისა და მოქმედებითის **ი** ერთდროული გაჩენილია და იგი თავისი ფუნქციით ეტოლება ემფატიკურ ხმოვანს. ამ ტიპის სახელების ნათესაობითსა და მოქმედებითს განვითარების სამი საფეხური აქვს გავლილი: 1) XI საუკუნემდე (წყარო-**ძსა**, წყარო-**ძთა**), 2) XII—XIII საუკუნეები (წყარო-**სა**, წყარო-**თა**), 3) თანამედროვე (წყარო-**სი**, წყარო-**თი**).

განხილულ საკითხს მოგვიანებით კვლავ შეეხნენ სხვა მკვლევრებიც. სახელის მორფონოლოგიური ანალიზისა და დიალექტური მასალების საფუძველზე ერთხელ კიდევ დაადასტურეს ის თვალსაზრისი, რომელიც **ი** ხმოვანს თვლის ემფატიკურ **ა**-ს ტოლად **(თ. უთურგაიძე, ლ. ნოზაძე)**.

მოქმედებითი ბრუნვის ისტორიასთან დაკავშირებით საინტერესოა აგრეთვე **მარჯვნივ, მხრივ, ირგვლივ** ტიპის სახელების საკითხი. მეცნიერთა აზრით, უძველეს ქართულში უნდა ყოფილიყო **ივ** სუფიქსით ნაწარმოები ბრუნვა, იგი იქნებოდა მოქმედებითის ერთ-ერთი სახეობა. ამ თვალსაზრისით ფასეულია დღეს **მხრივ — მხრით** — პარალელური ფორმების არსებობა. **ივ** ნიშნიანი ფორმა უძველესია, თვით ძველ ქართულშიც ნაშთის სახითაა მოღწეული და დღესაც არსებობს.

ამ **ივ** სუფიქსს პირველად მიაქცია ყურადღება და ბრუნვის ნიშნად ჩათვალა **პაგო შუხარდტმა**. მანვე მიუთითა, რომ **ივ** მოქმედებითი ბრუნვის **ით** ნიშნის მნიშვნელობის ტოლია. ეს აზრი გაიზიარეს სხვა მკვლევრებმაც **(ა. შანიძე, ვ. თოფურია, გ. როგავა, ვ. ფანჩვიძე, დ. მაჭავარიანი)**[1].

ვითარებითი ბრუნვა ძველი წარმოშობისაა, არ გააჩნია ევროპულ ენებს, ამიტომ იგი ძველ გრამატიკოსებს დიდხანს არ შეუმჩნევიათ. პირველად ვითარებითი (როგორც ბრუნვა) შენიშნა და თავისი ქართული ენის გრამატიკაში შეიტანა ფრანგმა ქართველოლოგმა **მარი ბროსემ** (1834 წ.). მან ახალ ბრუნვას უწოდა **მოდალობითი** და **დამთავრებითი**. მოდალობითია უთანდებულო ვითარებითი (სახლად), დამთავრებითია თანდებულიანი (სახლამდე). ბროსეს შემდეგ თითქმის ყველა გრამატიკოსი ასახელებდა ამ ბრუნვას, მაგრამ იყენებდა სხვადასხვა ტერმინს: „გარდაქმნითს“, „განვითარებითს“, „ვნებითს“, „გარდაქცევითს“, „მიმართულებითს“ **(ნ. მარი, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია)**, „ვითარებითს“ **(ა. შანიძე)**. ამ ბრუნვის სახელის დადგენა იმიტომ გაჭირდა, რომ იგი ევროპულ ენებში არ იყო და პირდაპირ ვერ გადმოთარგმნეს. ქართველი გრამატიკოსები ტერმინის შემუშავებისათვის დაემყარნენ მნიშვნელობას, მნიშვნელობა კი მას ბევრი აქვს. ამის გამო იყო, რომ სახელწოდებისათვის ზოგმა ერთი მომენტი გამოიყენა, ზოგმა კი — მეორე.

ვითარებითი ბრუნვის ნიშნებია ახალ ქართულში **ად, დ**, ძველში კი იყო **ა** და **დ** (ჯოჯოხეთ-ა, ტირილ-დ).

აკ. შანიძე ბრუნვის ნიშნად მარტო **დ**-ს ასახელებს. მისი აზრით, **ა** აქ შემდგომშია განვითარებული.

არნ. ჩიქობავა აღნიშნავდა, რომ ისტორიულად ვითარებითში ორი ნიშანი უნდა გვქონოდა: **ა** და **დ**. ისინი ეკუთვნოდნენ სხვადასხვა დიალექტურ წრეს. **ა** უფრო ძველია, ვინემ **დ**. **დ**-ს დაუხვდა **ა** თანხმოვანფუძიანებთან და მივიღეთ **ად**. ვითარებითის **დ** ნიშანი წარმოშობით არის ნივთის კლასის ნიშანი, მისგანაა მიღებული **თ** (მოქმედებითისა).

წოდებითი ბრუნვა შედარებით ახალი წარმოშობისაა. ტერმინი „წოდებითი“ მომდინარეობს ბერძნული „კლეტიკე“-სა და ლათინური „ვოკატივუსი“-საგან. პირველად იგი დასახელებულია **ზ. შანშოვანის** მოკლე გრამატიკაში და ჰქვია „საწოდებო“, რაც შემდგომ **ანტონ კათალიკოსმა** შეცვალა „წოდებითით“.

წოდებით ბრუნვასთან დაკავშირებით ქართულ ლინგვისტიკაში მრავალი ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებაა გამოთქმული. ზოგი მკვლევარი მას მიიჩნევს დამოუკიდებელ ბრუნვად, ზოგი კი — არა.

როგორც აღინიშნა, წოდებითი ბერძნულ-ლათინურ გრამატიკებში დამოუკიდებელი ბრუნვა იყო, შესაბამისად, იგი გადმოიტანეს ქართულშიც და ასახელებდნენ მას ძველი ქართველი გრამატიკოსებიც. მაგრამ მას შემდეგ, რაც **არნ. ჩიქობავამ** წოდებითი ბრუნვის არსებობაში ეჭვი შეიტანა, ქართულ ლინგვისტიკაში ამ საკითხთან დაკავშირებით ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი თვალ-

[1] **ივ.** სუფიქსის მეცნიერულ ანალიზს მიეძღვნა **დ. მაჭავარიანის** საკანდიდატო დისერტაცია (1952).

საზრისი: 1) ქართულში წოდებითი არ არის დამოუკიდებელი ბრუნვა, რადგან ვერ ამყარებს მიმართებას სხვა სიტყვასთან. იგი მხოლოდ მიმართვის ფორმაა და ბრუნვათა პარადიგმაშიც არ უნდა შევიდეს **(არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია...)**; 2) წოდებითი დამოუკიდებელი ბრუნვაა, აქვს საკუთარი ფორმა. წოდებითში მდგარი სახელი თავის საზღვრულს ისევე ეთანხმება ბრუნვაში, როგორც სხვა ბრუნვის შემთხვევაში (მაღალ-ო სახლ-ო. შდრ. მაღალ-ი სახლ-ი, მაღალ-მა სახლ-მა...). ნიშანდობლივია ისიც, რომ ფლექსიურ ცვლილებათა მიხედვით იგი წარმოების ისეთსავე წესს ავლენს, როგორსაც სახელობითი (კაც-ო, კაც-ნ-ო, კაც-ებ-ო. შდრ. კაც-ი, კაც-ნ-ი, კაც-ებ-ი). წოდებითის **ო** მხოლოდ ბრუნვის ნიშნის ფუნქციის მატარებელია **(ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, თ. უთურგაიძე...)**[1].

მართალია, წოდებითი ბრუნვა ფუნქციურად განსხვავდება სხვა დანარჩენი ბრუნვებისაგან, მაგრამ ქართულში დამოუკიდებელ ბრუნვად მისი არსებობა გამართლებულია მორფოლოგიური თვალსაზრისით.

§ 22. რიცხვის ნიშანთა გენეზისი. სახელის მრავლობითი რიცხვის სუფიქსებია **ნ, თ, ებ**. მათი წარმომავლობა (გენეზისი) არაერთხელ იქცა მეცნიერთა მსჯელობის საგნად. **არნ. ჩიქობავამ** მთის კავკასიური ენების გათვალისწინებით გაარკვია, რომ რიცხვის ნიშნები (თანხმოვნები) წარმოშობით ნივთის კლასის ნიშნებია. მათი სხვაობა მომდინარეობს სხვადასხვა დიალექტური თუ ენობრივი წრიდან. **თ** ნიშანი გაცილებით უფრო ძველია, ვინემ **ნ**. ის იმდენად ძველია **ნ**-ზე, რამდენადაც მიცემითი და ნათესაობითი ძველია სახელობითზე.

§ 23. ბრუნვათა სემანტიკური ანალიზის პრინციპისათვის ქართულში. ქართულ სამეცნიეროლიტერატურაში ბრუნვათა საკითხს მიეძღვნა არაერთი მეცნიერული ნაშრომი, სადაც ძველი და ახალი ქართულის მიხედვით გაანალიზებულია ბრუნვათა მორფოლოგიური სტრუქტურა და სინტაქსური ფუნქციები. მაგრამ ბრუნვათა სემანტიკური მხარე მეტწილად მაინც ყურადღების მიღმა რჩებოდა.

ბ. ჯორბენაძის აზრით, აუცილებელია განსხვავდეს ბრუნვათა მორფოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური ასპექტები. მაგალითად, მიცემითი ბრუნვა ფორმის მიხედვით გულისხმობს ფუძისა და **ს** ნიშნის ერთიანობას (ქალაქ-ს), სინტაქსურად იგი შეიძლება იყოს ირიბი ობიექტი, პირდაპირი ობიექტი, გარემოება; სემანტიკურად კი მიუთითებს ადრესატზე (ამხანაგ-ს მისწერს), გამოხატავს თანაობას (ამხანაგ-ს მიაწერს), ინტერესს (ამხანაგ-ს დაუწერს), სამოქმედო საგანს (სახლ-ს იშენებს), მოქმედების იარაღს (ჩაქუჩ-ს ურტყამს), მიმართულებას (ქალაქ-ს მიემგზავრება), მიწევნითობას (ქალაქ-ს ჩავიდა).

ბრუნვათა სემანტიკური დიფერენცირება ენის სემანტიკური შესწავლის ერთ-ერთი საშუალებაა. ბრუნვათა სრულყოფილი შესწავლა ვარაუდობს მორფოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური ასპექტების გათვალისწინებას. ამ სამი ასპექტის ურთიერთგამიჯვნა ენის რეალური ვითარებითაა ნაკარნახევი[1].

გოლოთანხმოვნიანი არსებითი სახელის ბრუნება

§ 24. ფუძეუკუმშველი არსებითი სახელების ბრუნება. გოლოთანხმოვნიანი სახელები ორ ქვეჯგუფად იყოფა: ფუძეუკუმშველებად და ფუძეკუმშვადებად.

ფუძეუკუმშველია სახელი, რომლის ფუძეში არავითარი ცვლილება არ ხდება ბრუნების დროს.

ფუძეუკუმშველებია: საზოგადო არსებითი სახელების უმეტესობა, საკუთარი სახელებიდან ყველა პირის სახელი, გეოგრაფიული სახელებისა და გვარების უმრავლესობა.

საზოგადო არსებითი სახელი ბრუნების დროს არავითარ თავისებურებას არ აშკარავნებს, ეწარმოება ორივე მრავლობითი:

[1] სრულიად განსხვავებული მოსაზრებაა გამოთქმული **გ. ნებიერიძის** შრომაში „წოდებითი ბრუნვა ქართულში, როგორც სახელობითის ვარიანტი“.

თანამედროვე სამწერლობო ქართულისა და დიალექტების ვითარების გათვალისწინებით მორფონოლოგიური კვლევის საფუძველზე **თ. უთურგაიძის** მიერ ბრუნვათა ნიშნებისა და მათი ალომორფების შესახებ გამოტანილია საყურადღებო დასკვნები.

[1] დაწვრილებით ამ საკითხის შესახებ იხ. **ბ. ჯორბენაძის** ნაშრომი „ბრუნვათა სემანტიკური ანალიზის პრინციპისათვის ქართულში“.

სახ.	სახლ-ი	სახლ-ებ-ი	სახლ-ნ-ი
მოთხ.	სახლ-მა	სახლ-ებ-მა	სახლ-თ-ა
მიც.	სახლ-ს	სახლ-ებ-ს	„
ნათ.	სახლ-ის	სახლ-ებ-ის	„
მოქმ.	სახლ-ით	სახლ-ებ-ით	—
ვით.	სახლ-ად	სახლ-ებ-ად	—
წოდ.	სახლ-ო	სახლ-ებ-ო	სახლ-ნ-ო

ფუძეუკუმშველი გეოგრაფიული სახელი ისევე იბრუნვის, როგორც საზოგადო არსებითი სახელი, მხოლოდ არ გააჩნია მრავლობითი რიცხვი; ადამიანის პირის სახელი კი არ აწარმოებს მრავლობით რიცხვს და წოდებითში წარმოდგენილია ფუძის სახით — ბრუნვის ნიშანს არ დაირთავს[1].

სახ.	თამარ-ი	ქუთაის-ი
მოთხ.	თამარ-მა	ქუთაის-მა
მიც.	თამარ-ს	ქუთაის-ს
ნათ.	თამარ-ის	ქუთაის-ის
მოქმ.	თამარ-ით	ქუთაის-ით
ვით.	თამარ-ად	ქუთაის-ად
წოდ.	თამარ	ქუთაის-ო

ბოლოთანხმოვნიანი გვარები ფუძეუკუმშველები არიან, გარდა ელ-ზე დაბოლოებულებისა (წერეთელი, მაჩაბელი...). ისინი ისევე იბრუნვიან, როგორც საზოგადო სახელები, აწარმოებენ ორივე მრავლობითს.

სახ.	ბარათაშვილ-ი	ბარათაშვილ-ებ-ი	ბარათაშვილ-ნ-ი
მოთხ.	ბარათაშვილ-მა	ბარათაშვილ-ებ-მა	ბარათაშვილ-თ-ა
მიც.	ბარათაშვილ-ს	ბარათაშვილ-ებ-ს	„
ნათ.	ბარათაშვილ-ის	ბარათაშვილ-ებ-ის	„
მოქმ.	ბარათაშვილ-ით	ბარათაშვილ-ებ-ით	—
ვით.	ბარათაშვილ-ად	ბარათაშვილ-ებ-ად	—
წოდ.	ბარათაშვილ-ო	ბარათაშვილ-ებ-ო	ბარათაშვილ-ნ-ო

[1] თუმცა ზოგიერთ დიალექტში საზოგადო სახელების მსგავსად იგიც გაფორმებულია ო ნიშნით: თამარ-ო, დავით-ო, ეთერ-ო...

ადამიანის საკუთარი სახელი, თუ ლიტერატურული ტიპის აღსანიშნავად იხმარება, მაშინ მრავლობით რიცხვსაც აწარმოებს: ლუარსაბები, ავთანდილები, არსენები...

ადამიანის საკუთარი სახელი ბრუნების დროს ძველ ქართულში ახალთან შედარებით ამჟღავნებდა უფრო მეტ თავისებურებას: 1) სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში ბრუნვის ნიშანს არ დაირთავდა, 2) არ ღებულობდა ემფატიკურ ა-ს, 3) უჭირდა მოქმედებითისა და ვითარებითი ბრუნვების წარმოება.

დღეს საკუთარი და საზოგადო სახელების ბრუნება გათანაბრებულია. მხოლოდ წოდებითმა შეინარჩუნა ძველი ვითარება.

ადამიანის საკუთარი სახელები მიმართვისას ყოველთვის წოდებითის ფორმით — ფუძის სახით უნდა ვიხმაროთ: თამარ! ნუგზარ! ზურაბ! და არა: თამარი! ნუგზარი! ზურაბი!

სამაგიეროდ, გვარებს წოდებითში აუცილებლად უნდა ჰქონდეს ბრუნვის ნიშანი: რატიანო! გიგაურო! და არა: რატიანი! გიგაური!

§ 25. ფუძეკუმშვადი არსებითი სახელის ბრუნება. ზოგიერთი ბოლოთანხმოვნიანი არსებითი სახელის ბრუნების დროს ფუძე იკუმშება. **კუმშვა** ანუ რედუქცია ისეთი ფონეტიკური პროცესია, როცა ფუძისეული ხმოვანი დასუსტების შედეგად ან მთლიანად იკარგება, ან იქცევა თანხმოვნად: კედელ-ი — კედლ-ის, მხნეურ-ი — მხნევრ-ის...

ფუძეკუმშვადია სახელი, რომლის ფუძე ხმოვნის დაკარგვის შედეგად ვიწროვდება (იკუმშება).

კუმშვას იწვევს ხმოვნით დაწყებული აფიქსის დართვა. ეს აფიქსებია ბრუნვისა და რიცხვის ნიშნები **(ის, ით, ად, ებ)**.

სახელობითისა და წოდებითი ბრუნვის ნიშნებიც ხმოვნებია, მაგრამ ისინი ფუძეს ვერ კუმშავენ. ამის მიზეზად მიჩნეულია, ერთი მხრივ, სათანადო ნიშანთა წარმომავლობა (**ი** და **ო** არის წარმოშობით ბრუნვის ნიშანი: **ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი, ჰ. ფოგტი...**) და, მეორე მხრივ, ამ ნიშანთა შედგენილობა: ოდენხმოვნიანი სუფიქსი რედუქციას ვერ იწვევდა. რედუქციის გამომწვევია მხოლოდ ის სუფიქსი, რომელიც ხმოვნით იწყებოდა და დახურულ მარცვალს ქმნიდა **(აკ. დავითიანი, შ. კეკელია, გ. გოგოლაშვილი...)**.

ფუძის კუმშვა ხდება მხოლობითი რიცხვის სამ ბრუნვაში — ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში და მთელს **ებიან** მრავლობითში. **ნართანიან** მრავლობითში სახელის ფუძე არც იკუმშება და არც იკვეცება.

ახალ ქართულში შეიძლება შეიკუმშოს როგორც ერთმარცვლიანი, ისე ორ-და მეტ მარცვლიანი ფუძეც. რედუქციისათვის მნიშვნელობა არა აქვს ფუძეში მარცვალთა რაოდენობას, მაგრამ ძველი ქართულის წერილობითი ძეგლების მიხედვით ვარაუდობენ, რომ ფუძისეული ხმოვნის რედუქცია უშუალო კავშირში იყო ფუძეში მარცვალთა რაოდენობასთან. ერთ, ორ-და მეტმარცვლიან ფუძეებში ხმოვანთა რედუქცია არის გვიანდელი მოვლენა და ერთგვარ დაბოლოებიან ფუძეთა ერთ ყალიბში მოქცევის ფაქტი **(თ. უთურგაიძე, გ. გოგოლაშვილი)**.

რედუქცია ეხება სამ ხმოვანს: **ა, ე, ო**-ს. **ა** და **ე** უკვალოდ იკარგება, **ო** კი ზოგჯერ კვალსაც ტოვებს **ვ**-ს სახით. ჩვეულებრივ, **ო** იქცევა უმარცვლო **უ**-დ, რომელიც **ვ** ბგერით გამოიხატება: მინდორი — მინდვრის. თუ ასეთი **ვ** მოექცა ბაგისმიერი თანხმოვნების **(ბ, ფ, პ, მ)** უშუალო მეზობლობაში, მაშინ იგიც დაიკარგება: ობოლი — ობვლის — ობლის, საპონი — საპვნის — საპნის. **ი** და **უ** მყარი ხმოვნებია და რედუქციას არ განიცდიან **(ა. შანიძე)**.

ფუძეკუმშვადია უმთავრესად ისეთი სახელები, რომლებიც **ბოლოვდებიან** შემდეგ მარცვლებზე: ალ, ელ, ოლ, არ, ერ, ორ, ან, ენ, ონ, ამ, ემ, ავ (იშვიათად შეიძლება შეიკუმშოს სხვა მარცვალზე დაბოლოებული სახელიც: ბეჭედი, ხოხობი, ნიჩაბი, ნაბადი...):

სახ.	ხმალ-ი	ირემ-ი	მინდორ-ი	ხმლ-ებ-ი	ირმ-ებ-ი
მოთხ.	ხმალ-მა	ირემ-მა	მინდორ-მა	ხმლ-ებ-მა	ირმ-ებ-მა
მიც.	ხმალ-ს	ირემ-ს	მინდორ-ს	ხმლ-ებ-ს	ირმ-ებ-ს
ნათ.	ხმლ-ის	ირმ-ის	მინდვრ-ის	ხმლ-ებ-ის	ირმ-ებ-ის
მოქმ.	ხმლ-ით	ირმ-ით	მინდვრ-ით	ხმლ-ებ-ით	ირმ-ებ-ით
ვით.	ხმლ-ად	ირმ-ად	მინდვრ-ად	ხმლ-ებ-ად	ირმ-ებ-ად
წოდ.	ხმალ-ო	ირემ-ო	მინდორ-ო	ხმლ-ებ-ო	ირმ-ებ-ო

შეიძლება არსებითი სახელი ბოლოვდებოდეს ჩამოთვლილ მარცვლებზე, მაგრამ უკუმშველი იყოს: ქალ-ი — ქალ-ისა, ცალ-ი— ცალ-ისა. აგრეთვე: ერთი და იგივე სახელი ერთ შემთხვევაში კუმშვადია, მეორეში — უკუმშველი. მაგალითად, თუ **თვალი, წელი** ხეულის ნაწილია, უკუმშველია **(თვალის** ტკივილი, **წელის** ტკივილი). სხვა მნიშვნელობით ნახმარი კი კუმშვადია (ბეჭდის **თვლის** გაკეთება. **წლის** დროები).

კარი, დარი, ღვარი, ბერი ცალკე აღებული უკუმშველია (კარის გაღება, დარის დადგომა, ბერის აღსარება), მაგრამ, თუ ისინი კომპოზიტის ნაწილს წარმოადგენენ, იკუმშებიან (ცისკრის ზარები, ფშდრის მოლოდინი, დედაბრის მოთქმა).

სახელის ფუძის კუმშვა ადრიდანვე იპყრობდა ქართველი გრამატიკოსების ყურადღებას.

მეცნიერთა აზრით, საერთოდ, უძველეს ქართულში რედუქცია უფრო ძლიერი უნდა ყოფილიყო. ეს აიხსნებოდა მახვილის გავლენით **(ნ. მარი, არნ. ჩიქობავა, გ. აბულაძე, გ. დეეტერსი)**. უკუმშველი სახელი იმ დიალექტურ ფენას ეკუთვნოდა, სადაც არ იგრძნობოდა ძლიერი დინამიკური მახვილი. როცა მახვილის მოქმედების ძლიერმა პერიოდმა გაიარა, ძველ სალიტერატურო ქართულში დაილექა როგორც ერთის, ისე მეორის ფორმები. შემდეგში, როცა მახვილის ეს ძლიერი მოქმედება შენელდა, ფუძის შეკუმშვა უკვე ტრადიციის საკითხს წარმოადგენს **(არნ. ჩიქობავა)**[1]. სხვაობა თავს იჩენს სალიტერატურო ქართულშიც. მაგალითად: **ქართველი, ყვარელი, ფრინველი, ლიმონი** და მისთ. შეკუმშულია და შეუკუმშავიც. საერთოდ კი აღმოსავლურ დიალექტებში უფრო შესამჩნევია ფუძის კუმშვის შემთხვევები.

ბოლოხმოვნიანი არსებითი სახელის ბრუნება

§ 26. ბოლოხმოვნიან სახელთა ბრუნების ზოგადი დახასიათება. ბოლოხმოვნიანი არსებითი სახელის ფუძე მეტწილად ბოლოვდება **ა** და **ე** ხმოვნებზე, უფრო ნაკლებად — **ო** და **უ**-ზე. **ი**-ზე გათავებული არსებითი სახელის ფუძე ქართულში არა გვაქვს, მხო-

[1] **ა. ფოგტის** აზრით, ქართულში ფუძის კუმშვა ხდება მახვილისაგან დამოუკიდებლად. ეს მოვლენა მას მიაჩნია აბსოლუტური და სავალდებულო ხასიათის ერთ-ერთ მორფოლოგიურ ნორმად.

ლოდ უცხოურიდანაა შემოსული რამდენიმე: ჩაი, პაი, ტრამვაი, აკაკი, გიორგი, კორნელი...

ბოლოხმოვნიან სახელებს თანხმოვნიანებისაგან განსხვავებით ახასიათებთ შემდეგი თავისებურებანი:

1) ახალ ქართულში არ დაირთავენ სახელობითი ბრუნვის ნიშანს (ძველი ქართულის **ი** დასუსტდა, **ჲ**-დ იქცა და ბოლოს ისიც დაიკარგა. დღეს მხოლოდ დიალექტებშია შემორჩენილი **ი** ან **ჲ** (დედა-ჲ, ქვა-ი...).

2) მოთხრობითი ბრუნვის ნიშანია **მ**, მაგრამ, თუ ხმოვნიანი სახელი **ც** ნაწილაკს დაირთავს, მაშინ იქნება **მა**.

3) ვითარებით ბრუნვაში **დ**-ს ღებულობენ.

4) წოდებითი ბრუნვის ნიშნად მოუდით **ო** და **ვ** (**ო** ერთმარცვლიანებთან, **ვ** ორ და მეტმარცვლიანებთან).

ბოლოხმოვნიან სახელებში 3 ქვეჯგუფია: ფუძეკვეცადი, კუმშვადკვეცადი, ფუძეუკვეცელი.

§ 27. ფუძეკვეცადი არსებითი სახელის ბრუნება. კვეცა ჰქვია ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის ჩამოშორებას. იკვეცება **ა** და **ე** ხმოვნები. კვეცას იწვევს ხმოვნით დაწყებული აფიქსების **(ის, ით, ებ)** დართვა.

კვეცა ხდება მხოლობითი რიცხვის ყრ ბრუნვაში — ნათესაობითსა და მოქმედებითში და **ებიანი** მრავლობითის ყველა ბრუნვაში, თუ სახელის ფუძე **ა** ხმოვანზე ბოლოვდება. **ე**-ზე გათავებული ფუძე **ებიან** მრავლობითში არ იკვეცება, პირიქით, თვით **ე** მოიყრის თავს.

საერთოდ, ფუძეკვეცადია **ა**-სა და **ე**-ზე დაბოლოებული საზოგადო სახელების უმრავლესობა, გეოგრაფიული და აბსტრაქტული სახელები, საწყისები, ძე-სა და **ე**-ზე დამთავრებული ქართული გვარები (ხე, მთა, საირმე, მცხეთა, სიწითლე, მშვიდობა, სხდომა, ჭელიძე, მენაბდე...).

გეოგრაფიულსა და აბსტრაქტულ სახელებს არ გააჩნიათ მრავლობითი რიცხვი, საწყისებს კი — არც მრავლობითი რიცხვი და არც წოდებითი ბრუნვა.

სახ.	ზღვა	ხე	ზღვ-ებ-ი	ხე-ებ-ი	ზღვა-ნ-ი	ხე-ნ-ი
მოთხ.	ზღვა-მ	ხე-მ	ზღვ-ებ-მა	ხე-ებ-მა	ზღვა-თ-ა	ხე-თ-ა
მიც.	ზღვა-ს	ხე-ს	ზღვ-ებ-ს	ხე-ებ-ს	„	„
ნათ.	ზღვ-ის	ხ-ის	ზღვ-ებ-ის	ხე-ებ-ის	„	„
მოქმ.	ზღვ-ით	ხ-ით	ზღვ-ებ-ით	ხე-ებ-ით	—	—
ვით.	ზღვა-დ	ხე-დ	ზღვ-ებ-ად	ხე-ებ-ად	—	—
წოდ.	ზღვა-ო	ხე-ო	ზღვ-ებ-ო	ხე-ებ-ო	ზღვა-ნ-ო	ხე-ნ-ო

ვითარებით ბრუნვაში კვეცა არ ხდება, რადგან მისი ნიშანია მხოლოდ **დ** თანხმოვანი, ე. ი. აფიქსი ხმოვნით არ იწყება.

§ 28. კუმშვად-კვეცადი სახელები. ქართულში არის რამდენიმე სახელი, რომელთაც ფუძე ერთდროულად კიდეც ეკუმშებათ და კიდეც ეკვეცებათ. მათ უწოდებენ კუმშვად-კვეცად სახელებს. ასეთებია: ქვეყანა, ქარხანა, ფანჯარა, პეპელა, ბეგარა, მოყვარე **(ა. შანიძე)**, მარჯვენა, მარცხენა, ტომარა, წიფელა, წურბელა, პეპერა, მხარე, სიმწარე **(თ. უთურგაიძე)**.

სახ.	მოყვარე	ფანჯარა	მოყვრ-ებ-ი	ფანჯრ-ებ-ი
მოთხ.	მოყვარე-მ	ფანჯარა-მ	მოყვრ-ებ-მა	ფანჯრ-ებ-მა
მიც.	მოყვარე-ს	ფანჯარა-ს	მოყვრ-ებ-ს	ფანჯრ-ებ-ს
ნათ.	მოყვრ-ის	ფანჯრ-ის	მოყვრ-ებ-ის	ფანჯრ-ებ-ის
მოქ.	მოყვრ-ით	ფანჯრ-ით	მოყვრ-ებ-ით	ფანჯრებ-ით
ვით.	მოყვრ-ად	ფანჯრ-ად	მოყვრ-ებ-ად	ფანჯრ-ებ-ად
წოდ.	მოყვარე-ვ	ფანჯარა-ვ	მოყვრ-ებ-ო	ფანჯრ-ებ-ო

ძველ ქართულში **ქვეყანა** უკუმშველი იყო, მაშინ ნამდვილ კუმშვად-კვეცადებად ითვლებოდა **მოწაფე, მანქანა** (მოხერხება, ეშმაკობა), **პატარა** (ეს სიტყვა იშვიათად იხმარებოდა ძველად. მის ნაცვლად იყენებდნენ **უფრო მცირეს: ი. იმნაიშვილი), საპყრობილე, სიფიცხე.**

კუმშვად-კვეცადი სახელების ბრუნებასთან დაკავშირებით საინტერესოა ის გარემოება, რომ კუმშვაცა და კვეცაც ხდება სამ ბრუნვაში — ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში (შდრ. მოყვარე — მოყვრად და არა: მოყვარე-დ), რაც ახსნილია ანალოგიით: ვითარებითშიც გამოყენებულია ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვების შეკუმშული და შეკვეცილი ფუძე. რადგან ასეთი ფუძე თანხმოვნით ბოლოვდება, ბუნებრივია, ბრუნვის ნიშანიც **ად** იქნება **(გ. იალამიდი)**.

საგულისხმოა, რომ ძველი ქართულის კუმშვად-კვეცადი სახელები დღეს მხოლოდ კვეცადებია. სამაგიეროდ, საშუალ ქართულ-

ში იწყება დღევანდელი კუმშვად-კვეცადი სახელების ჩამოყალიბება, რომლის საფუძვლად სამართლიანადაა მიჩნეული ენაში არსებული სემანტიკურად ერთნაირი სახელების პარალელური ფორმები: ბეგარი — ბეგარა, ტომარი — ტომარა, წიფელი — წიფელა, წურბელი — წურბელა, მარცხენი — მარცხენა, მხარი — მხარე, პეპელი — პეპელა, მარჯვენი — მარჯვენა, მოყვარი — მოყვარე. ამათგან, როგორც წესი, ბოლოთანხმოვნიანს ფუძე ეკუმშებოდა (ბეგარ-ი→ბეგრ-ის), ბოლოხმოვნიანს კი — ეკვეცებოდა (ბეგარა→ბეგარ-ის). დროთა ვითარებაში მოხდა ბოლოთანხმოვნიანი და ბოლოხმოვნიანი ფუძეების ბრუნების პარადიგმის შერევა: სემანტიკურად ერთნაირი, მაგრამ ფორმობრივ ნაწილობრივად განსხვავებული სიტყვები ცვლილების მიხედვითაც დაემსგავსნენ ერთმანეთს, შეინარჩუნეს ერთდროულად კუმშვისა და კვეცის უნარი.

სახ. ბეგარ-ი//ბეგარა

ნათ. ბეგრ-ის//ბეგარ-ის→ბეგრ-ის **(თ. უთურგაიძე).**

§ 29. ფუძეუკვეცელი არსებითი სახელის ბრუნება. ფუძეუკვეცელი სახელებია:

1) **ო, უ, ი**-ზე გათავებული ყველა არსებითი სახელი, გარდა **ღვინისა**;

2) **ე**-ზე დამთავრებული ადამიანთა საკუთარი სახელები, უცხოური წარმოშობის გვარები და საზოგადო სახელები (ივანე, ელენე.. .ჰაინე, გოეთე... ტირე);

3) **ა, ია, უა, ვა**-ზე გათავებული ადამიანის სახელები და გვარები (შოთა, მზია, ლექვავა, გაგუა, დანელია...);

4) **ა**-ზე დაბოლოებული ჩინობითი სახელები (ლურჯა, ჭრიჭინა, დედოფალა[1]...);

5) **ა**-ზე დაბოლოებული ზოგიერთი არსებითი სახელი, როცა იგი საკუთარი სახელის ნაცვლად იხმარება (დედა, მამა, ბებია... „დედას თავშალი გავრეცხე“, მაგრამ: „დედის დარიგება“).

ფუძეუკუმშველი სახელი (საზოგადო თუ საკუთარი) ბრუნების დროს არ იცვლის ფუძეს. სამაგიეროდ, ცვლილება მოსდის ბრუნვის ნიშნებს: ნათესაობითსა და მოქმედებითში იკარგება ამ ორი ბრუნვის ნიშნის ხმოვანი ნაწილი და რჩება თანხმოვნები **ს** და **თ**. მოქმედებითი **თ** გვაქვს მხოლოდ **ი**-ხმოვანზე გათავებულ ფუძეებთან (ჩაი-თ, ტრამვაი-თ). სხვა შემთხვევაში **თ**-ს შემდეგ განვითარდა **ი** და მივიღეთ დაბოლოება **თი.**

ნათესაობით ბრუნვაშიც ზოგჯერ **ს** ნიშნის შემდეგ ჩნდება **ი: წყალი წყარო-ს-ი** (ამ **ი**-ს შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება).

სახ.	წყარო	წყარო-ებ-ი	წყარო-ნ-ი
მოთხ.	წყარო-მ	წყარო-ებ-მა	წყარო-თ-ა
მიც.	წყარო-ს	წყარო-ებ-ს	»
ნათ.	წყარო-ს(ი)	წყარო-ებ-ის	»
მოქმ.	წყარო-თ(ი)	წყარო-ებ-ით	—
ვით.	წყარო-დ	წყარო--ებ-ად	—
წოდ.	წყარო-ვ	წყარო-ებ-ო	წყარო-ნ-ო

სახ.	რუ	რუ-ებ-ი	რუ-ნ-ი
მოთხ.	რუ-მ	რუ-ებ-მა	რუ-თ-ა
მიც.	რუ-ს	რუ-ებ-ს	»
ნათ.	რუ-ს(ი)	რუ-ებ-ის	»
მოქმ.	რუ-თ(ი)	რუ-ებ-ით	—
ვით.	რუ-დ	რუ-ებ-ად	—
წოდ.	რუ-ო	რუ-ებ-ო	რუ-ნ-ო

ადამიანის პირის სახელი იბრუნვის საზოგადო სახელის მსგავსად, მხოლოდ წოდებითში წარმოდგენილია ფუძის სახით.

სახ.	ნონა	ივანე	სერგო	გივი[1]
მოთხ.	ნონა-მ	ივანე-მ	სერგო-მ	გივი-მ
მიც.	ნონა-ს	ივანე-ს	სერგო-ს	გივი-ს
ნათ.	ნონა-ს(ი)	ივანე-ს(ი)	სერგო-ს(ი)	გივი-ს(ი)
მოქ.	ნონა-თ(ი)	ივანე-თ(ი)	სერგო-თ(ი)	გივი-თ(ი)
ვით.	ნონა-დ	ივანე-დ	სერგო-დ	გივი-დ
წოდ.	ნონა	ივანე	სერგო	გივი

მართალია, სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით, საკუთარი სახელი წოდებით ბრუნვაში ფუძის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი, მაგრამ ცოცხალ მეტყველებაში და მისი გავლენით სამწერლობო ენაშიც ზოგჯერ იგი ნიშნითაც გვხვდება: „დაგვისხი,

[1] ამ ტიპის ზოგიერთი სახელი ებიან მრაელობითში კვეცადია: ტოროლები, კოდალები, ნიბლიები... ლექვევები, დანელიები...

[1] ძველ ქართულში ეს სახელი ბოლოთანხმოვნიანი იყო.

ზურავ, თორემ ყელში გოლვა ჩაგვიდგა“ (მ. ჯავახიშვილი), „პეტრეე, რომ არ გცოდნოდა ყველაფერი ეს“... (ილია)[1].

ბრუნების პარადიგმა გვიჩვენებს, რომ ერთმანეთს დაემსგავსა მიცემითი და ნათესაობითი (წყაროს), რომ გამოვარკვიოთ, ერთნაირი ფორმიდან რომელია მიცემითი ან ნათესაობითი, უნდა გამოვიყენოთ შემდეგი ხერხები:

1) გამოსაცნობი სახელის ნაცვლად ჩავსვათ ბოლოთანხმოვნიანი ან კვეცადი სახელი (წყაროს წყალი — ვერცხლის წყალი);

2) შევუნაცვლოთ იმავე ფუძის **ებიანი** მრავლობითი (წყაროს წყალი — **წყაროების** წყალი);

3) თუ გამოსაცნობი სახელი შეწყობილია ზმნასთან, მიცემითია (წყაროს ვეძებ). თუ სახელთან — ნათესაობითი (წყაროს წყალი).

ახალი ქართული ენის ბრუნება რომ შევუდაროთ ძველი ქართულისას, შევნიშნავთ, რომ ახალ ქართულში ბრუნვის ნიშნები მეტ ცვლილებას განიცდის, ვინემ ძველში (შდრ. წყარო-ჲს — წყარო-ს(ი). შესაბამისად, ახალ ქართულში ბოლოხმოვნიან ფუძეთა კვეცა სუსტდება, სუსტდება ფორმანტი. ფუძე კი მკვიდრდება, ანალოგიური პროცესი ზანურშიც შეიმჩნევა. ოღონდ ეს პროცესი შორსაა წასული, რადგან სალიტერატურო ენა მას არ ზღუდავდა **(არნ. ჩიქობავა)**.

§ 30. ადამიანის სახელისა და გვარის ერთად ბრუნება. ადამიანის სახელისა და გვარის ერთად ბრუნების დროს მხოლოდ გვარი იბრუნვის, სახელი კი უცვლელი რჩება, თუ ორმაგ გვარს ვაბრუნებთ, მაშინ პირველი გვარი ფუძის სახით იქნება წარმოდგენილი **(ა. შანიძე)**.

სახ.	ილია ჭავჭავაძე	ია არადელ-იშხნელ-ი
მოთხ.	ილია ჭავჭავაძე-მ	ია არადელ-იშხნელ-მა
მიც.	ილია ჭავჭავაძე-ს	ია არადელ-იშხნელ-ს
ნათ.	ილია ჭავჭავაძ-ის	ია არადელ-იშხნელ-ის
მოქ.	ილია ჭავჭავაძ-ით	ია არადელ-იშხნელ-ით
ვით.	ილია ჭავჭავაძე-დ	ია არადელ-იშხნელ-ად
წოდ.	ილია ჭავჭავაძე-ვ	ია არადელ-იშხნელ-ო

[1] დიალექტებში შეიმჩნევა საპირისპირო ტენდენციაც. ა-ზე დაბოლოებული სამ- ცა მეტმარცვლიანი საკუთარი სახელი მოიკვეცს ფუძის ბოლო ხმოვანს: მაყვალა — მაყვალ! ლამარა — ლამარ! ციალა — ციალ! **(ბ. ჯორბენაძე ..)**.

სების შედგენისას ჯერ გვარი იწერება. შემდეგ სახელი: ამ შემთხვევაში ბოლოთანხმოვნიან პირის სახელს **ი**-ს დართვა არ უნდა, რადგან მიმართვის ფორმაა. უნდა იყოს: აბაშიძე ვახტანგ და ა. შ.

§ 31. მრავლობითი რიცხვის უქონელი არსებითი სახელები. საერთოდ, მრავლობით რიცხვს არ აწარმოებენ პირისა (საკუთარი) და გეოგრაფიული, აბსტრაქტული, ნივთიერებათა და მოქმედების სახელები. მაგრამ ზოგჯერ ესენიც შეიძლება შეგვხვდნენ მრავლობითის ფორმით. მაგალითად, თუ ადამიანის საკუთარი სახელი იხმარება ლიტერატურული ტიპის აღსანიშნავად, ზოგადის მნიშვნელობით, მაშინ მრავლობითიც ექნება: ლუარსაბები, არსენები...

ასევე მრავლობითის ფორმით შეიძლება შეგვხვდეს ნივთიერებათა სახელები: მჟავა — მჟავები, მარილი — მარილები, წყალი — წყლები... მოქმედების სახელები: მღერანი, ცქერანი, ჩქერანი... თუ მოქმედების სახელები მთლიანად გაწყვეტენ ზმნასთან კავშირს და გასუბსტანტივდებიან, მაშინ ორივე მრავლობითი ექნებათ: შენიშვნა — შენიშვნები, შენიშვნანი, მითითება — მითითებები, მითითებანი...

§ 32. მართლწერის საკითხები არსებითი სახელის ბრუნებასთან დაკავშირებით.

1. თუ სახელის ფუძე მ-ზე ბოლოვდება, მოთხრობით ბრუნვაში ორი მ იქნება: ირემმა, ატამმა, ლომმა...

2. თუ სახელის ფუძე ს-ზე ბოლოვდება, მიცემითში ორი ს იყრის თავს: თბილისს, ქუთაისს, მაისს...

3. **ია**-ზე დაბოლოებულ ფუძეს ნათესაობითსა და მოქმედებითში ორი **ი** ექნება: ისტორია — ისტორიის, ისტორიით...

4. ვითარებითში ყოველთვის უნდა ვწეროთ ბრუნვის ნიშნის თანხმოვნით ნაწილად **დ**: კაცად, ქალად, მდინარედ... (და არა: კაცათ, ქალათ, მდინარეთ...).

5. როცა სახელის ფუძე **ე**-ზე ბოლოვდება, **ებიან** მრავლობითში ორი **ე** იქნება: ხეები, დღეები... მაგრამ შეცდომაა ამათი ანალოგიით ნაწარმოები **წლეები, კვირეები**. უნდა იყოს **წლები, კვირები**, რადგან ამათი ფუძე ე-ზე არ ბოლოვდება.

6. **ნ**-ზე გათავებულ ფუძეთა **ნარიან** მრავლობითში ორი **ნ** გვექნება: წიგნნი, ბერძენნი, სოსანნი...

7. თუ სახელის ფუძე თ-ზე ბოლოვდება, **თანიან** მრავლობითში ორი თ გვექნება: თითთა, ლოთთა, ბურთთა...

§ 33. თავისებურად ბრუნებადი არსებითი სახელები. ქართულში რამდენიმე სახელი ბრუნების საერთო წესს არ ექვემდებარება და ზოგიერთ თავისებურებას ამჟღავნებს. ასეთებს უწოდებენ თავისებურად ბრუნებად სახელებს. ესენია: ამბავი, ხუცესი, ხბო, ჭალამანი, ლურსმანი, ღმერთი, დრო, ღვინო...

ამბავი. ამ სიტყვის თავისებურება ისაა, რომ კუმშვის დროს ხმოვანთან ერთად იკარგება **ვ** თანხმოვანიც: ამბავ-ის→ამბა-ის→ამბ-ის. ძველ ქართულში **ამბავი** უკუმშველი იყო **(ივ. იმნაიშვილი).**

ხუცესი. აქაც ხმოვანთან ერთად კუმშვისას იკარგება **ს** თანხმოვანი: ხუცეს-ის→ხუცს-ის→ხუც-ის (ახსნილია **ვ. თოფურიას** მიერ)[1].

ხბო. ჩვეულებრივ, მხოლობითის ფუძეს დაერთვის მრავლობითის ფორმა (ბავშვ-ი — ბავშვ-ებ-ი). მაგრამ **ხბო** სიტყვას ორგვარი მრავლობითი აქვს: **ხბორები//ხბოები.** პირველი ფორმისათვის, **ა. შანიძის** აზრით, ამოსავალია ძველი ქართულის მხოლობითი რიცხვის **ხბოვარ** ფორმა, შესაბამისად მრავლობითში იქნებოდა **ხბოვრები.** შემდეგ **ვ** დაიკარგა და მივიღეთ **ხბორები** (შდრ. მეხბორე). დღეს უფრო მართებული და თანაც გავრცელებულია **ხბოები.**

ღმერთი. კუმშვის დროს აქ თავს იყრის ოთხი თანხმოვანი (ღმრთ-ის), წარმოთქმა გაძნელდა, დაიკარგა **რ.** შემდეგ **მ**-ს შეინაცვლა **ვ** და მივიღეთ **ღვთის** (ღმერთ-ის→ღმრთ-ის→ღმთის→ღვთ-ის).

დრო, ღვინო. **ო**-ზე გათავებული სახელი ფუძეუკვეცელია. სამაგიეროდ, ნათესაობითსა და მოქმედებითში იკარგება ბრუნვის ნიშნის **ი** ხმოვანი (წყარო-ს(ი), წყარო-თ(ი), მაგრამ: ა) სიტყვაში **დრო** ბრუნვის ნიშანიც სრულია და ფუძეც: დრო-ის, დრო-ით. ბ) **ღვინო** კვეცადია მხოლობითი რიცხვის ნათესაობითსა და მოქმედებითში: ღვინ-ის, ღვინ-ით (მაგრამ უკვეცელია მრავლობით რიცხვში: ღვინო-ებ-ი).

[1] დიალექტებში ანალოგიური თავისებურებით გვეძლევა სხვა სახელებიც: ჭალამანი→ჭალმ-ის, ლურსმანი→ლურსმ-ის **(ლურსმანი** არაბული წარმოშობისაა, მან შეცვალა ქართული **სამსჭვალი: ა. შანიძე).**

§ 34. ნაწილაკიანი ბრუნვები. ნაწილაკები დაერთვის სახელსაც და ზმნასაც. არსებითი სახელის თანდებულიანსა და უთანდებულო ფორმას შეიძლება ახლდეს ნაწილაკები: ც(ცა), ღა, ვე, მც, (მცა), ა, ო, მეთქი.

1. **ც (ცა)** ყურადღებას ამახვილებს იმ სიტყვაზე, რომელსაც დაერთვის: „ხალიჩაც მოართვი და მუთაქაც".

2. **ღა** მნიშვნელობით უახლოვდება **მხოლოდ**-ს: ეზოში მარტო ბავშვი-ღა იდგა".

3. **ვე** აღნიშნავს: „იმავე", „კვლავ", „ისევ", „ყველა", „უკლებლივ": „მიწასვე, მივაბაროთ".

4. **ა** ლექსებში ზოგჯერ ერთვის სახელს. მაგრამ რაიმე გრამატიკულ ფუნქციას არ ასრულებს. ასეთ **ა**-ს პროსოდიული ხმოვანი ჰქვია: „დიდა სისხლის ღვარია".

5. **ო** პროსოდიული ხმოვანია, როცა გრამატიკული ფუნქცია არა აქვს („ბატონი ზის ცხენზედაო"), მაგრამ გრამატიკული ფუნქციის მქონეა, როცა იგი სხვათა სიტყვის ნაწილაკია: „ბავშვი გამოგზავნეო".

6. **მეთქი** მიღებულია **მე ვთქვი**-საგან: „მე შენი დედა ვარ-მეთქი".

7. **მც, მცა** გამოხატავს სურვილს, ნატვრას: „აგრემც შემეწევა პირიმზე".

ლიტერატურა

გოგოლაშვილი გ. — სახელთა ფუძისეული ხმოვნის რედუქციასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი ქართულში: ქსკს, V, 1981.

თოფურია ვ. — ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოებანი: სბი, I, 1956.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, 1, თბ., 1970.

თოფურია ვ. — წოდებითი ბრუნვისათვის: სბი, I.

თოფურია ვ. — რა თანამიმდევრობით ვასწავლოთ სახელთა ბრუნება სკოლაში: „კომ. აღზრდა", 1935, № 3.

იალამიდი გ. — კუმშვად-კვეცადი სახელების ბრუნებისათვის: ქელს, 1972, № 4.

იმნაიშვილი ი. — სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957.

ქვაჭაძე ლ. — ქართული ენა, I, თბ., 1981.

კაზირია ან. — სახელობითისა და მოთხრობითის ფუნქციები ძველ ქართულში: სბი, I, 1956.

კ ი კ ვ ი ძ ე ბ. — მოთხრობითი ბრუნვის ნ-ს გენეზისისათვის ქართულში: „კომ. აღზრდისათვის“, 1960, № 2.

მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი ა რ. — მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში: სბი, I.

ნ ე ბ ი ე რ ი ძ ე გ. — წოდებითი ბრუნვა როგორც სახელობითის ვარიანტი: ენათმეცნიერება, № 10, თსუ, 1986.

ნ ო ზ ა ძ ე ლ. — ემფატიკური ი ქართულში: იკე, 29-ე, 1990.

მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი დ. — ივ სუფიქსის ისტორიისათვის: ქუთაისის პედინსტ. შრ., ტ. XVII, 1957.

უ თ უ რ გ ა ი ძ ე თ. — ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976.

უ თ უ რ გ ა ი ძ ე თ. — ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, თბ., 1986.

უ თ უ რ გ ა ი ძ ე თ. — სახელობითი ბრუნვის ი სუფიქსის შეხორცებისათვის ადამიანთა სახელებში: იკე, XXIV, 1985.

შ ა ლ ა მ ბ ე რ ი ძ ე გ. — ქართული მართლწერა, თბ., 1961.

შ ა ნ ი ძ ე ა. — ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973.

შ ა ნ ი ძ ე ა. — ორმაგი გვარის ბრუნებისათვის: ქსკს, I, 1972.

შ ა ნ ი ძ ე ა. — წოდებითის ფორმის ადგილისათვის: სბი, I.

შ ა რ ა ძ ე ნ ი ძ ე თ. — მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში: სბი, I.

ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ა რ ნ. — ფუძეუკუმშველ სახელთა ნათესაობითისა და მოქმედებითის ფორმანტთა ევოლუციისათვის: სბი, I.

ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ა რ ნ. — რატომ არის აუცილებელი ბრუნვათა რიგის შეცვლა ქართულში: სბი, I.

ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ა რ ნ. — ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება: ქენგლ, I, 1950.

ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ა რ ნ. — მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში: თსუ, ტ. X.

ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ა რ ნ. — მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობის, წარმოებისა და ისტორიისათვის: ენიმკის მოამბე, ტ. I.

ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ა რ ნ. — მრავლობითის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში: იკე. ტ. VI, 1954.

ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ბ. — ფუძის ფორმობრივი და ფუნქციური სტრუქტურა: ენათმეცნიერება, ტ. 187, 1977.

ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ბ. — ბრუნვათა სემანტიკური ანალიზის პრინციპისათვის ქართულში: ხმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თბ., 1983.

თანდებულიანი ბრუნვები

§ 35. თანდებულის გამოყენება არსებით სახელებთან. ზოგიერთ მეტყველების ნაწილს დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს. იგი დაერთვის სხვა სიტყვას ან მთელ წინადადებას და უცვლის მნიშვნელობას რაიმე მხრივ. ასეთ მეტყველების ნაწილს **ა. შანიძემ** უწოდა **მხლებელი**. სახელის მხლებლებია **თანდებული** და **ნაწილაკი**.

თანდებული მხოლოდ სახელს ახლავს, ნაწილაკი კი სხვა მეტყველების ნაწილსაც ერთვის. გარდა ამისა, თანდებული მოითხოვს ბრუნვის გარკვეულ ფორმას, ნაწილაკი კი ყველა ბრუნვასთან შეიძლება შეგვხვდეს.

თანდებული ჰქვია დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელ სიტყვას ან ბგერათა კომპლექსს, რომელიც დაერთვის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმას და აღნიშნავს მდებარეობას, მიმართულებას, დანიშნულებას, მსგავსებას და ა. შ. თანდებული ამყარებს მიმართებას სახელებს შორის ან სახელსა და ზმნას შორის.

ქართულში თანდებული სახელს ყოველთვის ბოლოში ერთვის, რუსულში კი — თავში. აქედანაა მიღებული „**предлог**“. რუსულის მიხედვით ქართულში თანდებულს უკუდებული (**послелог**) უნდა ერქვას **(ა. შანიძე)**.

ქართულში თანდებული დაერთვის **5 ბრუნვას:** სახელობითს, მიცემითს, ნათესაობითს, მოქმედებითსა და ვითარებითს. თუმცა ზოგიერთი მეცნიერი ძირითად თანდებულიან ბრუნვებად ასახელებს ოთხს: მიცემითს, ნათესაობითს, მოქმედებითსა და ვითარებითს.

მართალია, ქართულში თანდებულიანი სახელობითის მოხმარების სფერო რაოდენობრივად უფრო შეზღუდულია, მაგრამ მისი ცალკე გამოყოფა თანდებულიან ბრუნვათა პარადიგმაში აუცილებელია.

§ 36. თანდებულიანი სახელობითი. სახელობითი ბრუნვის თანდებულია **ვით**. იგი მხოლოდ ბოლოთანხმოვნიან სახელებს დაერთვის და აღნიშნავს მსგავსებას: ლომ-ი-**ვით**, ბავშვი-ო-**ვით**... **(ვით** თანდებულის გენეზისის შესახებ იხ. ქვემოთ).

§ 37. თანდებულიანი მიცემითი. მიცემითი ბრუნვის თანდებულებია: ვით, თან, ზე, ში.

ვით დაერთვის როგორც ბოლოთანხმოვნიან, ისე ბოლოხმოვნიან სახელებს, აქაც გამოხატავს მსგავსებას. **ვით** თანდებულიანი მი-

ცემითი ბრუნვის ფორმა ყოველთვის გავრცობილია: ლომ-სა-ვით, ხე-სა-ვით...

სამეცნიერო ლიტერატურაში **ვით** თანდებულთან დაკავშირებით გამოთქმულია მსგავსი თუ განსხვავებული მოსაზრებები. აზრთა სხვადასხვაობის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ **ვით** დაერთვის სახელობითსა და მიცემით ბრუნვებს (დიალექტებში ზოგჯერ ნათესაობითსაც).

ვით თანდებული პირველად დადასტურებულია მე-11 საუკუნის ერთ-ერთ ხელნაწერში. იგი ერთვის ნათესაობით ბრუნვაში მდგარ სულიერი საგნის აღმნიშვნელ სიტყვას. ვარაუდობენ, რომ საშუალ ქართულში **ვით** მიცემით ბრუნვას ალბათ მაშინ დაერთოდა, როცა სახელი უსულო საგნის აღმნიშვნელი იყო **(ზ. სარჯველაძე)**.

თ. შარაძენიძის გამოკვლევით **ვით** მხოლოდ მიცემითის თანდებულია, მიუხედავად იმისა, რომ იგი შეიძლება შეგვხვდეს სახელობითთან და ნათესაობითთან. **ვით**-ის გამოყენება სახელობითთან გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს. ამიტომაცაა, რომ გვაქვს **იმ კაცივით**, სადაც მსაზღვრელი **იმ** მიღებული უნდა იყოს **იმ კაცსავით** წარმოების ანალოგიით **(გ. ბურჭულაძე)**.

ვით თანდებული (როგორც მსგავსების გამომხატველი) მიახლოების, ოდნაობითის ფუნქციით დიალექტებში და ამათი გავლენით სამწერლობო ენაშიც შეიძლება დაერთოს ზმნასა და სხვა მეტყველების ნაწილებსაც (მშიასავით, შეწითლებულივით, აგერასავით...) და თავისი ფუნქციით სიტყვაწარმოების სუფიქსს ეტოლება. **მშიასავით** ტიპის ფორმები დამოწმებულია სულხან-საბას ლექსიკონშიც **(ზ. ჯაფარიძე)**. საგულისხმოა, რომ ამგვარ წარმოებას დღეს მეტი გასაქანი ეძლევა.

ქართულ ლიხვეისტიკაში **ვით** თანდებულის გენეზისი ახსნილია ორგვარად: 1) **ვით** მიღებულია **ვითარ** სიტყვისაგან **(ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ზ. სარჯველაძე, გ. ბურჭულაძე...)**, 2) **ვით** არის **ვინ** ნაცვალსახელის მოქმედებითი ბრუნვის ფორმა, რომელსაც შემდეგ დაერთო **არ: ვით+არ→ვითარ**. აქედან **ც**-ს დართვით მიღებულია **ვითარცა**. ძველ ქართულში **ვით** დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვა იყო, წარმოადგენდა კავშირს, ზმნისართს. ახლა იგი შეუერთდა ბრუნვას და თანდებულად იქცა **(თ. შარაძენიძე, ჰ. ფოგტი...)**.

თან თანდებული აღნიშნავს ადგილს, სიახლოვეს. როცა **თან** დაერთვის ბოლოხმოვნიან სახელს, მაშინ ბრუნვის ნიშანი **ს** შენარჩუნებულია, მაგრამ ბოლოთანხმოვნიანებთან დაკარგულია. მაგალითები: ხე-ს-თან, ძმა-ს-თან... სახლ-ს-თან, — სახლ-თან...

ძველ ქართულში **თან** დაერთოდა ნათესაობითს, თუ საგანი სულიერი იყო: **ძმისა-თანა;** სხვა შემთხვევაში კი — მიცემითს: **სახლსა თანა. (კ. კეკელიძე)**.

თან მიღებულია **თანა**-საგან. ძველ ქართულში გვქონდა **სახლსა თანა**. რაკი თანდებული არ ერთვოდა უშუალოდ ბრუნვის ფორმას, ბრუნვის ნიშანიც არ იკარგებოდა.

ზე და **ში თანდებულები** აღნიშნავენ ადგილს, მდებარეობას. მათი დართვისას მიცემითი ბრუნვის ნიშანი **ს** იკარგება ყველა არსებით სახელთან, მხოლოდ ორ ნაცვალსახელშია შენარჩუნებული. მაგალითები: სახლ-ს-ზე, სახლ-ს-ში, სახლ-ზე, სახლ-ში, მაგრამ: მას-ს-ში, ვი-ს-ში, მა-ს-ზე, ვი-ს-ზე.

ზე მიღებულია **ზედა**-საგან, **ში — შინა**-საგან. ძველ ქართულში **ზედა** და **შინა** უშუალოდ არ ერთვოდა ბრუნვის ფორმას, ცალკე იწერებოდა, შესაბამისად, არ იკარგებოდა ბრუნვის ნიშანი. ახალ ქართულში თანდებული გამარტივდა: **ზედა**-საგან მივიღეთ: **ზედ→ზე**, **შინა**-საგან — **ში**. ამიერიდან თანდებული ფუძეს შეეწყო და გამოიწვია ბრუნვის ნიშნის დაკარგვაც.

§ 38. თანდებულიანი ნათესაობითი. ნათესაობითი ბრუნვის თანდებულებია: თვის, გან, კენ, ებრ, თანავე, და, დამი, ვით.

თვის თანდებული აღნიშნავს დანიშნულებას, მიზანს, სამოქმედო საგანს. იგი დაერთვის გავრცობილსა და გაუვრცობელ ბრუნვის ფორმას: სწავლისა-თვის, ძმის-თვის...

დიალექტებში **თვის** თანდებულის პარალელურად ამავე მნიშვნელობით იხმარება **თვინ**: შვილის-თვინ (ძველ ქართულში გვქონდა **თჳს**).

თვის თანდებული მიღებულია **თავ** სიტყვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმისაგან: თავ-ის→თვის.

ზოგჯერ **თვის** თანდებულიანი ნათესაობითის მნიშვნელობით იხმარებოდა ფორმები: შვილისადა, ქვეყნისადა... **ა. შანიძის** აზრით, ასეთ ფორმებში **და** თანდებულია. იგი დღეს იშვიათად გამოიყენება (**ძისდა, ამისდა** მიუხედავად). შესაბამისად, **შვილისადა** ტიპის ფორმები აღარ გვხვდება, მხოლოდ ზოგიერთ კილოშია შემორჩე-

ნილი სახეცვლილებით. მაგალითად, გურულში **და** დაერთვის ნათესაობითის გაუვრცობელ ფორმას და მივიღეთ: **კაცისდა**. შემდეგ **დ** თანხმოვნის გამო **ს** გაქყლერდა და იქცა **ზ**-დ: **კაციზდა**, ბოლოს **დ**-ც დაიკარგა: **კაც-იზ-ა**.

გურულისებრი **იზა** უდრის ძველი ქართულის **და** თანდებულს. ორივეს მნიშვნელობა კი დღევანდელი **თვის** თანდებულის ტოლია.

გან თანდებული აღნიშნავს რეალურად მოქმედს, მიზეზს, მასალას, რომლისგანაც რაიმე კეთდება. მაგალითად: ხის-გან, ძმის-გან, წყლის-გან. **გან** თანდებულიანი ნათესაობითი უპასუხებს კითხვებზე: ვისგან? რისგან? ამიტომ შეცდომაა, თუ ვიტყვით: ამხანაგიდან მომივიდა წერილი.

გან თანდებული დაერთვის ნათესაობითის გავრცობილსა და გაუვრცობელ ფორმას: ძმისა-გან//ძმის-გან. ამ ორი ვარიანტიდან უკეთესი პერსპექტივები აქვს გაუვრცობელს, თუკი მათი ფუნქციების დიფერენციაცია არ მოხდა **(არნ. ჩიქობავა)**.

ვით თანდებული იშვიათად იხმარება ნათესაობითში, ისიც დიალექტებში (კაც-ისა-ვით).

კენ აღნიშნავს მიმართულებას. დაერთვის გავრცობილსა და გაუვრცობელ ბრუნვის ფორმას: სოფლისა-კენ, სახლის-კენ... **კენ** მიღებულია **კერძო**-საგან. პირველად დაიკარგა **ო**, შემდეგ **ძ**, მერე სუბსტიტუციის გზით **რ**-ს შეენაცვლა **ნ** და საბოლოოდ მივიღეთ **კენ** (კერძო→კერძ→კერ→კენ)[1].

ებრ გამოხატავს მსგავსებას. იგი დაერთვის როგორც ბრუნვის ფორმას, ისე ფუძესაც: ლომ-ის-ებრ//ლომ-ებრ...

თანავე იხმარება საწყისთან მოქმედების დროის გადმოსაცემად: მოსვლის-თანავე, გათენების-თანავე.

თანავე მიღებულია **თანა** თანდებულისა და **ვე** ნაწილაკის შეერთებით.

დამი რთული თანდებულია (და+მი). იგი ძველად მეორე პირის სახელებს ერთვოდა. შენდამი, თქვენდამი. I პირის ნაცვალსახელებთან **მი**-ს ენაცვლებოდა **მო**: ჩემ-დამო. დღეს **დამი** სამივე პირის ფორმასთან შეიძლება გვხვდებოდეს: ჩემდამი, შენდამი, მისდამი... ამხანაგისადმი...

მარტო **და** შემონახულია სიტყვებში: **ჩემდა** თავად, **ამისდა** მიუხედავად **(ა. შანიძე)**, გამოიყენება გურულ დიალექტშიც („ჩემდა ვარ").

§ 31. თანდებულიანი მოქმედებითი. მოქმედებითი ბრუნვის თანდებულებია: ურთ, გან, დამ.

ურთ აღნიშნავს თანაობას. იგი დღევანდელ სალიტერატურო ქართულში იშვიათად იხმარება. მის ადგილს იკავებს **იან** სუფიქსიანი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმა: შვილით-ურთ//შვილ-იან-ად...

ძველ გრამატიკოსებს თანდებულად მიაჩნდათ **თურთ** და სიტყვას ასე შლიდნენ: შვილ-ითურთ, რაც არასწორია.

გან თანდებული დაერთვის მოქმედებითის გაუვრცობელ ფორმას. იგი ღღეს ფონეტიკურად სახეცვლილია. ძველ ქართულში მოქმედებითი ბრუნვის ფუძეს დაერთოდა **ით** ბრუნვის ნიშანი, რომელსაც ემატებოდა **გან** თანდებული (სოფლ-ით — სოფლ-ით-გან). შემდეგ **გ** მჟღერმა დაიმსგავსა ბრუნვის ნიშნის **თ** (ყრუე), გაამჟღერა ისიც და აქცია **დ** თანხმოვნად (სოფლ-იდ-გან). ამის გამო სიტყვაში თავი მოიყარა ერთად ორმა მჟღერმა და ბოლოს დაიკარგა ერთი — თანდებულის თავკიდური **გ** (სოფლ-იდ-გან→სოფლ-იდ-ან). მაშასადამე, ახალი ქართულის მიხედვით, **გან** თანდებულიანი მოქმედებითის ფორმა ასე დაიშლება: **სოფლ** — ფუძე, **იდ** — ფონეტიკურად სახეცვლილი **ით, ან** — **გან** თანდებულის ნაწილი[1].

გან თანდებულიანი მოქმედებითი უპასუხებს კითხვებზე: საიდან? რა დროიდან?

გან თანდებულიანმა სახელმა ახალ ქართულში არა მარტო გარეგნულად იცვალა სახე, არამედ ფუნქციურადაც. ძველ ქართულში მოქმედებით ბრუნვასთან **გან** თანდებული გამოხატავდა

[1] ქართული ენის დიალექტებში **კენ** თანდებულის ვარიანტებად დადასტურებულია: **კა, კე, ქ, კედ, კემ, კეს, ყე, ყენ, წყენ**. ამათგან ყველაზე ძველად ვარაუდობენ **კედ** ფორმას, რომლის ამოსავალი მნიშვნელობაა „კიდე", „რისამე ნაპირი", „მხარე" (კედელი, კედარო) **(ტ. ფუტკარაძე)**.

[1] განსხვავებული თვალსაზრისია გამოთქმული **გ. ცოცანიძის** მიერ. ავტორი თვლის, რომ თანდებულიანი მოქმედებითი დღევანდელი სალიტერატურო ქართულის ფაქტი არაა, იგი ქართული ენის ისტორიის გარკვეული რეალობაა და მე-19 საუკუნის აქეთ არ გადმოდის. დღეს გვაქვს **დან** თანდებულიანი მოქმედებითი, ბრუნვის ნიშანი ხმოვანფუძიან უკვეცელ სახელებთან ნულოვანი ვარიანტით, ვითაა, ბოლოთანხმოვნიან და ხმოვანფუძიან კვეცადებთან კი — **ი** ვარიანტით; ვი-

მოქმედების საწყის პუნქტს დროსა და სივრცეში. ადგილის ფუნქცია მას შედარებით გვიან დაეკისრა, რადგან ამ მნიშვნელობით იხმარებოდა უთანდებულო მოქმედებითი და ზოგჯერ **გან** თანდებულიანი ნათესაობითი.

როცა **გან** თანდებულიანმა ნათესაობითმა ადგილის აღნიშვნაზე ხელი აიღო და, მეორე მხრივ, **გან** თანდებულიანმა მოქმედებითმა შეიძინა ეს ფუნქცია, ახალ სალიტერატურო ქართულში გამოსულითის ადგილი მთლიანად **გან** თანდებულიანმა მოქმედებითმა დაიჭირა. **გან** თანდებულმა თავისი პირვანდელი ფუნქციაც (დროის) შეინარჩუნა და დაწყებითის (ადგილის) ფუნქციაც მოიპოვა. ოღონდ ფონეტიკური ცვლილების შედეგად თვითონაც იცვალა სახე და თანდებულიც შეცვალა **(ქ. ძოწენიძე)**.

დამ თანდებულის საკითხიც სპეციალური მსჯელობის საგნად ბევრჯერ იქცა ქართულ ლინგვისტიკაში.

XVII—XIX საუკუნეთა ზოგიერთი მწერლის ნაწერებში გვხვდებოდა **სოფლიდამ** ტიპის ფორმები. ფიქრობდნენ, რომ: 1) **დამ** დაბოლოება არის **დან**-ის სახესხვაობა (ე. ი. თავიდან გვქონდა **სოფლიდამ**, შემდეგ **მ**-ს შეენაცვლა **ნ** და მივიღეთ **სოფლიდან**) **(ნ. მარი, დ. კარიჭაშვილი...)**, 2) **დამ**-ის ამოსაყალია **გამო**: სოფლით-გამო→სოფლიდამ **(თ. ჟორდანია)**.

ეს თვალსაზრისები სარწმუნოდ არ მიიჩნიეს, **დამ** რომ **დან**-ის სახესხვაობა იყოს, მაშინ ისტორიულად **იდან** უფრო ძველი უნდა იყოს, ვიდრე **იდამ**. სინამდვილეში კი პირიქითაა: **იდამ** მე-17 საუკუნეში ჩნდება, მე-18-ში ხელშესახებად დასტურდება და გამოიყენება მე-19 საუკუნეშიც (ილია, ვაჟა), **იდან** კი თარიღდება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრით.

დამ დამოუკიდებელი თანდებულია, გამოხატავს გამოსვლითობის ფუნქციას. იგი მიღებულია **დაღმა//დაღმე** ზმნიზედისაგან (ტახტით დაღმე). შემდეგ დაიკარგა **ღ**, მერე ჩამოშორდა ბოლოკიდური ხმოვნები და დარჩა **დამ** (<დამა<დამე<დაღმა//დაღმე).

თარება ისეთივეა, როგორც **ზე** და **ში** თანდებულიან მიცემითსა და **მდე** თანდებულიან ვითარებითში (იხ. „**გან** თანდებულიანი მოქმედებითის საკითხისათვის თანამედროვე ქართულში").

ვფიქრობთ, გაძნელდება **სოფლიდან** ტიპის სახელების მიჩნევა **დან** თანდებულიან მოქმედებითად როგორც ქრონოლოგიური, ისე მორფოლოგიური თვალსაზრისით.

მაშასადამე, **დამ** ისტორიულად თანდებულია, ოღონდ დღევანდელ სალიტერატურო ქართულში აღარ იხმარება **(არნ. ჩიქობავა)**.

§ 40. თანდებულიანი ვითარებითი. ვითარებითი ბრუნვის თანდებულებია **მდის, მდე**. ისინი აღნიშნავენ მოქმედების დასასრულ პუნქტს სივრცესა და დროში. ამ თანდებულების დართვისას ბოლოხმოვნიან სახელებში მთლიანად იკარგება ბრუნვის ნიშანი **დ**, ბოლოთანხმოვნიანებთან კი რჩება მხოლოდ ბრუნვის ნიშნის **ა** ხმოვანი: ხე-დ-მდე→ხე-მდე, სახლ-ად-მდე→სახლ-ა-მდე.

ნ. მარი ფიქრობდა: **მდე, მდის** ფორმაში თანდებულია **დე, დი, მ** არის **მას** ნაწევრის ნაწილი, რომელიც დაერთვის **დე, დი** თანდებულებს. ორივე კი ერთად ერთვის ვითარებითი ბრუნვის ფორმას.

ა. შანიძის აზრით, მართალია, **მდე, მდის** იშლება ნაწილებად: **მ.დე, მ-დის,** მაგრამ **მ მას** ნაწევრის ნაწილი კი არაა, არამედ **ოგი** მიღებულია **მი**-საგან, რომელიც სახელებში თანდებულია, ზმნებში კი — ზმნისწინი. **მი** სახელს თავშიც დაერთვის და ბოლოშიც. თავში დართვისას სახელი ვითარებით ბრუნვაში უნდა იყოს და თან ბოლოში **მდე**-ც ემატებოდეს: **მიუკუნისამდე. მი** და **მო** თანდებულების გადატანა სახელის ბოლოს ახალი ეტაპია ქართული ენის ისტორიაში.

დე უნდა იყოს ნაშთი **დღე** სიტყვისა, რომელიც პირველად ვითარებითი ბრუნვის ფორმით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი: მიდღედ→მ-დე→მდე.

დი უნდა მომდინარეობდეს **დღე** სიტყვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმისაგან: მი-დღის→მ-დის→მდის.

მიდღედ//მიდღის თანდებულის პირვანდელი ფუნქცია უნდა ყოფილიყო დროის გამოხატვა, ე. ი. უძველეს პერიოდში თანდებული სახელს წინ ერთვოდა.

ძეგლებით ირკვევა, რომ **მდე** თანდებული ძველ ქართულშიც ახდენს გავლენას ბრუნვის ნიშანზე. მაგალითად: **„ღამსდაბლდე მიწამდე", „ზრახვიდეს ვიდრე განთიადამდე"**. ამ რიგის ფაქტები თავს იჩენს VIII—IX საუკუნეებიდან **(ზ. სარჯველაძე)**.

§ 41. თანდებულის გამოყენებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები.

1) თუ სახელის ფუძე **ზ** თანხმოვანზე ბოლოვდება, **ზე** თანდებულის დართვისას სიტყვაში ორი **ზ** გვექნება: კოვზზე, იალბუზზე...

2) თუ სახელის ფუძე **შ** თანხმოვანზე ბოლოვდება, **ში** თანდებულის დართვისას ორი **შ** მოიყრის თავს: ბალიშში, კულაშში...

3) როცა **თ** თანხმოვანზე ბოლოვდება სახელის ფუძე, მაშინ **თან** თანდებულის დართვისას სიტყვაში ორი **თ** უნდა გვქონდეს: თითთან, ბურთთან...

4) **ე**-ზე დაბოლოებულ სახელში **ებრ** თანდებულის დართვის გამო ორი **ე** იყრის თავს: მზეებრ, კლდეებრ...

5) მიცემითსა და ნათესაობითში **და**-თი შეერთებულ სახელთაგან თანდებული მომდევნოს დაერთვის. **და**-ს წინ მდგომი, ჩვეულებრივ, უთანდებულოა: ფიქრობდა წარსულსა და მომავალ**ზე**, დედისა და შვილის**თვის**...

6) მოქმედებითსა და ვითარებითში **და**-ს წინ მდგომი სახელიც დაირთავს თანდებულს: შუბლი**დან** და ცხვირი**დან** სისხლი სდიოდა, თავის ეზომ**დე** და სახლამ**დე** ძლივს მიაღწია...

7) წიგნის, ჟურნალის, გაზეთისა თუ ნაწარმოების სახელწოდება, სათაური, რომელიც სახელობითში დგას, იბრუნვის და საჭიროების შემთხვევაში თანდებულსაც დაირთავს: ჟურნალი „მნათობი“, ჟურნალმა „მნათობმა“, გაზეთ „დროებაში“, პოემა „განდეგილზე“...

8) წიგნის, ჟურნალის, გაზეთისა თუ ნაწარმოების სათაური, სახელწოდება უმჯობესია უცვლელად დარჩეს, როცა იგი გადმოცემულია: ა) სხვა ბრუნვის ფორმით („მეგობრებს“); ბ) თანდებულიანი სახელით ან ისეთი სიტყვათა შეკავშირებით, სადაც უკანასკნელი აღგილი თანდებულიან სახელს უჭირავს („სარჩობელაზედ“; „გამოთხოვება ძველ თბილისთან“); გ) წინადადებით („ყბაჩამ დაიგვიანა“); დ) საზღვრულ-მსაზღვრელით („კლდე მტირალი“). დასახელებული ტიპის სახელწოდებათა ნაცვლად უმჯობესი იქნება წინადადებაში ვცვალოთ მსაზღვრულად წამძღვარებული სახელი: „ი. ჭავჭავაძემ მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ აღწერა...“ და არა: „სარჩობელაზედში“.

9) არასწორია გამოთქმები: „ჩვენთაგანი“, „თქვენთაგანი“, რადგან **ჩვენ, თქვენ** ფუძეები თავისთავად გამოხატავენ მრავლობითის შინაარსს, არ იცვლებიან აგრეთვე ბრუნების დროს. ამიტომ მათთან მრავლობითის **თა** სუფიქსის დართვა გაუმართლებელია. სწორია: **ჩვენგანი, თქვენგანი (ი. კიკნაძე).**

§ 42. ლოკალურ ბრუნვათა საკითხი ქართულში. ზოგიერთი თანდებულის დართვისას ბრუნვის ნიშანი ფონეტიკურად სახეცვლილია, ზოგან კი სულ იკარგება. მაგ.: **ში** და **ზე** თანდებულების გამო იკარგება მიცემითი ბრუნვის ნიშანი **ს; მდე, მდის** თანდებულებ• კი იწვევენ ვითარებითი ბრუნვის ნიშნის **დ**-ს დაკარგვას; მოქმედებითში **გან** თანდებულის გამო იცვლება თანდებულიც და ბრუნვის ნიშანიც. სწორედ ასეთი ცვლილების შემდეგ წაიშალა ზღვარი ბრუნვის ნიშანსა და თანდებულს შორის და შეიქმნა საფუძველი, რომ სახელის ფუძეზე დართული ელემენტი მთლიანად ბრუნვის ნიშნად ჩაეთვალათ.

მართლაც, ძველი გრამატიკოსები ძირითადი ბრუნვების გვერდით გამოყოფდნენ ახალ ბრუნვებს. ჩვენს დროში ამ საკითხს სპეციალურად შეეხო **აკ. შანიძე**, რომელმაც 7 ძირითადი ბრუნვის გარდა გამოყო სამი ახალი ბრუნვა — **ლოკალური (ადგილობითი) ბრუნვები:** სადაობითი, გამოსვლითი, მიწევნითი.

სადაობითი ბრუნვის ნიშნებია **ზე** და **ში.** ისინი მიუთითებენ ადგილმდებარეობაზე: ქალაქ-ზე, ქალაქ-ში.

გამოსვლითი ბრუნვის ნიშნებია **იდან, დან:** ქალაქ-იდან, წყარო-დან. ეს ბრუნვა გვიჩვენებს რომელიმე პუნქტიდან გამოსვლას.

მიწევნითი ბრუნვის ნიშნებია **ამდე, მდე//ამდის, მდის:** ქალაქ-ამდე, წყარო-მდე... მიწევნითი ბრუნვა აღნიშნავს გარკვეულ პუნქტამდე მიწევნას.

მაშასადამე, ამ ლოკალურ ბრუნვებზე დართული თანდებულები **ბრუნვის** ნიშნებად იქნა გაგებული. შესაბამისად, თანამედროვე ქართულში ბრუნვათა პარადიგმა მეცნიერმა ასეთი თანმიმდევრობით წარმოადგინა: სახელობითი (ი), მოთხრობითი (მა, მ), მიცემითი (ს), ნათესაობითი (ის), მოქმედებითი (ით), ვითარებითი (ად, დ), სადაობითი (ზე, ში), გამოსვლითი (იდან, დან), მიწევნითი (მდე, მდის, ამდე, ამდის), წოდებითი (ო, ვ).

ლოკალური ბრუნვის ფორმები **ებიან** მრავლობითსაც გააჩნია, **ნართანიანს** — არა.

აკ. შანიძის თვალსაზრისი ლოკალური ბრუნვების გამოყოფის შესახებ საყოველთაოდ არაა გაზიარებული.

არნ. ჩიქობავამ სპეციალურ შრომაში „თანდებულიან ბრუნვათა საკითხისათვის“ აღნიშნა: „თანამედროვე ქართულში ლოკალურ ბრუნვათა გამოყოფა არასწორია. **ა. შანიძის** მიერ ლოკალურ ბრუნვათა გამოყოფის მთავარი საბუთი ტექნიკური ხასიათისაა, სათანა-

დო წარმოებებში ბრუნვის ნიშანი და თანდებული არ გამოიყოფა, თანდებულმა დაკარგა ბრუნვის ნიშანი“.

თუ ამ პრინციპს განვაზოგადებთ, — განაგრძობს მეცნიერი, — მაშინ:

1) **თან** თანდებულიანი ფორმაც უნდა მიგვეჩნია დამოუკიდებელ ბრუნვად, რადგან აქაც იკარგება ბრუნვის ნიშანი: სახლ-ს-თან - — სახლ-თან;

2) „მე დაუბახე“ ფორმაში წარმოთქმის დროს დაკარგულია S_1-ის **ვ** პრეფიქსი. ამის გამო **და** ზმნისწინი უნდა მიგვეჩნია S_1-ის ნიშნად;

3) არ შეიძლება ერთი ბრუნვის ნიშნად გამოვიყენოთ ორი თანდებული **ზე** და **ში**...

ბრუნვის ნიშნის დაკარგვა ფონეტიკური პროცესია. იგი ძველ ქართულს თითქმის არ ახასიათებდა, რადგან მაშინ თანდებული უშუალოდ არ ერთვოდა ბრუნვის ფორმას და ამიტომ ბრუნვის ნიშნებსაც რაიმე ცვლილება არ მოსდიოდა. მაგალითად, იყო: სახლსა ზედა, სახლსა შინა.

არნ. ჩიქობავას აზრით, მართალია, ახალ ქართულში თანდებული გამარტივდა, უშუალოდ შეეზარდა ბრუნვის ფორმას, რასაც მოჰყვა ზოგიერთი ფონეტიკური ცვლილება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც არაა გამართლებული ახალი ბრუნვების გამოყოფა.

ზ. სარჯველაძემ ძველი ძეგლების მიხედვით შეისწავლა თანდებულიანი ბრუნვების საკითხი და მიუთითა, რომ უკვე IX—X საუკუნეებიდან თავს იჩენს ზოგი თანდებულის დართვის შედეგად ბრუნვის ნიშნის დაკარგვის შემთხვევები, მაგრამ ისინი დამოუკიდებელ ბრუნვებად არ შეიძლება ჩავთვალოთ.

ლიტერატურა

ბურჭულაძე გ. — კვლავ **ვით** თანდებულის შესახებ: იკე, 24-ე, 1985, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1970.

კვაჟელიძე კ. — „წინაშე, თანა, ზედა“ თანდებულთა სინტაქსური ფუნქციებისათვის ძველ ქართულში: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, III, 1942, № 2.

კენჭაძე რ. — მსაზღვრელი დანართის შესახებ: ქელს, 1985, № 1—2.

კვაჭანტირაძე თ. — **ვით** თანდებულის სახელობითსა და მიცემით ბრუნვებში განაწილების შესახებ: მაცნე, 1977, № 1.

კვაჭაძე ლ. — ქართული ენა, ნაწილი I, თბ., 1981.

კიზირია ა. — **თვის/ზე, გამო/ზე** თანდებულთა მონაცვლეობა: მაცნე, 1981, № 3.

კიკნაძე ი. — **ჩვენგანი** თუ **ჩვენთაგანი**: ქელს, 1985, № 1—2.

მარტიროსოვი არ. — თანდებული ქართულში: იკე, I, 1946.

სარჯველაძე ზ. — **ვით** თანდებულის ისტორიიდან: ქელს, 1979, № 4.

ფუტკარაძე ტ. — **კენ** თანდებულის ისტორიისათვის: იკე, 28-ე, 1989.

შანიძე ა. — ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973.

შანიძე ა. — **ვით** თანდებულის გენეზისისათვის: თხზ. ტ. 2, 1981.

შარაძენიძე თ. — **ვით** თანდებული ქართულში: თსუ, შრ., X, 1939.

ჩიქობავა არნ. — ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება: ქენგლ, I, 1950.

ჩიქობავა არნ. — ერთი უცნობი თანდებული ქართულში: ენიმკის მოამბე, ტ. I, 1937.

ჩიქობავა არნ. — თანდებულიან ბრუნვათა საკითხისათვის: ქესს, II, 1961.

ცოცანიძე გ. — **გან** თანდებულიანი მოქმედებითის საკითხისათვის თანამედროვე ქართულში: ქესს, V, 1981.

ძოწენიძე კ. — **გან** თანდებულიანი მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციები ძველ ქართულში: იკე, I, 1946.

ჭუმბურიძე ნ. — **ვით** თანდებულის ჩამოყალიბების ისტორიისათვის: ქელს, 1982, № 2.

ჯაფარიძე ზ. — **ვით** თანდებულის ხმარებისათვის ზმნასთან ქართულში: ქესს, III, 1963.

ზედსართავი სახელი

§ 43. ზედსართავი სახელის მნიშვნელობა და ფუნქცია. ვითარებითი და მიმართებითი ზედსართავი სახელები. ზედსართავი სახელი ჰქვია მეტყველების ნაწილს, რომელიც აღნიშნავს საგნის ნიშან-თვისებას[1].

ტერმინი „ზედსართავი სახელი“ წარმომდგარია ზედსართავის სინტაქსური თვისებისაგან. წინადადებაში ის „ზედ დაერთვის“ არ-

[1] ზედსართავი სახელის ამ განმარტებაში გამჭვირვალედ იგულისხმება, რომ ზედსართავი სახელი არის რეალურად არსებული საგნის აღმნიშვნელი არსებითი სახელის განსაზღვრება. მეორე მხრივ, არსებით სახელში, როგორც მეტყველების ნაწილში, ერთ-ერთ შინაარსობრივ ჯგუფად შედის მოქმედების აღმნიშვნელი სახელებიც: კითხვა, წერა, ხატვა... რომლებსაც შეიძლება მსაზღვრელად ახლდეს ზედსართავი სახელი. სწორედ ამ შეუსაბამობიდან გამომდინარე, სამეცნიერო ლიტერატურაში მართებულად მიიჩნიეთ ზედსართავი სახელის ასეთი განმარტებაც: „ზედსართავი ჰქვია ისეთ სახელს, რომელიც საგნის ან მოქმედების ნიშანსა და თვისებაზე მიგვითითებს“ **(უ. ყორღანაშვილი)**. მაგ., „ვანომ წყნარი ჭამა იცის“. აქ **წყნარი** გამოხატავს მოქმედების ნიშან-თვისებას.

სებით სახელს. წინათ „ზედსართავის“ ნაცვლად იხმარებოდა ტერმინი „ზედშესრული“.

ზედსართავი სახელის კითხვებია: როგორი? რომელი? სადაური? როდიხდელი? რახაირი? (კარგი, იქაური, გუშინდელი...).

ზედსართავი სინტაქსურად განსაზღვრებაა ან შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი, იშვიათად — ქვემდებარე და დაძატება:

განს. სახ. ნაწ. ქვ. დამ.

პატარა ბავშვი, ბავშვი **პატარა** იყო, **პატარამ დიდი** შემოიყვანა.

ზედსართავი სახელი შეიძლება გამოყენებულ იქნეს არსებითი სახელის მნიშვნელობით. ასეთ შემთხვევაში ზედსართავი გაარსებითებულია. უცხოურად ამ პროცესს **სუბსტანტივაცია** ჰქვია. მაგალითად: ქალაქში **სასტუმრო** ააგეს (შდრ. **სასტუმრო ოთახი** მოაწყვეს), ნინომ **კარგი** მიიღო (შდრ. ნინომ **კარგი ნიშანი** მიიღო). გაარსებითებული ზედსართავი საგნის ნიშან-თვისებას კი არ გამოხატავს, არამედ აღნიშნავს თვით საგანს.

მეორე მხრივ, შესაძლებელია ზედსართავი სახელის მნიშვნელობით გამოვიყენოთ სხვა მეტყველების ნაწილიც. ასეთ პროცესს **გაზედსართავება** ანუ უცხოურად **ადიექტივაცია** ეწოდება. მაგ.: **ექიმი ქალი** მოვიდა (შდრ. **ექიმი** მოვიდა), **ურემი შეშა** იყიდეს (შდრ. **ურემი** გააკეთეს).

სუბსტანტივაცია არსებით სახელს ამდიდრებს, ადიექტივაცია — ზედსართავს.

ზედსართავი სახელი საგნის ნიშან-თვისებას გამოხატავს უშუალოდ ან სხვა საგანთან მიმართებით. ამის მიხედვით ზედსართავი ორგვარია: ვითარებითი და მიმართებითი.

ვითარებითი ზედსართავი სახელი საგნის ნიშან-თვისებას გამოხატავს უშუალოდ, სხვა საგანთან მიმართების გარეშე: დიდი, თეთრი, მაღალი...

მიმართებითი ზედსართავი სახელი ნაწარმოებია სხვა სიტყვისაგან. იგი ნიშან-თვისებას გამოხატავს ძირეულ ფორმასთან მიმართებით.

მიმართებითი ზედსართავი სახელი წარმოება სხვადასხვა მეტყველების ნაწილისაგან:

ჩოხა (არსებითი)	— ჩოხიანი კაცი
ჩვენი (ნაცვალსახელი)	— ჩვენებური კაცი
ოცი (რიცხვითი სახელი)	— ოციანი წლები

წერა (საწყისი)	— წერითი სამუშაო
გუშინ (ზმნიზედა)	— გუშინდელი ამბავი
შვენის (ზმნა)	— მშვენიერი ქალი
ებრ (თანდებული)	— ებრო წამალი

მიმართებითი ზედსართავია, აგრეთვე, მიმღეობა **(აშენებული** სახლი, **დაწერილი** წერილი) და ბრუნვის ფორმებით წარმოქმნილი სახელები **(შემთხვევით-ი** ამბავი, **გულად-ი** კაცი...).

§ 44. ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები. ზედსართავი სახელი ისეთ ნიშან-თვისებას გამოხატავს, რომელიც შეიძლება იყოს მეტი ან ნაკლები ოდენობის, სხვადასხვა ხარისხისა. ამის გამო ვამბობთ, რომ ზედსართავი სახელი აწარმოებს ხარისხის ფორმებს.

ზედსართავი სახელის ისეთ ფორმას, რომელიც საგნის ნიშან-თვისებას გამოხატავს მეტი ან ნაკლები ოდენობით, ხარისხის ფორმა ჰქვია.

ხარისხის ფორმა მხოლოდ ვითარებით ზედსართავებს გააჩნია. ხარისხის გადმოსაცემად ენას ორგვარი წარმოება აქვს: აღწერითი და ორგანული (წარმოქმნითი).

აღწერითი წარმოების დროს გამოყენებულია სხვა სიტყვები: ფრიად კეთილი, ძალიან მაღალი...

ზოგჯერ ამ მიზნით მივმართავთ სიტყვის განმეორებასაც: ცხელ-ცხელი, დიდ-დიდი, მაღალ-მაღალი... საზოგადოდ, აღწერითი წარმოება ხარისხის გრამატიკულ ფორმად არ ითვლება.

აღწერითი წარმოება ძველ ქართულს ნაკლებად ახასიათებდა. ახლა პირიქითაა: იგი უფრო და უფრო მეტ ადგილს იჭერს. ეს მოვლენა საერთო ქართველურია. მაგრამ, როცა ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმებზე ვსაუბრობთ, მხედველობაში გვაქვს არა აღწერითი, არამედ ორგანული (მხოლოდ აფიქსებიანი) წარმოება: უ-დიდ-ეს-ი, მო-დიდ-ო...

განარჩევენ ხარისხის სამ ფორმას: **დადებითს** (ნეიტრალურს), **უფროობითსა** და **ოდნაობითს.** დადებითი ამოსავალია, მისგან მიღება უფროობითი და ოდნაობითი (ოდენობითი). უფროობითი ხარისხი საგნის ნიშან-თვისებას გამოხატავს დადებითთან შედარებით მეტი ოდენობით, ოდნაობითი კი — ნაკლები ოდენობით (თეთრი, უთეთრესი, მოთეთრო).

ქართულში საგნის ნიშან-თვისების მეტი ოდენობით გამოხატვა

ხდება მხოლოდ ერთი — უფროობითი (ელატიური) ფორმით, როგორც არაბულშია.

რა ვითარებაა ამ მხრივ სხვა ქართველურ ენებში?

სვანურში არის უფროობითი და აღმატებითი ხარისხის ფორმები, მეგრულში — უფროობითი და თანაბრობითი.

ხარისხის წარმოების თვალსაზრისით თუ შევუდარებთ ქართულსა და ევროპულ ენებს, აღმოჩნდება, რომ ქართულს მხოლოდ ერთი ფორმა აქვს მეტი ოდენობისათვის, ევროპულს — ორი: შედარებითი (კომპარატივი) და აღმატებითი (სუპერლატივი).

უფროობითი	—	უდიდესი	აღმატებითი	— am großten
↑			↑	
დადებითი	—	დიდი	შედარებითი	— großer
↓			↑	
ოდნაობითი	—	მოდიდო	დადებითი	— groß

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ქართველურ ენებში ხარისხის ფორმები, ერთი მხრივ, მიეკუთვნება სახელთა კატეგორიას; მეორე მხრივ, იგი ზმნური წარმოშობისა უნდა იყოს.

§ 45. უფროობითი ხარისხის წარმოება. ტერმინი „უფროობითი“ დაამკვიდრა **ა. შანიძემ.** იგი ნაწარმოებია „უფრო“ ზმნიზედისაგან. სამეცნიერო ლიტერატურაში „უფროობითის“ პარალელურად (მისი მნიშვნელობით) გამოიყენება „აღმატებითი“ **(არნ. ჩიქობავა, ბ. ჯორბენაძე, კ. ლერნერი...),** „შედარების ხარისხი“ **(გ. მაჭავარიანი).**

ახალ ქართულში უფროობითი ხარისხის მაწარმოებელია **უ—ეს** კონფიქსი.[1] უ ისტორიულად სასხვისო ქცევის ნიშნად ითვლება **(ა. შანიძე).**

[1] ძველ ქართულში უფროობითი ხარისხის წარმოება განსხვავებული იყო. კერძოდ, ე. წ. ხანმეტობის პერიოდში გვქონდა **ხუ — Ꭷს** კონფიქსი, ჰაემეტობის დროს — **ჲუ—Ꭷს:** ხუდიდꭷ, ჲუდიდꭷს.

საინტერესოა, რა გრამატიკული ოდენობა იყო ეს ნიშნები.

ა. შანიძის აზრით, **ბ** (და **ჰ**) პრეფიქსი O_3 პირის ნიშანი იყო. შესაბამისად გვექნებოდა: მიკეთꭷსი, გიკეთꭷსი, ხუკეთꭷსი. წერილობითი ძეგლებით ირკვევა, რომ I და II პირის ფორმა ადრევე გამოსულა ხმარებიდან, შემდგომში **ხ** და **ჰ** პრეფიქსებსაც პირიანობის გაგება დაუკარგავთ და გამხდარან ხარისხის აღმნიშვნელნი.

სუფიქსი **ეს** (მომდინარეობს ეას-გან), იშლება **ე** და **ს** ნაწილებად: **ე** არის ხარისხის თავდაპირველი ნიშანი (ბუმჯობ-ე, ჰუმჯობ-ე), **ს** კი — ნათესაობითი ბრუნვის **(ის)** ნიშნის თანხმოვნითი ნაწილი. ამის მიხედვით, როგორც **ა. შანიძე** მიუთითებს, უფროობითი ხარისხის ფორმები არსებითად ნაგენეტივარი სახელებია: ხ-უ-დიდ-ეას-ი→ხ-უ-დიდ-Ꭷ-ს-ი→უ-დიდ-ეს-ი.

ზოგჯერ უფროობითი ხარისხის ფორმას გასაძლიერებლად ერთვის მეორე **უ:** უ-უ-დიდ-ეს-ი, უ-უ-მაღლ-ეს-ი... ასეთი ფორმები **ა. შანიძემ** ხელოვნურ წარმოებად ჩათვალა (არ მიიჩნია ქართული ენისათვის დამახასიათებლად) და უწოდა გაძლიერებითი ანუ **ინტენსიური.**

ძველი და ახალი ქართულის მიხედვით უფროობითი ხარისხის წარმოების ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ ენისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა ზედსართავი სახელის მზარდი ხარისხის გამოხატვა ერთი მორფოლოგიური ფორმით — უფროობითით, ამიტომ პარალელურად გამოიყენა სხვადასხვა ტიპის წარმოება: **ძალიან უმკაცრესი, ყველაზე უდიდესი, ულამაზესზე ულამაზესი, უუშორესი** და მისთანანი.

აშკარაა, რომ ოდენ უფროობით ხარისხს არ ძალუძს მზარდი სემანტიკის სრულყოფილი გამოსახვა. უთუოდ ამ საცილობელი ფაქტის გამო ფუნქციონირებს ქართულ ლინგვისტიკაში ტერმინი „აღმატებითი ხარისხი“.

ქართული სამწერლობო ენის სოციოლინგვისტური კვლევის საფუძველზეც საჭიროდ მიაჩნიათ ზედსართავი სახელის მზარდი ხარისხის ორი ფორმის გამოყოფა, გრამატიკულად გაფორმება **(კ. ლერნერი).**

§ 46. ოდნაობითი ხარისხის წარმოება. ხარისხის წარმოების თვალსაზრისით ოდნაობითი განსხვავდება უფროობითისაგან. მიმართება ოდნაობითისა დადებითისადმი ასეთი არ არის, როგორც უფროობითისა იმავე დადებითისადმი: უფროობითი საგნის ნიშანთვისებას გამოხატავს მეტი ოდენობით, განუსაზღვრელად, ოდნაობითი კი ნაკლები ოდენობით, ერთგვარი განსაზღვრით, მიახლოებით, მიმსგავსებით, ოდნავ.

ოდნაობითის ფორმები ქართულში უფროობითთან შედარებით ნაკლებ განვითარებულია, მაგრამ იგი მაინც ჩათვლილია ხარისხის დამოუკიდებელ ფორმად. მეორე მხრივ, ზოგიერთ მკვლევარს

მიაჩნია, რომ ოდნაობითი არ არის ხარისხის კატეგორია, მას არ მოეპოვება შესადარებელი ობიექტი **(თ. ზურაბიშვილი, გ. როგავა, გ. გოლეთიანი)**. ვარაუდობენ, რომ ოდნაობითის ფორმები წარმოშობით ზმნისაგან ნაწარმოები მიმღეობებია, რომლებმაც დროთა ვითარებაში იცვალეს ფორმა და შინაარსი და ე. წ. ოდნაობითი ხარისხის ფორმებად იქცნენ.

ტერმინი „ოდნაობითი“ მომდინარეობს **ოდნავ** სიტყვისაგან, რამეენადაც იგი გამოხატავს მიახლოებითს ნიშანს: ოდნავ თეთრი — მოთეთრო. ოდნაობითის ფორმები ქართული ენის ისტორიაში სხვადასხვაგვარად იყო გავრცელებული: ძველსა და საშუალ ქართულში იშვიათად გამოიყენებოდა, ახალსა და თანამედროვე ენაში კი შედარებით უფრო ხშირად იხმარება.

ოდნაობითის მაწარმოებელია **მო-ო** კონფიქსი: მო-დიდ-ო, მო-თეთრ-ო, მო-მაღლ-ო... ძველი ქართულისათვის მაწარმოებლად ასახელებენ **მო—ე**-საც, რომელსაც, შესაძლებელია, გარკვეული გენეზისური კავშირი ჰქონდეს ხელობის **მე—ე** კონფიქსთან **(ი. იმნაიშვილი)**.

საინტერესოა ის გარემოებაც, რომ დღეს **მოდიდო** ტიპის ფორმების გვერდით ოდნაობითის მნიშვნელობით ხელშესახებად გვეძლევა **წა** პრეფიქსიანი წარმოებაც: მოწითალო//წაწითალო, მოთეთრო//წათეთრო (შდრ. წაიწითლებს, წაითეთრებს, მომჟავდება...). აქედან გამომდინარე, **ა. შანიძე** ფიქრობს, რომ როგორც **მო**, ისე **წა** წარმოშობით იგივეა, რაც სათანადო ზმნისწინები.

ოდნაობითის შინაარსი შეიძლება გადმოიცეს ზმნისწინების საშუალებით არა მარტო ზმნებთან და ზედსართავებთან (ქსოვილი **წაითეთრებს, წათეთრო**ფერი...), არამედ სახელზმნებთანაც **(შესქელებული** სითხე, ვაშლის **შეყვითლება...)**.

გარდა ამისა, თანამედროვე ქართულში **მო—ო, წა—ო** ცირკუმფიქსები შეიძლება დაერთოს არსებით სახელებს და გამოხატოს ოდნაობითობა, მიმსგავსება: მოპოეტო, მომწერლო... წაპოეტო, წაქალო...[1]

[1] ოდნაობითის სემანტიკა კიდევ უფრო მრავალფეროვნებით გვეძლევა ქართული ენის დიალექტებში: **მშიასავით, აგრილდასავით; მოშავო//დაშავო, მომცრო//მოდამცრო** (აჭარული), **თეთრონაი, შავრონაი** (=მოთეთრო, მოშავო: რაჭული), **წითლონა//წაწითლონა, მაწითლონა** (ხევსურული).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ ოდნაობითობა სრულდება

§ 47. ხარისხის ფორმათა წარმოების თავისებურებანი. როგორც აღინიშნა, ხარისხის ფორმა ეწარმოება მხოლოდ ვითარებით ზედსართავს, ზოგს ხარისხის სამივე ფორმა მოეპოვება (დადებითი, უფროობითი, ოდნაობითი: დიდი, უდიდესი, მოდიდო), ზოგს კი — ორი (დადებითი და უფროობითი ან დადებითი და ოდნაობითი: ნაზი — უნაზესი, ნაცრისფერი — მონაცისფრო).

არის რიგი ვითარებითი ზედსართავებისა, რომელთაც ხარისხის ფორმა სულ არ ეწარმოება: ნელი, სველი, ჩუმი, ანკარა, შხაპუნა, კოშტი...

ჩვეულებრივ, მიმართებითი ზედსართავი სახელები ხარისხის ფორმებს ვერ აწარმოებენ, მაგრამ, თუკი რომელიმე შეიძენს ხარისხის წარმოების უნარს, მაშინ იგი ვითარებითის ჯგუფში გადავა. ასეთებია: გონიერი. ძლიერი, ბედნიერი, ჭკვიანი...→უგონიერესი, უძლიერესი, უბედნიერესი, უჭკვიანესი...

ზოგიერთი ზედსართავი სახელი ხარისხის წარმოების დროს ფორმობრივ თავისებურებასაც ამჟღავნებს: **ელ** და **ილ** მაწარმოებლიან ზედსართავებს ასეთ შემთხვევაში მოეკვეცებათ ბოლო ხმოვანი **ელ** და **ილ** მარცვლები: სქელი — მოსქო, გრძელი — მოგრძო, ტკბილი — მოტკბო.

ზედსართავი **კარგი** უფროობითს აწარმოებს სხვა ფუძით — **უკეთესი.** ამისი მიზეზია შემდეგი: ძველ ქართულში სიტყვა **კარგის** მნიშვნელობით იხმარებოდა **კეთილი**[1], რომლის უფროობითი ხარისხის ფორმა წესისამებრ არის **უკეთილესი→უკეთესი.** ახალ ქართულში დამკვიდრდა **კარგი, კეთილმა** სხვა სემანტიკა (შინაარსი) მიიღო, მაგრამ **კარგი**სათვის უფროობითი **უკეთესი** მაინც დარჩა (კეთილი კარგის მნიშვნელობით სულხან-საბა ორბელიანთან კვლავ იხმარება, ზოგ გამოთქმაში დღესაც გვხვდება: „კეთილი, კეთილი, ჩემთვის ყველაფერი ნათელია“).

ცუდი-ს უფროობითი ხარისხია **უარესი,** რომელიც მომდინა-

ზედსართავის სფეროს. ამიტომ შესაძლებელია, ქართულში არსებული ოდნაობის, მიახლოების გამომხატველი ყველა საშუალება გაერთიანდეს ოდნაობის (მიახლოების) სემანტიკით და გამოიყოს სიტყვაწარმოების ერთ-ერთ შინაარსობრივ ჯგუფად (მათ შორის მოექცევა **მოდიდო** ტიპის ზედსართავებიც).

[1] **კეთილი**-ს შინაარსისა იყო **სახიერი, კარგი** კი ნიშნავდა „წესს“, „რიგს“ (დღეს ძველი მნიშვნელობით შემორჩენილია სიტყვაში „გონკარგულება“, რაც ნიშნავს „განწყობას“).

რეობს **უალრესისაგან (ა. შანიძე). პატარა** დადებითია, **მომცრო** — ოდნაობითი, **უმცირესი** — უფროობითი.

ახალ ქართულში **კარგი** და **ცუდი** უფროობითს ზოგჯერ ჩვეულებრივი წესითაც აწარმოებენ: კარგი — უკარგესი, ცუდი — უცუდესი.

სნიერის უფროობითი ხარისხი უნდა იყოს **უხნიერესი**, მაგრამ ჩვაქვს **უხნესი**. ამგვარი მაგალითები თანამედროვე დიალექტებში დასტურდება.

სუცესი წარმოშობით უფროობითი ხარისხის ფორმაა და ნიშნავს **უფროსს**, მაგრამ დროთა განმავლობაში დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა, **ხ** ბგერა (წარმოშობით ობიექტური პირის პრეფიქსი) ფუძეს შეუხორცდა და ყოფილი უფროობითის ფორმა **უცესი** იქცა დადებითად. ამ უკანასკნელისაგან ხელახლაა ნაწარმოები უფროობითი ხარისხი **უხუცესი**.

§ 48. მსაზღვრელ-საზღვრული. მსაზღვრელის ტიპები. მსაზღვრელ-საზღვრულის რიგი (წყობა). ზედსართავი სახელი საგნის ნიშან-თვისებას გამოხატავს და თითქმის ყოველთვის ახლავს სავანს. ასეთ შემთხვევაში მიიღება მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილი. რაკი ზედსართავი სახელი არსებითს განსაზღვრავს, ამიტომ მას **მსაზღვრელი** ჰქვია, არსებითს კი — **საზღვრული.** მაგალითად, დიდი სახლი. აქ მსაზღვრელია დიდი, საზღვრული — სახლი.

მსაზღვრელი ორგვარია: ატრიბუტული და სუბსტანტიური[1].

ატრიბუტი ანუ ნიშან-თვისება, ჩვეულებრივ, ზედსართავი სახელით (ატრიბუტით) გადმოიცემა. ხშირად ზედსართავისებრ გამოიყენება და საზღვრულ წევრს შეეწყობა სხვა სახელებიც: რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, სახელზმნა, არსებითი სახელი.

მაშასადამე, **ატრიბუტულია მსაზღვრელი,** როცა ის გადმოცემულია ზედსართავით ან საზღვრულთან ზედსართავისებრ შეწყობილი არსებითით, რიცხვითი სახელით, ნაცვალსახელითა და სახელზმნით: **ლამაზი** ბავშვი, **ჩაფი** ღვინო, **ორი** ძმა, **ჩვენი** ეზო, **გაჭარებული** ბავშვი, **წვეულა** ყველი.

სუბსტანტიური მსაზღვრელი გადმოცემულია ნათესაობით ბრუნვაში მდგარი არსებითი სახელით (ან მასთან გათანაბრებული სიტყვით) და მეტწილად გამოხატავს მასალას, კუთვნილება-დანიშნულებას: ხის კოვზი, მეზობლის ბავშვი.

ატრიბუტული მსაზღვრელის ბრუნვა იცვლება, რაც საზღვრულისა. ამიტომ ატრიბუტული მსაზღვრელი და საზღვრული ბრუნვაში შეთანხმებულია. სინტაქსურად ატრიბუტულ მსაზღვრელს **შეთანხმებულ მსაზღვრელს** ეძახიან.

ტრადიციული შეხედულებით, სუბსტანტიური მსაზღვრელი საზღვრული წევრის მიერ გამოწვეული ფორმაა, საზღვრულის მიერ მართულია ნათესაობით ბრუნვაში, ამიტომ ასეთ მსაზღვრელს **მართული მსაზღვრელი** ჰქვია.

არჩევენ მსაზღვრელ-საზღვრულის ორგვარ რიგს (წყობას): პრეპოზიციურსა და პოსტპოზიციურს — პირდაპირსა და შებრუნებულს (ინვერსიულს)[1].

პრეპოზიციური წყობის დროს მსაზღვრელი პირველ ადგილზეა, **პოსტპოზიციური წყობისას** კი — მეორეზე. მაგალითად, **მაღალი სახლი** პრეპოზიციული წყობაა, **სახლი მაღალი** — პოსტპოზიციური.

ახალ ქართულში ძირითადია პრეპოზიციური — პირდაპირი წყობა, შებრუნებული კი შედარებით იშვიათია. დღეს იგი უფრო მეტად პოეზიაში გვხვდება. მიუთითებენ, რომ ძველ ქართულში პირიქით იყო.

შეიძლება მსაზღვრელ-საზღვრული გათიშული იყოს რომელიმე სიტყვით ან სიტყვებით. ასეთ მსაზღვრელს **გათიშული მსაზღვრელი** ჰქვია: **შაქრიანს** ეტყვის **სიტყვასა; მწვანეს** ეწვდება **ფოთოლსა.** მსაზღვრელი შეიძლება **განმარტოებულიც** იყოს, როცა გამოტოვებულია საზღვრული წევრი. მაგალითად, ქალაქის ამბავს სოფელში ჩაიტანს, სოფლისას — ქალაქში. ამ წინადადების მეორე ნაწილში განმარტოებულია მსაზღვრელი **სოფლისას,** აკლია **ამბავს,** რომელიც ადვილად იგულისხმება წინა ნათქვამის მიხედვით.

განმარტოებული მსაზღვრელი აუცილებელია სტილისტური საჭიროებისათვის. იგი დაირთავს იმ ბრუნვის ნიშანს, რომელშიც უნდა ყოფილიყო გამოტოვებული საზღვრული: „ხმალს აშველებდნენ ფარებსა, **მტრისას** — დაიკვრნენ ძვირადა“ (გამოტოვებულია **ხმალს,** მიცემითში მდგარი).

§ 49. ზედსართავი სახელის ბრუნება. ზედსართავი სახელი ფორ-

[1] „სუბსტანტიურის“ პარალელურად გამოიყენება „სუბსტანციურიც“. „ატრიბუტი“ და „სუბსტანტივი“ ლათინური ტერმინებია.

[1] „ინვერსია“ ლათინური სიტყვაა, ნიშნავს „გადასმას“, „გარდაქმნას“, „გადაადგილებას“.

მაცვალებადი (ბრუნებადი) სიტყვაა. თუ ზედსართავი დამოუკიდებლად იხმარება (ე. ი. არ ახლავს საზღვრულს), მაშინ იგი იბრუნება შესაბამისი ფუძის არსებითი სახელის მსგავსად, ეწარმოება ორიკე მრავლობითი:

სახ.	დიდ-ი	დიდ-ებ-ი	დიდ-ნ-ი	წითელ-ი	პატარა
მოთხ.	დიდ-მა	დიდ-ებ-მა	დიდ-თა	წითელ-მა	პატარა-მ
მიც.	დიდ-ს	დიდ-ებ-ს	„	წითელ-ს	პატარა-ს
ნათ.	დიდ-ის	დიდ-ებ-ის	„	წითლ-ის	პატარ-ის
მოქმ.	დიდ-ით	დიდ-ებ-ით	—	წითლ-ით	პატარ-ით
ვით.	დიდ-ად	დიდ-ებ-ად	—	წითლ-ად	პატარა-დ
წოდ.	დიდ-ო	დიდ-ებ-ო	დიდ-ნ-ო	წითელ-ო	პატარა-ვ

ქართულში **ი** ხმოვანზე გათავებული ზედსართავის ფუძე არა გვაქვს. მხოლოდ დიალექტურია **კაი** (რომელიც მიდებულია **კარგი**-საგან). აქ **ი** წარმოშობით ბრუნვის ნიშანია, ფუძესთან შეზრდილი. გურულში **ი** ბრუნვის ნიშნადაა მიჩნეული: **„კა-ს გეტყვი" (ა. შანიძე).**

ცალკე აღებული ზედსართავი სახელი იშვიათად გამოიყენება: **„ავს** თუ **ავი** არ უწოდო, **კარგს** სახელად რა დავარქო?" (დ. გურამიშვილი). ჩვეულებრივ იგი განსაზღვრავს არსებით სახელს — საზღვრულს და მასთან ერთად იბრუნება.

მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ რა ტიპისაა მსაზღვრელი (ატრიბუტული თუ სუბსტანტიური), გათიშულია, გაუთიშავი თუ განმარტოებული, როგორია წყობა და მსაზღვრელის ფუძის დაბოლოება.

გ**ა**ნარჩევენ მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების 4 სახეობას. ესენია: 1) **სრული,** 2) **გარდამავალი,** 3) **შეკვეცილი,** 4) **ვულგარული.** აქედან თანამედროვე ქართულისათვის ძირითადია **გარდამავალი,** ძველისათვის კი დამახასიათებელი იყო სრული. შეკვეცილი სახეობა სალიტერატურო ქართულში უფრო იშვიათად გამოიყენება. ვულგარული დიალექტურია — სალიტერატურო ენისათვის მიუღებელი. დასაშვებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს სრული სახეობა მიცემითსა და ნათესაობითში, აგრეთვე, მოქმედებითსა და მიმართულებითში **(ს. ჯანაშია).**

სრული

სახ.	დიდ-ი	სახლ-ი
მოთხ.	დიდ-მა	სახლ-მა
მიც.	დიდ-ს	სახლ-ს
ნათ.	დიდ-ის	სახლ-ის
მოქმ.	დიდ-ით	სახლ-ით
ვით.	დიდ-ს	**სახლ-ად**
წოდ.	დიდ-ო	სახლ-ო

გარდამავალი

დიდ-ი	სახლ-ი
დიდ-მა	სახლ-მა
დიდ	**სახლ-ს**
დიდ-ი	სახლ-ის
დიდ-ი	სახლ-ით
დიდ	სახლ-ად
დიდ-ო	სახლ-ო

შეკვეცილი

სახ.	დიდ-ი	სახლ-ი
მოთხ.	დიდ-მა	სახლ-მა
მიც.	**დიდ**	**სახლ-ს**
ნათ.	დიდ	სახლ-ის
მოქ.	დიდ	სახლ-ით
ვით.	**დიდ**	**სახლ-ად**
წოდ.	დიდ-ო	სახლ-ო

ვულგარული

დიდ-ი	სახლ-ი
დიდ-ი	**სახლ-მა**
დიდ-ი	სახლ-ს
დიდ-ი	სახლ-ის
დიდ-ი	სახლ-ით
დიდ-ი	სახლ-ად
დიდ-ი	სახლ-ო

მართალია, მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების სრული სახეობა ძველი ქართულისათვის იყო დამახასიათებელი, მაგრამ ზოგჯერ დღესაც გამოიყენება გარდამავალი სახეობის პარალელურად, რაც სტილისტური ფაქტორით უფროა გამართლებული. მაგალითად, მსაზღვრელ-საზღვრული: ჩემი აზრით, დიდი ამბით გვხვდება სრული სახითაც: ჩემის აზრით, დიდის ამბით.

გ. მაჭავარიანის დაკვირვებით, თანამედროვე ქართულში საანალიზო მსაზღვრელ-საზღვრულიდან სრული სახეობა მაღალ, გამორჩეულ, მარკირებულ სტილს უნდა მივაკუთვნოთ, გარდამავალი კი — ჩვეულებრივ, ნეიტრალურ სტილად უნდა ვცნოთ. ისე კი გრამატიკულად ორივე სწორია თავთავის ადგილზე. ერთ-ერთი მათგანის ამორჩევა დამოკიდებულია სტილზე, რომელიც დამწერს ან მთქმელს მართებულად მიაჩნია. მაგალითად: „სტუმარი დიდის ამბით გააცილეს", „ჩემის აზრით, კაცში ადამიანობაა მთავარი" — ამ შემთხვევებში ამაღლებული სტილია. მაგრამ: „პური დიდი დანით დაჭრეს", „ამ საკითხში ჩემი აზრითაც იხელმძღვანელეს" — სტილი ნეიტრალურია და არ ვამბობთ: დიდის დანით, ჩემის აზრითაც

§ 50. ატრიბუტული მსაზღვრელის ბრუნება საზღვრულთან ერთად.

1. როცა ატრიბუტული მსაზღვრელის ფუძე თანხმოვანზე ბოლოვდება, წყობა პირდაპირია და გაუთიშავი, საზღვრულთან ბრუნების დროს იგი იცვლება შემდეგნაირად: სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში სრულად დაირთავს ნიშნებს, ნათესაობითსა და მოქმედებითში დარჩენილია ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი ნაწილი **ი**, მიცემითსა და ვითარებითში კი ფუძის სახითაა წარმოდგენილი.

ებიანსა და **თანიან** მრავლობითში მსაზღვრელი არ ეთანხმება საზღვრულს, შეთანხმება მხოლოდ **ნარიან** მრავლობითშია.

სახ.	წითელ-ი	ბურთ-ი	წითელი ბურთები	წითელ-ნი-ი	ბურთ-ნ-ი
მოთხ.	წითელ-მა	ბურთ-მა	წითელმა ბურთებმა	წითელ	ბურთ-თ-ა
მიც.	წითელ	ბურთ-ს	წითელ ბურთებს	„	„
ნათ.	წითელ-ი	ბურთ-ის	წითელი ბურთების	„	„
მოქ.	წითელ-ი	ბურთ-ით	წითელი ბურთებით	—	—
ვით.	წითელ	ბურთ-ად	წითელ ბურთებად	—	—
წოდ.	წითელ-ო	ბურთ-ო	წითელო ბურთებო	წითელ-ნო	ბურთ-ნ-ო

ფუძეკუმშვადი ზედსართავი სახელი მსაზღვრელად ბრუნებისას ერ იკუმშება (წითელ-ი ბურთ-ის. შდრ. წითელ-ი — წითლ-ის). როგორც ვხედავთ, ფუძე ბოლოთანხმოვნიანი ზედსართავი სახელი პირდაპირი წყობის დროს არსებითთან ბრუნებისას ნათესაობითსა და მოქმედებითში ნაწილობრივაა შეთანხმებული საზღვრულთან, დარჩენილია **ის** ბრუნვის ნიშნის **ი** ხმოვნითი ნაწილი[1] **(ა. შანიძე)**.

2. ფუ მსაზღვრელი სახელი მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ფორმისგანაა ნაწარმოები, მიცემითში ჩვეულებრივ დაირთავს **ს-ს**. თუ არ დავურთავთ, შეიძლება აზრი შეიცვალოს, მსაზღვრელი სხვა წევრად იქნეს გაგებული: დროებითს მთავრობას, შემთხვევითს მოვლენას, გულადს კაცს... მაგალითად, **დროებითს მთავრობას** შეუთანხმდნენ. შდრ. **დროებით მთავრობას** შეუთანხმდნენ („თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები", I).

3. როცა მსაზღვრელად გამოყენებულია არსებითი სახელი, მაშინ იგი ისევე იბრუნვის, როგორც ზედსართავი არსებითთან ერთად, გარდამავალი სახეობით. მაგრამ, თუ ასეთ მსაზღვრელად გამოყენებულია პროფესიის, თანამდებობის, ხარისხის აღმნიშვნელი სიტყვები, მაშინ იბრუნება შეკვეცილი სახეობით:

სახ.	ურემ-ი	შეშა	სტუდენტ-ი	მესხ-ი
მოთხ.	ურემ-მა	შეშა-მ	სტუდენტ-მა	მესხ-მა
მიც.	ურემ	შეშა-ს	სტუდენტ	მესხ-ს
ნათ.	ურემ-ი	შეშ-ის	სტუდენტ	მესხ-ის
მოქ.	ურემ-ი	შეშ-ით	სტუდენტ	მესხ-ით
ვით.	ურემ	შეშა-დ	სტუდენტ	მესხ-ად
წოდ.	ურემ-ო	შეშა-ვ	სტუდენტ-ო	მესხ-ო

4. თუ ბოლოთანხმოვნიანი მსაზღვრელი გათიშულია საზღვრულისაგან, მაშინ იგი ყველა ბრუნვაში დაირთავს ნიშანს. მაგალითად: შაქრიან-ი თქვა სიტყვა, შაქრიან-მა მომხიბლა სიტყვა-მ, შაქრიან-ს ეტყვის სიტყვა-ს...

5. როცა ატრიბუტული მსაზღვრელი ფუძებოლოხმოვნიანია, წყობა პირდაპირია და გაუთიშავი, მაშინ ზედსართავი არსებითთან ბრუნების დროს არცერთ ბრუნვაში არ დაირთავს ნიშანს — ფუძის სახითაა წარმოდგენილი; არც რიცხვშია შეთანხმებული.

სახ.	პატარა	ოთახ-ი	პატარა ოთახები	პატარა	ოთახ-ნ-ი
მოთხ.	პატარა	ოთახ-მა	პატარა ოთახებმა	პატარა	ოთახ-თ-ა
მიც.	პატარა	ოთახ-ს	პატარა ოთახებს	„	„
ნათ.	პატარა	ოთახ-ის	პატარა ოთახების	„	„
მოქმ.	პატარა	ოთახ-ით	პატარა ოთახებით	—	—
ვით.	პატარა	ოთახ-ად	პატარა ოთახებად	—	—
წოდ.	პატარა	ოთახ-ო	პატარა ოთახებო	პატარა	ოთახ-ნ-ო

[1] საგულისხმოა, რომ მსაზღვრელის ფუძე შეუკუმშავია მხოლოდ პირდაპირი წყობის დროს, შებრუნებული რიგის შემთხვევაში კი შეკუმშულია (როცა ბრუნვის ნიშნები სრულად დაერთვის: ბურთ-ის წითლ-ის).

ზედსართავი სახელის **შეუკუმშავი ფორმების** პოვხიერებას **არნ. ჩიქობავა** ხსნიდა კუმშვის მოდუნებით (იხ. ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება), უფრო მოგვიანებით კი წერდა: „ამ შემთხვევაში (ახალ-ი წიგნის) **ი** ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი ნაწილი კი არ არის, არამედ სახელობით.ს ფორმაა. ეს რომ ნათესაობითი იყოს, მაშინ ფუძე შეიკუმშებოდა: ახალი — ახლ-ის. შესაბამისად გვექნებოდა: ახლ-ი წიგნ-ის"...

გ. გოგოლაშვილის აზრით, ნათესაობითსა და მოქმედებითში ოდენხმოვნიანი სუფიქსი ვერ კუმშავს მსაზღვრელის ფუძეს.

როგორც ვხედავთ, **პატარა ოთახის** ტიპის მსაზღვრულ-საზღვრულის ბრუნებისას მსაზღვრელი უცვლელია, ფუძის სახითაა წარმოდგენილი, ნიშანს არ დაირთავს[1].

თუ ბოლოხმოვნიანი მსაზღვრელი საზღვრულისაგან გათიშულია, მაშინ მსაზღვრელი ყველა ბრუნვაში დაირთავს ნიშანს: მწვანემ მომხიბლა ფერმა, მწვანეს ეწვდება ფოთოლსა...

4. როცა მსაზღვრელ-საზღვრულის წყობა შებრუნებულია, მაშინ მნიშვნელობა არა აქვს, მსაზღვრელის ფუძე ბოლოთანხმოვნიანია თუ ბოლოხმოვნიანი, იგი ყველა ბრუნვაში დაირთავს ნიშანს.

სახ.	ბურთ-ი	წითელ-ი	ოთახ-ი	პატარა
მოთხ.	ბურთ-მა	წითელ-მა	ოთახ-მა	პატარა-მ
მიც.	ბურთ-ს	წითელ-ს	ოთახ-ს	პატარა-ს
ნათ.	ბურთ-ის	წითლ-ის	ოთახ-ის	პატარ-ის
მოქ.	ბურთ-ით	წითლ-ით	ოთახ-ით	პატარ-ით
ვით.	ბურთ-ად	წითლ-ად	ოთახ-ად	პატარა-დ
წოდ.	ბურთ-ო	წითელ-ო	ოთახ-ო	პატარა-ვ

პოსტპოზიციური წყობისას მსაზღვრელი მხოლოდ **ნარიან** მრავლობითში ეთანხმება საზღვრულს (ბურთნი წითელნი). იშვიათად შეიძლება გამონაკლისის სახით შეგვხვდეს შეთანხმების შემთხვევები **ებიან** მრავლობითშიც: მთები თავჩაჩქნიანები, ხმლები პირსისხლიანები (ვაჟა).

[1] ამასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა განსხვავებული თვალსაზრისი. თ. **უთურგაიძე** მართებულად აღნიშნავს, რომ ატრიბუტულ მსაზღვრელს, იმის გამო, რომ იგი ნულოვანი ალომორფით არის წარმოდგენილი ყველა ან რომელიმე ბრუნვაში, უბრუნველი ვერ დაერქმევა, ე. ი. ფუძეს ვერ ვუწოდებთ მას, რადგან ფუძე ლინგვისტური ანალიზის საჭიროებით გამოყოფილი ნაწილია სახელისა. რეალურ მოქმედ ენაში ფუძე არ არსებობს. სახელი ყოველთვის რომელსამე ბრუნვაშია და ეს ბრუნვის ნიშანი შეიძლება ნულოვანი ალომორფით იყოს გაძოხა*ული, როგორც, მაგალითად, სახელობითი ბრუნვის ნიშანი ხმოვანფუძიან არსებით სახელებთან (ძმა-∅ მოვიდა) და II სუბიექტური პირის ნიშანი ზმნებთან (შენ ∅აკეთებ საქმეს).

ზემოთქმულის მიხედვით, ხმოვანფუძიანი ატრიბუტული მსაზღვრელი ასე იბრუნება: პატარა-∅ ბავშვი, პატარა-∅ ბავშვმა, პატარა-∅ ბავშვს, პატარა-∅ ბავშვ-ის... ნულოვანი ალომორფი ყველა ბრუნვაში სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს, კერძოდ, იმავე ბრუნვის ფუნქციას, რომელშიც საზღვრული დგას (ამას ადასტურებს შებრუნებული წყობა: ბავშვ-მა პატარა-მ, ბავშვ-ს პატარა-ს...).

§ 51. სუბსტანტიური მსაზღვრელის ბრუნება საზღვრულთან ერთად.

1. როცა სუბსტანტიური მსაზღვრელი იბრუნების არსებითთან ერთად და წყობა პირდაპირია, თანაც გაუთიშავი, მაშინ მსაზღვრელი უბრუნველია, არ დაირთავს ნიშანს, არც მრავლობით რიცხვში ეთანხმება საზღვრულს.

სახ.	ხის სახლ-ი	ხის სახლები	ხის სახლნი
მოთხ.	ხის სახლ-მა	ხის სახლებმა	ხის სახლთა
მიც.	ხის სახლ-ს	ხის სახლებს	” ”
ნათ.	ხის სახლ-ის	ხის სახლების	” ”
მოქ.	ხის სახლ-ით	ხის სახლებით	— —
ვით.	ხის სახლ-ად	ხის სახლებად	— —
წოდ.	ხის სახლ-ო	ხის სახლებო	ხის სახლნო

2. თუ სუბსტანტიური მსაზღვრელი გათიშულია საზღვრულისაგან, მაშინ მსაზღვრელიც დაირთავს ნიშანს: **ვერცხლისას ვიყიდი ქამარს, ხისას ავაგებ სახლს...**

3. როცა მსაზღვრელ-საზღვრულის წყობა შებრუნებულია, მაშინ მსაზღვრელი ნიშნებს არ ღებულობს ყველა ბრუნვაში. კერძოდ: სახელობითსა და ვითარებითში გავრცობილი ფუძითაა, მოთხრობითსა და წოდებითში ნიშნებს დაირთავს, მოქმედებითი და ნათესაობითი არ ეწარმოება (ძველ ქართულში მსაზღვრელ-საზღვრულს ეს ბრუნვებიც ჰქონდა). **ნართანიან მრავლობითში შეთანხმებაა, ებიანში — არა.**

სახ.	სახლ-ი	ხისა	სახლ-ებ-ი	ხისა	სახლ-ნ-ი	ხისა-ნ-ი
მოთხ.	სახლ-მა	ხისა-მ	სახლ-ებ-მა	ხისა-მ	სახლ-თ-ა	ხისა-თ-ა
მიც.	სახლ-ს	ხისა-ს	სახლ-ებ-ს	ხისა-ს	”	”
ნათ.	—	—	—	—	”	”
მოქ.	—	—	—	—	—	—
ვით.	სახლ-ად	ხისა	სახლ-ებ-ად	ხისა	—	—
წოდ.	სახლ-ო	ხისა-ვ	სახლ-ებ-ო	ხისა-ვ	სახლ-ნ-ო	ხისა-ნ-ო

ამგვარი წყობა ახალი ქართულისათვის წიგნურია და ხელოვნურია. მაშასადამე, მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისათვის მნიშვნელობა აქვს წყობას. პრეპოზიციური რიგის დროს სუბსტანტი-

ური მსაზღვრელი მხოლოდ მართულია, პოსტპოზიციური წყობისას კი — მართული და მართულშეთანხმებული (**ა. შანიძე**)[1].

§ 52. წყობის როლი მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების დროს. ქართულში მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებიდან ირკვევა, რომ წყობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. როცა პრეპოზიციური წყობა გვაქვს, მაშინ მსაზღვრელი თითქმის უბრუნველია, მხოლოდ რამდენიმე ბრუნვაში აქვს ნიშანი შერჩენილი. მაგრამ, თუ გათიშულია ანდა წყობა შებრუნებულია, მაშინ მსაზრვრელი ყველა ბრუნვაში დაირთავს ნიშანს (იხ. ზემოთ).

რით აიხსნება ეს მოვლენა?

პრეპოზიციური წყობის დროს ნიშნების დართვა არაა აუცილებელი, რადგან მსაზღვრელს უშუალოდ მოსდევს საზღვრული (კონსტრუქცია ჩაკეტილია) და მსაზღვრელი სხვა წევრს ვერარ მიეკედლება. ინვერსიული წყობისას ან გათიშული მსაზღვრელის შემთხვევაში ბრუნვის ნიშნის დართვა იმიტომაა აუცილებელი, რომ არ გაწყდეს სინტაქსური კავშირი საზღვრულთან და მსაზღვრელი არ მიეკედლოს სხვა წევრს. მაგალითად:

მწვანე მინდორს ყვავილები ამშვენებს.

მინდორს **მწვანე ყვავილები** ამშვენებს (მსაზღვრელი მიეკედლა სხვა წევრს).

მინდორს მწვანეს ყვავილები ამშვენებს.

[1] მოგვიანებით **აკ. დავითიანმა** თავის წიგნში „ქართული ენის სინტაქსი“ ქართულისა და სხვა ევროპული ენების ვითარების მიხედვით საგანგებოდ შეისწავლა სინტაქსური დამოკიდებულების სახეები და დაასაბუთა, რომ **ხის კიბე, ხის სახლი** და მისთანებში **ხის** არ არის მართული მსაზღვრელი. აქ **ის** სუფიქსი ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი კი არაა, არამედ **ხის** მთლიანად ფუძეა, **ის** წარმოქმნის ელემენტია და ფუძეში შედის. **ხის კიბე** და **პატარა კიბე** — ორივე შეშთხვევაში უნიშნო მსაზღვრელები გვაქვს, სადაც ივარაუდება ნულოვანი აფიქსი (ხის-0 კიბე). მაშასადამე, ავტორის აზრით, **ხის კიბე** და მისთანანი შეთანხმებული მსაზღვრელ-საზღვრულია, როგორც რუსულში.

ეს მოსაზრება გაიზიარა **თ. უთურგაიძემ** და მიუთითა, რომ **ხის** (სახლი) ტიპის მსაზღვრელებში **ის** ისეთივე წარმოქმნის ელემენტია, როგორიცაა **ად, ით, ის**: გულად-ი კაცი, შემთხვევით-ი ამბავი, მის-ი საქმე... შესაბამისად გვექნება: ხის-0 სახლი, ხის-0 სახლ-მა... ხის ყველგან შეთანხმებულია.

საგულისხმოა, რომ ზემოთ წარმოდგენილი თვალსაზრისის სასარგებლოდ მეტყველებს ისიც, რომ საანალიზო მსაზღვრელი პოსტპოზიციური წყობისას ბრუნვაში ეთანხმება საზღვრულს: სახლ-ს ხისა-ს. შდრ. კიბე-ს პატარა-ს.

როგორც **არნ. ჩიქობავა** აღნიშნავს, ახალ ქართულში მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება მოდუნდა. მსაზღვრელის სინტაქსური დამკიდებულება საზღვრულზე სუსტდება და თანდათან ნულამდე დადის, როცა მსაზღვრელი უსწრებს საზღვრულს. „შებრუნებული წყობა თანამედროვე ქართულში იშვიათია, იგი ფასეულია მხოლოდ თეორიულად, შუქსა ჰფენს იმ ვანსაკუთრებულ როლს, რომელიც სიტყვათა წყობას ენიჭება მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსურ ურთიერთობაში. მსაზღვრელ-საზღვრულის გაფორმებისათვის, მსაზღვრელის ცვლისათვის ბრუნებისას“.

ლიტერატურა

გაბეჩავა რ. — ზედსართავ სახელთა ლექსიკურ-სტილურ თავისებურებებზე მუშაობის ძირითადი საშუალებანი: ქელს, 1973, № 2.

გოგოლაშვილი გ. — სახელის ფუძისეული ხმოვნის რედუქციასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი: ქესს, V, 1981.

დავითიანი აკ. — ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1973.

ზურაბიშვილი თ. — ხარისხი ქართველურ ენებში: თსუ, 67, 1957.

ზურაბიშვილი თ. — ოდნაობითის ფორმათა ისტორიისათვის ქართველურ ენებში: მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 29-ე № 5, 1962.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, 1970.

იმნაიშვილი ი. — სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957.

კალაძე ც. — საზღვრული სახელის რიცხვი ორ და მეტ მსაზღვრელთან ქსკს, II, 1979.

კალაძე ც. — საზღვრულის რიცხვი სიმრავლის აღმნიშვნელ მსაზღვრელთან: ქსკს, IV, 1981.

კიზირია ან. — სუბსტანტიური მსაზღვრელი: ქელს, 1987, № 1 — 4.

ლეჟავა ლ. — მსაზღვრელთა რიგი რამდენიმე არაერთგვარ მსაზღვრელებიან შესიტყვებაში: ქსკს, I, 1972.

ლერნერი კ. — აღმატებითი ხარისხის ჩამოყალიბება ქართულში: თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები, ტ. V, 1980.

ლორთქიფანიძე ქ. — მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობის ისტორიიდან ქართულში: თბილისის პუშკინის სახელობის ინსტიტუტის შრ., ტ. XIII, 1959.

მაჭავარიანი გ. — სალიტერატურო ენის ნორმირების ზოგიერთი საკითხი: ცისკარი, 1968, № 12.

მაჭავარიანი გ. — შედარებითი ხარისხის ფორმათა გენეზისისათვის ქართველურ ენებში: თსუ, 71, 1958.

რეხვიაშვილი გ. — ზედსართავი სახელი და მისი სემანტიკური ჯგუფები: „სკოლა და ცხოვრება“, 1964, 7.

რ ო გ ა ვ ა გ. — ზედსართავი სახელის თანაბრობითი ხარისხის გაქვავებული ფორმები ქართულში: იკე, XII, თბ., 1960.

უ თ უ რ გ ა ი ძ ე თ. — სახელის ფუძისათვის ქართულ ენაში: ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, თბ., 1986.

ყ ო რ ღ ა ნ ა შ ვ ი ლ ი უ. — ზედსართავი სახელის რაობის განსაზღვრისათვის: ქელს, 1968, № 3.

ყ ო რ ღ ა ნ ა შ ვ ი ლ ი უ. — ზმნასა და სახელზმნასთან ხარისხის წარმოების საკითხისათვის: ქელს, 1972, № 4.

ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა არ ნ. — იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1976.

ჯ ა ნ ა შ ი ა ს. — 1) ზედსართავ სახელთა წარმოება ნასესხებ სიტყვათაგან **ურ** სუფიქსით. 2) მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვაში: თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1970.

რიცხვითი სახელი

§ 53. რიცხვითი სახელის რაობა, მნიშვნელობა, ჯგუფები. რიცხვითი სახელი ძველ ბერძნულსა და ლათინურ გრამატიკებში დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილად არ იყო მიჩნეული. იგი გამოიყო შუა საუკუნეებში (მე-17 საუკუნიდან უკვე არსებობს).

რიცხვითი სახელი ჰქვია სიტყვას, რომელიც აღნიშნავს საგნის რაოდენობას, რიგს ან ნაწილს მთელთან შეფარდებით. ამის მიხედვით რიცხვითი სახელი სამგვარია: რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი.

რაოდენობითი რიცხვითი სახელი აღნიშნავს საგნის რაოდენობას. მისი კითხვაა რამდენი? — ერთი, ათი, ოცი...

რიგობითი რიცხვითი სახელი გამოხატავს საგნის რიგს. მისი კითხვებია: მერამდენე? რიგით რომელი? — მეორე, მეათე, მეოცე...

წილობითი რიცხვითი სახელი აღნიშნავს საგნის ნაწილს მთელთან შეფარდებით. მისი კითხვაა მერამდენედი? — მეათედი, მეასედი...

რაოდენობითი და რიგობითი რიცხვითი სახელები წინადადებაში გამოიყენებიან განსაზღვრებად, ზოგჯერ შეიძლება იყოს ქვემდებარე, დამატება ან შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი

(**სამი** ამხანაგი მოვიდა, **პირველმა მეორეს** დაუძახა, ორი და ორი **ოთხია**).

წილობითი რიცხვითი სახელი, ცალკე აღებული, არსებითი სახელია, საზღვრულთან ერთად ხმარებისას კი ზედსართავის ფუნქციას ასრულებს (**მეხუთედი** დატოვა; **მეხუთედი ნაწილი** გაყიდა). რიცხვითი სახელი სხვა მეტყველების ნაწილისაგან ვერ წარმოიქმნება, გამონაკლისია მხოლოდ **პირველი**. სამაგიეროდ, წარმოქმნისა და თხზვის მეშვეობით რიცხვითი სახელისაგან შეიძლება მივიღოთ არსებითი, ზედსართავი, ზმნა, ზმნიზედა: რვა→რვეული, ასი→ასეული, ერთი→ერთობა (არსებითი), ერთი→ერთნაირი, ერთფერი, ერთგული (ზედსართავი), ერთდება (ზმნა), ერთგან, ერთგზის (ზმნიზედა).

§ 54. რაოდენობითი რიცხვითი სახელი. მარტივი და რთული სახელები. რაოდენობითი რიცხვითი სახელები ძირეულია, რიგობითი და წილობითი — მისგან წარმოქმნილი.

რაოდენობითი რიცხვითი სახელი გამოხატავს **გარკვეულ** (განსაზღვრულ) და **გაურკვეველ** (განუსაზღვრელ) რიცხვს. გარკვეული რიცხვის აღმნიშვნელი სიტყვებია: ერთი, ორი, ათი, ასი... ისინი იხმარებიან ისეთი საგნის სახელთან, რომელიც შეიძლება დავთვალოთ: ათი ვაშლი, ოცი ბავშვი..

გაურკვეველ რიცხვს გამოხატავს: ბევრი, მრავალი, ცოტა, მცირედი, ურიცხვი, უთვალავი, უამრავი. ამათი მნიშვნელობა ციფრებით არ გადმოიცემა

ბევრი ძველ ქართულში გარკვეული რიცხვითი სახელი იყო, უდრიდა **ათი ათასს. მილიონი** ძველად იხმარებოდა მანძილის საზომ ერთეულად, **1000 ნაბიჯს** ეტოლებოდა.

ერგასი=50-ს. ეს სიტყვა რთულია: ერგ+ასი=ასის ნახევარი, ასის შუა. **ზოგი** უდრიდა $\frac{1}{2}$ -ს (**ი. იმნაიშვილი**). **ასი** აქადური სიტყვაა, მისი მნიშვნელობით ძველ ქართულში იხმარებოდა **ხუთოცი.**

ფუძის შედგენილობის მიხედვით რაოდენობითი რიცხვითი სახელი ორგვარია: მარტივი და რთული.

მარტივია სახელი, რომელიც ერთი ფუძისაგან შედგება. ასე-

თებია: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 20, 100. სულ '12[1].

რთული ჰქვია ისეთ რიცხვით სახელს, რომელიც შედგება რამდენიმე ფუძისაგან. რთული ფუძე მიიღება უკავშირო შეერთებით (ათასი, თხუთმეტი) ან **და** კავშირის საშუალებით (ოცდაერთი, ოცდათორმეტი). რთული ფუძე შეიცავს: მარტივსა და მარტივს (ოცდაორი), მარტივსა და რთულს (ოცდათხუთმეტი), რთულსა და მარტივს (სამოცდაორი), რთულსა და რთულს (ოთხმოცდათვრამეტი).

თერთმეტი (და სხვა დანარჩენი ოცამდე) მიღებულია **ათერთმეტი**-საგან (ათი+ერთ+მეტი). დროთა განმავლობაში ჩამოსცილდა პირველ ფუძეს თავკიდური **ა**, რითაც ნაწილობრივ დაბნელდა სიტყვის სემანტიკური მნიშვნელობა, თუმცა მისი აღდგენა მაინც შეიძლება.

რთულად ითვლება ისეთი რიცხვითი სახელიც, რომელიც რიცხვს რამდენიმე ცალკე სიტყვის შეკავშირებით გადმოსცემს: ორას ხუთი (205), ათას ცხრაას ოცი (1920)... ამგვარ სახელებს შედგენილსაც უწოდებენ. მათ ახასიათებთ ინტონაციური მთლიანობა.

რაოდენობას გამოხატავს ავრეთვე სიტყვები: რამდენიმე, იმდენი, ყველა... მაგრამ თითოეული მათგანი ნაცვალსახელია და არა რიცხვითი სახელი.

§ 55. ქართული თვლის სისტემა. რიცხვებს ათამდე დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს: ერთი, ორი, სამი... ათი. მაგრამ ყველა ენაში ასე როდია. მაგ., ტასმანიურში (ავსტრალია) ასეთი სახელი მხოლოდ ერთის, ორისა და სამისათვის არსებობს. დანარჩენი რიცხვები მიიღება ამ რიცხვების მიმატებით: 4=3+1, 5=3+1+1 და. ა. შ.

რიცხვები ათამდე მარტივი ანუ პირველი თანრიგის ერთეულებია. ათეული უკვე თვლის ახალი ერთეულია. ყოველი ახალი რიცხვი 11-დან 19-ის ჩათვლით ათეულზე ერთეულის მიმატებით არის მიღებული: 13=10+3.

21-დან 99-მდე მონაწილეობს თვლის ახალი ერთეული ოცი: 21=20+1. მხოლოდ ოცეულებისაგან შედგება ორმოცი, სამოცი, ოთხმოცი.

[1] ზოგიერთ მკვლევარს მარტივად მიაჩნია **მილიონი** და **მილიარდიც**, მაგრამ ტრადიციულად მათ ქართული მარტივი რიცხვითი სახელების გვერდით არ ასახელებენ, როგორც უცხოური წარმოშობის სიტყვებს.

ასს ზევით ყველა ახალი სათვალავი ერთეული წინა ერთეულის ათზე გამრავლებითაა მიღებული: 10000=10×1000.

მაშასადამე, **ა. შანიძის** სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქართული თვლის სისტემა შერეული სახისაა: ნაწილობრივ ათობითია და ნაწილობრივ — ოცობითი. ათობითის სისტემისაა ქართული თვლა ერთიდან ოცამდე და ასს ზევით, ოცობითია 20-დან 100-მდე. ეს შეიძლება ავხსნათ იმით, რომ სხვადასხვა დიალექტს ჰქონდა სხვადასხვა თვლის სისტემა (როგორც სვანურშია დღეს: ორ დიალექტში ათობითია, ორში — ოცობითი) და ამან ზეგავლენა მოახდინა სალიტერატურო ენაზე".

სხვა მოსაზრებით, „ქართულისათვის თვლის სისტემა უნდა განისაზღვროს ოციდან 100-ის ფარგლებში. ჰმის მიხედვით, ქართული თვლის სისტემა ტიპიური **ოცობითია**" (**ალ. გვენცაძე**).

ჩვენი ენის თვლის სისტემა რთულია. ამგვარი სისტემა ახასიათებს ფრანგულს. საერთოდ, თვლის სისტემა ენებში განსხვავებულია. მაგ., რუსულში ათობითია (გამონაკლისია მხოლოდ ორმოცი), ზოგ ენაში ხუთობით თვლიან, ზოგში — ათობით, ოცობით. ქართული ენის მთის კილოებში ოცობით თვლიან არა მარტო ოციდან ასამდე, არამედ ასს ზევითაც: ხუთოცი, ექვსოცი.

წოვათუშები ასე თვლიან: ოცჯეროც ექვსოც სამი (20.20)+ +(6.20)+3=400+120+3=523.

თვლის სისტემა ოცდან ასამდე და რიცხვების ციფრებით წერა ერთმანეთს არ ეფარდება. თვლა 20-დან ასამდე ოცობითია, ციფრების წერის სისტემა კი — ათობითი. მაგ., გამბობთ: „ორმოცდათორმეტი", იწერება 52.

საზოგადოდ ციფრი ორგვარია: რომაული და არაბული. რომაული სისტემის რიცხვების გადმოსაცემად გამოყენებულია შვიდი ნიშანი: I, V, X, (50), L (100), O (500), M (1000), არაბული სისტემით კი — ათი: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 0.

არაბული ციფრების შემოღებამდე რიცხვებს ასოების საშუალებით გამოხატავდნენ. ასოებით ციფრების გამოხატვის სისტემა ასეთი იყო: ანბანის პირველი ცხრა ასო ერთეულებს აღნიშნავდა, მომდევნო 9 — ათეულებს, შემდეგ 9 — ასეულებს, უკანასკნელი 9 — ათასეულებს, სულ უკანასკნელი ასო (ჰოი) უდრიდა ათი ათასს (ბევრს).

	1	2	3	4	5	6	7	8	9
ერთეული	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	ჱ	თ
ათეული	ი	კ	ლ	მ	ნ	ჲ	ო	პ	ჟ
ასეული	რ	ს	ტ	უ	ფ	ქ	ღ	ყ	შ
ათასეული	ჩ	ც	ძ	წ	ჭ	ხ	ჯ	ჰ	ჱ
ბევრეული	ჯ								

ცხრილის მიხედვით: ჩყა=1801, ცფ=2500[1].

ა. შანიძის აზრით, ქართველები ასოებს მე-18 საუკუნემდე ხმარობდნენ რიცხვების გამოსახატავად. ასოებით წერის დროს თვლა ათობით იყო და გამოითქმებოდა ოცობით. მაგალითად, იწერებოდა **ლა,** რაც ამას ნიშნავდა: სამ-ათ და ერთი (30 და 1), მაგრამ გამოითქმოდა ოც-და-თერთ-მეტი.

ძველ ქართულში ოცობითი თვლა ცოტა განსხვავებული იყო. მაგალითად, გვქონდა **ორმეოცი, სამეოცი, ოთხმეოცი...** ახალ ქართულში ეს სახელები გამარტივდა — დაიკარგა **მე** ელემენტის **ე** ხმოვანი (ორმოცი, სამოცი, ოთხმოცი). სვანურის ჩვენებათა საფუძველზე გაირკვა, რომ ამ რიცხვით სახელებში **მე** ელემენტი **ჯერ, ხელ, გზის** ნაწილაკების ფუნქციის მატარებელია: ორმეოცი=ორჯერ ოცი **(ვ. თოფურია).**

§ 56. რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელების წარმოება. რიგობითი რიცხვითი სახელი იწარმოება რაოდენობითისაგან **მე—ე** აფიქსების დართვით: ორი — მე-ორ-ე, სამი — მე-სამ-ე. გამოთქმულია მოსაზრება, რომ მე—ე ისტორიულად ივივე ოდენობაა, რაც ხელობის მაწარმოებელი **მე — ე** (მებაღე).

და-თი შეერთებული რაოდენობითი რიცხვითი სახელებისაგან ნაწარმოებ რიგობითს **მე—ე** უნდა დაერთოს **და** კავშირის შემდგომ ფუძეზე: ოცდაერთი — ოცდამეერთე...

განსხვავებულად იწარმოება რიგობითი რიცხვითი სახელი **პირველი.** ერთი შეხედვით, იგი ძალიან ჰგავს რუსულ **первый**-ს.

[1] ასოების რიცხვითი მნიშვნელობისა და სახელწოდებათა შესახებ დაწვრილებით იხ. **რ. პატარიძის** „ქართული ასომთავრული“ (თბ., 1980).

მაგრამ, **ა. შანიძის** აზრით, მას საფუძვლად უდევს ქართული სიტყვა **პირი.** პირ-ვ-ელ-ი ნიშნავს პირისაკენ მდგომს, წინ მდგომს.

პირველის პარალელურია **მეერთე.** იგი იხმარება რთულ სახელებში: ოცდამეერთე, ორმოცდამეერთე.

ძველ ქართულში **მეორე**-ს მნიშვნელობით გამოიყენებოდა **სხვა.** დღეს იგი იშვიათია.

წილობითი რიცხვითი სახელი ნაწარმოებია რიგობითი რიცხვითი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმისაგან, ე. ი. რიგობითი რიცხვითი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმა წილობითის ფუძეა. მეასე — მეასე-დ — მეასედ-ი. **ერთი**-ს წილობითია **მეერთედი.** იგი რთული შედგენილობის რიცხვებში იხმარება.

წილობითის მსგავსადაა ნაწარმოები **პირველადი,** მაგრამ იგი ზედსართავია და არა წილობითი.

წილობითი სახელია **ნახევარი,** რომელიც გამოიყენება **მეორედის** ნაცვლად. **ნახევარი** სახელს დაერთვის უკავშიროდ: კილო-ნახევარი, ფუძე-ნახევარი...

წილობით სახელთა სისტემაშია მათემატიკიდან შემოსული **ნული.**

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ წილობითი რიცხვითი სახელების წარმოება რიგობითისაგან ძველმა ქართულმა არ იცოდა. მაშინ წილობითს გამოხატავდა: 1) **ნა-ალ** აფიქსები (ნა-ათ-ალ-ი), 2) **ეულ** სუფიქსიანი რიცხვითი სახელი $\left(\text{ხუთეული}=\frac{1}{5}\right)$, 3) რიგობითი რიცხვითი სახელი **ნაწილი** სიტყვის დამატებით (მეათე ნაწილი). აქედან ძირითადი მაინც **ნა—ალ** აფიქსიანი წარმოება იყო. იგი იმდენად ადრინდელი ჩანს, რომ შესაბამისი ფორმები ძველ საეკლესიო ლიტერატურო ქართულშიც კი სანთლით საძებარია. **ნა—ალ** კონფიქსიანი წარმოება საერთო ქართველურია. მეგრულში დღესაც ძირითადია ასეთი სახის წილობითი: **ნაანთხალი — მეოთხედი.**

წილობითი რიცხვითი სახელების წარმოების მრავალფეროვნება ახასიათებს სხვადასხვა დიალექტური წრის მონაცემებით. კერძოდ, საინტერესოა, რომ ერთი დიალექტური ფენა წილობითს აწარმოებდა **ნა—ალ** კონფიქსით, მეორე — **ეულ** სუფიქსიანი რიცხვითი სახელით, მესამე **ნაწილ** სიტყვას იყენებდა ამ მნიშვნელობით. შესაბამისად ეს სქემგვარი წარმოება შემოვიდა სალიტერატურო ქართულში და გამოიყენებოდა პარალელურად, როგორც სინონიმები.

პარალელური ხმარების ეს პროცესი მანამდე გრძელდებოდა, სანამ ენამ საბოლოოდ **მეათედი** ტიპის წარმოებას არ მისცა უპირატესობა.

მეათედი ტიპის წილობითი სახელების წარმოება სათავეს ძველსავე ქართულში იღებს, მაგრამ დიდი დრო დასჭირდა, რომ იგი საბოლოოდ დამკვიდრებულიყო, როგორც ერთადერთი ყალიბი. ეს საბოლოო დამკვიდრება მე-19 საუკუნიდან იწყება **(ი. იმნაიშვილი, ირ. ვეშაპიძე)**.

§ 57. რიცხვითი სახელის ბრუნება ცალკე და არსებითთან ერთად. რაოდენობითი რიცხვითი სახელი ფუძის დაბოლოების მიხედვით ყველა ბოლოთანხმოვნიანია (გარდა რვისა და ცხრისა). ასეთი ფუძე უკუმშველია. გამონაკლისია ამათგან **მილიონი**, რომელიც დიალექტებში წარმოდგენილია **მილიონები** ფორმით **(ა. შანიძე)**.

რიგობითი რიცხვითი სახელი ფუძის დაბოლოების მიხედვით ყველა ბოლოხმოვნიანია და კვეცადი, გარდა **პირველისა**.

წილობითი რიცხვითი სახელი ბოლოთანხმოვნიანი და ფუძეუკუმშველია.

რიცხვითი სახელი ცალკე აღებული ისევე იბრუნვის, როგორც შესაბამისი ფუძის არსებითი სახელი, ოღონდ არ ექნება წოდებითი ბრუნვა და **ებიანი** მრავლობითის ფორმა, **ნართანიანიც** იშვიათად ეწარმოება.

სახ.	ათ-ი	ათ-ნ-ი
მოთხ.	ათ-მა	ათ-თა
მიც.	ათ-ს	„
ნათ.	ათ-ის	„
მოქმ.	ათ-ით	—
ვით.	ათ-ად	—
წოდ.	—	—

რიცხვითი სახელი, ჩვეულებრივ, აღნიშნავს საგნის რაოდენობას, ამდენად, იგი ახლავს არსებით სახელს და მასთან ქმნის მსაზღვრელ-საზღვრულს. რიცხვითი სახელი **ატრიბუტული მსაზღვრელია.**

რიცხვითი სახელი არსებითთან ერთად ისევე იბრუნვის, როგორც შესაბამისი ფუძის ზედსართავი არსებითთან ერთად.

სახ.	სამ-ი	ძმა	რვა ხე	სამ-ნ-ი	ძმა-ნ-ი	რვა-ნ-ი	ხე-ნ-ი
მოთხ.	სამ-მა	ძმა-მ	რვა ხე-მ	სამ-თა	ძმათ-ა	რვა-თა	ხე-თ-ა
მიც.	სამ	ძმა-ს	რვა ხე-ს	„	„	„	„
ნათ.	სამ-ი	ძმ-ის	რვა ხ-ის	„	„	„	„
მოქმ.	სამ-ი	ძმ-ით	რვა ხ-ით	—	—	—	—
ვით.	სამ	ძმ-ად	რვა ხე-დ	—	—	—	—
წოდ.	(სამ-ო	ძმა-ო)	(რვა-ო, ხე-ო)	—	—	—	—

როგორც ვხედავთ, რიცხვითი სახელი წოდებითს ვერ აწარმოებს, იშვიათად (ისიც უფრო პოეზიაში) შეიძლება შეგვხვდეს ასეთი ფორმები: „ო, ძვირფასო **ოთხო წელიწადო**“ (ილია), **„ორო ჯადარო**“ (გალაკტიონი).

რიცხვითი სახელის მრავლობითი რიცხვის წარმოება საერთოდ ფორმალურია, ე. ი. ფორმით არის მრავლობითი, რადგან **ნ** და **თ** ნიშნები აქვს, მაგრამ მრავლობითობის შინაარსი (მხოლობითისაგან განსხვავებული) არ ახლავს.

რაოდენობითი რიცხვითი სახელი ზოგჯერ **ებიან** მრავლობითშიც გვხვდება: **ორები, სამები, ოთხები, ხუთები**, მაგრამ ეს ფორმები არსებითი სახელების ფუნქციას ასრულებენ. **ხუთები** ნიშნავს **ბევრ ხუთს.**

§ 58. ნაწილაკიანი რიცხვითი სახელები. რიცხვით სახელს შეიძლება დაერთოს ნაწილაკები: **ც (ცა)**, **ღა**, **ვე**, **ოდე**.

ც (ცა) და **ღა** მოუდის როგორც თანდებულიან, ისე უთანდებულო სახელს: ათი-ც, ათ-ცა-ც, ათი-ღა, ათით-ღა...

ოდე (ოდენ) დასახელებულ რიცხვთან მიახლოების გამომხატველია. მაგ., სამიოდე უდრის დაახლოებით სამს. **ოდე** ნაწილაკს, ჩვეულებრივ, შეზრდილია სახელობითი ბრუნვის ფორმასთან და ისევე იბრუნვის, როგორც ფუძეუკვეცელი სახელი: ათიოდე, ათიოდე-მ, ათიოდე-ს, ათიოდე-ს-თვის... **ოდე** ნაწილაკიან რიცხვით სახელს მრავლობითი არა აქვს. **ვე** შეხორცებულია სახელობითის ფორმასთან და ფუძეში შედის: ორივე, ორივე-მ ორივე-ს, ორივე-ს-ი, ორივე-თი, ორივე-დ. იშვიათად **ვე** ნაწილაკი შეუხორცებლადაც შეიძლება შეგვხვდეს: ორმა-ვე, ორსა-ვე, ორისთვის-ვე, ორით-ვე... ამ პარალელურ ფორმათაგან უპირატესობა ნაწილაკშეზრდილ ფორმებს ეკუთვნის, თუ რიცხვი მხოლობითია.

თანიან მრავლობითში **ვე** შეუზრდელია (ორთავე), სახელობითში ორივე გვხვდება: ორივე-ნ-ი//ორ-ნ-ი-ვე.

სალიტერატურო ქართულისათვის მიუღებელია ასეთი ფორმები: ორთავენი მოვიდნენ, ორთავემ დაწერა (დაწერეს). უნდა იყოს: ორივე მოვიდა, ორივემ დაწერა.

§ 59. რიცხვითი სახელის მართლწერა. რიგობითი რიცხვითი სახელის გამოსახვა რომაული და არაბული ციფრებით. რიცხვითი სახელი ფორმისა და წარმოების თვალსაზრისით მრავალფეროვანია. მას უკავშირდება მართლწერის რამდენიმე წესი:

I. 1) როცა მსაზღვრელად რიცხვითი სახელია, მაშინ მასთან მდგომი საზღვრული (არსებითი) მხოლობით რიცხვში უნდა იყოს: ორი ბავშვი, სამი ძმა... და არა: ორი ბავშვები, სამი ძმები...

2) ფუძეგაორკეცებული და სხვადასხვა რიცხვით სახელთა შეერთებით მიღებული რთული სახელები იწერება დეფისით: სამ-სამი, ას-ასი... ათი-თორმეტი, ოცი-ოცდაათი.

3) **ნახევარი** დეფისით გამოეყოფა იმ სახელს, რომელსაც ის უკავშიროდ დაერთვის: ოთხ-ნახევარი, ტონა-ნახევარი...

4) რთული რიცხვითი სახელები ასის ფარგალში და ასეულების აღმნიშვნელი რიცხვითები იწერება ერთად: ოცდაერთი, ცხრაასი... ხოლო რიცხვითი სახელები ასს ზევით (გარდა ასეულების აღმნ-შვნელი რიცხვებისა) იწერება ცალ-ცალკე: ას ორი, სამას ერთი, ორი ათას ხუთას ოცდაცამეტი...

5) რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელები ერთ სიტყვად დაიწერება: ასმეერთე, ხუთასოცდამეცამეტე, ასმეათედი.

6) ათასეულთა აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები ათასს სახელობითი ბრუნვის ფორმით უნდა შეეწყოს ყველა ბრუნვაში: ორი ათასი კაცი, ორი ათასმა კაცმა, ორი ათას კაცს...

II. როცა რომაული ციფრებით ვწერთ რიგობით რიცხვით სახელს, მაშინ მას მაწარმოებელი არ უნდა: X კლასი, XXI საუკუნე... მაგრამ არაბული ციფრებით გამოხატვისას უნდა დავიცვათ შემდეგი წესები:

1. თუ რიგობითი რიცხვითი სახელი მარტივფუძიანია ან უკავშიროდაა შეერთებული, მაშინ ჯერ იწერება **მე** პრეფიქსი და შემდეგ ციფრი: მე-5, მე-19, მე-100.

2. როცა რიგობითი რიცხვითი სახელი **და** კავშირითაა შეერთებული, მაშინ ჯერ იწერება ციფრი და შემდეგ ბოლოში **ე**: 25-ე, 52-ე...

რიცხვის ციფრით გამოხატვისას ფუძეზე დართული ელემენტები — ბრუნვის ნიშანი (გარდა სახელობითისა), ნაწილაკი და თანდებული — დეფისით გამოეყოფა ციფრს 1-მა, 5-სა და 3-ს... I-ც. II-ში.

პირველი არაბული ციფრით ასე გამოიხატება: 1-ლი, 1-ლში...

რიცხვების ციფრებით წერას საერთაშორისო გამოყენება აქვს. რაოდენობითი და წილობითი რიცხვები არაბული ციფრით იწერება, რიგობითი კი ორივეთი — არაბულითა და რომაულით.

ლიტერატურა

ბასილაია ნ. — ქართული მართლწერის საკითხები, ნაკვეთი I, სოხუმი, 1960.

გვენცაძე ალ. — ქართული ენის რიცხვითი სახელი, 1972.

გოთუა ლ. — ფრიად მომწიფებული საკითხი (ქართული თვლის სისტემის შესახებ): ცისკარი, 1960, № 2.

დოლიძე გ. — რიცხვითი სახელების წერა და გამოთქმა ქართულ ენაში: ცისკარი, 1959, № 6.

ვეშაპიძე ირ. — წილობითი სახელები და მათი ტოლფარდი გამოთქმები საშუალ ქართულში: ქართული ენა (წერილების კრებული), თბ., 1984.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1970.

თოფურია ვ. — ოცობითი თვლის სისტემისათვის ქართველურ ენებში: თხზულ. III, 1979.

თოფურია ვ. — ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1965.

იმნაიშვილი ი. — სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1975.

კვაჭაძე ლ. — ქართული ენა, ნაწილი I, თბ., 1981.

კიზირია ან. — რიცხვით სახელთან დაკავშირებული საკითხები: „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1939, № 2.

შანიძე ა. — ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973.

შანიძე ა. — ოცობითი თვლის გაკვლენა ძველ ათობით წერაზე: თხზულ. ტ. II, 1981.

შანიძე ა. — გადაუდებელი საქმე (ქართული თვლის სისტემის შესახებ): ცისკარი, 1960, № 6.

ჩიქობავა არნ. — ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება: ქეგლ, I, 1950.

ნაცვალსახელი

§ 60. ნაცვალსახელის მნიშვნელობა და ფუნქცია. ნაცვალსახელი უძველესი მეტყველების ნაწილია. იგი მომდინარეობს დიონისე თრაკიელის გრამატიკიდან.

„ნაცვალსახელი ჰქვია ისეთ სიტყვას, რომელიც ფრაზაში ეკვივალენტია რომელიმე სახელისა (არსებითის, ზედსართავისა და რიცხვითი სახელის)“ **(ა. შანიძე)**. მაშასადამე, ნაცვალსახელი არის მეტყველების ნაწილი, რომელიც იხმარება არსებითის, ზედსართავისა და რიცხვითი სახელის ნაცვლად. ამის მიხედვით, იგი მიუთითებს საგანზე, მის ნიშან-თვისებაზე, რიცხვზე, კუთვნილებაზე, მაგრამ ისე, რომ არ ასახელებს მას.

სხვაგვარად ნაცვალსახელს ასე განსაზღვრავენ: ნაცვალსახელი ზოგადად აღნიშნავს საგანს, მის ნიშან-თვისებას ან რაოდენობას და იცვლება ბრუნვათა მიხედვით.

„ნაცვალსახელი ერთგვარ მაგვარობას, ნაცვლობას ეწევა სახელებისას, ამიტომ დაერქვა „ნაცვალსახელი“ ანუ **„სახელთანაცვალი“**. ეს უკანასკნელი უფრო მართებულია. შემოკლებით მას შეიძლება ეწოდოს „ნაცვალი“ **(ა. შანიძე)**.

ზ. შანშოვანმა ამ მეტყველების ნაწილს უწოდა „სახელდართული და ოთხი“ ტერმინი „სახელთნაცვალი“ („ნაცვალსახელი“) ძმდინარეობს **ანტონის** გრამატიკიდან.

ნაცვალსახელი რთული და თავისებური მეტყველების ნაწილია. იგი ყველაზე ზოგადი და განყენებული სიტყვაა. ამ თავისებურების გამო ფიქრობენ, რომ ნაცვალსახელი ყველაზე ადრინდელი წარმონაქმნია.

ნაცვალსახელი ქართულ ლინგვისტიკაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სამი თვალსაზრისით: 1) მეტყველების ნაწილთა შორის ის საკმაოდ ძველია და ამიტომაა დეფექტურად წარმოდგენილი: ზოგი მათგანი სულ არ იცვლება და აქ მხრივ შესამჩნევი კავშირი აქვს ზმნიზედასთან; თუ იცვლება, ყველა ფორმის წარმოება არ შეუძლია. 2) როგორც ძველი მეტყველების ნაწილი, გამოყენებულია მორფოლოგიურ ელემენტებად — ბრუნვისა და პირის ნიშნებად. 3) ნაცვალსახელები ისეთი უბანია, სადაც ყველაზე მეტია მსგავსება სულ სხვადასხვა სისტემის ენათა შორის არა მარტო სტრუქტურის მხრივ, არამედ მატერიალურ ნაწილშიც **(ვ. თოფურია)**.

ნაცვალსახელისათვის ძირითადია მცვლელის ფუნქცია. მაგალითად: **ვანო** ბეჯითი მოსწავლეა, **ის** ხუთოსანია; ნინომ **ლამაზი** სურათი იყიდა, **ასეთივე** სურათი აჩუქა ძმასაც; ოთახში **ოცი** მერხია, **ამდენივე** არის დერეფანში.

ნაცვალსახელს საკუთარი კითხვები არა აქვს. იგი მიუგებს მას მიერ შეცვლილი მეტყველების ნაწილების კითხვებზე.

მოხმარების თვალსაზრისით ნაცვალსახელი ორგვარია:

1) ნაცვალსახელი, რომელიც არსებითისებრ გამოიყენება (ის ვინც).

2) ნაცვალსახელი, რომელიც მსაზღვრელად ახლავს სახელს, გამოიყენება ზედსართავისებრ (ის წიგნი).

ნაცვალსახელს ზეპირსა თუ წერითს მეტყველებაში დიდი გამოყენება აქვს. მისი საშუალებით შეგვიძლია თავიდან ავიცილოთ ერთი და იმავე სიტყვის განმეორება.

შინაარსის მიხედვით ტრადიციულად ქართულში ნაცვალსახელებს 10 ჯგუფი გამოიყოფა. ესენია: პირის, ჩვენებითი, კითხვითი, კუთვნილებითი, კითხვით-კუთვნილებითი, მიმართებითი, ურთიერთობითი, განსაზღვრებითი, განუსაზღვრელობითი, უარყოფითი[1].

ნაცვალსახელი ბრუნებადი სიტყვაა. იგი შეიძლიება იხმარებოდეს ცალკე და არსებითთან ერთად. ნაცვალსახელი ატრიბუტული მსაზღვრელია (ნაცვალსახელების ბრუნება და თავისებურებანი განხილულ იქნება თითოეული შინაარსობრივი ჯგუფის დახასიათებისას).

§ 61. პირის ნაცვალსახელები და მათი ბრუნება. პირი სამია ქართულში: I, II, III; პირველი პირი მოუბარია, მეორე თანამოსაუბარი, მესამე კი — საუბრის საგანი.

I პირის ნაცვალსახელებია: მე, ჩვენ.

II პირის ნაცვალსახელებია: შენ, თქვენ.

---

1 **შ. კეკელიასა** და **ა.კ. დავითიანის** ქართული ენის სახელმძღვანელოში ნაცვალსახელის 11 ჯგუფია დასახელებული. აქ პირის ნაცვალსახელის შემდეგ ცალკე სახედაა შეტანილი **უკუქცევითი** ნაცვალსახელი **თავი**, ხოლო **ა. შანიძისა** და **ლ. კვაჭაძის** სასკოლო სახელმძღვანელოში 9 ჯგუფია წარმოდგენილი, არაა ურთიერთობითი.

III პირის ნაცვალსახელებია: ეს, ეგ, ის, იგი, ესენი, ეგენი, ისინი, თავი.

ამითგან საკუთრივ პირის ნაცვალსახელებია პირველი და მეორე პირისა, III პირის ნაცვალსახელები ორფუნქციანები არიან: ისინი აღნიშნავენ პირსაც და გამოდიან ჩვენებითი ნაცვალსახელის როლშიც.

ეს, ეგ, ის სამივე მესამე პირის ფორმაა, მაგრამ განსხვავდებიან იმით, რომ გამოხატავენ სხვადასხვა პირთან სიშორე-სიახლოვეს. კერძოდ: **ეს** იზმარება, როცა საგანი I პირთანაა ახლოს; **ეგ** ითქმის იმაზე, ვინც (ან რაც) II პირთანაა ახლოს. **ის** მესამე პირის მისათითებელი ნაცვალსახელია.

ვ. თრფურიას აზრით, სიშორე-სიახლოვეს გამოხატავენ ამ ნაცვალსახელთა თავკიდური ხმოვნები: **ე** — პირველსა და მეორე პირში, **ი** — მესამეში. **ე**-ს ორმაგი ფუნქცია მეორეული მოვლენა უნდა იყოს. პირველ პირში **ე**-ს ადგილას იქნებოდა **ა** ხმოვანი. საბოლოოდ შეიძლება აღდგეს თავდაპირველი წარმოებაც: **აგი** (I პ), **ეგი** (II პ), **იგი** (III პ), შესადარებლად მოვიგონოთ დიალექტური **აგი წიგნი**.

I და II პირის ნაცვალსახელები მხოლოდ ადამიანს აღნიშნავენ, III პირისა კი თანაბრად გამოიყენებიან ადამიანთა და სხვა დანარჩენ სახელთა მიმართ.

თავი, ჩვეულებრივ, არსებითი სახელია (თავი დაიბანა). მაგრამ III პირის ნაცვალსახელის ფუნქციით გვევლინება მაშინ, თუ ის პიროვნებას გულისხმობს (თავი ისახელა, თავი მოიკლა). სხვებისაგან განსხვავებით, ამ ნაცვალსახელს **უკუქცევითს** ეძახიან.

როცა პირის ნაცვალსახელების შესახებ ვმსჯელობთ, მხედველობაში გვაქვს I და II პირი, რომელთა ნაცვალსახელების ერთადერთი ფუნქციაა პირის აღნიშვნა. ამიტომაც **მე, ჩვენ, შენ, თქვენ** საკუთრივ პირის ნაცვალსახელებია.

I და II პირის ნაცვალსახელები ძირეული სიტყვებია, ფორმას არ იცვლიან. მათ არ გააჩნიათ ბრუნვისა და რიცხვის კატეგორიები, რამდენადაც არ ღებულობენ ბრუნვისა და რიცხვის ნიშნებს. „პირის ნაცვალსახელები უნდა აღნიშნავდნენ ბრუნების იმ საფეხურს, როცა ბრუნვები ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული; არ გვქონდა გრამატიკული რიცხვის კატეგორია და ერთი და მრავალი მხოლოდ ფუძეთა მიხედვით იყო გარჩეული“ **(ივ. იმნაიშვილი)**.

მართალია, ვამბობთ, რომ **მე** მხოლობითია, და **ჩვენ** მრავლობითი, მაგრამ ეს ფორმები ერთმანეთს ისე არ უპირისპირდებიან, როგორც არსებითი სახელები: **წიგნი** და **წიგნები**. თუ არსებითი სახელის მრავლობითი რიცხვი გამოხატავს ერთგვარ საგანთა სიმრავლეს (წიგნები=წიგნი+წიგნი+წიგნი...), პირის ნაცვალსახელების მრავლობითი არ გამოხატავს ასეთ სიმრავლეს. აქ მრავლის წარმოდგენა სხვა ფუძის საშუალებითაა მოცემული და ეს ფუძე შინაარსით მრავლობითია.

გარდა ამისა, არსებით სახელებში მრავლობითი რიცხვი **ებ, ნ, თ** სუფიქსებითაა აღნიშნული, **ჩვენ, თქვენ** ნაცვალსახელებში კი მრავლობითის აფიქსი არა გვაქვს. ეს სიტყვები მთლიანად ფუძეა. მხოლოდ შინაარსით გვებულობთ, რომ **ჩვენ** არ უდრის ერთ საგანს ანდა ერთგვარ საგანთა მხოლობითს **მე**-ს სიმრავლეს. **ჩვენ** გულისხმობს მე+შენ, მე+ის, მე+თქვენ, მე+ისინი...[1]

ასევე: თქვენ=შენ+ის, შენ+ისინი.

ძველ ქართულში **ჩვენ** ნაცვალსახელის ფორმები გარჩეული იყო: თუ ჩვენ გულისხმობდა I-სა და II პირს, **ინკლუზიურს** უწოდებდნენ, ხოლო, თუკი იგი I-სა და III პირს მოიცავდა, მას **ექსკლუზიური** ერქვა. შესაბამისად, ინკლუზიური და ექსკლუზიური **ჩვენ** ზმნაში პირის ნიშნითაც იყო განსხვავებული (დაწვრილებით ამის შესახებ პირის განხილვისას).

დღეს სვანურში გარჩეულია I პირის ინკლუზიური და ექსკლუზიური ფორმები. საზოგადოდ, ამ ფორმათა არსებობა ასაბუთებს იმ დებულებას, რომ მხოლობითიდან მრავლობითზე გადასვლა გაშუამავლებული იყო კონკრეტული სახის მრავლობითით.

პირის ნაცვალსახელებს არც გრამატიკული ბრუნვის კატეგორია გააჩნიათ. რამდენადაც ბრუნვის ნიშნებს არ დაირთავენ. ისინი ყველა ბრუნვაში ფუძის სახით არიან წარმოდგენილი და ეს ფუძე ასრულებს სხვადასხვა ბრუნვის ფუნქციას.

მე და **ჩვენ** ნაცვალსახელებს 4 ბრუნვა აქვს. აქედან **მე** სახელობითში, მოთხრობითსა და მიცემითში ერთი (**მე**) ფორმით არის წარმოდგენილი, ნათესაობითში კი ფუძეს იცვლის და **ჩემ** ფორმით გვხვდება. დანარჩენი ბრუნვები არ გააჩნია, ნაკლული ფორ-

[1] ფრანც ბოპის აზრით, **ჩვენ** უდრის რამდენიმე **მე**-ს, რადგან კოლექტივის წევრია რამდენიმე **მე**. ეს თვალსაზრისი არაა გაზიარებული.

ები (მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვებისა) შევსებული აქვთ ძველ ფუძის კუთვნილებითი ნაცვალსახელებით: ჩემით, ჩემად, ჩემდა — ჩვენით, ჩვენად, ჩვენდა.

შენ და **თქვენ** ნაცვალსახელებს 5 ბრუნვა აქვს: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, წოდებითი. არ ეწარმოებათ მოქმედებითი და ვითარებითი, მაგრამ ფორმებს ივსებენ იმავე ფუძის კუთვნილებითი ნაცვალსახელებით: შენით, შენად, შენდა[1] — თქვენით, თქვენად, თქვენდა.

შენ და **თქვენ** წოდებითში ერთნაირი ფორმით გვხვდება: შენ, შე — თქვენ, თქვე. **შე** და **თქვე** გამოიყენება სხვა სახელებთან ხმარების დროს: შე კაი კაცო, თქვე დალოცვილებო...

სახ.	მე	ჩვენ	შენ	თქვენ
მოთხ.	მე	ჩვენ	შენ	თქვენ
მიც.	მე	ჩვენ	შენ	თქვენ
ნათ.	ჩემ(თვის, კენ...)	ჩვენ(თვის)	შენ(თვის)	თქვენ(თვის)
მოქ.	—	—	—	—
ვით.	—	—	—	—
წოდ.	—	—	შენ, შე	თქვენ, თქვე

ნათესაობით ბრუნვაში პირის ნაცვალსახელს ყოველთვის დაერთვის თანდებული: ჩემთვის, ჩემკენ, ჩემ მიერ... სახელობითში, მოთხრობითსა და მიცემითში პირის ნაცვალსახელი ერთნაირი ფორმითაა. მსგავსი ფორმების გასარჩევად უნდა ჩავსვათ არსებითი სახელი და ამის მიხედვით გავარკვიოთ ბრუნვა: **მე**(კაცი) ვწერ — სახელობითი, **მე** (კაცმა) დავწერე — მოთხრობითი, **მე** (კაცს) დამიწერია — მიცემითი.

ზოგჯერ მორიდებულ საუბარში **მე**-ს ნაცვლად არის ხახმარი **ჩვენ**, **შენ**-ის ნაცვლად — **თქვენ**. ძველად ასეთი ფორმები არ შეინიშნებოდა. მიმართვის თავაზიანი ფორმები შემოვიდა ევროპულიდან, სადაც გაჩენილი იყო ლათინურის გავლენით.

ამრიგად, ტრადიციული შეხედულებით, I და II პირის ნაცვალსახელები უბრუნველი სიტყვებია. სახელობითში, მოთხრობისა და მიცემითში ერთი ფორმით (ფუძის სახით) არიან წარმოდ-

[1] შენდ: ფორმაში ივ. იმნაიშვილს და მიაჩნდა თანდებულად.

გენილი და ამ გზით ასრულებენ ამა თუ იმ ბრუნვის ფუნქციას[1].

§ 62. ჩვენებითი ნაცვალსახელები და მათი ბრუნება. ჩვენებითი ნაცვალსახელებია: ეს, ეგ, ის, იგი, ასეთი, ამნაირი, მაგნაირი, ამისთანა, მაგისთანა, იმისთანა, ამდენი, იმდენი, ამგვარი, იმგვარი...

ამათგან ძირეულია **ეს, ეგ, ის, იგი;** დანარჩენი წარმოქმნილია. ჩვენებითი ნაცვალსახელები ორ-ორი ფუნქციის მატარებელნი არიან. ახალ ქართულში ისინი გამოიყენებიან პირისა და ჩვენებითის ფუნქციით. კერძოდ: როცა ზმნას შეეწყობიან, მაშინ პირის ნაცვალსახელები არიან, ხოლო სახელთან შეწყობისას ჩვენებითი ფუნქციით გამოდიან (**ის** წერს, **ეს** კითხულობს — პირისაა, **ეს** კაცი, **ეს** წიგნი — ჩვენებითია), ძველ ქართულში კი ნაწევრისა და ცნაწილაკის ფუნქციითაც გამოიყენებოდნენ.

ეს, ეგ, ის ნაცვალსახელები ახალ ქართულში არასრული ფორმით არიან წარმოდგენილნი, ჩამოკვეცილი აქვთ ბოლოკიდური ხმოვანი (უნდა იყოს: **ესე, ეგე, ისი** ძველი ქართულის მსგავსად). ეს მოკვეცილი ხმოვანი აღდგება მრავლობით რიცხვში (ესენი, ეგენი, ისინი) და **ვე** და **ც** ნაწილაკების დართვისას (ესეც, ეგეც, ესევე, ეგევე, ისიც).

ის და **ეგი** ორივე მესამე პირის ნაცვალსახელია, ერთმანეთის ბადალი სიტყვებია (**ა. შანიძე**). ეს ორი სიტყვა სხვადასხვა დიალექტური ფენის კუთვნილება უნდა იყოს (**არნ. ჩიქობავა**). **ის** და **იგი** სხვადასხვა წარმოშობისაა, თუმცა მნიშვნელობით თითქმის ერთმანეთის ტოლია. **იგი** ძველ ქართულში იყო ერთადერთი, ახალში **ის** ფორმაც გაჩნდა და შემდეგ თანდათან დაჰკვიდრდა.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში **იგი** იშვიათად იხმარება, მაგრამ გურულ დიალექტში კვლავ გაბატონებულია. მართალია, **იგი** და **ის** მნიშვნელობრთ ერთმანეთის ბადალია, მაგრამ მთლიანად მაინც არ არიან სინონიმები. მსაზღვრელად **ის** გამოიყენება,

[1] პირის ნაცვალსახელთა გენეზისი, მათი ფორმობრივ-სემანტიკური დახასიათება ყოველთვის იწვევდა მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას. მაგალითად, ძველ ქართულში დადასტურებული **მენ, შენ, ჩუენ, თქუენ** ფორმებში **ნ. ჭარმა ენ** გამოაცხადა მრავლობითი რიცხვის ნიშნად. **არნ. ჩიქობავა მენა, შენა, ჩვენა, თქვენა** ფორმებში **ნა**-ს მიიჩნევდა სადეტერმინაციო ელემენტებად, რომლებიც გამოიყოფა ზე-ნა, ქვე-ნა, წი-ნა, ში-ნა ზმნისართებშიც.

განსხვავებული თვალსაზრისებია გამოთქმული აგრეთვე **დ. მელიქიშვილის, ალ. ფოცხიშვილის, ლ. შალვაშვილისა** და სხვათა ნაშრომებში.

იგი კი — არა. სამაგიეროდ, **ვე** ნაწილაკს მხოლოდ **იგი** დაირთავს (იგივე).

ა. შანიძის აზრით, **იგი** და **ისი** ნაცვალსახელებში ბოლოკიდური **ი** ფუძისეულია და არა ბრუნვის ნიშანი. სახელობითში მათ ბრუნვის ნიშანი არა ჰქონიათ თდესმე და არც შეიძლებოდა დაჰკარგოდათ. ამას ადასტურებს მრავლობითი რიცხვი, სადაც ეს **ი** შენარჩუნებულია (იგი-ნ-ი).

ჩვენებითი ნაცვალსახელები დამოუკიდებლად ბრუნების დროს ამჟღავნებენ შემდეგ თავისებურებებს:

1) ისინი ორ ფუძეს უჩვენებენ (ორსავე რიცხვში სახელობითისათვის ერთი ფუძე აქვთ, დანარჩენი ბრუნვებისათვის — მეორე)[1]; 2) არ აწარმოებენ წოდებით ბრუნვას; 3) მოთხრობითი ბრუნვის ნიშანია **ნ**; 4) გააჩნიათ მხოლოდ ნართანიანი მრავლობითი[2].

სახ.	ეს(ე)	ეგ(ე)	ის(ი)	იგი	ესენი	ეგენი	ისინი	იგინი
მოთხ.	ამა-ნ	მაგა-ნ	იმა-ნ	მა-ნ	ამათ	მაგათ	იმათ	მათ
მიც.	ამა-ს	მაგა-ს	იმა-ს	მა-ს	ამათ	მაგათ	იმათ	მათ
ნათ.	ამ-ის	მაგ-ის	იმ-ის	მ-ის	ამათ	მაგათ	იმათ	მათ
მოქმ.	ამ-ით	მაგ-ით	იმ-ით	მ-ით	—	—	—	—
ვით.	ამა-დ	მაგა-დ	იმა-დ	მა-დ	—	—	—	—
წოდ.	—	—	—	—	—	—	—	—

თუ სახელობითში დასმულ საზღვრულს **ვით** თანდებული დაერთვის, მასთან მსაზღვრელად იხმარება მეორე ფუძე და არა სახელობითისა: **ამ კაცი-ვით** (წესით უნდა იყოს: ეს კაცივით).

დანარჩენი ჩვენებითი ნაცვალსახელები: ამისთანა, ამდენი, ამგვარი, იმისთანა და ა. შ. ცალკე ბრუნების დროს თავისებურებას არ ამჟღავნებენ. ისინი ისევე იბრუნვიან, როგორც შესაბამისი ფუძის არსებითი სახელი, ოღონდ წოდებითი არ ეწარმოებათ. მაგრამ,

[1] აქ ერთი ნაცვალსახელის ორი ფუძე კი არ არის, არამედ სხვადასხვა სიტყვა წარმოდგენილი. შემდეგში მოხდა მათი მოქცევა ბრუნების ერთ პარადიგმაში. **არ. მარტიროსოვის** აზრით, „აქ ორი სხვადასხვა ნაცვალსახელია, სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა პირობებში წარმოქმნილი... მეორე ფუძე უფრო ძველია".

[2] **ებიანი** არაა დამახასიათებელი სალიტერატურო ქართულისათვის. მხოლოდ იშვიათად დასტურდება **ესეები, ეგეები, მაგეები** და მისთ. XVIII—XIX საუკუნეების მწერალთა ნაწერებში.

თუ მსაზღვრელებად არიან გამოყენებული, მაშინ იმგვარად იცვლებიან, როგორც შესაბამისი ფუძის ზედსართავი არსებითთან.

ნ. მარის აზრით, ჩვენებით ნაცვალსახელებს წინ **ჰ** უნდა ჰქონოდათ: ჰესე, ჰეგე, ჰიგი. ამ თვალსაზრისს სარწმუნოდ მიიჩნევს **არნ. ჩიქობავაც.**

§ 63. კითხვითი ნაცვალსახელები და მათი ბრუნება. კითხვითი ნაცვალსახელებია არსებითის, ზედსართავისა და რიცხვითი სახელების კითხვები: ვინ, რა, რომელი, როგორი, სადაური, როდინდელი, რამდენი, მერამდენე და ა. შ. ამათგან ძირეულია **ვინ** და **რა**. დანარჩენი წარმოქმნილია (სადაური, როდინდელი), ანდა თხზული (რადარა, ვინადავინ).

ვინ და **რა** ნაცვალსახელები დღეს საინტერესოა არა მარტო ფორმის თვალსაზრისით, არამედ გენეზისურადაც (ისტორიულად).

ვინ და **რა** ქართული ენის უძველესი ფენის კუთვნილებადაა ჩათვლილი. ამ ნაცვალსახელებით გამოხატულია პირისა და საგნების დაპირისპირება: ვინ? — ადამიანი, რა? — გარდა ადამიანისა, მხოლოდ ვითარებითში არ არის ასეთი გარჩევა — ყველგან **რად** იხმარება. ძველ ქართულში გვხდებოდა **ვინაჲ**, მაგრამ მას ზმნისართული მნიშვნელობა აქვს.

ვარაუდობენ, რომ **რა** ნაცვალსაწელი ჩვენამდე არაა მოღწეული თავდაპირველი სახით. იგი შეიძლება იყოს ფონეტიკური სახეცვლილება **და//ნა**-სი.

ნ. მარის აზრით, რა მიღებულია **სა**-საგან (**რ**-ს ცვლის **ს**). ეს აზრი გაზიარებულია. ასეთი ვითარება დასტურდება ქართველურ ენებში.

ძველ ქართულში **რა** ბრუნების დროს არ იკვეცებოდა.

როცა კითხვითი ნაცვალსახელების ბრუნების თავისებურებებზე ვსაუბრობთ, ძირითადად მწედველობაში გვაქვს **ვინ** და **რა**, რადგან სხვა ნაცვალსახელები (რომელი, როგორი და ა. შ.) ისევე იცვლებიან, როგორც შესაბამისი ფორმის არსებითი სახელები: რომელ-ი, რომელ-მა, რომელ-ს... რომლ-ებ-ი, რომელ-ნ-ი, რომელ-თ-ა...

ვინ ნაცვალსახელი ამჟღავნებს შემდეგ თავისებურებებს:

1) აქვს 4 ბრუნვა და ორი ფორმა (ერთი სახელობითი მოთხრობითისათვის, მეორე — მიცემით-ნათესაობითისათვის);

2) მოთხრობითი ბრუნვის ნიშანია **ნ**;

3) არ ეწარმოება მრავლობითი რიცხვი, სიმრავლეს გამოხატავს ფუძის გაორკეცებით (ვინ და ვინ მოვიდნენ?);

4) არ გააჩნია საკუთარი ფორმით მოქმედებითი, ვითარებითი და წოდებითი ბრუნვები. მოქმედებითში გამოყენებულია კითხვით-კუთვნილებითი **ვისით** ფორმა, ვითარებითში კი — **რად;**

5) **ვი** ქართული სიტყვების ფონდიდან ერთადერთი ფუძეა, რომელიც **ი** ხმოვანზე თავდება (ზოგი მეცნიერი მეორე ასეთ ფუძედ ასახელებს **იგი** ნაცვალსახელსაც).

მიაჩნიათ, რომ **ვი** ფუძის **ი** ხმოვნის გადარჩენაში წილი უდევს **ნ** თანხმოვანს, რომლის მეშვეობით კონსტრუქცია ჩაკეტილია (ვი-ნ). სხვაგან, სხვა სიტყვებში, კონსტრუქცია ღიაა და ბოლოკიდური **ი** ადვილად იკარგება.

რა ნაცვალსახელი ახალ ქართულში ისევე იბრუნვის, როგორც ფუძეკვეცადი სახელი: აწარმოებს **ებიან** მრავლობითს, გააჩნია **ნარიანი** ფორმაც სახელობითისათვის, მხოლოდ არა აქვს წოდებითი ბრუნვა[1].

სახ.	ვი-ნ	რა	რა-ებ-ი	რა-ნ-ი
მოთხ.	ვი-ნ	რა-მ	რა-ებ-მა	—
მიც.	ვი-ს	რა-ს	რა-ებ-ს	—
ნათ.	ვი-ს	რ-ის	რა-ებ-ის	—
მოქმ.	(ვისით)	რ-ით	რა-ებ-ით	—
ვით.	(რად)	რა-დ	რა-ებ-ად	—
წოდ.	—	—	—	—

როგორც ვხედავთ, **ვინ** ნაცვალსახელს ერთნაირი აქვს სახელობითი და მოთხრობითი, მიცემითი და ნათესაობითი, ე. ი. 2 ფორმაა 4 ბრუნვისათვის (ვინ, ვის).

არნ. ჩიქობავას მიხედვით, სახელობითისა და მოთხრობითის მსგავსების მიზეზია შემდეგი: ისტორიულად მოთხრობითი უფრო ძველია, ვინემ სახელობითი. მოთხრობითში ბრუნების საერთო წესით კი ფუძეს დაემატა **ნ** ბრუნვის ნიშანი და მივიღეთ **ვი-ნ**. სახელობითი მოთხრობითზე გვიან გაჩენილი ბრუნვაა. მას საკუთარი ფორმა არ ჰქონდა ამ ნაცვალსახელისათვის და ისესხა მოთხრობითისაგან **ვინ** ფორმა.

[1] თუმცა შეიძლება იშვიათად ამ ბრუნვაშიც შეგვხვდეს: „მზიანი და დარიანო, ეტლად **რაო** და რიანო“ (შ. რუსთაველი), „**რაო**, ბატონო მელაო...“

მიცემითისა და ნათესაობითის მსგავსება, **ა. შანიძის** აზრით, გამოწვეულია იმით, რომ ნათესაობითში უნდა გვქონოდა **ვი-ის**. მაგრამ რამ ორი ერთნაირი ხმოვნიდან დაიკარგა ბრუნვის ნიშნის **ი** და დარჩა **ვი**-ს. ეს კი მიცემითის ფორმაა.

რომ გამოვარკვიოთ, მსგავსი ფორმებიდან (ვინ-ვინ, ვის-ვის) რომელია სახელობითი ან მოთხრობითი, მიცემითი ან ნათესაობითი, გამოსაცნობი სახელის ნაცვლად უნდა ჩავსვათ არსებითი სახელი და რომელ ბრუნვაშიც ჩადგება ეს უკანასკნელი, იმ ბრუნვაში იქნება ნაცვალსახელიც:

ვინ მოვიდა? (ბავშვი) — სახელობითი.
ვინ მოიტანა? (ბავშვმა) — მოთხრობითი.
ვის ეძახიან? (ბავშვს) — მიცემითი.
ვის წიგნს კითხულობ? (პოეტის წიგნს) — ნათესაობითი.

ძველ ქართულში **რამდენი**-ს მნიშვნელობით იხმარებოდა **რათა. როგორი** არ იცის ძველმა ქართულმა. მისი სემანტიკისა იყო **ვითარი, რაბამი. როგორი** მიღებულია ამ გზით: რა გვარი→რაგორი→როგორი.

აღნიშნულია, რომ **რა** ნაცვალსახელს ძველ ქართულში მოთხრობითი ბრუნვა არ ჰქონდა. რადგან **რა** ადამიანის კითხვა არ იყო, ამდენად მას არც ექნებოდა ადამიანის — სუბიექტის ბრუნვა. გარდა ამისა, **რა** მაშინ არ აწარმოებდა მრავლობით რიცხვს, არც იკვეცებოდა, მას მოგვიანებით გაუჩნდა მოთხრობითი ბრუნვა.

მეორე მხრივ, **ვინ** ნაცვალსახელს დღეს არა აქვს მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვები, მაგრამ, მეცნიერთა აზრით, უნდა ჰქონოდა ძველად. ამის საილუსტრაციოდ ასახელებენ ფორმებს: **ვი-ით →ვით** (ვითარ, ვითარცა), **ვი-დ→ვიდრე**[1].

ვინ და **რა** ნაცვალსახელებს შეიძლება დაერთოს **ღა** ნაწილაკი. ბრუნების დროს თავისებურება იჩენს თავს იმ მხრივ, რომ ეს ნაწილაკი შეიძლება ბრუნვის ნიშნის შემდეგ იყოს ან უშუალოდ ფუძეს შეეზარდოს. შესაბამისად, ვიღებთ ბრუნებას ორ შემთხვევას: 1) ნაწილაკშეუხორცებელსა და 2) ნაწილაკშეხორცებულს.

სახ.	ვი(ნ)ღა	რა-ღა	ვ-ღა	რაღა
მოთხ.	—	რამ-ღა	ვ-ღა-მ	რაღა-მ
მიც.	ვის-ღა	რას-ღა	ვ-ღა-ს	რაღა-ს

[1] **ვინ** ნაცვალსახელთან დაკავშირებით განსხვავებული თვალსაზრისი იხ. **ალ. ფოცხიშვილის** შრომაში „პირისა და კითხვითი ნაცვალსახელების ბრუნების საკითხები თანამედროვე ქართულში“.

ნათ.	ვის(თვის)-ღა	რისთვის-ღა	ვიღა-სთვის	რაღა-სთვის
მოქმ.	—	რით-ღა	ვღა-თი	რაღა-თი
ვით.	—	რად-ღა	ვიღა-დ	რაღა-დ
წოდ.	—	—	—	—

§ 64.[1] კუთვნილებითი ნაცვალსახელები და მათი ბრუნება. კუთვნილებითი ნაცვალსახელები აღნიშნავენ საგნის კუთვნილებას პირებისა მიხედვით.

I პირის კუთვნილებას გამოხატავენ **ჩემი, ჩვენი**, II პირისას — **შენი, თქვენი**, III პირისას — **მისი, თავისი, იმისი, მათი, იმათი, სხვისი**...

კუთვნილებითი ნაცვალსახელები მიიღებიან პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელების ნათესაობითი ბრუნვის ფორმისაგან, ე. ი. პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელების ნათესაობითი ბრუნვის ფორმა არის კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფუძე, რომელიც ხელახლა დაირთავს ბრუნვის ნიშნებს. მაგალითად, **მე** ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვაა **ჩემ**, აქედანაა ნაწარმოები: ჩემ-ი, ჩემ-მა, ჩემ-ს და ა. შ.[1]

კუთვნილებითი ნაცვალსახელი ცალკე აღებული ისევე იბრუნვის, როგორც შესაბამისი ფუძის არსებითი სახელი, ოღონდ წოდებითი არ ეწარმოება (გამონაკლისია მხოლოდ **ჩემი** და **ჩვენი**). ეშვებათად შეიძლება ჰქონდეს **ებიანი** მრავლობითი: ჩემები, ჩვენები, შენები, თქვენები.

კუთვნილებითი ნაცვალსახელი მეტწილად არსებით სახელთან ერთად გვხვდება და გამოიყენება მსაზღვრელად. იგი ატრიბუტული მსაზღვრელია, სახელთან ერთად იბრუნვის შესაბამისი ფუძის მსაზღვრელი ზედსართავის მსგავსად, მხოლოდ წოდებითი ბრუნვა არ ექნება გარდა **ჩემო ქვეყანავ, ჩვენო იმედო** ტიპის მსაზღვრელებისა.

როცა მსაზღვრელად I და II პირის ნაცვალსახელებია გამოყენებული, მაშინ იგი მიცემითში (და ვითარებითში) დაირთავს **ს** ნიშანს, რომ არ აირიოს შესაბამის პირის ნაცვალსახელში.

[1] გ. **როგავას** აზრით, კუთვნილებითი ნაცვალსახელები **შენ-ი, ჩვენ-ი**... შედგენილია: პიროვნულ ნაცვალსახელს+კუთვნილებითი აფიქსი **ი**: შენ+ი→შენი (თავისი). ამ **ი**-ს ტოლია სახელობითის **ი**, სათავისო ბცევის **ი** და წყარო-სი, წყარო-თი ფორმების **ი**.

სახ.	ჩემ-ი	წიგნ-ი	შენ-ი	მეგობარ-ი
მოთხ.	ჩემ-მა	წიგნ-მა	შენ-მა	მეგობარ-მა
მიც.	ჩემ-ს	წიგნ-ს	შენ-ს	მეგობარ-ს
ნათ.	ჩემ-ი	წიგნ-ის	შენ-ი	მეგობრ-ის
მოქმ.	ჩემ-ი	წიგნ-ით	შენ-ი	მეგობრ-ით
ვით.	ჩემ-ს	წიგნ-ად	შენ-ს	მეგობრ-ად
წოდ.	ჩემ-ო	წიგნ-ო	—	—

კუთვნილებითი ნაცვალსახელებისათვის მიცემითსა და ვითარებითში რომ მართლაც აუცილებელია ბრუნვის ნიშნის დართვა, ეს კარგად ჩანს შემდეგი მაგალითებიდანაც: „შენ მეგობარს დაუძახე“ — **შენ** პირის ნაცვალსახელია. მაგრამ: „შენს მაგობარს დაუძახე“ — **შენს** კუთვნილებითია. „ჩვენ სამშობლოს ვუმღერით“ — **ჩვენ** პირის ნაცვალსახელია. „ჩვენს სამშობლოს ვუმღერით“ — **ჩვენს** კუთვნილებითია.

მსაზღვრელად გამოყენებული კუთვნილებითი ნაცვალსახელი თავის საზღვრულს რიცხვში არ ეთანხმება: ჩემი წიგნი — ჩემი წიგნები.

თავისი და **მისი** ორივე მესამე პირის კუთვნილებას გამოხატავს, მაგრამ აბსოლუტურად ერთმანეთის ტოლი არ არიან. **თავისი** მაშინ იხმარება, როცა საგანი მოქმედს ეკუთვნის (გოჩამ მოკლა თავისი შვილი). **მისი** გამოყენებულია მაშინ, როცა საგანი მოქმედს არ ეკუთვნის (მისი ქალი ბატონს მოეწონა).

მათ პირის ნაცვალსახელია. აქედანაა ნაწარმოები კუთვნილებითი **მათი, მათმა, მათს... მათმა** გრამატიკულად სწორია, როცა მსაზღვრელადაა გამოყენებული **(მათმა საქმემ)**, მაგრამ შეცდომაა, თუ იგი ზმნასთანაა ნახმარი **(მათმა მოიტანეს)**, რადგან **მათ** პირის ნაცვალსახელი თავისთავად დგას მოთხრობითში **(თანიანი** მრავლობითია) და ხელახალი მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის დართვა აღარ სჭირდება.

§ 65. კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები და მათი ბრუნება. კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები გამოხატავენ კითხვასაც და კუთვნილებასაც. ესენია: **ვისი, რისი (რისა)**.

კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები მიიღებიან კითხვითი ნაცვალსახელების ნათესაობითი ბრუნვის ფორმისაგან: ვი-ს→ვის-ი, რ-ის — რის-ი. მათ არ ეწარმოებათ ნათესაობითი და წოდებითი.

ბრუნებისას გვიჩვენებენ ორ-ორ ფუძეს — გავრცობილსა და გაუვრცობელს.

სახ.	ვის-ი	რისა	რის-ი
მოთხ.	ვის-მა	რისა-მ	—
მიც.	ვისა-ს	რისა-ს	—
ნათ.	—	—	—
მოქმ.	ვის-ით	რის-ით	—
ვით.	ვის-ად	რისა-დ	—
წოდ.	—	—	—

§ 66. მიმართებითი ნაცვალსახელები. მიმართებითი ჰქვია ნაცვალსახელს, რომელიც მიემართება სხვა სახელს ან მთელს წინადადებას. იგი იწარმოება კითხვითი და კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელებისაგან ც ნაწილაკის დართვით. სწორედ ეს ნაწილაკი უკარგავს მას კითხვითის შინაარსს და აქცევს მიმართებითად.

მიმართებითი ნაცვალსახელებია: ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, რამდენიც... ისინი სინტაქსურად გამოიყენებიან წევრ-კავშირებად, საკავშირებელ სიტყვებად.

მიმართებითი ნაცვალსახელი ისევე იბრუნება, როგორც მისი ძირეული კითხვითი ან კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელი.

ძველ ქართულში მიმართებითი ნაცვალსახელი ც ნაწილაკს არ დაირთავდა, ამის გამო ფორმით კითხვითს ემსგავსებოდა, მაგრამ მათი გარჩევა არ იყო ძნელი, რადგან კითხვითი ნაცვალსახელი მარტივ წინადადებაში გამოიყენებოდა, მიმართებითი კი — რთულში. ასეა დღესაც ზოგ ევროპულ ენაში. ძველმა ქართულმა შემოგვინახა მიმართებითი ნაცვალსახელის სამი სახე: უნაწილაკო (რომელი), ნაწილაკიანი (რომელიც), ორმაგნაწილაკიანი (რომელიცა იგი). ნაწილაკის გაჩენა განაპირობა რთული წინადადების ჩამოყალიბებამ.

§ 67. ურთიერთობითი ნაცვალსახელები. ურთიერთობითი ნაცვალსახელებია: ერთმანეთი, ურთიერთი, ერთურთი, ერთიმეორე. ესენი ყველა რთულია და მეტყველებაში ასრულებენ არსებითი სახელის ფუნქციას.

სალიტერატურო ქართულში უფრო დამკვიდრებულია **ერთმანეთი**. იგი მიღებულია **ერთმანერთისაგან**. მას არ ეწარმოება მოთხრობითი და წოდებითი, არც მრავლობითი რიცხვი აქვს.

ერთურთი და **ურთიერთი** მიღებულია **ერთი**-ს გაორკეცებით, ოღონდ ხმოვნის შეცვლით (ერთ-ერთი→ერთურთი, ურთიერთი). **ერთიმეორე** ნაწარმოებია რაოდენობითი **ერთისა** და რიგობითი **მეორეს** შეერთებით.

ძველ ქართულში იხმარებოდა **ურთიერთას**. აქ **ნ. მარს ას** მიაჩნდა მიცემითის უძველეს ნიშნად, **ა. შანიძე** კი **ურთიერთას** ასე ხსნის: **ურთიერთთა→ურთიერთა,** ახალი გააზრებით **ურთიერთას.**

§ 68. განსაზღვრებითი ნაცვალსახელები. განსაზღვრებითი ნაცვალსახელები აღნიშნავენ განსაზღვრულ პირსა თუ საგანს, მათს რაოდენობას.

განსაზღვრებითი ნაცვალსახელებია: თვით, თვითონ, თავად, ყოველი, ყველა, სხვა, ყველაფერი, მავანი.

თვით მიღებულია **თავ** სიტყვის მოქმედებითი ბრუნვისაგან (თავ-ით→თვით).

თავად წარმოადგენს **თავ** სიტყვის ვითარებითი ბრუნვის ფორმას.

თვითონ მიღებულია **თვითმან**-ისაგან. აქ მ-ს შეენაცვლა **ვ**, შემდეგ **ვა** კომპლექსის შერწყმამ **ო** მოგვცა: **თვითმან→თვითვან→თვითონ.** აქედანაა ნაწარმოები დიალექტური **თვითან, თითვან.**

თვითონ ნაცვალსახელი უბრუნველია, გამოიყენება მსაზღვრელობითთანაც და ნაცვალსახელთანაც; დამოუკიდებლად მაშინ იხმარება, როცა მოსალოდნელია სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი: თვითონ აკეთებს (სახ.), თვითონ გააკეთა (მოთხ.)... ძველ ქართულში ძირითადია **თვით** და **თავად**. გარდამავალი ხანის მწერლობაში უკვე ჩნდება **თვითონ**, რომელიც XIX—XX საუკუნეებში გაბატონებული ხდება მოხმარების სიხშირით. სამაგიეროდ, სამუდამოდ ქართულში თანდათან მცირდება **თავად** ნაცვალსახელის მოხმარების სფერო. და უკვე XIX საუკუნის მწერლობაში ძალზე იშვიათია. თუმცა XX საუკუნის 60-იანი წლებიდან **თავად** კვლავ აღიდგენს დაკარგულ პოზიციებს და ხდება **თვით, თვითონ, თავად** სამეულის ძირითადი წევრი.

ყველა შემკრები, განმაზოგადებელი მნიშვნელობისაა, ახლავს სახელს მსაზღვრელად (ყველა ბავშვი), მაგრამ შეიძლება დამოუკიდებლადაც ვიხმაროთ: ყველა კითხულობს. **ყველა** ნაცვალსახელს ფუძე ა-ზე უთავდება, მაგრამ მაინც ფუძეუკვეცელია, არ იხმარება

ვითარებითსა და წოდებითში: აქვს **ნარიანი** მრავლობითის სახელობითის ფორმა — **ყველანი. ყველას** პარალელურია: **ყველაჲა, ყველაკა.**

სხვა ბოლოხმოვნიანი კვეცადია, მოეპოვება ორივე მრავლობითის ფორმები: სხვანი, სხვები. ძველ ქართულში **სხვა** იხმარებოდა **მეორეს** მნიშვნელობითაც.

ყოველი ზმხური წარმოშობისაა. იგი უნდა იყოს მოქმედებითი გვარის მიმღეობა არმენახული ზმნისა — **ყველ** ფუძისა **(ნ. მარი).**

მავანი იხმარება, როცა არ უნდათ ვისიმე დასახელება: „შენ, მავანო, მკითხაობა მიჩუქებია“.

§ 69. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები და მათი ბრუნება. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი აღნიშნავს უცნობს, განუსაზღვრელ პირსა თუ საგანს ან მათს თვისებასა და რაოდენობას.

განუსაზღვრელი ნაცვალსახელებია: ერთი, ზოგი (ზოგიერთი), კაცი, ვინმე, რამე, რომელიმე, ვიღაცა, რაღაცა, რომელიღაცა...

ერთი, ჩვეულებრივ, რიცხვითი სახელია, მაგრამ ზოგჯერ ნაცვალსახელიცაა, თუ ის **ვიღაცა-**ს ძნიშვნელობით იხმარება: „იყო **ერთი** ზარმაცი გიგო“...

კაცი არსებითი სახელია, მაგრამ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის ფუნქციითაც გვხვდება: „**კაცი** ცხენს ვერ მოერია და ლაგამ-უნაგირი დაამტვრია“, „იყო ერთი **კაცი**“.

ზოგი ძველ ქართულში არ ყოფილა განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი. იგი ნიშნავდა **ნახევარს, ნაწილს.**

ზოგიერთი ძველად სულ არ იხმარებოდა.

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების უმეტესობა მიღებულია კითხვით ნაცვალსახელებზე **მე, ღა, ღაცა** ნაწილაკების დართვით: ვინმე, ვიღაცა, რომელიმე, რამდენიმე, რამე, რაღაცა და ა. შ. ძველ ქართულში ასეთი ნაწილაკიანი სახელები არ იხმარებოდა.

ა) **მე** ნაწილაკიანი ნაცვალსახელი ისევე იბრუნვის, როგორც უკვეცელი სახელი. ნაწილაკი შეზრდილია სახელობითის ფორმასთან: რომელიმე, რომელიმემ, რომელიმეს... რამდენიმე, რამდენიმემ... ამათგან გამონაკლისია **ვინმე** და **რამე.** ისინი მეტ თავისებურებას იჩენენ. კერძოდ, **ვინ** და **რა-**ს ნაწილაკები დაერთვიან როგორც ბრუნვის ფორმაზე, ისე ფუძეზე. ამის გამო გვაქვს ნაწილაკშეზრდილი (შეხორცებული) და შეუხორცებელი ფორმები, ზოგჯერ კიდევ ამათი ნარევიც. სალიტერატურო ქართულში უპირატესობა ეძლევა

ნაწილაკშეზრდილს, რადგან მას სრულად აქვს ყველა ბრუნვა. ამ ნაცვალსახელებს ეწარმოებათ **ებიანი** მრავლობითიც.

სახ.	ვინ-მე	ვინმე
მოთხ.	—	ვინმე-მ
მიც.	ვის-მე	ვინმე-ს
ნათ.	ვისთვის-მე	ვინმე-ს
მოქმ.	—	ვინმე-თი
ვით.	—	ვინმე-დ
წოდ.	—	—

სახ.	რა-მე (რაი-მე)	რამე	რაიმე	—
მოთხ.	—	რამე-მ	რაიმემ	—
მიც.	რას-მე	რამე-ს	რაიმეს	რას-მე-ს
ნათ.	რის(თვის)-მე	რამ-ის	რაიმეს	—
მოქმ.	რით-მე	რამ-ით	რაიმეთი	—
ვით.	რად-მე	რამე-დ	რაიმედ	—
წოდ.	—	—	—	—

რამე ნაცვალსახელს ზოგჯერ ჩამოშორებული აქვს ე: რამე-რამ. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები მიიღებიან, აგრეთვე, **ვინ** და **რა** ნაცვალსახელებზე **ღა** და **ღაცა** ნაწილაკების დართვით. აქაც წარმოება შეიძლება იყოს სამგვარი: ნაწილაკშეზრდილი (ვღაცამ, რაღაცამ). ნაწილაკშეუხორცებელი (ვისღაც, რასღაც) და ნაწილაკის ორგვარი, როცა **ღა** დაერთვის ფუძეს, **ცა** — ბრუნვის ფორმას (ვიღა-ც, რა-ღა-ც-ა).

სალიტერატურო ქართულში უპირატესობა ეძლევა ნაწილაკშეზრდილ ფორმებს. ძველ ქართულში ნაცვალსახელი ნაწილაკშეუხორცებლად იბრუნებოდა. ნაწილაკშეზრდილი ფორმა მე-19 საუკუნის I ნახევრიდან იკიდებს ფეხს. საერთოდ, ეს უკანასკნელი ტიპი თანდათან ვრცელდება და იმარჯვებს **(ვ. თოფურია).** ამაში გვარწმუნებს თანდებულის დართვის შემთხვევებიც: ვინმესგან, ვინმესთვის, რამეში, რამეზე...

ნარევი ფორმა მიუღებელია, შეუხორცებელი კი — დასაშვები.

§ 70. უარყოფითი ნაცვალსახელები. უარყოფითი ნაცვალსახელების უმეტესობა მიღებულია **ვინ** და **რა** ნაცვალსახელებზე უარყოფითი ნაწილაკების დართვით: არავინ, ვეღარავინ, ნურვინ, ნურა-

ვინ, აღარავინ, ვეღარავინ, არარა, ვერარა, აღარა... ზოგჯერ **რა**-ს მაგივრობას **ფერი** და **ვითარიც** ასრულებენ: აღარაფერი, ვეღარაფერი, ნუღარაფერი, არავითარი, ვერავითარი...

უარყოფითი ნაცვალსახელებია აგრეთვე **ვერაკაცი** (ვერავინ) და **არაკაცი** (არავინ). ეს უკანასკნელი კილოებში (განსაკუთრებით გურულში) გვხვდება, სალიტერატურო ქართულში კი არაა დამკვიდრებული.

არავინ, ვერავინ ტიპის ნაცვალსახელი ისე იბრუნვის, როგორც მარტივი **ვინ. ფერის** შემცველ ნაცვალსახელს ყველა ბრუნვა აქვს, გარდა წოდებითისა. იგი ფუძეკუმშვადია: არაფერ-ი ← არაფრ-ის...

§ 71. ნაცვალსახელის წარმოება. წარმოების თვალსაზრისით ნაცვალსახელი სამგვარია: ძირეული (მე, შენ), წარმოქმნილი (ჩვენგანი) და თხზული (ერთმანეთი). ნაცვალსახელთა უმრავლესობა მიღებული არის ნაცვალსახელებისაგანვე ნაწილაკების დართვით ან ბრუნვის ფორმათა ფუძედ გამოყენებით. ორიოდე შემთხვევაში ნაცვალსახელად გამოყენებულია არსებითი და რიცხვითი სახელი (კაცი, ერთი, ერთმანეთი).

ნაცვალსახელებში სხვა ენებიდან ნასესხები სიტყვები არა გვაქვს.

ნაცვალსახელებისაგან იწარმოება: არსებითი (ვინ—ვინაობა, რა—რაობა), ზედსართავი (არავისი—სა+არვის+ო, სა+ჩვენ+ო, სა+თავის+ო), ზმნა (იჩემებს, ითვისებს, ასხვისებს), ზმნიზედა (ყველგან, რამდენჯერ), კავშირი (ესე იგი, ვიდრე, რადგან (←რაითვან). იგი შედის ზოგიერთ ნაწილაკში (მეთქი←მე ვთქვი), შორისდებულში (ვაჰმე, ვაიმე), მყარ სიტყვათა შეკავშირებაში (შენი ჭირიმე). ისტორიულად ნაცვალსახელია წარმოდგენილი სიტყვაში **მაშინ** (←მას შინა). ნაცვალსახელურ წარმოშობისად მიაჩნიათ აგრეთვე სახელობითის ი (←იგი) და მოთხრობითის მა (←მან).

§ 72. მართლწერის საკითხები ნაცვალსახელთან დაკავშირებით.

1) თუ ნაცვალსახელი ცვლის რიცხვით სახელს და მსაზღვრულად გამოიყენება, მაშინ მასთან შეწყობილი საზღვრული მხოლობით რიცხვში უნდა იყოს: ამდენი საქმე, იმდენი წიგნი...

2) **ყველა, ყოველი** თუ მსაზღვრელია, მაშინ მისი საზღვრული მხოლობითში უნდა იყოს: ყველა ბავშვი, ყოველი კაცი...

3) **ზოგი, ზოგიერთი** ნაცვალსახელი საზღვრულს მხოლობითში შეიწყობს: ზოგი ამხანაგი, ზოგიერთი კაცი...

4) თანდებულიან პირის ნაცვალსახელებს ნათესაობითში **ს არ** დაერთვის: ჩემ მიერ, შენ მიერ, თქვენ მიერ, ჩემკენ...

5) **რამდენიმე, რომელიმე** ნაცვალსახელებთან საზღვრული მხოლობითშია: რამდენიმე სტუდენტი, რომელიმე მეზობელი...

6) **ერთი** და **იგივე** საზღვრულის გარეშე ბრუნებისას ორივე ნაწილზე დაირთავს ბრუნვის ნიშნებს: ერთ-ი და იგივე, ერთ-მა და იმავე-მ, ერთ-სა და იმავე-ს, ერთისა და იმავეს (თვის), ერთითა და იმავეთი, ერთისა და იმავედ.

ერთი და **იგივე**-ს ორივე ნაწილი იბრუნვის საზღვრულთან ერთად, ოღონდ მეორე ფუძე (იგივე-იმავე) ბრუნვის ნიშნებს არ დაირთავს: ერთი და იგივე ამბავი, ერთმა და იმავე ამბავმა, ერთსა და იმავე ამბავს, ერთისა და იმავე ამბის, ერთი და იმავე ამბით, ერთ და იმავე ამბად.

მაშასადამე, როცა **ერთი** და **იგივე** მსაზღვრელია, ბრუნვის ნიშნებს დაირთავს პირველი ფუძე (ერთი), მეორე კი (იგივე) ბოლონიშნიანი მსაზღვრელის მსგავსად ბრუნვის ნიშნებს არ ღებულობს და სახელობითის გარდა ყველა ბრუნვაში იმავე ფუძითაა წარმოდგენილი.

7) სალიტერატურო ქართულში მიუღებელია, როცა კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფარდად ან ნათესაობითი ბრუნვის მაგივრად არის ნახმარი პირის ნაცვალსახელი: „ამით გათავდა მე და მისი საუბარი“, უნდა იყოს: „ჩემი და მისი საუბარი“.

8) **ეს, ეგ, ის** ნაცვალსახელები ზოგჯერ თანხმოვნის ჩამოშორებით არიან ნახმარი: ე კაცი, ი ბიჭი...

9) შეცდომაა, როცა ზოგიერთ კილოში **იგინი** ნაცვალსახელი ფუძედ არის აღებული და ხელმეორედაა ნაბრუნები: იგინმა, იგინს...

10) შეცდომაა სახელობით ბრუნვაში **ეგ** ნაცვალსახელად **მაგი**-ს და **მაი**-ს ხმარება, რასაც ხშირად ვხვდებით დასავლურ კილოებში (განსაკუთრებით გურულსა და იმერულში). უნდა იყოს: ეგ საქმე და არა: მაგ საქმე, მაი საქმე...

11) შეცდომაა, როცა კუთვნილებით ნაცვალსახელს ეიხმართ პირის ნაცვალსახელის ფუნქციით: მათმა თქვეს, მათმა გააკეთეს. უნდა იყოს: მათ თქვეს, მათ გააკეთეს.

12) **ვიღაცა** და **რაღაცა** მრავლობითში უნდა იყოს: **ვიღაცები, რაღაცები** და არა: ვიღაცეები, რაღაცეები.

ლიტერატურა

გოგუაძე ნ. — ნაცვალსახელი „თავისი“ ქართულში: ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, 1960.

გურგენიძე ტ. — მრავლობითის კატეგორია პირის ნაცვალსახელებში და მისი წარმოების ზოგადი პრინციპები: მაცნე, 1984, № 2.

თოფურია ვ. — პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელები ქართველურ ენებში: თსზ., ტ. III, 1979.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1970.

იმნაიშვილი ივ. — სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957.

კვაშაძე ლ. — ქართული ენა, ნაწილი I, თბ., 1981.

მარტიროსოვი არ. — ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, თბ., 1964.

მელიქიშვილი დ. — პირის ნაცვალსახელთა ფუძის აგებულებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი: ნარკვევები იბერიულ-კავკასიური ენის მორფოლოგიიდან, თბ., 1980.

სიმონიშვილი თ. — ნაცვალსახელის სწავლება სკოლაში, თბ. 1953.

ფოცხიშვილი ალ. — პირისა და კითხვითი ნაცვალსახელების ბრუნების საკითხები თანამედროვე ქართულში: მაცნე, 1985, № 44.

ღვინაძე თ. — ნაცვალსახელთა გამოყენებასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი: ქელს, 1980, № 3.

შალამბერიძე — გ. — ქართული მართლწერა, თბ., 1958.

შალამბერიძე გ. — უტკბესი და უმწარესი, თბ., 1968,

შალვაშვილი ლ. — პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელთა ბრუნების პარადიგმებისათვის: ქართული ენა, კრებული, თბ., 1984.

შანიძე ა. — ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973.

ჩართოლანი ნ. — ჩვენებით ნაცვალსახელთა სისტემა ახალ ქართულში: ქელს, 1979, № 1.

ჩართოლანი ნ. — ესე, ეგე ნაცვალსახელთა ხმარებისათვის ძველ ქართულში: მაცნე, 1979, № 3.

ზ მ ნ ა

ზმნის ზოგადი დახასიათება

§ 78. ზმნის მნიშვნელობა. ზმნის კატეგორიები. ზმნა უძველესი მეტყველების ნაწილია. იგი მომდინარეობს დიონისე თრაკიელის გრამატიკიდან.

ზმნა არის მოქმედების აღმნიშვნელი ფორმაცვალებადი სიტყვა, რომელსაც ერთდროულად რამდენიმე კატეგორია მოეპოვება. მოქმედება (ანუ ზმნურობა) გრამატიკაში აღნიშნავს ყოველგვარ პროცესს (მალავს, აშენებს), მდგომარეობას (ზის, წევს), სხვის მიერ მიყენებულ ვნებას (იჭრება, იხვევა) (ა. შანიძე)[1].

ტერმინი „ზმნა“ შემოსული ჩანს არაბული გრამატიკული ტერმინოლოგიის გავლენით. ის წარმოადგენს თარგმანს არაბული სიტყვისას, რომელიც ნიშნავს „ქმნას“, „აკეთებას“, გრამატიკაში კი — „ზმნას“ (შდრ. ვშერები — ვიზამ — გქენი).

ბერძნულ-ლათინურის მიხედვით რომ შემუშავებულიყო ტერმინი, მაშინ გვექნებოდა „სიტყვა“ (შდრ. რუს. **глагол**, გერმ. verb). ამის შესახებ მიუთითებდა **სულხან-საბაც**, რომელიც ამ ცნების აღსანიშნავად ხმარობდა არა „ზმნას“, არამედ „სიტყვას“.

ზმნა შეიძლება იყოს პირველადი და ნაწარმოები: აკეთებს, აშენებს, ხატავს... პირველადია. შავდება (შავი), იჩემებს (ჩემი), გასამდა (სამი) და ა. შ. სახელებისაგანაა ნაწარმოები.

ზმნა რთული მეტყველების ნაწილია. იგი სემანტიკურადაც მრავალფეროვანია, ერთდროულად გამოხატავს მრავალ ცნებას, რომლებიც აღინიშნებიან სათანადო აფიქსებით. ამის საფუძველზე იქმნება ზმნის მორფოლოგიური კატეგორიები. თუ ქართულში სახელი ევროპული ენებისაგან განსხვავებით მარტივია, სამაგიეროდ, ძალიან რთულია ზმნა. მას, **ა. შანიძის** მიხედვით, 14-მდე კატეგორია აქვს. ესენია: პირი, რიცხვი, დრო, კილო, გზისობა, აქტი, თანამდეროობა, მწკრივი, გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, გვარი, ქცევა, კონტაქტი. საგულისხმოა, რომ ზმნას შეუძლია ერთსა და იმავე დროს 10—12 კატეგორია აჩვენოს.

ზმნის კატეგორიებიდან ზოგი უღლებისაა, ზოგიც — წარმოქმნისა.

უღლებისაა კატეგორია, თუ ის არ ცვლის ზმნის ძირითად ლექსიკურ მნიშვნელობას და ამასთანავე აუცილებლად საჭიროა ამა თუ იმ მწკრივის საწარმოებლად. უღლების კატეგორიებია: პირი, რიცხვი, დრო, კილო, გზისობა, აქტი, მწკრივი **(ა. შანიძე).**

წარმოქმნის კატეგორია ცვლის ზმნის ძირითად ლექსიკურ მნიშვნელობას. ასეთებია: გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, გვარი, ქცევა, კონტაქტი.

[1] სამეცნიერო ლიტერატურაში ზმნას ასეც განმარტავენ: ზმნა არის ფორმაცვალებადი სიტყვა, რომელიც აღნიშნავს საგნის მოქმედებას, მდგომარეობას **ან** მიუთითებს საგნის ნიშან-თვისებაზეც (ავობს, ბრაზობს, ლაჟაზობს) **(რ. გაბეჩავა).**

წარმოქმნის კატეგორია ორმაგი ბუნებისაა: სიტყვას ფორმასაც **უცვლის** და მნიშვნელობასაც. საზოგადოდ, ეს კატეგორიები მეტყველებაში ზმნას ხდიან მოქნილს, ელასტიურს, სიტყვას უქმნიან ნაირფეროვან ელფერს.

ზმნის კატეგორიებად დაყოფასთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში გამოითქვა ასეთი მოსაზრებაც: „ქართულში ზმნის კატეგორიები როგორც ფორმობრივი, ისე სემანტიკური თვალსაზრისით, შეიძლება განაწილდეს ორ ჯგუფად: უღვლილებისა და ასპექტის კატეგორიებად. უღვლილების კატეგორიები განაპირობებენ ზმნის ცვლას მწკრივების მიხედვით, ასპექტის კატეგორიები განარჩევენ მოქმედების სახეს, მოქმედების რაგვარობას“ **(ბ. ჯორბენაძე)**.

ზმნის კატეგორიებიდან პირი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამის გამო ზმნას ასეც განსაზღვრავენ: „ზმნა არის პირიანი სიტყვა“. მაგრამ, **ა. შანიძის** მიხედვით, ზმნა უფრო ზოგადი ცნებაა. იგი შეიცავს როგორც პირიან, ისე უპირო ფორმას (საწყისი, მიმღეობა)[1].

წინადადებაში ზმნა შემასმენელია (მზე **ამოვიდა**) ან შედგენილი შემასმენელის ზმნური ნაწილი (მზე ჩასული **იყო**).

ქართული ზმნა წინადადების დედაძარღვია, სული და გულია ქართული ენისა, ბურჯია მისი.

ი. ჭავჭავაძე წერდა: „ქართველი უფრო ზმნებით ლაპარაკობს, ზმნებით ჰმეტყველებს, ვიდრე სხვა სიტყვის ნაწილებით...

განსაკუთრებული თვისება ჩვენი ენისა... ჩვენი ზმნებია და ნაშეტნავად მისი მართლადა გასაკვირველი ფორმები. ამ მრავალგვარი ფორმების წყალობით, მარტო ერთი ზმნით (სხვა სიტყვის ნაწილების დაუხმარებლად) გამოითქმის პიროვნებაც მომქმედისა, მიმართულებაც მოქმედებისა, სხმით — გარდასხმითობაც (შუალობითი კონტაქტი — ჟ. ფ.). მაგალითად: ვაკეთებ, წავაღებინებ“.

ქართული ზმნის სირთულესა და მის მნიშვნელობაზე ბევრი ლინგვისტი მიუთითებდა. საილუსტრაციოდ დავიმოწმებთ ზოგიერთ მათგანს.

ა. შანიძე: „ზმნა ყველაზე უფრო ძნელი ნაწილია ქართული გრამატიკისა“.

ა. ჩიქობავა: „ქართული ზმნის აგებულებაში სათანადოდ უკუფენილია წინადადების შედგენილობა... ზმნა წინადადებაა მინიატურაში“.

ჟ. ვანდრიესი: „ქართული ზმნა შეიცავს აზრის გამოხატვის ისეთ საშუალებებს, რომლებიც ინდოევროპულ ენებს არ მოეპოვება“.

ჰუგო შუხარდტი: „ქართული ზმნა მეტად რთულია: ვინც სახელი იცის, მან თითქმის არაფერი იცის, ხოლო, ვინც ზმნა იცის, მან თითქმის ენა იცის. ზმნა ენის სულია“.

[1] თუმცა ზოგ მკვლევარს არ მიაჩნია მართებულად ზმნის დაყოფა პირიან და უპირო ფორმებად, რადგან უპირო ფორმა ზმნა არ არისო (იხ. **შ. კეკელია, აკ. დავითიანი** — ქართული ენა).

ზმნის პირი და რიცხვი

§ 74. ზმნის პირი რომელობისა და რაოდენობის მიხედვით. ქართულში პირი არის ზმნის ძირითადი გრამატიკული კატეგორია. პირი არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს ან იმას, ვინც მოუბარია, ან იმას, ვისაც მოუბარი მიმართავს უბნობის დროს, ან კიდევ იმას, ვინც ან რაც არც მოუბარია და არც მისი მიმართვის საგანი, არამედ სხვა **(ა. შანიძე)**.

მაშასადამე, პირი შეიძლება იყოს მოუბარი, თანამოუბარი და საუბრის საგანი. იგი ჯგუფდება რომელობის, რაოდენობისა და როგორობის მიხედვით.

რომელობის მიხედვით, პირი შეიძლება იყოს I (მოუბარი), II (თანამოუბარი), III (საუბრის საგანი).

ესა თუ ის პირი შეიძლება იყოს ერთი ან ერთზე მეტი (მრავალი). ამის მიხედვით ზმნის პირიან ფორმას ორი რიცხვი აქვს: მხოლობითი და მრავლობითი.

მხოლობითი რიცხვი გვიჩვენებს ერთის მოქმედებას ან ერთზე მოქმედებას (წერს, ხატავს).

მრავლობითი რიცხვი აღნიშნავს მრავლის მოქმედებას (წერენ, ხატავენ). თითოეული პირი გამოხატულია სათანადო ნაცვალსახელით:

I პირი: მე — ჩვენ
II პირი: შენ — თქვენ
III პირი: იგი, ის, მან, მას — იგინი, ისინი, მათ, თავი.

პირველი და მეორე პირი ყოველთვის გვაძლევს წარმოდგენას ადამიანის ანდა ადამიანთა მოქმედების შესახებ, მესამე პირით გადმოიანის ანდა ადამიანთა მოქმედების შესახებ,

მოცემული სახელი კი შეიძლება იყოს როგორც ადამიანი, ისე არაადამიანი: **ბავშვი** ხატავს **სურათს.**

როგორც **არნ. ჩიქობავა** აღნიშნავს, ზმნის ანალიზისას ქართულში პირველი კითხვა უნდა იყოს, თუ რამდენპირიანია ზმნა. რუსულსა და ევროპულ ენებში ეს კითხვა არ დაისმის, რადგან იქ ყველა ზმნა ერთპირიანია.

ქართული ზმნის ერთსა და იმავე ფორმაში შეიძლება გამოხატულ იქნეს ერთი, ორი ან სამი პირი. რომ გამოვარკვიოთ, რამდენპირიანია ზმნა, უნდა შევუწყოთ პირის ნაცვალსახელები და შესაბამისად განესაზღვრავთ პირთა რაოდენობას:

იზრდება **ის** (ერთპირიანი), ზრდის **ის მას** (ორპირიანი), უზრდის **ის მას მას** (სამპირიანი).

მრავალპირიანობა (ანუ პოლიპერსონალიზმი) დამახასიათებელია ქართველური ენებისათვის[1]. ევროპული ენების ზმნა ერთპირიანია (მონოპერსონალური), რადგან გრამატიკულად მხოლოდ სუბიექტური პირი აღინიშნება, თუმცა შინაარსით ორი პირი შეიძლება იყოს[2].

ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში მიუთითებენ ზმნის ოთხპირიანობაზეც. **ა. შანიძემ** ქცევის საკითხების კვლევისას დაასახელა ისეთი გარდამავალი ზმნები, სადაც ერთ ფორმაში ორი ირიბი ობიექტია: **მიჭმია მან მე მას ის, მიმიბა მან მე მას ის...** მაგრამ ოთხპირიანობის თვალსაზრისით ისინი ხელოვნურ ფორმებად ჩათვალა. თუმცა, მეორე მხრივ, ქართულისათვის დამახასიათებლად მიიჩნევენ ოთხპირიან ზმნასაც. კერძოდ, „როცა სამპირიან არასასვისო ქცევის ზმნას გადავაკეთებთ სასვისოდ, მაშინ ის ოთხპირიანი ხდება: **აჭმევს ის მას მას — მიჭმევს ის მე მას მას**" **(ლ. კიკნაძე).**

[1] ქართული ზმნის პოლიპერსონალიზმი, პირის ნიშანთა პრეფიქსაცია, აბსოლუტური და რელატიური ზმნების თავისებურებანი პირველად შეამჩნია **დიმ. ყიფიანმა.**

[2] სამეცნიერო ლიტერატურაში ქართული ზმნის მრავალპირიანობა ახსნილია სინტაქსის დონეზე და ჩათვლილია ზმნის ვალენტობად „ზმნური ფორმის უნარს შეიწყოს წინადადების ბირთვში სუბიექტურ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველი სახელების (resp. ნაცვალსახელთა) ანუ აქტანტების განსაზღვრული რაოდენობა, შეიძლება ზმნის „ვალენტობა" ეწოდოს: **(ლ. ტენიერი).** შესაბამისად, ქართული ზმნა შეიძლება იყოს ნულვალენტიანი, ერთვალენტიანი, ორვალენტიანი და ა. შ. დაწვრილებით იხ, **თ. გამყრელიძე.** ზმნის პირიანობა და ვალენტობა", **ლ. ენუქიძე,** ვალენტობის ცნება ენათმეცნიერებაში"...

ცოცხალ მეტყველებაში (და მისი ვაულენით სამწერლობო ენაშიც) დასტურდება ოთხპირიანი ზმნები. **მიჭმიე** (დ. კლდიაშვილი), **დამიჩაგვრიონო, შემინატვრიონო** (ი. ჭავჭავაძე) და მისთანა ფორმებით ქართული ზმნისათვის ოთხპირიანობა ბუნებრივი ჩანს.

§ 75. როგორობა პირისა. როგორობის მიხედვით პირი შეიძლება იყოს სუბიექტური და ობიექტური. **სუბიექტური პირი** ზმნაში წარმოდგენილია მოქმედების ჩამდენად, ე. ი. მოქმედი პირია.

ობიექტური პირი სამოქმედოა. იგი ორგვარია: პირდაპირი და ირიბი. **პირდაპირია ობიექტი,** თუ მას სუბიექტის მოქმედება უშუალოდ, პირდაპირ ეხება. იგი მოქმედების საგანია.

ირიბია ობიექტი, თუ მას სუბიექტის მოქმედება უშუალოდ არ ეხება. იგი მოქმედების საგანი არ არის.

გარდა შინაარსობრივი განსხვავებისა, პირდაპირი და ირიბი ობიექტი ფორმითაც არ არის ერთნაირი: პირდაპირი ბრუნვაცვალებადია (დგას მიცემითსა და სახელობითში), ირიბი — ბრუნვაუცვლელი (ყოველთვის მიცემითშია).

ერთპირიან ზმნაში მხოლოდ სუბიექტური პირია (იზრდება ის), ორპირიანში ერთი სუბიექტურია და ერთიც ობიექტური (ხატავს ის მას), სამპირიანში კი — ერთი სუბიექტური, ორი ობიექტური: პირდაპირი და ირიბი (უშენებს ის მას მას).

რომ გავიგოთ, ზმნაში წარმოდგენილი ობიექტი პირდაპირია თუ ირიბი, უნდა დავაკვირდეთ მის ფორმას. თუ იგი სახელობითშია, პირდაპირი იქნება. მაგრამ, თუკი ობიექტი მიცემით ბრუნვაშია (მიცემითი ხშათა საზიარო ბრუნვაა), მაშინ უნდა შევამოწმოთ, პირდაპირია თუ ირიბი. დავსვამთ **რა ქნა** კითხვას და, თუ ობიექტმა ბრუნვა იცვალა (სახელობითში ჩადგა), პირდაპირია, თუ არ იცვალა — ირიბი.

აკეთებს ის **მას** ემალება ის **მას**

რა ქნა? — გააკეთა მან **ის** (პირდაპირი), დაემალა ის **მას** (ირიბი).

ტერმინი „პირდაპირი ობიექტი" არის თარგმანი ბრალდებითი (Akkusativ) ბრუნვისა, რომელიც არ გააჩნია იბერიულ-კავკასიურ ენებს, ამდენად იგი არ არის ზუსტი. **არნ. ჩიქობავა** პირდაპირი ობიექტის ნაცვლად უფრო მართებულად თვლიდა „უახლოეს ობიექტს", რომელიც, **ფრ. მიულერის** აზრითაც, ქართული ზმნისათვის უფრო შესაფერისი ტერმინია.

ა. შანიძემ ქართულ გრამატიკაში შემოიღო სუბიექტისა და ობი-

ექტის აღმნიშვნელი ლათინური ასოები: S (სუბიექტი), O (ობიექტი), O^d (ობიექტი დირექტა-პირდაპირი), O^i (ობიექტი ინდირექტა-ირიბი), s (singular-მხ. რ.), P (plural-მრ. რ).

§ 76. ზმნის აგებულება. აგებულების მიხედვით ქართული ზმნა ორგვარია: **აბსოლუტური და რელატიური.** ამ დაყოფის საფუძველია პირთა რაოდენობა ზმნის ფორმაში.

აბსოლუტურია ერთპირიანი ზმნა, ე. ი. მიუმართავია: თბება ის... **რელატიურია** ორპირიანი და სამპირიანი ზმნები, ე. ი. მიმართებითია: ზრდის ის მას, უშენებს ის მას მას...

ორპირიან ზმნაში მიმართება ცალმაგია: **ან მხოლოდ პირდაპირი, ან მხოლოდ ირიბი. დახატა მან ის** — მიმართება პირდაპირია, **მიესალმა ის მას** — მიმართება ირიბია, ორივე შემთხვევაში — ცალმაგი.

სამპირიან ზმნაში მიმართება ორმაგია (პირდაპირი და ირიბი): გაუგზავნა მან მას ეს.

როგორც ვხედავთ, პირის კატეგორია ქართულ ზმნაში მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ზმნა იცვლება პირების მიხედვით, ამიტომ უღლება პიროვანია. ასეა სხვა ქართველურ ენებშიც (ზანური, სვანური).

ზოგიერთ კავკასიურ ენაში ზმნას პირი არა აქვს და ზმნის ცვლა კლას-კატეგორიის მიხედვით ხდება. აქ ზმნის უღლება კლასოვანია. ზოგ კავკასიურ ენაში უღლება ერთდროულად პიროვან-კლასოვანია.

ვარაუდობენ, რომ უძველეს ქართულსაც უნდა ჰქონოდა კლასოვანი უღლება.

შენიშვნა: დღეს ქართულში არსებობს რამდენიმე სამპირიანი ზმნა, სადაც ერთი სუბიექტური პირია, ორი კი — ირიბი. ასეთებია: **ეკითხება ის მას მას, უყვება, ჰპირდება, ედავება, ეცილება ესესნება** და ა. შ. ზმნის კონსტრუქცია ცხადყოფს, რომ ძველად ისინი ორპირიანები იყვნენ (სუბიექტითა და ირიბი ობიექტით). მაგრამ დროთა ვითარებაში მათი ორპირიანობა არ აღმოჩნდა საკმარისი და ზმნასთან დაკავშირებული უბრალო დამატება იქცა ირიბ ობიექტად. პირდაპირი ვერ იქნებოდა, რადგან ზმნა გარდაუვალია და ასეთი კონსტრუქცია პირდაპირ ობიექტს ვერ შეიწყობს. სწორედ ამიტომ მოიყარა თავი ზმნის ერთ ფორმაში ორმა ირიბმა ობიექტმა. **ეკითხება** ტიპის ზმნები სამპირიანობას ინარჩუნებენ სამივე სერიაში-

ეკითხება ის მას მას (I სერია), შეეკითხა ის მას მას (II სერია), შეჰკითხვია ის მას მას (III სერია).

§ 77. სუბიექტური პირის მაჩვენებელი აფიქსები მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში. ზმნის პირი გამოიხატება სპეციალური ნიშნით — პირის ნიშნით, რომლის ფუნქციაა განასხვაოს ერთი პირი მეორისაგან.

I-სა და II პირში სუბიექტის ნიშნები პრეფიქსებია, III-ში კი — სუფიქსები.

I სუბიექტური პირის ნიშანია მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში პრეფიქსი **ვ**, მრავლობითობის აღსანიშნავად ემატება სუფიქსი **თ**: ვ-ხატავ მე მას — ვ-ხატავ-თ ჩვენ მას.

ახალ ქართულში I სუბიექტური პირის ნიშანი დაერთვის ზმნათა დიდ უმრავლესობას, გამონაკლისია მხოლოდ ორიოდე შემთხვევა:

1) I სუბიექტური პირის ნიშანი არა გვაქვს მაშინ, როცა ზმნას ობიექტად მეორე პირი შეეწყობა (ე. ი. I და II პირის შეხვედრას აქვს ადგილი): **გ**-ხატავ მე **შენ**. ასეთ დროს ზმნაში უნდა გვქონდეს ორი პრეფიქსი, მაგრამ ენამ მხოლოდ ობიექტური პირი გამოხატა ნიშნით.

2) I სუბიექტური პირის ნიშანი არ არის **მოვედი, მოვალ** ზმნებში. წესის მიხედვით, უნდა იყოს **მოვვედი, მოვვალ**, მაგრამ, რადგანაც ამ ზმნებში II პირის ნიშნად შემორჩენილია ძველი ქართულის **ხ** (მოხვედი, მოხვალ), რის გამოც I და II პირი ორი **ვ**-ს გარეშეც გარჩეულია, ამიტომ ენამ ადვილად დაკარგა I პირის **ვ** პრეფიქსი. თუმცა სამწერლობო ენაში იშვიათად დასტურდება **მოვვედი, შევვლე** ფორმებიც (მაგ., „ვეფხისტყაოსანში“).

ზოგჯერ ზმნის ფორმა რთულია და I სუბიექტური პირი ორმაგადაა გამოხატული პირის ნიშნითა და მეშვეული ზმნით: **ვ**შობილვარ, გავუგზავნივარ, **ვ**ზივარ, მივრბივარ, **ვ**წერივარ...

II სუბიექტური პირის ნიშნებია ახალ ქართულში პრეფიქსები: **ჰ, ს, O, ხ,** მრავლობითობას აღნიშნავს **თ** სუფიქსი: **ჰ**-პარავ — **ჰ, ს, O, ხ,** მრავლობითობას აღნიშნავს **თ** სუფიქსი: **ჰ**-პარავ-თ, **ს**-თლი—**ს**-თლი-თ. Øაშენებ—Øაშენებ-თ, **ხ**-არ—**ხ**-არ-თ.

ა. შანიძის მიხედვით **ჰ** იხმარება ბ, ფ, პ, გ, ქ, კ, ყ თანხმოვნების წინ; **ს** — დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ თანხმოვნების წინ; O (ნულ, ე. ი. ნიშანი არა გვაქვს) მაშინ, როცა ზმნა იწყება

ხმოვნებითა და ზოგიერთი თანხმოვნით; **ხ** შემორჩენილია მხოლოდ **ხარ, მოხვედი, მოხვალ** ზმნებში.

მიუხედავად საგანგებოდ შემუშავებული წესებისა, II სუბიექტური პირის ნიშნის ხმარება სამწერლობო ენასა და ცოცხალ მეტყველებაში ერთგვაროვანი არ არის: აფიქსი ხან გამოიყენება და ხან — არა (**ჰგალობ შენ//გალობ შენ, სდებ შენ მას //დებ შენ მას**). საანალიზო ფორმათა სიჭრელე ბევრჯერ იქცა მეცნიერთა მსჯელობის საგნად.

თანამედროვე ქართული ენის განვითარების ტენდენცია ცხადყოფს, რომ II სუბიექტური პირის ნიშნები დღეს თითქმის აღარ იხმარება, შესაბამისად, სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით, მათი გამოყენება სავალდებულო აღარ არის.

II სუბიექტური პირის ნიშანზე ჩვეულებრივ აღარ ვსაუბრობთ, როცა:

1) ზმნის ფორმაში ადგილი აქვს ე. წ. პირთა შეხვედრას: სუბიექტად მეორეა და ობიექტად პირველი: **მ-ხატავ შენ მე;**

2) ზმნის კილო წართქმითი ბრძანებითია: **დაწერე! დაბეჭდე!**

ძველ ქართულში II სუბიექტური პირის ნიშნების ხმარების წესი ახალთან შედარებით მკვეთრად განსხვავებული იყო (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

III სუბიექტური პირის ნიშნებია მხოლობით რიცხვში სუფიქსები **ს, ა, ო** (ამათგან ძირითადია **ს**): **აკეთებ-ს, აქ-ო, დაწერ-ა;** მრავლობით რიცხვში: **ენ, ნენ, ან, ეს, ნ:** წერ-**ენ,** წერდ-**ნენ,** დაწერ-**ეს,** დაწერო-**ნ,** დარბი-**ან.**

მრავლობითის სუფიქსები ახალ ქართულში ორმაგი ფუნქციის მატარებელნი არიან: აღნიშნავენ პირსაც და რიცხვსაც. თუმცა, მკვლევართა აზრით, ისინი თავდაპირველად რიცხვს გამოხატავდნენ.

§ 78. ობიექტური პირის მაჩვენებელი აფიქსები მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში. ობიექტური პირის ნიშნები პრეფიქსებია. I-სა და II პირში პირდაპირსა და ირიბს ერთი და იგივე ნიშანი მოუდის, III-ში კი განსხვავებული ვითარებაა: ნიშანი აქვს ირიბს, პირდაპირს — არა.

I ობიექტური პირის ნიშანია მხოლობით რიცხვში **მ** პრეფიქსი, მრავლობითში პირისა და რიცხვის ნიშანია **გვ: მ-ხატავს** ის **მე** — **გვ-ხატავს** ის **ჩვენ, მ-იგზავნის** ის **მე** მას — **გვ-იგზავნის** ის **ჩვენ** მას.

ძველ ქართულში I ობიექტური პირის ნიშანი გარჩეული იყო მრავლობით რიცხვში ინკლუზიური და ექსკლუზიური ფორმების მიხედვით. კერძოდ: ინკლუზიურის ნიშანი იყო **მ** (**დამიწერა** მან **ჩვენ** იგი), ექსკლუზიურისა — **გვ** (**დაგვიწერა** მან **ჩვენ** იგი). I ობიექტური პირის ნიშნით გამოხატვის ეს წესი დღესაც დაცულია სვანურში.

II ობიექტური პირის ნიშანია მხოლობითსა და მრავლობითში პრეფიქსი **გ,** მრავლობითობის აღსანიშნავად შეიძლება დაემატოს **თ** სუფიქსი: **გ-ხატავს** ის **შენ** — **გ-ხატავ-თ** ის **თქვენ, გ-კითხა** მან **შენ** ის — **გ-კითხა-თ** მან **თქვენ** ის.

III ირიბობიექტური პირის ნიშნები ორივე რიცხვში არის პრეფიქსები: **ჰ, ს, ო.**

ა. **შანიძის** მიხედვით აქაც **ჰ, ს** ყველა იმ პოზიციაში იხმარება, როგორიც იყო II სუბიექტური პირის შემთხვევაში: **ჰ-კითხა** მან **მას** ის, **ს-თხოვა** მან **მას** ის, დაეხმარა ის **მას**[1].

III ირიბობიექტური პირის მრავლობითობა, ჩვეულებრივ, ზმნაში არ აღინიშნება (**ჰ-კითხა** მან მათ ის), მაგრამ იშვიათად შეიძლება ამ ფუნქციით გამოყენებულ იქნეს **თ** სუფიქსი: ედგა-**თ** ის **მათ.** თუ ძველი ქართული ასეთ პოზიციაში უგამონაკლისოდ ხმაროობდა მხოლობითის ფორმებს, დღეს აშკარად შეიმჩნევა **თ**-ს გამოყენე-

---

[1] როგორც ვხედავთ, მეორე სუბიექტურია და მესამე ირიბობიექტურ პირებს **ჰ, ს** პრეფიქსები მოუდის. ზმნის ფორმაშიც მოსალოდნელია ორი ერთნაირი პრეფიქსი, როცა სუბიექტად მეორე პირია და ირიბ ობიექტად — მესამე. ფაქტობრივად კი წარმოდგენილია მხოლოდ ერთი: **ჰ-კითხე შენ მას** ის, **ს-წერ შენ მას** მას, მო-**ჰ-პარო შენ მას** ის. ა. **შანიძე** ამასთან დაკავშირებით წერს: „ძნელია იმის თქმა, თუ რომელი იკარგება და რომელი რჩება. ესაა ქართული ენისათვის დამახასიათებელი მოვლენა — ორი ერთნაირი ბგერიდან ერთი ბუნებრივად იკარგება და მეორე რჩება".

და მაინც, ზმნის ფორმის ანალიზისას კვალიფიკაცია უნდა მიეცეს **ჰ, ს** პრეფიქსებს!

შეიძლება ვიფიქროთ, რომ **ჰპარავ შენ მას მას** ტიპის ფორმაში **ჰ** ირიბი ობიექტის აღმნიშვნელია, რადგან ირიბი ობიექტის ნიშანი უფრო მკვიდრია. შდრ. **მოჰპარა** მან მას ის, **მისწერა** მან მას ის. გარდა ამისა, S_3 პირის ნიშანი თითქმის ყველგან იკარგება და აქაც შეიძლება ჩაითვალოს გაუჩინარებულად. მეორე მხრივ, **ჰკითხე, მისწერე** და მისთ. ფორმებში სუბიექტი უფრო აქტიურია და არ არის გამორიცხული, აფიქსი მისი აღმნიშვნელი იყოს.

ბის ტენდენცია, რაც თავს იჩენს XVI — XVII საუკუნეებიდან ისტორიულ საბუთებში და თანდათან ხელშესახები ხდება ცოცხალ მეტყველებასა და სამწერლობო ენაში.

§ 79. პირის ნიშნების მართლწერა.

1) I სუბიექტური პირის ნიშანი **ვ** პრეფიქსი არ წარმოითქმის **უ, ო** ხმოვნებისა და **ვ** თანხმოვნის წინ, მაგრამ აუცილებლად უნდა დაიწეროთ: მე **ვ-უთხარი**, მე **ვ-ოცნებობ**, მე **ვ-ვარჯიშობ** (და არა: მე უთხარი, მე ოცნებობ, მე ვარჯიშობ).

2) ზოგიერთ ერთპირიან ზმნაში სუბიექტის ნიშნის გარდა წარმოდგენილია **ობიექტის პრეფიქსიც, რაც არასწორია.** უნდა იყოს: შედგა, ჩანს, დუმს, ქუხს, ჭრის... და არა: შესდგა, სჩანს, სდუმს, **ჰქუხს, ჰჭრის...**

3) როცა ზმნაში II ობიექტური პირის მრავლობითობაა აღნიშნული, მაშინ მასთან შეწყობილი III სუბიექტური პირის ნიშანი **ს** იკარგება: გწერ-**ს ის** შენ მას — გწერ-**თ ის თქვენ** მას...

4) თუ ზმნა იწყება **მ** თანხმოვნით, I ობიექტური პირის **მ** ნიშნის დართვის შემდეგ ორი **მ** გვექნება: **მ-მალავს, მ-მარხავს...**

5) თუ ზმნა იწყება **გ** თანხმოვნით, II ობიექტური პირის ნიშნის **გ** პრეფიქსის დართვის შედეგად ორი **გ** მოიყრის თავს: **გ-გონია, გ-გზავნის...**

6) თუ ზმნა იწყება **გვ** თანხმოვნებით, **გვ** პირის ნიშნის დართვით ორი **გვ** გვექნება: მო-**გვ-გვ**-არა.

7) III პირდაპირობიექტურ პირს ნიშანი არ უნდა, მაგრამ ზოგჯერ იგიცავა აფიქსით წარმოდგენილი: **ს**-თქვა მან **ის**, გადა-**ს**-წყვიტა მან **ის**... ამგვარი ფორმები გრამატიკულად მცდარია. მათში პირდაპირობიექტური პირის ნიშნის პოვნიერება შეპირობებული ჩანს, ერთი მხრით, III ირიბობიექტური პირის ანალოგიითა და, მეორე მხრივ, სტილისტურ-გამომსახველობითი თვალსაზრისით.

8) ზოგჯერ თანხმოვნით დაწყებული ზმნის ერთ ფორმაში თავს იყრის ორი პრეფიქსი. ეს მაშინ ხდება, როცა სუბიექტად პირველი პირია და ობიექტად — მესამე: **ვჰკითხე მე მას** ის, მოვსტაცე **მე მას** ის... ახალ ქართულში, როგორც წესი, ჯერ სუბიექტის ნიშანია, შემდეგ ობიექტისა, ძველი ქართულისათვის ასეთ შემთხვევაში რიგი შებრუნებული იყო.

§ 80. წყობა სუბიექტური და ობიექტური. ზმნის ფორმა შეიძლება შეიცვალოს სუბიექტური ან ობიექტური პირების მიხედვით.

I ს. ვ-ხატავ **მე** მას, ხატავ **შენ** მას, ხატავ-**ს ის** მას.. **მ**-თხოვს **ის მე** მას, **გ**-თხოვს ის **შენ** მას, **ს**-თხოვს ის **მას** მას. პირველ შემთხვევაში წყობა სუბიექტურია, მეორეში — ობიექტური.

ერთპირიან ზმნაში მხოლოდ სუბიექტური წყობაა: ვიზრდები, იზრდები, იზრდება, ვიზრდებით, იზრდებით, იზრდებიან (6 ფორმა).

ორ და სამპირიან ზმნებში ორივე წყობაა: **ვ**-ხატავ **მე** მას, ხატავ **შენ** მას, ხატავ-**ს ის** მას... **მ**-ხატავს ის **მე**, **გ**-ხატავს ის **შენ**, ხატავს ის **მას**... შესაბამისად, მიიღება უღლების ნაირ-ნაირი ფორმები თვით ერთი მწკრივის ფარგლებში (ორივე რიცხვში). კერძოდ: ორპირიანი და სამპირიანი ზმნები 18-18 ფორმას უჩვენებენ.

მართალია, რელატიური აგებულების ზმნათა უმრავლესობას ორივე წყობა აქვს, მაგრამ არის რამდენიმე ზმნა, რომლებსაც ეწარმოება ან მხოლოდ სუბიექტური, ან მხოლოდ ობიექტური წყობა. მაგალითად, მხოლოდ სუბიექტური წყობისაა: **ვიცი**, იცი, იცის (არაა: მიცის, გიცის); მხოლოდ ობიექტური წყობისაა: **მძინავს, გძინავს, სძინავს** (არაა: ვძინავარ). აქ სუბიექტად მუდამ მესამე პირია **(ა. შანიძე)**.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი ზმნა ამჟამად ერთპირიანია, პირის ნიშანი კი მასში ორია წარმოდგენილი: **მძინავ-ს, გ**-ღვიძავ-**ს**. ეს აიხსნება იმით, რომ ერთი პირი (ამ შემთხვევაში სუბიექტური: **ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე)** დროთა განმავლობაში დაიკარგა და ორპირიანი ფორმა ერთპირიანად იქცა, ნიშნები კი უცვლელად დარჩა. ისტორიულად იქნებოდა: **გძინავს ის შენ** (ძილი გძინავს შენ). ამ ტიპის ზმნებში, **არნ. ჩიქობავას** სიტყვებით რომ ვთქვათ, თანაფარდობა დარღვეულია ზმნის აგებულებასა და წინადადების შინაარსს შორის: წინადადებაში სათანადო სახელი დაგვეკარგა, ზმნაში ამ სიტყვის წარმომადგენელი კი დევ ზის, ზმნის ფორმა ჩამორჩა წინადადების შინაარსს (ქეგლ, I, 057).

საზოგადოდ, ასეთ შემთხვევაში, **ა. შანიძის** აზრით, ზმნის პიროვნობის საკვალიფიკაციოდ ამოსავალი უნდა იყოს გრამატიკული შინაარსი, ფუნქცია და არა ფორმა. რადგან, ჩვეულებრივ, ფორმა ფუნქციისათვის არის შექმნილი და არა ფუნქცია ფორმისათვის, ცხადია, გადამწყვეტია ფუნქცია. ამიტომ **გახლავს, სძინავს** და მისთანათა გრამატიკული კვალიფიკაცია ახალი შინაარსის მიხედვით უნდა მოხდეს. **გახლავს** შინაარსით ერთპირიანიცაა და ორპირია-

ნიც. ერთპირიანი ეტოლება **არის** ზმნას, შეეწყობა ერთი პირის ნაცვალსახელი **ის**; რომლის ნიშანია სუფიქსი **ს**. II ობიექტური პირის **გ** პრეფიქსი უფუნქციოა, რადგან ზმნა II პირის შინაარსისაგან დაცლილია.

§ 91. პირის ნიშანთა გენეზისის საკითხი. პირის ნიშანთა წარმოშობაზე ქართულ ლინგვისტიკაში მრავალი მსგავსი თუ განსხვავებული მოსაზრება არსებობს.

ვ და **მ** პრეფიქსები გენეზისურად თითქმის ერთნაირია. მათი (როგორც პირის აღმნიშვნელი აფიქსების) გამოყოფა **ნ. მარის** დამსახურებაა, შემდეგ ისინი დააზუსტა **აკ. შანიძემ**.

ვ და **მ** პრეფიქსების გენეზისი **არნ. ჩიქობავას** მიერ ასეა ახსნილი: **ვ** და **მ** თავდაპირველად ადამიანის კლასის ნიშანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, როცა კლასოვანი უღვლილება მოიშალა, ამ ნიშნებს დაეკისრა პირის აღნიშვნის ფუნქცია.

პირის ნიშნები ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის მთელს მანძილზე ერთნაირი არ ყოფილა.

ცნობილია, რომ V — VII საუკუნეებში ყველა ზმნასთან S_2 პირის ნიშნად გამოიყენებოდა **ხ** პრეფიქსი (**ხ**-გალობ შენ, **ხ**-აკეთებ შენ მას...), VIII საუკუნიდან **ხ**-ს ადგილი ყველგან დაიკავა **ჰ** პრეფიქსმა, ხოლო IX საუკუნიდან **ჰ**-ს ზოგ შემთხვევაში შეენაცვლა **ს**, ხმოვნების წინ კი მთლიანად დაიკარგა (ჰ-დებ, ჰ-აკეთებ, — ს-დებ, აკეთებ).

სწორედ ამის მიხედვით გამოყოფენ სამ პერიოდს: ხანმეტს, ჰაემეტსა და სანნარევს (შესაბამისად არსებობს ხანმეტი, ჰაემეტი და სანნარევი ტექსტები).

ხ, **ჰ**, **ს** პრეფიქსების ისტორია ბევრმა სპეციალისტმა შეისწავლა. **ივ. ჯავახიშვილის** აზრით, თავდაპირველად S_2 პირის ნიშანი უნდა ყოფილიყო **ხ**, მისგანაა მიღებული **ჰ**.

ა. შანიძის მიხედვით **ს**, **ჰ** პრეფიქსების პირველი სახე იქნებოდა **ჰ**, რომლისგანაც უნდა მომდინარეობდეს **ხ**.

არნ. ჩიქობავას[1] თვალსაზრისით **ხ** და **ჰ** პრეფიქსების ამოსავალი იქნებოდა ნივთის კლასის ნიშანი **ს**, რომელსაც პიროვნები უღვლილების ჩამოყალიბების შემდეგ დაეკისრა პირის აღნიშვნა.

გ. როგავას მიაჩნია, რომ ნივთის კლასის **ს** ნიშნისაგან უნდა მიგვეღო **ჰ**, როგორც S_2 პირის ნიშანი. ეს **ჰ** ზოგი ლიტერატურული

სკოლის მიერ გამოითქმოდა როგორც **ჰ**, ზოგის მიერ — როგორც **ხ**.

III სუბიექტური პირის ნიშანთა სისტემა ძველ ქართულში უფრო რთულია. მხოლობით რიცხვში ძირითადი ნიშანი იყო **ხ** სუფიქსი. **ო** ბოლოსართი მიაჩნიათ **ა**-საგან მიღებულად ფონეტიკურ ნიადაგზე (**ვ**-ს მეზობლობა), მაგრამ შემდეგ **ო** ანალოგიით სხვა ზმნებსაც გაუჩნდა **ა**-ს ადგილას (**არნ. ჩიქობავა**).[1]

მრავლობითი რიცხვის აფიქსებიდან ძველ ქართულში ძირითადი იყო **ეს**. შესაძლებელია **ან** მომდინარეობდეს **ენ**-ისაგან (**გ. როგავა**). **ნენ**, როგორც S_3 პირის ნიშანი, ძველმა ქართულმა არ იცის. იგი მიღებულია **ნ**+**ენ**-ის შეერთებით (**ა. შანიძე**), პირველად თავს იჩენს XV საუკუნიდან (**ე. ნიკოლაიშვილი**).

არნ. ჩიქობავა S_3 პირის ძირითად ნიშნებად თვლის **ს** და **ნ** თანხმოვნებს (მათთან ხმოვნები შემდგომ გაჩენილიაო), რომლებიც S_1 და S_2 პირების მრავლობითობის **თ** სუფიქსთან ერთად თავდაპირველად წარმოადგენდნენ ნივთის კლასის ნიშნებს. ამათ გვერდით უნდა დავაყენოთ სახელების მრავლობითი რიცხვის **თ**, **ნ**, **ებ** ნიშნების თანხმოვნებიც.

§ 92. მესამე პირდაპიროობიექტური პირის ნიშნით გამოხატვის საკითხი ქართულში. ახალ ქართულში მესამე პირდაპიროობიექტური პირი ზმნაში არ არის ნიშნით წარმოდგენილი, იგი ვერ აჩენს რიცხვის ნიშანსაც. ძველ ქართულში კი III პირდაპიროობიექტური პირის ნიშნით გამოხატვის წესი სხვაგვარი იყო. **აკ. შანიძის** აზრით, „სახელობითში დასმულ პირდაპირ ობიექტს ძველ ქართულში არავითარი ნიშანი არ ჰქონდა, მაგრამ, თუ ობიექტი მიცემით ბრუნვაში იდგა, ხან აჩენდა პირის ნიშანს და ხან ვერა“. შესაბამისად მეცნიერმა ზმნები დაყო ორ ჯგუფად. ესაა **ჰყოფს** და **ქადაგებს** ტიპისა. პირველი ჯგუფის ზმნები პირის ნიშანს აჩენენ, მეორისა — ვერა. ამ განსხვავებულ წარმოებას **ა. შანიძე** ხსნიდა სხვადასხვა დიალექტური წრის არსებობით. მაგრამ უფრო მოგვიანებით ძვე-

---

[1] ამ დებულების საილუსტრაციოდ იყენებდნენ **იყო** ზმნას, რომელიც ასეა მიღებული: ვიყავ, იყავ, იყავ-ა→იყვა→იყო (**ი. იმნაიშვილი**). თუმცა ზოგს დღეს სარწმუნოდ არ მიაჩნია **იყო** ზმნის **ო**-ს ამგვარი გენეზისი. **ო** სუფიქსის წარმოშობისა და მისი გამოყენების ცალკეული შემთხვევების შესახებ იხ. **გ. გოგოლაშვილის** ნაშრომი „სუბიექტური III პირის **ო** სუფიქსის შესახებ თანამედროვე ქართულში“.

ლი ქართული ენის წერილობითი ძეგლების გამოწვლილვითი ანალიზით დადასტურდა, რომ ძველ ქართულში პირის ნიშანი ჰქონდა მიცემით ბრუნვაში დასმულ პირდაპირ ობიექტს მხოლოდ მაშინ, როცა ზმნას ზმნისწინი დაერთოდა: დახწერს იგი მას, დაჰწერს იგი მას, დასწერს იგი მას... (ე. ი. ზმნისწინით კონსტრუქცია იქტეებოდა და პირის ნიშანი ადვილად არ იკარგებოდა). მაგრამ, თუ ზმნას ზმნისწინი არ მოუდიოდა (კონსტრუქცია ღია იყო), პირის ნიშანიც ადვილად უჩინარდებოდა: წერს იგი მას, ჭამს იგი მას... ძველი ქართულის ეს წესი დღესაც დაცულია ხევსურულ დიალექტში **(ი. იმნაიშვილი).**

მეორე მხრივ, სახელობითში დასმული მესამე პირდაპირობიექტური პირი ზმნაში მხოლოდ რიცხვის ნიშანს აჩენდა (ცრემლნი მოიწურნა), პირის ნიშანს კი — ვერა. ეს ფაქტი ახსნილია იმით, რომ სახელობითში დასმული პირდაპირი ობიექტი ყველაზე ძველი ობიექტია, იმდროინდელია, როცა ზმნა კლასების მიხედვით იცვლებოდა და არ არსებობდა პიროვანი უღვლილება. შესაბამისად, ზმნაში პირის ნიშანიც არ იყო საჭირო. ასეთმა ობიექტმა ვერც შემდგომში შეძლო ზმნაში პირის ნიშნის გაჩენა **(არნ. ჩიქობავა).**

ინვერსიის საკითხი ქართულ ლინგვისტიკაში

§ 83. ინვერსია და მისი საფუძველი. ქართულში ჩვეულებრივ სუბიექტური პირი გამოხატულია სუბიექტის ნიშნით, ობიექტური პირი კი — ობიექტის ნიშნით: **ვ-წერ მე** მას მას, **მწერს** ის მე მას. პირველ ზმნაში S პირი (მე) აღნიშნულია სუბიექტის **ვ** პრეფიქსით, მეორეში O პირი (მე) **მ** ნიშნითაა წარმოდგენილი. მაგრამ ზოგჯერ სუბიექტური პირი გადმოცემულია ობიექტის ნიშნით და პირიქით, ე. ი. ხდება პირის ნიშანთა ფუნქცია-დანიშნულების შეცვლა. ასეთ მოვლენას **ინვერსია** ეწოდება, მაგ., **და-მ-იწერი-ა მე ის.** ამ ფორმაში სუბიექტია I პირი (მე). წესის მიხედვით, მისი ნიშანი უნდა იყოს **ვ** პრეფიქსი, მაგრამ ზმნაში მის ნაცვლად წარმოდგენილია I ობიექტური პირის ნიშანი **მ.** მეორე მხრივ, ამავე ზმნას შეეწყობა III ობიექტური პირი **(ის),** რომელიც გამოხატულია III სუბიექტური პირის **ა** სუფიქსით.

მაშასადამე, ინვერსიის დროს რეალური სუბიექტი გადმოცემულია გრამატიკული ობიექტის ნიშნით და პირიქით: რეალური ობიექტი — გრამატიკული სუბიექტის ნიშნით.

ინვერსია დამახასიათებელია ყველა ქართველური ენისათვის, ახასიათებს იგი იბერიულ-კავკასიური ენებიდან აფხაზურ-ადიღეურსაც.

ა. შანიძის აზრით, ქართულში ინვერსიის საფუძველია ზმნის გარდამავლობა და მესამე სერია, ე. ი. III სერიაში ყველა გარდამავალი ზმნა ინვერსიულია. გარდაუვალი ზმნა არ შეიძლება იყოს ინვერსიული. მეცნიერი გამონაკლისად თვლის მხოლოდ **აქვს** და **ჰყავს** ზმნათა ზმნისწინიან ფორმებს — **მიაქვს** და **მიჰყავს,** რამდენადაც რეალური სუბიექტი სამივე სერიაში ერთი და იგივეა:

მიაქვს ცხენს ტვირთი	მიჰყავს დედას შვილი
წაიღო ცხენმა ტვირთი	წაიყვანა დედამ შვილი
წაუღია ცხენს ტვირთი	წაუყვანია დედას შვილი

გარდამავალი ზმნების ინვერსიულობას მესამე სერიაში ყველა ქართველი მეცნიერი იზიარებს, მაგრამ სადავო საკითხად იქცა ზოგიერთი საშუალი გვარის (ე. წ. **უყვარს** ტიპის) ზმნათა სუბიექტისა და ობიექტის კვალიფიკაცია.

§ 84. ინვერსიის საკითხი უყვარს ტიპის ზმნებში. ქართულ ლინგვისტიკაში **უყვარს, მოსწონს** ტიპის ზმნებთან დაკავშირებით ინვერსიის საკითხი იქცა სადავო პრობლემად. დღეს ერთმანეთს უპირისპირდება ორი გახსხვავებული თვალსაზრისი:

1) **უყვარს ტიპის ზმნები არ არიან ინვერსიულნი** (ე. ვანდრიესი, ა. დირი, ჰ. ფოგტი, ბ. რუდენკო, ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე);

2) **ამგვარი ზმნები ინვერსიულად უნდა ჩაითვალოს** (ნ. მარი, ი. ყიფშიძე, ს. ხუნდაძე, მ. ჯანაშვილი, თ. ჟორდანია, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, მ. თალაკვაძე, დ. მელიქიშვილი, ბ. ჯორბენაძე, ი. კორტავა...).

ინვერსიის პროცესს ქართულ ზმნაში ხანგრძლივი ისტორია აქვს. იგი არის ქართული ზმნის ბუნებიდან (კერძოდ, მისი პოლიპერსონალიზმიდან) გამომდინარე კანონზომიერი პროცესი.

XIX საუკუნის შუა ხანებში ინვერსიული ზმნების თავისებურება პირველად შეამჩნია **დ. ჩუბინაშვილმა.**

XX საუკუნის აღწერითს გრამატიკებში ჩვენთვის საინტერესო

ზმნების სპეციფიკურობას აღნიშნავდნენ ს. ხუნდაძე, მ. ჯანაშვილი, პ. მირიანაშვილი.

1920 წელს **ნ. მარმა** ქართული ზმნები დაყო სუბიექტური და ობიექტური წყობისად, **უყვარს** ტიპის ზმნები მიაკუთვნა უკანასკნელ ჯგუფს. მან ინვერსიული ზმნებისათვის შემოიღო ტერმინი „ობიექტური წყობა“.

უყვარს ტიპის ზმნათა თავისებურება შემდგომშიც იქცევდა მკვლევართა ყურადღებას.

ა. შანიძეს არ მიაჩნდა სარწმუნოდ საანალიზო ზმნათა ინვერსიულობა, მაგრამ 1939 წელს გამოცემულ სასკოლო გრამატიკაში მაინც შეიტანა ასეთი ზმნები (თავისი სურვილის წინააღმდეგ) და მიცემითში მდგარი სახელი ჩათვალა ქვემდებარედ.

არნ. ჩიქობავამ წერილში „ინვერსიული ზმნები და სახელთა კვალიფიკაცია“ (1946) დაასაბუთა ამ ზმნათა ინვერსიულობა და მიუთითა, რომ ასეთ შემთხვევაში რეალური სუბიექტი ყველგან ობიექტის ნიშნითაა წარმოდგენილი და — პირიქით. „მე მწყურია“ ფრაზის შინაარსის მიხედვით **მე** ჰარის რეალური სუბიექტი, ისტორიულად კი ობიექტი იყო. მეცნიერის აზრით, ინვერსიისათვის გადამწყვეტია ფუნქცია და არა ფორმა. კერძოდ ის, რომ პასიური ქვემდებარის ფუნქცია შეიძინა (მიიღო) ირიბმა დამატებამ (რეალურად მოქმედმა პირმა) — მიცემით ბრუნვაში წარმოდგენილმა სახელმა, რის გამოც კონსტრუქცია დატიური გახდა. საჭიროა გარდამავალ ზმნათა ინვერსია III სერიისა დაუკავშირდეს გარდაუვალ საშუალ (სტატიკურ) ზმნათა ინვერსიას აწმყოში.

ა. შანიძემ, როგორც ჩანს, არც ახლა ვაიზიარა **უყვარს** ტიპის ზმნათა ინვერსიულობის თვალსაზრისი და 1948 წელს გამოცემული სასკოლო გრამატიკიდან საერთოდ ამოიღო ეს ზმნები, როგორც ინვერსიულები. უფრო მოგვიანებით მან საგანგებო ნაშრომით — „გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან“ დაასაბუთა სალანალიზო ზმნათა არაინვერსიულობა. ავტორისათვის ამ შემთხვევაში ამოსავალია ზმნის ფორმა და არა სემანტიკა (ფუნქცია). **ვიყვარს ის მე** ფორმაში **ის** არის გრამატიკული სუბიექტი, რადგან წარმოადგენს ჩვენი სიყვარულის მიზეზს, მოქმედების საფუძველს. შესაბამისად, მიცემითში დასმული სახელი (მას) ირიბი ობიექტია. სუბ ექტსაც და ობიექტსაც ზმნაში სათანადო ნიშნები მოეპოვებათ: მ-იყვარ-ს ის მე. ტერმინი „რეალური სუბიექტი“ გრამატიკული ცნება არ არის. იგი საყოფაცხოვრებო სიტყვაა, ამდენად გრამატიკულ ტერმინად არ გამოდგება.

ვ. თოფურიას წერილში „ქართული ენის გრამატიკის სადავო საკითხები“ (1967 წ.) მოცემულია მსჯელობა საცილობელი ტიპის ზმნათა ინვერსიულობის დასასაბუთებლად. თანვე აღნიშნულია, რომ ასეთ ინვერსიულ ფორმებში მიცემითში დასმული სახელი რეალური სუბიექტია, სახელობითში დასმული კი — რეალური ობიექტი. იგი არც პირდაპირია და არც ირიბი.

ლ. კვაჭაძე იზიარებს **აკ. შანიძის** თვალსაზრისს და წერს: „თუ სახელობითში დასმულ სახელს ქვემდებარედ დავასახელებთ და მიცემითში დასმულს ირიბ დამატებად, გრამატიკულ წესს მწყობრი და თანმიმდევრული სახე ეძლევა. რაც აადვილებს მარტივი წინადადების სწავლებას, ისე მის შესწავლისაც. ცხადია, საკითხის ამგვარ გადაწყვეტას უბირატესობა ეძლევა მეთოდიკური თვალსაზრისით“.

ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ, თუ **მიყვარს** ტიპის ზმნათა პირდაპირი წყობისად მიჩნევა სირთულეს არ ქმნის მარტივი წინადადების სწავლებისას, საპირისპირო ვითარება წარმოიქმნება შერწყმულსა და რთულ წინადადებაში, როგორც ამაზე სწორად მართლიანად მიუთითა **ვ. თოფურიამ**. მაგალითად, **წინადადება „კოტეს სძულს თევზი და არც ჭამს“, სძულს** ზმნის არაინვერსიულად გარჩევისას, რთულ თანწყობილად უნდა ჩაითვალოს, რაც შესასწავლად უფრო რთულია და ნაკლებ დამაჯერებელი, ვიდრე მისი მიჩნევა შერწყმულ წინადადებად.[1]

ინვერსია შეიძლება იყოს სტაბილურიც და ლაბილურიც. ლაბილური ინვერსია გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როცა ერთი და იგივე ზმნა ქმნის პირდაპირ წყობასაც და ინვერსიულსაც. მაგალითად, მამა **ეთამაშება** ბავშვს. შდრ. რა **ეთამაშება** ამ ბავშვს? პირველ შემთხვევაში ზმნა პირდაპირი წყობისაა, მეორეში — ინვერსიული.

ლაბილურობისათვის მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ ან რა გვევლინება გრამატიკული სუბიექტის ან ირიბი ობიექტის როლში.

---

[1] ინვერსიასთან დაკავშირებით საგულისხმო მოსაზრებანია გამოთქმული აგრეთვე **მ. თალაკვაძის, გ. როგავას, დ. მელიქიშვილის, ბ. ჯორბენაძის, ა. ლომთაძის, ზ. კერაშევას, ი. კორტავასა** და სხვათა ნაშრომებში.

იმ კონსტრუქციაში, სადაც გრამატიკული ირიბი ობიექტი სულიერი სახელია, ხოლო გრამატიკული სუბიექტი — უსულო, მაშინ გვაქვს ინვერსია და აქტიურ პირად გაიგება ირიბი ობიექტი. მაგრამ იმ კონსტრუქციაში, სადაც გრამატიკული სუბიექტი სულიერია, წყობა რჩება პირდაპირად, ზმნით გამოიხატება აქტიური მოქმედება **(ბ. ჯორბენაძე)**.

ინვერსიის ძალა კარგად ჩანს იმ კონსტრუქციებშიც, სადაც გრამატიკული ქვემდებარე დოკუმენტურად რეალიზებულია, თუმცა რეალურად არ გვეძლევა. ასეთებია წარმოშობით ორპირიანი, მაგრამ ამჟამად ერთპირიანად გაგებული ზმნები: მ-ძინავ-ს მე. მ-ღვიძავ-ს მე, მ-აცივებ-ს მე და ა. შ., სადაც გადამწყვეტი აღმოჩნდა ფუნქცია და არა ფორმა. ამიტომ სახელობით ბრუნვაში მდგარი ისტორიული პასიური სუბიექტი ადვილად დაიკარგებოდა მას შემდეგ, რაც ინვერსიის გზით ისტორიული ირიბი ობიექტი იქცა (გაგებულ იქნა) სუბიექტად: მ-ღვიძავ-ს ის (S) **მე** (O)→მ-ღვიძავ-ს **მე** (რეალური S).

ინვერსიის პროცესი ქართულში დღეს აქტიურად მოქმედია. იგი სულ უფრო იფართოვებს მოქმედების არეს, მოიცავს პასიურსუბიექტიანი ზმნების დიდ ჯგუფს.

თანამედროვე ქართულში გამოიყოფა ძირითადად სამი ტიპის ინვერსიული ფორმები:

1) გარდამავალი ზმნები III სერიისა,

2) გრძნობა-აღქმის გამომხატველი ზმნები (უყვარს, მიჭირს ტიპისა),

3) პასიური სუბიექტის მქონე ინვერსიულობისაკენ გადახრილი დინამიკური ვნებითი გვარის ზმნები (ეხატება, ედგომება, ეჩვენება...). ამათ მერყევი (ლაბილური) ინვერსია ახასიათებთ.[1]

ინვერსიულ ზმნათა არე ფართოა, ამიტომ სკოლაში სწავლებისას მათი იგნორირება დაუშვებელია **(დ. მელიქიშვილი)**.

[1] **ემჩატება, ემღერება, შემოეფშვნება** და მისთანა **ენიან** (პოტენციალისის, უნებლიე მოქმედების, განცდების გამომხატველ) ფორმებში რომ მიცემითში დასმული სახელი სუბიექტია, ჩანს იქიდანაც, რომ სუბიექტად გაგებული პირის მრავლობითობა ზმნაში აღინიშნება **თ** სუფიქსით: ემჩატება მას ის — ემჩატებათ მათ ის და არა: ემჩატებიან მას ისინი **(ბ. ჯორბენაძე)**.

ლიტერატურა

აფრიდონიძე შ. — ინვერსიის სტილისტური დანიშნულებისათვის: თსუ, შრ., 1972, 4 (143).

ბურჭულაძე გ. — ერთი მოსაგვარებელი საკითხის გამო: ქელს, 1984, № 3.

გამყრელიძე თ. — ზმნის პირიანობა და „ვალენტობა“: საენათმეცნიერო კრებული, 1979.

გოგოლაშვილი გ. — S_3 პირის **ო** სუფიქსის შესახებ თანამედროვე ქართულში: ქსკს, IV, 1981.

გოგოლაშვილი გ. — S_3 პირის **ს, ა, ო** სუფიქსთა განაწილებისათვის ახალ ქართულში: საენათმეცნიერო საუბრები“, თბ., 1987.

ენუქიძე ლ. — ვალენტობის ცნება ენათმეცნიერებაში: ძირითადი სინტაქსური თეორიები თანამედროვე საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში, თბ., 1987.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1970.

თევზაძე ჯ. რთული ზმნები ქართულში წარმოქმნის კატეგორიების მიხედვით: თბ., პუშკ. სახ. პედ. ინსტ. შრ. XV, 1960.

თოფურია ვ. — ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1965.

თოფურია ვ. — ქართული ენის გრამატიკის სადავო საკითხები: ქელს, 1967, № 3.

იმნაიშვილი ი. — ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწილი II, თბ., 1971.

კვაჭაძე ლ. — თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1988.

კვაჭაძე ლ. — ქართული ენა, ნაწილი I, 1981.

კიკნაძე ლ. — ზმნის ოთხპირიანობისათვის ქართულში: „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1937, № 8—9.

მელიქიშვილი დ. — **მიჭირს** ზმნა და მასწავლებლის გასაჭირი: ქელს, 1978, № 4.

ნიკოლაიშვილი ელ. — S_3 პირის **ეს** სუფიქსის **ნ (ენ)**-ით შეცვლის ისტორიისათვის: მაცნე, 1978, № 3.

ონიანი ალ. — ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბ., 1978.

როგავა გ. — მრავლობითი რიცხვის III სუბიექტური პირის **ან** სუფიქსისათვის ქართულში: იკე, XVI, 1968.

როგავა გ. — ზმნის პოლიპერსონალიზმის ისტორიისათვის: იკე, XIII, 1962.

სარჯველაძე ზ. — თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ერთი საჭირბოროტო საკითხი: ალმანახი „ლიახვი“, 1968.

სარჯველაძე ზ. — ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.

სურმავა ნ. — ზმნის პირთა რიცხვის აღნიშვნის ისტორიიდან: იკე, 28-ე, 1989.

შალამბერიძე გ. — ქართული მართლწერა, თბ., 1958.

შანიძე ა. — ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.
შანიძე ა. — ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
შანიძე ა. სალიტერატურო ქართულის საკითხები, თბ., 1979.
შანიძე ა. — სუბიექტური პრეფიქსი II პირისა და ობიექტური პრეფიქსი III პირისა ქართულ ზმნებში: თხზ, ტ. II, 1981.
შანიძე ა. — გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან: თხზ., ტ. II, 1981.
ჩიქობავა არნ. ინვერსიული ზმნები და სახელთა კვალიფიკაცია: გაზეთი „სახალხო განათლება", 1946, 3/10.
ჩიქობავა არნ. — ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება: ქეგლ, I, 1950.
ჩიქობავა არნ. — გრამატიკულ კლას-კატეგორიათა ნიშნების ეტიმოლოგიისთვის ქართველურ ენებში: მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 4, 1944.
ჩიქობავა არნ. — მრავლობითის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში: იკე, ტ. 6, 1954..
ჩიქობავა არნ. — სახელობითი, როგორც ობიექტის კლასისა და მიცემითი, როგორც ობიექტის პირის ბრუნვა, ქართული ზმნის უღვლილების ისტორიაში: წელიწდეული, 1980, № 7.
ჯორბენაძე ბ. — ინვერსიულ ზმნათა ჩამოყალიბების პრინციპები ქართულში: იკე-ს წელიწდეული, VIII, 1981.

დ რ ო

§ 85. დროის რაობა. დროთა რაოდენობის საკითხი. დრო ქართული ზმნის ძირითადი კატეგორიაა. იგი მოეპოვება ყველა იბერიულ-კავკასიურ ენას.

დრო არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს მოქმედების მომენტის შეფარდებას უბნობის მომენტთან. ამის მიხედვით დრო ქართულში სამი სახისაა: ახლანდელი, წარსული და მომავალი.

ახლანდელია ფორმა, როცა ზმნით გამოხატული მოქმედება ხდება თქმის (უბნობის) მომენტში: ვაკეთებ, ვწერ...

წარსული დრო გვიჩვენებს, რომ ზმნით აღნიშნული მოქმედება მოხდა თქმამდე: გავაკეთე, დავწერე...

მომავალი დრო გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელიც მოხდება თქმის შემდეგ: გავაკეთებ, დავწერ.

ტერმინები „ახლანდელი",[1] „წარსული", „მომავალი" ა. **შანი-**

[1] ა. **შანიძე**, „ეხლახდელს" ხმარობს.

ძეს მიერაა დამკვიდრებული. მანამდე არსებული „აწმყო", „ნამყო", „მყოფადი", რომლებიც მომდინარეობენ **ანტონ პირველის** გრამატიკიდან, მეცნიერს მიაჩნია ხელოვნურ ფორმებად, თუმცა სპეციალურ ლიტერატურაში ზოგჯერ დღესაც გამოიყენება.

მაშასადამე, **ა. შანიძის** მიხედვით, დრო სამია. მაგრამ ქართულ ლინგვისტიკაში დროთა რაოდენობას სხვადასხვაგვარად განსაზღვრავდნენ: **ს. ხუნდაძე** გამოყოფდა 11 დროს, **ნ. მარი** — 8-ს, **არნ. ჩიქობავა** — 6-ს.

ევროპულ ენებშიც 3-ზე მეტი დრო არის დასახელებული. ამის საფუძველი ისაა, რომ ამ ენებში მოიპოვება რამდენიმე ფორმა, რომლებიც წარსულს ან მომავალს გამოხატავენ. მაგალითად, ვწერე, ვწერდი. მიწერია — სამივე წარსულია, მაგრამ სხვადასხვაა ფორმითაც და შინაარსითაც.

ქართულში რომ სამზე მეტი დროის შესახებ მსჯელობდნენ ჩვენი მეცნიერები, ამასთან დაკავშირებით **ა. შანიძე** წერდა: „ასეთი მცდარი შეხედულება დროის შესახებ იქედან მომდინარეობს, რომ სპეციალურ ლიტერატურაში გრამატიკული დროის პრობლემა სწორად არ არის დასმული და გადაწყვეტილი. საზოგადოდ, დროის კატეგორიას რევენ მწკრივის ერთ-ერთ კატეგორიასთან (კილოსთან ან თანამდევრობასთან). ქართული ენის უხვი მასალების შესწავლა და სხვა ენებზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ დრო ერთ-ერთი ელემენტია მწკრივისა და რომ ის შეიძლება მხოლოდ სამი სახისა იყოს ყველა ენაში".

ერთსა და იმავე დროში ზმნას შეიძლება რამდენიმე სხვადასხვა ფორმა მოეპოვებოდეს: ვწერდი, ვწერე, დამიწერია, მიწერია — ყველა წარსულის ფორმაა. დროის თვალსაზრისით მათ შორის განსხვავება არაა.

ქართულში დრო მოეპოვება როგორც პირიან, ისე უპირო ზმნებსაც (მიმღეობას): გაკეთებულ (წარსული), გასაკეთებელი (მომავალი).

§ 86. უდროო ფორმები. დროის ფორმათა არაპირდაპირი მნიშვნელობით გამოყენება. საზოგადოდ, პირიანი ფორმა მიუთითებს დროის კონკრეტულ მონაკვეთზე, მაგრამ ზოგჯერ მას შეიძლება გამოეცალოს დროის შინაარსი. თუ ზმნის ფორმით არაა გათვალისწინებული მოქმედების მომენტის შეფარდება უბნობის მომენტთან, მაშინ ზმნაშიც არ არის მოცემული არც ერთი დრო. ასეთ ფორ-

მებს **უდროო ფორმები** ჰქვია. ასეთია მუდმივი, საუკუნოვანი მოვლენების გამომხატველი და, აგრეთვე, ისეთი ზმნები, რომელთა მიერ აღნიშნული მოქმედება ჩვეულებრივ დამახასიათებელია საგნისათვის: დედამიწა მზის გარშემო ტრიალებს, მზე ანათებს, თევზი ცურავს...

არის ზმნები, რომლებიც კონკრეტულ დროზეც მიუთითებენ და, მეორე მხრივ, უდროო ფორმებადაც ითვლებიან, მაგალითად: 1) „კოტე კარგად ნადირობს", 2) „კოტე ნადირობს და კურდღელსაც მოიყვანს". პირველ შემთხვევაში ზმნა (ნადირობს) უდროოა, მეორეში — ახლანდელი. ასეთივე ზმნებია: ასწავლის, აჭმევს, მუშაობს და ა. შ.

ქართულში წარსული დროის ფორმები მკვეთრადაა გარჩეული სხვა დროის ფორმებისაგან, მაგრამ მაინც ახლანდელსა და მომავალს შორის ფორმობრივი ზღვარი ყოველთვის მტკიცედ არაა დაცული. მაგალითად, პოლისემიურია: ჭამს, ათამაშებს, ასწავლის, არჩენს..

ზმნის ფორმა, ჩვეულებრივ, გამოყენებულია თავისი პირდაპირი მნიშვნელობით (ხატავს — ახლანდელია, დახატა — წარსული, დახატავს — მომავალი), მაგრამ მას შეიძლება ზოგჯერ გამოეცალოს ამა თუ იმ ფიზიკური დროის შინაარსი და კონტექსტის მიხედვით სხვა — არაპირდაპირი მნიშვნელობით ფუნქციონირებდეს: „მომიყვანე ბავშვი და ვასწავლი". აქ **ვასწავლი** მომავალს გულისხმობს და ესაა ახლანდელი დროის არაპირდაპირი მნიშვნელობა.

დრო შეიძლება გამოიხატოს ცალკე სიტყვებითაც: დღეს, გუშინ, ხვალ და ა. შ. მაგრამ ეს არ არის მორფოლოგიური დრო. იგი ზმნამ უნდა გამოხატოს აფიქსით. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა **არნ. ჩიქობავას** თვალსაზრისი: „დროის კატეგორია ზმნას იმთავითვე არ მოეპოვებოდა. ზმნის უღლება მიუთითებდა არა იმაზე, თუ როდის მიმდინარეობდა მოქმედება, არამედ იმაზე, თუ რა სახისა იყო მოქმედება: ერთბაშად თუ განგრძობითი, ერთხელ ჰქონდა ადგილი მას, თუ მრავალგზის განმეორდა. სახეობა მოქმედებისა, ანუ ასპექტი წინ უსწრებდა დროის კატეგორიის ჩამოყალიბებას უღლილებაში".

§ 87. დრო, როგორც გრამატიკული კატეგორია. ტრადიციული შეხედულებით, დრო ზმნის ერთ-ერთი ძირითადი კატეგორიაა. შესაბამისად, იგი გაფორმებული უნდა იყოს გრამატიკული ნიშნით,

მაგრამ, როგორც **ა. შანიძე** მიუთითებს, დროს ასეთი ნიშანი არ გააჩნია. იგი მწკრივის ერთ-ერთი ელემენტია, ე. ი. შინაარსობრივად გამოიხატება რომელიმე მწკრივის ფორმით, რომელსაც დაესმის სათანადო კითხვა. მაგრამ **არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია** და სხვანი დროის ნიშნებად ასახელებდნენ **დ, ე, ინ, ი** აფიქსებს. ამასთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „შეუძლებელია არსებობდეს მორფოლოგიური მნიშვნელობა, თუ მას არა აქვს სათანადო აფიქსი. მორფოლოგიური მნიშვნელობა, აფიქსის გარეშე შეპირობებულია სინტაქსურად, წინადადების კონსტრუქციით, ე. ი. მნიშვნელობა დაუფლებულია ზმნის მთლიან მოდელს. მაგალითად, დროის მორფოლოგიური მნიშვნელობა მთლიანად ზმნის ფუძეს დაუფლებული მნიშვნელობაა. მართალია, ზმნის ფორმათა ანალიზისას ჩვენ გამოვყოფთ დროის გამომხატველ ფორმანტებს (უწყვეტლის **დ, ოდ,** წყვეტილის **ე**), მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ ეს ფორმანტები არიან დროის გამომხატველნი თავისთავადად. დრო შეიძლება გამოხატულ იქნეს ფუძეებითაც, მაგალითად, **ვწერ, აწმყოა" (ფ. ერთელიშვილი)**.

უფრო მოგვიანებით **არნ. ჩიქობავა** შენიშნავდა, რომ დრო არა მორფოლოგიური, არამედ მხოლოდ სემანტიკური კატეგორიაა. იგივე თვალსაზრისი განავითარა **ბ. ჯორბენაძემაც.**

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებათა გათვალისწინებითა და საკუთარი ძიების საფუძველზე **გ. გოგოლაშვილმა** გამოიტანა ასეთი დასკვნა: დროის მაწარმოებლებად დასახელებული აფიქსები ვერ ჩაითვლება ამ კატეგორიის ნიშნად, რადგან თითოეული მათგანისათვის ძირითადია სულ სხვა ფუნქციები (მწკრივის, გვარის, კაუზატივის ნიშნობა...). ამის გამო დრო არ არის მორფოლოგიურად გაფორმებული. იგი მხოლოდ სემანტიკური კატეგორიაა. დროული მნიშვნელობა ცვალებადია ერთი მწკრივის ფარგლებში და კონტექსტის გარეშე ვერ გაირკვევა. დროის გამოსახატავად კონტექსტი და ინტონაცია გამოიყენება.

ლიტერატურა

აფრიდონიძე შ. — დროის კატეგორია როგორც სიტყვათა მაორგანიზებელი წინადადებაში: თსუ შრ. 1972, 4 (148).

გოგოლაშვილი გ. — ქართული ზმნის უღლილების სისტემა, თბ., 1988.

ერთელიშვილი ფ. — ბეკვის საკითხისათვის ქართულში: თსუ შრ., ტ. 114, 1965.

თოფურია ვ. — ნამყოს სახეობათა საერთო ნიშნისათვის: იკე, VIII, 1936.
კვაჭაძე შ., დავითიანი ა.კ. — ქართული ენა, თბ., 1973.
კვაჭაძე ლ. — ქართული ენა, ნაწილი I, თბ., 1981.
შანიძე ა. — ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973..
ჩიქობავა არნ. — იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979.
ჯორბენაძე ბ. — Грузинский глагол, тб., 1986.

კილო

§ 88. კილოს რაობა. კილო არის ზმნის ფორმა რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული ზმნით გამოხატული მოქმედება სინამდვილის თვალსაზრისით: უეჭველ ფაქტად, სასურველ-შესაძლებლად თუ აუცილებელ შესასრულებლად. ამის მიხედვით კილო სამგვარია: თხრობითი, კავშირებითი და ბრძანებითი. **ა. შანიძემ** 1973 წელს გამოცემულ „ქართული ენის გრამატიკა საფუძვლებში“ ამ სამ სახეს დაუმატა პირობით — შედეგობითი კილოც (ეს უკანასკნელი ცალკეა გამოყოფილი უმაღლესი სასწავლებლების პროგრამაშიც). ავტორი საკითხის ანალიზისას აქვე, ამათ გვერდით, მსჯელობს თხოვნითსა და აკრძალვითს კილოებზეც.

თხრობითი კილო გვიჩვენებს, რომ ზმნით გამოხატული მოქმედება უნდა იქნეს გაგებული ნამდვილ ფაქტად, რომელიც ხდება ახლა, მოხდა წარსულში ან მოხდება მომავალში: ვწერ, დავწერე, დავწერ... ქართულში თხრობითი კილო მდიდარია ფორმებით.

კავშირებითი კილო ისეთ მოქმედებას გამოხატავს, რომელიც არ არის ფაქტი, მაგრამ შეიძლება ხდებოდეს ახლა, მოხდეს მომავალში ან მომხდარიყოს წარსულში: წერდეს, დაწეროს, დაეწეროს...

კავშირებითი კილოს ფორმა ხშირად იხმარება დამოკიდებულ წინადადებაში. ამ შემთხვევაში მასთან წარმოდგენილია (ან იგულისხმება) **რომ** და **რათა** კავშირები. კავშირებითკილოიან მწკრივში სამივე დრო შეიძლება იქნეს გადმოცემული, მაგრამ ფორმებით (მწკრივებით) ისე მდიდარი არ არის, როგორც თხრობითი.

ბრძანებითი კილო გვიჩვენებს, რომ მოუბრის სურვილი უნდა შესრულდეს.

როგორც ვხედავთ, კილო ისეთი გრამატიკული კატეგორიაა, რომელიც განსაზღვრავს მოქმედების მოდალობას, ე. ი. აღნიშნავს სინამდვილისადმი მოქმედების მიმართებას, რომელიც მყარდება მოლაპარაკე პირის მიერ. სწორედ მოქმედებისადმი მოუბრის დამოკიდებულებაა კრიტერიუმი კილოს სხვადასხვაობისათვის.

§ 89. ბრძანებითი კილოს სახეები. ბრძანებითი კილო ორგვარია: წართქმითი და უკუთქმითი.

წართქმითი ბრძანებითი გვიჩვენებს, რომ ზმნით გამოხატული მოქმედება უნდა შესრულდეს: დაწერე! ააშენე!

უკუთქმითი ბრძანებითი წარმოადგენს ზმნით გამოხატული მოქმედების აკრძალვას, ამიტომ ამ ფორმას აკრძალვითსაც ეძახიან. უკუთქმით კილოსთან იხმარება **არ** და **ნუ** ნაწილაკები: არ გააკეთო! ნუ დახატავ! შეიძლება **ნუ** და **არ** ნაწილაკები გართულებული იყოს სხვა ნაწილაკით ან სიტყვით, ანდა ზმნიზედით (ნურსად, არსად...).

ბრძანება ყოველთვის მიმართულია სუბიექტური პირისადმი და ეს პირი მეტწილად მეორეა. ბრძანება შინაარსობრივ-ინტონაციურად მრავალგვარია: გამოხატავს საკუთრივ ბრძანებას, თხოვნას, ხვეწნა-მუდარას, წაქეზებას, დალოცვას, დარიგებას და სხვ. დაწერე! მიწველეთ! ორი აბაზი მაჩუქე! გული გაიმაგრე! და ა. შ., მაგრამ გრამატიკულად ყველა ეს ფორმა ბრძანებითია.

ბრძანება იშვიათად შეიძლება ეხებოდეს I პირსაც (მრავლობითის ფორმას) და მესამესაც: წავიდეთ, წაიღოს...

ახალ ქართულში ბრძანებით კილოს საკუთარი მწკრივი არა აქვს, ამიტომ იყენებს კავშირებითისა და თხრობითი კილოს ფორმებს. კერძოდ: **არ** ნაწილაკიანი ემყარება II კავშირებითს, ნუ ნაწილაკიანი — აწმყოსა და მყოფადს, წართქმითი ბრძანებითი II პირისათვის — წყვეტილს, II და III პირისათვის — II კავშირებითს.

წართქმით ბრძანებითს ძველ ქართულში საკუთარი ფორმა ჰქონდა, რითაც იგი მკვეთრად იყო გარჩეული თხრობითი კილოსაგან. გარდა ამისა, წართქმით ბრძანებითს არ მოუდიოდა II სუბიექტური პირის ნიშანი, შესაბამის თხრობითს კი დაერთოდა: მოკალ! დაწერე! — ბრძანებითია, მოჰკალ, დაწერე — თხრობითი.

ძველ ქართულში თხრობითისა და ბრძანებითის გარჩევის ეს წესი მტკიცედ იყო დაცული, ახალში ასეთი დაპირისპირება აღარ არის. რადგან დღეს თხრობითი კილოს ფორმებთან მეორე სუბიექტური პირის ნიშანი თითქმის აღარ იხმარება, ამიტომ გარეგნულად ერთმანეთს დაემსგავსა თხრობითი და ბრძანებითი. მათი გარ-

ჩევის ერთადერთი საშუალებაა მიმართება დროში: წარსულის ფორმა თხრობითია, მომავლისა — ბრძანებითი. მაგალითად: „გუშინ შენ კარგი ლექსი **დაწერე**“ — თხრობითია, „დაჯექი და ლექსი **დაწერე**!“ — ბრძანებითი.

ზემოაღნიშნული ძველი წარმოების წესი თხრობითი და ბრძანებითი კილოების გარჩევისა ნაშთის სახით დღემდეა შემონახული მხოლოდ **ვედ** ძირის მქონე ზმნებში: **მოხვედი, არ მოხვიდე, ნუ მოხვალ.** აქ S_2 პირის ნიშანი წარმოდგენილია (რადგან პირველ ფორმაში კილო თხრობითია, მეორესა და მესამეში — უკუთქმითი ბრძანებითი), ხოლო წართქმითი ბრძანებითი **მოდი** უნიშნოა. გარდა ამისა, მთის კილოები ჯერ კიდევ არჩევენ ფორმობრივად წართქმით ბრძანებითს თხრობითისაგან: გარეცხე! წართქმითი ბრძანებითია, გაღრეცხე — თხრობითი.

ბრძანებით კილოს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი დრო — მომავალი, რადგან მოქმედება უნდა შესრულდეს მომავალში. ახლანდელი დრო აქვს **ნუ** ნაწილაკიან უკუთქმითს მომავალი დროის პარალელურად.

§ 90. პირობითი კილო. პირობითი კილოს ფორმა რომელსამე მოქმედებას წარმოგვიდგენს, როგორც აუცილებელ პირობას მეორე მოქმედების შესასრულებლად.

პირობითი კილო გვხვდება რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, სადაც აუცილებლად წარმოდგენილი იქნება შედეგობითი კილოც. პირობით — შედეგობითი უერთმანეთოდ არ გვხვდება.

შედეგობითი კილოს ფორმა გვიჩვენებს, რომ მოქმედება მოხდებოდა, თუ სათანადო პირობა იქნებოდა შესრულებული: „მე რომ ის არ მყვარებოდა, ცუდად დავუმიწებდი იმ მოხდენილ მხარ-ბეჭსა“ (ილია). როგორც წესი, მთავარში შედეგია მოცემული, დამოკიდებულში — პირობა. არც პირობითსა და არც შედეგობითს მწკრივის ფორმა არ გააჩნია. პირობითისათვის დღეს გამოყენებულია II თურმეობითი, შედეგობითისათვის — I ხოლმეობითი (იშვიათად: უწყვეტელი, წყვეტილი).

ქართული ენის ისტორიის მთელს მანძილზე კილოს ფორმები სხვადასხვა ფუნქციით რეალიზდებოდნენ. შესაბამისად, მათი მოხმარების სფეროც სხვადასხვაგვარი იყო.

თხრობითი კილოს გამოყენების არე ახალ ქართულში ძველთან შედარებით გაფართოვდა. იგი ფუნქციონირებს მომავალი დროის

აღსანიშნავადაც (რისთვისაც ძველი ქართული კავშირებითს მიმართავდა).

კავშირებითი კილოს ფორმები შედარებით შემცირდა. დღეს მისთვის ძირითადია მხოლოდ შესაძლებელ-სავარაუდო მოქმედების აღნიშვნა, თუმცა ზოგჯერ I და III პირის ბრძანებითსაც გამოხატავს.

§ 91. კილოს კატეგორიის შესწავლის მოკლე ისტორია. კილო, როგორც ზმნის დამახასიათებელი კატეგორია, შემჩნეული და განალიზებულია **ანტონის გრამატიკაში.**

ანტონის ტერმინოლოგიით, **სქესი** (კილო) შეიძლება იყოს **საზღვრებითი** (თხრობითი), **ბრძანებითი, საწადისი** (კავშირებითი), **ქუჱწყობილებითი** (პირობითი), **უჩინოჲ** (განუსაზღვრელობითი).

აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულ გრამატიკებში (ანტონიდან მოყოლებული) პირობითი და განუსაზღვრელობითი კილოები შემოტანილ იქნა ევროპული გრამატიკების გავლენით. განუსაზღვრელ კილოდ მიიჩნევდნენ ვითარებით ბრუნვაში დასმულ მასდარს (საწყისს): **ყოფად, ჭამად, სმად...** მაგრამ XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან განუსაზღვრელი ფორმა სამართლიანად ამოირიცხა ქართული კილოს სახეობათაგან იმ საბუთით, რომ იგი ქართულს არ ახასიათებს (მართლაც, ევროპული ენების ინფინიტივი ქართულში არ არსებობს). განუსაზღვრელობითი კილო პირველად ამოიღო თავისი გრამატიკიდან **პლ. იოსელიანმა** 1840 წელს.

გარდა „სქესისა“, ძველ გრამატიკოსებთან კილოს აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი „სახარი“.

1930 წელს გამოცემულ **ა. შანიძის** „ქართული ენის გრამატიკაში“ მეცნიერულადაა შესწავლილი კილოს კატეგორია. მანვე შემოიღო ტერმინები „კილო“ „კავშირებითი კილო“. **ა. შანიძემ** გამოყო კილოს სამი სახე: თხრობითი, კავშირებითი, ბრძანებითი.

რადგანაც ძველი გრამატიკოსები სემანტიკურად მკვეთრად ვერ ასხვავებდნენ საწადისსა და პირობით კილოებს, ამიტომ ხმარობდნენ სხვადასხვა ტერმინს: „საწადისი“, „სანეტარძო“, „ნატვრითი“, „პირობითი“, „საეჭვო“. სწორედ ამათთვის საერთო სახელწოდებად დამკვიდრდა „კავშირებითი კილო“.

XX საუკუნის ქართულ ლინგვისტიკაში კილოს კატეგორიას ბევრი სპეციალისტი შეეხო.

არნ. ჩიქობავა გამოყოფს კილოს სამ ძირითად ფორმას: თხრო-

ბითს, კავშირებითსა და ბრძანებითს. მისი აზრით, კავშირებითი იგივე ნატვრით — პირობითია. ამიტომ პირობითის ცალკე გამოყოფა არ მიაჩნია მართებულად.

ნ. კოტინოვმა მოწოგრაფიულად შეისწავლა ქართულში კილოს კატეგორია და აღნიშნა: თხრობით კილოს ქართულ ზმნაში რაიმე მაწარმოებელი არა აქვს, ამდენად, მისი ცალკე მორფოლოგიურ კატეგორიად ჩათვლა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. მაგრამ თხრობითი კილოს გამოყოფა მაინც იმითაა გამართლებული, რომ იგი მოიცავს ზმნათა უმრავლესობას და თანაც მოეპოვება საპირისპირო ფორმები — კავშირებითი და ბრძანებითი. **ნ. კოტინოვის** აზრით, პირობითი კილოც არ შეგვიძლია მივიჩნიოთ როგორც მორფოლოგიური კატეგორია, რადგან მასაც არ გააჩნია სპეციფიკური ფორმა სხვა კილოებთან დაპირისპირებით. ამიტომაა, რომ, ვინც ცალკე სახეობად განიხილავს პირობით კილოს, საილუსტრაციოდ იმოწმებს ან კავშირებითის, ან თხრობითი კილოს ფორმებს. გარდა ამისა, პირობითისა და შედეგობითის შინაარსიც ვერ თავსდება არამც თუ ერთი ზმნის, არამედ ერთი დამოუკიდებელი წინადადების ფარგლებშიც. ამდენად, მისი კილოდ მიჩნევა არაა მართებული. დღეს ქართულში ყველაზე რელიეფურად გამოხატულია კავშირებითი კილო.

ლ. კვაჭაძეც არ თვლის პირობით-შედეგობით კილოებს მორფოლოგიურ კატეგორიად. მისი აზრით, თხრობითის ფორმას ამ ორი კილოს გაგება კონტექსტში ეძლევა სხვა ფორმასთან მიმართებით (ე. ი. სინტაქსურ საფუძველზე). მაგალითად, **ყოფილიყო** და **გავგრილდებოდი** თხრობითი კილოს ფორმებია, მაგრამ პირობასა და შედეგს გამოხატავს ასეთ წინადადებაში: „სიცხე რომ **ყოფილიყო**, მთის წყაროს წყლით **გავგრილდებოდი**".

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აგრეთვე ვარაუდი, რომლის მიხედვით, ქართულში შეიძლება გამოიყოს კილოს ორი სახე: რეალური და ირეალური. რეალური იქნება კილო, რომელშიც გამოხატულია მოსაუბრის თვალსაზრისი — ზმნის მოქმედება გაეგებულ იქნეს როგორც ფაქტი (შესრულებული ან შესასრულებელი). ირეალური იქნება კილო, რომელშიც გამოხატულია მოსაუბრის თვალსაზრისი — ზმნის მოქმედება გაგებულ იქნეს როგორც საეჭვო, შესაძლებელი, სავარაუდო მოვლენა, ირეალობა **(ა. პაიძე)**.

ქართულ ლინგვისტიკაში არაერთგზის იქცა სავანგებო სჯელობის საგნად არა მარტო კილოთა რაოდენობა, არამედ კილოს, როგორც გრამატიკული კატეგორიის, საკითხი. ტრადიციული შეხედულებისაგან განსხვავებით, მიუთითებენ, რომ კილო (ისევე როგორც დრო) ქართულში არის სემანტიკური კატეგორია და არა მორფოლოგიური, რადგან იგი არ გამოიხატება სათანადო მორფოლოგიური ნიშნით, კილოური მნიშვნელობა ცვალებადია ერთი მწკრივის ფარგლებში, ზმნის კილოს დადგენა არ ხერხდება კონტექსტის გარეშე **(არნ. ჩიქობავა, ბ. ჯორბენაძე, გ. გოგოლაშვილი)**.

ლიტერატურა

გოგოლაშვილი გ. — ქართული ზმნის უღვლილების სისტემა, თბ., 1988.

კვაჭაძე ლ. — ქართული ენა, ნაწილი 1, თბ., 1981.

კოტინოვი ნ. — კილოს კატეგორია ქართულში: თელავის პედინსტიტუტის შრომები, ტ. 3. 1963.

ნინუა გ. — კავშირებითისა და ბრძანებითის ფორმათა ფუნქციების შესახებ: მაცნე, 1967, № 1.

ნინუა გ. — ბრძანებითი ახალ ქართულში: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1967, № 2.

ნინუა გ. — ბრძანებითი კილო ქართულ ენაში (საკანდიდატო დისერტაცია). 1968.

პაპიძე ა. — კილოს კატეგორიისათვის თანამედროვე ქართულში: ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 1984.

პაპიძე ა. — III კავშირებითი თანამედროვე სალიტერატურო ენაში: ჭკსს, II, 1979.

შანიძე ა. — ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.

შანიძე ა. — ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.

ჩიქობავა არნ. — ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება: ქმგლ. I, 1950.

ჩიქობავა არნ. — ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.

ჩიქობავა არნ. — იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979.

ჯორბენაძე ბ. — Грузинский глагол, тб., 1986.

გეზი და ორიენტაცია

§ 92. გეზისა და ორიენტაციის რაობა. ორიენტაციის საკითხისათვის. ქართული ზმნის გეზისა და ორიენტაციის საკითხს პირველად შეეხო **ნ. ჩუბინაშვილი**, მათზე ყურადღება გაამახვილა

ნ. მარმაც, ორიენტაციის ნამდვილი არსის დადგენა და ზმნის კატეგორიათა შორის ადგილის მიჩენა **აკ. შანიძის** დამსახურებაა.

გეზი აღნიშნავს ზმნით გამოხატული მოქმედების დამოკიდებულებას სივრცეში მდებარე სხვა პუნქტთან, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ შეიძლება ზმნა არ აღნიშნავდეს არავითარ მიმართულებას არც ერთი პუნქტისაკენ ან მოქმედება მიმართული იყოს რომელიმე პუნქტისაკენ. ამის მიხედვით გარჩეულია ორი სახის გეზი: მიუმართავი და მიმართული.

მიუმართავი გეზის ფორმებია: წერს, ფრინავს, ხატავს... მიმართული გეზისაა: ჩაწერა, მიფრინავს, ჩაიხატა...

მიმართული გეზის ცნებაა მიმართულება, რომელიც ქართულში რამდენიმე სახისაა: ზემოდან ქვემოთ, ქვემოდან ზემოთ, გარედან შიგნით, შიგნიდან გარეთ და ა. შ. (ავიდა, ჩავიდა, გავიდა, შევიდა...).

თუ მოქმედება მიმართულია ამ ადგილისაკენ. სადაც მოუბარი იმყოფება, მაშინ მოქმედების სუბიექტი ან პირდაპირი ობიექტი აქეთ მოიმართება, უახლოვდება მოუბრის პოზიციას და, თუ მიმართულება საწინააღმდეგოა, მაშინ მოქმედების S და პირდაპირი O იქით მიიმართება, შორდება მას. ამის მიხედვით გვაქვს ორი ორიენტაცია: **მაახლოებელი** და **მაშორებელი (სააქეთო** და **საიქეთო).**

როგორც გეზი, ისე ორიენტაცია ზმნისწინის საშუალებით გამოიხატება. მაგალითად, **წერს** მიუმართავი გეზისაა, მაგრამ **ჩა** ზმნისწინის დამატებით ფორმა მიმართული გეზისა გახდება — **ჩაწერს.** ასევე: მიფრინავს საიქეთო ორიენტაციისა, მოფრინავს — სააქეთოსი.

განსხვავებას ორიენტაციის მხრივ ქმნის **მი** და **მო** ზმნისწინები.

ა. შანიძემ ორიენტაციის შესაბამისად ზმნისწინებიც დაყო ორ ჯგუფად: სააქეთო და საიქეთო. სააქეთო ნიშნავს პირველი პირისაკენ დამაახლოებელს, საიქეთო — პირველი პირისაგან დამაშორებელს. მაშასადამე, ამ შეთხვევაში ორიენტაციის კატეგორიის ახსნისათვის ერთადერთი საყრდენია პირველი პირის პოზიცია. აქეთა მიმართულება **მო** ზმნისწინით აღინიშნება, იქეთა მიმართულება კი — **მი** ზმნისწინით.[1]

[1] ორიენტაციის საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა განსხვავებული თვალსაზრისიც. **ალ. ფოცხიშვილის** აზრით: 1) გადასინჯვას მოითხოვს დებულება:

ზმნისწინი

§ 93. ზმნისწინის რაობა, ზმნისწინთა შედგენილობა. ზმნისწინი ჰქვია ზმნის იმ ნაწილს, რომელიც შეიძლება წინ უსწრებდეს თავში დართულ პირის ნიშანს **(ა. შანიძე).** ზმნისწინს უცხოურად **პრევერბი** ჰქვია. ზმნისწინი მოუდის პირიან ზმნასაც და უპირო-საც (დაწერს, გაკეთება).

ზმნისწინი ყველა ენისათვის ერთნაირად არაა დამახასიათებელი: ზოგს სულ არ მოეპოვება, ზოგში კი მნიშვნელოვანი როლი აქვს დაკისრებული. მაგალითად, პრევერბთა სისტემა ქართველურ ენებში კარგადაა ჩამოყალიბებული. ასევე დიდია ზმნისწინების ხვედრითი წონა აფხაზურ-ადიღეურში. სამაგიეროდ, იგი უცხოა დაღესტნურ ენათა უმეტესობისათვის, არაბულისათვის, ხოლო ძალიან იშვიათია სომხურში.

ზმნისწინი რუსულსაც გააჩნია, მაგრამ ქართულთან შედარებით მცირე რაოდენობით, თანაც ფუნქციურად არც ისე მრავალფეროვანია. რუსულის ზმნისწინი გეზს გამოხატავს, ორიენტაციას კი — ვერა. მაგალითად, „პეტრე მოვიდა" — „პეტრე მივიდა", ეს ორი წინადადება რუსულად ასე ითარგმნება: **Пётр пришёл.**

ზმნისწინის გამოყენების თვალსაზრისით ქართულში ზმნები სამგვარია:

1) რომლებიც არ დაირთავენ ზმნისწინს: უყვარს, ჰყავს, აქვს...

2) რომლებიც უზმნისწინოდ არ იხმარებიან: მივიდა, მიდის, მიფრინდა...

3) რომელთაც შეუძლიათ ზმნისწინი დაირთონ ან არ დაირთონ. ამ შეიძლება გამოიყოს ორი ქვეჯგუფი: ა) ზმნები, რომელთაც ზმნისწინი მხოლოდ გეზსა და ორიენტაციას უცვლის (გორავს-მიგორავს, ფრინავს-მიფრინავს, მოფრინავს), ბ) ზმნები, რომლებთანაც ზმნისწინი აწარმოებს სრულ ასპექტს, მომავალ დროს: ვწერ-დავწერ-დავწერე.

ახალ ქართულში 15 ზმნისწინია. ესენია: მი, მო, ა, და, გა, ჩა,

„მი და **მო** ზმნისწინებს დაკისრებული აქვთ გამოხატონ მოქმედების მოძრაობა I პირისაკენ ან საწინააღმდეგო მიმართულებით", 2) არაზუსტია ტერმინები „სააქეთო" და „საიქეთო". დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ნაშრომში „ორიენტაციის კატეგორიისათვის".

შე, წა, გადა, გადმო, გამო, ამო, ჩამო, შემო, წამო. ძველ ქართულში ამათ გარდა იხმარებოდა დამო, უკუ, უკმო, წიაღ, წიაღმო.

შედგენილობის მიხედვით ზმნისწინი შეიძლება იყოს მარტივი და რთული.

მარტივი ზმნისწინებია: მი, მო, ა, და, გა, ჩა, შე, წა, გადა.

რთულია: ამო, ჩამო, შემო, წამო, გამო, გადმო.

რთული ზმნისწინი მიიღება მარტივზე **მო**-ს დართვით: შე+მო→შემო.

ზოგიერთმა ზმნისწინმა ახალ ქართულში შედგენილობის მიხედვით მეტ-ნაკლები ცვლილება განიცადა ძველთან შედარებით.

ძველად გვქონდა: გან, აღ, წარ, შთა, გარდა...

ახლა გვაქვს: გა, ა, წა, ჩა, გადა.

ზმნისწინთა გამარტივების მიზეზად თვლიან ამ ხშირადხმარებულ მორფემათა გაცვეთას, რასაც ხელს უწყობდა **ტმესიც.** გამარტივებული ზემოდასახელებული ფორმები თავს იჩენს VII — VIII საუკუნეებიდან თითო-ოროლა ნიმუშით, IX საუკუნიდან კი უფრო შესამჩნევია **(ზ. სარჯველაძე).** თუმცა, მეორე მხრივ, მათივე ძველი ფორმები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში მეტწილად იხმარება არქაული და აღზევებული სტილის ღროს: განთავისუფლება, შთაგონება, წარდგენა, გარდაქმნა...

დღეს ზმნისწინთა ძველი და ახალი ფორმა ლექსიკური მნიშვნელობის სადიფერენციაციოდაც არის იშვიათად გამოყენებული: აღზრდა — აზრდა, აღდგომა — ადგომა, განახლება — გაახლება...

§ 94. ზმნისწინის ფუნქციები. სამეცნიერო ლიტერატურაში ასახელებენ ზმნისწინის რამდენიმე ფუნქციას. ესენია: 1) აღნიშნოს მიმართულება და ორიენტაცია, 2) სრული სახით წარმოგვიდგინოს მოქმედება, 3) აწარმოოს ახალი მნიშვნელობის ზმნა **(ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ლ. კვაჭაძე...),** 4) აწმყოსაგან აწარმოოს მყოფადი **(არნ. ჩიქობავა, არ. მარტიროსოვი...).**

სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ ქართულსა და რუსულში ზმნისწინები ერთი ტიპის მორფემებია. ისინი ასრულებენ ორ ფუნქციას: ლექსიკურსა და გრამატიკულს. ზმნისწინის ლექსიკური მნიშვნელობა პირველადია.

ლექსიკური მნიშვნელობა შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად: 1) მოქმედების მიმართულების აღნიშვნა, 2) მოქმედების შინაარსში სხვადასხვა აზრობრივი ელფერის შეტანა, 3) სრულიად ახალი ლექსიკური ერთეულის წარმოქმნა.

გრამატიკული ფუნქცია მეორეულია. იგი სამი ფორმით ვლინდება: 1) სრული ასპექტის გამოხატვა, 2) მოქმედების გადატანა აწმყოდან მომავალ დროში, 3) ზოგიერთი გარდაუვალი ზმნის გარდამავლად გადაქცევა **(გ. წიბახაშვილი).**

მაშასადამე, ზმნისწინის ძირითადი გრამატიკული მნიშვნელობაა სრული ასპექტისა და მომავალი დროის წარმოება.

საზოგადოდ, ზმნისწინის ფუნქციათაგან ყველაზე ძველია გეზისა და ორიენტაციის გამოხატვა. ძველია ახალი ლექსიკური მნიშვნელობის წარმოებაც (მაგრამ სათანადო ნიმუშები ძველს ძეგლებში იშვიათია), სხვა ფუნქციები შედარებით ახალია.

განვიხილოთ თითოეული ფუნქცია.

1. მიმართულება ანუ გეზი.

გეზი ორგვარია: მიმართული და მიუმართავი. მაგალითად, ფრინავს — მიუმართავი გეზისაა, მიფრინავს — მიმართულისა.

მიმართულება, თავის მხრივ, ძირითადად ხუთი სახისაა. თითოეული მათგანი გამოიხატება წყვილ-წყვილი ზმნისწინებით (მარტივთა და რთულით):

1) **ქვევიდან ზევით: ა(აღ) — ამო** (ავიდა — ამოვიდა).

2) **ზევიდან ქვევით: და—დამო.** მაგრამ **დამო** აღარ არის ცოცხალი მაწარმოებელი, აღარ იხმარება. ამის გამო მარტივი **და** საორიენტაციო ძალას მოკლებულია **(დამო** ნაშთის სახით გვხვდება სიტყვაში „დამოკიდებული“);

3) **შიგნიდან გარეთ: გა — გამო** (გავიდა — გამოვიდა);

4) **გარედან შიგნით: შე — შემო** (შევიდა — შემოვიდა);

5) **დაბრკოლებათა გადალახვა: გადა — გადმო** (გადავიდა—გადმოვიდა).

ძველ ქართულ წერილობითს ძეგლებში (V—X ს.) გვხვდებოდა კიდევ ერთი წყვილი ზმნისწინი: **წიაღ—წიაღმო,** რომლებიც წყალთან დაკავშირებით იხმარებოდა. **წიაღჴდა**=წყალზე გადავიდა, **წიაღმოჴდა**=წყალზე გადმოვიდა. დღეს ყოველგვარი სახის დაბრკოლების დაძლევის აღსანიშნავად ვიყენებთ **გადა** და **გადმო** ზმნისწინებს.

შეიძლება აღინიშნოს მოქმედება წინა და უკანა არეშიც. მოქმედებას წინა არეში გამოხატავს ზმნისწინები: წა—წამო, უკანა არე-

ში კი — **უკუ—უკმო.** ეს წყვილები საპირისპირო მიმართულების მაჩვენებელია, ოღონდ მათ შორის ის განსხვავებაა, რომ **წა** და **წამო** დღესაც ცოცხალი მაწარმოებელია. **უკუ** და **უკმო** (როგორც ზმნისწინები) ძველადაც იშვიათად იხმარებოდა, ახლა კი თითქმის ვეღარსად ვხვდებით. ახალმა ქართულმა არ იცის **უკუ** და **უკმო,** გარდა ისეთი გამოთქმებისა, როგორიცაა: **პირუკუ,** მტერი **უკუ-ვაგდეთ, წინაუკმო.**

II. ორიენტაცია.

ა. **წანიძის** მიხედვით, ორიენტაცია ორგვარია: საქეთო და საიქეთო. შესაბამისად, საქეთო ზმნისწინებია: მო, ამო, შემო, წამო, ჩამო, გამო, გადმო. საიქეთოა: მი, ა, და, გა, ჩა, წა, გადა; შე (დაწვრილებით იხ. § 92).

III. ზმნისწინი გამოხატავს მოქმედების დასრულებას.

თუ უზმნისწინო ფორმას დავუმატებთ ზმნისწინს, მაშინ მოქმედება დასრულებული შინაარსისა ხდება, ე. ი. სრული ასპექტისა: ვხატე — უსრულია, დავხატე — სრული.

ა. **შანიძეს** ახალ ქართულში სრული ასპექტის წარმოების ერთადერთ საშუალებად ზმნისწინი მიაჩნია.[1]

IV. ზმნისწინი წარმოქმნის საშუალებაა.

ზმნისწინი აწარმოებს ახალი მნიშვნელობის ზმნას. ერთი და იმავე ძირისაგან შეიძლება მივიღოთ განსხვავებული სემანტიკის ზმნა, თუ დავურთავთ სხვადასხვა ზმნისწინს: მო-იგო, წა-აგო, და-ააგო, ჩა-აგო, გა-იგო, ამო-იგო...

V. ზმნისწინის დართვით აწმყოსაგან მყოფადის წარმოება.

ზმნისწინის მეშვეობით ახლანდელი დროისაგან შეიძლება წარმოიქმნას მომავალი. მაგალითად, ხატავს ახლანდელია, დახატავს — მომავალი. მაგრამ ზმნისწინი ყოველთვის ვერ ცვლის დროის გაგებას. ფრინავს, მიფრინავს, დაფრინავს — სამივე ახლანდელია; წერდა, დაწერდა—ორივე წარსულია.

ზმნისწინს შეუძლია ერთდროულად შეასრულოს რამდენიმე

[1] ამასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის მიხედვით, ასპექტის გამოსახატავად ზმნისწინს საკმაოდ მოკრძალებული ფუნქცია აკისრია. ზმნისწინი „მხოლოდ აწმყოსა და მყოფადის მწკრივებს უპირისპირებს ერთმანეთს, როგორც ასპექტის ოპოზიციის წევრებს“ **(რ. ჭიკაძე).**

ფუნქცია. მაგალითად, შეფრინდა გამოხატავს მიმართულ გეზს, საიქეთო ორიენტაციას, დასრულებულ მოქმედებას.

ჩა და **ჩამო** ზმნისწინები ერთი ფორმით ორმაგ მიმართულებას უჩვენებენ. **ჩაფრინდა** ნიშნავს მოქმედებას გარედან შიგნით და ზევიდან ქვევით. ეს იმით აიხსნება, რომ **ჩა** ზმნისწინში გაერთიანებულია **შე** და **და** ზმნისწინების ფუნქციები. შესაბამისად **ჩა** რთული წარმოშობისაა: **შე** ზმნისწინს დაემატა **და,** შემდგომ საფეხურზე **დ** თანხმოვანი დაყრუვდა, იქცა **თ**-დ, მიღებული **შთ** კომპლექსისაგან წარმოიქმნა **ჩ** (შე+და→შდა→შთა→ჩა).

განმეორების თავიდან აცილების მიზნით ზმნის ფორმას ზოგჯერ ერთდროულად დაერთვის **მი** და **მო,** რომლებიც რთული ზმნისწინის სახეს იღებენ: მიმოიხედა (მიიხედ-მოიხედა), მიმოავლო (მიავლ-მოავლო), მიმოქცევა... **მიმო** აღნიშნავს აქეთა და იქეთა მიმართულებას.

§ 95. ზოგიერთი ზმნისწინის დამატებითი მნიშვნელობის შესახებ.

და ზმნისწინი მოქმედების გეზის გამოხატვაში, საზოგადოდ, **ა**-ს უპირისპირდება (**და**ფრინდა-აფრინდა). იგი აღნიშნავს აგრეთვე მოძრაობას გაურკვეველი (განუსაზღვრელი) მიმართულებით: დახტის, დარბის, დადის...

და ზმნისწინთან არის ზოგჯერ დაკავშირებული მოქმედების ინტენსივობა. ამიტომ ასეთ **და**-ს **ინტენსივობის** ანუ **თითოობის და**-ს უწოდებენ **(ა. შანიძე).**

ინტენსივობის **და** გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელიც შესრულებულია ცალ-ცალკე რამდენიმე პირდაპირ ობიექტზე. ეს კი შესაძლებელია გარდამავალ ზმნასთან. მაგალითად, „სტუმრები დასხა ქალმა, **დაჰხადა** ფეხთ“. მეორე ზმნაში **გა**-ს ნაცვლად გამოყენებულია **და,** რადგან აქ ყურადღება ექცევა იმას, რომ მოქმედება მრავალ ობიექტზე იქნა შესრულებული საითითოოდ, ცალ-ცალკე. ასეთივე ფორმებია: დარეცხა, დააუთოვა (შდრ. გარეცხა, გააუთოვა).

დღეს ინტენსივობის **და**-ს ფუნქცია შერყეულია. მას შეიძლება შევხვდეთ აქა-იქ, ისიც აღმოსავლურ კილოებში.

შე ზმნისწინი გამოხატავს მიმართულებას გარედან შიგნით, ზოგჯერ კიდევ აღნიშნავს მაღლა, ზევით მიმართულ მოქმედებას

(შეჯდა, შეხტა) ანდა გულისხმობს ისეთ მოქმედებასაც, რომელიც წარმოდგეხილია ნაკლები ზომით (ხარისხით): გაწითლდა — შეწითლდა, გათეთრდა — შეთეთრდა.[1]

გადა-ს ძირითადი ფუნქციაა წინააღმდეგობის გადალახვის სემანტიკის რეალიზება, მაგრამ ზოგჯერ იგი ზმნით გამოხატული მოქმედების სიჭარბესაც გვიჩვენებს: გადაიტვირთა, გადაიქანცა, გადაიღალა...

ქართულ სალიტერატურო ენაში არსებობს შემთხვევები, როცა ზმნისწინი ასრულებს ზმნის ფუნქციას: **„მო**, დავსხდეთ, ტარიელისად ცრემლი მდის შეუშრობელი“.

§ 96. მართლწერის საკითხები ზმნისწინთან დაკავშირებით.

1) კილოებში ვხვდებით ზმნისწინის ხმოვნის შეცვლას, რაც სალიტერატურო ენისათვის მიუღებელია. უნდა იყოს: წავიდა, შეიყრებიან... და არა: წევიდა, შაიყრებიან.

2) თუ ზმნა ნაწარმოებია **ა** ხმოვნით დაწყებული სიტყვისაგან და მას დაერთვის **ა** ან- **ა**-ზე დაბოლოებული ზმნისწინი, მაშინ თავს იყრის ორი **ა**: ადვილი — გაადვილდა, ახალი — გაახლდა...

3) თუ ზმნა იწყება **ე** ხმოვნით, **შე** ზმნისწინის დართვისას ორი **ე** გვექნება: შეეშინდა, შეეპარა, შეეთვისა...

4) ზმნისწინიანი ფორმის დამარცვლისას არ შეიძლება ზმნისწინთან დარჩეს პირის ნიშანი ან ფუძის დასაწყისი თანხმოვანი. უნდა იყოს: შე-სრულდა, და-ვხატე და არა: შეს-რულდა, დავ-ხატე.

5) არ შეიძლება ზმნისწინის შემადგენელი ნაწილების გათიშვა, უნდა იყოს: განახორციელა, განათავისუფლა, განავითარა... და არა: გაანხორციელა, გაანთავისუფლა, გაანვითარა და ა. შ.)

6) **განა, აღ, წარ** ზმნისწინების ბოლო თანხმოვნები **(ნ, ღ, რ)** არ უნდა იყოს უზმნისწინო ფორმებში: ახორციელებს, ავითარებს, ადგენს, ზრდის... და არა: ანხორციელებს, ანვითარებს, არდგენს, ღზრდის...

§ 97. ზმნისწინთა შესწავლის მოკლე ისტორია. ზმნისწინისა და თანდებულის ურთიერთობა. ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ზმნისწინის შესახებ მსჯელობას ვხვდებით ჯერ კიდევ **ანტონ პირველის** გრამატიკაში, სადაც ზმნისწინის აღმნიშვნელად გამოყენებულია ტერმინი „კერძოკე“. **ანტონის** აზრით, ზმნისწინის ფუნქცია განსხვავებულია. იგი ხან დამოუკიდებელი მნიშვნელობის ნაწილაკია (რომელიც ზმნის მნიშვნელობას აორკეცებს), ხან კიდევ — დამხმარე ელემენტი (რომელიც ან აორკეცებს, ან ცვლის ზმნის შინაარსს, ან სამკაულად გამოიყენება).

ირკვევა, რომ ზმნისწინის ფუნქციებიდან **ანტონს** შეუმჩნევია მხოლოდ ზმნის მნიშვნელობის ცვლა.

ანტონიდან მოყოლებული ძველ გრამატიკოსებთან ზმნისწინის შესახებ უკვე არსებობს გარკვეული ჩამოყალიბებული წარმოდგენა, დამკვიდრებული იყო სათანადო ტერმინები, გარჩეული იყო ზმნისწინის ძირითადი ფუნქციები, არსებობდა მარტივი და რთული ზმნისწინების დაყოფა. აქვე მოცემულია რამდენიმე ცდა მართლწერის საკითხების მოგვარებისა. ზმნისწინის აღსანიშნავად იხმარებოდა ტერმინები: „მარცვალი“ **(გაიოზი)**, „მიმყოლი თანდებული“ **(დ. ყიფიანი)**, „სრულყოფილი ზენართი“ **(დ. კარიჭაშვილი)**, სიტყვის ნაკვეთი **(ა. ჭუთათელაძე)**.

ზმნისწინი მეცნიერულად დამუშავებულია **აკ. შანიძის** მიერ.

მკვლევართა აზრით, ზმნისწინი, თანდებულის მსგავსად, დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვა იყო. სხვაგვარად: ზმნისწინი და თანდებული მომდინარეობენ სრულმნიშვნელოვანი სიტყვისაგან — ზმნისართისაგან, მაგრამ დროთა ვითარებაში ამ უკანასკნელმა დაკარგა დამოუკიდებლობა და მიეკედლა ზმნას ან სახელს.

ზმნისწინი და თანდებული რომ ერთი წარმომავლობისაა, ეს მათი გარეგნული მსგავსებითაც მტკიცდება (**განა**-ახორციელა, შდრ. ამხანაგის-**განა**, **გამო**-ვიდა, შდრ. ამხანაგის **გამო** და ა. შ.).

თანდებული და ზმნისწინი დღეს ფუნქციურადაც ერთნაირია. ორივე აღნიშნავს მიმართულებას. სწორედ მიმართულების გამოხატვას თვლიან ზმნისწინის თავდაპირველ ფუნქციად, რომელიც იმ დროიდან მოჰყვება მას, როცა იგი ჯერ კიდევ ზმნისართი იყო **(ს. ჯუმბურიძე)**.

როცა ზმნისწინმა და თანდებულმა დაკარგეს დამოუკიდებლობა და მორფემებად იქცნენ, მხოლოდ მას შემდეგ დაშორდნენ ფუნქციურად ერთმანეთს **(ი. ვეშაპიძე)**. მიუთითებენ იმასაც, რომ, როცა ზმნისწინს მიმართულების აღნიშვნის გარდა სხვა ფუნქციაც დაემატა, მან უკვე გაწყვიტა სახელთან შინაარსობრივი კავშირი და ამიტომ სახელისათვის აუცილებელი გახდა თანდებულის დართვა.

[1] **შე** ზმნისწინის ამ თავისებურებაზე მითითებულია **სულხან-საბას** ლექსიკონშიც.

თანდებული ქართულში უფრო გვიან უნდა განვითარებულიყო, ვიდრე ზმნისწინი (ვ. ჯაჯანიძე).

და ზმნისწინის თავდაპირველ სახედ მიჩნეულია **დაბ**. ეს წარმოშობით იგივეა, რაც სვანური **დაბ** (=ყანა, ნახნავი მიწა) და ქართული **დაბა**. ძველ ქართულში **დაბა** სოფელს ნიშნავდა, მაგრამ მისი ძირითადი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო **მიწა**. ასე რომ, **დავარდა**-ს ძველისძველი ფორმა იქნებოდა **დაბვარდა** (მიწაზე ვარდა) (ა. შანიძე).

მი და **მო** ნაცვალსახელური წარმოშობისად მიაჩნიათ (ნ. მარი).

წა ზმნისწინის ძველი სახეა **წარ**. მისი ფუნქციაა მიმართულების გამოხატვა აქედან იქით, იქიდან აქეთ, ზემოდან ქვემოთ (წავიდა, წამოვიდა, წაიქცა...).

წა, არნ. ჩიქობავას აზრით, აფხაზური წარმოშობისაა, რაც ნიშნავს **დაბლა, ქვეშ**. **წარ** ზმნისწინის მეგრული შესატყვისია **წალე** (ქვევით, ქვემოთ). მეგრულ **ლე**-ს ეკვივალენტია ქართული **რე**. ანის მიხედვით შეგვიძლია აღვადგინოთ **წა**-ს თავდაპირველი სახე — **წარე**, რომლისგანაცაა დარჩენილი **წარ>წა**[1].

აღ ზმნისწინი დამახასიათებელი იყო ძველი ქართულისათვის. მისი გამარტივებული სახეა **ა**, რომელიც დასტურდება VII საუკუნის მეორე ნახევრიდან. **აღ** შედის **წიაღ**-ში. ეს უკანასკნელი მიჩნეულია **წულითაღისაგან** მომდინარედ (ისე როგორც **წისქვილი←წულის ფქვილი**). ძველად **წიაღ**-ს ჰქონდა ორი მნიშვნელობა: ა) **გაღმა, იმ მხარეს**, 2) **გამოღმა, ამ მხარეს**. **წიაღ** მეტწილად გამოიყენებოდა **წულის** შემცველი დაბრკოლებების გადალახვის აღსანიშნავად.[2]

აღ ზმნისწინი ფუძეს შეუხორცდა **ვაღიარებ** ზმნის ფორმაში, თუმცა ისტორიულად და გრამატიკულად სწორია **აღვიარებ**. **ვაღიარებ** ფორმა კეთილხმოვანების საფუძველზე პირველმა გამოიყენა და მართებულად ჩათვალა **ი. გოგებაშვილმა** (აღვიარებ მე მას, აღგიარებ მე შენ. შდრ. ვაღიარებ მე მას, გაღიარებ მე შენ).

§ 98. ტმესი. ზმნისწინთან დაკავშირებულია ტმესის საკითხი.

[1] ტოპონიმი **წალენჯიხა**, რომელშიც შემონახული უნდა იყოს **წალენ** ფორმა, ქართულად ნიშნავს **დაბლა ციხეს**.

[2] **წიაღ** დღესაცაა შემონახული ერთი სოფლის სახელში — **წიაღუბანი**, რაც ნიშნავს „გაღმაუბანს“ (ა. შანიძე).

ტმესი ანუ **განკვეთა** ეწოდება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული სიტყვის გაწყვეტას სხვა სიტყვის (ან სიტყვების) შუაში ჩასმით. მაგალითად: გა-**ცა**-წყრა (გაწყრა), მო-**ხოლოვინმე**-ვიდა (მოვიდა).

ტმესი ახასიათებდა ძველ ქართულს. ტმესის მოვლენაზე პირველად მიუთითა **ნ. მარმა**, ხოლო მეცნიერულად იგი აღწერა **ა. შანიძემ**. მან ტმესი მიიჩნია ქართული ენის განვითარების იმ პერიოდის გადმონაშთად, როდესაც ზმნისწინს ჯერ კიდევ ჰქონდა შერჩენილი დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვის გავება. ტმესი არის ერთგვარი გარდამავალი საფეხური იმ გზისა, რომელიც ზმნისწინს გაუვლია სრული დამოუკიდებლობიდან სრულ დაქვემდებარებამდე და მორფემად ქცევამდე.

ტმესი სისტემური სახით გვხვდებოდა ძველ ქართულში. აქ შეიძლებოდა ზმნისწინსა და ზმნას შორის ჩაყრილიყო ნაწილაკი, ნაცვალსახელი, ზმნიზედა, კავშირი: მო-**თუ ვინმე**-კუდეს, შე-**ხოლო-ახონ**...

XII საუკუნიდან ტმესის შემთხვევები კლებულობს, ხოლო XVII საუკუნიდან თითქმის აღარ გვხვდება, მაგრამ დღეს მისი ცოდნა აუცილებელია წერილობითს ძეგლებში გამოვლენილი ტმესის მოვლენების ასახსნელად.

ტმესი ძველი ქართულის მიხედვით საფუძვლიანადაა შესწავლილი **თ. ცქიტიშვილის, ჭ. ლომთათიძის, შ. ღლონტისა** და სხვათა შრომებში, ხოლო **კ. შმიდტმა** გამოიკვლია ტმესი ქართველურ ენებში და დაძებნა მისი ტიპოლოგიური პარალელები ინდოევროპულ ენებში. ტმესი ახასიათებს იბერიულ-კავკასიურსა და ინდოევროპულ ენებსაც.

ლიტერატურა

აფრიდონიძე შ. — **გან** და **და** ზმნისწინები ანტონიმები: წელიწდეული, VII, 1980.

გიგინეიშვილი ივ. — პრევერბის ხმარებასთან დაკავშირებული საკითხები: თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, 1970.

ვეშაპიძე ირ. — ზმნისწინი ძველ ქართულ ენაში, თბ., 1967.

ვეშაპიძე ირ. — ზმნისწინი ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში: თსუ შრ., ტ. 33, 1960.

ვეშაპიძე ირ. — ზმნისწინის, ზმნიზედისა და თანდებულის ურთიერთდამოკიდებულებისათვის: თსუ შრ., 96, 1963.

ქვაჭაძე ლ. — ქართული ენა, ნაწილი I, 1981.
მარტიროსოვი არ. — ზმნისწინების შედგენილობა და მათი პირველადი ფუნქციები ძველ ქართულში: იკე, V, 1963.
ფოცხიშვილი ალ. — ორიენტაციის კატეგორიისათვის: ჭელს, 1985, 1-2.
შანიძე ა. — ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.
შანიძე ა. — ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
შმიდტი კარლ ჰორსტ — ტმესი ქართველურ ენებში და მისი ტიპოლოგიური პარალელები ინდოევროპულ ენებში: თსუ, კრებული „გ. ახვლედიანი", 1969.
ჩიქობავა არნ. — წარ პრევერბის ისტორიისათვის ქართულში: ენიმკის მოამბე, ტ. I, 1937.
ჩიქობავა არნ. — ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.
ქიტიშვილი თ. — ტმესი ძველ ქართულში: მაცნე, 1965, № 5.
წიბახაშვილი გ. — ზმნისწინის ლექსიკური და გრამატიკული ფუნქციები: „კომუნისტური აღზრდისათვის", 1960, № 6.
ჭუმბურიძე ზ. — მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1968.
ჯაჯანიძე პ. — ზოგი ზმნისწინისა და თანდებულის ურთიერთმიმართებისათვის ძველ ქართულში: ქუთაისის პედინსტიტუტის შრ., ტ. XI, 1952 — 53.

ასპექტი

§ 99. სრული და უსრული ასპექტი. სრული ასპექტის გამოხატვის საშუალებანი. ასპექტი ზმნის ერთ-ერთი უძველესი კატეგორიაა. იგი დამახასიათებელია მრავალი ენისათვის და გამოიხატება სხვადასხვა საშუალებით. ძნელი დასადგენია ყველა ენისათვის ის საერთო ნიშანი, რომელიც ასპექტის კატეგორიას ცალკე გამოგვაყოფინებს. ამიტომ ასპექტის საერთო და ყველასათვის მისაღები განმარტება არ არსებობს.

ქართულ ლინგვისტიკაში ფართოდ გავრცელებულია ასპექტის ა. **შანიძისეული** განმარტება: „**ასპექტი** ანუ სახე არის ზმნის ფორმა, რომელიც ზმნის მიერ აღნიშნულ მოქმედებას წარმოადგენს ან ისე, რომ მას ბოლო უჩანს, ან ისე, რომ მას ბოლო არ უჩანს".

ასპექტი ასეც შეიძლება განვმარტოთ: „ასპექტი ანუ სახე არის ზმნის ფორმა, რომელიც მიგვითითებს, რომ ზმნის მიერ გამოხატული მოქმედება დაუსრულებელია ან დასრულებული" **(ლ. კვაჭაძე)**. ამის მიხედვით, ასპექტი ორგვარია: უსრული და სრული.

უსრული ასპექტი გვიჩვენებს, რომ მოქმედების პროცესი დაუსრულებელია: ვწერ, ვხატე, ვაშენდა...

სრული ასპექტი გვიჩვენებს, რომ ზმნით აღნიშნული მოქმედება დასრულებულია ან წარმოდგენილია ისე, რომ აუცილებლად დასრულდება: დავწერე, დავხატავ, ავაშენა...

ახალ ქართულში საზოგადოდ სრული ასპექტის გამოსახატავად გამოყენებულია ზმნისწინი. თუ ზმნას ზმნისწინი დაერთვის, მაშინ ის სრული ასპექტისაა, თუკი არ დაერთვის — უსრულია: დავხატე — ვხატე, დავწერე — ვწერე.

ძველ ქართულში ასპექტის წარმოების წესი განსხვავებული იყო ახალთან შედარებით. მაშინ ასპექტი უღლების კატეგორიას წარმოადგენდა და მისი სახეები (სრული და უსრული) ირჩეოდა სერიების მიხედვით: I სერიაში ყველა ზმნა (ზმნისწინიანიცა და უზმნისწინოც) უსრული ასპექტისა იყო, მეორეში კი — სრულისა. ძველი წარმოების ნაშთები თანამედროვე ქართულშიცაა შემოხახულიო. მაგალითად: **თქვა, ნახა, ჰკითხა, სთხოვა, ბრძანა, უთხრა...** უზმნისწინოა, მაგრამ სრული ასპექტის გაგება აქვთ, რადგან II სერიაში არიან[1]. მეორე მხრივ, **აღნიშნავს, განმარტავს, განიხილავს, აღწერს...** კონტექსტის მიხედვით უსრულიც შეიძლება იყოს და სრულიც, თუმცა ზმნისწინს დაირთავენ.

ასპექტისა და დროის კატეგორიებს შორის ზოგადად ასეთი მიმართებაა: უსრული ასპექტი სამივე დროისა შეიძლება იყოს **(ვწერ** ახლა, **ვწერ** მომავალში, **ვწერე** წარსულში). სრული ასპექტის ფორმას მხოლოდ ორი დრო აქვს: წარსული და მომავალი **(დავწერე, დავწერ).**

ახალ ქართულში ასპექტი წარმოქმნის კატეგორია გახდა. იგი სერიების მიხედვით ასეა განაწილებული: აწმყოს წრის მწკრივები უსრულია, მყოფადისა—სრული. II და III სერიის მწკრივებს თანაბრად მოეპოვება როგორც სრული, ისე უსრული ასპექტის ფორმები.

მრავალ შემთხვევაში ასპექტიანი ფორმა გამოხატავს გეზსაც და

[1] სამეცნიერო ლიტერატურაში ამგვარ ფორმებს სხვაგვარ კვალიფიკაციასაც აძლევენ. მაგალითად, **გ. მაჭავარიანის** აზრით, ეს ზმნები არ გამოხატავენ არც სრულსა და არც უსრულ ასპექტებს, საერთოდ არ მოეპოვებათ ასპექტის გაგება. მათთვის დამახასიათებელია ერთობაში, მომენტური, წყვეტილი შინაარსი (სრულობა-უსრულობის აღუნიშნავად). ამით განსხვავდებიან ეს ზმნები ახალი ქართულის უპრეფერბო წყვეტილის ფორმებისაგან: აშენა, ხატა, ზარდა... **ნახა** ტიპის ზმნათა ამგვარი კვალიფიკაცია გაიზიარა **ზ. ჭუმბურიძემაც.**

ორიენტაციასაც (ჩავარდა, ჩამოფრინდა...). ზოგჯერ შეიძლება ასპექტი აღინიშნოს, მაგრამ გეზი და ორიენტაცია არ ჰქონდეს (მოკვდა), ანდა პირიქით: ორიენტაცია არის, ასპექტი—არა (მიფრინავს, მობზუის...).

იმ ზმნებში, რომლებსაც საერთოდ ზმნისწინი არ დაერთვის, არ აღინიშნება არც გეზი, არც ორიენტაცია და არც ასპექტი (უყვარს, სძულს, ჰყავს...).

ა. შანიძე მიუთითებს, რომ ახალ ქართულში ზმნები, გარდა სრული და უსრული ასპექტის მნიშვნელობისა, გამოხატავენ სხვა შინაარსობრივ ნუანსებსაც:

1) უსრული ასპექტის ფორმა ზოგჯერ განმეორებულ მოქმედებას გვიჩვენებს, რაც ხშირია ანდაზებსა და გამოცანებში: **„ვკეცე, ვკეცე. ვერ დავკეცე“**. ამდენად, უსრული ასპექტი რამდენადმე უახლოვდება მრავალგზისობას.

2) ამ სიახლოვითაა გამოწვეული, რომ უწყვეტლის ფორმა, რომელიც ასპექტიან ზმნებში ყოველთვის უსრულია, შეიძლება ხოლმეობითის გვერდით შეგვხვდეს (მოხუცნი ჩიბუხს **სწევდნენ, განმარტავდიან** იმათ ამბავს). მაგრამ, მეცნიერის აზრით, ეს სიახლოვე არ ნიშნავს მათს იგივეობას. უსრული ასპექტი სხვა კატეგორიაა და მრავალგზისობა — სხვა.

§ 100. უასპექტო ზმნები. ასპექტიანი ზმნების გვერდით გამოიყოფა უასპექტო ზმნებიც. უასპექტოა ზმნა:

1) რომელიც ზმნისწინს არ დაირთავს საზოგადოდ (ასეთებია: ა) გარდაუვალ ზმნათა ერთი ჯგუფი — მეტწილად საშუალი გვარისა: უყვარს, ჰყავს, სძულს, არის... ბ) სტატიკური ვნებითები: გდია, ყრია, აფენია...),

2) რომელიც ზმნისწინს დაირთავს მხოლოდ მიმართულების აღსანიშნავად: მიდის, მიფრინავს, დაბზუის...

რომ გავიგოთ, ზმნისწინიანი ფორმა ასპექტიანია თუ უასპექტო, უნდა დავაკვირდეთ შემდეგს: თუ ზმნისწინის დართვას ახლანდელი დროის ფორმა მომავალში გადაჰყავს, მაშინ ის ასპექტიანია, თუკი ვერ გადაიყვანს — უასპექტოა: ჭრის — მიჭრის, დაჭრის (სამივე ახლანდელია) უასპექტოა, წერს — დაწერს (პირველი ახლანდელია, მეორე — მომავალი)—ასპექტიანი.

უასპექტო ზმნები, ჩვეულებრივ, გარდაუვალია, იშვიათად — გარდამავალი. ასეთია **ვიცი**. არის შემთხვევა, როცა ერთ ზმნისწინს

ახლანდელი დროის ფორმა მომავალში ვერ გადაჰყავს და ზმნა უასპექტოა, მაგრამ, თუ მას სხვა ზმნისწინს დავურთავთ, დროის გაგება იცვლება და ზმნაც ასპექტიანი ხდება. მაგალითად, არხევს— მიარხევს, ათრევს — მიათრევს, დაათრევს — უასპექტოა. მაგრამ: არხევს-შეარხევს, შეარხია; ათრევს—წაათრევს, წაათრია—ასპექტიანი.

სამეცნიერო ლიტერატურაში საცილობლადაა ჩათვლილი ტერმინი „უასპექტო ზმნები“.[1]

§ 101. ასპექტის კატეგორიისა და მისი შესწავლის მოკლე ისტორია. ასპექტი ზმნის უძველესი კატეგორიაა. ენათმეცნიერებაში განმტკიცდა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ასპექტის კატეგორია უსწრებს დროისას. დროის კატეგორია რომ მისგან წარმოიქმნა, ეს თვალსაზრისი თავდაპირველად გამოითქვა ინდოევროპული ენების მიმართ, მაგრამ შემდეგ ზოგადენათმეცნიერულ დებულებად იქცა. ქართულის მიმართ ეს მოსაზრება წამოაყენა **არნ. ჩიქობავამ**, მანვე ჩამოაყალიბა უძველეს ქართულში ასპექტის სახე.

პირველად ასპექტი მოქმედების დასრულებას ან დაუსრულებლობას კი არ აღნიშნავდა, არამედ მიუთითებდა, როგორი იყო მოქმედების პროცესი: ერთბაშად (წყვეტილი) თუ განგრძობითი. შესაბამისად, გაირჩეოდა ასპექტის ორი სახე: მომენტობრივი და განგრძობითი.

მომენტობრივი ასპექტი დამთავრებულ, შეწყვეტილ მოქმედებას გულისხმობდა. მეორენაირად მას წერტილებრივ ასპექტსაც ეძახდნენ.

განგრძობითი ანუ **დიურატიული** ასპექტი გამოხატავდა დაუმთავრებელ, განგრძობილ მოქმედებას. მომენტობრივი ასპექტი გადმოიცემოდა წყვეტილის მწკრივით, განგრძობითი კი — ხოლმეობითით: დაწერა — წყვეტილი, დაწერ-ი-ს ხოლმეობითი. განგრძობითი ასპექტის ნიშნად მიჩნეულია ხოლმეობითის **ი**.

---

[1] **ზ. სარჯველაძის** აზრით, იგი ვერ ასახავს რეალურ ვითარებას, სინამდვილეში ასეთ ზმნებს მოეპოვება ერთი ასპექტი და აკლია ალოპოზიციო ცალი. ე. ი. აქ გვაქვს არა საერთოდ უასპექტო, არამედ ასპექტნაკლი ზმნა. ასპექტნაკლი ფორმები **დეფექტური** ზმნებია.

თ. **ზურაბაშვილი, ი. მეგრელიძე, რ. ჭიკაძე** და სხვებიც მიუთითებენ, რომ ყველა ზმნა არ იცვლება ასპექტის მიხედვით, მაგრამ ყოველი ზმნური ფორმა ეკუთვნის რომელიმე ასპექტს. ამის გამოა, რომ დღეს ქართულში არსებობს არა უასპექტო, არამედ **ასპექტნაკლი** ზმნა.

ძველისძველად არც წყვეტილი და არც ხოლმეობითი დროს არ გამოხატავდა, ე. ი. დროის გაგება არ ჰქონდა. მაგრამ დროთა ვითარებაში ამ მწკრივებმა დამატებითი ფუნქციებიც შეიძინეს და უკვე ძველ ქართულშივე (საიდანაც კი წერილობითი ძეგლები მოგვეპოვება) წყვეტილის მწკრივი წარსულ დროს, ერთგზის მოქმედებას აღნიშნავს, ხოლმეობითმაც თანდათან შეიძინა მეორე (მეორეხარისხოვანი) ფუნქცია—განმეორებითი, მრავალგზისი მოქმედების გამოხატვა[1].

შემდგომში, როცა უფრო გართულდა ზმნა კატეგორიებით, მან თანდათან მთლიანად დაკარგა მომენტობრიობა-განგრძობითობის გაგება და მოქმედების დასრულება-დაუსრულებლობის ფუნქცია შეიძინა. ასე ჩამოყალიბდა ასპექტის დღევანდელი შინაარსი.

ძველ ქართულში, ბერძნულისა და ძველი სომხურის მსგავსად, ასპექტის წარმოება გარჩეული იყო სერიების მიხედვით.

ახალ ქართულში ასპექტი წარმოქმნის კატეგორია გახდა. მისი წარმოება დაეკისრა ზმნისწინს. ეს ახალი წესი მისდევს **სლავურ სისტემას.**

მაშასადამე, ასპექტის განხილვა ისტორიული თვალსაზრისით ამჟღავნებს სისტემის მთლიანად შეცვლას, მაგრამ ერთი სისტემიდან მეორეზე გადასვლა ერთბაშად ვერ მოხდებოდა, ის იცვლებოდა ნელ-ნელა და თანდათანობით[2], ამიტომ IX საუკუნიდან კანტიკუნტად გამოვლენილი ახალი ნიმუშები თანდათან მრავლდება და გაბატონებული ხდება.

ასპექტის სისტემის შეცვლას მორფოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა:

1) ასპექტი ძველად უღლების კატეგორია იყო, ახალში წარმოქმნისა გახდა.

2) პარალელურ ფორმათა განსხვავებული გამოყენებით ახალმა სისტემამ აწმყოს სამი მწკრივისაგან წარმოქმნა მყოფადის წრე (სამი ახალი მწკრივი).

3) თუ ძველად წყვეტილი (აორისტი) ბერძნულის მსგავსად ყოველთვის სრული ასპექტისა იყო, დღეს ის სრულიცაა და უსრულიც.

[1] შესაბამისად, ხოლმეობითის **ი**-ს თავდაპირველი ფუნქციად არ მიაჩნიათ მრავალგზისობის ჩვენება.

[2] ახალი სისტემის პირველი ნიმუშები გვხვდება „სინურ მრავალთავში“.

4) ასპექტი შეიძინა III სერიის ფორმებმა და სახელზმნებმა. მაშასადამე, მოხდა გადაჯგუფება ფორმებისა და I სერიისაგან ჩამოყალიბდა აწმყოსა და მყოფადის წრეები.

„ამგვარად, ასპექტის კატეგორიამ აღნიშნა, ასე ვთქვათ, დიდი მოხვეული სალიტერატურო ენის ისტორიაში და ამით გარკვეული ბიჯნა დაიდო ძველ ქართულსა და ახალს შორის. ამ მიჯნაზე ძევს საშუალი ქართული, რომელიც ასახავს ამ ორი სისტემის პარალელურ არსებობას და ენის ცდას, უფრო და უფრო მეტი გასაქანი მოუპოვოს ახალ სისტემას და მივიწყებას მისცეს ძველი“ **(ა. შანიძე).**

როგორც ვხედავთ, ასპექტი ქართული ზმნის ერთ-ერთი რთული კატეგორიაა. მან ქართული ენის ისტორიის მთელს მანძილზე განიცადა ფორმობრივი და ფუნქციური ცვალებადობა, რის გამოც იგი დღეს მრავალფეროვნებით გვეძლევა. სწორედ ამან განაპირობა ლინგვისტთა განსაკუთრებული ინტერესი მისადმი.

ანტონის გრამატიკაში ასპექტი (როგორც კატეგორია) არაა წემჩნეული, ალბათ იმიტომ, რომ XIX საუკუნემდე მას დროის სახეობად თვლიდნენ (ლომონოსოვი, გრეჩი) ასპექტისა და დროის მჭიდრო კავშირის გამო.

დროისაგან ასპექტის გამოყოფა და მისი ცალკე კატეგორიად აღიარება რუსულ ენათმეცნიერებაში იწყება XIX საუკუნის დასაწყისში. „ქართულ გრამატიკაში ასპექტის კატეგორიის დადგენა რუსული ზმნის შესწავლისა და მისი ასპექტის დადგენასთანაა დაკავშირებული. ასპექტის კატეგორია ქართულში განსაზღვრა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების სექციის წევრმა **ედუარდ ლიოზენმა.** ტერმინი „ასპექტი“ ქართული ზმნის მიმართ პირველად მავნე გამოიყენა, მკვეთრად გამიჯნა დრო და ასპექტი“ **(ი. მეგრელიძე).**

ქართველი მკვლევრებიდან ასპექტი განხილულია **დიმ. ყიფიანის** გრამატიკაში. იგი მსჯელობს ზმნის სრული და უსრული სახის შესახებ. მასვე ეკუთვნის ტერმინი „სახე“.

ზმნისწინი რომ სრული ასპექტის მაწარმოებელია, ამის შესახებ პირველად აღნიშნეს **ნ. ჩუბინიშვილმა** და **პლ. იოსელიანმა** (ზოგის აზრით, პირველი იყო ნ. ჩუბინიშვილი, ზოგი კი პლ. იოსელიანს ასახელებს). შემდგომში ეს კატეგორია მეცნიერულად შეისწავლა **ა. შანიძემ.** მანვე შემოიღო ტერმინი „ასპექტი“, თუმცა იგი

პარალელურად „სახესაც“ ხმარობდა. ასპექტი არის რუსული **вид** სიტყვის თარგმანი, ნასესხებია სლავური გრამატიკიდან. იგი დამკვიდრდა როგორც ინტერნაციონალური ტერმინი.

თანამედროვე ქართულ ლინგვისტიკაში ასპექტთან დაკავშირებით გამოითქვა მრავალი მოსაზრება, რომელთაგან ზოგი უპირისპირდება ტრადიციულ კვალიფიკაციას, ზოგჯერ კიდევ გამოვლენილია საანალიზო ფორმის ახალი შინაარსობრივი ნუანსი და ფუნქციური მრავალფეროვნება. მაგალითად, **გ. მაჭავარიანის** ნაშრომში — „ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში“—პირველადაა მითითებული, რომ გარდა **სრული** და **უსრულისა** თანამედროვე ქართულში გარჩეულია კიდევ ასპექტები: **წყვეტილი** (მომენტობრივი), **უწყვეტელი** (განგრძობითი), **ერთგზისი** და **მრავალგზისი.** მართალია, ძირითადია სრული და უსრული ასპექტი, დანარჩენი კი შედარებით მკრთალად არის გამოხატული, მაგრამ ისინი მაინც წარმოადგენენ ასპექტის კატეგორიის ნაირსახეობას და მოქმედებას სხვადასხვაგვარი თვალსაზრისით ახასიათებენ. მაგ., **გააკეთა** სრულია (ბოლომდე მიყვანილი), წყვეტილი მოქმედება (რადგან დამთავრდა), ერთგზისი. **აკეთებდა** — უსრული (ბოლომდე არაა მიყვანილი), განაგრძობილი, **გააკეთებდა** — სრული, მრავალგზისი.

ზ. ჭუმბურიძე ასპექტის წარმოების მრავალფეროვნებას იმით ხსნის, რომ ზმნისწინს რამდენიმე ფუნქცია აკისრია და ერთბაშად ყველას შესრულება უძნელდება. ამიტომ წინა პლანზე დგას ხან ერთი, ხან მეორე ფუნქცია, დანარჩენი კი იჩრდილება. მეორე მხრივ, ასპექტის გამოხატვის ზოგი თავისებურება დამოკიდებულია ზმნათა შინაარსზე, რომელიც ყოველთვის ვერ იგუებს ასპექტის გაგებას. გარდა ამისა, ჯერ კიდევ ძალაშია ძველი სისტემის ნაშთიც.

ბ. ჯორბენაძის აზრით, ასპექტი გაცილებით უფრო ფართო ცნებაა, ვინემ ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაშია წარმოდგენილი. ასპექტი გულისხმობს არა მარტო მოქმედების დასრულება-დაუსრულებლობას, არამედ ერთგზობა-მრავალგზისობას, წერტილებრივ-განგრძობითობას. ასპექტის სრული სახის დამატებითი სემანტიკური მახასიათებლებია: **ოდნაობა** (წაიჩურჩულა), **უნებლიობა** (შემოეჭამა), **მოჩვენებითობა** (მოიგიჟიანა თავი), **ფინალობა** (გააკეთა), **ზღვრულობა** (მივიდა), **არაზღვრულობა** (წავიდა), **მოქმედების დაწყებითობა** — „ინხოატივი“ (ამღერდა, აბიბინდა)...

ასპექტის კატეგორიის ანალიზს ეძღვნება აგრეთვე **თ. მეტრეველის, რ. ჭიკაძის, კ. ჭრელაშვილისა** და სხვათა ნაშრომები.

ლიტერატურა

გეწაძე დ. — გარდამავალ ზმნათა III სერიის ფორმათა ასპექტის შესახებ ძველ ქართულში; ქუთაისის პედინსტიტუტის შრ., ტ. 23-ე, 1961.

კაკაბაძე ლ. — ქართული ენა, ნაწილი I, 1981.

მაჭავარიანი გ. — ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში: ქენს, IV, 1974.

მეგრელიძე ი. — გრამატიკული დროისა და ზმნის სახის ურთიერთობის შესახებ: ქენს, 1969, № 2.

მეტრეველი თ. — ასპექტის კატეგორიისათვის ქართულში: ქენს, 1979, № 3.

სარჯველაძე ზ. — ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, 1984.

ფხაკაძე დ. — ასპექტის გრამატიკული კატეგორიის ჩამოყალიბებისა და თანმდევობითის ურთიერთმიმართების ზოგი საკითხისათვის ქართულში: მაცნე, 1985, № 4.

შანიძე ა. — ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973.

შანიძე ა. — ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.

ჩიქობავა არნ. — ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.

ჩიქობავა არნ. — ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბ., 1948.

ჭუმბურიძე ზ. — ასპექტისა და მოქმედების სახის მიმართებისათვის ქართულში: კრებ. „ორიონი“, თბ., 1967.

ჯორბენაძე ბ. — ინხოატივი ქართულში: იკე, 28-ე, 1989.

სერიები და მწკრივები

§ 102. მწკრივის ცნება. მწკრივი როგორც გრამატიკული კატეგორია. ქართული ზმნა მდიდარია პირიანი ფორმებით, ამ ფორმათა მთელი მარაგი იყოფა ჯგუფებად, რომლებიც გარკვეული ნიშნების მიხედვით აერთიანებენ შიგ შემავალ ფორმებს (ვაქებ, აქებ, აქებს...). თითოეულ ამ ჯგუფს **ა. შანიძემ** უწოდა მწკრივი.

მწკრივს ასეც განმარტავენ: „ზმნის პირიან ფორმათა ისეთ ჯგუფს, რომელიც აერთიანებს ერთმანეთისაგან მხოლოდ პირისა

და რიცხვის მიხედვით განსხვავებულ ფორმებს, მწკრივი ეწოდება“ **(ლ. კვაჭაძე)**.

ტერმინი „მწკრივი“ დაამკვიდრა **ა. შანიძემ, არნ. ჩიქობავა** უწოდებს „ნაკვთს“. იხმარება აგრეთვე ტერმინები: „დრო“, „კილო“, „დრო-კილო“, „ფორმა“.

ა. შანიძე მიუთითებს მწკრივის (ტერმინის) დადგენის ისტორიაზე და წერს, რომ **მწკრივი** წარმოქმნილია **მწკარ, პწკარ** სიტყვისაგან. თავდაპირველად იგი მწკრივის მნიშვნელობით ხმარობდა **წევრს**, შემდეგ **რიგს**, 1938 წლიდან საბოლოოდ შეჩერდა **მწკრივი**.

ა. შანიძე მწკრივს თვლის ზმნის ერთ-ერთ გრამატიკულ კატეგორიად, **არნ. ჩიქობავა** კი არ იზიარებს ამ თვალსაზრისს. მისი აზრით, „ნაკვთი“ ტექნიკური ტერმინია და მიუთითებს უღვლილების ერთეულზე ამ ერთეულის ფუნქციის აღუნიშნავად, ამიტომ ნაკვთი ვერ იქნება გრამატიკული კატეგორია. **ვ. თოფურიას** აზრითაც, მწკრივს არ გააჩნია გრამატიკული კატეგორიის არც ფუნქცია და არც ფორმა, ხოლო საწარმოებლად მიჩნეული სუფიქსები (ა, ე, ო, ი...) დროის, კილოსა და ჯერობის მაწარმოებლებია, ამიტომ მწკრივი არ შეიძლება მივიჩნიოთ კატეგორიად.

მწკრივი სხვა ზმნური კატეგორიებისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი რთულია, შეიცავს რამდენიმე კატეგორიას, რომელსაც **მწკრივის ელემენტი** ჰქვია. მწკრივის ელემენტები საერთო და თან უცვლელია თითოეული მწკრივისათვის. ასეთებია: დრო, კილო, ზოგჯერ კი — ჯერობა, აქტი, თანამდევრობა **(ა. შანიძე)**.

ახალ ქართულში 11 მწკრივია. ესენია: აწმყო, უწყვეტელი აწმყოს კავშირებითი, მყოფადი, ხოლმეობითი, მყოფადის კავშირებითი, წყვეტილი, მეორე კავშირებითი, I თურმეობითი, II თურმეობითი, III კავშირებითი.

§ 103. მწკრივთა სახელდების პრინციპი. ქართულ ლინგვისტიკაში მწკრივთა სახელწოდებანი მეტ-ნაკლებად პირობითია, რაც გამოწვეულია მწკრივის, როგორც გრამატიკული კატეგორიის, სირთულით. ამასთან დაკავშირებით **ა. შანიძე** წერს: „ტრადიციულად შემუშავებული ნომენკლატურა ხშირად არ შეეფერება საქმის ნამდვილ ვითარებას. ეს განსაკუთრებით ითქმის მწკრივთა სახელებზე. ტრადიციის უგულვებელყოფა რომ შესაძლებელი იყოს, სულ შესაცვლელია მთელი კომპლექტი მწკრივთა სახელებისა. იდეალური იქნებოდა, რომ მწკრივთა სახელების დარქმევის დროს ხელმძღვანელობაში მიღებული არ ყოფილიყო მათი შემადგენელი ელემენტები: დრო, კილო, ჯერობა... და მონახულიყო სრულიად ნეიტრალური სახელები, თუნდაც ხელოვნური. მაგალითად: მცენარეების, ხეების.. მაგრამ, რამდენადაც ამის შესაძლებლობა ამჟამად არ არის, ისეთი ხერხი მაინც უნდა იქნეს მოძებნილი, რომ მოვლენის არსებითი მხარე არ დაიჩრდილოს“.

მწკრივების სახელთა დარქმევის დროს შეიძლება შემდეგი პრინციპით ვიხელმძღვანელოთ: როდესაც მწკრივში ელემენტთაგან მარტო დრო და კილო არის, თხრობითკილოიან მწკრივებს დროის მიხედვით დავარქვათ სახელი, სხვა კილოიან მწკრივებს კი — კილოთა მიხედვით. როცა მწკრივში დროისა და კილოს სხვა ელემენტებიც ემატება, მაშინ სახელის დარქმევის დროს ყურადღება უნდა მიექცეს ამ დამატებულ ელემენტს **(ა. შანიძე)**. მართლაც, ქართულ გრამატიკაში მწკრივთა სახელდებისას ძირითადად ეს პრინციპია გათვალისწინებული.

ტერმინები: „სერია“, „თურმეობითი“, „კავშირებითი“ შემოღებულია **ა. შანიძის** მიერ.

§ 104. სერიები. ფორმათა წარმოებისა და სინტაქსურ თავისებურებათა თვალსაზრისით ახალ ქართულში მწკრივები იყოფა სამ სერიად: პირველი, მეორე, მესამე. პირველ სერიაში 6 მწკრივია, მეორეში — 2, მესამეში — 3[1].

პირველი სერია იყოფა ორ ქვესერიად ანუ წრედ: აწმყოსა და მყოფადის წრეებად. აწმყოს წრეში შედის: აწმყო, უწყვეტელი,

[1] დღეს, თანამედროვე ცოცხალი მეტყველების გათვალისწინებით, სპეციალურ ლიტერატურაში გამოყოფენ დრო-კილოთა IV ჯგუფის ფორმებს ანუ IV სერიას, რომელშიც შედის: III თურმეობითი (მინავალა), IV თურმეობითი (მინავალიყო). IV კავშირებითი (მინავალიყოს). **მინავალა** ტიპის ფორმები გვხვდება დასავლურ დიალექტებში. აქ იგი მიღებული ჩანს მეგრულის ანალოგით **(არნ. ჩიქობავა)**. ასეთივე წარმოებისა უნდა იყოს აღმოსავლურ კილოებში დადასტურებული **მიდენილა, მიდენილიყო** ტიპის ფორმები.

IV სერიის ფორმები უნახავი აქტისაა. მისი წარმოშობა შეპირობებულია ენის განვითარების კანონზომიერებით. IV სერიის მწკრივთა წარმოება, მათი ცალკე სერიად გამოყოფა და ფორმათა კვალიფიკაცია დაწვრილებითაა განხილული გ. როგავას ნაშრომში „დრო-კილოთა IV ჯგუფის ნაკეთები ქართველურ ენებში“.

აწმყოს კავშირებითი, მყოფადის წრეში — მყოფადი, ხოლმეობითი, მყოფადის კავშირებითი.

მეორე სერიის მწკრივებია წყვეტილი და მეორე კავშირებითი, მესამე სერიისა — პირველი თურმეობითი, მეორე თურმეობითი, მესამე კავშირებითი.

ძველ ქართულში პირველი სერია წრეებად არ იყოფოდა. წრეების წარმოქმნის საფუძველი გახდა ასპექტის სისტემის შეცვლა. კერძოდ: ზოგიერთი გამონაკლისის გარდა აწმყოს წრეში გაერთიანდა უზმნისწინო ფორმები, მყოფადისაში — ზმნისწინიანები. შესაბამისად, ასპექტიან ზმნათა აწმყოს წრის ფორმები უსრულასპექტიანია, მყოფადის წრისა — სრულასპექტიანი. მეორე და მესამე სერიაში შეიძლება იყოს ორივე სახის ასპექტი — სრულიც და უსრულიც.

§ 105. პირველი სერიის მწკრივები

აწმყოს წრე

აწმყო — რას ვშვრები? ვწერ, ვეზრდებ-ი, ვთბებ-ი, ვაბამ, ვხნავ.

დრო — ახლანდელი, იშვიათად მომავლის გაგებაც შეიძლება ჰქონდეს ანდა სულ დაცლილი იყოს დროის გაგებისაგან (ხვალ ამასაც **ვასწავლი**, 20 წელია ქართულ ენას **ვასწავლი**), კილო — თხრობითი, **ნუ** ნაწილაკის დართვისას — უკუთქმითი ბრძანებითი, შეიძლება აჩვენოს „ზოგადი აწმყო“ — განგრძობილი მოქმედება. მწკრივის ნიშანი გარდამავალ ზმნას არა აქვს, გარდაუვალს მოუდის **ი** სუფიქსი პირველსა და მეორე პირში, მესამეში დაკარგულია **ა**-ს გამო. სახელწოდება „აწმყო“ ძველია დატოვებული, მაგრამ აღნიშნავს მხოლოდ მწკრივს და არა დროს: აწმყოფი → აწმყო.

უწყვეტელი — რას ვშვრებოდი? ვწერ-დ-ი, ვეზრდებ-ოდ-ი, ვაბამ-დ-ი, ვხნავ-დ-ი.

დრო — წარსული, კილო — თხრობითი, მწკრივის ნიშანია **ი** სუფიქსი (I-სა და II პირში), სავრცობი **დ** (გარდამავალ ზმნებში) და **ოდ** (გარდაუვალ ზმნებში). მწკრივი ნაწარმოებია აწმყოსაგან (ე. ი. მისთვის ამოსავალია აწმყო). სახელწოდება „უწყვეტელი“

დარქმეულია იმის მიხედვით, რომ ამ მწკრივის ფორმა მოქმედების პროცესს უწყვეტლად წარმოგვიდგენს. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიყენება ავრეთვე ტერმინები: „ნამყო უწყვეტელი“, „ნამყო უსრული“.

აწმყოს კავშირებითი — რას ვშვრებოდე? ვწერ-დ-ე, ვეზრდებ-ოდ-ე, ვთბებ-ოდ-ე, ვაბამ-დ-ე, ვხნავ-დ-ე.

დრო — ახლანდელი ან მომავალი, კილო — კავშირებითი (ზოგჯერ ბრძანებითი: რისხავდეს!), მწკრივის ნიშანია **ე** სუფიქსი (სამივე პირში), სავრცობი — **დ** და **ოდ**. სახელწოდება დარქმეულია წრისა და კილოს მიხედვით.

მყოფადის წრე

მყოფადი — რას ვიზამ? დავწერ, გავეზრდებ-ი, გავთბებ-ი, დავაბამ, მოვხნავ.

დრო — მომავალი, კილო — თხრობითი (**ნუ** ნაწილაკის დართვისას აკრძალვითი ბრძანებისა: ნუ დახატავ!), მწკრივის ნიშანი გარდაუვალ ზმნაში არის **ი** სუფიქსი, გარდამავალს კი არ გააჩნია, სახელწოდება დარქმეულია დროის მიხედვით (მყოფადი = მომავალი).

მყოფადის მწკრივის ფორმა ზოგჯერ წარსულში მომხდარი განმეორებული მოქმედების გადმოსაცემადაც გამოიყენება. მყოფადის მწკრივი ნაწარმოებია აწმყოსაგან ზმნისწინის დართვით.

ხოლმეობითი — რას ვიზამდი? დავწერ-დ-ი, გავეზრდებ-ოდ-ი, გავთბებ-ოდ-ი, დავაბამ-დ-ი, დავხნავ-დ-ი.

დრო — წარსული, კილო — თხრობითი (შეიძლება კავშირებითის შინაარსიც შეიძინოს), ჯერობა — მრავალგზისი (გამოხატავს განმეორებულ მოქმედებას), მწკრივის ნიშანია **ი** სუფიქსი, სავრცობი — **დ** და **ოდ**. სახელწოდება დარქმეულია ჯერობის მიხედვით.[1]

ხოლმეობითი ნაწარმოებია უწყვეტლისაგან ზმნისწინის დართვით.

მყოფადის კავშირებითი — რას ვიზამდე? დავწერ-დ-ე, გავეზრდებ-ოდ-ე, გავთბებ-ოდ-ე, დავაბამ-დ-ე, მოვხ-ნავ-დ-ე.

---

[1] **არნ. ჩიქობავა** მას პირობითს უწოდებს, სასკოლო სახელმძღვანელოში კი ამ მწკრივის სახელია **ხოლმეობით — შედეგობითი.**

დრო—მომავალი, კილო—კავშირებითი, მწკრივის სავრცობ—**დ** და **ოდ**, მწკრივის ნიშანი—**ე**. სახელწოდება დარქმეულია წრისა და კილოს მიხედვით. ეს მწკრივი ნაწარმოებია აწმყოს კავშირებითისაგან ზმნისწინის დართვით.

როგორც აღინიშნა, მყოფადის წრის ისტორია ძირითადად იწყება XII საუკუნიდან, მას შემდეგ, რაც ზმნისწინმა შეიძინა ასპექტის წარმოების უნარი. შესაბამისად, ძველ ქართულში არ გვქონდა მწკრივები: მყოფადი, ხოლმეობითი, მყოფადის კავშირებითი.[1]

§ 106. მეორე სერიის მწკრივები. ახალ ქართულში მეორე სერიის მწკრივებია წყვეტილი და მეორე კავშირებითი.

წ ყ ვ ე ტ ი ლ ი — რა ვქენი? დავწერ-ე, გავეზარდ-ე, გავთბ-ი, დავაბ-ი, მოვხან(ი), მივეც-ი.

დრო — წარსული (წართქმითი ბრძანებითის შემთხვევაში — მომავალი), კილო—თხრობითი, მწკრივის ნიშნებია: **ე, ი,** ნართაული **ი**. ამ მწკრივში ზოგიერთ ზმნას ფუძე სრული აქვს: შლ-ი-ს (აწმყო, უსრული), შდრ. შალ-ა წყვეტილი. სრული). სახელწოდება „წყვეტილი" დარქმეულია იმის მიხედვით, რომ იგი მოქმედების პროცესს შეწყვეტილად წარმოგვიდგენს უწყვეტლისაგან განსხვავებით.

ნ. **მარი** ამ მწკრივის აღსანიშნავად ხმარობდა ტერმინს **„აორისტი"**. მაგრამ, **ა. შანიძის** შენიშვნით, აორისტი შეიძლებოდა გვეწოდებინა მხოლოდ ძველ ქართულში, რადგან ბერძნულის

[1] პირველი სერიის მწკრივებთან დაკავშირებით დღეს გამოითქვა ტრადიციულისაგან განსხვავებული თვალსაზრისი. **(გ. გოგოლაშვილი).** რომელიც ეყრდნობა იმ დებულებას, რომ ნაკვთის ფუძე არის ის ნაწილი ზმნისა, რომელსაც ჩამოშორებული აქვს ზმნისწინი, პირისა და რიცხვის ნიშნები. შესაბამისად, რამდენი ასეთი განსხვავებული ფუძეც იქნება, იმდენი ნაკვთიც უნდა გამოიყოს. ამ პრინციპზე დაყრდნობით, რადგან აწმყოსა და მყოფადის წრის მწკრივებს ერთმანეთისაგან განასხვავებს მხოლოდ ზმნისწინი, ამიტომ I სერიაში უნდა გამოიყოს მხოლოდ სამი მწკრივი და არა — 6 (ორი წრით):

აწმყო-მყოფადი — აკეთებს, გააკეთებს.

უწყვეტელი — ხოლმეობითი — აკეთებდა, გააკეთებდა

I კავშირებითი — აკეთებდეს, გააკეთებდეს

ანალოგიურ პრინციპს ეფუძნება II და III სერიის მწკრივებიც: წყვეტილი (ხატა, დახატა), I თურმეობითი (უკეთებია, გაუკეთებია).

გ. გოგოლაშვილის დასკვნით, მყოფადის წრის ნაკვთთა ტრადიციული გამოყოფა ფორმობრივ საფუძველს მოკლებულია (დაწვრ. ამ საკითხის შესახებ იხ. „ქართული ზმნის უღლილების სისტემა").

მსგავსი აორისტი ყოველთვის სრული ასპექტისა იყო. დღეს იყენებენ ტერმინ „ნამყო ძირითადსაც".

მ ე ო რ ე კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი — რა ვქნა? დავწერ-ო, გავეზარდ-ო, გავთბ-ე, დავაბ-ა, მოვხნ-ა, მივსც-ე.

დრო — მომავალი, კილო — კავშირებითი (შეიძლება წართქმითი ბრძანებითიც გამოხატოს: ისწავლოს!), მწკრივის ნიშნებია: **ო, ე, ა.** აქედან უძველესი და ძირითადია **ე.** სახელწოდება დარქმეულია სერიისა და კილოს მიხედვით.

§ 107. მესამე სერიის მწკრივები. მესამე სერიაში შედის სამი მწკრივი: I თურმეობითი, II თურმეობითი, III კავშირებითი.

მესამე სერიაში I და II სერიასთან შედარებით მწკრივთა წარმოება უფრო თავისებურია, რაც გამოიხატება შემდეგით:

1) გარდამავალ ზმნათა III სერიის ფორმები ინვერსიულია;

2) გარდაუვალ ზმნებს ახასიათებთ მეშველზმნიანი წარმოება;

3) III სერიაში სამპირიანი გარდამავალი ზმნა არ გვხვდება;

4) გარდამავალ ზმნებს ქცევის გაგება რა აქვთ.

ა. შანიძის აზრით, I და II სერიის სამპირიანი ფორმა მესამე სერიაში ორპირიანი ხდება: ირიბი ობიექტი დაირთავს **თვის** თანდებულს და იქცევა უბრალო დამატებად: უგზავნის **ის** მას მას—გაუგზავნია მას **(მისთვის)** ის[1],

ძველი ქართულის მასალათა საფუძველზე აღნიშნულია, რომ ძველი ქართული ენა ცდილა I და II სერიის ანალოგიით III-შიც შეენარჩუნებინა სამპირიანობა, მაგრამ ეს მოვლენა არ განვითარებულა, თუმცა ამ ფაქტის თითო-ოროლა ნიმუში ძეგლებში დაიძებნება: **მიმიცემია** მე მას იგინი **(დ. გეწაძე).**

III სერიაში რომ სამპირიანი გარდამავალი ზმნა არა გვაქვს, ამის მიზეზად **დ. მელიქიშვილს** ირიბი ობიექტის უბრალო დამატებად ქცევა კი არ მიაჩნია, არამედ თვლის, რომ ეს ზმნები სამპირიანები არასოდეს არ ყოფილან. ისინი წარმოშობით არიან ორპირიანი გარდაუვალი სტატიკური ზმნები.

ახალ ქართულში III სერიაში სამპირიანობას მაინც ინარჩუ-

[1] სასკოლო სახელმძღვანელოში (ავტორები: ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, VII კლასი, 1989 წ.) შენიშნულია: „იმ ზმნებს, რომლებიც სამპირიანია I-სა და II სერიაში, III-ში ორპირიანი ფორმები ენაცვლება: მისწერა მან მას ის, მაგრამ: მიუწერია მას ის."

ნებს რამდენიმე გარდაუვალი ზმნა: **შესდავებია ის მას მას, შეხცილებია ის მას მას.**

პირველი თურმეობითი — რა მიქნია? დამიწერ-ი-ა, გავზრდ-ი-ვარ, გავმთბარ-ვარ, დამიდგ-ამ-ს, მომიხნ-ავ-ს, მიმიც-ი-ა.

დრო — წარსული (შეიძლება ზოგჯერ გამოყენებული იყოს აწმყოს ან მყოფადის მნიშვნელობით: „კეთილი მგზავრობა **მისურვებია**“, „თუ არ **წაგილია**, დაგეკარგება“), კილო—თხრობითი (ძველად კავშირებით-ბრძანებითი წყევლა-დალოცვისა და მისთანა გამოთქმებში), აქტი — უნახავი (თუმცა ყოველთვის არა). მწკრივის ნიშანია **ი**, რომელიც ძველი ქართულის **იე**-ს ნაშთია. სახელწოდება **ა. შანიძის** მიერაა დარქმეული აქტის მიხედვით (**თურმე**-ს გაგებას შეიცავს). ეს მწკრივი **ანტონიდან** მოყოლებული სხვადასხვა სახელით იხმარებოდა: „ნამყო უსრულესი“, „მარადის სრული“, „ქმნილი უსრულესი“, „ნამყო უსრულესი“, „თურმეობითი პირველი“, შედეგობითი პირველი“.

მეორე თურმეობითი — რა მექნა? დამეწერა, გავზრდოდი, გავმთბარიყავ, დამება, მომეხნა, მიმეცა.

დრო — წარსული (იშვიათად მომავალი), კილო — თხრობითი ან კავშირებით-პირობითი, აქტი — უნახავი. სახელწოდება დარქმეულია აქტის მიხედვით. **ანტონი** მას უწოდებდა „ნამყო უსრულესს“.

მესამე კავშირებითი — რა მექნას? დამეწერ-ო-ს, გავზრდ-ოდ-ე, გავმთბარიყო, დამებ-ა-ს, მომეხნ-ა-ს, მიმეც-ე-ს.

დრო—წარსული ან მომავალი. კილო—კავშირებითი, მწკრივის ნიშნებია **ე, ა, ო** (როგორც II კავშირებითში). სახელწოდება დარქმეულია **ა. შანიძის** მიერ კილოსა და სერიის მიხედვით. **ანტონის** გრამატიკაში ეს მწკრივი არ ჩანს, მაგრამ სხვა ძველი გრამატიკოსების მიერ გამოყენებულია ტერმინები: „მარადის სრული“, ქმნადი უსრულესი“, „ნამყო კავშირებითი“, „კონიუნქტივი III“ და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ დღეს III კავშირებითის მოხმარების შემთხვევები სხვა მწკრივებთან შედარებით იშვიათია, მისი ფუნქცია ნაწილობრივ შეითავსა II თურმეობითმა[1], მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის დასაბუთდა, რომ III კავშირებითი არ არის გაქრობის გზაზე დამდგარი ნაკეთი, იგი დამოუკიდებელი მწკრივია — განსაკუთრებით აუცილებელი მომავალი დროის კავშირებითი კილოს გადმოსაცემად (მომავალშიც მოგველოცოს გამარჯვება!, „ათი ვაჟი გაგეზარდოს!“).

[1] სპეციალურ ლიტერატურაში კიდეც გამოითქვა მოსაზრება უღლების სისტემიდან ამ მწკრივის ამოღების შესახებ (**შ. კვაჭელია**).

§ 106. მწკრივის ნიშნებისა და სავრცობების გენეზისი და ფუნქცია. I. ქართულში რამდენიმე მწკრივს ნიშნად მოუდის **ი** სუფიქსი. ზოგან იგი ძველ ქართულშივე გვხვდებოდა ამ ფუნქციით, ზოგან კიდევ შემდგომ განვითარებულია და მწკრივის ნიშნის გამოხატვაც მოგვიანებით დაეკისრა. ასეთია ე. წ. ნართაული **ი**, რომელიც პირველად თავს იჩენს წყვეტილის მწკრივის მრავლობითი რიცხვის ფორმაში თანხმოვანთა რთული კომპლექსის გასათიშავად: **მოვკალთ-მოვკალით.** შემდეგ იგი ანალოგიურად იმავე ფუნქციით გადავიდა უწყვეტელში: **ვწერდთ-ვწერდით.** ეს ნართაული **ი** თავს იჩენს IX საუკუნიდან, ხოლო უფრო მოგვიანებით, როცა მხოლობითის ფორმაშიც გაჩნდა, იქცა მწკრივის ნიშნად: ვწერდი-ვწერდით, მოვხან(ი)—მოვხანით. ნართაულ **ი**-ს არ შეუძლია ფუძის კუმშვა, რამდენადაც იგი არ არის დამოუკიდებელი მწკრივის ნიშანი, გაჩენილია სხვა ფუნქციით (**ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა**).

2. წყვეტილის მწკრივის ნიშანია სუფიქსი **ე**. მასთან დაკავშირებით გამოთქმულია რამდენიმე მოსაზრება, რომელთა მიხედვით:

ა) **ე** მომდინარეობს **ევ**-ისაგან: დავწერ-**ევ**→დავწერ-**ე** (**არნ. ჩიქობავა, გ. როგავა**);

ბ) „**ე** არ უნდა იყოს მიღებული **ევ**-ისაგან. **ე**-ს ფუნქცია კარგად არ არის გამორკვეული. იგი დროს არ გამოხატავდა, რადგან ეროის ჩამოყალიბებამდე არსებობდა. **ე** ოთხივე ნამყოს საერთო ნიშანია და არა ოდენ წყვეტილისა“ (**ვ. თოფურია**).

გ) **ე** მომენტობრივი ასპექტის ნიშანია (**ფ. ერთელიშვილი**).

3. II და III კავშირებითის მწკრივის ნიშნებია **ე, ო, ა** სუფიქსები. ამათგან თავდაპირველ ფორმანტად მიჩნეულია მხოლოდ **ე. ა** და **ო** (როგორც ნიშნები) მეორეულია (**არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ნ. კოტინოვი...**).

ო სუფიქსის წარმომავლობა სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარადაა ახსნილი:

ა) **ო** ფონეტიკურ ნიადაგზე წარმოქმნილი აფიქსია. იგი მიღებულია ფუძისეული **ვ**-სა და კავშირებითის **ა**-ს შერწყმით: **ვა→ო** (**ნ. მარი, გ. დეეტერსი...**).

ბ) კავშირებითის ო მიღებულია ასეთი გზით: წყვეტილის ძველ ფორმას (ევ დაბოლოებიახს) დაემატა კავშირებითის თავდაპირველი ნიშანი ე და შემდგომ ფონეტიკური ცვლილებით წარმოიშვა ო: დავწერ-ევ+ე→დავწერ-ვე→დავწერ-ო. ძესაბამისად კავშირებითის ო გამოვლინდება, იქ, სადაც წყვეტილში ე არის **(გ. როგავა)**.

გ) კავშირებითის ო უკვე ძველ ქართულშივე თავისთავადი, დამოუკიდებელი მაწარმოებელია და არა კომპლექსის შერწყმის შედეგი **(ბ. გიგინეიშვილი, ზ. სარჯველაძე)**.

4. გარდამავალ ზმნათა I თურმეობითის მწკრივის ი ნიშანი გენეზისურად იგივე ოდენობაა, რაც სტატიკური ვნებითის ი (←ია), რამდენადაც სტატიკური ვნებითი ამოსავალია გარდამავალ ზმნათა I თურმეობითისათვის: **უწერია ის მას** (სტატ. ვნ. აწმყო) — **დაუწერია მას ის** (I თურმ.).

5. მეცნიერთა მსჯელობის საგნად იქცა **ოდ** და **დ** სავრცობების საკითხიც.

ა. შანიძის აზრით, **ოდ** წარმომდგარია **ოლდ**-ისაგან, რომელიც ასე დაიშლება: **ოლ-დ. დ** არის სავრცობი, **ოლ** კი — ძველისძველი სავრცობი ვნებითისა, რომელსაც ანალოგიურად დართვია მოქმედებითი გვარის ზმნებიდან გადასული **დ(ოლ+დ)**.

არნ. ჩიქობავა თვლის, რომ **ოდ** არ არის ერთიანი მაწარმოებელი. **ო** და **დ** სხვადასხვა ოდენობაა. აქ სავრცობი არის **დ**. იგი თავდაპირველად ყველა ზმნასთან უნდა ყოფილიყო, მნიშვნელობა არ ჰქონდა გარდამავლობას (შდრ. იცის—იც-ოდ-ა გარდამავალია, სურს—სურ-დ-ა—გარდაუვალი). **ო** ხმოვანი გაჩენილი ჩანს ფონეტიკურ ნიადაგზე.[1]

§ 109. მწკრივების სერიებად დაყოფის საფუძველი. ქართული ზნის დრო-კილოთა სერიებად დაყოფა დაკავშირებულია **ნ. მარის** სახელთან. მან პირველმა შეიტანა გარკვეულობა უღვლილების სისტემაში, დააჯგუფა ერთნაირი წარმოების ფორმები და ამის მიხედვით გამოყო სამი ჯგუფი: **Первая группа: главное время настоящее, производная-прошедшее несовершенное и желательное. Вторая группа: главное время аорист, производное-сослагательное. Третья группа: прошедшее совершенное, давнопрошедщее и прошедшее сослагательное (Н. Марр).**

[1] **ოდ**-ს შლიან და უწყვეტლის მაწარმოებლად **დ** მიაჩნიათ აგრეთვე **ნ. მარს, ვ. თოფურიას, გ. როგავას, რ. გაგუას... ლ. კიკნაძე** კი **ოდ**-ის დაშლას გაუმართლებლად თვლის, მისთვის **ოდ** ერთიანი მაწარმოებელია.

ამ დაყოფიდან ჩანს, რომ I და II სერიისათვის ამოსავალია საწარმოებელ ფუძეთა ერთიანობა (თემის ნიშნის ქონა ან უქონლობა). ესაა მორფოლოგიური პრინციპი. III სერია ამ პრინციპს მოკლებულია. თუ აწმყოს ჯგუფი აწმყოს ფუძეზეა დამყარებული, II სერიისა — წყვეტილზე, I თურმეობითი არ არის ამოსავალი II თურმეობითისა და III კავშირებითისათვის. მესამე სერიაში მთავარია წარმოების ერთიანობა, კერძოდ: გარდამავალ ზმნათა დაჯგუფების საფუძველია ინვერსია (წინადადების სინტაქსური კონსტრუქცია), ხოლო გარდაუვალთათვის — მეშველზმნიანი წარმოება. ეს უკანასკნელი პრინციპი მხოლოდ ნაწილობრივ ეხება ორპარიან გარდაუვალ ზმნებს, რომელთაც ახასიათებთ ორგანული და აღწერითი წარმოება **(არნ. ჩიქობავა)**.

მაშასადამე, ქართულში მწკრივთა სერიებად დაყოფას ორი სხვადასხვა პრინციპი უდევს საფუძვლად, ამდენად, კლასიფიკაცია ვერ იქნება მთლიანად სრულყოფილი. მიუხედავად ამ ნაკლისა, ეს ტრადიციული დაყოფა ძალაშია.

არნ. ჩიქობავა სერიებად დაყოფას ქართულ ლინგვისტიკაში **ნ. მარის** დიდ დამსახურებად თვლის, თუმცა იქვე შენიშნავს, რომ უფრო თანმიმდევრული იქნებოდა მწკრივთა დაჯგუფებისათვის წარმოების პრინციპი ბოლომდე გაგვეტარებინა. ამის მიხედვით ყველა ნაკვთი გაერთიანდებოდა ორ სერიაში — აწმყოსა და ნამყო ძირითადის წყებაში.[1]

ლიტერატურა

არაბული ავთ. — მესამე სერიის ნაკვთეულთა წარმოება და მნიშვნელობა ძველ ქართულში, თბ., 1984.

გაგუჩაძე ლ. — მწკრივის ფორმათა სწავლებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი: ენას., 1978, № 2.

გეწაძე დ. — III სერიის მწკრივთა წარმოება ძველ ქართულში (საკანდიდატო დისერტაცია), 1952.

[1] მაგრამ ამასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა საკმაოდ საფუძვლიანი აზრიც, რომ III სერიის ფორმათა წარმოების თავისებურებათა გათვალისწინება გამორიცხავს ყველა მწკრივის I ან II სერიაში გადანაწილების შესაძლებლობას **(გ. გოგოლაშვილი)**.

გოგოლაშვილი გ. — დრო-კილოთა II სერიის ფორმები ახალ ქართულში, თბ., 1984.

გოგოლაშვილი გ. — ქართული ზმნის უღვლილების სისტემა, თბ., 1988.

თალაკვაძე მ. — ზმნის სწავლება სკოლაში, თბ., 1955.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1970.

თოფურია ვ. — მწკრივის ზოგიერთი საკითხისათვის ქართულში: თსუ სამეცნიერო სესია, 1956, თეზისები.

თოფურია ვ. — ნამყოს სახეობათა საერთო ნიშნისათვის: იკე, VIII, 1956.

კეკელია შ. — მეტყველების ნაწილთა სწავლების ზოგიერთი საკითხი: საქ. სსრ უმაღლესი სასწავ. ქართული ენის კათედრათა VIII რესპ. სამეცნ. — მეთოდ. კონფერენცია, მუშაობის გეგმა და თეზისები, 1970.

კვაჭაძე ლ. — ქართული ენა, ნაწილი I, თბ., 1981.

მაჭავარიანი გ. — ზმნის ძირითადი კატეგორიები ქართველურ ენებში (სადისერტაციო ნაშრ.), 1954.

Марр Н. — Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка. СПБ. 1908.

Марр Н. — Грамматика древнелитературного языка. Л., 1925.

ნათაძე ნ. — მყოფადისათვის ქართველურ ენებში: ქსს, II, 1961.

ნათაძე ზ. — III სერიის დრო-კილოთა წარმოებისათვის ქართულში: იკე, VIII, 1956.

პაპიძე ა. — II ქავშირებითის ფუნქციები თანამედროვე ქართულში: ქსს, IV, 1981.

პაპიძე ა. — მყოფადის ქავშირებითის ნაკვთისათვის ქართულში: ქსს, V, 1982.

პაპიძე ა. — III ქავშირებითი თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში: ქსს, II, 1979.

პაპიძე ა. — აწმყოს ქავშირებითის ფუნქციებთან დაკავშირებული ზოგი საკითხი: ქსს, VI, 1983.

როგავა გ. — დრო-კილოთა IV ჯგუფის ნაკვეთები ქართველურ ენებში: იკე, V, 1953.

როგავა გ. — ნამყო უსრულის **ოდ** სუფიქსის შედგენილობისათვის: იკე VI, 1954.

როგავა გ. — აორისტისა და ქავშირებითი II-ის ზოგ აფიქსთა გენეზისისათვის: მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 5, № 8.

ფეიქრიშვილი ქ. — მესამე სერიის მწკრივები ახალ სალიტერატურო ქართულში (საკანდიდატო დისერტაცია), 1973.

ფეიქრიშვილი ქ. — III ქავშირებითი ახალ სალიტერატურო ქართულში: ქელს, 1972, № 4.

ფეიქრიშვილი ქ. — გარდამავალ ზმნათა II თურმეობითის წარმოება ახალ სალიტერატურო ქართულში: ქსს, II, 1979.

ფეიქრიშვილი ქ. — ორპირიან გარდაუვალ ზმნათა III სერია ახალ ქართულში: მაცნე, 1972, № 3.

ფეიქრიშვილი ქ. — თურმეობითების მნიშვნელობა და გამოყენება ახალ სალიტერატურო ქართულში: ქსს, IV, 1974.

ფხაკაძე დ. — პირველი თურმეობითის ფუნქციები ქართულში, თბ., 1984.

ქავთარაძე ივ. — დრო-კილოთა III სერიის წარმოების ერთი თავისებურება ახალ ქართულში: იკე, VII, 1955.

შანიძე ა. — ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973.

შანიძე ა. — ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.

ჩიქობავა არნ. — ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება: ქეგლ, I, 1950.

ჩიქობავა არნ. — ქართული ზმნის ნაკვთეულთა დაჯგუფების პრინციპისათვის: იქე, XIII, 1962.

ჩიქობავა არნ. — აწმყოს ფუძის წარმოქმნის ისტორიისათვის: იქე, XIV, 1964.

ჩიქობავა არნ. — ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბ., 1948.

შუმბურიძე ზ. — მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1968.

გზისობა (ჯერობა)

§ 110. გზისობის რაობა. გზისობის გამოხატვის საშუალებანი. ა. შანიძე ზმნის ერთ-ერთ კატეგორიად თვლის გზისობას ანუ ჯერობას, რომელსაც ასე განმარტავს: **„გზისობა** არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენგზის არის მოქმედება ჩადენილი, ერთგზის თუ მრავალგზის, ან ერთხელ-თუ მრავალჯერ“. მეცნიერი ადრე „გზისობის“ ნაცვლად ხმარობდა ტერმინს „ჯერობას“.

გზისობა ორგვარია: ერთგზისი და მრავალგზისი: **ერთგზისი** ფორმა აღნიშნავს ერთხელ მომხდარ მოქმედებას (დაჯდა, დახატა, დაწერა), **მრავალგზისი** ფორმა კი წარმოგვიდგენს რამდენჯერმე განმეორებულ მოქმედებას (დაჯდებოდა, დახატავდა, დაწერდა).

გზისობის კატეგორია შეიძლება გამოიხატოს მარტო წარსულში. ერთგზისობისათვის გამოყენებულია წყვეტილის ფორმები გზისობის აღსანიშნავად ძველ ქართულში იყო საგანგებო მწკრივი—**წყვეტილის ხოლმეობითი**. იგი დღეს დაცულია მხოლოდ მთის კილოებში (**გადაბრუნდის** ჩვენი ციგა...).

ახალმა სალიტერატურო ქართულმა და კილოთა უმრავლესო-

ბამ წყვეტილის ხოლმეობითი დაკარგა, სამაგიეროდ, მრავალგზისობის გამოხატვა დააკისრა მყოფადის ხოლმეობითს (კნეინა თვალს **გააჭყეტდა, წამოფრინდებოდა** ტახტიდან...).

მრავალგზისობის ფორმა **ხოლმეს** გაგებას შეიცავს. ეს **ხოლმე** შეიძლება დაერთოს ზმნის ფორმას ანდა საერთოდ არ იყოს. **ხოლმეს** დართვა (ე. ი. აღწერითი ფორმები) აუცილებელია, როცა განმეორებული მოქმედება აწმყოს ან მყოფადის მწკრივით არის გადმოცემული, რადგან აწმყო-მყოფადში საგანგებო ფორმები ამ კატეგორიისათვის არ მოგვეპოვება (ბიძაჩემი ზოგჯერ ხოხობსაც **მოიტანს ხოლმე**).

თუ მოქმედება მეორდება, ის შეიძლება ჩვეულებად გადაიქცეს. მრავალგზისი ფორმა ისეთ მოქმედებას გადმოგვცემს, რომელიც ჩვეულებად არის ქცეული. ამიტომ ასეთ ფორმას **ჩვეულებითსაც** ეძახიან. ამ შემთხვევაში მწკრივმა შეიძლება სულ დაკარგოს დროის კატეგორია.

§ 111. გზისობა, როგორც გრამატიკული კატეგორია. გზისობა **ა. შანიძეს** უღლების კატეგორიად მიაჩნია, მაგრამ ქართულ ლინგვისტიკაში ეს აზრი საყოველთაოდ არაა გაზიარებული.

თ. ზურაბიშვილმა საგანგებო წერილში „მრავალგზისობის საკითხი თანამედროვე ქართულში" დაწვრილებით მიმოიხილა მრავალგზისობის რაობა, მისი გამოხატვის საშუალებანი და მიუთითა, რომ ხოლმეობითისათვის მრავალგზისობა არ არის ერთადერთი ფუნქცია. პირიქით, თავდაპირველად ხოლმეობითი მხოლოდ დიურატიულ ასპექტზე მიუთითებდა, მრავალგზისობა მისთვის მეორეული, თანაც მეორეხარისხოვანი ფუნქცია იყო **(გ. მაჭავარიანი)**.

ახალ ქართულში ხოლმეობითის მწკრივი პირობითსა და ქვემორებით კილოსაც უჩვენებს, ჯერობას ცალკე მწკრივი არა აქვს, მეორე მხრივ, ენაში მრავალგზისობა შეიძლება გამოიხატოს ნებისმიერი მწკრივით **ხოლმეს** დამატებით (აკეთებს ხოლმე, აკეთებდა ხოლმე).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიაჩნიათ, რომ ჯერობა არ შეიძლება ჩაითვალოს გრამატიკულ კატეგორიად **(თ. ზურაბიშვილი, ზ. ჭუმბურიძე...)**.

ლიტერატურა

ზურაბიშვილი თ. — მრავალგზისობის საკითხი თანამედროვე ქართულში: მეცნ. ნაკად. მოამბე. 1965, 40, № 2.
კვაჭაძე ლ. — ქართული ენა, ნაწილი I, თბ., 1981.
ჭავთარაძე — ხოლმეობითის კატეგორიის ისტორიიდან ქართულში ქსს, II, 1961.
შანიძე ა. — ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973.
ჩიქობავა არნ. — ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბ., 1948.
ჭუმბურიძე ზ. — ასპექტისა და მოქმედების სახის მიმართებისათვის: კრებული „ორიონი", თბ., 1967.

აქტი

§ 112. აქტის რაობა, ნახული და უნახავი აქტი. „აქტი ანუ საქმე არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, ნახა მოუბარმა ზმნით გამოხატული მოქმედება თუ არა" **(ა. შანიძე)**.

აქტი ორი სახისაა: ნახული და უნახავი.

ნახული აქტი მოქმედებას წარმოგვიდგენს, როგორც მოუბრის მიერ ნახულს: დაწერა, ააშენა, თქვა...

უნახავი აქტი აღნიშნავს ისეთ მოქმედებას, რომელიც მოუბარს არ უნახავს: დაუწერია, აუშენებია, უთქვამს...

აქტის კატეგორიის გამოხატვა შეიძლება წარსულდროიანი ფორმით, კერძოდ, I და II თურმეობითით.

ჩვეულებრივ, უნახავი აქტის ფორმა გადმოგვცემს ისეთ მოქმედებას, რომელიც ისე მომხდარა, რომ მოუბარი იმ დროს იქ არ ყოფილა, ანდა, თუ ყოფილა და დასწრებია, ცნობიერება მაინც არ ჰქონია (ვთქვათ, მთვრალი ყოფილა, სძინებია...) და ამის გამო მოქმედება ვერ შეუმჩნევია, მის ცნობიერებამდე ეს მოქმედება არ მისულა.

დაუსწრებელი (უნახავი) მოქმედების შესახებ შეიძლება მოუბარმა გაიგოს ორგვარად: სხვისგან ან შედეგის მიხედვით — თვით ნახოს მოქმედების შედეგი და ამგვარად გაიაზროს მომხდარი მოქმედება: თოვლი მოსულა (სხვამ მითხრა... ანდა: დილას რომ ავდექი, ფანჯრიდან დავინახე, თოვლი მოსულა...).

უნახავი აქტი რომ ერთი ზმნის ფორმით გადმოიცემა, ამ თვისებურებით ქართული განსხვავდება სხვა ენებისაგან. მაგალი-

თად. რუსულს არ შეუძლია უნახავი მოქმედება ერთი ფორმით აღ-ნიშნოს. შევადაროთ: „მამას დაუწერია წერილი“ — „**отец, оказывается, написал письмо**“. რუსულში საჭირო გახდა **თურმეს** დამატება.

ნახული აქტის მწკრივის ფორმებით ისეთი ამბებიც გადმოიცე-მა ხოლმე, რომელიც არ გვინახავს და არც შეგვეძლო გვენახა, მაგრამ ეს არ გვიშლის ხელს უნახავის საპირისპირო კატეგორიას ასეთი სახელი ვუწოდოთ.

უნახავი აქტის ფორმები გვხვდება მეგრულ-სვანურში, კავკა-სიის სხვა ენებშიც, აგრეთვე, თურქულ ენებში.

უნახავი აქტის ფორმა **თურმეს** გაგებას შეიცავს,[1] ამიტომ მას **თურმეობითსაც** ეძახიან. ეს **თურმე** შეიძლება დაერთოს თვით უნახავი აქტის ფორმასაც (თურმე წასულა). გარდა ამისა, **თურმე** ზოგჯერ გვხვდება ზმნის ისეთ ფორმასთანაც, რომელიც არაა უნა-ხავი აქტისა. ამ შემთხვევაში მისი დართვა აუცილებელია: წერს თურმე, წერდა თურმე, დაწერა თურმე... ნახული აქტის ფორმამ უნახაობის შინაარსი შეიძინა **თურმე** ნაწილაკის საშუალებით, მაგრამ აქ უნახაობა მაინც აღწერილობით არის გადმოცემული და იგი ზმნის მორფოლოგიურ კატეგორიას არ წარმოადგენს (**ლ. კვა-ჭაძე**).

§ 113. აქტი, როგორც გრამატიკული კატეგორია. ა. შანიძეს აქტი მიაჩნია ზმნის უღლების კატეგორიად, მაგრამ ქართულ ლინ-გვისტიკაში აქტის კატეგორიის არსებობა საეჭვოდაა ჩათვლილი (**არნ. ჩიქობავა, ივ. ქავთარაძე, დ. გეწაძე, თ. მეტრეველი...**).

ივ. ქავთარაძის დაკვირვებით, რამდენადაც აქტისათვის ქარ-თულში არ არის სპეციალური ფორმა (მწკრივი), ამდენად, არაა სარწმუნო მისი ცალკე გამოყოფა. მეორე მხრივ, თურმეობითი (I და II) ყოველთვის როდი მიუთითებს უნახაობაზე. ამ მწკრივებითაც აღინიშნება ნახული მოქმედება. კერძოდ: 1) როცა S პირ-ველი ან მეორე პირია (მისვამს და მიჭამია). 2) როცა გამოყენე-ბულია უარყოფითი ნაწილაკები (**არ** მოსულა), 3) როცა II თურ. მეობითის კილო პირობითია (მე რომ არ წავსულიყავი...).

უნახაობა შეიძლება გადმოიცეს ყოველი ნებისმიერი მწკრივის ფორმაზე **თურმეს** დართვით (წერს თურმე, წერდა თურმე...). ეს **თურმე** შეიძლება თვით თურმეობითთანაც შეგვხვდეს (წასულა თურმე).

მაშასადამე, უნახაობა არ უნდა იყოს ნიშანდობლივი თურმე-ობითისათვის. მეორე მხრივ, ოდენ თურმეობითით რომ არ გად-მოიცემა უნახაობა, ამის დამადასტურებელია უნახაობისათვის ენა-ში საგანგებოდ ჩამოყალიბებული ფორმები **მინავალა, ნაყვარება, მიდენილა** ტიპისა.

ძველი ქართულის ნათარგმნი თუ ორიგინალური ძეგლების მიხედვით გამოტანილია დასკვნა, რომ ზმნის ფორმა ძველ ქარ-თულში ატარებს მხოლოდ უნახაობის აქტის ნიუანსს (**გ. ნინუა, ზ. სარჯველაძე**)[1].

ლიტერატურა

ქავთარაძე ლ. — ქართული ენა, ნაწილი I, 1981.

მეტრეველი თ. — ქართული ზმნის აქტის კატეგორიისათვის: ქელს, 1969, № 1.

ნინუა გ., სარჯველაძე ზ. — უნახაობის გამოხატვისათვის ძველ წერილობით ძეგლებში: მაცნე, 1985, № 1.

ფეიქრიშვილი ჟ. — თურმეობითების მნიშვნელობა და გამოყენება ახალ ქართულში: ქენს, IV, 1974.

ქავთარაძე ივ. — უნახაობის კატეგორიის ისტორიისათვის ქართულში: იქე, VIII, 1956.

შანიძე ა. — ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.

[1] უნახაობა როგორც **თურმე** ნაწილაკით გადმოცემა, ეს პირველად **პლ. იოსე-ლიანმა** შეამჩნია.

[1] ნახული აქტის, როგორც კატეგორიის, არსებობა სპეციალურად შეისწავ-ლა **თ. მეტრეველმა** და მიუთითა, რომ ქართულში გვაქვს უნახავი აქტის მნიშ-ვნელობა, მაგრამ მისი საპირისპირო ნახული აქტი (წყვეტილით გადმოცემული) არ დგინდება, რადგან წყვეტილს შეიძლება ჰქონდეს როგორც ნახული, ისე უნახავი აქტის გაგება (მაგალითად, „ამერიკა აღმოაჩინა კოლუმბმა“. აქ აღმოა-ჩინა, **ა. შანიძის** მიხედვით, ნახული აქტისა უნდა იყოს, მაგრამ სუბიექტს არ უნახავს).

წყვეტილის ფორმები არ გვეხმარებიან ნახული აქტის მნიშვნელობის მატა-რებლად. წყვეტილი კონტექსტით იძენს აქტის გაგებას (დაწვრილებით ამ საკი-თხის შესახებ იხ. „ქართული ზმნის აქტის კატეგორიისათვის“).

გარდამავლობა

§ 114. გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები. ზმნა შეიძლება იყოს გარდამავალი და გარდაუვალი.

„ყოველი ზმნა, რომელსაც პირდაპირობიექტური პირის ფორმები აქვს, გარდამავალია, ხოლო, რომელსაც პირდაპირობიექტური პირის ფორმები არა აქვს ან არ შეიძლება ჰქონდეს, გარდაუვალია“ **(ა. შანიძე)**.

ამ განსაზღვრებიდან გამომდინარე, ერთპირიანი ზმნა გარდაუვალია, სამპირიანი — გარდამავალი (გამონაკლისია **ეკითხება, უყვება, ედავება** ტიპის ზმნები), ორპირიანი კი გარდამავალიცაა და გარდაუვალიც. კერძოდ: გარდამავალია, თუ შეეწყობა სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი, გარდაუვალია — თუ შეეწყობა სუბიექტი და ირიბი ობიექტი.

მაგალითები:
იზრდება ის — გარდაუვალი
ზრდის ის მას — გარდამავალი
ეხმარება ის მას — გარდაუვალი
გაუგზავნა მან მას ის — გარდამავალი
შეედავა ის მას მას — გარდაუვალი.

გარდამავალი ზმნის სუბიექტი ბრუნვაცვალებადია: I სერიაში სახელობითშია, II-ში მოთხრობითში, III-ში — მიცემითში (წერს ის მას, დაწერა მან ის, დაუწერია მას ის).

პირდაპირი ობიექტიც ბრუნვაცვალებადია: I სერიაში მიცემითშია, II-სა და III-ში — სახელობითში (ხატავს ის მას, დახატა მან ის, დაუხატავს მას ის).

ირიბი ობიექტი ბრუნვაუცვლელია, ყოველთვის მიცემითშია დგას (ეხმარება ის მას, დაეხმარა ის მას, დახმარებია ის მას).

ირიბი ობიექტი გარდამავალ ზმნას I-სა და II სერიაში შეეწყობა, გარდაუვალს კი — სამივე სერიაში.

არსებობს გარდამავლობის გამოსაცნობი **ხერხები** (კრიტერიუმები):

1) შეეწყობა პირდაპირი ობიექტი;
2) სუბიექტი ბრუნვაცვალებადია;
3) წყვეტილში სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაშია;
4) წყვეტილში (მრ. რ.) S პირის ნიშანია **ეს** სუფიქსი;

5) III სერიაში ზმნა ინვერსიულია, სუბიექტი მიცემით ბრუნვაში დგას.

გარდამავლობის გამოსაცნობი ეს ხერხები უმრავლეს შემთხვევაში მარჯვე საშუალებაა. მაგრამ ზოგჯერ თავს იჩენს საცილობელი მხარეები — გამონაკლისები:

ა) ქართულში არის ზმნები, რომელთაც შეეწყობა ბრუნვაცვალებადი სუბიექტი, მაგრამ არ ახლავს პირდაპირი ობიექტი: **გაიცინა** მან, **იცხოვრა** მან...

ბ) ზოგიერთი ზმნა შეეწყობს ბრუნვაცვალებად სუბიექტსა და ირიბ ობიექტს: **უხელმძღვანელა** მან მას, **უდარაჯა** მან მას...

ამ ტიპის ზმნათა კვალიფიკაცია ძირითადად ორგვარია: 1) ჩათვალოს გარდაუვალად, რადგან დაკარგული აქვთ პირდაპირი ობიექტი და ამის შედეგად გარდამავლობაც **(ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე...)**, 2) მიჩნეულ იქნეს გარდამავლად **(არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, მ. სუხიშვილი...)**, უფრო ზუსტად, უწოდებენ **დეფექტურ ზმნებს** (რადგანაც აკლიათ პირდაპირი ობიექტი). ასეთ შემთხვევაში ანგარიში ეწევა ზმნის კონსტრუქციას: მათ მოეპოვებათ გარდამავლობის ყველა ნიშანი (რამდენადაც ისტორიულად პირდაპირი ობიექტიც შეეწყობოდათ), გარდა პირდაპირი ობიექტისა.

ამგვარ სადავო ფორმებთან დაკავშირებით **ა. შანიძე** ხაზგასმით მიუთითებს, რომ გარდამავლობის საკითხის გარკვევისას არ უნდა ავრიოთ ნამდვილი მოჩვენებითში, ძველი და ახალი, ისტორიული და დღევანდელი. უნდა გვახსოვდეს, რომ იქ, სადაც ზმნაშ დაკარგა პირდაპირი ობიექტის მოთხოვნის უნარი, არ არის და არც შეიძლება იყოს გარდამავალი. ამიტომ **იდუღა მან, იცხოვრა მან...** არ არის გარდამავალი, მიუხედავად იმისა, რომ სუბიექტი ბრუნვას იცვლის. სუბიექტის ცვლა ამ შემთხვევაში გვიჩვენებს, რომ ფორმა ისტორიულად არის გარდამავალი და არა მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით.[1]

უდავოა, რომ ბრუნვაცვალებადი სუბიექტი უცილობლად გულისხმობს პირდაპირი ობიექტის თანაარსებობასაც. ამდენად, საანალიზო ტიპის ზმნათა გარდამავლებად მიჩნევა ნაკლებ საცილო-

[1] **ა. შანიძისათვის** გარდაუვალია აგრეთვე ზმნა **შეხედა** (მან მას), თუმცა ძველ წერილობით ძეგლებში ეს ზმნა სამპირიანი გარდამავალია: **შეხედა მან მას იგინი**, პირდაპირ ობიექტად იგულისხმებოდა **თვალნი**, რომელიც დროთა ვითარებაში დაიკარგა.

ბელ მხარეებს შეიცავს, ვიდრე პირუკუ კვალიფიკაციის შემთხვევაში.

ამრიგად, ერთი თვალსაზრისით, ზმნათა გარდამავლობის საფუძველია პირდაპირი ობიექტის არსებობა, მეორის მიხედვით კი — ბრუნვაცვალებადი სუბიექტი. შეიძლება ზმნაში არ იყოს წარმოდგენილი პირდაპირი ობიექტი, მაგრამ ისტორიულად იქნებოდა, რასაც ადასტურებს ბრუნვაცვალებადი სუბიექტი. შესაძლებელია, პირდაპირი ობიექტი გაუჩინარდეს, მაგრამ ზმნის კონსტრუქცია, მისი უღლება, პარადიგმატიკა არ იცვლება.

გარდამავლობა არ არის მუდმივი ნიშანი ზმნისა (ამის გამოა, რომ ერთ შემთხვევაში იგი გარდამავალია, მეორეში — გარდაუვალი (გაიარა მან ის. შდრ. გაიარა მან).

გარდამავალ ზმნას სტაბილური კონსტრუქცია აქვს I სერიაში, მეორეში კი შეიძლება იყოს ლაბილურიც: გაითოხნა მან ის — გაითოხნა ის.

გარდაუვალ ზმნასთან შეწყობილი სუბიექტი ბრუნვაუცვლელია. იგი სამივე სერიაში სახელობით ბრუნვაში დგას: იზრდება **ის** (I სერია), გაიზარდა **ის** (II სერია), გაზრდილა **ის** (III სერია). როგორც წესი, სუბიექტი ბრუნვაუცვლელია **უყვება** ტიპის სამპირიან ზმნებშიც (**უყვება ის** მას მას, **მოუყვა ის** მას მას, **მოჰყოლია ის** მას მას). მაგრამ დღეს ცოცხალი მეტყველება ამ ტიპის ზმნებს სამპირიანობის გამო გარდამავალ ზმნათა ჯგუფში აერთიანებს და ბრუნვაცვალებად სუბიექტს წარმოადგენს: **მოუყვა მან** მას ის, **შეეკითხა მან** მას ის...

§ 115. მართლწერის საკითხები გარდამავლობასთან დაკავშირებით. გარდამავალობას უკავშირდება მართლწერის რამდენიმე წესი:

1) გარდაუვალი ზმნის სუბიექტი წყვეტილის მწკრივში სახელობითი ბრუნვის ფორმით უნდა იყოს: კაცი წავიდა და არა: კაცმა წავიდა...

2) გარდამავალი (და ე. წ. დეფექტური) ზმნების სუბიექტს წყვეტილის მწკრივში პირისა და მრავლობითი რიცხვის ნიშნად მოუდის **ეს** და არა **ენ**: გააკეთეს, იცხოვრეს და არა: გააკეთენ, იცხოვრენ.

3) გარდაუვალ ზმნას III სუბიექტური პირისა და მრავლობითი რიცხვის ნიშნად წყვეტილში მოუდის **ნენ** და არა **ენ**: წავიდნენ და არა: წავიდენ.

§ 116. გარდამავლობის შესწავლის მოკლე ისტორია. გარდამავლობა, როგორც გრამატიკული კატეგორია. გარდამავლობა, როგორც დამოუკიდებელი გრამატიკული მოვლენა (ფაქტი) ქართული ენის პირველ გრამატიკებში არ ყოფილა ცალკე გამოყოფილი და დახასიათებული. აქ მხოლოდ მინიშნებაა გარდამავლობის სემანტიკურ მხარეზე გვარის კატეგორიასთან დაკავშირებით (მოქმედებით გვარად მიჩნეულია ისეთი ზმნა, სადაც მოქმედება გადადის სხვა საგანზე...). უფრო მოგვიანებით, XIX საუკუნის დასაწყისის ქართულ გრამატიკებში უკვე მოცემულია გარდამავლობის სინტაქსური დახასიათება, გამოყოფილია პირდაპირი და ირიბი დამატება და დაზუსტებულია მათი ბრუნვებიც.[1]

ტერმინები „გარდამავალი“ და „გარდაუვალი“ თარგმნილია ევროპული ენების მიხედვით.

ა. შანიძემ მეცნიერულად ჩამოაყალიბა გარდამავლობის არსი და თავისებურებანი ქართულში. მან გარდამავალი ზმნის საფუძველად (აუცილებელ პირობად) მიიჩნია პირდაპირი ობიექტის არსებობა.

ჰ. ფოგტის აზრით, გარდამავალია ქართულში ის ზმნა, რომელსაც სუბიექტი ერგატივში (მოთხრობითში) შეეწყობა. მეცნიერი ითვალისწინებს ობიექტის ბრუნვასაც, მაგრამ აქცენტი მაინც სუბიექტის ბრუნვაზე გადააქვს.

ნ. მარის ვარაუდით, ძველად ყველა ზმნა გარდამავალი უნდა ყოფილიყო.

არნ. ჩიქობავამ არაერთი ნაშრომი უძღვნა გარდამავლობის პრობლემას. იგი გარდამავლობას განსაზღვრავს მორფოლოგიური სუბიექტისა და ობიექტის მიხედვით. გარდამავალ ზმნას შეეწყობა უახლოესი (პირდაპირი) ობიექტი, რომელიც უძველეს ქართულში (კლასოვანი უღვლილების დროს) ობიექტის კლასს აღნიშნავდა და ზმნაში ახენდა მხოლოდ რიცხვის ნიშანს.

არნ. ჩიქობავამ დაასაბუთა, რომ ქართულსა და კავკასიურ ენებში გარდამავლობა უწინარესია, ვიდრე გვარის კატეგორია

[1] ქართულში ზმნის გარდამავლობის შესახებ პირველად მიუთითა **ი. სიხარულიძემ.**

რამას ადასტურებს **იცის** და **უწყის** ზმნათა ჩვენება. ისინი გარდამავლები არიან, მაგრამ უგვარონი). გარდამავლობა-გარდაუვალობა ზმნის მორფოლოგიურ კატეგორიას არ ქმნის, ისე როგორც სტატიკურობა-დინამიკურობა. ზმნის გარდამავლობა ირკვევა ზმნის სახელებთან შეხამების საფუძველზე და არა ფორმანტებით, როგორც ეს მორფოლოგიურ კატეგორიას ახასიათებს. თუმცა ეს არ გამორიცხავს ვარაუდს, რომ შეიძლებოდა ძველად გარდამავლობას ჰქონოდა მორფოლოგიური ნიშანი.

საგულისხმოა, რომ სხვა ქართველი მეცნიერებიც გარდამავალი ზმნების (იგივე მოქმედებითი გვარის) ნიშნად ვარაუდობდნენ პრეფიქსს: **აკეთებს, ადუღებს... (ნ. მარი, გ. დეეტერსი, ვ. თოფურია, ფ. ერთელიშვილი...). მ. სუხიშვილმა** ძველი და ახალი ქართულის მიხედვით (და არსებული ლინგვისტური კვლევის შეღეგების გათვალისწინებით) გარდამავლობის მორფოლოგიურ მახასიათებლებად (ნიშნებად) ჩათვალა **ა, ი, უ** პრეფიქსები (ქცევის ნიშნები), რომლებიც, საფიქრებელია, გარდამავალ ზმნაში უახლოესი ობიექტის პოვნიერებაზე მიუთითებდნენო.

მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს აგრეთვე გარდამავლობის, როგორც გრამატიკული კატეგორიის, საკითხი. **ა. შანიძე** გარდამავლობას არ მიიჩნევს ზმნის მორფოლოგიურ კატეგორიად და, შესაბამისად, არ ასახელებს მას არც უღლებისა და არც წარმოქმნის კატეგორიებში.

არნ. ჩიქობავას აზრით, გარდამავლობა დღეს არაა მორფოლოგიური კატეგორია (სათანადო აფიქსით გამოხატული), მაგრამ ისტორიულად იგი საგულვებელია.

აკ. დავითიანის კვალიფიკაციით, გარდამავლობა გრამატიკული კატეგორიაა, ისევე როგორც გვარი. მართალია, გარდამავლობას არა აქვს მორფოლოგიური აფიქსი, მაგრამ მოეპოვება საპირისპირო ცალები (გარდამავალი და გარდაუვალი). ამდენად, იგი ზმნის დამოუკიდებელი კატეგორიაა.

ლიტერატურა

დავითიანი აკ. — ზმნის გარდამავლობისა და გვარის სწავლება: ქელს, 1969, № 1.

კვაჭაძე ლ. — ქართული ენა, ნაწილი I, თბ., 1981.

სახოკია მ. — გარდამავლობის პრობლემისათვის ზოგად ენათმეცნიერებაში: თანამედროვე ენათმეცნიერების ზოგიერთი აქტუალური საკითხი, თბ., 1978.

სუხიშვილი მ. — გარდამავალი ზმნები ქართულში, თბ., 1986.

შანიძე ა. — ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.

შანიძე ა. — ზმნათა გარდამავლობისათვის ქართველურ ენებში: მეცნიერ. აკადემიის მოამბე, ტ. III, № 3.

ჩიქობავა არნ. — ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბ., 1948.

ჩიქობავა არნ. — მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, თბ., 1965.

ჩიქობავა არნ. — იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1976.

ჩიქობავა არნ. — ზმნის გარდამავლობა, როგორც მორფოლოგიური კატეგორია ქართულში: წელიწდეული, 1977.

ჩიქობავა არნ. — ზმნის გარდამავლობისა და გვარის კატეგორიის ისტორიული ურთიერთობისათვის ქართველურ ენებში: წელიწდეული, 1981, № 8.

გვარი

§ 117. გვარის რაობა. გვარის სახეები. გვარი ქართული ზმნის ერთ-ერთი ურთულესი კატეგორიაა. ზოგად ლინგვისტიკაში დამკვიდრებული დებულების თანახმად, გვარი არის ზმნის ისეთი ფორმა, რომელიც ასახავს სუბიექტის აქტიურობას ან უმოქმედობას მხოლოდ სემანტიკურად ან ზოგჯერ ფორმობრივადაც. წარმოშობით გვარი სინტაქსურ კატეგორიადაა მიჩნეული. თავისი შინაარსით იგი გულისხმობს სუბიექტის გარკვეულ დამოკიდებულებას ზმნით გადმოცემული მოქმედებისადმი. ეს დამოკიდებულება ზოგ ენაში ფორმანტების საშუალებითაა ასახული, ზოგში კი — არა. გვარის კატეგორიის გამოხატვის თვალსაზრისით ქართული ენა საინტერესო ვითარებას უჩვენებს.

ა. შანიძის ტრადიციული განმარტებით, **გვარი** არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორია ურთიერთობა გრამატიკულად მოქმედ პირსა და ზმნით აღნიშნულ მოქმედებას შორის. მაგალითად, კალატოზი **აშენებს** სახლს. ამ ზმნის მიხედვით ირკვევა, რომ S მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე, ე. ი. სუბიექტის მოქმედებას უშუალოდ განიცდის პირდაპირი ობიექტი, **მაგრამ: წერილი იწერება.** აქ ზმნის ფორმით არ ჩანს, რომ სუბიექტი მოქ-

მედებს სხვა პირზე, პირიქით, თვითონ სუბიექტია ამ მოქმედების განმცდელი, მოქმედების საგანი.

ქართულ ზმნაში მიმართება გრამატიკულად მოქმედ პირსა და ზმნით აღნიშნულ მოქმედებას შორის სხვადასხვაგვარია. შესაბამისად, გამოიყოფა სამი გვარი: მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი.

მოქმედებითი გვარი გვიჩვენებს, რომ გრამატიკულად მოქმედ პირს (S) მოეპოვება სამოქმედო პირი — პირდაპირი O: აგორებს ის მას (კაცი ქვას).

ვნებითი გვარი გვიჩვენებს, რომ S თვითონ განიცდის მოქმედებას, ოღონდ ზმნის ფორმით არ ჩანს, თუ ვისგან ან რისგან (ე. ი. ვნებითის S იმასვე განიცდის, რასაც პირდაპირი O სათანადო მოქმედებითში): გორდება ის (ქვა).

საშუალი გვარი გვიჩვენებს, რომ S მოქმედებს, მაგრამ სამოქმედო O არა აქვს, თუმცა არც თვითონ განიცდის ამ მოქმედებას: გორავს ის (ქვა).

ტერმინი „გვარი“ თავისი შინაარსით ტოლია ლათინური genus-ისა, ბერძნული „დიათეს“-ისა, რუსული залог-ისა, ანტონი იყენებდა „ნათესავს“, რომელიც ლათინურის პირდაპირი თარგმანია.

უცხოურად მოქმედებითს აქტივს ეძახიან, ვნებითს — პასივს, საშუალს — მედიუმს.

§ 118. მოქმედებითი გვარის ზმნები. კონვერსია. მოქმედებითი გვარის ზმნა ყველა გარდამავალია (რადგან აუცილებლად გულისხმობს პირდაპირ ობიექტს), მაგრამ ყველა გარდამავალი არ არის მოქმედებითი. მაგალითად. ასეთებია: **იცის, უწყის...** ეს ზმნები იმდროინდელი წარმონაქმნი არიან, როცა ზმნას გვარის კატეგორია არ მოეპოვებოდა და, შესაბამისად, საპირისპირო ფორმა — ვნებითი ან საშუალი აღარ განუვითარებიათ **(არნ. ჩიქობავა)**.

მოქმედებითი გვარის ზმნა შეიძლება იყოს ორპირიანი ან სამპირიანი: ხატავს ის მას, უგზავნის ის მას მას, უწერს ის მას მას...

მოქმედებითი გვარის ზმნას გვარის სპეციალური ნიშანი არა აქვს. იგი გამოიცნობა გარდამავლობით (თუმცა ვარაუდობენ, რომ თავდაპირველად გარდამავლობის (მოქმედებითის) აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო **ა** პრეფიქსი).

მეცნიერთა აზრით, ქართული აქტიური ბუნების ენაა. შესაბამისად, მასში ზმნათა დიდი უმრავლესობა მოქმედებითი გვარისაა, მაგრამ ისიც შესამჩნევია, რომ უკანასკნელ ხანებში პასიური კონსტრუქციების ხმარება გახშირდა სამეცნიეროსა და ტექნიკურ ლიტერატურაში, ეს, ალბათ, იმით აიხსნება, რომ დიდძალი ლიტერატურა ითარგმნება ევროპული ენებიდან.

ზმნის ერთი და იმავე ფუძისაგან ხშირია ორი (მოქმედებითი და ვნებითი) გვარის წარმოება, სამივე გვარისა კი — შედარებით იშვიათი: აგორებს — გორდება — გორავს, ამწიფებს — მწიფდება — მწიფს. მაგრამ: აკეთებს — კეთდება, აშენებს — შენდება, ამზადებს — მზადდება და ა. შ. ქართულში ერთმანეთს კარგად უპირისპირდება მოქმედებითი და ვნებითი. მათ შორის ურთიერთობა ისეთია, რომ ერთი წარმოადგენს მეორის მობრუნებულ სახეს. ამიტომ ადვილად შეიძლება ზმნის გადაყვანა ერთი გვარიდან მეორეში.

ზმნის ერთი გვარიდან მეორეში გადაყვანას მობრუნება ანუ **კონვერსია** ჰქვია.

კონვერსიისათვის ამოსავალია მოქმედებითი. ვნებითი მისი მობრუნებული სახეა. კონვერსიის დროს ცვლილებას განიცდის S და პირდაპირი O. კერძოდ: თუ მოქმედებითი გვარის ზმნას ვნებითში გადავიყვანთ, მაშინ პირდაპირი O იქცევა S-ად, მოქმედებითის S კი დაიკარგება, ირიბი O უცვლელად გადავა: უზრდის ის მას მას (დედა სამშობლოს შვილს) — ეზრდება ის მას (შვილი სამშობლოს). მოქმედებითის პირდაპირი O იქცა ვნებითის S-ად, რადგან იგი არის მოქმედების განმცდელი.

მეორე მხრივ, თუ ვნებითი გვარის ზმნას გადავიყვანთ მოქმედებითში, მაშინ ვნებითის S იქცევა მოქმედებითში პირდაპირ O-ად, გაჩნდება ახალი სუბიექტი, ირიბი კი უცვლელად გადავა: ეწერება ის მას(წერილი დედას) — უწერს ის მას მას (შვილი დედას წერილს).

ზოგ შემთხვევაში მოქმედებითის კონვერსიულია საშუალი გვარიც: ადუღებს ის მას — დუღს ის. კონვერსიის დროს იცვლება პირთა რაოდენობა: ემატება ან აკლდება სუბიექტური პირი.

მაშასადამე, კონვერსიის აუცილებელი პირობაა განსხვავება პირთა რაოდენობის მხრივ. ასევე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კონვერსიის დროს არ შეიძლება ერთი და იგივე საგანი სუბიექტური პირი იყოს მოქმედებითშიც და ვნებითშიც, თუნდაც

ზმნები პირიანობის მიხედვით განსხვავდებოდნენ. მაგალითად, „მღვდელი ამით რჩებოდა და არჩენდა ცოლ-შვილსაც“. ეს ზმნები კონვერსიულები არაა.

სხვა ენებში, სადაც მოქმედებითი გვარის ზმნა ერთპირიანია, მორფოლოგიური განსხვავება აქტივსა და პასივს შორის დამყარებულია მარტოოდენ იმაზე, რომ მოქმედებითი გვარის საპირისპირო ფორმას ვნებითის შინაარსი აქვს. ქართულში კი აქტივი ყოველთვის ერთი პირით მეტია სათანადო პასივზე.[1]

ვნებითი გვარი

§ 119. ვნებითი გვარის სახეები. დინამიკურობა-სტატიკურობის საკითხი ქართულ ლინგვისტიკაში. ქართულში გარდაუვალი ზმნა შეიძლება იყოს ვნებითი ან საშუალი გვარისა. მათი გარჩევა არ არის ძნელი: ვნებითი გვარის ზმნათა უმრავლესობას სპეციალური ნიშანი აქვს, საშუალს ასეთი მაწარმოებელი არ გააჩნია. გარდა ამისა, გვარის გამოსაცნობად ვიყენებთ ასეთ პრაქტიკულ წესსაც: თუ კითხვაზე — რას შვრება? ზმნა მიიღებს **ა** დაბოლოებას, მაშინ იგი ვნებითი გვარისაა, თუკი **ს**-ს მიიღებს, საშუალია, მაგ.: **შენდება, იხატება, ინგრევა, თბება** — ვნებითია. **წუხს, დუღს,** ცხოვრობს — საშუალი.

გარდაუვალ ზმნათაგან ვნებითის ფორმათა წარმოება უფრო მრავალფეროვანია, სისტემური და ჩამოყალიბებული, საშუალი კი მკვეთრად თავისებურია: ვერ აწარმოებს ყველა მწკრივს და არც ბევრი ზმნური ნიშანი მოეპოვება.

ა. შანიძემ მოქმედების მიმდინარეობა-შედეგის მიხედვით

[1] კონვერსიის შესახებ თანამედროვე ლინგვისტიკაში სხვაგვარი თვალსაზრისიცაა გამოთქმული. მაგალითად, **მ. მაჭავარიანი** კონვერსიას გვარის კატეგორიის დამახასიათებლად კი არ თელის, არამედ მას უკავშირებს ქცევის კატეგორიის ზოგად მნიშვნელობას. მისი აზრით, კონვერსია არის საშუალება წინადადების წევრის რანგის შეცვლებისა არსებული მორფოსინტაქსური მოდელების ბაზაზე (დაწვრ. იხ. ნაშრ. „ქცევის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკა“).

ვნებითი გვარის ზმნები დაყო ორ ჯგუფად: დინამიკურად და სტატიკურად.[1]

დინამიკური ვნებითი გვიჩვენებს მოქმედების პროცესს, სტატიკური კი — შედეგს. მაგ.: ეფინება, ეყრება, ეფარება — დინამიკურია, მაგრამ: აფენია, ყრია, აფარია — შესაბამისი ძირის სტატიკური. მათ შორის სხვაობა ისაა, რომ დროის ერთსა და იმავე მომენტში — ახლანდელ დროში — ერთი აშკარად გვიჩვენებს მოქმედების პროცესს (ეფინება), ხოლო მეორე მიუთითებს მხოლოდ შედეგზე (აფენია — დაფენილია).

როგორც ვხედავთ, **ა. შანიძემ** დინამიკურობა-სტატიკურობა მიიჩნია ვნებითი გვარის მახასიათებლად.

არნ. ჩიქობავა არ იზიარებს ზემოაღნიშნულ დებულებას. იგი იბერიულ-კავკასიურ ენათა მონაცემების საფუძველზე თვლის, რომ დინამიკურობა-სტატიკურობა უფრო ძველია, ვინემ გვარის კატეგორია საზოგადოდ. დღეს აფხაზურ-ადიღეურსა და სხვა კავკასიურ ენებში გარჩეულია დინამიკურობა-სტატიკურობა, თუმცა ვნებითი გვარი ჯერ კიდევ არაა ჩამოყალიბებული.

არნ. ჩიქობავას აზრით, ქართულში ყველა ზმნა იყოფა ორ ჯგუფად: დინამიკურად და სტატიკურად. დინამიკურია ყველა მოქმედებითი გვარის ზმნა და ე. წ. დინამიკური ვნებითები, ხოლო სტატიკურია ე. წ. სტატიკური ვნებითები და საშუალი გვარის ზმნები (ესენიც მიუთითებენ მოქმედების შედეგზე).

სტატიკური ზმნა იმდროინდელია, როცა ზმნაში გვარები არ გაირჩეოდა. სტატიკური ზმნა განგრძობითი ასპექტისაა. მას არ შეიძლება ჰქონდეს სრული ასპექტი.

ქართულში საშუალი გვარის ზმნათა სტატიკური ბუნება (ე. ი. სტატიკურობის ცნებაში ე. წ. სტატიკური ვნებითისა და საშუალი გვარის ზმნათა გაერთიანება) სარწმუნოდ მიაჩნიათ აგრეთვე სხვა მეცნიერებსაც (**ქ. ლომთათიძე, გ. მაჭავარიანი, ნ. ნათაძე, ზ. ჭუმბურიძე, ბ. ჯორბენაძე, მ. სუხიშვილი...**).

საანალიზო ტიპების ზმნათა სტატიკურად მიჩნევას საფუძვლად უდევს როგორც შინაარსობრივ-სემანტიკური, ისე ფორმობრივი

[1] სტატუსის კატეგორია პირველად დაადგინა **ა. შანიძემ** 1930 წელს, შეიტანა ქართული ტერმინები: „მდინარებითი ვნებითი“ და „მდგომარეობითი ვნებითი“, რომლებიც 1933 წლიდან შეცვალა სათანადო საერთაშორისო ტერმინებით — „დინამიკური ვნებითი“, „სტატიკური ვნებითი“.

მსგავსება: ვერ აწარმოებენ საკუთარი ფუძით ყველა მწკრივს, სრული ასპექტის გამოხატვა არ შეუძლიათ (ზმნისწინს არ დაირთავენ; თუკი დაერთო, მხოლოდ გეზსა და ორიენტაციაზე მიუთითებს), აწმყოს მწკრივში წარმოდგენილი არიან მეშველი ზმნით (ვწერივარ, ვზივარ...).

§ 120. დინამიკური ვნებითის წარმოება (პრეფიქსიანი, სუფიქსიანი, უნიშნო ვნებითი). წარმოების მიხედვით დინამიკური ვნებითი შეიძლება იყოს პრეფიქსიანი, სუფიქსიანი და უნიშნო.

პრეფიქსიანია ვნებითი, რომელსაც გვარის მაწარმოებლად მოუდის **ი** და **ე** პრეფიქსები. **ი** ნიშნიანს ვეძახით **ინიანს, ე** ნიშნიანს — **ენიანს.**

ინიანი ვნებითი ერთპირიანია. მათი უმრავლესობა პირველადი ზმნაა, იშვიათად შეიძლება იყოს ნასახელარიც: **ი**-ზრდება ის, **ი**-თესება, **ი**-ნომრება...

ენიანი ვნებითი, ჩვეულებრივ, ორპირიანია: **ე**-ზრდება ის მას, ეხატება... დღეს გამონაკლისის სახით მოგვეპოვება რამდენიმე ერთპირიანი **ენიანი** ვნებითიც, თუმცა ისტორიულად ისინიც ორპირიანები იყვნენ და შემდგომ დაკარგეს ერთი პირი, რომლის აღდგენა შესაძლებელია: დაეცა ის (მიწაზე), დაემხო ის (საწოლზე), გაემართა ის (ქალაქში). შდრ. დაეცა ის მას (ჭორი დედაღს), დაემხო ის მას (ბავშვი მაგიდას)...

სუფიქსიანი ვნებითის ნიშანია **დ** სუფიქსი, ამიტომ ასეთ ვნებითს **დონიანსაც** ეძახიან: შენ-**დ**-ება, კეთ-**დ**-ება, წითლ-**დ**-ება... **დონიანი** ვნებითის უმრავლესობა ნასახელარი ზმნებია: თეთრი-თეთრ-**დ**-ება, ბერი — ბერ-**დ**-ება... გამონაკლისია რამდენიმე პირველადი ზმნა: შენ-**დ**-ება, კეთ-**დ**-ება, ტყ-**დ**-ება, ჩერ-**დ**-ება.

სუფიქსიანი ვნებითი შეიძლება იყოს ერთპირიანი და ორპირიანი: წითლდება ის — უწითლდება ის მას.

უნიშნოა ვნებითი, რომელსაც გვარის რაიმე მაწარმოებელი არ მოეპოვება, თუმცა ვნებითობის ყველა სხვა ნიშანი გააჩნია. უნიშნო ვნებითი ერთპირიანიცაა და ორპირიანიც. მისი ხმარება განისაზღვრება რამდენიმე ფუძით, რომლებიც უხსოვარი დროიდან დღევანდლამდეა შემონახული, ასეთებია: დნება, ჭკნება, ლპება, ხმება, თბება, სკდება... უნიშნო ვნებითი არაპროდუქტიულია.

მკვლევართა აზრით, უნიშნო ვნებითები უძველესი წარმოშობისაა. ისინი უნდა ყოფილიყვნენ ერთპირიანი დინამიკური უგვარო

ზმნები და უპირისპირდებოდნენ უგვარო სტატიკურ ზმნებს. თუ, ჩვეულებრივ, ვნებითი იწარმოება მოქმედებითისაგან, **თბება** ტიპის ზმნები, პირიქით, თვითონ არიან ამოსავალი სათანადო მოქმედებითისათვის. **ქ. ლომთათიძის** აზრით, უნიშნო ვნებითი უფრო ადრეა ჩამოყალიბებული, ვიდრე გვარის კატეგორია და, ბუნებრივია, მაწარმოებელი ნიშანიც არ ექნებოდა, ვერც შემდეგ განივითარა.[1]

საზოგადოდ, ვნებითის ნიშნები ზმნას გააჩნია I-სა და II სერიაში, III-ში არ გადაჰყვება. სწორედ ამის მიხედვით არსებობს ვნებითი გვარის გამოსაცნობი ხერხიც: თუ ზმნას მესამე სერიაში არ გადაჰყვება **ე, ი, დ,** მაშინ ეს ნიშნები ვნებითი გვარისაა, მაგრამ, თუ რომელიმე გადაჰყვა, მაშინ უნიშნოა.

ი-მალება — დამალულა — ინიანი
ე-ზრდება — გაზრდია — ენიანი
შავ-დ-ება — გაშავებულა — დონიანი
კვდება — მომკვდარა — უნიშნო.

რატომ არ არის III სერიაში გვარის ნიშანი?

გარდაუვალი ზმნის III სერიის I თურმეობითისათვის ამოსავალია საუღლებელი ზმნის მიმღეობა და საწყისი. სახელზმნებს გვარის ნიშანი არა აქვს, ბუნებრივია, იგი არ გვექნება III სერიაშიც.

§ 121. ვნებითის მაწარმოებელ აფიქსთა გენეზისის საკითხი ქართულ ლინგვისტიკაში. სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს როგორც გვარის სახეების, ისე მაწარმოებელი აფიქსების გენეზისი და კვალიფიკაციის საკითხი.

1. ვნებითის **დ** სუფიქსის ისტორია ბევრმა მკვლევარმა შეისწავლა. **ა. შანიძის** აზრით, სუფიქსიანი ვნებითის თავდაპირველი ნიშანი იყო **ენ-ნ,** რომლისგანაც ფონეტიკური ცვლილების გზით მიიღეთ **დ:** შეეწუხ-ენ მე, შესწუხ-ენ შენ, შეწუხ-ნ-ა იგი→ →შეწუხ-დ-ა.

ვ. **თოფურიას, გ. მაჭავარიანს, ფ. ერთელიშვილს** მიაჩნიათ, რომ **დ** არ უნდა იყოს **ნ**-საგან მომდინარე, **ნ** და **დ** ერთდროულად იქნებოდა ვნებითის მაწარმოებელი სუფიქსი.

---

[1] მიუთითებენ, რომ თანამედროვე ქართულში აშკარად ჩანს ტენდენცია **თბება** ტიპის ზმნათა ნამდვილ ვნებითად გადაქცევისა. მაგალითად, **თვრება** დიალექტებში **ი-თვრებად** გადაეთდება (**ქ. ლომთათიძე**).

ივ. იმნაიშვილის დასკვნით, ვნებითის წარმოებაში უნდა ვივარაუდოთ სამი დიალექტური ფენა მაინც, რომელთაგან ერთს — ძირითადს **პრეფიქსიანი ვნებითი** ეკუთვნის, მეორეს — **ენ/ნ სუფიქსიანი,** მესამეს — **დონიანი. დონიანისა** და **ენ/ნ** სუფიქსიანი ვნებითების გაერთიანება და ერთი კილოსადმი მიკუთვნება არ იქნებოდა სწორი. ისინი ძველ სალიტერატურო ქართულში სხვადასხვა კილოდან შემოვიდნენ. რადგან ორივეს ერთი ფუნქცია ჰქონდა, **დ** სუფიქსმა გააძევა **ენ/ნ** და თვით გაბატონდა.[1]

2. ვნებითის **ი** პრეფიქსს გენეზისურად უკავშირებენ მოქმედებითი გვარის ზმნათა სათავისო ქცევის **ი**-ს. შესაბამისად დიაქრონიულ ასპექტში მას სხვადასხვაგვარი კვალიფიკაცია ეძლევა[2].

3. განსხვავებული მოსაზრებანია გამოთქმული **ე** პრეფიქსის შესახებაც. კერძოდ:

ა) **ე** პრეფიქსი, საფიქრებელია, თავდაპირველად ყოფილიყო მოქმედებითი გვარის ზმნათა მაწარმოებელი. **ენიანი ვნებითი** უნდა მომდინარეობდეს **ენიანი მოქმედებითისაგან.** ეს ჩანს მოქმედებითის ფორმებში: მივ-ე-ცი. ე-ძიებს... **ენიანი** ვნებითები ისტორიულად აქტიური ზმნები უნდა ყოფილიყვნენ, შემდგომში დაკარგეს მათ აქტიურობა და იქცნენ პასივებად **(ა. შანიძე).**

ბ) **ე** პრეფიქსი შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც ერთპირიანი, ისე ორპირიანი ზმნების ნიშანი **(ლ. ნოზაძე).**

გ) **ე** პრეფიქსი წარმოშობით არ არის გვარის ნიშანი. თავდაპირველად **ი, ა, უ** ხმოვნების მსგავსად იგიც უნდა ყოფილიყო სახელებსა და ზმნებში დეიქტიკური ელემენტი, ემფატიკური ხმოვანი **(ი. ქავთარაძე),** შემდგომ უნდა განვითარებოდა ქცევის ფუნქცია **(ა. შანიძე, ი. ქავთარაძე, მ. მაჭავარიანი.);** ასევე: **ე** ხმოვნისათვის ამოსავალი იყო ირიბი ობიექტის პოვნიერებაზე მითითება **(ბ. ჯორბენაძე),** ვნებითი გვარის გამოხატვის ფუნქცია მას მოგვიანებით დაეკისრა.

4. სპეციალისტთა მსჯელობის საგნად იქცა ვნებითის პრეფიქსული და სუფიქსური წარმოების ქრონოლოგიური მიმართების საკითხიც. აღნიშნულია, რომ ვნებითის სუფიქსური წარმოება გვიანდელია პრეფიქსულთან შედარებით (იყო: გაეხარა, შეეშინა... დღესა გვაქვს: **გაეხარდა, გაუხარდა, შეეშინდა, შეშინდა...**). კერძოდ, საფიქრებელია, რომ ვნებითის სუფიქსური წარმოება ქართულში ქართველურ ენათა დიფერენციაციის შემდგომდროინდელი მოვლენაა. ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ სვანურში საერთოდ არ ჩანს სუფიქსური წარმოება **(გ. მაჭავარიანი),** მეგრულშიც მხოლოდ აქა-იქ გვხვდება **დონიანი** ვნებითი. ისიც ქართულიდან შესულად მიაჩნიათ **(არნ. ჩიქობავა, ი. ქავთარაძე, გ. მაჭავარიანი, ლ. ნოზაძე...).** მიუთითებენ, რომ ქართულ სალიტერატურო ენას ახასიათებს ტენდენცია გააფართოოს სუფიქსური ვნებითების გავრცელების არე პრეფიქსული ვნებითების ხარჯზე.

§ 122. სტატიკური ვნებითი. მართალია, თანამედროვე ქართულ ლინგვისტიკაში ზმნის სტატიკურობის ცნება ფართო გაგებით (სტატიკური ვნებითი და საშუალი გვარი) ფუნქციონირებს, მაგრამ უმაღლესი სასწავლებლების პროგრამების შესაბამისად ამჯერად ჩვენც საკუთრივ სტატიკურ ვნებითებზე გვექნება მსჯელობა.

სტატიკურ ზმნათა რაოდენობა ქართულში მცირეა. მათი რიცხვი 80-დან 120-მდე აღწევს **(ა. შანიძე).**

სტატიკური ვნებითებია: გდია, ყრია, წერია, აფენია... ასეთი ზმნები მნიშვნელობის გამო ადვილად შეიძლება შეიცვალოს შედგენილი შემასმენლით: ხატია — დახატული არის, თესია — დათესილი არის...

სტატიკური ვნებითი ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით:

1) ზმნისწინს არ დაირთავს, არც ასპექტს აწარმოებს.

2) საკუთარი ფორმით ეწარმოება მხოლოდ აწმყოს მწკრივი. მყოფადის წრეს, II და III სერიას ივსებს შესაბამისი ფუძის დინამიკური **ენიანი** ვნებითისაგან სესხების გზით. ოღონდ უზმნისწინოდ: აწმყოს კავშირებითი და უწყვეტელი საერთოდ არა აქვს.

3) აწმყოს მწკრივის I-სა და II პირში დაირთავს მეშველ ზმნას (რომელიც ძველ ქართულში არ იხმარებოდა. მის ნაცვლად ზმნას მოუდიოდა იე დაბოლოება: ვწერ-იე მე→ვწერი-ვარ), III პირ-

[1] ვნებითის **დ** სუფიქსი პირველად გვხვდება IX საუკუნიდან **(ზ. სარჯველაძე).**

[2] გვარის ნიშნების ფუნქციებისა და გენეზისის შესახებ იხილეთ აგრეთვე § 141.

ში კი **ია**[1]-ზე ბოლოვდება (გამონაკლისია მხოლოდ აკრავს, ხურავს, უჭირავს[2]): ვწერი-ვარ, წერი-ხარ, წერ-ია.

დღეს ცოცხალ მეტყველებაში შეიმჩნევა მედიოპასივთა ხარჯზე სტატიკურ ზმნათა გაფართოების ტენდენცია: წევს — წვია, დგას — დგია, დევს—დვია, უყვარს — უყვარია, სძულს — სძულია...

§ 123. ვნებითის ნიუანსები. გამომსახველობითი ნიუანსების მიხედვით **ა. შანიძემ** გამოყო ვნებითის სამი ჯგუფი: შესაძლებლობის, მიჩნევისა და გუნების.

შესაძლებლობისა (პოსიბილიტური) არის ვნებითის ფორმა, რომელიც აღნიშნავს, რომ მოქმედება შესაძლებელია. ეს შესაძლებლობა ან ფიზიკური ხასიათისაა, ან გულისხმობს, რომ მოქმედება დაშვებულია, ნებადართულია (იჭმევა, ისმევა, გვეცხოვრება...).

შესაძლებლობის ვნებითი (ანუ პოტენციალისი: **არნ. ჩიქობავა**) მეტწილად პრეფიქსიანი წარმოებისაა, ერთპირიანიცაა და ორპირიანიც.

მიჩნევისაა ვნებითის ფორმა, რომელიც აღნიშნავს, რად მიაჩნია გრამატიკული S გრამატიკულ O-ს, რად ეჩვენება იგი. ასეთი ფორმა ყოველთვის ორპირიანია და მხოლოდ ნასახელარ ზმნებში გვხვდება. ამგვარი ვნებითის ნიშანია **ე: ედიდება, ეპატარავება, ებევრება...**

გუნების ვნებითი გვიჩვენებს, რომ ადამიანის სულიერი განწყობილება მიმართულია ზმნით აღნიშნული მოქმედებისაკენ, ასეთი ვნებითი უთუოდ ორპირიანია, **ე**-თი ნაწარმოები, პირველადიცაა და ნასახელარიც: **მეცინება, მემღერება, მეტირება...**

სამეცნიერო ლიტერატურაში ვნებითის ერთ-ერთ ნიუანსად თვლიან უნებლიობასაც.

უნებლიობა არის ისეთი მოქმედება, რომელიც წინასწარ არ არის განზრახული, იგი სუბიექტის უნებურად ხდება. მაგალითად: „მეტყუევეს კაცი შემოაკვდა“, „ფული შემოეხარჯა“. ვნებითის ეს ნიუანსი **ა. შანიძეს** „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ საგანგებოდ არ უანუხილავს.

[1] სტატიკურ ვნებითებში (და თურმეობითშიც) **ია** დაბოლოება დასტურდება X—XI საუკუნეებიდან **(ლ. ბარამიძე, ზ. სარჯველაძე).**

[2] თუმცა დღეს ეს ზმნებიც სხვა სტატიკურთა ანალოგიით ცოცხალ მეტყველებაში **ია** დაბოლოებას ღებულობენ: აკრია, ახურია, უჭერია...

მოგვიანებით უნებლიობის საკითხს მიეძღვნა **ალ. ფოცხიშვილის** შრომა „უნებლიობის კატეგორია ქართულ ზმნაში“, სადაც აღნიშნულია, რომ უნებლიობის კატეგორია საკმაოდ გავრცელებულია ენაში. იგი ვნებითის გარდა მოეპოვება მოქმედებითი გვარის ზმნებსაც. უნებლიობის კატეგორიის მაწარმოებელია **შემო** ზმნისწინი. უნებლიობა არის ლექსიკურ-გრამატიკული კატეგორია, ისევე როგორც გვარი, ქცევა, კონტაქტი... უნებლიობა უნდა ჩაითვალოს ზმნის ცალკე კატეგორიად და გამოიყოს გვარის შემდეგ. ეს თვალსაზრისი არ გაიზიარა **ა. შანიძემ** და დაასაბუთა, რომ უნებლიობა არის არა კატეგორია, არამედ ვნებითის ნუანსი, ამიტომ უნდა ეწოდოს **უნებლიობის ვნებითი** და განიხილებოდეს მიჩნევის, გუნებისა და შესაძლებლობის ვნებითის გვერდით.

§ 124. აღწერილობითი ვნებითი. ზოგიერთ ზმნას არ უწერხდება ვნებითის ფორმათა წარმოება, ამიტომ მათს მაგივრობას ეწევა **აღწერილობითი** ანუ **პერიფრასტული ვნებითი,** რომელიც ასე იწარმოება: საუღლებელი ზმნა მიმღეობის სახითაა წარმოდგენილი, მწკრივის წარმოება კი მეშველ ზმნას აქვს დაკისრებული. მეშველად გამოყენებულია **იქნება, იქნა.**

აღწერილობითი ვნებითი გვხვდება მხოლოდ ერთპირიან სრულასპექტიან ზმნებში, ამიტომ იგი არ შეიძლება იყოს აწმყოს წრეში. აღწერილობითი ვნებითი არ არჩევს სულიერსა და უსულოს: თანხა გაღებულ იქნება, ძმა გაგზავნილ იქნა... მიმღეობა მას ფუძის სახით შეეწყობა.

აღწერილობითი ვნებითი გამოიყენება მეტწილად **წაყვანა, გატანა, შეძენა** და მისთანა ფორმებთან, მაგრამ თანამედროვე ქართულში ასეთი ვნებითი თანდათან იფართოვებს მოქმედების არეს. იგი გვხვდება ისეთ ზმნასთანაც, რომელიც ადვილად აწარმოებს ვნებითს. მაგალითად: დალაგებულ იქნა//დალაგდა, გაკეთებულ იქნეს//გაკეთდეს...

§ 125. დეპონენსები. დეპონენსი არის ზმნა, რომელსაც ფორმა პასივისა აქვს და მნიშვნელობა აქტივის. დეპონენსებთან გრამატიკული სუბიექტი რეალურადაც მოქმედია. მაგალითად, **იძლევა** ფორმით პასივია, მნიშვნელობით აქტივი, რადგანაც სახელი, რომელთანაც ის არის შეწყობილი, ზმნით აღნიშნული მოქმედებისათვის რეალობის თვალსაზრისით სუბიექტია და არა ობიექტი. ამის ძალით ის გარდამავალ ზმნათა რიგებში დგას (აი, ესაა არსებითი

ნიშანი დეპონენსური ზმნებისა), ამ ზმნას პირდაპირი ობიექტი ეწყობა, მაგრამ ნიშანი არა აქვს, თანაც მასში ორპირიანობის გაგება მილეულია, რადგან მას მარტო სუბიექტური წყობის ფორმები გააჩნია: **ვიძლევი, იძლევი.** ასეთი ტიპის ზმნებია: **იბღვირება, იგინება, ილანძღება, იკბინება, ისწავლება, იფიცება, ეკითხება. ეუბნება, უყვება, იტყვის, ეტყვის, იცინის, ეცინის...**

საშუალი გვარი

§ 126. მედიოაქტივი და მედიოპასივი ზმნები. ქართულში განსაკუთრებით საშუალი გვარის ზმნა გამოირჩევა მრავალფეროვნებითა და სირთულით, რაც შეპირობებულია ამ ტიპის ზმნათა ფორმობრივ-სემანტიკური სხვადასხვაობით.

მიაჩნიათ, რომ საშუალი გვარის გამოყოფის საფუძველი არსებითად ფუნქციურია. საშუალი გვარის ზმნა გვიჩვენებს, რომ სუბიექტი მოქმედებს, მაგრამ არ მოეპოვება სამოქმედო ობიექტი. ამდენად, საშუალი გვარის ზმნა ფორმით მოქმედებითს ჰგავს, ფუნქციით — ვნებითს. იგი გარდაუვალია. შეიძლება იყოს ერთპირიანი ან ორპირიანი: დუღს ის, წუხს ის, უდუღს ის მას **(ბ. ჯორბენაძე).**

საშუალი გვარის ზმნები სტატიკური ვნებითების მსგავსად ზოგჯერ მოქმედების შედეგზე მიუთითებენ: წევს — დაწოლილი არის...

საშუალი გვარის ზმნას ახასიათებს შემდეგი თავისებურებანი:

1) უმრავლეს შემთხვევაში ზმნისწინს არ დაირთავს და ვერც ასპექტს აწარმოებს. თუკი აქვს ზმნისწინი, მაშინ იგი მიმართულების გამომხატველია.

2) საშუალი გვარის ზმნა მწკრივნაკლია. მას საკუთრივ მოეპოვება მხოლოდ აწმყოს მწკრივი ან აწმყოს წრე, დანარჩენს ივსებს სესხების გზით.

საშუალი გვარის ზმნები დანაკლისი ფორმების შესავსებად იყენებენ შესაბამისი ფუძის მოქმედებითს ან ვნებითს. ამ შეხედულების ფორმების მიხედვით **ა. შანიძემ** გამოყო ორი ჯგუფი: **საშუალმოქმედებითი (მედიოაქტივი)** და საშუალვნებითი (მედიოპასივი).

მედიოაქტივია ის ზმნა, რომელიც დანაკლის მწკრივებს ივსებს შესაბამისი ფუძის მოქმედებითი გვარისაგან სათავისო ქცევის ფორმით პირდაპირი ობიექტის გამორიცხვით. ამის გამო მედიოაქტივი ზმნები იზიარებენ მოქმედებითის თვისებებს: S II სერიაში მოთხრობითშია, III-ში — მიცემითში (ინვერსიულია). მაგალითად, **ცხოვრობს ის, იცხოვრა მან, უცხოვრია მას.** ასეთ ზმნათა რიცხვი დიდია: მეფობს, ჩქარობს, დუღს, წვიმს... ამ ჯგუფში შემოდის მეორეული წარმოშობის ზმნებიც: თევზაობს, გორაობს ტიპისა.

მედიოპასივია ის ზმნა, რომელიც დანაკლის ფორმებს ივსებს შესაბამისი ფუძის ვნებითით. ასეთ ზმნათა რიცხვი გაცილებით ნაკლებია: დგას, წევს, სძინავს, უყვარს... მედიოპასივი ზმნა აწმყოს მწკრივში (I-სა და II პირში) მეშველ ზმნას დაირთავს: ვდგავარ, დგახარ...

მედიოაქტივ და მედიოპასივ ზმნათა გასარჩევად არსებობს რამდენიმე პრაქტიკული წესი:

1) ზმნას გადავიყვანთ II სერიაში. თუ S მოთხრობით ბრუნვაში ჩადგება, მედიოაქტივია (რადგან მხოლოდ მოქმედებითი გვარის ზმნის S შეიძლება იყოს მოთხრობითში). მაგრამ, თუ S-მა ბრუნვა არ იცვალა, ე. ი. სახელობითში დარჩა, მედიოპასივია (უსესხია ვნებითისაგან): ცხოვრობს **ის** — იცხოვრა **მან** (მედიოაქტივია), დგას **ის** — იდგა **ის** (მედიოპასივია).

2) მედიოაქტივ ერთპირიან ზმნებს მყოფადის წრისა და III სერიის მწკრივებში ყოველთვის აქვს **ი** თავსართი: იმეფებს, იცხოვრებს — იმეფა, იცხოვრა...

3) მედიოაქტივია აგრეთვე მეტწილად: ა) **იალ-**ზე დაბოლოებული, ბ) ხმიანობის გამომცემი და მისთ. საშუალი გვარის ზმნები: ტრიალებს. სრიალებს... ჭიკჭიკებს, ჩუხჩუხებს, კივის...

მოიპოვება ისეთი საშუალი გვარის ზმნებიც, რომლებსაც მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივები აქვთ: ჩანს (ჩანდა, ჩანდეს), მწიფს, დუმს, ყვავის, უკვირს...

§ 127. მედიოაქტივ ზმნათა კვალიფიკაციის საკითხისათვის. როგორც აღინიშნა, **ა. შანიძემ** ნაკლული მწკრივების შემავსებელი ფორმების მიხედვით გამოყო მედიოაქტივი და მედიოპასივი ზმნები (ცხოვრობს **ის** — იცხოვრა **მან**, წევს **ის** — იწვა **ის**). მაგრამ სალიტერატურო ქართულის მასალებში ხშირად ჩნდება:

იდუღა მან//ადუღდა ის, იწუხა მან//შეწუხდა ის, იბიბინა მან//აბიბინდა ის და მისთანა პარალელური ფორმები, რომელთა მიხედვით საშუალი გვარის ზმნათა დანაკლისი ფორმების შემავსებლად ჩათვლილია **დონიანი** ვნებითიც **(არნ. ჩიქობავა, ა. შანიძე, ზ. ჭუმბურიძე)**.

სწორედ ამგვარ ფორმათა საფუძველზე **ე. ბაბუნაშვილმა** დასაშვებად მიიჩნია საშუალი გვარის ზმნათა სამი ჯგუფის გამოყოფა: 1) მედიოაქტივი (იცხოვრა მან), 2) მედიოპასივი (იწვა ის), 3) მედიოაქტივ-მედიოპასივი (იწუხა მან//შეწუხდა ის).

თანამედროვე ქართულ ლინგვისტიკაში განსაკუთრებულ სირთულეს იწვევს მედიოაქტივ ზმნათა კვალიფიკაციის საკითხი.

ჰანს ფოგტი ცხოვრობს ტიპის ზმნებს უწოდებდა „ფსევდოაქტიურებს“, **ვ. თოფურია** და **ლ. ნოზაძე** — დინამიკურ მედიოაქტივებს, **არნ. ჩიქობავა** — სტატიკურებს, **ბ. ჯორბენაძე** კი ამ ზმნათა სემანტიკაში ხედავს მოქმედების პროცესის სტატიკურად წარმოსახვას.

აქტიურობის თეორიის დამცველთა აზრით, ზმნის აქტიური სემანტიკა რეალიზებულია სინტაქსის დონეზე, წარმოდგენილია მოთხრობით ბრუნვაში. ტერმინი „აქტიური“ სწორედ აქტიური ბრუნვიდან იღებს სათავეს **(მ. სუხიშვილი)**.

ა. შანიძე თამაშობს ტიპის ერთპირიან ზმნებს გარდაუვალად თვლის, ორპირიანებს (თამაშობს ის მას) — გარდამავლად. **არნ. ჩიქობავა** კი ამ უკანასკნელთ აწმყოს წრეში განიხილავს გარდაუვალად, მის შემავსებელს მეორე სერიაში (ითამაშა მან ის) — გარდამავლად. რომ **თამაშობს** და **ითამაშებს — ითამაშა** ერთი და იგივე ოდენობა არაა, ამას მოწმობს **ი** პრეფიქსი და თემის ნიშანთა მონაცვლეობა.

ო. დეისაძე იცხოვრა ტიპის ზმნებს განიხილავდა, როგორც დეფექტურად გარდამავალს, მოქმედებითის ფორმას. მისი აზრით, რადგან ზმნას პირდაპირი O არ შეეწყობა, ამიტომ არ არის მოქმედებითი გვარისა, მაგრამ ფორმით მოქმედებითია[1].

§ 128. გვარის საკითხი მესამე სერიის ფორმებში. გვარის

[1] მედიოაქტივ ზმნებთან დაკავშირებით განსხვავებული, მაგრამ საინტერესო თვალსაზრისია გამოთქმული აგრეთვე **ბ. ჯორბენაძის, ლ. ნოზაძის, მ. სუხიშვილისა** და სხვათა ნაშრომებში.

გრამატიკული კატეგორია მკაფიოდაა გამოხატული I და II სერიის მწკრივებში, III-ში შედარებით განსხვავებული ვითარებაა, რადგან გარდამავალი ზმნები ინვერსიულნი არიან, გარდაუვალები კი ამოსავალ ფუძედ იყენებენ მეშველზმნიან წარმოებას (დაწვრილებით იხ. § 160—164).

§ 129. გვარი და გარდამავლობა. ა. შანიძის ტრადიციული შეხედულებით, გარდამავალია ზმნა, თუ მას შეეწყობა პირდაპირი O. ყველა მოქმედებითი გვარის ზმნა გარდამავალია, თუმცა ყველა გარდამავალი არ არის მოქმედებითი. მაგალითად, **იცის, ქირაობს, ვსწავლობ**... გარდამავალია, მაგრამ საპირისპირო ფორმათა უქონლობის გამო უგვაროა.

გარდაუვალი ზმნა, ჩვეულებრივ, ვნებითია ან საშუალი.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ საშუალი გვარის ზმნა შეიძლება იყოს გარდამავალიც, ნასესხები აქტიური ფორმების ანალოგიით **(ე. ბაბუნაშვილი)**.

რადგან გვარისა და გარდამავლობის საკითხი რთულია მედიოაქტივ ზმნებში, ამიტომ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრდა ტერმინები: „დეფექტურად გარდამავალი“ ზმნა, „მოქმედებითის ფორმა“.

იცხოვრა მან, უხელმძღვანელა მან მას ტიპის ზმნები, მიუხედავად **ი** და **უ** ხმოვნების სხვადასხვაგვარი კვალიფიკაციისა და პირდაპირი ობიექტის უქონლობისა (გაუჩინარებისა), უმჯობესი იქნება ჩაითვალოს გარდამავალ, მოქმედებითი გვარის ზმნებად.

§ 130. უგვარო ზმნები. ქართულში ზმნათა დიდ უმრავლესობას მოეპოვება გვარის საპირისპირო ფორმები. ამდენად ვლაპარაკობთ გვარის კატეგორიაზე. მაგ., აგორებს — გორავს... მაგრამ ამათ გვერდით გამოიყოფა ზმნები, რომელთაც აკლიათ საპირისპირო ფორმები. **ა. შანიძე** მათ უწოდებს უგვარო ზმნებს. ასეთებია: არის, იცის, უწყის, სწამს, აქვს, ღირს, ქირაობს.

შესაძლოა, გვარის ფორმამ ისე იცვალოს შინაარსი, რომ მნიშვნელობით დასცილდეს ოდესღაც საკორელაციო ფორმებს და ამით სულ გამოვიდეს გვარის კატეგორიიდან. მაგალითად, **გაყო** — მოქმედებითია, **გაიყო** — მისი ვნებითი (ორად გაყო, ორად გაიყო). ერთსაც და მეორესაც ზმნისწინი აქვს. უზმნისწინო **ყო** დღეს აღარ იხმარება. დარჩა მისი საპირისპირო **იყო**, მაგრამ მას დაეკარგა ვნებითის მნიშვნელობა, უგვარო გახდა **(ა. შანიძე)**.

ძველი ქართულის **ყო** (ჰყოფს, იყოფის...) და მისი კონვერსიული **იყო** მიუთითებდა ქმნაზე, კეთებაზე, ყოფაზე.

იყო ახალ ქართულში აღარაა ვნებითი გვარისა (თუმცა ზმნაში ისტორიული ნიშანი წარმოდგენილია). იგი უგვაროა, ზოგჯერ მეშველ ზმნადაც გამოიყენება. **იყო** წარმოადგენს **არის** ზმნის გაგრძელებას (აღნიშნავს არსებობას, ყოფნას) და სტატიკურთა პარადიგმაში დგას, სტატიკურობა მისთვის მეორეულია **(მ. შინჯიაშვილი).**

იყო ზმნის ანალიზისას აღვნიშნავთ: **ი-ყ-ო** ფორმაში **ი** ისტორიულად ვნებითის ნიშანია, დღეს კი უფუნქციოა, რადგან ზმნა უგვაროა.

§ 131. მართლწერის საკითხები გვართან დაკავშირებით.

1) თუ **ინიანი** ვნებითის ფორმას **მი** ზმნისწინი დაემატება, მაშინ თავს მოიყრის ორი **ი**: მიიმალა, მიიპარება...

2) **ენიანი** ვნებითის ფორმას რომ **შე** ზმნისწინს დავურთავთ, მაშინ სიტყვაში იქნება ორი **ე**: შეეჩვია, შეეპარა...

3) **ე**-ზე დაწყებული სიტყვისაგან ნაწარმოებ **ენიანი** ვნებითის ფორმას თუ **შე** ზმნისწინი დაერთვის, მაშინ თავს მოიყრის ერთად სამი **ე**: ეჭვი — ეეჭვება — შეეეჭვა...

4) თუ ზმნის ფუძე **დ** თანხმოვანზე ბოლოვდება, ვნებითის **დ** სუფიქსის დართვის შედეგად ორი **დ** გვექნება: დიდდება, გაგუ--ლადდა...

5) აღწერილობითი ვნებითის ფორმა ფუძის სახით იხმარება, იგი უსწრებს მეშველ ზმნას, მაგრამ, თუ მოსდევს მას, მაშინ სახელობითშია: **გაღებულ იქნა,** მაგრამ: **იქნა გაღებული.**

6) არასწორია სუბიექტის განცდა-მდგომარეობის გამომხატველ მედიოაქტივ ზმნებთან მეშველი ზმნის გამოყენება. უნდა იყოს: ვყვირი, ვტირი, ვწევი, ვჩხავი, ვკრთი, ვჯობნი, ვმღერი, ვტყუი, ვხტი, დავქრი... და არა: ვყვირივარ, ვტირივარ და მისთ.

§ 132. გვარის კატეგორიის შესწავლის მოკლე ისტორია. ქართველურ ენებში გვარი კარგად ჩამოყალიბებული გრამატიკული კატეგორიაა. სხვა დანარჩენ იბერიულ-კავკასიურ ენებში მხოლოდ მოქმედებითია გარჩეული, ვნებითი ჩანასახის მდგომარეობაშია.

საზოგადოდ, ზმნის გვარის შესახებ მსჯელობა იწყება ჯერ კიდევ **დიონისე თრაკიელის** გრამატიკიდან. მას საგანგებო ყურადღება ექცეოდა ქართული ენის პირველ გრამატიკებშიც. მაგალითად, **ზ. შანშოვანი** ასახელებდა 4 გვარს. ესენია (ახლანდელი ტერმინოლოგიით): **მოქმედებითი, ვნებითი, საშუალი** და **ზიარი. ანტონ-მა** კი თავისი გრამატიკის მეორე რედაქციაში შეიტანა სამი: **შემოქმედებითი, ვნებითი და უმეშვეობითი.** აღსანიშნავია, რომ ანტონის გრამატიკაში უმეშვეობითი (საშუალი) „ნათესავი“ იყოფა **ხატ-შემოქმედებითად** და **ხატვნებითად** (ე. წ. საშუალმოქმედებითად და საშუალვნებითად).

ძველი ქართველი გრამატიკოსები მეტ-ნაკლებად იმეორებენ ანტონის დებულებებს გვართან დაკავშირებით. ისინი მსჯელობენ, აგრეთვე, გვარის მაწარმოებელ ნიშნებზე, **ა** ხმოვანს უკავშირებენ მოქმედებით გვარს (აშენებს) და უპირისპირებენ ვნებითის **ი** და **ე** პრეფიქსებს; შემჩნეულია დეპონენსური ზმნების თავისებურებანი, დიფერენცირებულია **ინიანი, ენიანი** და **დონიანი** ვნებითები...

„შეიძლება ითქვას, რომ პირველი პერიოდის ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში მომზადდა სათანადო ნიადაგი გრამატიკული გვარის რაოდენობისა და მაწარმოებელი აფიქსების დასაზუსტებლად ქართულ ენაში“ **(გრ. იმნაიშვილი).**[1]

XXI საუკუნის 20-იანი წლებიდან, საზოგადოდ, იწყება ახალი ეტაპი ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიაში. შესაბამისად, გვარის კატეგორიის შესწავლაც წარიმართა უფრო მრავალმხრივი ასპექტით.

მართალია, გვარის კატეგორიის მეცნიერული კვლევა **ა. შანიძის** სახელს უკავშირდება, მაგრამ ქართული გვარი იმდენად რთული და მრავალფეროვანია, რომ მის შესახებ უამრავი მსგავსი თუ განსხვავებული თვალსაზრისი გამოითქვა.

დღეს ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გვარის რაობის საკითხში ერთმანეთს უპირისპირდება სამი ძირითადი **თვალსაზრისი:**

1) ქართულში გვარი სამია: მოქმედებითი, ვნებითი, საშუალი **(ა. შანიძე).**

2) ქართულში ზმნას შეუძლია აჩვენოს მოქმედებითი და ვნებითი გვარი **(არნ. ჩიქობავა).**

3) საშუალი გვარი არის გვარის კატეგორიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, მაგრამ ამავე დროს სტატიკური ზმნაა. „მოქ-

[1] დაწვრილებით ამის შესახებ იხ. **გრ. იმნაიშვილის** ნაშრომში „ქართული ზმნის გვარის კატეგორიის შესწავლის ისტორიიდან“.

მედებითი და ვნებითი გვარის ფორმებს საშუალი გვარის ზმნა უპირისპირდება, როგორც სტატიკური ფორმა-დინამიკურს“ **(ბ. ჯორბენაძე)**.

როგორც ვხედავთ, გვართან დაკავშირებით განსაკუთრებით სადავო პრობლემად იქცა საშუალი გვარის საკითხი, რომლის მეცნიერულ შესწავლას ენიჭება როგორც ზოგადთეორიული, ისე პრაქტიკული ღირებულება.

საზოგადოდ, ინდოევროპულ ენებში საშუალი გვარის კატეგორიის საკითხი ჯერ კიდევ ღიად რჩება. ამიტომ 1930 წელს გამოცემულ გრამატიკაში **ა. შანიძე** საშუალი გვარის ზმნებს ცალკე არ გამოყოფდა, მათ უგვარო ფორმებად თვლიდა, მაგრამ შემდეგ მართებულად მიიჩნია საშუალი გვარის დამოუკიდებელ სახედ არსებობა. ამ თვალსაზრისს იზიარებენ **ვ. თოფურია, ი. იმნაიშვილი, ა. კიზირია, ივ. ჭავთარაძე, ფ. ერთელიშვილი, ლ. კიკნაძე, ლ. ბარამიძე, ბ. ჯორბენაძე** და სხვები.

არნ. ჩიქობავა თავის ადრინდელ შრომებში არ უარყოფდა საშუალი გვარის არსებობას, მაგრამ მოგვიანებით ჩამოაყალიბა განსხვავებული შეხედულება: საშუალი ზმნები უგვარო სტატიკური ზმნებია, ისეთივე, როგორც სტატიკური ვნებითები, ორივე მათგანი ქმნის გარდაუვალ ზმნათა ერთ-ერთ ჯგუფს.

საანალიზო ფორმები უგვარო სტატიკურ ზმნებად მიაჩნიათ **გ. მაჭავარიანს, ეკ. ოსიძეს, მ. სუხიშვილსა** და სხვებს. **აკ. დავითიანმა** გვართან დაკავშირებით შემოიტანა ახალი ტერმინები. მან მოქმედებითსა და ვნებითს უწოდა „ნამდვილი გვარი“, რომელსაც დაუპირისპირა საშუალი გვარი — „არანამდვილი გვარი“.

ქართული გვარის შესახებ საყურადღებო მოსაზრებებია გამოთქმული აგრეთვე **ბ. ჯორბენაძის, ოთ. დეისაძის, რ. ენუქაშვილის, მ. სუხიშვილისა** და სხვათა მონოგრაფიებში.

ლიტერატურა

ასათიანი რ. — გვარის მორფოლოგიური კატეგორია ქართულსა და ქართველურ ენებში: კრებ. ტიპოლოგიური ძიებანი, თბ., 1991.

ბაბუნაშვილი ე. — საშუალი გვარის ზმნებთან დაკავშირებული ზოგი საკითხისათვის ქართულში: ენათმეცნიერება, 10, 1986.

ბასილაია ნ. — ქართული მართლწერის საკითხები, I, 1960.

დეისაძე ო. — საშუალი გვარის სწავლება სკოლაში: ქელს, 1972, № 3.

დეისაძე ო. — გვარი და მისი სწავლება სკოლაში (საკანდიდატო დისერტაცია), 1974.

ერთელიშვილი ფ. — **დ/ნ** ვნებითის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში: თსუ. შრ, ტ. 93.

ეხუქაშვილი რ. — საშუალი გვარის საკითხისათვის ქართულში: ქელს, 1973, № 2.

თალაკვაძე მ. — ზმნის სწავლება სკოლაში, თბ., 1955,

თოფურია ვ. — მესამე ტიპის ვნებითის წარმოება ქართულში: მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, № 9, 1942.

იმნაიშვილი გრ. — ქართული ზმნის გვარის კატეგორიის შესწავლის ისტორიიდან: იკე, 29-ე, 1990.

კვაჭაძე ლ. — ქართული ენა, ნაწილი I, თბ., 1981.

ლომთათიძე ქ. — **თბება** ტიპის ზმნათა ისტორიისათვის ქართულში: იკე, IV, 1952.

მაჭავარიანი გ. — უნიშნო ვნებითი ქართველურ ენებში: ქესს, I, 1959.

მაჭავარიანი გ. — ვნებითის სუფიქსური ტიპის გენეზისის საკითხი ქართველურ ენებში: მაცნე, 1973, № 1.

მაჭავარიანი დ. — ვნებითის **ენ** სუფიქსის გენეზისისათვის: ქუთაისის პედინსტ. შრ. ტ. XXII, 1960.

მაჭავარიანი დ. — **უწყის** ზმნის ეტიმოლოგიისათვის: ქუთაისის პედინსტ. შრ., ტ. XI, 1951—1952.

ნებიერიძე გ. — გვარისა და კაუზატივის ურთიერთმიმართება ქართულში: საენათმეცნიერო კრებული, I, თბ., 1984.

ნოზაძე ლ. — **ინ-ენიანი** ვნებითის ურთიერთობის საკითხისათვის ქართულში: იკე, ტ. 9—10, თბ., 1958.

ნოზაძე ლ. — პრეფიქსული და სუფიქსური ვნებითების ურთიერთობისათვის: ქესს, II, 1961.

ნოზაძე ლ. — მედიოაქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში: იკე, XIX, 1974.

სუხიშვილი მ. — სტატიკური ზმნები ქართულში, თბ., 1976.

სუხიშვილი მ. — გარდამავალი ზმნები ქართულში, თბ., 1986.

ფეიქრიშვილი ქ. — საშუალი გვარის ზმნათა ერთი ჯგუფის წარმოებისათვის: ქელს, 1977, № 4.

ფეიქრიშვილი უ. — სტატიკურ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი: ქელს, 1975, № 4.

ფოცხიშვილი ალ. — უნებლიობის კატეგორია ქართულ ზმნაში: კრებ. „თსუ, გ. ახვლედიანს“, თბ., 1969.

ჭავთარაძე ივ. — ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბ., 1954.

შალამბერიძე გ. — ქართული სწორმეტყველების სწავლების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1980.

შანიძე ა. — ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.

შანიძე ა. — ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973.
შანიძე ა. — უნებლიობის კატეგორია თუ უნებლიობის ვნებითი: კრებ. „ქართული ენა“, თბ., 1984.
შინჯიაშვილი მ. — „იყო“ ზმნის სტატიკურობის საკითხისათვის: იკე, XV, 1966.
ჩიქობავა არნ. — მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, თბ., 1968.
ჩიქობავა არნ. — იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979.
ჩიქობავა არნ. — ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება: ქენგლ, I, 1950.
ჩიქობავა არნ. — ვნებითის ჩამოყალიბების ზოგი საკითხისათვის ქართულში მასდარის ჩვენებათა მიხედვით: იკე, VIII, თბ., 1956.
ჯორბენაძე ბ. — ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თბ., 1983.
ჯორბენაძე ბ. — ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბ., 1975.
ჯორბენაძე ბ. — ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის საკითხები, თბ., 1980.

ქცევა

§ 133. ქცევის რაობა, ქცევის სახეები. ქცევა ანუ **ვერსია** არის ზმნის ფორმა, რომელიც აღნიშნავს კუთვნილებით-დანიშნულებითს ურთიერთობას სუბიექტსა და ობიექტს შორის ან ობიექტებს შორის **(ა. შანიძე)**. მაგალითად, კალატოზი უშენებს მეზობელს სახლს. აქ **სახლი** ეკუთვნის **მეზობელს** (კუთვნილებითი ურთიერთობა გამოხატულია ობიექტებს შორის). მეზობელი იშენებს სახლს — ამ წინადადებაში კი **სახლი** ეკუთვნის სუბიექტს (კუთვნილებითი ურთიერთობაა ობიექტსა და სუბიექტს შორის).

ქცევა ქართული ზმნის ერთ-ერთი ძირითადი კატეგორიაა. იგი მოეპოვება ინდოევროპულ ენებსაც, ოღონდ აქ ისე მკაფიოდ გარჩეული არაა. მაგალითად, ბერძნულს ქცევის კატეგორია აქვს მარტო გარდამავალ ზმნებში და ისიც არა ყველა მწკრივში. **ა. შანიძის** აზრით, „ევროპულ ენებში ქცევა ჯერ კიდევ არ არის გამოყოფილი გვარის კატეგორიისაგან, არა და ამ ორი გრამატიკული კატეგორიის დიფერენცირება აუცილებელია“.

ქცევის კატეგორია ყველაზე გამოკვეთილია ქართველურ ენებში. აქ გამოიყოფა ქცევის სამი სახე: საარვისო, სათავისო და სასხვისო. **(არნ. ჩიქობავას** ტერმინებით: „ნეიტრალური“, „სასუბიექტო“, „საობიექტო“).

§ 134. ქცევა გარდამავალ ზმნებში. ქცევა კარგად არის გამოხატული გარდამავალ ზმნებში. აქ შეიძლება გვქონდეს სამივე სახის ქცევა[1].

საარვისო (ნეიტრალური) ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ პირდაპირი O არავის კუთვნილება არ არის და არც ვისთვისმეა განკუთვნილი[2].

საარვისო ქცევა გარდამავალ ზმნებში ორპირიანია ან სამპირიანი: ათეთრებს ის მას, კლავს ის მას, სთხოვა მან მას ის.

საარვისო ქცევის ფორმა ნიშნიანია ან უნიშნო. ნიშნად გამოყენებულია **ა** პრეფიქსი: ა-შენებს, ა-მზადებს, ა-კეთებს... უნიშნოა: ჭრის, კერავს, წერს...

სათავისო (სასუბიექტო) ფორმა გვიჩვენებს, რომ პირდაპირი O ეკუთვნის მოქმედ პირს, სუბიექტს ან მისთვისაა განკუთვნილი: იშენებს ის მას, იხატავს ის მას...

სათავისო ქცევა გვხვდება მხოლოდ გარდამავალ ზმნებში, ისიც ორპირიანებში, სადაც პირდაპირი O ეკუთვნის S-ს.

სათავისო ქცევის ნიშანია **ი** პრეფიქსი. იგი სამივე პირში იხმარება: ვ-ი-ხატავ მე მას, ი-ხატავ შენ მას, ი-ხატავს ის მას.

სათავისო ქცევის ფორმათა გამოყენების შემთხვევები მრავალფეროვანია. იგი შეიძლება შეგვხვდეს:

1) როცა S მოქმედებს თავის სხეულზე ან სხეულის ნაწილებზე (თავი მოიფხანა, პირი დაიბანა);

2) როცა O-ად დასახელებულია თავის სამკაული, ტანისამოსი ან იარაღი, თუნდაც O არ ეკუთვნოდეს S-ს. ამ შემთხვევაში გადაწყვეტია ის გარემოება, რომ S თავისთვის მოქმედებს (ქუდი დაიხურა, ხანჯალი იძრო...);

3) როცა მოქმედება სუბიექტისათვისაა დანიშნული ან მისკენაა მიმართული (ფული ისესხა, ითხოვა, ჩაიბარა...);

[1] ამჯერად ქცევის სახეებს ვახასიათებთ ტრადიციული თანმიმდევრობით, თორემ მეთოდურად უმჯობესი იქნება, საარვისო ქცევა განვიხილოთ სათავისოსა და სასხვისოს შემდეგ.

[2] წინასწარვე შევნიშნავთ, რომ საარვისო ქცევას დამოუკიდებელ სახედ გამოყოფენ მხოლოდ სასხვისოსა და სათავისოს ფორმებთან შეპირისპირებით, თორემ თვითონ კუთვნილებით-დანიშნულებითს ურთიერთობას არ აღნიშნავს.

4) როცა გარდამავალ ზმნას ირიბი ობიექტი აქვს საარვისო ქცევით და ამ ირიბის გამორიცხვა გვსურს, სათავისოზე გადავდივართ (სახელი ჰკითხა — სახელი იკითხა, ქათამი მოჰპარა — ქათამი მოიპარა).

ა. შანიძის აზრით, სათავისო ქცევის ხშირი ხმარების დროს ზოგ ზმნას სულ დაეკარგა საარვისო ფორმები და მათს მაგივრობას სათავისო ეწევა. ეს მოვლენა ისტორიულად კარგად არის დადასტურებული **პოვნა** ზმნაში. ძველად იგი საარვისო ფორმით იხმარებოდა — **პოვა მან იგი.** ახლა კი გვაქვს **იპოვა.** ოღონდ ამ სათავისოს ფუნქცია საარვისოსი აქვს. ასევე შინაარსდაცლილი სათავისოა: შეინახა, დაიწყო, წაიღო, გაიგო, მოიტანა, იზამს... ისინი ფუნქციის მიხედვით საარვისოსთან არიან გათანაბრებულნი. როცა ფუნქცია და ფორმა არ შეესატყვისება, მაშინ აქაც უპირატესობა ფუნქციას უნდა მიენიჭოს და ეს ზმნები საარვისოდ ჩაითვალოს.

სათავისო ქცევაში ობიექტად, ჩვეულებრივ, მესამე პირია, იშვიათად I და II პირიც გვხვდება: მიმისვა (ახლოს) შან მე, დაგიგდო ავადმყოფობამ შენ...

სასხვისო (საობიექტო) ქცევა გვიჩვენებს, რომ პირდაპირი ობიექტის ირიბს ეკუთვნის ან ირიბისთვისაა განკუთვნილი: უშენებს ის მას მას.

სასხვისო ქცევა გარდამავალ ზმნებში მხოლოდ სამპირიანებს ძოებოვება. სასხვისო ქცევის ნიშნებია **ი** და **უ** პრეფიქსები. **ი** იხმარება მაშინ, როცა ირიბი 0 I ან II პირია, **უ** კი — III პირთან: მ-ი-შენებს, გ-ი-შენებს, **უ**-შენებს.

§ 135. ერთნაირი ნიშნის მქონე სათავისო და სასხვისო ქცევათა ერთმანეთისაგან გარჩევის საშუალებანი. სასხვისო და სათავისო ქცევა ზოგ რამეში მსგავსებას გვიჩვენებს, ზოგში — განსხვავებას. მსგავსება მათ შორის ის არის, რომ ორივე გამოხატავს კუთვნილებით-დანიშნულებითს ურთიერთობას და I-სა და II პირში[1] ორივეს ერთნაირი ნიშანი აქვს.

ამ ორ ქცევას შორის განსხვავებაც არის: სათავისო გამოხატავს სასუბიექტო კუთვნილებას, სასხვისო — საობიექტოს.

სათავისო ქცევა აქვს ორპირიან გარდამავალ ზმნას, სასხვისო კი — სამპირიან გარდამავალსა და ორპირიან გარდაუვალს. სათავისო და სასხვისო ქცევის ნიშნები განსხვავებულია III პირში: სათავისოს ნიშანია **ი**, სასხვისოსი — **უ**.

ი პრეფიქსი I-სა და II პირში საერთო ნიშანია ორივე ქცევისათვის. რომ გავარჩიოთ, როდისაა **ი** სათავისოსი და როდის სასხვისოსი, უნდა გამოვიყენოთ შემდეგი წესები:

1) საჭიროა ზმნასთან შეწყობილი I და II პირის ფორმა გადავიყვანოთ მესამეში. თუ აქაც **ი** გადაჰყვა. მაშინ სათავისოა. მაგრამ, თუ **უ**-თი შეიცვალა — სასხვისო.

2) თუ ზმნა ორპირიანი გარდამავალია, მაშინ ქცევა სათავისოა, თუ სამპირიანი გარდამავალი — სასხვისო.

ვ-ი-წერ **მე** მას	მ-ი-წერს ის **მე** მას
ი-წერ **შენ** მას	გ-ი-წერს ის **შენ** მას
ი-წერს **ის** მას	უ-წერს ის **მას** მას

ქართულში იშვიათად, მაგრამ მაინც, მოგვეპოვება ისეთი სასხვისო ქცევის ფორმები გარდამავალი ზმნისა, რომელთაც შეეწყობა ორი ირიბი. ეს მაშინ ხდება, როცა სამპირიან საარვისო ქცევის ფორმას გადავაკეთებთ სასხვისოდ:

მიაბა მან მას ის — მი-მ-ი-ბ-ა მან მე მას ის
მისწერა მან მას ის მი-მ-ი-წერა მან მას ის
აჭამა მან მას ის — მ-ი-ჭმია მან მე მას ის
სტაცა მან მას ის — მ-ი-ტაცა მან მე მას ის

§ 136. ქცევა გარდაუვალ ზმნებში. გარდაუვალ ზმნას ქცევა ან სრულიად არ მოეპოვება, ან, თუ აქვს, მხოლოდ ორი: სასხვისო და საარვისო. სათავისო ქცევა მას არ შეიძლება ჰქონდეს, რადგან იგი პირდაპირ ობიექტს არ შეიწყობს. ორპირიან გარდაუვალ ზმნებში სუბიექტი ეკუთვნის ირიბ ობიექტს: სახლი (S) უშენდება მეზობელს (0 ირ.).

გარდაუვალ ზმნათაგან ქცევა შედარებით კარგადაა გამოხატული სუფიქსიან, უნიშნო და სტატიკურ ვნებითებში, საშუალი გვარის ზოგიერთ ზმნაშიც. ერთპირიანი ზმნები საარვისო ქცევისაა, ორპირიანი — სასხვისოსი: შენდება ის, შრება ის, გდია ის, წუხს ის... უშენდება ის მას, უშრება ის მას, უგდია ის მას, უწუხს ის მას...

[1] სასხვისო ქცევის შემთხვევაში იგულისხმება ირიბი 0-ის I და II პირი.

ა. შანიძე საგანგებოდ ეხება პრეფიქსიან ვნებითებში ქცევის საკითხს და აღნიშნავს: პრეფიქსიან ვნებითებში, სჯზოგადოდ, ქცევას არ ვარჩევთ, მაგრამ აქაც შეიძლება მკრთალად მაინც გამოიხატოს ქცევებრი მიმართება: **ინიანი** ვნებითი საარვისოდ მიდის, **ენიანი** — სასხვისოდ.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ერთპირიან ზმნებში საერთოდ ქცევის საკითხის დასმა გაუმართლებლადაა მიჩნეული. **არნ. ჩიქობავას** აზრით, რამდენადაც ქცევა გამოხატავს კუთვნილებით-დანიშნულებითს ურთიერთობას ორ პირს შორის, ამდენად ერთპირიან ზმნაში ქცევა არ უნდა გაირჩეს.

§ 137. ქცევის საკითხი III სერიის ფორმებში. ქცევა გამოკვეთილი გრამატიკული კატეგორია არის I-სა და II სერიაში. რომ ვამბობთ, **იკეთებს** სათავისოაო, გამოვდივართ იქიდან, რომ მოიპოვება მისი საპირისპირო ფორმები: **აკეთებს, უკეთებს**. თუ ამ განსხვავებულ ფორმებს გადავიყვანთ III სერიაში, თითოეული მათგანი წარმოდგენილ იქნება ერთი სახით — **გაუკეთებია**. იგი უცალოა, ამიტომ გარდამავალ ზმნას III სერიაში ქცევის გაგება არა აქვს. მართალია, I თურმეობითის ფორმაში წარმოდგენილია **ი** და **უ** ნიშნები, მაგრამ აქ ისინი უფუნქციონი არიან. ნიშნები საზეზეა იმიტომ, რომ გადმოყოლილია ნასესხები — ამოსავალი ფუძიდან (სტატიკური ვნებითის სასხვისო ქცევის აწმყო): **უწერია** ის მას — დაუწერია მას ის.

§ 138. უქცეო ზმნები. ტრადიციული თვალსაზრისით, გრამატიკული კატეგორია ყალიბდება საპირისპირო ფორმათა არსებობის საფუძველზე, თანაც იგი სათანადო გრამატიკული ნიშნით გამოიხატება. რადგან ზოგიერთ ზმნას ქცევის საპირისპირო ფორმა არ მოეპოვება, ამიტომ იგი ჩათვლილია უქცეო ზმნად. თუმცა ზოგჯერ გარეგნულად იგი ჰგავს ქცევის როშელიმე სახეს. მაგალითად: **აქვს, ახსოვს** ფორმით საარვისოა, **იცის** — სათავისო, **უყვარს, უღირს, უჭირავს** — სასხვისო. ამ ზმნათა **ა, ი, უ** პრეფიქსები უფუნქციოა **(ა.შანიძე)**.

§ 139. მართლწერის საკითხები ქცევასთან დაკავშირებით. ქცევის ფორმათა გამოყენებას უკავშირდება მართლწერის რამდენიმე წესი, ესენია:

1) თუ საარვისო ქცევის ფორმა ნაწარმოებია **ა**-ზე დაწყებული

სახელისაგან, თავს იყრის ორი **ა**: აფთარი — ა-აფთრებს, ახალი — ა-ახლებს...

2) თუ **ა** ნიშნიან საარვისო ქცევის ფორმას დაემატება **ა** ან ა-ზე გათავებული ზმნისწინი, მაშინ თავს მოიყრის ორი **ა**: ა-ა-შენა, გა-ა-გზავნა. მაგრამ, თუკი ასეთ შემთხვევაში ზმნის ძირი იწყება **ა** ხმოვნით, მაშინ სამი **ა** გვექნება: გა-ა-ადვილა, გა-ა-ახალიზა...

3) სათავისო ქცევის ფორმას თუ დაერთო **მი** ზმნისწინი, მაშინ ორი **ი** უნდა დაიწეროს: მი-ი-თვისა...

4) თუ ზმნა იწყება **უ** ხმოვნით, ქცევის **უ** ნიშნის დართვის შედეგად ორი **უ** მოიყრის თავს: უ-უთოვებს, უ-უმჯობესებს, გა-უ-უქმა, გა-უ-უ-ფერულა...

§ 140. მდებარეობა (სიტუაცია) და მისი ნიშანი. მდებარეობის ანუ სიტუაციის, როგორც გრამატიკული კატეგორიის, შესახებ ქართულ ლინგვისტიკაში აზრთა სხვადასხვაობაა. თავდაპირველად **ა. შანიძემ სათანაო** და **საზედაო** ფორმა მიიჩნია ქცევის ერთ-ერთ სახედ, მაგრამ შემდგომ ისინი ზმნის დამოუკიდებელ კატეგორიად ჩათვალა და საერთო სახელად უწოდა „სიტუაცია“ ანუ „მდებარეობა“.

ზოგიერთი მეცნიერი სიტუაციას არ გამოყოფს ქცევისაგან. მართალია, სათანაო და საზედაო ფორმები სემანტიკურად კუთვნილებითს ურთიერთობას არ გადმოგვცემენ (და ამიტომ ქცევა არ არის: **ა. შანიძე**), მაგრამ ფორმობრივად **აკეთებს, აწერს** და მისთანანი მაინც ახლოს დგანან ერთმანეთთან და მათი ერთი კატეგორიის ქვეშ მოქცევა შესაძლებელია.

მდებარეობა ანუ **სიტუაცია** არის ზმნის კატეგორია, რომელიც გვიჩვენებს მოქმედების ლოკალიზაციას ამა თუ იმ საგანთან მიმართებით. ლოკალიზაცია ორგვარია: წართქმითი და უკუთქმითი. მაგალითად, წერს, ხატავს... არ აღნიშნავს მოქმედების ლოკალიზაციას, მაგრამ: აწერს, ახატავს... გვიჩვენებს რაზედმე მოქმედებას.

მდებარეობა ანუ სიტუაცია ორგვარია: მითითებული და მიუთითებელი.

მითითებული სიტუაცია აღნიშნავს, რომ მოქმედება ხდება რაზედმე, ამიტომ ასეთ ფორმას საზედაოსაც ეძახიან. ეს კატეგორია სუსტადაა გამოხატული ქართულში და გვხვდება პირველადს ზმნებში. საზედაო სიტუაციის ნიშანია **ა** პრეფიქსი, რომელიც ზმნას აქვს

I-სა და II სერიაში. საზედაო სიტუაცია შეიძლება გვქონდეს გარდამავალ ზმნებში და გარდაუვალთაგან მედიოპასიევებსა და სტატიკურებში (აწერს ის მას მას, ადგას ის მას, აყრია ის მას).

საზედაო სიტუაცია დაკავშირებულია ირიბი ობიექტის გამოხატვასთან.

საზედაო სიტუაცია და საარვისო ქცევა ერთმანეთს ჩამოჰგავს. ორივეს ნიშანია **ა პრეფიქსი** (შდრ. ა-წერს — ა-კეთებს). მაგრამ ეს ორი კატეგორია განსხვავებულია: ქცევა მიუთითებს ობიექტის კუთვნილებითს ურთიერთობაზე, სიტუაცია კი — მოქმედების ლოკალიზაციაზე ირიბ ობიექტთან მიმართებით.

მიუთითებელ სიტუაციას სათანაო სიტუაციას ეძახიან. იგი საზედაოსაგან უნდა მომდინარეობდეს ხმოვნის ამოღების ნიადაგზე: მიაწერა — მისწერა, მოაწყდა — მოსწყდა.

§ 141. ქცევის ნიშანთა ფუნქციური კვალიფიკაციის საკითხი. ცნობილია, რომ ქართული ზმნა თანდათან რთულდებოდა კატეგორიებით. შესაბამისად, ზმნის ფორმაში ოდითგანვე თავჩენილ აფიქსებს განსხვავებული ფუნქციური დატვირთვა ჰქონდათ. სწორედ ამ ასპექტით საინტერესო ჩვენებას იძლევა ქცევის ნიშნები.

ქართულ ლინგვისტიკაში დადგენილია, რომ ისტორიულად ქცევის კატეგორია უსწრებდა გვარის კატეგორიას, რამაც გამოიწვია ამ ორი კატეგორიის მაწარმოებელი აფიქსების ფუნქციური სიახლოვე და იდენტურობაც კი.

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის აღინიშნა ქცევის **ი, ა, უ** ნიშნების წარმომავლობისა და ფუნქციების შესახებ, გამოთქმულია სხვადასხვაგვარი თვალსაზრისი. მაგალითად:

ა პრეფიქსი ზმნებს ანიჭებს გარდამავლობას, აწარმოებს მოქმედებით გვარს, საარვისო ქცევისა და საზედაო სიტუაციის ნიშანია, მიუთითებს კაუზატივზე, გარდაუვალ ზმნათაგან აწარმოებს გარდამავლებს, წარმოქმნის პირდაპირ და ირიბ ობიექტს, მიუთითებს ირიბი ობიექტის პოვნიერებაზე; **ა** ხმოვანი თავდაპირველად უნდა ყოფილიყო სიტყვაწარმოების ელემენტი სახელებსა და ზმნებში, გარკვეულ შემთხვევაში უჩვენებდა სუბიექტისადმი ან ობიექტისადმი მიმართულ მოქმედებას...

ი პრეფიქსი არის უკუქცევითობის ნიშანი, სათავისო ქცევის ნიშანი გარდამავალ ზმნებში, სასხვისო ქცევის ნიშანი როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებში; გარდამავალ ზმნებში აღ-

ნიშნავს მხოლოდ პირდაპირ ობიექტს; **ი** ხმოვანი თავდაპირველად უნდა ყოფილიყო დეიქტიკური ნაწილაკი, შემდეგ შეიძინა რეფლექსური უკუქცევითი შინაარსი და ბოლოს დამკვიდრდა სათავისო ქცევის ფუნქციით. **ი** პრეფიქსი გამოხატავს კუთვნილებას, ჰომდინარეობს კუთვნილებითი ჩემ-ი, შენ-ი ნაცვალსახელებისაგან...

უ პრეფიქსი სასხვისო ქცევის ნიშანია, ნაცვალსახელური ნაწილაკი ჩანს, წარმოქმნის მხოლოდ III ირიბ ობიექტს, მიუთითებს ირიბი ობიექტის პოვნიერებაზე, გარდამავალ ზმნებში აღნიშნავს მხოლოდ უახლოეს (პირდაპირ) ობიექტს; **უ** პრეფიქსი (**ა** და **ი**-ს მსგავსად) თავდაპირველად უნდა ყოფილიყო დეიქტიკური ელემენტი სახელებსა და ზმნებში (ქცევის ნიშნად იქცა მას შემდეგ, რაც ხმოვანპრეფიქსებს საერთოდ დაუკავშირდა კუთვნილებითი ურთიერთობის გაგება... (დაწვრილებით ამ საკითხის შესახებ იხ. სპეციალურ ლიტერატურაში).

§ 142. ქცევის კატეგორიის შესწავლის მოკლე ისტორია. ქართულ ლინგვისტიკაში ქცევის კატეგორია კარგად არის შესწავლილი. ქართულ ზმნაში იგი პირველად შენიშნა და დახასიათა **ნიკო ჩუბინიშვილმა.** მან უწოდა „მიჩემებითი" ფორმა და გამოყო სამი ძირითადი სახე: **საზოგადო** (საარვისო), **მიჩემება მოქმედისა** (სათავისო), **მიჩემება საცნაურისა პირისა.** შესაბამისად, დაასახელა აფიქსებიც: საზოგადოს ნიშანია **ი**, მიჩემება საცნაურისა პირისა დაირთავს **ი**-სა და **უ**-ს.

შემდგომში „მიჩემებითს" ფორმებს ეხებოდნენ ავრეთვე: **პლ. იოსელიანი, დ. ჩუბინაშვილი, დიმ. უოფიანი, ა. ჭუთათელაძე, ს. ხუნდაძე, მ. ჯანაშვილი** და სხვები.

ქართული ქცევის კატეგორიაზე ორგზის შეჩერდა **ნ. მარი,** რომელმაც ქცევის ფორმას უწოდა არაბული სახელი **ნავყი.** იგი მოქმედებითი გვარის ზმნებში 4 ნავყს გამოყოფდა, ხოლო ვნებითში — სამს.

ქცევის კატეგორიის მეცნიერული დადგენა დაკავშირებულია **ა. შანიძის** სახელთან. ამ საკითხს იგი პირველად შეეხო 1920 წელს, მაგრამ ქცევის რაობა და მისი სახეები უფრო დაწვრილებით გაარკვია 1926 წელს გამოქვეყნებულ შრომაში „ქართული ზმნის საქცეო". ავტორმა აქ გამოყო 5 ქცევა: **საარვისო** (ვწერ), **სათავისო** (ვიწერ), **სასხვისო** (ვუწერ), **სათანაო** (ვწერ მე მას მას), **საზედაო**

(ვაწერ). ეს სქემა თანდათან დამკვიდრდა საენათმეცნიერო ლიტერატურაში, მაგრამ ქართველ მკვლევართა ერთი ნაწილი, კერძოდ, **არნ. ჩიქობავა** დაეჭვდა სათანაო ქცევის (როგორც დამოუკიდებელი ფორმის) რეალობაში.

1930 წელს გამოცემულ გრამატიკაში **ა. შანიძემ** დააკონკრეტა ქცევის სახეები და მათი რაოდენობა სამამდე დაიყვანა (საარვისო, სათავისო, სასხვისო).

ტერმინი „ქცევა“ დაამკვიდრა **ა. შანიძემ**. პარალელურად იხმარება ტერმინი „ვერსია“. ლიტერატურაში უფრო გავრცელებულია **ა. შანიძის** მიერ შემოღებული ტერმინები „საარვისო, „სათავისო“, „სასხვისო“.

ა. შანიძის მიხედვით ქცევის ანალიზი ძირითადად ხდება ვგვარისა და გარდამავლობის გათვალისწინებით. ავტორი ქცევის სახეთა დადგენისას ემყარება ფორმასაც და სემანტიკასაც. ამის გამოა, რომ საარვისოს ფორმა, რომელიც არ ატარებს ქცევებრ შინაარსს და სათანადო აფიქსითაც არაა გამოხატული, მაინც ჩათვლილა ქცევის ცალკე სახედ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი სასხვისო და სათავისო ქცევების საპირისპიროა. ანალოგიის საფუძველზეა, აგრეთვე, საარვისო ქცევის ფორმად მიჩნეული ერთპირიანი ზმნებიც.

არნ. ჩიქობავამ იმთავითვე ეჭვის ქვეშ დააყენა საარვისო ქცევის, როგორც დამოუკიდებელი ფორმის, გამოყოფის საჭიროება. რამდენადაც საზოგადოდ ქცევა გამოხატავს კუთვნილებით-დანიშნულებითს ურთიერთობას, ხოლო საარვისო ქცევის ფორმებში ასეთი ურთიერთობა არ ჩანს, ამდენად, ქართულ ზმნაში საარვისო ქცევა არ უნდა გვექნეს. „სადაც ობიექტი არაა, იქ ქცევის საკითხი არ დაისმის“.

ცნობილია, რომ დღეს თანამედროვე ზოგად ლინგვისტიკაში (და მათ შორის ქართულ ენათმეცნიერებაშიც) ხდება ბევრი ენობრივი მოვლენის ახლებური ინტერპრეტაცია. პირველ რიგში ეს ითქმის გვარისა და ქცევის კატეგორიების შესახებ.

ქართულ ზმნაში ქცევის კატეგორიის უწინარესობამ გვართან შედარებით განაპირობა ზმნის სხვადასხვაგვარი მორფოსინტაქსური ცვლილებანი. შესაბამისად ამ ბოლო ხანებში ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილია ტრადიციულისაგან განსხვავებული მოსაზრებანი ქცევის კატეგორიასთან დაკავშირებით.

გ. ნებიერიძის დაკვირვებით, ვნებითსა და საშუალი გვარის

ზმნებში შეიძლება გამოიხატოს სათავისო და სასხვისო ქცევა. მან ტრანსფორმაციული ანალიზის საფუძველზე და **ა. შანიძის** ადრინდელი მოსაზრების გათვალისწინებით ტრადიციულ **ინიან** და **ენიან** ვნებითებში (იმალება, ემალება) **ი** ჩათვალა სათავისო ქცევის ნიშნად, ხოლო **ე** — სათავისო და სასხვისო ქცევის მაწარმოებლად.

ქცევის კატეგორია სრულიად ახლებურადაა გაანალიზებული **მ. მაჭავარიანის** ნაშრომებში. ავტორისათვის ამოსავალია დებულება, რომლის მიხედვით ქართული (და ქართველური) ზმნის ძირითადი კატეგორიებია პირი და ქცევა. მათი ურთიერთმიმართების საფუძველზე მოცემულია ქცევის კატეგორიის ზოგადი დახასიათება. ქცევის მორფოსინტაქსური ფუნქციებიდან პირველ რიგში დასახელებულია ზმნის ობიექტების წარმოქმნა ან მოსპობა სათანადო სადერივაციო **ა, ე, ი, უ** პრეფიქსების საშუალებით. სწორედ ქცევის ფორმებშია დალექილი მისი მაწარმოებელი აფიქსების მრავალფუნქციანობა და შესაბამისად ქცევის პოლისემანტიკაც.

მართალია, ქცევის კატეგორიის შესწავლას მიეძღვნა როგორც ქართველი, ისე უცხოელი მეცნიერების მონოგრაფიები და ცალკეული სტატიები, მაგრამ ქართული ზმნა კვლავ იძლევა მდიდარ მასალას შემდგომი ძიებისათვის.

ლიტერატურა

გიორგობიანი თ. — ქცევის კატეგორიისათვის ქართულში: ჟურ., 1971, № 1.

დეისაძე ო თ. — ქცევის სწავლების თანმიმდევრობისათვის VI კლასში: ჟურ., 1975, № 3.

ერთველიშვილი ფ. — ქცევის საკითხისათვის ქართულში: თსუ მრ., 114, 1965.

ქვაჭაძე ლ. — ქართული ენა, ნაწილი I, თბ., 1981.

მაჭავარიანი მ. — ქცევის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკა, თბ., 1987.

ნებიერიძე გ. — ქცევის კატეგორია ქართულში: მაცნე, 1976, № 4.

სალაძე ნ. — ქცევის კატეგორიის შესწავლის ისტორიისათვის: ჟურ., 1977, № 4.

სალაძე ნ. — უცხოელი მკვლევარები ქართული ზმნის ქცევის კატეგორიის შესახებ: „ენათმეცნიერება“, თბ., 1986.

ქავთარაძე ი. — ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბ., 1954.

შანიძე ა. — ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.

ჩიქობავა არნ. — ზოგი პრეფიქსული წარმოების ისტორიისათვის ქართულ ზმნებში: იქვე, XI, 1959.
ხომასურიძე მ. — ზმნის ა პრეფიქსი და სასუბიექტო მიმღეობა ქართულში: კვეს, V, 1981.
ჯორბენაძე ბ. — ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თბ., 1983.

კონტაქტი

§ 143. კონტაქტის რაობა. კონტაქტის სახეები. კონტაქტი ქართული ზმნის ერთ-ერთი ძირითადი კატეგორიაა. იგი მოიპოვება არა მარტო პირიან ფორმებს, არამედ უპიროსაც (საწყისსა და მიმღეობას).

კონტაქტი არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ S მოქმედებს პირდაპირ O-ზე უშუალოდ ან სხვა პირის მეშვეობით. ამის მიხედვით კონტაქტი ორგვარია: უშუალო და შუალობითი.

უშუალო კონტაქტი გვიჩვენებს, რომ S მოქმედებს პირდაპირ O-ზე სხვა პირის ჩაურევლად: წერს, ხატავს, ამზადებს...

შუალობითი კონტაქტი გვიჩვენებს, რომ S მოქმედებს პირდაპირ O-ზე სხვა პირის მეშვეობით: აწერინებს ის მას მას, ე. ი. მოქმედება გაშუალებულია.

შუალობითი კონტაქტის დროს რეალურად მოქმედებს ორი პირი: ერთი ხელმძღვანელია, მეორე — უშუალოდ შემსრულებელი: აკეთებინებს დედა შვილს საქმეს. აქ ხელმძღვანელია **დედა**, უშუალო შემსრულებელი — **შვილი**.

ხელმძღვანელ პირს **ორგანიზატორსაც** უწოდებენ, რეალურ შემსრულებელს — **ეგზეკუტორს**.

§ 143[1]. შუალობითი კონტაქტის წარმოება. კონტაქტი ზმნის გრამატიკული კატეგორიაა, ამიტომ მას მოეპოვება სპეციალური ნიშნები, რომლებიც დაერთვის ზმნის I სერიის თემას.

შუალობითი კონტაქტის მაწარმოებელია სუფიქსები: **ინ, ევ, ევინ.**

ინ მოუდის ზმნათა დიდ უმეტესობას: აწერ-ინ-ებს.. ეს ნიშანი ახალ ქართულში შუალობითი კონტაქტის ძირითადი მაწარმოებელია. იგი X საუკუნემდე არ იხმარებოდა **(არ. თაყაიშვილი).**

ევ სუფიქსი ახალ ქართულში აქვს თითო-ოროლა ზმნას: აჭმ-

ევ-ს, ასმ-ევ-ს. სამაგიეროდ, იგი ძველად ძირითადი მაწარმოებელი იყო, საშუალ ქართულშიც ხშირად გვხვდებოდა: აკვლ-ევ-ს, ახნ-ევ-ს...

ევინ რთულია, მიღებულია **ევ+ინ**-ის შეერთებით. იქ, სადაც **ევ** არ აღმოჩნდა საკმარისი შუალობითი კონტაქტის საწარმოებლად, დაემატა **ინ** და მივიღეთ **ევინ.** იგი მოუდის **ი** თემისნიშნიანებს, ყველა **ამიანს** და ზოგიერთ **ავიანს:** შლის — აშლ-ევინ-ებს, დგამს — ადგმ-ევინ-ებს. კლავს — აკვლ-ევინ-ებს.

საერთოდ, შუალობითი კონტაქტი გულისხმობს სამ პირს. ამიტომ იგი ეწარმოება სამპირიან გარდამავალ ზმნას (აწერინებს ის მას მას). ასეთ შემთხვევაში მას შეიძლება ჰქონდეს სამივე ქცევის ფორმა: ვაწერინებ, ვიწერინებ, ვუწერინებ. ივსიათად, ისიც სამწერლობო ენაში, შუალობითი კონტაქტის ფორმა შეიძლება მოეპოვებოდეს ორპირიან გარდამავალსა (სათავისო ქცევით) და **ენიანი** ვნებითი გვარის ზმნებს: გაიტეხინა, ეთრევინება, ეკვლევინება, ელანძღვინება, გასტაცებინებია, დასჭერინებია... ამ მოვლენას ძველ მოსაელურ კილოებში ვხვდებით.

თუ უშუალო კონტაქტის ფორმა სამპირიანია, შუალობითად გადაკეთების დროს ოთხპირიანად იქცევა: დამიწერა მან მე ის — დამიწერინა მან მე მას ის.

§ 144. შუალობითი კონტაქტის ფორმათა მართლწერა.

1. როცა ზმნის ფორმა შუალობითი კონტაქტია, მაშინ მისი მაწარმოებელი ნიშნები სრულად უნდა ვწეროთ: დააწერინა, წაამლევინა, დაახატვინა... და არა: დააწერია, წაამლევია, დაახატია...

2. **ავ** თემისნიშნიანი ზმნების შუალობითი კონტაქტის ფორმებში აუცილებლად უნდა დარჩეს თემისნიშნის **ვ** თანხმოვანი **(გ. შალამბერიძე),** რადგან ეს **ვ** საწყისში არის, ხოლო შუალობითი კონტაქტისათვის „ამოსავალია I სერიის თემა, რომელიც საწყისშია წარმოდგენილი. საწყისის **ა** ამ ფორმანტთა დართვისას შეიკვეცება“ **(ა. შანიძე):** ლოკვ-ა — ალოკვ-ინ-ებს, ხატვ-ა — ახატვ-ინ-ებს...

§ 145. შუალობითი კონტაქტის შესწავლის მოკლე ისტორია. შუალობითი კონტაქტის მაწარმოებელ აფიქსთა კვალიფიკაციის საკითხი. კონტაქტი ქართულში არის მკაფიოდ გამოხატული და ერთი უმკვიდრესი კატეგორია. მას იცნობდნენ ძველი ქართველი გრამატიკოსებიც.

ანტონ კათალიკოსმა აწერინებს ტიპის ზმნებს უწოდა

„სხვითგარდასლვითი“, რაც ნაშნავდა „ნაწარმოებს“, მაგრამ მაშინ არ იყო გარკვეული მიმართება უშუალო კონტაქტის ფორმასა და შუალობითს შორის. შესაბამისად, არ იყო კონტაქტის კატეგორიის ცნებაც. ამის გამო შუალობითი კონტაქტი განსაკუთრებული გვარის ფორმად მიაჩნდათ.

ქართულში კონტაქტის კატეგორია პირველად დაადგინა და შეისწავლა **ა. შანიძემ** 1930 წელს. ამ კატეგორიისათვის შემოიღო ტერმინი „გზა“, რომელიც შემდგომ თვითონვე შეცვალა და უწოდა „შეხება“ ანუ „კონტაქტი“. ეს უკანასკნელი, მეცნიერის აზრით, უკეთ გადმოგვცემს აღნიშნული კატეგორიის ბუნებას და მეტი შანსი აქვს შევიდეს საერთაშორისო ლინგვისტიკაში.

შუალობითკონტაქტიანი ფორმები მრავალ ენას მოეპოვება (არაბულს, თურქულს, სპარსულს...). ევროპელი გრამატიკოსები შუალობით კონტაქტს უწოდებენ „კაუზატივს“, „ფაქტიტივს“, ზოგჯერ — „იძულებითსაც“ (რუსულად: **побудительный глагол**).

კაუზატივის კატეგორია შესწავლილია ძველი და ახალი ქართულის მიხედვით. აღნიშნულია, რომ ძველად ასეთი ფორმები შედარებით იშვიათი იყო.

არნ. ჩიქობავას აზრით, კაუზატივი გვარის კატეგორიაზე ადრინდელია. მოქმედებითი გვარის ჩამოყალიბების გზა კაუზატივი უნდა ყოფილიყო. დღეს ქართულ ლინგვისტიკაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს კაუზატივის მაწარმოებლების კვალიფიკაცია.

ა. შანიძის მიხედვით, კაუზატივის მაწარმოებელი სუფიქსებია **ინ, ევინ, ევ** (ეს უკანასკნელი მხოლოდ ნაშთის სახითაა შემორჩენილი რამდენიმე ზმნაში).

არნ. ჩიქობავას, მართალია, საგანგებოდ არ უკვლევია კაუზატივის წარმოების საკითხი, მაგრამ, საერთოდ, მისი ნაშრომების მიხედვით ივარაუდება, რომ **წუხს — აწუხებს** ტიპის ზმნათა საფუძველზე იგი კაუზატივის მაწარმოებლად **ა** პრეფიქსს არ გამორიცხავდა.

სხვა ქართველური და, აგრეთვე, მთის კავკასიური ენების საფუძველზე მიუთითებენ: კაუზატივის თავდაპირველი მაწარმოებელი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ **ა** პრეფიქსი (შეაწუნარა მან ბას იგი), რომელიც შემდგომ გართულდა **ინ, ევ, ევინ** სუფიქსებით (ა-ინ, ა-ევ, ა-ევინ) სალიტერატურო ქართულის სხვადასხვა პერიოდში. კაუზატივის პრეფიქსული წარმოება ქართული ენის ძირითადი და ამავე დროს არქაული ფენის კუთვნილება უნდა იყოს. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ის ფაქტიც, რომ სხვა ქართველურ და აფხაზურ-ადიღეურ ენებში კაუზატივის მაწარმოებელი არის პრეფიქსი (**ე. გეურჭოვა, ა. თაყაიშვილი, გ. მაჭავარიანი, ირ. ვეშაპიძე...**). ამჟამად შეიმჩნევა **ა — ინ** ტიპის წარმოების განზოგადება (**ა. თაყაიშვილი**).

ნ. მაჭავარიანი კაუზატივის მაწარმოებლად სუფიქსების მიჩნევას უფრო მართებულად თვლის და ამ სუფიქსებს გენეტურად უკავშირებს მრავლობითი რიცხვის **ნ** თანხმოვანს (როგორც ამას **ნ. მარი** და **ჭ. ლომთათიძე** ვარაუდობენ).

ლიტერატურა

გეურჭოვა ე. — კაუზატივის წარმოება ქართულსა და ზოგ მთის კავკასიურ ენაში: მაცნე, 1971, № 2.

თაყაიშვილი ირ. — კაუზატივის წარმოების ზოგი საკითხი ქართულში: ქესს, IV, 1974.

ქახაძე ვ. — შუალობითი კონტაქტის წარმოება ქართულ დიალექტებში: ქელს, 1971, № 2.

კვაჭაძე ლ. — ქართული ენა, ნაწილი I, თბ., 1981.

მაჭავარიანი გ. — კაუზატივის კატეგორია ქართველურ ენებში: იკე, XXVII, 1988.

მაჭავარიანი ნ. — კაუზატივის კატეგორიის აფიქსები ქართულსა და აფხაზურში: მაცნე, 1987, № 1.

ნებიერიძე გ. — გვარისა და კაუზატივის ურთიერთმიმართება ქართულში: საენათმეცნიერო კრებული, I, 1984.

ფეიქრიშვილი ე. — კაუზატიურ ზმნათა III სერიის ფორმები ახალ ქართულში: მაცნე, 1973, № 1.

ფოგტ ჰანს — ზმნურ ფორმათა კლასიფიკაცია ქართულში: კრებ. „თსუ გ. ახვლედიანს“, თბ., 1969.

შალამბერიძე გ. — შუალობითკონტაქტიან ფორმათა წარმოების საკითხები: ქართული სწორმეტყველების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1980.

ჯორბენაძე ბ. — ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თბ., 1983.

ზმნის ფუძე და თემა

§ 146. ზმნის ფუძე მწკრივთა მიხედვით. ზმნა უძველესი მეტყველების ნაწილია. იგი ქართულში მეტად რთული და მრავალფეროვანია, შესაბამისად, მდიდარია კატეგორიებით. ზმნის ერთ ფორ-

ზაში შეიძლება იყოს რამდენიმე აფიქსი, რომლებიც ადვილად გამოიყოფა, ე. ი. ზმნა შეიძლება დაიშალოს ნაწილებად. ეს ნაწილებია: ძირი, ფუძე, აფიქსები.

ძირი ეწოდება ზმნის იმ ნაწილს, რომელიც საერთოა მისგან ნაწარმოები ყველა ფორმისათვის **(ა. შანიძე)**.

სხვაგვარად: ძირი არის ზმნის დაუშლელი ნაწილი. ა-კეთ-ებ-ს— აქ ძირია **კეთ**, ე. ი. ძირი ზმნის უაფიქსო ნაწილია, ყოველგვარი ფორმის საყრდენია.

ფუძე ჰქვია ზმნის იმ ნაწილს, რომელსაც უკავშირდება ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა. გამოყოფენ მარტივ ფუძესაც. **ა. შანიძის** აზრით, ძირი და მარტივი ფუძე ერთი და იგივე ოდენობაა.

ზოგჯერ ზმნის ძირი და ფუძე ერთმანეთს ემთხვევა **(წერ-ს** ზმნის ფუძეც და ძირიც არის **წერ)**, მაგრამ ისინი მეტწილად განსხვავდებიან: ხატავ-ს ზმნაში ფუძეა **ხატავ**, ძირი — **ხატ**..

მარტივი ფუძე სრული ან უსრულია. უსრული შეკუმშულია ან შეკვეცილი: **შალ-ა — შლ-ის**. I ფუძე სრულია, II — შეკვეცილი. უსრული ფუძიდან შეიძლება ამოღებულ იქნეს **ე, ა** ხმოვნები ან ვ თანხმოვანი: ვთალე — ვთლი, გავჭერ — ვჭრი, ძვრება — აძრობს.

როცა ზმნის ფუძეზე ვლაპარაკობთ, ჩვეულებრივ, მხედველობაში გვაქვს მწკრივის ფუძე, რომელიც მიიღება ზმნის ფორმისაგან პირისა და რიცხვის ნიშნის ჩამოშორების შემდეგ. მაგალითად, **ვ-ხატავ-თ** ზმნის აწმყოს მწკრივის ფუძეა **ხატავ; ვ-ხატავდი** — უწყვეტლის ფუძეა **ხატავდი**.

ზმნის ძირსა და ფუძეს ემატება აფიქსები. ისინი სხვადასხვა ფუნქციის მატარებელნი არიან: გამოხატავენ პირს, რიცხვს, გვარს, ქცევას და ა. შ. თითოეული ამ კატეგორიის ნიშანი ზმნას უნდა ჩამოშორდეს დაშლისას. ძირში არც ერთი მაწარმოებელი არ შევა, ფუძეში კი ყველა იქნება გარდა პირისა და რიცხვისა ნიშნებისა.[1]

§ 147. ზმნის თემა. ერთთემიანი და ორთემიანი ზმნები: „თემა ჰქვია ზმნის ბაზისს (საფუძველს), რომელზედაც დაყრდნობილია I ან II სერიის მწკრივთა ფორმები. მეორენაირად:" **თემა** არის ჩონჩხი, რომელზედაც ასხმულია ზმნის ფორმები ერთ-ერთ სერიაში

[1] ამასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა განსხვავებული აზრიც. **გ. გოგოლაშვილის** განმარტებით, „ნაკვთის ფუძე არის ის ნაწილი ზმნისა, რომელსაც ჩამოშორებული აქვს ზმნისწინი, პირისა და რიცხვის ნიშნები".

(I ან II-ში)" **(ა. შანიძე)**. მაშასადამე, თემა არის საერთო დასაყრდენი ნაწილი I ან II სერიის ფორმებისათვის.

ვ-ხატავ და-ვ-ხატავ I სერიის ვ-ხატ-ე და-ვხატ-ე II სერიის
ვ-ხატავ-დ-ი და-ვხატავ-დ-ი თემაა ვ-ხატ-ო და-ვხატ-ო თემაა
ვ-ხატავ-დ-ე და-ვხატავ-დ-ე **ხატავ** **ხატ**

ამ ორ თემას შორის განმასხვავებელია **ავ** სუფიქსი.

იმ სუფიქსს, რომელიც I სერიის თემას განასხვავებს მეორისაგან, **თემის ნიშანი** ჰქვია. თემის ნიშნებია: ი, ავ, ევ, ამ, ემ, ებ, ობ, ოფ, ან.

თემის ნიშანი ზმნას მოუდის I სერიაში, II-ში იგი არ გადაჰყვება: აკეთ-ებ-ს — გააკეთ-ა. თუ ზმნას პირველ სერიაში სხვა თემა აქვს და მეორეში — სხვა, იგი ორთემიანია. გარდა ამისა ქართულში არის ზმნები, რომლებსაც I-სა და II სერიაში ერთნაირი თემა აქვთ (წერ-ს — და-წერ-ა). ასეთ ზმნებს უწოდებენ ერთთემიანებს.

მაშასადამე, ქართულში ზმნა შეიძლება იყოს ერთთემიანი და ორთემიანი. რადგან თემათა შორის განსხვავებას ქმნის თემის ნიშანი, ამიტომ, თუ ზმნას თემის ნიშანი არ დაერთვის, ერთთემიანი იქნება, თუკი დაერთვის — ორთემიანი. აქედან ერთი თემა იქნება I სერიისათვის, მეორე — II სერიისათვის.

ერთთემიანი ზმნები უთემისნიშნოა. ქართულში მათი რაოდენობა მცირეა. ასეთებია: წერს, ტეხს, ჭამს, ბანს, ძოვს, წოვს, ქსოვს (საერთოდ ყველა **ოვ**იანი)[1], მოიტანს, მიიყვანს და ა. შ.

ძველ ქართულში ერთთემიან ზმნათა რიცხვი გაცილებით მეტი იყო, მაგრამ დროთა ვითარებაში ზოგმა დაირთო **ავ** და ორთემიანად იქცა: თესავს, ხოცავს, ჩეჩავს... ორთემიანად იქცა **ვმღერი** ფორმაც.

ისტორიულად შეიძლება თემის ნიშანი ზმნის ფუძეს შეეზარდოს და ორთემიანი ზმნა იქცეს ერთთემიანად. მაგალითად, **სცემს** (ურტყამს) ზმნა ძველად იყო ორთემიანი (სცემს ის მას მას — სცა მან მას იგი), ახალ ქართულში ერთთემიანი გახდა, რადგან **ემ** თემის ნიშანი ძირს შეეზარდა (სცემს — სცემა).

[1] თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში **ოვ**-ს უძველესი ქართულის დონეზე თვლიან თემის ნიშნად **(ვ. თოფურია)**.

ორთემიანი ზმნა ქართულში ბევრია, რადგანაც თემის ნიშანი დაერთვის ზმნათა დიდ უმრავლესობას. გარდა ამისა, ორთემიანია შუალობითი კონტაქტის ფორმა და ე. წ. ფუძედრეკადი ზმნა, რომელსაც თემის ნიშანი არ დაერთვის, მაგრამ უცვლება ფუძისეული ხმოვანი: დრეკს — დრიკა, გლეჯს — გლიჯა, გრეხს — გრიხა...

ორთემიან ზმნაში I სერიას საკუთარი თემა აქვს (თემისნიშნიანი), II სერიასაც — საკუთარი (უთემისნიშნო), III სერიას კი ასეთი რამ არ მოეპოვება: იგი იყენებს ან I, ან II სერიის თემას. თუ III სერიაში თემის ნიშანი წარმოდგენილია, მაშინ გამოუყენებია I სერიის თემა. თუკი მის გარეშეა, საყრდენია II სერიის თემა.

აკეთებს — გააკეთა — **გაუკეთებია** — III სერიაში გამოყენებულია I სერიის თემა. აქებს — **აქო** — **უქია** — აქ კი ამოსავალია II სერიის თემა.

§ 148. თემა შედგენილობის მიხედვით. შედგენილობის მიხედვით თემა სამი სახისა: მარტივი, რთული, გავრცობილი.

მარტივია თემა, თუ მას არ ერთვის თემის ნიშანი. ასეთი თემა ჩვეულებრივ II სერიაშია: დახატა, აამენა, დააცხო...

მარტივი თემა აქვს სამივე სერიაში ერთთემიან ზმნას.

რთულია თემა, თუ მას ერთვის თემის ნიშანი. რთული თემა მიიღება მარტივზე თემის ნიშნის დართვით. რთული თემა შეიძლება იყოს პირველსა და მესამე სერიაში.

გავრცობილია თემა, თუ ზმნის ფორმას დაერთვის მწკრივის სავრცობები **დ** ან **ოდ**: აშენებ-დ-ა, თბებ-ოდ-ა...

საზოგადოდ, რომ გავარკვიოთ ზმნა ერთთემიანია თუ ორთემიანი, უნდა შევუპირისპიროთ ერთმანეთს I და II სერია (წერს — და-წერა, ახმ-ობ-ს — გა-ახმო).

§ 149. თემა მოქმედებითი გვარის ზმნებში. ქართულში ყველა გვარის ზმნას ერთნაირი თემის ნიშანი არ მოუდის. მათი ფუნქციონირება სწორედ გვარების მიხედვითაა განსხვავებული.

მოქმედებითი გვარის ზმნა შეიძლება იყოს ერთთემიანი და ორთემიანი.

ორთემიან ზმნებში გვხვდება შემდეგი ნიშნები: **ი, ავ, ამ, ებ, ობ, ოფ.**

ი მოუდის უმთავრესად პირველადს ზმნებს, ზოგჯერ ნაწარმოებსაც. **ი**-ს დართვა ხანდახან ფუძის შეკუმშვასაც იწვევს: შალ-ა,— შლ-ი-ს, ღვარ-ა — ღვრ-ი-ს.

ავ სუფიქსიან ზმნათა რიცხვი დიდია. ისინი ძირითადად არიან პირველადები: ვკლ-ავ, ხატ-ავ, ბარ-ავ-ს, ნომრ-ავ-ს... **ავ** ქართულში პროდუქტიულია.

ამ თემის ნიშანი თხუთმეტიოდე ზმნაშია: ვაბ-ამ, ვდგ-ამ, ვსვ-ამ...

ემ ახალ ქართულში დაერთვის ერთადერთ ფუძეს, რომელიც სხვადასხვა ზმნისწინით იხმარება: მივსცემ, გავსცემ, დავსცემ. ძველად **ემ** ნიშნიანი იყო **სცემა** ზმნაც (სცა).

ებ ნიშნიანი ზმნები მრავალრიცხოვანია. შეიძლება ითქვას, რომ ეს ჯგუფი რაოდენობრივად ყველაზე მეტია: ვაკეთ-ებ, ვაბედნიერებ, ვაშენ-ებ...

ობ მოუდის როგორც პირველადს, ისე ნასახელარ ზმნებს: ვატყობ, ვაცხ-ობ. **ობ** ნიშნის დართვით შეიძლება ზმნის ფუძე შეიკუმშოს: შევიპყარ — შევიპყრობ.

ოფ იხმარება ერთადერთ ფუძესთან სხვადასხვა ზმნისწინით: გაყ-ოფ-ს, შეყ-ოფ-ს, გადაყ-ოფ-ს...

ევ და **ენ** დაბოლოებიანი ზმნებიც (სხვა დრეკადების მსგავსად) ორთემიანადაა ჩათვლილი: აქც-ევ-ს — წააქც-ი-ა. აჩ-ენ-ს — აჩ-ინ-ა. აღდგ-ენ-ს — აღგ-ინ-ა.

ევ სუფიქსიანი ფორმა **ენ**იანთან შედარებით თავისებურებას ამჟღავნებს იმ მხრივ, რომ გარკვეული ფონეტიკური ფაქტორის წყალობით **ვ** თანხმოვანი უჩინარდება. კერძოდ, **ევ** II სერიაში **ივ**-ად იქცევა (როგორც **ენ ინ**-ად), მაგრამ, როცა სუფიქსეული **ვ** მოექცევა ბგისმიერი ბგერების მეზობლობაში, იგი იკარგება: წააქცევს-ს, წააქც-ივ-ა, წააქც-ივ-ო-ს — წააქც-ი-ო-ს. **ვ**-ს დაკარგვა **ო**-ს გამო ხდება ჯერ II კავშირებითში, შემდეგ კი სხვაგანაც ვრცელდება: წააქც-ივ-ა — წააქც-ი-ა.

აღსანიშნავია, რომ **წააქცივა** ტიპის ფორმები დღესაც შეიძლება შეგვხვდეს აღმოსავლურ კილოებში და მათი გაჟღენით ამ კუთხის მწერალთა ნაწერებშიც.

მართალია, **ევ** და **ენ** დაბოლოებიანი ზმნები ორთემიანებია, მაგრამ **ევ** და **ენ** არ არიან **ი, ავ, ებ**... თემის ნიშანთა ტოლფასი სართები.

§ 150. თემა ვნებითი გვარის ზმნებში. დინამიკური ვნებითი გვარის ზმნები ორთემიანია. მათ საკუთარი თემის ნიშანი არა აქვთ, იყენებენ იმავე ნიშნებს, რაც მოქმედებითში გვხვდება. ამ ტიპის ზმნათა ძირითადი თემის ნიშანია **ებ**. უფრო იშვიათად გვხვდება

ობ და **ევ**, ერთადერთ ზმნას მოუდის **ემ** (ვეცემი მიწაზე — დაეცი).

ებ: ვიზრდ-ებ-ი, იმალ-ებ-ი, წითლდ-ებ-ა, თბ-ებ-ა.

ობ იხმარება ზმნათა მცირე ჯგუფთან: ისპ-ობ-ა, იხრჩ-ობ-ა, იწრთო-ობ-ა...

ევ მოუდის რამდენიმე ზმნას: ინგრ-ევ-ა (დაინგრ-ა), ირღვ-ევ-ა, იქც-ევ-ა, იმტვრ-ევ-ა, იმსხვრ-ევ-ა.

სტატიკურ ვნებითში თემა კარგად არაა გამოკვეთილი. I სერიაში იგი არ ღებულობს თემის ნიშანს, სამაგიეროდ, I-სა და II პირში მეშველზმნიანია (ვგონივარ, ჰგონიხარ), III-ში აქვს **ია** დაბოლოება (ჰგონია). მხოლოდ ორიოდე სტატიკური ზმნა არის **ავ** სუფიქსიანი: აკრ-ავ-ს, ხურ-ავ-ს, შორ-ავ-ს.

სტატიკური ვნებითი ჩვეულებრივ სესხულობს ფორმებს ნაკლული მწკრივების შესავსებად. ამიტომაა, რომ მყოფადის წრეში ყველა ზმნა **ებ** სუფიქსიანია: აფენია — ეფინება, ხატია — ეხატება.

§ 151. თემა საშუალი გვარის ზმნებში. საშუალი გვარის ზმნებში თემა რამდენადმე განსხვავებულია ვნებითისა და მოქმედებითისაგან.

რადგანაც საშუალი გვარის ზმნას საკუთარი ფორმები მხოლოდ აწმყოში აქვს, ამიტომ აქ თემიანობის გასარკვევად სერიათა დაპირისპირებას ვერ მოვახდენთ. მიუხედავად ამისა, I სერიის აწმყოს წრის ფორმებში მაინც ხერხდება თემის ნიშანთა გამოყოფა-დახასიათება.

საშუალი გვარის ზმნებს თემის ნიშნებად მოუდის: ავ, ებ, ობ, ი, ან.

ავ: გორ-ავ-ს, ცურ-ავს, ბრუნ-ავ-ს...

ებ: ტრიალ-ებ-ს, ცახცახ-ებ-ს, ჭიკჭიკ-ებ-ს...

ობ: ამაყ-ობ-ს, მეფ-ობ-ს ცხოვრ-ობ-ს...

ი: მიდ-ი-ს, დ-ი-ს (დიოდა, დიოდეს)... **რბის, კივის, ყვირის** — ფორმებში **ი** მწკრივის ნიშანია და არა თემისა, რადგან აწმყოს გარდა სხვაგან არ გადაჰყვება (რბის — რბ-ოდ-ა).

ან თემის ნიშანი თითო-ოროლა სახითაა შემონახული. დღეისათვის ის უფრო გადმონაშთია: დგ-ან-ან[1], ჰყვ-ან-ან, ჰგვ-ან-ან. მხოლობითის ფორმაში **ან** არ იხმარება: დგას, ჰყავს, წევს[1], ჰგავს.

არნ. ჩიქობავა ან სუფიქსს თემის ნიშნად არ თვლის. იგი **დგან** ფორმას ასე შლის: დგა-ნ-ან. მისი აზრით, აქ ბოლო **ან** რიცხვის აღმნიშვნელია. წინა **ნ** პირის ნიშანი.

§ 152. მართლწერის საკითხები თემასთან დაკავშირებით.

1) **ავ, ამ** თემის ნიშნები ზმნას გადაჰყვება III სერიის I თურმეობითშიც: დაუხატ-ავ-ს მას ის, დაუბ-ამ-ს მას ის და არა: დაუხატია[2], დაუბია.

თახამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით I თურმეობითში უნდა ვიხმაროთ მხოლოდ **ავ, ამ** თემისნიშნიანი ფორმები.

2) ერთთემიან ზმნებს თემის ნიშანი არ უნდა: წერს, ტეხს და არა: წერამს, წერავს, ტეხავს.

3) თემის ნიშანი არ უნდა დაერთოს ხმოვანმონაცვლე ზმნებს. სწორია: ვგლეჯ, ვჭლეტ, ვგრეხ და არა: ვგლეჯავ//ვგლიჯავ, ვჭლეტავ//ვჭლიტავ...

4) **ებ**-ის ნაცვლად ზოგჯერ სხვა თემის ნიშანიც გვხვდება. სწორია: ამპირ-ებ-ს, აძლ-ებ-ს, ჭიკჭიკ-ებ-ს და არა: ამპირობს, აძლობს, ჭიკჭიკობს.

5) უთემისნიშნო ზმნების I-სა და II თურმეობითში ფუძის შემდეგ **ნ** არ არის საჭირო: დამიწერია, დამეწერა და არა: დამიწერნია, დამეწერნა.

6) **ებ** სუფიქსიან ზმნებს II თურმეობითსა და III კავშირებითში თემის ნიშნის შემდეგ **ინ** მოუდის: გამეკეთებ-ინ-ა, გამეკეთებ-ინ-ოს და არა: გამეკეთებია, გამეკეთებიოს.

§ 153. თემის ნიშანთა შესწავლის მოკლე ისტორია. ქართულ ლინგვისტიკაში თემის ნიშანთა გენეზისი და ფუნქცია საკმაოდაა შესწავლილი. მართალია, ჯერ კიდევ **ანტონ კათალიკოსი** თავის გრამატიკაში სხვა საკითხებზე მსჯელობისას ზმნის დაბოლოებებად გამოყოფს **ებ, ავ, ამ** სუფიქსებს, მაგრამ მაინც თემის ნიშნების

[1] ა. **შანიძის** აზრით, **დგა-ს** მიღებული ჩანს **დგ-ან-ს** ფორმისაგან, სოლო **წვ-ან-ან** ანალოგიურად განვითარებული უნდა იყოს.

[1] აღსანიშნავია, რომ დიალექტებში **ან** გვხვდება მხოლობითის ფორმაშიც: დგანა, ჩანა, წენა.

[2] დიალექტებში და მათი გავლენით სამწერლობო ენაშიც არცთუ იშვიათად იხმარება **დაუხატია** ტიპის ფორმები. სწორედ აქედან გამომდინარე, **ზ. ჭუმბურიძე** დასაშვებად თვლის **დაუხატავს** წარმოების გვერდით **დაუხატიასაც** (როგორც ფართოდ გავრცელებულს).

პირველი მეცნიერული კვლევა **ა. შანიძის** სახელთან არის დაკავშირებული. მან შეისწავლა თემატურ სუფიქსთა გამოყენება გვარების მიხედვით, მიუთითა მათ მიერ სიტყვაში გამოწვეულ ფონეტიკურ ცვლილებებზე, განსაზღვრა თითოეული აფიქსის მოხმარების სიხშირეც.

ახალ ქართულში ყველაზე პროდუქტიული სუფიქსებია: **ებ, ავ, ობ,** ზოგი კი ერთეული შემთხვევებით დასტურდება. ასეთებია: **ამ, ემ, ოფ...** გარდა ამისა, დღესაც შეიძლება გამოიყოს ე. წ. მკვდარი თემის ნიშნები, რომლებიც ოდესღაც დამოუკიდებელი აფიქსები უნდა ყოფილიყვნენ. ასეთად მიიჩნევენ **ოვ**-ს. იგი გვხვდება ზმნებში: ვქსოვ, ვთხოვ... **ოვ** უძველეს ქართულში თემის სუფიქსი რომ იქნებოდა, ამის შესახებ პირველად აღნიშნა **ვ. თოფურიამ** და წარმოადგინა თემატურ სუფიქსთა ასეთი სქემა: ავ, ევ, ოვ, ამ, ემ, ომ, აბ, ებ, ობ, აფ, ეფ, ოფ. ყველა ეს სუფიქსი მეტ-ნაკლებად ახლაც ცოცხალია. **ვ თოფურიას** ეს აზრი გაიზიარა **ა. შანიძემაც** და **ოვ** ჩათვალა თემის ნიშნად **ქსოვს** ტიპის ზმნებში. გარდა ამისა, **ა. შანიძე** თემის ნიშნის ფუნქციის მატარებლად მიიჩნევს **ია** ან **ი**-ს, რომელიც გვხვდებოდა ძველ ქართულში სტატიკური ზმნების აწმყოსა და გარდამავალი ზმნების I თურმეობითში (ვჰგონივ, დამიწერიეს...). სწორედ ამ **იე**-ს გამარტივების გზითაა მიღებული დღეს I თურმეობითის **ი დამიწერ-ი-ა** ტიპის ფორმებში.

ე. წ. ფუძედრეკადი ზმნები **არნ. ჩიქობავას** არ მიაჩნია ორთემიანად, რადგან ამ ტიპის ზმნათა დაბოლოებები (ეკ, ენ, ეთ, ეტ...) მხოლოდ სახელისაგან ზმნის მაწარმოებელი ელემენტებია (ე. ი. წარმოქმნის საშუალება და არა თემის ნიშანი), რომლებიც დროთა ვითარებაში ფუძისეულად იქცნენ, ამიტომ ვერ იქნებიან თემის ნიშნების ტოლფასი[1] (შდრ. **ა. შანიძის** თვალსაზრისი).

არნ. ჩიქობავა თემის ნიშნების თავდაპირველ ფუნქციად თვლიდა ნეიტრალური ფუძის გააქტიურებას, **გ. მაჭავარიანის** აზრით კი თემის ნიშნების უძველესი მორფოლოგიური ფუნქცია უნდა ყოფილიყო განგრძობითი მოქმედების აღნიშვნა. მოგვიანებით ეს აზრი დაადასტურა **მ. ივანიშვილის** საგანგებო კვლევამაც. მისი მსჯელობის თანახმად, სწორედ **ხოლმეობითობაა** თემის ნიშანთა ძირითადი ფუნქცია. **ი** თემის ნიშანი ისტორიულად იგივე ოდენობაა, რაც ხოლმეობითის **ი**.

ა) **ავ** და **ამ** სუფიქსები, **არნ. ჩიქობავას** აზრით, უნდა მომდინარეობდეს **ევ** და **ემ**-ისაგან. ამას ადასტურებს ფორმები: 1) **ნამალევი, ნაბმევი,** 2) ძველი ქართულის **ჰკიცხავდეს,** 3) დიალექტური **ხნევდა, აბემდა,** 4) **მყავს — ვყევარ, მგავს — ვგევარ.**

ბ) **შობს** ზმნის მაგალითით **ობ** თემის ნიშანი მიღებულია **ებ**-ისაგან ფონეტიკური ცვლილების ნიადაგზე. ამოსავალ უძველეს **შევ-ს** (შვა) ფორმას ენამ დაუმატა **ებ** ნიშანი, რომლის დართვით მივიღეთ: შევ+ებ→შვებ→შობ-ს. თუ აწმყოს **შობს** ფორმის II სერიად **შვა**-ს ჩავთვლით, მაშინ **ობ** თემის ნიშანია. მაგრამ დღეს უფრო ხშირია **შობს — შობა** წარმოება. ამიტომ აქ **ობ** თემის ნიშანი აღარაა, ფუძეს შეეზარდა და ერთთემიანი გახდა.

გ. გოგოლაშვილის ნაშრომში „**ავ ამ** თემისნიშნიან ზმნათა ენებითი გვარის ფორმათა შესახებ ქართულში" თემის ნიშნებთან დაკავშირებით რამდენიმე საკითხია განხილული.

1) **გორაობს** ტიპის ფორმებში ისტორიულად ორი თემის ნიშანია: ძველი **ავ** (რომელიც შემდგომ არ აღმოჩნდა საკმარისი) და ახალი — **ობ** (გორავ-ობ-ს). დღეს პირველი (ავ) გაიაზრება ფუძისეულ ელემენტად, ამიტომაც იგი გადაჰყვება II სერიაში — იგორავ-ა.

2) საინტერესოა ენობრივი თვალსაზრისით **ირგვება, იდგმება** ტიპის ვნებითის ფორმები, რომლებიც მიღებული არიან რგავს, დგამს მოქმედებითი გვარის ზმნათა კონვერსიით: რგავს ის მას — ირგვება ის, დგამს ის მას — იდგმება ის.

რა კვალიფიკაცია უნდა მიეცეს **ვ, მ** ელემენტებს განსახილველ ფორმებში? ავტორის პასუხი ამ კითხვაზე ასეთია: **ავ, ამ**-ისაგან მიღებული **ვ, მ** დამოუკიდებელი თემის ნიშანი არ არის, ერთ სტრუქტურაში ორი თემის ნიშანი არ იქნება. ირგვება, იდგმება-ში **ვებ** და **მებ** ერთი ოდენობაა და მისი დაშლა არ მოხერხდება. ამიტომ ისინი უნდა მივიჩნიოთ რთულ თემის ნიშნებად: ირგ-ვებ-ა — დაირგ-ა (შდრ. **ხატ-ავ-ს — დახატ-ა**).

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, თემის ნიშანთა სისტემაში მარტივ თემის ნიშანთა გვერდით უნდა იქნეს წარმოდგენილი რთული ვებ, მებ, რომლებიც უმარცვლო ძირის მქონე

[1] მართლაც, ხმოვანმონაცვლე ზმნები რომ არ არის ძირითადი ორთემიანების ტოლფასი ფორმობრივ-ფუნქციურად, ამას ამჟამად მოწმობს თანამედროვე დიალექტებში გამოვლენილი ერთი ენობრივი ტენდენციაც. კერძოდ: ცოცხალი მეტყველება **დრეკს — დრიკა** ტიპის ზმნებს აღიქვამს ერთთემიანად და, რომ აქციოს ის ორთემიანად, უმატებს სპეციალურ თემის ნიშანს: დრეკავს//დრიკავს, ზელავს//ზილავს, გლეჯავს//გლიჯავს (შდრ. დრეკს, ზელს...).

შოქმედებითი გვარის ზმნათა შესაბამის ვნებითებთან გამოიყენება.

ზოგჯერ ენაში გვხვდება ვნებითი გვარის ასეთი პარალელური ფორმებიც: **იჭმება და იჭმევა. ბ. ჯორბენაძის** დაკვირვებით, ეს ფორმები ფაქტობრივად იდენტურია გრამატიკული სემანტიკის მიხედვით (არც იჭმება, არც ისმება, შდრ. არც იჭმევა, არც ისმევა), მაგრამ პარალელური ფორმების პოვნიერება ხელს უწყობს სემანტიკური სხვაობის დამყარებას: **იჭმება** საკუთრივ ვნებითის ფუნქციას იმკვიდრებს, **იჭმევა** პოტენციალისას. ფორმობრივ კი ეს გაირჩევა **ებ, ევ** ფორმატებით.

ლიტერატურა

გოგოლაშვილი გ. — **ავ, აშ** თემისნიშნიან ზმნათა ვნებითი გვარის ფორმათა შესახებ ახალ ქართულში: მაცნე, 1987, № 2.

თალაკვაძე მ. — ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, თბ., 1955.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1970.

თოფურია გ. — ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართულში: საქართველოს მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. III, № 5, 1942.

ივანიშვილი მ. — თემის ნიშანთა ფუნქციისათვის ქართველურ ენებში: მაცნე, 1986, № 1.

იმნაიშვილი ივ. — ზმნის ფუძე: ქელს, 1974, № 3.

იმნაიშვილი ივ. — **აშ**იანი ზმნების სწავლებისათვის: კრებ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", I, 1948.

კვაჭაძე ლ. — ქართული ენა, ნაწილი I, თბ., 1981.

მაკალათია გ. — გრძლიობის, ასპექტისა და დროის მიმართება თანამედროვე ქართულში: „მიმომხილველი", 6—9, 1972.

ხათაძე ნ. — თემის ნიშნები ქართველურ ენებში: იკე, XI, 1959.

სახვაძე ეთ. — ზმნის ფუძის, თემისა და ძირის სწავლებისათვის VI კლასში: კრებ. „ქართული ენა და ლიტერატურა", თბ., 1954.

შანიძე ა. — ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973.

ჩიქობავა არნ. — სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.

ჩიქობავა არნ. — ჭოროული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება: ქეგლ, I, 1950.

ჭუმბურიძე ზ. — **ავ, აშ** თემისნიშნიან ზმნათა ცვლილებისათვის I თურმეობითში: თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრ., ტ. 19, 1976.

ჯორბენაძე ბ. — თემის ნიშანთა განაწილებისათვის ქართულში: იკე, XXVII, 1988.

დეფექტური ზმნები

§ 154. დეფექტურ ზმნათა ზოგადი დახასიათება. ქართული ზმნა მეტისმეტად რთული და მრავალმხრივი მეტყველების ნაწილია. ზოგიერთი ზმნა არ ემორჩილება საზოგადოდ შემუშავებულ ნორმებს და ავლენს რაიმე თავისებურებას. ასეთ ზმნებს **თავისებურ ზმნებს** უწოდებენ.

წარმოების საერთო წესიდან გადახრის მიზეზი სხვადასხვაგვარია:

1) არქაული ფორმის (ხარ, მოხვედი...) შემორჩენა;

2) ზმნის ცვლილება ფონეტიკური ფაქტორის წყალობით (ტეხს — ტეხ-ებ — ტხდება — ტყდება).

3) ბუნების მოვლენების აღმნიშვნელ ზმნებთან I და II პირის კლება (წვიმს, თოვს).

თავისებურება შეიძლება შეპირობებული იყოს ანალოგიური და დიალექტური წარმოებითაც.

რამდენადაც თავისებურების საფუძველი მრავალნაირია, შესაბამისად, თავისებური ზმნაც მრავალგვარია. ტრადიციულად, ამ ჯგუფში გაერთიანებულია რთული, მიმღეობითი, მონაცვლე და წყვრივგამოცვლილი ზმნები.

თავისებურ ზმნებს სხვაგვარად (ფართო გაგებით) უწოდებენ **დეფექტურ** ზმნებსაც. რაკი მათ აკლიათ რომელიმე ერთი ფორმა ან ნიშანი.[1]

§ 155. რთული და მიმღეობითი ზმნები. რთული ზმნა იწარმოება სახელისა და მეშველი ზმნის საშუალებით: შეურაცხყოფს, სრულყოფს, ცხადყოფს... რთული ზმნები ძველ ქართულში ფართოდ იყო გავრცელებული. დღეს მათგან მხოლოდ რამდენიმე შემოგვრჩა. ასეთ ზმნებში მეშველად მეტწილად გამოყენებულია **ცემა, ყოფა, ღება:** პატივისცემა (პატივს სცემს), უზრუნველყოფა (უზრუნველყოფს), ყურადღება (ყურად იღო)...

რთულ ზმნაში ფორმას იცვლის მეშველი ზმნა, სახელი უცვ-

[1] სამეცნიერო ლიტერატურაში დეფექტურ ზმნებთან დაკავშირებით ასეთ ტერმინოლოგიასაც გვთავაზობენ: ზმნას, რომელიც გრამატიკული კატეგორიის **საპირისპირო** ფორმებს ვერ აწარმოებს, **ნაკლული** ჰქვია. ნაკლულ ზმნებს, რომლებიც დანაკლის ფორმებს სხვა ფორმის ზმნებით ივსებენ, **ფუძემონაცვლე** ზმნები ეწოდებათ; ხოლო იმ ზმნებს, რომლებიც საერთოდ ვერ ივსებენ დანაკლის ფორმებს, **დეფექტური** ანუ **საკუთრივ ნაკლული** ზმნები ჰქვია (**შ. კეკელია, აკ. დავითიანი**).

ლელია: უარ**ვყოფ**, უარ**ყოფ**, უარ**ყოფს**. რთულ ზმნებს მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივები აქვს.

*რთული ზმნის ნაწილები ჩვეულებრივ ერთადაა (უკვდავ**ყოფს**). მაგრამ ზოგჯერ გვხვდება გათიშვის შემთხვევებიც: „ავტორებს ყუ**რად უნდა ელოთ** ეს კრიტიკა“.*

რთული ზმნის ნაწილებს საკუთარი მნიშვნელობა დაკარგული აქვს, ორივე ერთ ცნებას წარმოადგენს.

რთულ ზმნებს უკავშირდება I სუბიექტური პირის ნიშნის ადგილის მართლწერის საკითხი. დღეს სამწერლობო ენასა და ცოცხალ მეტყველებაში გვხვდება ასეთი პარალელური ფორმები: ვ-უარყოფ//უარ-ვ-ყოფ//ვ-უარ-ვ-ყოფ. **გ. შალამბერიძის** აზრით, ამ პარალელურ ფორმათაგან მართებულია **უარ-ვ-ყოფ. ვ** პრეფიქსი უხდა ერთვოდეს მხოლოდ მეშველ ზმნას. სწორედ ამგვარი წარმოება იყო ძველი ქართულისათვის ნორმა.

მიმღეობითი ზმნებიც თავისებურნი არიან. ისინი ენაში ითელებიან ახალგანვითარებულ ფორმებად. ასპექტის ახალ სისტემაზე გადასვლის მიუხედავად, ზოგ უზმნისწინო ზმნას II სერიაში შერჩა ძველი ვითარება — ისევ სრულასპექტიანია. ამის გამო მათი აწმყოს წრის მწკრივები მყოფადის წრეში გადავიდა და იქაც შეინარჩუნა სრულასპექტიანობა: **ვნახავ** ძველად აწმყო იყო, ახლა მყოფადია. ასეთივეა: ვიყიდი, ვიშოვი, ვილოცავ, ვჰკითხავ... ამ ზმნათა აწმყოს ადგილი დაცარიელდა, ამიტომ საჭირო გახდა ადგილის შევსება ახალი ფორმებით. ენამ ამ მიზნით გამოიყენა ფუძედ **ულ** და **ილ**-ზე გათავებული შესაბამისი ვნებითის მიმღეობა და ხელახლა აწარმოა ახალი ზმნები: ვყიდულობ, ვსესხულობ, ვკითხულობ, ვპოულობ, ვშოულობ, ვლოცულობ... ამის შედეგად აწმყოში წარმოიშვა პარალელური ფორმები: ვიღებ — ვღებულობ, ვიგებ — ვგებულობ, ვიხდი — ვხდილობ და ა. შ.

§ 156. ფუძემონაცვლე ზმნები. ქართულში დეფექტურ ზმნათა დიდი უმრავლესობა მიღებულია შენაცვლების შედეგად.

ენაში მოიპოვება ერთი წყება ზმნებისა, რომელთაც აკლიათ ესა თუ ის ფორმა და ამ ნაკლს სხვა ფუძის ზმნებით ივსებენ. ასეთი შევსების **დროს ზმნის ერთ ფორმას** ენაცვლება მეორე. ზმნებს, რომლებიც ერთმანეთს ენაცვლება, ერთი მეორის მიმართ მონაცვლეებია.

შენაცვლება სხვადასხვაგვარია. იგი ხდება რიცხვში, პირში, მწკრივში, ასპექტში, გვარში, ქცევაში. შესაბამისად გვაქვს პირნაკლი, რიცხვნაკლი, მწკრივნაკლი და ა. შ. ზმნები.

ა) **შენაცვლება რიცხვში.** ჩვეულებრივ, მრავლობითის ფორმა წარმოება მხოლობითის ფუძიდან: ვწერ — ვწერ-თ. მაგრამ ზოგიერთი ზმნა ასეთ შემთხვევაში მრავლობითისათვის სხვა ფუძეს ინაცვლებს: ზის ის — სხედან ისინი.

შენაცვლება ეხება სუბიექტსა და პირდაპირ ობიექტს.

სუბიექტური პირების რიცხვში შენაცვლება მაშინ ხდება, როცა ზმნა გარდაუვალია:

ზის — სხედან	გდია — ყრია
იჯდა — ისხდნენ	აბია — ასხია
ვარდება — ცვივდება	

ობიექტური პირების რიცხვში შენაცვლება შესაძლებელია მხოლოდ გარდამავალ ზმნაში:

ჩააგდო მან ის — ჩაყარა მან ისინი.

დასვა — დასხა	გააგდო — გარეკა
მოიბა — მოისხა	წაიყვანა — წაასხა
ჭოკლა — დახოცა	

ბ) **შენაცვლება მწკრივებში (მწკრივნაკლი ზმნები).** ქართულში შენაცვლება მწკრივში უფრო ფართო ხასიათისაა, ვიდრე რიცხვში. აქ ერთმანეთს ენაცვლება ორი, ზოგჯერ სამ-სამი ფუძე.

ვარ — ვიქნები — ვიყავ	დავდივარ — ვივლი — ვიარე
მიდის — მივა — მივიდა	ვშვრები — ვიზამ — ვქენი
მაქვს — მექნება	ვზივარ — ვიჯექი
ვამბობ — ვიტყვი — ვთქვი	ვეუბნები — ვეტყვი — ვუთხარი
ვხედავ — დავინახავ	მიმაქვს — წავიღებ — მივიტან
ვუმზერ — შევხედავ	ძევს — იდვა

ვშვრები ზმნა ფორმით ვნებითია, მაგრამ აქვს გარდამავლობის ნიშანი — პირდაპირი ობიექტი: **ამას** ნუ **შვრები.**

მორფოლოგიური თვალსაზრისით საინტერესოა **დი-ვალ-ვედ** (ვიდ) მონაცვლე ძირისაგან მიღებული ზმნები: მივდივარ — მივალ—მივედი (მივიდა).

ვალ ფუძე ძველად უზმნისწინოდაც იხმარებოდა. ახალში მას მხოლოდ ზმნისწინიანი ფორმები გააჩნია. გარდა ამისა, **ვალ** ძველად უსრული ასპექტისა იყო (დრო ახლანდელი). შემდგომ კი ზმნისწინი დაირთო და მომავალი დროის გაგება შეიძინა. ამით მან გაწყვიტა კავშირი აწმყოსთან და მყოფადში გადავიდა, აწმყოს ადგილი დაიკავა **დი** ფუძემ. წყვეტილის I-სა და II პირში გამოყენებულია **ვედ**, ხოლო მესამეში — **ვიდ**. ამ უკანასკნელში **ე**-საგან **ი**-ს მიღება გამოწვეულია **ა** სუფიქსით.

ვ) **შენაცვლება პირში.** პირში მონაცვლე ზმნათაგან ერთი ჩვეულებრივ საუბარში იხმარება, მეორე — მორიდებულში:

არის — გახლავს, ბრძანდება	თქვი — ბრძანე	აიღე — ინებე
ხარ — ბრძანდები	მოვედი — გეახელი	წაუღე — მიართვი
მოდი — მობრძანდი	ჰამე — მიირთვი	
დაჯექი — დაბრძანდი	ვჭამე — გიახელი	

გიახელი მოქმედებითი გვარისაა, სასახვისო ქცევის ფორმა. იგი მხოლოდ პირველ პირში გვხვდება. **გიახელი** წარმოშობით სამპირიანია, მაგრამ ამჟამად მეორე ობიექტური პირის გაგება მილეულია და ორპირიანად არის ქცეული: ვახლე მე (პირი) შენს საჭმელს, გიახელი მე ის **(ა. შანიძე)**.

გეახელი (მე შენ) **მოვედი**-ს მნიშვნელობისაა. იგი ენიანი ენებითია, აქვს I და II პირის ფორმები.

დ) **შენაცვლება ასპექტში.** ჩვეულებრივ, ერთსა და იმავე ზმნა ერთი ფუძით შეუძლია გამოხატოს უსრული და სრული ასპექტი (წერს-დაწერა). მაგრამ იშვიათად სრული ასპექტის აღსანიშნავად საჭირო ხდება სხვა ფუძე. მაგალითად: ვსვამ, ვაძლევ, ვუმზერ, ვუცქერ—უსრული ასპექტია. მათი სრული ასპექტის ფორმებია: მივეცი, დავლიე, შევხედე.

ე) **შენაცვლება გვარში.** მოქმედებითი გვარის ზმნის კონვერსიის დროს ზოგჯერ საჭირო ხდება სულ სხვა ფუძის შენაცვლება: **დააყენა** მან ის — **დადგა** ის.

ვააგდო — გავარდა	გაიყვანა — გაჯდა
მოკლა — მოკვდა	გახეთქა — გასკდა
დასვა — დაჯდა	გატეხა — გატყდა[1]

[1] **ი. ქავთარაძე** დეფექტურად თვლის **უგვარო** ზმნებსაც: არის, სწამს, აქვს, ღირს...

§ 157. პირნაკლი და ქცევანაკლი ზმნები. ზოგიერთი ზმნა მარტო III პირის ფორმით იხმარება, აკლია I და II პირი. ასეთ ზმნას **პირნაკლი** ჰქვია. ასეთებია: თოვს, წვიმს, ელავს, ქუხს... დასახელებული პირნაკლი ზმნები რიცხვნაკლებიც არიან, საპირისპირო მრავლობითის ფორმა მათ არ გააჩნიათ.

იშვიათად პირნაკლი ზმნა შეიძლება შეგვხვდეს I და II პირის ფორმითაც, მეტწილად პოეზიაში: „ვითა დავღამდი, ისე გავსთენდი“.

ქცევანაკლ ზმნებად მიჩნეულია უქცეო ზმნები: იცის, ახსოვს, უყვარს, აქვს... ამ ფორმებში პრეფიქსი ძველისძველია და იმდენად მკვიდრი, რომ ზოგ შემთხვევაში ფუძის უფუნქციო შენაზარდია. თავდაპირველად, შესაძლოა, ამ ხმოვნებს ერთგვარი ემფატიკური პრეფიქსის მნიშვნელობა ჰქონდათ. ასე რომ, ეს პრეფიქსები უფრო ადრე გაჩნდა, ვიდრე ქცევის კატეგორია **(ი. ქავთარაძე)**.

§ 158. მწკრივგამოცვლილი ზმნები. ა. შანიძე თავისებურ ზმნებად მიიჩნევს აგრეთვე მწკრივგამოცვლილ ზმნებს. ესენია: იცის, უწყის. უნდა.

1. **იცის, უწყის** ზმნებს მწკრივი უფრო ადრე გამოუცვლიათ, ვიდრე **უნდა**-ს. წერილობითს ძეგლებში ეს ცვლა არ ასახულა, II სერიის ფორმით არ გვხვდებიან. ისინი უძველესი წარმონაქმნი არიან, ამიტომაც **არნ. ჩიქობავამ** მოხდენილად შენიშნა: **„იცის** ზმნა ზმნის უღვლილების სისტემისათვის ძვირფასია. მისი ბიოგრაფია ცალკე უნდა დაიწეროს. ქართული ენის ისტორიაში ეს სიტყვები სხვადასხვა დიალექტური წრის შემონატანი უნდა იყოს, მასთან სხვადასხვა დროისა. **უწყის** უფრო ძველია, **იცის** შედარებით ახალი“.

მკვლევართა აზრით, **უწყის** ზმნის პირვანდელი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო **უყურებს, ხედავს**, რაც მტკიცდება მეგრულ-ჭანურისა და სვანურის ჩვენებითაც. ქართულში, ჩანს, ამ ზმნას განუცდია სემანტიკური ცვლილება **(დ. მაჭავარიანი)**.

იცის და **უწყის** წარმოშობით არის II სერიის II ხოლმეობითის მწკრივი, მაგრამ დროთა ვითარებაში, როცა II ხოლმეობითი, როგორც განგრძობითი ასპექტის მწკრივი, გამოვიდა ხმარებიდან,

იცის მან. იგი კონსტრუქცია თავისი მრავალგზისობის (განაგრძობითობის) შინაარსის გამო გამოყენებულ იქნა I სერიის აწმყოსათვის (რამდენადაც აწმყო ზოგჯერ ზოგად აწმყოზეც მიუთითებს). ახალ ქართულში **იცის მან ის** აწმყოა. ასეთივე ვითარებაა **უწყის** ზმნის შემთხვევაშიც.

მაშასადამე, დღეს **უწყის** და **იცის** მწკრივგამოცვლილი ზმნებია.

2. **უნდა** ძველ ქართულში უწყვეტლის მწკრივის ფორმა იყო. შესაბამის აწმყოდ გამოიყენებოდა **უნა** (მინა, გინა, უნა). მაგრამ X—XI საუკუნეებიდან აწმყოს ფორმები თითქმის აღარ იხმარებოდა, დაიკარგა. ამიტომ უწყვეტლის **უნდა** გადმოვიდა აწმყოს დაცარიელებულ ადგილზე და ამიერიდან **მინდა, გინდა, უნდა** იქცა აწმყოდ, უწყვეტლისათვის საჭირო გახდა ამ ახალი აწმყოსაგან საერთო წესით ზმნის ახალი ფორმის წარმოება და ენამ კიდეც დაამკვიდრა ასეთად **მინდოდა, გინდოდა, უნდოდა**. მართალია, XIII საუკუნისათვის **უნა-უნდა-უნდოდა** ფორმათა ცვლილების პროცესი დამთავრებულია, მაგრამ ძველი წარმოების ნაშთი ძეგლებში აქა-იქ მაინც დასტურდება. „ვეფხისტყაოსანში“ ვკითხულობთ: „...ათასჯერ-მცა **მინა, მიწდა**“.

3. თავისებური ზმნებია ხანმეტობის ნაშთები: **ხარ, მოხვედი, მოხვალ**.

§ 159. დეფექტურ ზმნათა შესწავლის მოკლე ისტორია. ქართული ზმნის სირთულე და მრავალფეროვნება ყოველთვის იწვევდა მკვლევართა განსაკუთრებულ ინტერესს. ჯერ კიდევ პირველ ქართველ გრამატიკოსებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ზოგიერთი ზმნური ფორმის სპეციფიკურობა და თავისებურება. შესაბამისად, ნეტ-ნაკლებად კიდეც მიუთითებდნენ ამგვარ „უკანონო“ ზმნებზეც.

თავისებურ ზმნათა შესახებ მსჯელობას პირველად ვხვდებით **ანტონ კათალიკოსის** გრამატიკაში. აქ წარმომადგენელია ცნება „კანონიერი“ და „უკანონო“ ზმნების დაყოფისა. ავტორი ცალკე გამოჰყოფს ოდენ ობიექტური წყობის ზმნებს (**მსურს** ტიპისას). პირნაკლი ზმნებიდან ახასიათებს **თენდების** ფორმას. მაგრამ **ანტონისათვის** ძირითადად უცნობი დარჩა რიცხვნაკლი ზმნები.

გაიოზი იძლევა უკანონო ზმნების სამ ჯგუფს. შემდგომი ხანის გრამატიკოსები ძირითადად იმეორებენ წინმორბედთა აზრს დეფექტურ ზმნებთან დაკავშირებით, თანვე იძლევიან ზოგიერთი თავისებური ფორმის დაზუსტება-დაკონკრეტებას.

ე. ჩუბინაშვილის გრამატიკაში პირველადაა მოცემული უპირო ზმნათა სწორი გაგება. მას ასეთად მიაჩნია **თოვს, წვიმს...** ტიპისა.

პლ. იოსელიანი ქართული ზმნის სირთულის გამო შენიშნავდა, რომ „ქართულისა ენისა ზმნანი ყოველნივე არიან უკანონონი“.

მართალია, **დ. ყიფიანის, პ. კვიცარიძის, ს. ხუნდაძის, მ. ჯანაშვილის, ნ. მარისა** და სხვათა ნაშრომებში არაერთი ცალკეული საინტერესო დაკვირვებაა წარმოდგენილი, მაგრამ მათთვის შეუმჩნეველი დარჩა რიცხვნაკლობა, სტატიკური ზმნები, სხვა კატეგორიათა მიხედვით ზმნათა ნაკლულოვანება **(ი. ქავთარაძე)**.

ზოგადად დეფექტურ ზმნათა პირველი მეცნიერული შესწავლა **აკ. შანიძის** დამსახურებაა. **ივ. ქავთარაძის** მონოგრაფიაში გამოწვლილვითაა გაანალიზებული დრონაკლი, პირნაკლი, ქცევანაკლი, გვარნაკლი ზმნები.

ლიტერატურა

თევზაძე ჰ. — რთული ზმნები ძველ ქართულში: პუშკინის სახ. თბილისის სახ. პედინსტიტუტის შრ., ტ. 13, 1959.

მაჭავარიანი დ. — **უწყის** ზმნის ეტიმოლოგიისათვის: ქუთაისის პედინსტიტუტის შრ., ტ. XI, 1951—1952.

სარჯველაძე ზ. — ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.

შალამბერიძე გ. — რთულფუძიანი ზმნების მართლწერის ზოგი საკითხი: ქართული სწორმეტყველების სწავლების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1980.

უღლება

§ 160. უღლების ტიპებად დაყოფის საკითხი ქართულში. ქართული ზმნის მრავალპირიანობა, დრო-კილოთა ფორმების სიუხვე, გვარის, ქცევის, კაუზატივისა და სხვა კატეგორიათა მრავალფეროვნება განაპირობებს ზმნის სხვადასხვაგვარ ფორმობრივ ცვლილებას, რაც გამოხატულებას პოულობს უღლილების სისტემის ჩამოყალიბებით.

ზმნის ცვლილებას პირისა და რიცხვის მიხედვით **უღლება** ჰქვია. უღლების კატეგორიებია: პირი, რიცხვი, დრო, კილო, გვარობა, აქტი, მწკრივი.

სამეცნიერო ლიტერატურაში უღლების ტიპებად დაყოფის საკითხში განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა.

ა. **შანიძის** აზრით, ქართულში არსებობს ოთხი ტიპის უღლება. I ტიპის უღლებას განეკუთვნება მოქმედებითი გვარის ზმნები, II ტიპისას—დინამიკური ვნებითები, III-ს—მედიოაქტივი ზმნები, IV-ს—მედიოპასივი ზმნები და სტატიკური ვნებითები.

ამ კლასიფიკაციის საფუძველია რამდენიმე ნიშანი: გვარის კატეგორია, ინვერსიულობა, მწკრივთა წარმოების შესაძლებლობა და თავისებურებანი.

არნ. **ჩიქობავას** მიხედვით, ქართული ზმნების ძირითადი საკლასიფიკაციო ერთეულებია: „სტატიკური და დინამიკური ზმნები, ერთი მხრივ, გარდამავალი ზმნები, მეორე მხრივ". შესაბამისად გამოიყო სამი ტიპის უღლება:

I. დინამიკური ზმნები (**დ** ვნებითიანი ტიპისა: ტეხს, იტეხს, ტყდება, უტყდება);

II. დინამიკური ზმნები (**ი** ვნებითიანი ტიპისა: ზრდის, იზრდება, ეზრდება);

III. სტატიკური ზმნები (დუმს, წუხს, ცხოვრობს, გდია...).

ამ შემთხვევაში კლასიფიკაციის პრინციპია ზმნურ ფორმათა წარმოების თავისებურება, რაც, თავის მხრივ, ქმნის გამოყოფილ ერთეულთა სიმრავლეს.[1]

§ 161. პირველი ტიპის უღლება. მართალია, დღეს მოქმედებითი გვარის ზმნას სპეციალური მაწარმოებელი არა აქვს. მაგრამ მისი გამოცნობა ძნელი არაა, იგი გარდამავალია.

მოქმედებითი გვარის ზმნების I სერიის ყველა მწკრივისათვის ამოსავალია აწმყო, II სერიის საყრდენია წყვეტილი, III კი სულ სხვა პრინციპით იწარმოება.

[1] უღლების ტიპებად დაყოფის საკითხში განსხვავებული თვალსაზრისი იხ. **გ. გოგოლაშვილის** ნაშრომში „ქართული ზმნის უღლილების სისტემა". ამჯერად ჩვენ ვეყრდნობით **ა. შანიძის** კლასიფიკაციას.

პირველი სერია

აწმყ.	ვ-წერ	ვ-ა-შენ-ებ	ვ-წერ-თ
უწყვეტ.	ვ-წერ-დ-ი	ვ-ა-შენ-ებ-დ-ი	ვ-წერ-დ-ი-თ
აწმყ. კავშ.	ვ-წერ-დ-ე	ა-ვ-შენ-ებ-დ-ე	ვ-წერ-დ-ე-თ
ყოფ.	და-ვ-წერ	ა-ვ-ა-შენ-ებ	და-ვ-წერ-თ
პრულმ.	და-ვ-წერ-დ-ი	ა-ვ-ა-შენ-ებ-დ-ი	და-ვ-წერ-დ-ი-თ
ყოფ. კავშ.	და-ვ-წერ-დ-ე	ა-ვ-ა-შენ-ებ-დ-ე	და-ვ-წერ-დ-ე-თ

მეორე სერია

წყვეტ.	და-ვ-წერ-ე	ა-ვა-შენ-ე	და-ვ-წერ-ე-თ
II კავშ.	და-ვ-წერ-ო	ა-ვ-ა-შენ-ო	და-ვ-წერ-ო-თ

მესამე სერია

III სერიას საერთო თემა არ მოეპოვება: იყენებს პირველი ან მეორე სერიის თემას, თანაც მწკრივებს განსხვავებულად აწარმოებს.

მესამე სერიაში გარდამავალი ზმნებისათვის საერთოა ინვერსიულობა.

გარდამავალ ზმნებთან ამ სერიაში საპირისპირო ფორმათა უქონლობის გამო ქცევა არ ირჩევა. შესაბამისად, ზმნის ფორმაში წარმოდგენილი სასხვისო ქცევის ნიშანი **უ** უფუნქციოა. ამ სერიაში არ გვხვდება სამპირიანი გარდამავალი ზმნა.

I თურმეობითი.

და-მ-ი-წერ-ი-ა	ა-მ-ი-შენ-ებ-ი-ა	და-ვ-უ-წერ-ი-ვარ
და-გ-ი-წერ-ი-ა	ა-გ-ი-შენ-ებ-ი-ა	და-უ-წერ-ი-ხარ
და-უ-წერ-ი-ა	ა-უ-შენ-ებ-ი-ა	და-უ-წერ-ი-ა

ამ მწკრივისათვის ამოსავალია სტატიკური ვნებითის სასხვისო ქცევის აწმყო (ოღონდ აქ ქცევის გაგება არა აქვს): **უწერია ის მას** (ლექსი პოეტს წიგნაკში)—სტატიკური ვნებითის აწმყო, **უწერია მას ის** (დამჯდარა და პოეტს ლექსი უწერია) — მოქმედებითი გვარის I თურმეობითი.

როგორც ვხედავთ, ორივე ზმნა ფორმის თვალსაზრისით ერთ-

ნაირია, მათ შორის განსხვავებას ქმნის პირის ნაცვალსახელებისა და მათი ნიშნების ფუნქციის შეცვლა — ინვერსია.

I თურმეობითის მწკრივის ნიშანია **ი** სუფიქსი. I-სა II პირში ზმნის ფორმას ერთვის მეშველი ზმნა, ამის გამო ორმაგი პრეფიქსი გვაქვს: და-**ვ**-უწერი-**ვ**-არ.

II თურმეობითი და III კავშირებითი ერთნაირად იწარმოება: II თურმეობითი ემყარება **ენიანი** ვნებითის წყვეტილს, III კავშირებითი კი — II კავშირებითს, ოღონდ ინვერსიული წყობით.

II თურმეობითი

და-მ-ე-წერ-ა	და-გვ-ე-წერ-ა	და-ვ-ე-წერ-ე	და-ვ-ე-წერ-ე-თ
და-გ-ე-წერ-ა	და-გ-ე-წერ-ა-თ	და-ე-წერ-ე	და-ე-წერ-ე-თ
და-ე-წერ-ა	და-ე-წერ-ა-თ	და-ე-წერ-ა	და-ე-წერ-ა(თ)

III კავშირებითი

და-მ-ე-წერ-ო-ს	და-გვ-ე-წერ-ო-ს	და-ვ-ე-წერ-ო	და-ვ-ე-წერ-ო-თ
და-გ-ე-წერ-ო-ს	და-გ-ე-წერ-ო-თ	და-ე-წერ-ო	და-ე-წერ-ო-თ
და-ე-წერ-ო-ს	და-ე-წერ-ო-ს(თ)	და-ე-წერ-ო-ს	და-ე-წერ-ო-ს-(თ)

დამეწერა ის მე ენიანი ვნებითის წყვეტილია, **დამეწეროს ის მე** — ენიანი ვნებითის II კავშირებითი, შდრ.: **დამეწერა მე ის** — მოქმედებითი გვარის ზმნის II თურმეობითი, **დამეწეროს მე ის** — მოქმედებითი გვარის III კავშირებითი.

ძველ ქართულში მოქმედებითი გვარის ზმნის II თურმეობითისა და III კავშირებითისათვის ამოსავალ ფუძედ გამოყენებული იყო მხოლოდ ვნებითის წყვეტილი და II კავშირებითი. ახალ ქართულში ზოგჯერ საყრდენი ფუძეა I თურმეობითის თემისნიშნიანი ფორმაც. ამიტომ მივიღეთ პარალელური წარმოება — გრძელი და მოკლე ფორმები: გაეკეთა // გაეკეთებინა, გაეკეთებინოს. დღეს სალიტერატურო ენისათვის ნორმაა **ებ** ნიშნიანი წარმოება.

გარდამავალ ზმნათა მესამე სერიაში თავს იჩენს **უყიდნია** ტიპის ფორმები. **ა. შანიძის** აზრით, აქ **ნ** სუფიქსი გაჩენილია აქტივისა და პასივის მსგავს ფორმათა გასარჩევად. მაგალითად: უცხოვრებია მას ის, ეცხოვრებინა მას ის — აქტივია; უცხოვრნია მას, ეცხოვრნა მას — პასივი.

ანალოგიურად ეს **ნ** პასივიდან გადავიდა მოქმედებითი გვარის ზმნებშიც: გაუტაცნია, მოუმატნია... ეყიდნა, მოემატნა[1]...

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით, **ნარიანი** ფორმები მიუღებელია.

§ 162. მეორე ტიპის უღლება. პირველსა და მეორე სერიაში დინამიკური ვნებითი გვარის ზმნები ერთნაირად იწარმოება, მნიშვნელობა არა აქვს, თუ რამდენპირიანია იგი. საერთო აქვთ მწკრივის ნიშნებიც და სავრცობიც.

I სერია

აწმყო	ვ-ი-მალ-ებ-ი	ვ-ე-ზრდ-ებ-ი
უწყვეტ.	ვ-ი-მალ-ებ-ოდ-ი	ვ-ე-ზრდ-ებ-ოდ-ი
აწმყოს კავშ.	ვ-ი-მალ-ებ-ოდ-ე	ვ-ე-ზრდ-ებ-ოდ-ე
მყოფ.	დავ-ი-მალ-ებ-ი	გა-ვ-ე-ზრდ-ებ-ი
ხოლმ.	და-ვ-ი-მალ-ებ-ოდ-ი	გა-ვ-ე-ზრდ-ებ-ოდ-ი
მყოფ. კავშ.	და-ვ-ი-მალ-ებ-ოდ-ე	გა-ვ-ე-ზრდ-ებ-ოდ-ე

დინამიკური ვნებითების წარმოება პირთა რაოდენობის მიხედვით განსხვავებულია III სერიაში.

1. ერთპირიანი ზმნები III სერიაში ალწერითად იწარმოება: საუღლებელი ზმნის მიმღეობას ემატება მეშველი ზმნა. სამივე მწკრივისათვის მიმღეობა საერთოა, მწკრივებს შორის განსხვავებას ქმნის მეშველი ზმნა. ახალ ქართულში იგი შერწყმულია მიმღეობასთან, უღლებადი ნაწილია (დაირთავს პირის ნიშნებს). ძველ ქარ-

---

[1] საანალიზო **ნ**-ს შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა აზრია გამოთქმული. ჯერ კიდევ ადრე **თ. ჟორდანია** მას თვლიდა კეთილხმოვნებისთვის გაჩენილად, **ს. ხუნდაძეს** იგი მოქმედებითისა და ვნებითის გასარჩევ საშუალებად მიაჩნდა, **ა. ჭუთათელაძე** კი „პარაზიტს“ უწოდებდა და მოითხოვდა მის უკუგდებას.

ივ. ჭავთარაძის დაკვირვებით, „ეს **ნ** დასტურდება XV საუკუნიდან და თანდათან ფართოვდებოდა მისი ხმარების არე. **ნ** თავდაპირველად გამოიყენებოდა **თემატურ** სუფიქსად, ზმნური ფუძის საწარმოებლად (**ნ** მიღებულია **ენ**-ისაგან), მხოლოდ შემდეგ დაეკისრა აქტივისა და პასივის გარჩევა. ეს ფუნქცია მისთვის **მეორეულია**“.

თულში მიმღეობა და მეშველი ზმნა ცალ-ცალკე იწერებოდა, იუღლებოდა მხოლოდ მეშველი ზმნა.

I თურმეობითი	და-ვ-მალულ-ვ-არ	და-ვ-მალულ-ვ-არ-თ
	და-მალულ-ხ-არ	და-მალულ-ხ-არ-თ
	და-მალულ-ა	და-მალულ-ან

I თურმეობითის საწარმოებლად წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღეობას ემატება მეშველი ზმნა აწმყოს მწკრივის ფორმით (ვარ, ხარ, არის), III პირში იგი შეკვეცილია: არის→ა, არიან→ან.

I სუბიექტური პირი ორმაგი ნიშნითაა გამოხატული.

II თურმეობითი	და-ვ-მალულ-იყავი	და-ვ-მალულ-იყავი-თ
	და-მალულ-იყავი	და-მალულ-იყავი-თ
	და-მალულ-იყ-ო	და-მალულ-იყვ-ნენ

აქ მეშველი ზმნა წყვეტილის მწკრივის ფორმითაა წარმოდგენილი. იგი სამივე პირში სრული სახით გვხვდება. ახალმა ქართულმა I პირის ნიშანი ჩამოაშორა მეშველ ზმნას და გაუჩინა მიმღეობას.

III კავშირებითი	და-ვ-მალულ-იყო	და-ვ-მალულ-იყო-თ
	და-მალულ-იყო	და-მალულ-იყო-თ
	და-მალულ-იყო-ს	და-მალულ-იყვ-ნენ

მეშველი ზმნა წარმოდგენილია II კავშირებითის ფორმით, სამივე პირში სრული სახითაა. ახალ ქართულში I პირის ნიშანი მეშველი ზმნიდან გადავიდა მიმღეობაში (შდრ. ძველი ქართულის წარმოება: **დამალულ ვარ, დამალულ ვიყავ, დამალულ ვიყო**).

პირის ნიშნის წინ წამოწევისათვის (ახალ ქართულში) ხელი უნდა შეეწყო ორპირიანი ზმნების უღლებას იმავე სერიის მწკრივებში **(ა. შანიძე)**.

2. ორპირიანი დინამიკური ვნებითი გვარის ზმნები III სერიას შერეულად აწარმოებენ: I თურმეობითში ალწერითად, II თურმეობითსა და III კავშირებითში — ორგანულად.

თურმეობითის საწარმოებლად ახალ ქართულში საუღლებელი ზმნის საწყისს (მასდარს) ემატება მეშველი ზმნა აწმყოს მწკრივის ფორმით. I-სა და II პირში სუბიექტი ორმაგადაა გამოხატული.

გა-**ვ**-ზრდ-ი-**ვ**არ	გა-ვ-ზრდ-ი-ვ-არ-თ
გა-ზრდ-ი-ხარ	გა-ზრდ-ი-ხარ-თ
გა-ზრდ-ი-ა	გა-ზრდ-ი-ან

II თურმეობითსა და III კავშირებითში ვნებითი გვარის ზმნა ორგანული წარმოებისაა — მეშველი ზმნის ნაცვლად მოუდის **ოდ** სავრცობი, რომელსაც ემატება მწკრივის ნიშნად II თურმეობითში **ი** და III კავშირებითში **ე**.

II თურმეობითი	გა-ვ-ზრდ-ოდ-ი	გა-ვ-ზრდ-ოდ-ი-თ
	გა-ზრდ-ოდ-ი	გა-ზრდ-ოდ-ი-თ
	გა-ზრდ-ოდ-ა	გა-ზრდ-ოდ-ნენ
III კავშირებითი	გა-ვ-ზრდ-ოდ-ე	გა-ვ-ზრდ-ოდ-ე-თ
	გა-ზრდ-ოდ-ე	გა-ზრდ-ოდ-ე-თ
	გა-ზრდ-ოდ-ე-ს	გა-ზრდ-ოდ-ნენ

ევ სუფიქსიანი ზმნები ამ მწკრივებში **ოდ** სავრცობის წინ კარგავენ **ვ**-ს: გაჰქცევია, გაჰქცეოდა, გაჰქცეოდეს...

§ 163. მესამე ტიპის უღლება. მესამე ტიპის უღლებას განეკუთვნება საშუალმოქმედებითი გვარის ზმნები (მედიოაქტივები).

როგორც ვიცით, საშუალი გვარის ზმნებს საკუთარი ფორმები მხოლოდ აწმყოს მწკრივში ან აწმყოს წრეში მოეპოვებათ. აწმყოს მწკრივში ისინი ზოგჯერ მეშველ ზმნასაც დაირთავენ (ვწუხვარ). ღანარჩენ ფორმებს სესხულობენ შესაბამისი ფუძის მოქმედებითისაგან. კერძოდ: მყოფადის წრე იწარმოება მოქმედებითის აწმყოს წრისაგან. ზმნის ფორმაში თავს იჩენს **ი** პრეფიქსი, რომელიც მოქმედებითში სათავისო ქცევის ნიშანია, მედიოაქტივში კი უფუნქციოა, რადგან მას პირდაპირი ობიექტი არ შეეწყობა. გარდა ამისა, აწმყოსა და მყოფადის წრე თემის ნიშნებითაც განსხვავებულია (შდრ. ცხოვრობს — იცხოვრებს).

საშუალმოქმედებითი ზმნები II და III სერიას ისევე აწარმოებენ, როგორც შესაბამისი ფუძის მოქმედებითის ფორმები პირდაპირი ობიექტის გამოკლებით.

	საშუალი გვარი	მოქმედებითი გვარი
აწმყ.	**დუღს ის**	**ი-დულ-ებ-ს ის მას**
უწყვეტ.	დუღ-დ-ა	ი-დულ-ებ-დ-ა
აწმყ. კავშ.	დულ-დ-ე-ს	ი-დულ-ებ-დ-ე-ს
მყოფ.	ი-დულ-ებ-ს	ა-ი-დულ-ებ-ს
ხოლ.	ი-დულ-ებ-დ-ა	ა-ი-დულ-ებ-დ-ა
მყოფ. კავშ.	ი-დულ-ებ-დ-ე-ს	ა-ი-დულ-ებ-დ-ე-ს
წყვეტ.	**ი-დულ-ა მან**	**ა-ი-დულ-ა მან ის**
II კავშ.	ი-დულ-ო-ს	ა-ი-დულ-ო-ს
I თურმ.	**უ-დულ-ი-ა მას**	**ა-უ-დულ-ებ-ი-ა მას ის**
II თურმ.	ე-დულ-ა	ა-ე-დულ-ებ-ინ-ა
III კავშ.	ე-დულ-ო-ს	ა-ე-დულ-ებ-ინ-ო-ს

§ 164. მეოთხე ტიპის უღლება. მეოთხე ტიპის უღლებას განეკუთვნება სტატიკური ვნებითები და მედიოპასივი ზმნები.

ა) სტატიკური ვნებითები მწკრივნაკლი ზმნებია: მათ საკუთრივ მოეპოვებათ მხოლოდ აწმყო, საერთოდ აკლიათ უწყვეტელი და აწმყოს კავშირებითი, დანარჩენ მწკრივებს ივსებენ **ენიანი** ვნებითისაგან სესხების გზით.

მყოფადის წრესა და II სერიას ერთპირიანი და ორპირიანი ზმნები ერთნაირად აწარმოებენ, მესამე სერიაში კი განსხვავდებიან პირიანობის მიხედვით, ისევე როგორც სათანადო დინამიკური ვნებითები.

სტატიკური ვნებითი აწმყოს მწკრივის I-სა და II პირში მეშველ ზმნას დაირთავს. ძველ ქართულში მეშველი ზმნა არ გამოიყენებოდა, მის ნაცვლად **იე** დაბოლოება იყო (ვწერი-ვარ←ვწერი-ე).

	სტატიკური ვნებითი		დინამიკური ვნებითი
აწმყ.	ვ-წერი-ვარ	ვ-უ-წერი-ვარ	ვ-ე-წე-რ-ებ-ი
უწყვეტ.	—	—	ვეწერებოდი
აწმყ. კავშ.	—	—	ეწერებოდე

მყოფ.	ვ-ე-წერ-ებ-ი	ვ-ე-წერ-ებ-ი	დავეწერები
ხოლმ.	ვ-ე-წერ-ებ-ოდ-ი	**ვ-ე-წერ-ებ-ოდ-ი**	დავეწერებოდი
მყოფ. კავშ.	ვ-ე-წერ-ებ-ოდ-ე	ვ-ე-წერ-ებ-ოდ-ე	დავეწერებოდე
წყვეტ.	ვ-ე-წერ-ე	ვ-ე-წერ-ე	დავეწერე
II კავშ.	ვ-ე-წერ-ო	ვ-ე-წერ-ო	დავეწერო
I თურმ.	ვ-წერებულ-ვარ	ვ-ს-წერები-ვარ	დავსწერივარ
II თურ.	ვ-წერებულ-იყავ	ვ-ს-წერებ-ოდ-ი	დავსწეროდი
III. კავშ.	ვ-წერებულ-იყო	ვ-ს-წერებ-ოდ-ე	დავსწეროდე

მაშასადამე, რაც **ენიანი** ვნებითის აწმყოს წრეა, ის არის სტატიკური ვნებითის მყოფადის წრე, II და III სერიებში ორივე ტიპის ზმნათა წარმოება მთლიანად ემთხვევა (განსხვავდებიან მხოლოდ ზმნისწინით).

ბ) საშუალვნებითი გვარის ზმნები (მედიოპასივები) ძირითადად გამოხატავენ:

ა) მდგომარეობას: დგას, ზის, წევს, სხედს...

ბ) გრძნობას: უყვარს, სძულს, სძაგს...

გ) ყოლა-ქონებას: აქვს, ჰყავს.

დ) სხვადასხვა: ღირს, სძინავს, სწამს, სჯერა, ახსოვს...

მწკრივთა ქონების თვალსაზრისით ეს ზმნები ორ ჯგუფად იყოფა:

1) სტატიკურთა მსგავსად აკლიათ უწყვეტელი და აწმყოს კავშირებითი;

2) აკლიათ II სერიის მწკრივები.

მედიოპასივებს ძველად მარტივი უღლება ჰქონდათ: ვდგა, ვზი, ვსძულ... ახალმა ქართულმა ზმნის ფორმა უფრო გაართულა: I-სა და II პირში დაუმატა მეშველი ზმნა: ვდგავარ, ვზივარ, ვსძულვარ...

მედიოპასივები დანაკლის მწკრივებს ივსებენ შესაბამისი ფუძის დინამიკური ვნებითისაგან, დამახასიათებელი თავისებურებით. (იხ. § 162).

აწმყ.	დგა-ს ის	ვ-უ-ყვარ-ვარ მე მას
უწყვეტ.	—	ვ-უ-ყვარ-დ-ი
აწმყ. კავშ.	—	ვ-უ-ყვარ-დ-ე
მყოფ.	ი-დგებ-ა	ვ-ე-ყვარ-ებ-ი

ხოლმ.	ი-დგ-ებ-ოდ-ა	ვ-ე-ყვარ-ებ-ოდ-ი
მყოფ. კავშ.	ი-დგ-ებ-ოდ-ე-ს	ვ-ე-ყვარ-ებ-ოდ-ე
წყვეტ.	ი-დგ-ა	—
II კავშ.	ი-დგ-ე-ს	—
I თურმ.	მდგარ-ა	ვ-ყვარებ-ი-ვარ
II თურმ.	მდგარ-იყო	ვ-ყვარებ-ოდ-ი
III კავშ.	მდგარ-იყოს	ვ-ყვარებ-ოდ-ე

როგორც ვხედავთ, ერთპირიანი მედიოპასივის მყოფადი იგივეა, რაც **ინიანი** ვნებითის აწმყო, ორპირიანი მედიოპასივის მყოფადისათვის კი გამოყენებულია **ენიანი** ვნებითის აწმყო.

ვაუღლოთ ზმნა სამივე სერიაში I და II ობიექტური პირის ცვლით.

აწმყ.	მ-ა-ქ-ებ-ს ის **მე**	გვ-ა-ქ-ებ-ს ის **ჩვენ**
უწყვეტ.	მ-ა-ქ-ებ-დ-ა	გვ-ა-ქ-ებ-დ-ა
აწმყ. კავშ.	მ-ა-ქ-ებ-დ-ე-ს	გვ-ა-ქ-ებ-დ-ე-ს
მყოფ.	შე-მ-ა-ქ-ებ-ს	შე-გვ-ა-ქ-ებ-ს
ხოლმ.	შე-მ-ა-ქ-ებ-დ-ა	შე-გვ-ა-ქ-ებ-დ-ა
მყოფ. კავშ.	შე-მ-ა-ქ-ებ-დ-ე-ს	შე-გვ-ა-ქ-ებ-დ-ე-ს
წყვეტ.	შე-მ-ა-ქ-ო	შე-გვ-ა-ქ-ო
II კავშ.	შე-მ-ა-ქ-ო-ს	შე-გვ-ა-ქ-ო-ს
I თურ.	შე-ვ-უ-ქ-ი-ვარ	შე-ვ-უ-ქ-ი-ვარ-თ
II თურ.	შე-ვ-ე-ქ-ე	შე-ვ-ე-ქ-ე-თ
III კავშ.	შე-ვ-ე-ქ-ო	შე-ვ-ე-ქ-ო-თ

აწმყ.	გ-ა-ქ-ებ-ს ის **შენ**	გ-ა-ქ-ებ-თ ის **თქვენ**
უწყვეტ.	გ-ა-ქ-ებ-დ-ა	გ-ა-ქ-ებ-დ-ა-თ
აწმყ. კავშ.	გ-ა-ქ-ებ-დ-ე-ს	გ-ა-ქ-ებ-დ-ე-თ
მყოფ.	შე-გ-ა-ქ-ებ-ს	შე-გ-ა-ქ-ებ-თ
ხოლმ.	შე-გ-ა-ქ-ებ-დ-ა	შე-გ-ა-ქ-ებ-დ-ა-თ
მყოფ. კავშ.	შე-გ-ა-ქ-ებ-დ-ე-ს	შე-გ-ა-ქ-ებ-დ-ე-თ
წყვეტ.	შე-გ-ა-ქ-ო	შე-გ-ა-ქ-ო-თ
II კავშ.	შე-გ-ა-ქ-ო-ს	შე-გ-ა-ქ-ო-თ
I თურმ.	შე-უ-ქ-ი-ხარ	შე-უ-ქ-ი-ხარ-თ
II თურმ.	შე-ე-ქ-ე	შე-ე-ქ-ე-თ
III კავშ.	შე-ე-ქ-ო	შე-ე-ქ-ო-თ

ლიტერატურა

გოგოლაშვილი გ. — ქართული ზმნის უღლილების სისტემა, თბ., 1988.
კვაჭაძე ლ. — ქართული ენა, ნაწილი I, თბ., 1981.
შანიძე ა. — ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.
ჩიქობავა არნ. — ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება: ქეგლ, I, 1950.

სახელზმნა

§ 165. სახელზმნის რაობა და სახეები. სახელზმნა ჰქვია ისეთ სიტყვას, რომელსაც მოეპოვება სახელისა და ზმნის გრამატიკული ნიშნები.

სახელზმნა იბრუნვის და წინადადებაში სახელის სინტაქსურ ფუნქციას ასრულებს. ამდენად, იგი სახელია. სახელზმნის კითხვებია: რა? რომელი? როგორი? მაგ.: დავიწყეთ **ბარვა** (რა?), მოვიდა **მშენებელი** კაცი (რომელი?), **დანგრეული** სახლი აშენდა (როგორი?).

სახელზმნას მოეპოვება სახელის ორივე კატეგორია—ბრუნვა და რიცხვი: ბარვა, ბართვა-მ, ბარვა-ს... მშენებელი — მშენებლები.

სახელზმნა ზმნური კატეგორიებით უფრო მდიდარია. მას გააჩნია: გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, გვარი, კონტაქტი. ამიტომ „მისი ადგილი უფრო ზმნათა სისტემაშია, ვიდრე სახელისაში. გარდა ამისა, ზმნასთან მას აერთიანებს ლექსიკური შინაარსი, წარმოება და გამოყენება III სესიის ფორმათათვის“ **(ა. შანიძე).**

მართალია, სახელზმნა, როგორც მეტყველების ნაწილი, არსებითი ან ზედსართავი სახელია, მაგრამ იგი გარკვეულ შემთხვევაში ინარჩუნებს უნარს — ზმნის მსგავსად სახელი შეიწყოს ამა თუ იმ ბრუნვის ფორმით. მაგ., მონადირე **ხანჯლით დაჭრის** დათვს. შდრ. დათვის **ხანჯლით დაჭრა** ძნელია, **ხანჯლით დაჭრილი** დათვი საშიშია. მოქმედებითი ბრუნვის ფორმით უბრალო დამატებას (ხანჯლით) პირველ შემთხვევაში შეიწყობს ზმნა-შემასმენელი (დაჭრის), მეორეში კი — სახელზმნები (დაჭრა, დაჭრილი).

ძველ ქართულში სახელზმნას კიდევ უფრო მეტი ზმნური ძალა ჰქონდა: ვითარებით ბრუნვაში მდგარ საწყისს ზოგჯერ პირდაპირი დამატება შეეწყობოდა: ბრძანა **მიცემად პური.** ესეც იმის მაჩვენებელია, რომ სახელზმნა უფრო ზმნაა, ვიდრე სახელი **(ა. შანიძე, არ. მარტიროსოვი).**

სახელზმნა ორგვარია: საწყისი და მიმღეობა. ტერმინი „სახელზმნა“ შემოღებულია **ანტონ პირველის** მიერ იმ ფორმის აღსანიშნავად, რომელსაც ამჟამად საწყისს ვეძახით. დღეს სახელზმნის მნიშვნელობა გაფართოებულია. იგი მოიცავს საწყისსაც და მიმღეობასაც. ამის გამო აუცილებელი გახდა ახალი ტერმინის გამონახვა დღევანდელი საწყისისათვის. საამისოდ გამოყენებულ იქნა ქართული სიტყვა „საწყისი“, რომელიც გადმოგვცემს არაბული **„მასდარ“** სიტყვის მნიშვნელობას (=გამოსავალი, საიდანაც გამოდიან: **ა. შანიძე**).

სამეცნიერო ლიტერატურაში პარალელურად იხმარება ორივე ტერმინი — „საწყისი“, „მასდარი“.

ტერმინი „მიმღეობაც“ **ანტონ კათალიკოსის** გრამატიკიდან მომდინარეობს. ავტორის აზრით, ამ ფორმას მიმღეობა იმიტომ ჰქვია, რომ ზმნისა და სახელისაგან იღებს კატეგორიებსა და თვისებებს.

ტერმინი „მიმღეობა“, მეცნიერთა აზრით, არ არის ზუსტი, ხელოვნურია, აჯობებდა უფრო „შესატყვისი“ გამონახულიყო, მაგალითად, მონაწილე“, „მოზიარე“ ან სხვა რამ, მაგრამ „მიმღეობა“ ტრადიციულია და ამიტომ ჯერ კიდევ ძალაშია **(ა. შანიძე, ეკ. ოსიძე)**.

§ 166. მეტყველების ნაწილთა სისტემაში სახელზმნათა ადგილის შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით ქართულ ლინგვისტიკაში გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება.

ა. შანიძე სახელზმნებს აკუთვნებს ზმნებს და მათ განიხილავს ზმნათა სისტემაში.

აკ. დავითიანი თვლის, რომ სახელზმნა ისეთივე დამოუკიდებელი სრულუფლებიანი მეტყველების ნაწილია, როგორიც სახელი და ზმნა. ამიტომ სახელზმნა უნდა გამოიყოს ცალკე მეტყველების ნაწილად და მისი ანალიზის დროს აღინიშნოს როგორც ზმნური, ისე სახელური კატეგორიები...

შ. კეკელიას მიაჩნია, რომ სახელზმნის სწავლება სკოლაში მეტისმეტად რთულია, რადგან ერთი და იგივე სიტყვა რამდენჯერმეა დასახელებული სხვადასხვა მეტყველების ნაწილთან: **წერა — მოქმედების სახელი** (არსებითთან), **უპირო ზმნა** (**ზმნის** რაობის დროს), **საწყისი** (სახელზმნასთან). ამიტომ, მისი აზრით, პროგრამიდან და სახელმძღვანელოდან სახელზმნა ცალკე თუმად უნდა ამოღოთ და საწყისი განვიხილოთ არსებით სახელებში, მიმღეობა კი — ზედსართავებში.

უ. ყორღანაშვილის მიხედვით, სასურველია საწყისისა და მიმღეობის სწავლებისას მოხდეს მათი დიფერენცირება, კერძოდ: არსებითი სახელის შინაარსით დაჯგუფებისას მოქმედების სახელებში დავტოვოთ მხოლოდ სახელურნიშნებიანი მოქმედების სახელები: ჭრიალი, რაკრაკი, ტირილი, კივილი... (ამგვარ სიტყვათათვის ტერმინი „მოქმედების სახელები“ გამართლებულია). მეორე მხრივ, სახელზმნური საწყისები (კეთება, ხატვა...) ამოვიღოთ არსებითი სახელის შინაარსეული ჯგუფიდან და განვიხილოთ თემა „საწყისში“, ხოლო **ხი — ილ. სი — ულ** აფიქსებიანები (სი-ყვარ-ულ-ი)—აბსტრაქტულ სახელებში.

ს ა წ ყ ი ს ი

§ 167. საწყისის რაობა. საწყისის კატეგორიები. საწყისი ჰქვია ზმნის უუღლებელ ფორმას, რომელიც ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელია უღლების კატეგორიათაგან განყენებულად **(ა. შანიძე)**, ე. ი. საწყისს აქვს ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა, მაგრამ არ მოეპოვება უღლების კატეგორიები.

როგორც მეტყველების ნაწილი, საწყისი არსებითი სახელია, ამიტომ სხვაგვარად მას უწოდებენ ნაზმნარ არსებით სახელს. სინტაქსურად საწყისი შეიძლება იყოს ქვემდებარე, დამატება, გარე-
ქვ. დამ.
მოება...“ **თესვა** გაზაფხულზე იწყება“. „სულმა **მფოთვა** დამიწყო“,
დრ. გარ.
„მუშაობის შემდეგ დავისვენებ“.

საწყისს სახელის კატეგორიებიდან აქვს ბრუნვა (ხატვა, ხატვა-მ...), მაგრამ ვერ აწარმოებს მრავლობით რიცხვს. **ა. შანიძის** სიტყვებით რომ ვთქვათ, „საწყისს რიცხვი არ გააჩნია, საწყისის მრავლობითი მოჩვენებითია“, თუმცა **ი. იმნაიშვილი** ძველი და ახალი ქართულის მიხედვით შენიშნავს: „არ შეიძლება ვთქვათ, რომ საწყისს მრავლობითი რიცხვი არ გააჩნია: გმობანი, სალმობანი, ძეგრანი...“

მართლაც, იშვიათად, მაგრამ მაინც (უფრო მწერლობაში) შეიძლება შეგვხვდეს საწყისის **ნარიანი** მრავლობითის ფორმები: ცქერანი, მზერანი, ჟღერანი...

ებიანი მრავლობითი საწყისს არ ეწარმოება, მაგრამ, თუკი საწყისი მთლიანად არსებითი სახელის რიგში ჩადგება (ე. ი. ზმნასთან ვაწყვეტს კავშირს), მაშინ მას **ებიანი** მრავლობითიც ექნება: განცხადება—განცხადებები, კითხვა—კითხვები, სხდომები, კრებები, შრომები... ესენი უკვე არსებით სახელებს განეკუთვნებიან.

საწყისი უფრო მდიდარია ზმნური კატეგორიებით, მას შეუძლია გამოხატოს გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, კონტაქტი, იშვიათად — გვარიც.

გზავნა (მიუმართავი, უსრული ასპ.) — **გაგზავნა** (მიმართული, სრული ასპ.); **გაგზავნა** (საქმეთო) — **გამოგზავნა** (სააქეთო); **გზავნა** (უშუალო კონტაქტი) — **გზავნინება** (შუალობითი).

რამდენიმე ზმნასთან საწყისი გვარის მიხედვითაც განსხვავებულია. მოქმედებითია **ტეხა, წყვეტა, ხეთქა...** ვნებითი — **ტყდომა, წყდომა, სკდომა...**

მიუხედავად ამ გამონაკლისებისა, საზოგადოდ, საწყისი არის ზიარი კატეგორია მოქმედებითისა და ვნებითისათვის. მაგ., **შენება** არის **აშენებს — შენდება** ზმნების საწყისი.

§ 168. საწყისის წარმოება. საწყისი იწარმოება ზმნის აწმყოს ფორმის უნდა ჩამოვაშოროთ პირის, რიცხვის, მწკრივის ნიშნები და სავრცობი, ქცევის, გვარის მაწარმოებელი აფიქსები და შემდეგ დაეუმატოთ **ა** სუფიქსი: ა-შენებ-ს→შენებ-ა, ე-მზადებ-ოდ-ა→მზადებ-ა.

საწყისის **ა** მაწარმოებლის დართვისას იკვეცება **ი** თემის ნიშანი, აგრეთვე იკარგება **ავ, ამ** თემატური სუფიქსების **ა** ხმოვანი: შლ-ი-ს →შლ-ა, ხატ-ავ-ს→ხატვ-ა, ა-ბ-ამ-ს→ბმ-ა.

თუ **ავ** თემისნიშნიან ზმნებში ფუძე თავდება **ნ, რ, ლ** ბგერებით, საწყისის წარმოებისას **ვ** გადაინაცვლებს ფუძეში: კლავს—კლვა—კვლა, კრავს — კრვა — კვრა, ხნავს—ხნვა—ხვნა. **ვ** ასეთ შემთხვევაში ინფიქსად იქცევა.

ახალი ქართულისათვის ნორმაა საწყისის წარმოება **ა** სუფიქსით. იგი ახასიათებს ზმნათა დიდ უმრავლესობას. ამათ გარდა, გვხვდება ე. წ. **ომ**იანი, **ოლ**იანი, **ნარ**იანი და ძველი ქართულიდან შემორჩენილი ძველისძველი წარმოების საწყისები.

1) ომიანი საწყისი მიიღება მაშინ, როცა ზოგიერთი გარდაუვალი ზმნის საწყისში **ა** სუფიქსის წინ თავს იჩენს **ომ** ინფიქსი: ჯდ-ომ-ა, ტყდ-ომ-ა, სხდ-ომ-ა, ხტ-ომ-ა (შდრ. ჯდება, ტყდება, სხდება, ხტება). მართალია, საწყისის წარმოებისას გვარის ნიშანი ჩამოშორდება ზმნას, მაგრამ ზოგიერთ ზმნაში იგი შენახულია, მაგალითად: ტყდომა, სკდომა, სხდომა, შდრ. ტეხს—ტყდება—ტყდომა, დაგვსხა—დავსხედით—სხდომა **(ვ. თოფურია)**.

2) ოლიანი საწყისი მიიღება, როცა გარდაუვალი ზმნის საწყისის ფორმას **ა** მაწარმოებლის წინ ჩაერთვის **ოლ** ინფიქსი: ბრძ-ოლ-ა, ყ-ოლ-ა, ქრ-ოლ-ა, წ-ოლ-ა (შდრ. ებრძვის, ჰყავს, ქრის, წევს)[1].

3) ნარიანი საწყისი მიიღება საწყისის **ა** მაწარმოებლის წინ (განსაკუთრებით ვინით დაბოლოებულ ფუძეებში) **ნ** სუფიქსის ჩართვის შედეგად: თხოვ-ნ-ა, პოვ-ნ-ა, შოვ-ნ-ა... (შდრ. ითხოვს, იპოვის, იშოვის).

ახალ ქართულში შემორჩენილია საწყისის ძველი წარმოების ნაშთები, სადაც საწყისის მაწარმოებლებად გამოყენებულია **ილ, ს—ა, სი—ილ, სი—ულ.**

ილ: ტირ-ილ-ი, წუხ-ილ-ი, დუღ-ილ-ი, კივ-ილ-ი...

ს—ა, ს-ვლ-ა, ს-რბ-ა, ს-ყიდ-ა.

სი—ილ: სი-რბ-ილ-ი, სი-ც-ი-ილ-ი, სი-კვდ-ილ-ი, სი-ძულვ-ილ-...

სი—ულ: სი-ხარ-ულ-ი, სი-ყვარ-ულ-ი, სი-არ-ულ-ი, სი-ნან-ულ-ი...

მოიპოვება რიგი ნასახელარი ზმნებისა, რომლებსაც არა აქვთ საწყისი. საჭიროების შემთხვევაში საწყისის მაგივრობას ეწევა იმ სახელი, რომლისგანაც ზმნის პირიანი ფორმა არის ნაწარმოები: ლაპარაკი, ბაასი, საუბარი, ტრიალი, კაშკაში, ჩუხჩუხი, ღიღინი...

სი—ილ, ილ, სი—ულ აფიქსებით წარმოქმნილი სახელები დღეს უკვე არსებით სახელთა რიგებში დგანან, მიუხედავად იმისა, რომ მათ მრავლობითი რიცხვი არ ეწარმოებათ **(ა. შანიძე)**.

მიმღეობა

§ 169. მიმღეობის რაობა და სახეები. მიმღეობის კატეგორიები. მიმღეობა ჰქვია ზმნის უუღლებელ ფორმას, რომელიც იბრუნვის და წინადადებაში ისეა გამოყენებული, როგორც ზედსართავი სახელი.

[1] **არნ. ჩიქობავას** აზრით, **ომ, ოლ** ზენური ფუძის მაწარმოებელი აფიქსებია და არა მისდარისა.

მიმღეობა ნაზმნარი ზედსართავი სახელია, სინტაქსურად იგი განსაზღვრებაა ან შედგენილი შემასმენელის სახელადი ნაწილი (**აშენებული** სახლი, სახლი **აშენებული იყო**).

მიმღეობა მიუგებს ზედსართაულის კითხვებზე: როგორი? რომელი?

მიმღეობას აქვს ბრუნვისა და რიცხვის კატეგორიები: გახარებულ-ი, გახარებულ-მა, გახარებულ-ს... დაჭრილ-ი დაჭრილ-ე-ბი... ზმნის ნიშნებიდან კი მოეპოვება დრო, ასპექტი, გეზი, ორიენტაცია, გვარი, კონტაქტი. მაგ., **გზავნილი** — მიუმართავი გეზი, უსრული ასპექტი, ვნებითი გვარი, წარსული დრო; **გაგზავნილი** — მიმართული გეზი, საქეთო ორიენტაცია, სრული ასპექტი, ვნებითი გვარი; **გამგზავნებელი** — მოქმედებითი გვარი, შუალობითი კონტაქტი.

საწყისისაგან განსხვავებით მიმღეობას დამატებით მოეპოვება დრო და გვარი.

მიმღეობა შეიძლება იყოს მოქმედებითი, ვნებითი ან საშუალო გვარისა.

მიმღეობის ფორმათა საწარმოებლად გამოყენებულია პრეფიქსი, სუფიქსი ან პრეფიქს-სუფიქსი.

დროის კატეგორია ახასიათებს მხოლოდ ვნებითი გვარის მიმღეობასა და საშუალო გვარის ერთადერთ — **ვალ** ძირის ზმნას. ვნებითი გვარის მიმღეობას ორი დრო აქვს: წარსული და მომავალი, **ვალ** ზმნას კი — სამივე.

მართალია, მიმღეობას მოეპოვება რამდენიმე ზმნური კატეგორია, მაგრამ ახალ ქართულში იგი მნიშვნელობის (აღნიშნავს ნიშან-თვისებას), ფორმაცვალებისა (იბრუნვის) და სინტაქსური ფუნქციის (განსაზღვრებაა) მიხედვით სახელია.

§ 170. მოქმედებითი გვარის მიმღეობა. მოქმედებითი გვარის მიმღეობა არის ფორმა, რომელიც მოქმედებითი გვარის ზმნის სუბიექტური პირის მოქმედებას წარმოგვიდგენს უღლების კატეგორიებისაგან განყენებულად: **გამტეხი** — ვინც ტეხს, ვინც გატეხა ან გატეხს.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოქმედებითი გვარის მიმღეობა ისეთი ზედსართავი სახელია, რომელიც საგნის ნიშან-თვისებას გამოხატავს და რაიმე მოქმედების ჩამდენად წარმოგვიდგენს მას.

მოქმედებითი გვარის მიმღეობა ემყარება ზმნის I სერიის თემას, ამიტომ თემის ნიშანი ყველგან ჩანს, გარდა **ი** ნიშნიანი ზმნებისა: **აბ-ამ-ს — მ-ბ-მ-ელ-ი, დამბმელი**, შლ-ი-ს — **მშლელი**. თუ **ავ, ამ**

ნიშნიან ზმნებს მიმღეობის მაწარმოებლად **ელ** სუფიქსი მოუდის, მაშინ თემის ნიშნის **ა** ხმოვანი იკარგება: კლ-ავ-ს — მ-კლავ-ელ-ი — მკვლელი.

მოქმედებითი გვარის მიმღეობის მაწარმოებლებია: **მ-, მ—ელ, მა—ელ.** მათგან ძირითადია **მ.**

მ: და-მ-წერი, მ-კერავი, გა-მ-ტეხი...

მ—ელ: მ-შენებ-ელ-ი, მ-კეთებ-ელ-ი...

მა—ელ: და-მა-არწებ-ელ-ი, და-მა-მშვენებ-ელ-ი...

მოქმედებითი გვარის ზოგიერთი მიმღეობა ნაწარმოებია **მ—არ** (ალ) პრეფიქს-სუფიქსით: მხატვარი, მწერალი, მკურნალი... მაგრამ ახლა ეს სიტყვები განიხილება როგორც არსებითი სახელები, რომლებიც პროფესიაზე მიუთითებენ. საზოგადოდ, მოქმედებითი გვარის მიმღეობები წინადადებაში ძალიან ხშირად გვხვდება. ისინი ადვილად იქცევიან არსებით სახელებად.

ზოგიერთი მიმღეობა თავისებურად იწარმოება:

1) **საჯ** ფუძისაგანაა ნაწარმოები მ-**საჯ**-ულ-ი.

2) **მეტყველი** წარმოქმნილია **მ—ელ** კონფიქსით.

3) **მო—ედ** აფიქსითაა მიღებული ფორმა მო-ქმ-ედ-ი. შეცდომაა მო-მ-ქმ-ედ-ი.

4) **მასწავლებელი** მიღებულია ძვ. **ვასწავებ** და ახალი **ვასწავლი** ფორმათა კონტამინაციით.

§ 171. ვნებითი გვარის მიმღეობა. ვნებითი გვარის მიმღეობა ვნებითი გვარის ზმნის სუბიექტური პირის მოქმედებას წარმოგვიდგენს უღლების კატეგორიათაგან განყენებულად. მაგალითად, **აშენებული** — რაც ააშენეს, რაც აშენდა.

ვნებითი გვარის მიმღეობა ისეთი ნაზმნარი სახელია, რომელიც საგნის ნიშან-თვისებას გამოხატავს და რაიმე მოქმედებას ჩადენილად, განცდილად წარმოგვიდგენს.

მიმღეობის ფორმები აქვს დინამიკურ ვნებითს.

ფორმათა წარმოების თვალსაზრისით ვნებითი გვარის მიმღეობა მრავალფეროვანია. იგი შეიძლება იყოს წართქმითი და უკუთქმითი: დაწერილი — დაუწერელი. დროის გაგება აქვს მხოლოდ წართქმით მიმღეობას, რომელსაც შეიძლება გააჩნდეს წარსული და მომავალი დრო.

წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღეობა წარმოების მიხედვით სამგვარია: პრეფიქსიანი, სუფიქსიანი, პრეფიქს-სუფიქსიანი.

1) პრეფიქსიანი მიმღეობის მაწარმოებელი არის **ნა:** ნა-წერი, ნა-ხნავი, ნა-კეთები... ზოგჯერ **ნა**-ს ერთვის **არ** სუფიქსი: ნა-ჩუქ-არი, ნა-უბ-არ-ი...

2) სუფიქსიანი მიმღეობის მაწარმოებლებია **ილ** და **ულ.**

ილ: დაწერ-ილ-ი, გაშლ-ილ-ი, შეკერ-ილ-ი...

ულ: დამალ-ულ-ი, აგებ-ულ-ი, დაბმ-ულ-ი...

შესაძლებელია შეგვხვდეს ერთი და იმავე მიმღეობის პარალელური (პრეფიქსიანი და სუფიქსიანი) ფორმები: **მონაგები//მოგებული, დანაწერი//დაწერილი...** დღეს უფრო ჭარბობს და უპირატესია პრეფიქსიანი წარმოება, ძველ ქართულში პირიქით იყო.

3) პრეფიქს-სუფიქსიანი მიმღეობა იწარმოება მარტივი ფუძისაგან **მ—არ (ალ)** აფიქსებით: და-**მ**-ხმ-**არ**-ი, გა-**მ**-შრ-**ალ**-ი.

ვნებითის მიმღეობის პრეფიქს-სუფიქსიანი წარმოება არ არის პროდუქტიული (როგორც თვით უნიშნო ვნებითები).

ნაშთის სახით მოღწეულია ვნებითი გვარის მიმღეობა, რომლის მაწარმოებლებია **მე** ან **მო** პრეფიქსები: მე-რყევი, მე-რწევი, მე-რხევი, მე-სხლტი, მო-ზარდი, მო-ძრავი, მო-კვდავი.

მომავალი დროის ვნებითი გვარის მიმღეობა იწარმოება **სა** და **სა—ელ** აფიქსებით: და-**სა**-წერი, გა-**სა**-ტეხი, და-**სა**-შლ-ელ-ი, გა-**სა**-თლ-**ელ**-ი.

ვნებითი გვარის მიმღეობას გააჩნია უკუთქმითი ფორმები (სა-შუალთაგან მხოლოდ **ვალ** ფუძეს). უკუთქმითი მიმღეობა იწარმოება უ პრეფიქსითა და **ელ** სუფიქსით, შეიძლება იყოს მარტო **უ** პრეფიქსი, და-**უ**-წერ-**ელ**-ი, გა-**უ**-თლ-**ელ**-ი, გა-**უ**-შლ-**ელ**-ი... და-**უ**-კლავი, და-**უ**-ხატავი.

§ 172. საშუალი გვარის მიმღეობა. საშუალი გვარის ზმნათა მიმღეობის ფორმები ქართულში ნაკლებ შემუშავებულია, ვიდრე მოქმედებითისა და ვნებითისა. რადგან ა) ზოგ ზმნას საერთოდ არ უკეთდება მიმღეობა (მიკვირს, მძაგს, მყავს, ვპოეტობ...), ბ) ერთნაირი მიმღეობა აქვს სხვადასხვა ტიპის ზმნებს, ან არადა ერთნაირ ზმნებს სხვადასხვა მიმღეობა ეწარმოება (დუღს — მდუღარი, დგას — მდგომარე... გორავს — მგორავი, ჭიკჭიკებს — მოჭიკჭიკე...), გ) ერთისა და იმავე ფუძისაგან გვაქვს ორგვარად ნაწარმოები ფორმები (სხვადასხვა ეპოქისა ან ლიტერატურაში სხვადასხვა დიალექტური წრიდან შემოსული) ზოგჯერ განსხვავებული მნიშვნელობით: მოახლე-მხლებელი, მოყვარე-მოყვარული, მფრინველი-მფრინავი **(ა. შანიძე).**

მედიოაქტივსა და მედიოპასივ ზმნებს მიმღეობა განსხვავებულად ეწარმოებათ.

მედიოაქტივ ზმნათა მიმღეობის მაწარმოებლებია აფიქსები: **მ-, მო—ე, მ—არ, მ—არე.**

მ: მ-ცურავი, მ-გორავი, მ-ხოხავი...

მო—ე: მო-ჭიკჭიკ-ე, მო-თამაშ-ე, მო-ცაკრაკ-ე, მო-ჭიდავ-ე....

მ—არ (ალ): მ-ძინ-არ-ი, მ-ყივ-არ-ი, მ-ტირ-ალ-ი, მ-ყვირ-ალ-ი..

მ—არე (ალე): მ-ქუხ-არე, მ-წვიხ-არე, (მ)ბრწყინვ-ალე...

მედიოპასივ ზმნათა მიმღეობას აწარმოებს ძირითადად **მ—არე-**აქ მიმღეობის ამოსავალი ფორმაა საწყისი: დგას—დგომა—მ-დგომ-არე, მ-ჯდომ-არე, მ-წოლ-არე, მ-დებ-არე...

ვალ ფუძისაგან მომდინარე საშუალი გვარის მიმღეობა სამივე დროის გაგებას გვიჩვენებს: მომავალი (ახლანდელი), მოსული (წარსული), მოსავალი//მოსასვლელი (მომავალი დრო).

ზოგიერთი მიმღეობა სახელადაა ქცეული. ასეთებია: მცველი, მასწავლებელი, მატარებელი, შვილი, მშობელი, მოსწავლე, მოახლე, კრებული, თხრილი, ნაჭერი...

ზ. სარჯველაძის აზრით, **მოწაფე** სიტყვისათვის ამოსავალია წაფ ძირი, რომლისგანაც იწარმოება მიმღეობა მ-წაფ-ელი, რაც ძველ ქართულში ნიშნავდა **წამყვანს, წინამძღოლს.** უფრო მოგვიანებით **მწაფელი**-საგან მიღებული გამარტივებული **მოწაფეც** ნიშნავდა **მიმდევარს, მიმყოლს,** წაფ (ლაზური — **წოფ**) ძირთან **სწავლის, სწავლობს** მნიშვნელობა მეორეულია.

§ 173. ნაცარქექია ტიპის სახელთა წარმოების საკითხი ქართულ ლინგვისტიკაში. ქართულში არის ჯგუფი სახელებისა, რომლებიც ფორმით არა, მაგრამ შინაარსით უახლოვდებიან მოქმედებითი გვარის მიმღეობას. ასეთებია **ია**-თი ნაწარმოები ფორმები: **ნაცარქექია ბელტიყლაპია, ჩიტირეკია** და ა. შ.

ნაცარქექია ტიპის სახელები სამეცნიერო ლიტერატურაში ბევრჯერ იქცა მსჯელობის საგნად. კერძოდ, საინტერესოა, თუ რა მორფოლოგიური ოდენობაა ეს ფორმა მთლიანად და მისი ნაწილები ცალ-ცალკე.

ა. შანიძის აზრით, **ჭამია, ყლაპია, ქექია** და მისთანანი გვხვდე-

შა ნათესაობითში დასმულ სახელთან, რომელსაც ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის **ს** თანხმოვანი მოკვეცილი აქვს: **ბელტისყლა-პია→ბელტიყლაპია.**

ე. ობიძე წერს: **ნაცარქექიას** წარმოებაში სახელადი ნაწილი წარმოადგენს შესაბამისი ზმნის პირდაპირ ობიექტს. ზმნური ნაწილი ბრძანებითის ფორმით არის წარმოდგენილი, შესაბამისად, თავდაპირველი ფორმა იქნებოდა ნაცარი **ქექე,** სადაც **ქექე** ზმნა შეიწყობდა პირდაპირ ობიექტს. მოგვიანებით ზმნას გამოეცალა თავისთავადობა, ეს ორი სიტყვა შეერთდა, სახელად იქცა **ა** სუფიქსის დახმარებით.

ფ. ერთელიშვილიც განსხვავებულ თვალსაზრისს გვაწვდის: **„ნაცარქექია** ტიპის ფორმებს პირობითად ეწოდება მიმღეობა. იგი შედგება სახელისა და ზმნისაგან. ზმნა ხოლმეობითის მწკრივშია, რომლის მაწარმოებელი არის **ი** სუფიქსი: **ქექის, ჭამის, ყლაპის** (შდრ. წერის, დაწერის...), **ა** არის მიმღეობის მაწარმოებელი ელემენტი. იგი ისეთივეა, როგორც საწყისის **ა.** სახელადი ნაწილი სახელობით ბრუნვაშია, რადგან პირდაპირი დამატება (სახელადი ნაწილი) II სერიაში სახელობითშია: **ჭამის ყველი — ყველიჭამია".**

მზ. მრევლიშვილის ვარაუდით, **ქექია** არის მიმღეობის ფორმა, რომელსაც დაკარგული აქვს მაწარმოებელი **მ** (მქექი→ქექი), ბოლოკიდური **ა** კი კნინობითობის აღმნიშვნელია. **ნაცარქექია** ტიპის კომპოზიტების პირველი წევრი არის ფუძის სახით წარმოდგენილი პირდაპირი ობიექტი, მეორე წევრი (მიმღეობა) ამოსავლად იყენებს II სერიას. ეს კომპოზიტი მთლიანად სუბიექტს გამოხატავს.

§ 174. სახელზმნის შესწავლის მოკლე ისტორია. ქართულ ლინგვისტიკაში სახელზმნის შესწავლას ძველი და ახალი ქართულის დონეზე ბევრი მეცნიერული ნაშრომი მიეძღვნა.

საწყისისა და მიმღეობის შესახებ ცნობები მოცემულია **ანტონის** გრამატიკაში. მასში ძირითადად სწორადაა დახასიათებული საწყისის ნიშნები. გარდა ამისა, საგანგებოდ არის შესწავლილი მიმღეობაც.

მომდევნო ხანის ძველი ქართველი გრამატიკოსები მეტ-ნაკლებად იმეორებდნენ ანტონისეულ კვალიფიკაციას საწყისსა და მიმღეობასთან დაკავშირებით.

სახელზმნა მეცნიერულად შესწავლილია **აკ. შანიძის** მიერ ჯერ კიდევ 1930 წლის „ქართულ გრამატიკაში", შემდეგ — „ქართული

გრამატიკის საფუძვლებში" საწყისი და მიმღეობა გაანალიზებულია ფორმობრივ-სემანტიკურად, გამოყოფილია წარმოების თავისებურებანიც.

არნ. ჩიქობავა ზანურისა და ქართულის ანალიზის საფუძველზე ასკვნის, რომ ისტორიულად მასდარი და მიმღეობა ერთი ოდენობა იყო, იწარმოებოდა ერთნაირი პრეფიქს-სუფიქსით. კერძოდ, მასდარს აწარმოებდა **ა, ლ** სუფიქსები და **ს—ა, ს—ლ** კონფიქსები (შლ-ა, ტირი-ლ-ი, ს-ვლ-ა, ს-იცი-ლ-ი...). თავსართ-ბოლოსართიან წარმოებაში მასდარისათვის ნიშანდობლივია ისევ ბოლოსართი, თავსართი **ს** ამჟამად უფუნქციოა, წარმოშობით კი გრამატიკული კლასის ნიშანი იყო. მიმღეობის მაწარმოებელი პრეფიქსებიდან **მ** თავდაპირველად მიუთითებდა ადამიანის კლასზე.

ბ. ცხადაძემ შეისწავლა მასდარისა და აბსტრაქტულ სახელთა ურთიერთობა და აღნიშნა, რომ ამ ჯგუფის სახელები ახლოს დგანან ფუნქციისა და საწარმოებელ აფიქსთა თვალსაზრისით. **ებ, ობ** სუფიქსები (შენება, ცხობა... ბედნიერება, მშვიდობა..) ერთ წარმომავლობისა არიან: წარმოშობით თემის ნიშნები იყვნენ.

ქ. ლომთათიძის აზრით, უმჯობესია ვიხმაროთ ტერმინები „სუბიექტო მიმღეობა", „საობიექტო მიმღეობა" და არა: „მოქმედებითი გვარის მიმღეობა", „ვნებითი გვარის მიმღეობა", რადგან ამ ტერმინებში ჩანს, რომ ისინი იწარმოებიან მოქმედებითი ან ვნებითი გვარისაგან. ფაქტობრივად კი მიმღეობა ვნებითი გვარის ზმნისაგან არ იწარმოება.

ეკ. ობიძემ მართებულად მიიჩნია ტერმინები „სუბიექტური მიმღეობა"//„სასუბიექტო მიმღეობა", „ობიექტური მიმღეობა"//„საობიექტო მიმღეობა", მით უფრო, რომ საშუალი გვარის მიმღეობის ცალკე გამოყოფა სამეცნიერო ლიტერატურაში საეჭვოდაა ჩათვლილი.

ასევე, მეცნიერის ვარაუდით, ქართულში უნდა გვქონოდა მოქმედებითი და ვნებითი გვარის მიმღეობა სამივე დროისა.

ლიტერატურა

ბარამიძე ლ. — საწყისი ძველ ქართულში: თსუ ძვ. ქართ. ენის კათედრის შრ. 19.

დავითიანი აკ. — სახელზმნათა ადგილისათვის მეტყველების ნაწილთა სისტემაში: ქელს, 1975, № 2.

ერთელიშვილი ფ. — მიმღეობის ერთი ტიპი ქართულში: თსუ შრ., 717, 1985.
კვაჭაძე ლ. — ქართული ენა, ნაწილი I, 1981.
კვაჭაძე ლ. — მიმღეობისა და სახელის ზოგიერთი ფორმის სინტაქსური ურთიერთობისათვის: „კომუნისტ. აღზრდისათვის", 1975, № 12.
კიკვიძე ბ. — მიმღეობის ერთი ტიპის წარმოებისათვის ქართულში: მეცნ. აკად. მოამბე, II, 1960.
კოტიხოვი ნ. — ვითარებითში დასმული მასდარის ფუნქციები ძველ ქართულში: თელავის პედინსტიტუტის შრ., ტ. 5, 1965.
მარტიროსოვი არ. — მასდარული კონსტრუქციის გენეზისისათვის: იქვე, VII, თბ., 1955.
მრევლიშვილი მზ. — კომპოზიტები ქართულ ენაში: თსუ შრ., 67, 1957.
ნათაძე ნ. — შესაძლებლობის მიმღეობათა წარმოებისათვის თანამედროვე ქართულში: იქვე, XIII, 1962.
ოსიძე ეკ. — მიმღეობის წარმოება ქართულში: თსუ შრ., 67, 1957.
სანიკიძე თ. — მიმღეობათა პარალელური ფორმების წარმოების ზოგი საკითხისათვის: თსუ შრ., ენათმეცნიერება, ტ. 164, 1975.
ქავთარაძე ივ. — ერთი ტიპის ზმნათა ფუძისა და სახელის წარმოების თავისებურება ქართულში: მეცნ. აკად. მოამბე, 1960, № 3.
ყორდანიშვილი უ. — სახელზმნის სწავლების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973.
შანიძე ა. — ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.
ჩიქობავა არნ. — ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება: ქეგლ, I, 1950.
ჩიქობავა არნ. — მასდარისა და მიმღეობის ისტორიული ურთიერთობისათვის: იქვე, IV, 1953.
ჩხუბიანიშვილი დ. — ინფინიტივის საკითხისათვის ძველ ქართულში, თბ., 1972.
ცხადაძე ბ. — მასდარის წარმოება ძველ ქართულში, თბ., 1986.

ზმნიზედა

§ 175. ზმნიზედის რაობა. მისი მნიშვნელობა და ფუნქცია. ზმნიზედა უძველესი მეტყველების ნაწილია. იგი **დიონისე თრაკიელის** გრამატიკაში შეტანილი იყო **ზმნისართის** სახელწოდებით

ზმნიზედა ჰქვია დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ფორმაუცვლელ სიტყვას, რომელიც აღნიშნავს, თუ სად, როდის, როგორ, რა ზომით, რამდენჯერ, რატომ ან რისთვის ხდება ზმნით გამოხატული მოქმედება. მაგალითად: **გარეთ** მზე ანათებს (სად?).

დღეს მერცხალი შემოფრინდა (როდის?), **ძალიან** ჩქარობდა (როგორ?) და ა. შ.

რამდენადაც ზმნიზედა მოქმედებას ან მდგომარეობას ახასიათებს სხვადასხვა თვალსაზრისით, იგი შეიძლება ახლდეს ზმნასაც და ნაზმნარ სახელსაც: გუშინ წავიდა, გუშინ წასული კაცი... გუშინ წასვლა გადაწყვიტა...

ზმნიზედა ზოგჯერ განსაზღვრავს თვით ზმნიზედას ან ზედსართავს: ძალიან ნელა, ძალიან კარგი.

სინტაქსურად ზმნიზედა გარემოებაა. იგი შეიძლება მოგვევლინოს შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილადაც. მაგ.: გუშინ აქ **ძალიან** ძლიერი ქარი ქროდა, ბავშვი **ავად გახდა...**

ზოგიერთი ზმნიზედა ორმაგ ფუნქციასაც ასრულებს — წინადადების წევრ-კავშირია **(სადაც** ვარდი ამოდის, იქ ეკალიც თესია).

ზმნიზედა თანდებულის ფუნქციითაც რეალიზდება, თუ ის დაერთვის სახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმას: **სახლის წინ** ჭადარი დგას (შდრ. წინ მიდის).

ზმნიზდისაგან შეიძლება წარმოიქმნას სხვა სიტყვა. აქ იქ, გარეთ ზმნიზედებია, მაგრამ: აქაური, იქაური, გარეული — ზედსართავი სახელები, აქაურობა, იქაურობა — არსებითი სახელები...

როგორც ვხედავთ, რაც ზედსართავია სახელისათვის, ისაა ზმნიზედა ზმნისათვის. იგი ზმნასთან სახმარებელი სიტყვაა. სწორედ აქედან წარმოდგა ამ მეტყველების ნაწილის ბერძნულ-ლათინური სახელწოდება adverbium „ზმნის თანა".[1]

§ 176. ზმნიზედა ფორმის თვალსაზრისით. ქართულში გამოიყოფა ზმნიზედის ორი ძირითადი ჯგუფი: ძირეული (ანუ პირველადი) და ნაწარმოები.

---

[1] თანამედროვე ქართულ ლინგვისტიკაში დამკვიდრებულია ორი ტერმინი: **ზმნიზედა** და **ზმნისართი. ა. შანიძის** აზრით, ზმნიზედა (ზმნის ზედა) მომდინარეობს სლავურ-რუსულიდან. იგი наречие-ს თარგმანია. „ზმნის-ზედა" პირველად გვხვდება **ანტონის გრამატიკაში,** „ზმნისართი" კი პირველად გამოიყენა **ს. ხუნდაძემ.** მართალია, დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში **ზმნისართი** უფრო ხშირად მოიხმარება, მაგრამ **ა. შანიძემ** უპირატესობა მაინც ზმნიზედას მიანიჭა.

მ. ჩინჩალაძის აზრით, სასურველია, ზმნისართი დარჩეს ერთადერთ ტერმინად. თუმცა იქვე შენიშნავს, რომ ვერც ზმნისართი და ვერც ზმნიზედა ვერ ახასიათებს ნამდვილ ვითარებას, რადგან ზმნიზედა იხმარება ზმნასთან, ზედსართავ სახელთან და ზმნიზედასთან.

მიუთითებენ, რომ პირველადი ზმნიზედები შედარებით ცოტაა. ესენია: აქ, იქ, სად, შინ, გარეთ, ხვალ, აწ...

აღნიშნავენ, რომ „ძირეული ზმნისართები შედგენილობით ეტოლებიან **ეგ, ეს, ეგი** ჩვენებით ნაცვალსახელებს. თავდაპირველად ეს ნაცვალსახელები ადგილს, დროს უჩვენებდნენ, უფრო გვიან — განვითარების შემდგომ საფეხურზე მომხდარა მათი დიფერენციაცია **(გ. შალამბერიძე).**

ზმნიზედა იწარმოება სხვადასხვა მეტყველების ნაწილისაგან გაქვავებული ბრუნვის ფორმით: **გეზი** — გეზად, თეთრი — თეთრად, ჩემი — ჩემებრ...

ზოგჯერ შეიძლება მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებით ბრუნვებში შდგომმა სახელმა დაკარგოს ბრუნვის ფუნქცია და ზმნიზედად იქცეს.[1] მაგ., წყალი ხეს **ძირს** უთხრის (არს.) — ვაშლი **ძირს** ჩამოვარდა (ზმნიზ.).

ნეკს **ცერად** ვერ აქცევ (არს.) — გზა **ცერად** მიდიოდა (ზმნიზ.). **დღეს** ღამე ცვლის (არს.) — **დღეს** წვიმს (ზმნიზ.) და ა. შ.

მოიპოვება ზმნიზედები, რომლებსაც საკუთარი მაწარმოებლები აქვს. ეს მაწარმოებლებია:

გან: ერთ-გან, სხვა-გან, ყველ-გან...

ივ: მარჯვნივ, ძლივ, ირგვლივ, მუდმივ **(მუდამ** არაბულიდანაა ნასესხები). **ივ** წარმოშობით უძველესი მოქმედებითი ბრუნვის ერთ-ერთ ნიშნად იყო ჩათვლილი.

რე: აგრე, ეგრე, ის-(რე), ას-(რე) ქვემორე...

გზის, ჯერ: სამგზის, სამჯერ, ცხრაჯერ...

და: სადა (სად), შიდა, ქვედა, ზედა, გარდა **(და-**ს ფონეტიკური ვარიანტია **ნა,** რომელიც გვაქვს ზენა, ქვენა, შინა ფორმებში)...

მო: ზემო (ზემო-თ<ზემო-ძთ), ქვემო (ქვემო-თ←ქვემო-ძთ).

შე: წინაშე, გარეშე...

ხელ: ერთხელ, ორხელ...

ღამ: ამაღამ (ამას ღამ), გუშხამ (გუშღამ←გუშინის ღამ) — იხმარება გურიაში.

ხან: ერთხანს, დიდხანს...

მართ (მა): ალმა, დალმა, წალმა, უკუღმა...

[1] რომელიმე მეტყველების ნაწილის ზმნიზედად ქცევას უცხოურად ეწოდება **ადვერბიალიზაცია.**

§ 177. ზმნიზედის ჯგუფები შინაარსის მიხედვით. ქართულში ზმნიზედა მრავალფეროვანია ფორმობრივ-სემანტიკურად. შინაარსის თვალსაზრისით ზმნიზედის რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა.

1) ადგილის ზმნიზედა გვიჩვენებს მოქმედების ადგილს ან მიმართულებას. მისი კითხვებია: სად? საიდან? საითკენ? სადამდე?

ადგილის ზმნიზედა წარმოების მიხედვით შეიძლება იყოს პირველადი და ნაწარმოები. პირველადი ზმნიზედებია: აქ, იქ, წინ, შინ... ამ ჯგუფის ზმნიზედათა უმეტესობა წარმოადგენს სახელის გაქვავებული ბრუნვის ფორმას: ძირს, ახლოს, შუაში (მიც.), შინისკენ, ბოლოსკენ (ნათ.), გვერდით, შორით, ქვემოთ, საიდან, მაღლიდან (მოქმ.), მაღლა, დაბლა (მაღლად), აქამდე, შორად (ვითარ.), მეზობლისას, ბიძისას (ნათ.—მიც.).

2) დროის ზმნიზედა აღნიშნავს მოქმედების დროს, ე. ი. უჩვენებს დროის გარკვეულ მონაკვეთს კონკრეტულად. მისი კითხვებია: როდის? რა დროიდან? რა დრომდე? რამდენ ხანს?

დროის ზმნიზედათა მცირე ნაწილი პირველადია, უმეტესობა — ნაწარმოები. **პირველადია:** ახლა, წეღან, აწ, წუხელ, გუშინ, შარშან, უწინ, ხვალ, ზეგ, ჯერ, მერმე, გვიან, მალე...

ნაწარმოებია: წელს, დღეს, საღამოს, ბოლოს, საღამოზე (მიც.), დაწყებისას, დამთავრებისას (ნათ.-მიც), წუხელის, მარადის (მარადღის), გუშინწინ გუშინის წინ (ნათ.), ღამით, დილით, ხვალიდან, წლობით, (მოქმ.), ძველად, ამჟამად, პირველად, აქამდე, მანამდე (ვით.).

დროის ზმნიზედა მიიღება ფუძის გაორკეცებით ან სხვადასხვა ფუძის შეერთებით: ხანდახან, წინდაწინ, დღედაღამ, ზამთარ-ზაფხულ, დროდადრო.

3) ვითარების ზმნიზედა გვიჩვენებს, თუ რა ვითარებაში ხდება ზმნით აღნიშნული მოქმედება. მისი კითხვებია: როგორ? რანაირად?

ვითარების ზმნიზედა ძალზე ფართოდ გადმოიცემა მარტივი ფუძით. მეტწილად იგი ნაწარმოებია (ფუძის გაორკეცებით ან სახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმით).

მარტივფუძიანი ზმნიზედებია: ძალიან, ძლიერ, როგორ, ლომებრ...

ფუძეგაორკეცებულია: ღრეჩა-ღრეჩა, ცხენდაცხენ, ზეზე...

წარმოქმნილია: ყირაზე, ძალზე, ყალყზე, ლომსავით (//ლომი-

ვით), კატასავით, ძლივს (ზიც.), ზგლისებრ, ლომისებრ (ნათ.), წყენით, ოხვრით (მოქმ.), მშვიდად, ამნაირად, გეზად (ვით.), განუწყვეტლივ, ეგრე, მაგრე, ასე, ისე, თავქვე, პირაღმა, გარდიგარდმო...

4) **ზომა-ოდენობის ზმნიზედა** გვიჩვენებს, თუ რა ზომით, რა ოდენობით ხდება ზმნით გამოხატული მოქმედება. მისი კითხვებია: რა ზომით? რა ოდენობით? რამდენად?

ზომა-ოდენობის ზმნიზედა წარმოდგენილია ფუძის სახით ან მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ფორმით: სულ, ეგზომ, ნაკლებ... სრულებით, სავსებით, მეტრობით (მოქმ.), მთლად, მეტად, ცოტად, ათად, ამდენად (ვითარ.).

5) **რიგობით-ჯერობის ზმნიზედა** გვიჩვენებს მოქმედების ჩადენის რიგს ან რაოდენობას. მისი კითხვებია: რამდენჯერ? მერამდენედ? მერამდენეჯერ?

რიგობით-ჯერობის ზმნიზედა მიიღება რიცხვითი სახელისა და ნაცვალსახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმით ან ფუძეზე ზმნიზედის მაწარმოებლის დართვით: მეორედ, მეათედ... ერთჯერ, ამდენჯერ... ერთგზის, სამგზის...

6) **მიზეზის ზმნიზედა** გვიჩვენებს მოქმედების მიზეზს. მისი კითხვაა რატომ? მიზეზის ზმნიზედებია: ამიტომ, მაგიტომ, მიტომ, რატომღაც. ესენი წარმოშობით ნაცვალსახელებია.

7) **მიზნის ზმნიზედა** გამოხატავს მოქმედების მიზანს. მისი კითხვებია: რად? რისთვის? მიზნის ზმნიზედებია: ამისთვის, მაგისთვის, მისთვის, ამად, იმად. ისინი მიიღებიან ჩვენებითი **(ეს, ეგ, ის)** და კითხვითი **(რა)** ნაცვალსახელების ნათესაობითი ბრუნვისაგან **თვის** თანდებულის დართვით ან უთანდებულო ვითარებითისაგან. ამიტომაა, რომ ეს ფორმები ერთ შემთხვევაში ნაცვალსახელები არიან, სხვა შემთხვევაში ზმნიზედის ფუნქციით იხმარებიან. მაგ., „სოფელი **იმად** არა ღირს (უბრ. დამატება),“ შდრ. „ძმად განა **იმად** გავფიცულვართ, რომ ეგენი მითხრა“ (მიზნის ზმნიზედა).

ზმნიზედად გამოიყენება აგრეთვე მომავალი დროის მიმღეობისა და **სა—ო** აფიქსებით ნაწარმოები ზოგიერთი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმა: მოსატანად, სანადიროდ...

8) **კითხვითი ზმნიზედებია** ზმნიზედის ჯგუფების კითხვები: სად, საიდან, საითკენ, როდის, როგორ, რატომ, რისთვის...

კითხვითი ზმნიზედები წარმოშობით ნაცვალსახელებია.

9) **მიმართებითი ზმნიზედა** მიიღება კითხვით ზმნიზედებზე ც ნაწილაკის დართვით: სად→სადაც, საითკენ→საითკენაც, როგორ→როგორც...

მიმართებითი ზმნიზედები წინადადებაში წევრ-კავშირის ფუნქციას ასრულებენ.

§ 178. დამატებითი ცნობები ზმნიზედის შესახებ.

ა) ერთი და იგივე ზმნიზედა შეიძლება განეკუთვნებოდეს სხვადასხვა ჯგუფს. მაგალითად, **აქამდის** ადგილის ან დროის ზმნიზედაა: **აქამდის** მოდიოდა საზღვარი (ადგილის), „**აქამდის** ამბად ნათქვამი“... (დროის).

სადამდე ადგილის ზმნიზედაა ასეთ წინადადებაში: „**სადამდე** გათოხნე ვენახი?“ მაგრამ დროის ზმნიზედაა ამ შემთხვევაში: „**სადამდე** უნდა ველოდოთ სტუმრებს?“

ბ) **წინ, ირგვლივ, გარშემო, შემდეგ, ქვეშ**... ზმნიზედები თანდებულის ფუნქციითაც გამოიყენება: დაფის წინ, სახლის ირგვლივ, სკოლის გარშემო, წასვლის შემდეგ, მარნის ქვეშ...

გ) ისტორიულად შეიძლება ზმნიზედის მნიშვნელობაც განვითარდეს. მაგალითად, **მუნ** ძველად ადგილის ზმნიზედა იყო. მისგან მიღებული **მანამდე** (მუნამდე) დროის ზმნიზედად იქცა, **სადამდე** მომდინარეობს **სად** ადგილის ზმნიზედისაგან. დღეს იგი დროის ზმნიზედაა (სადამდე — სანამდე — სანამ). **იქით, წინ** ადგილის ზმნიზედებია, მაგრამ: ამას იქით, წინ-წინ (წინდაწინ) — დროისა.

§ 179. ზმნიზედათა მართლწერა. ზმნიზედების გამოყენებასთან დაკავშირებით საჭიროა დავიცვათ მართლწერის წესები:

1) მოქმედებითი ბრუნვისაგან წარმომდგარი ზმნიზედების ბოლოს უნდა ვწეროთ თ და არა დ: ზემოთ, ქვემოთ, გარეთ, წინათ, უნებლიეთ, აქეთ, იქით...

2) ვითარებითი ბრუნვისაგან ნაწარმოები ზმნიზედების ბოლოს უნდა ვწეროთ დ და არა თ: კარგად, ცუდად, უცბად...

3) დეფისით (და კავშირის გარეშე) იწერება ფუძის გაორკეცებით მიღებული ზმნიზედები: ჩქარ-ჩქარა, უჯრა-უჯრა, ნაბიჯ-ნაბიჯ, ნელ-ნელა, მთა-მთა, ტყე-ტყე...

4) დეფისით იწერება აგრეთვე ანტონიმური ზმნიზედები: დილა-საღამოს, აქა-იქ, გაღმა-გამოღმა...

5) უდეფისოდ (ერთად) იწერება **და** კავშირით შეერთებული ზმნიზედები: ხანდახან, თანდათან, დროდადრო, გზადაგზა...

6) უდეფისოდ (ერთად) იწერება შერწყმული ზმნიზედები: ცალმხრივ, ყოველმხრივ, ყოველნაირად, დიდხანს, დროგამოშვებით...

7) უნდა ვთქვათ და ვწეროთ **ალბათ** და არა: **ალბად**.[1]

8) ორიოდე შემთხვევაში ზმნიზედად გამოყენებულია დროის აღმნიშვნელი სახელის ფუძე: ღამე, დღე. მაგ., **ორი დღე** იყო სტუმრად (რამდენ ხანს?). ასეთ შემთხვევაში უმჯობესია სახელობითის ნაცვლად ვიხმაროთ მიცემითი: **ორ დღეს** იყო სტუმრად.

9) **წინ** და **უკან** ანტონიმური ზმნიზედებია. თუ უკვე წარსულში მომხდარ ამბავზეა საუბარი, მაშინ უნდა ვთქვათ: ორი წლის წინ გაემგზავრა უცხოეთში; ორი საათის წინ დაიწყო კითხვა. და არა: ორი წლის უკან, ორი საათის უკან (**შ. აფრიდონიძე**). შდრ. გუშინწინ და არა გუშინუკან.

§ 180. ზმნიზედის შესწავლის მოკლე ისტორია. ზმნიზედის შესახებ მსჯელობდნენ ჯერ კიდევ ძველი ბერძნები. ზმნიზედა უძველესი და მკვიდრი მეტყველების ნაწილია ზოგად ლინგვისტიკაში.

ზმნიზედა **ზმართულის** სახელწოდებით ცალკეა გამოყოფილი **ს. შანშოვანის** გრამატიკაში. ავტორი ზმნიზედათა საკლასიფიკაციო ნიშნად იყენებს სემასიოლოგიურ პრინციპს, ამიტომაც დასახელებულია ზმნიზედის 43 ჯგუფი. მათშია შეტანილი შორისდებულიც.

ზმნიზედა საკმაო სისრულით არის შესწავლილი **ანტონ კათა-**

[1] **ალბათ** არაბულიდანაა შემოსული, მისთვის ამოსავალია **ჰელბეთ** (//ალბათათა), რაც ნიშნავს „რასაკვირველია", „უსათუოდ". ქართულ ლინგვისტიკაში **ალბათ** სიტყვა სხვადასხვაგვარად არის კვალიფიცირებული (სხვადასხვა მეტყველების ნაწილადაა მიჩნეული). მაგალითად, იგი **ა. შანიძის** „გრამატიკის საფუძვლებში" არაა დასახელებული, არც **ლ. კვაჭაძის** მორფოლოგიაშია, **ჭეგლში** კი ჩართულადაა ჩათვლილი, საილუსტრაციო მაგალითებში მძიმეებითაა გამოყოფილი; **გ. ასვლედიანი** და **ვ. თოფურია** ამ სიტყვას ზმნიზედად თვლიან. სამეცნიერო ლიტერატურაში **ალბათ** ხშირადაა სასვენი ნიშნების გარეშე, ე. ი ზმნიზედაა და არა განკერძოებული სიტყვა. ერთი რამ ცხადია, ჩართული სინტაქსურად განკერძოებულია, მაგრამ მორფოლოგიურად ხომ რომელიღაც მეტყველების ნაწილია.

ალბათ სიტყვის კვალიფიკაციისათვის კონტექსტი უნდა იყოს გადამწყვეტი.

ლიკოსის გრამატიკაში, სადაც განხილულია ზმნიზედის 22 ჯგუფი. ანტონიდან მოყოლებული თითქმის ყველა ძველი ქართველი გრამატიკოსი მეტ-ნაკლებად ეხებოდა ამ მეტყველების ნაწილს. მეცნიერულად იგი დამუშავებულია **ა. შანიძის** მიერ.

ძველი და ახალი ქართულის მიხედვით, ზმნიზედის წარმოება-ფუნქციის ანალიზს მიეძღვნა არაერთი საინტერესო ნაშრომი, გამოითქვა საყურადღებო მოსაზრებანი.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მორფოლოგიური აღნაგობითაა და ფუნქციითაც ზმნიზედა, თანდებული და ზმნისწინი ურთიერთკავშირშია (შდრ. **შინ, სახლსა შინა, შევიდა**). ისინი თავიანთი ძირითადი ფუნქციებით სივრცის გაგებასთან არიან დაკავშირებულნი. სამიეესათვის ამოსავალია დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვა — ზმნიზედა, რომელიც შემდგომში (თანდებულად და ზმნისწინად ჩამოყალიბების პროცესში) მაწარმოებელი ელემენტების თანდათან ჩამოცილების გზით კარგავს დამოუკიდებლობას და გვევლინება ზმნისწინისა და თანდებულის სახით (**პ. ჯაჯანიძე, არ. მარტიროსოვი, ი. ვეშაპიძე**).

ზმნიზედის სწავლებასთან დაკავშირებული მეთოდური დაკვირვებანია წარმოდგენილი **მ. ჩიქობავას, მ. თოლაქვაძის, ბ. ბათიაშვილისა** და სხვათა ნაშრომებში.

ლიტერატურა

აფრიდონიძე შ. — ზმნისა და ზმნიზედის ურთიერთობისათვის ქართულში: ქელს. 1974, № 1.

აფრიდონიძე შ. — **ორი საათის წინ** თუ **ორი საათის უკან**? ქელს, 1983, № 1.

ბათიაშვილი ბ. — ზმნიზედის რაობის სწავლებისათვის; ქელს. 1973, № 3.

ბასილაია ნ. — ქართული მართლწერის სკოლებში, I, სოხუმი, 1960.

ვეშაპიძე ირ. — ზმნისწინის, თანდებულის და ზმნიზედის ურთიერთდამოკიდებულება: თსუ შრ., 96, 1963.

თოლაქვაძე მ. — ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდიკა, თბ., 1959.

კვაჭაძე ლ. — ქართული ენა, ნაწილი I, 1981.

ლეჟავა ლ. — ზმნისართ-კავშირთა გამოყენებისათვის: ქენს, 1983, № 3.

მარტიროსოვი არ. — ზმნისართისა და თანდებულის სინტაქსური ურთიერთობისათვის: იკე, XII, 1940.

საბაშვილი ბ. — ობ სუფიქსით ნაწარმოები ზნისართები თანამედროვე ქართულში: ქსკს, II, 1979.
ფოჩხუა ბ. — ხმოვანსართული ზმნისართები ქართულში: ქესს, I, 1959.
შალამბერიძე გ. — ზმნისართი ძველ ქართულში: ქესს, I, 1959.
ჩინჩალაძე მ. — ქართული ზმნიზედის სწავლება სკოლაში, თბ., 1955.
ჩიქობავა არნ. — ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება: ქედკ, I, 1950.

თანდებული

§ 181. დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელი მეტყველების ნაწილები. ა. შანიძე დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელ მეტყველების ნაწილებს უწოდებს **მხლებლებს**. მხლებელი არის სიტყვა, ბგერა ან ბგერათა კომპლექსი, რომელიც ემსახურება სხვა სიტყვებს ან მთელ წინადადებას. მხლებელი არ შეიძლება იყოს წინადადების წევრი.

ქართულში მხლებლებია **თანდებული, კავშირი, ნაწილაკი** და **ნაწევარი** (ძველი ქართულის მიხედვით).

§ 182. თანდებულის რაობა და ფუნქციები. თანდებული ჰქვია დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელ ფორმაუცვლელ სიტყვას ან ბგერათა ჯგუფს, რომელიც დაერთვის სახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმას (იშვიათად სახელის ფუძესაც) და ამყარებს გარკვეულ მიმართებას სახელსა და სახელს შორის ან სახელსა და ზმნას შორის.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ქართულ ენაში თანდებული შედარებით ცოტაა. სვანურში ქართულის მსგავსი ვითარებაა, ზანური კი ამ მხრივ უფრო ღარიბია.

ფუნქციის მიხედვით თანდებული მრავალფეროვანია.[1] იგი აღნიშნავს საგნის მდებარეობას, მიმართულებას, მსგავსებასა და სხვ.: მთა-**ზე** თოვლი დევს, სოფლის-**კენ** გასწია, ლომის-**ებრ** ღრიალებდა...

[1] სახელების ბრუნებასთან დაკავშირებით ცალკეა განხილული საკითხი „თანდებულიანი ბრუნვები“, სადაც დაწვრილებითაა გაანალიზებული თითოეული თანდებულის ფუნქცია და გამოყენების შემთხვევები. იქვეა მითითებული ზოგიერთი მათგანის წარმომავლობაზეც. ამიტომ ამჯერად წარმოვადგენთ თანდებულთა ზოგად დახასიათებას.

ზოგიერთი თანდებული მხოლოდ ერთი ფუნქციითაა რეალიზებული, ზოგი კი ერთდროულად ითავსებს სხვადასხვა სემანტიკას. მაგალითად, **კენ, მიერ, ურთ** — ერთფუნქციიანია, **განა** — მრავალფუნქციიანი.

თანდებულის მიღების წყარო შეიძლება იყოს არსებითი სახელი, ზმნა, ნაზმნარი სახელი, ზმნიზედა. მაგალითად:

თვის←თავ-ის, **მდე**←მი-დღედ, **მდის**←მი-დღის (არსებითი სახ.).
შესახებ←შე-სა-ხებ-ი (**ეხება** ზმნის მომავალი დროის მიმღეობა).
მიხედვით←მიხედვა (**ხედავს** ზმნის საწყისის მოქმედებითი ბრუნვის ფორმა).
მიუხედავად←მი-უ-ხედავ-ად (უკუთქმითი მიმღეობის ვითარებითი ბრუნვის ფორმა).

§ 183. თანდებულის შედგენილობა. შედგენილობის მიხედვით ქართულში თანდებული ორგვარია: მარტივი და რთული. **მარტივია** ერთმარცვლიანი თანდებულები: განა, კენ, თვის, ებრ. **რთულია** ორ და მეტმარცვლიანი: მიერ, გამო, მიმართ, შესახებ, გარდა... აღსანიშნავია, რომ დღევანდელი ზოგი მარტივი თანდებული წარმოშობით რთულია (ზე←ზედა, ში←შინა...).

თანდებული შეიძლება უშუალოდ ერთვოდეს ბრუნვის ფორმას (იშვიათად ფუძესაც) ან ცალკე იდგეს. **ამის მიხედვით არის** გამოყოფილი შერწყმული და ცალკე მდგომი თანდებულები. შერწყმული თანდებული, საზოგადოდ, ერთმარცვლიანია (გამონაკლისია თანავე), ცალკე მდგომი — ორ და მეტ მარცვლიანი.

184. თანდებულის გამოყენება ბრუნვის ფორმებთან. ახალ ქართულში თანდებული დაერთვის 5 ბრუნვას — სახელობითს, მიცემითს, ნათესაობითს, მოქმედებითსა და ვითარებითს.

სახელობითი — ვით.

მიცემითი — ვით, თან, ზე, ში, შუა, შორის (შუა და შორის — ცალკე მდგომი თანდებულები იხმარებიან ორ სახელთან ან მრავლობითში დასმულ ერთ სახელთან: სახლსა და ტყეს შორის, მთებს შუა...).

ნათესაობითი — განა, თვის, ებრ, კენ, თანავე, გამო, მიერ, გარდა, გულისთვის, შესახებ, ნაცვლად, მაგიერ, მიმართ მიხედვით, მიუხედავად...

მოქმედებითი — განა, ურთ, დამ (ეს უკანასკნელი XX საუკუნის სამწერლობო ენაში აღარ იხმარება).

ვითარებითი — მდე, მდის.

თანდებულის ფუნქციით გამოიყენება ზმნიზედებიც: წინ, ირგვლივ, უკან...

მთის კილოებში თანდებულიან ბრუნვის ფორმას ზოგჯერ ხელახლა ერთვის ბრუნვის ნიშნები: **ტანზეით, სოფელშიით, ომშიით** (ტანიდან, სოფლიდან, ომიდან).

§ 185. თანდებულთა წესწყვეტის მოკლე ისტორია. ძველ ბერძნულ გრამატიკაში ერთ-ერთ მეტყველების ნაწილად დასახელებულია **წინდებული**, რომელიც ახასიათებს ევროპულ ენებს. ბუნებრივია, ქართულის თანდებული ვერ მოხვდებოდა თავდაპირველ მეტყველების ნაწილთა სისტემაში.

თანდებული ცალკეა წარმოდგენილი და გაანალიზებული **ანტონის** გრამატიკაში, ტერმინი „თანდებულიც“ მანვე იხმარა. **ე. ბაბუნაშვილის** აზრით, ანტონი ხმარობს ტერმინ „თანდებულს“, მაგრამ ძნელი არ არის იმის შემჩნევა, რომ თითქმის ყველა თანდებული მის მიერ დამოწმებულ მაგალითებში სახელის წინ არის მოთავსებული ევროპული ენების ანალოგიით.[1]

ანტონის მიხედვით თანდებული არის მეტყველების ნაწილი, იგი აღნიშნავს (ე. ი. არსებითი სახელის) გარემოების გამომხატველია და აქვს ბრუნებაში სახელის მართვის უნარი.

თანდებული ძველ ქართულშიც მეტწილად უკუდებულია **(ა. შანიძე)**, ბოლოში დაერთვის, მაგრამ ზოგჯერ წინდებულიც იყო. ასეთი წინდებულებია: **მი, მო, ზედა, შუა** (ბნელი იყო **ზედა უფსკრულთა...**)

ახალ ქართულში დამკვიდრდა თანდებული. თუმცა დღესაცაა შემორჩენილი თითო-ოროლა შემთხვევა წინდებულის ხმარებისა: **გარდა** ამისა, **ნაცვლად** ამისა, **მიუხედავად** ამისა (შდრ. ამის გარდა, ამის ნაცვლად...).

თანდებული დამახასიათებელია ქართველური და კავკასიური ენებისათვის, ასეთივე ვითარებაა აზერბაიჯანულში.

ქართულ ენაში თანდებულთა შედარებითი სიმცირე ახსნილია იმ ფაქტით, რომ ზმნისა და სახელის მიმართებითი ფორმები (ბრუნვის ფორმათა სიმრავლე „ქცევის ფორმები...) საშუალებას გვაძლევს აზრი ზუსტად გამოვხატოთ უთანდებულოდაც.

[1] მართალია, **ანტონმა** სცადა თანდებულის ადგილის შეცვლა, რასაც იგი თავის წერილობითს ენაში სისტემებრ ატარებდა: **„თჳს კავშირთა“, „თჳს თანდებულთა“**... მაგრამ ეს ცდა ამაო იყო. წინდებულების სისტემა ქართული ენის ბუნებიდან არ გამომდინარეობდა და სალიტერატურო ენამ არ მიიღო იგი.

ქართულ ლინგვისტიკაში თანდებული კარგად არის შესწავლილი. ძველი და ახალი ქართულის მიხედვით გამოკვლეულია მისი ფუნქციები, გამოყენების თავისებურებანი და ზოგიერთი მათგანის გენეზისიც.

მიაჩნიათ, რომ თანდებულები (ისევე როგორც ზმნიზედები, ზმნისწინები) დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვებისაგან უნდა მომდინარეობდნენ. დროთა ვითარებაში ისინი ნაწილაკებად იქცნენ და სახელს მიეკედლნენ, რითაც გავლენა მოახდინეს ბრუნვათა სისტემაზე: ზოგმა დაკარგა ბრუნვის ნიშანი, ზოგმა კი ფონეტიკურად იცვალა სახე **(არ. მარტიროსოვი, ირ. ვეშაპიძე)**.

მართლაც, ქართულში ბევრი თანდებული, ზმნისწინი და ზმნიზედა გარეგნულად და სემანტიკურად ემთხვევა ერთმანეთს (მათთვის დამახასიათებელი ძირითადი ფუნქცია სივრცის გაგებასთანაა დაკავშირებული: **ი. ვეშაპიძე)**. მაგალითად, **გამო, გან, გარდა, შე, ში...** თანდებულიცაა და ზმნისწინიც. გარდა ამისა, თანდებულისა და ზმნისწინის გენეზისური ერთობის შედეგია ისიც, რომ ზოგიერთი ზმნიზედა თანდებულის ფუნქციასაც ასრულებს.

ლიტერატურა

აბესაძე ნ. — ზმნისწინებისა და თანდებულების ურთიერთობის საკითხი ქართველურ ენებში. თსუ შრ., 1972, 143, 164.

აფრიდონიძე შ. — თანდებულად გამოყენებული ზოგი ზმნისართის ერთი ფუნქციისათვის. ქსს, VI, 1984.

ბაბუნაშვილი ე. — ანტონ I და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970.

გიგინეიშვილი ივ. — თანდებულთა და თანდებულად სახელთა მართლწერა: თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, 1970.

კვაჭაძე ლ. — ქართული ენა, ნაწილი I, 1981.

მარტიროსოვი არ. — თანდებული ქართულში: იკე, I, 1946.

მარტიროსოვი არ. — წინდებულისა და თანდებულის ისტორიული ურთიერთობისათვის; იკე, VIII, 1956.

შანიძე აკ. — ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.

ჩიქობავა არნ. — ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება: ქეგლ, I, 1950.[1]

[1] სხვა ლიტერატურა იხ. „თანდებულიან ბრუნვებში“.

კავშირი

§ 186. კავშირის რაობა და შედგენილობა. კავშირი უძველესი მეტყველების ნაწილია. იგი მომდინარეობს დიონისე თრაკიელის გრამატიკიდან.

კავშირი ჰქვია დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელ სიტყვას, რომელიც აერთებს ორ სიტყვას ან ორ წინადადებას. მაგ.: მთა **და** ბარი ამწვანდა; კოდალა ხეს უკაკუნებს **და** ტოროლა ცაში გალობს.

შედგენილობის მიხედვით კავშირი ორგვარია: **მარტივი** და **რთული.** მარტივია მხოლოდ ერთ სიტყვად შედგენილი კავშირი: და, მაგრამ, რომ, თუ, ხოლო, რათა, რადგან...

რთული კავშირი მიიღება ორი ან მეტი სიტყვისაგან: **იმიტომ რომ, ასე რომ, მაშინ როდესაც, თუნდაც** (თუ უნდა)...

მარტივი კავშირი წარმოების მიხედვით ორგვარია: პირველადი და ნაწარმოები. პირველადი კავშირები ძველისძველი წარმოშობისანი არიან, მათი რიცხვი ენაში ცოტაა: თუ, და, ხოლო... ნაწარმოები კავშირები გვიანდელია, მათი წარმომავლობა ნათელია: მიღებული არიან ნაცვალსახელებისაგან, ზმნის პირიანი ფორმებისაგან, ზმნიზედებისა და ნაწილაკებისაგან: —

რათა←რა-ათა (ნაცვალსახელის მოქმედებითი ბრუნვა).

გინდ←გინდა (ზმნა).

თუნდ, თუნდა, თუნდაც←თუ+უნდა+ც (კავშირი+ზმნა+ნაწილაკი).

თუმცა←თუ+მცა (კავშირი+ნაწილაკი).

ვიდრე←ვი+დ+რე (ვინ ნაცვალსახელის ვით. ბრუნვის ფორმა+ნაწილაკი) და მისთ.

კავშირი შეიძლება იყოს **ცალეული** ან **წყვილეული.** ცალეულია: და, თუ ხოლო. წყვილეული კავშირი იყოფა ორ დამოუკიდებელ ნაწილად, რომელთაგან პირველი წინადადების ერთ ნაწილშია, მეორე კი — მეორე ნაწილში: არა მარტო — არამედ, არამცთუ — არამედ, კი არა — არამედ, თუმცა — მაგრამ...

§ 187. კავშირის ფუნქცია. ფუნქციის მიხედვით გამოიყოფა კავშირის ორი დიდი ჯგუფი: მაერთებელი და მაქვემდებარებელი.

მაერთებელი კავშირი აერთებს ორ სიტყვას ან ორ თანასწორ წინადადებას. იგი გამოიყენება შერწყმულსა და რთულ თანწყობილ წინადადებებში.

მაქვემდებარებელი კავშირი აერთებს ერთმანეთის მიმართ გრამატიკულად არათანასწორ წინადადებებს — მთავარსა და დამოკიდებულს. იგი ფუნქციონირებს რთულ ქვეწყობილ წინადადებაში.

ა) მ ა ე რ თ ე ბ ე ლ ი კავშირი მნიშვნელობის მიხედვით დაყოფილია ოთხ ჯგუფად. ესენია: მაჯგუფებელი, მაცალკევებელი, მაპირისპირებელი, მაიგივებელი.

მაჯგუფებელი კავშირებია: და, თუ (მთა **და** ბარი ამწვანდა; აქ ყველგან ხარობს ნაძვი **თუ** ფიჭვი).

მაცალკევებელი კავშირებია: თუ, ან, ან-ან, ან-ან არადა, ხან-ხან, ხან-ხან კი, ხან-ხანაც, გინდ-გინდ, გინდ-გინდაც, თუნდ-თუნდაც.

ან გულისხმობს ერთ-ერთის არჩევას (ან დედა მოიყვანე, **ან** მამა).

ხან აღნიშნავს მოქმედების მონაცვლეობას დროში (**ხან** წვიმს, **ხან** თოვს, **ხან** დარია).

მაპირისპირებელი კავშირებია: მაგრამ, ხოლო, კი, თორემ, არამედ, კი არა — არამედ, არა მარტო — არამედ, ოღონდ, თუმცა. ეს კავშირები ერთმანეთთან აპირისპირებს ორ ერთგვარ წევრს ან ორ თანასწორ წინადადებას (უმთავარო, **მაგრამ** წყნარი ღამე იყო. მზე ამოვიდა, **მაგრამ** დილის სუსხი კვლავ იგრძნობოდა...).

მაიგივებელი კავშირებია: ანუ, ესე იგი (ე. ი.)

ბ) მ ა ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე ბ ე ლ ი კავშირი დამოკიდებულ წინადადებას აერთებს მთავართან. რადგან დამოკიდებული წინადადება სინტაქსური ფუნქციის მიხედვით სხვადასხვაგვარია, შესაბამისად გამოიყოფა მაქვემდებარებელი კავშირის შემდეგი ჯგუფები:

დროის: რა, თუ არა, სანამ, ოდეს, რაწამს, რაკი, როს, ვიდრე, რომ...

მიზეზის: რადგანაც, იმიტომ რომ, ვინაიდან, რაკი..

მიზნის: რათა, რომ, იმისათვის რომ...

პირობის: თუ, თუკი, რომ, უკეთუ, ოღონდ...

დათმობის: თუმცა, გინდ, თუნდ, გინდაც, თუნდაც, მიუხედავად იმისა, რომ...

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მაქვემდებარებელი კავშირის ფუნქციას ასრულებენ მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნიზედები.[1]

[1] ა. შანიძე ამათ რიცხვში ასახელებს **როდესაც (როცა), როგორც** სიტყვებსაც, ასევე ქეგლ-ში მითითებულია, რომ **როდესაც, როცა, როგორც** — მიმარ-

საზოგადოდ, თითო კავშირი თითო ფუნქციით რეალიზდება. მაგალითად, **და** მუჯგუფებელია, **ხან** — მაცალკევებელი, **მაგრამ** — მაპირისპირებელი, **რომ** — მაქვემდებარებელი და ა. შ. ზოგჯერ ერთსა და იმავე კავშირს სხვადასხვა ფუნქციაც აქვს. მაგალითად:

შინდორი **თუ** ველი ამწვანდა (მაერთებელი).

შდრ. **თუ** სიბნელე არ გინახავს, ფასს ვერ დასდებ სინათლესა (მაქვემდებარებელი).

გიორგი მაღალია, **თუმცა** უღონო (მაერთებელი).

შდრ. **თუმცა** არ ჰქონდა მკლავებში ღონე, მაინც კი ხელი შემოუბრუნა (მაქვემდებარებელი).

ქალი ლამაზია, **ოღონდ** ანჩხლი (მაერთებელი).

შდრ. **ოღონდ** იმისი ჯავრი ამომაყრევინე, მერე გინდა მომკალ (მაქვემდებარებელი)[1].

ზოგჯერ ძნელი ხდება ოღონდ კავშირის ფუნქციის დადგენა — როდისაა მართებული და როდის მაქვემდებარებელი.

§ 188. კავშირთა გენეზისის საკითხისათვის. როგორც აღინიშნა, წარმოქმნილი კავშირები იწარმოებიან სხვადასხვა მეტყველების ნაწილისაგან. შესაბამისად, ზოგჯერ კავშირის თავდაპირველი სახის აღდგენა ადვილია, ზოგჯერ კიდევ შეუძლებელი ხდება ძირეული ფორმისა და სემანტიკის გამო.

თორემ←თუარე-მ←თუ არა-მ

ან←ანუ

რადგან←რა-ძთ-გან

ვინაიდან←ვინაძდგან←ვინაითგან

რაკი←რა-კი

რათა←რა-ძთა

რომ//რომე←რომელ-რა

ესე იგი — ესე იგი არს.

§ 189. კავშირის შესწავლის მოკლე ისტორია. კავშირი, როგორც უძველესი მეტყველების ნაწილი, განხილულია **ზ. შანშოვანის** გრამატიკაში ტერმინ „შემკურელის“ სახელწოდებით. გამოყოფილია კავშირის 12 სახეობა.

ეს მეტყველების ნაწილი უფრო ვრცლადაა შესწავლილი **ანტონის** გრამატიკაში. აქაც 12 ჯგუფია გაანალიზებული. შენიშნულია ისიც, რომ ერთი და იგივე კავშირი სხვადასხვა ფუნქციის მატარებელია. ტერმინი „კავშირი“ ქართულ გრამატიკაში ანტონმა დაამკვიდრა.

მომდევნო ხანის ძველი ქართველი გრამატიკოსებიც მეტ-ნაკლები სისრულით ეხებიან კავშირებს, არაერთგვაროვანია მათი თვალსაზრისი კავშირთა ჯგუფებისა და კვალიფიკაციის საკითხში.

ნ. მარის „ძველი ქართული ენის გრამატიკაში“ მოცემულია ზოგიერთი კავშირის ეტიმოლოგია.

ქართული ენის კავშირების პირველი მეცნიერული კლასიფიკაცია ახალი ქართული ენის მიხედვით **ა. შანიძის** დამსახურებაა.

თანამედროვე ქართულ ლინგვისტიკაში საფუძვლიანადაა შესწავლილი კავშირთა წარმოება და ფუნქციები ძველი და ახალი ქართულის დონეზე, გამოკვეთილია მათი ფორმობრივ-სემანტიკური ცვლილების გზა, დადგენილია თითოეული მათგანის მოხმარების სიხშირე.

რომ კავშირის ფუნქციას რამდენიმე ნაშრომი მიეძღვნა. **შ. ძიძიგური** ახალი ქართულისათვის ასახელებს **რომ** კავშირის 9 ფუნქციას, **ნ. აბესაძის** აზრით, **რომ** კავშირის ფუნქცია სამივე ქართველურ ენაში ფართოა, **რომ//რომე** შედარებით ახალი ჩამოყალიბებულია. იგი ძირითადად საშუალ და ახალ ქართულში გვხვდება. ძველად **რომ**-ის ფუნქციით იხმარებოდა **რომელ, რამეთუ, ვითარმედ, რაჲ//რა.**

უნდა შევნიშნოთ, რომ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში **რადგან** კავშირის ფუნქციით კვლავ გამოცოცხლდა **რამეთუ,** მაგრამ ყოველთვის არ გამოიყენება წესისამებრ, ზოგჯერ ფუნქციონირებს მიზნის ან სხვა სემანტიკის კავშირადაც, რაც უმართებულოა.

თ ბითი ზმნისართებია, იხმარება კავშირად, **შ. ძიძიგური** საანალიზო ფორმებს კავშირებად თელის (დაწვრილებით იხ. მისი „კავშირები ქართულ ენაში“).

[1] **ოღონდ** კავშირის ანალიზს მიეძღვნა **ლ. კვანტალიანის** ნაშრომი „ოღონდ კავშირი ქართულში“. ირკვევა, რომ **ოღონდ** კავშირი პირველად იჩენს თავს საშუალი ქართულის გვიანდელ ძეგლებში, მისთვის ამოსავალია ზმნიზედა **უღონიოდ,** რომლის თავდაპირველი ფუნქცია იყო დადასტურებითი სემანტიკის გამოხატვა, შემდეგ კი შეითავსა გამორჩევითი ფუნქციაც და ამით დუახლოვდა მაპირისპირებელ კავშირებს. უფრო მოგვიანებით **ოღონდ** აღიჭურვა მაქვემდებარებელი კავშირის ფუნქციით. ავტორი იძლევა საანალიზო კავშირის ფუნქციების დადგენის წესებსაც. **ლ. კვაჭაძე** ოღონდ კავშირს თელის პირობით-დათმობითი წინადადების კავშირადაც.

ალ. ღლონტის, მ. კეკელიძისა და სხვათა ნაშრომებში დასაბუთებულია, რომ **რამეთუ** უნდა ვიხმაროთ მხოლოდ **რადგან** კავშირის ფუნქციით.

ლიტერატურა

აბესაძე ნ. — **რომ** კავშირი ქართველურ ენებში: თსუ შრ., 96, 1963.

კეკელიძე მ. — „რამეთუ“ კავშირი ქართულში: ქელს, 1977, № 3.

კვანტალიანი ლ. — ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსი, თბ., 1990.

კვანტალიანი ლ. — „ოღონდ“ კავშირი ქართულში: ქელს, 1975, № 4.

კიზირია ა. — ზოგი კავშირის ხმარებისათვის ახალ ქართულში: ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები სკოლაში, კრებ. 9, 1956.

როგავა გ. — ჰიპოტაქსის საკითხისათვის ქართულში: ქუთაისის პედინსტიტუტის შრ., ტ. VIII, 1948.

რამიშვილი ვ. — მაიგივებელი კავშირი („ესე იგი“, „ანუ“) ქართულში და მისი სწავლება: ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები სკოლაში, კრებ. X — XI, 1960.

ღლონტი ალ. — ისევ „რამეთუს“ გამო: ჟურნალი „დროშა“, 1984, № 4.

ჩინჩალაძე მ. — კავშირის სწავლებისათვის მე-6 კლასში: მასწავლებელთა გამოცდილებიდან, ქართული ენა და ლიტერატურა, კრებ. XII, 1962.

ძიძიგური შ. — კავშირები ქართულში, თბ., 1969.

ნაწილაკი

§ 190. ნაწილაკის რაობა. ნაწილაკს დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილად გამოყოფს **ა. შანიძე** და ასე განსაზღვრავს: **ნაწილაკი** ჰქვია დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელ ბგერას, ბგერათა კომპლექსს თუ სიტყვას, რომელიც ერთვის წინადადების წევრს ან მთელ წინადადებას და მნიშვნელობას უცვლის მას რაიმე მხრით.

ნაწილაკი შეიძლება ახლდეს სახელს, ზმნას, ზმნიზედასა და თვით ნაწილაკსაც: ბავშვი-ც, სამი-ოდე, არ წასულა, არ-ც... იგი, ჩვეულებრივ, ერთვის სახელის ყველა ბრუნვის ფორმას, გარდა წოდებითისა.

სიტყვასთან ნაწილაკის ადგილი მყარია ან თავისუფალი. პირველ შემთხვევაში მისი პოზიცია მუდამ ერთნაირია: ან მხოლოდ წინ უძღვის, ან მხოლოდ მოსდევს. პრეპოზიციური ნაწილაკებია: ნუ, არ, ვერ... პოსტპოზიციურია — მე, ვე, ღა, ცა, ოდე...

ზოგი ნაწილაკის ადგილი თავისუფალია: მიდის თურმე//თურმე მიდის.

ნაწილაკი შეიძლება იწერებოდეს ცალკე (ხოლმე, თურმე, **არ, ვერ...**), ან დეფისით გამოიყოფოდეს (მოვდივარ-მეთქი, მომიტანეთქო...), ანდა სიტყვას უშუალოდ ერთვოდეს (ხუთიც, რამე, სადღა...).

რამდენიმე ნაწილაკი განკერძოებით დგას და მეტყველებაში მთელი წინადადების ბადალია. ასეთებია: დიახ, ჰო, კი, არა.

ზოგჯერ ერთი და იგივე სიტყვა ერთ შემთხვევაში ნაწილაკია, მეორე შემთხვევაში — სხვა მეტყველების ნაწილი. მაგალითად: წავიდა **თუ**? (ნაწილაკი); **თუ** კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი (კავშირი); ახლავე **უნდა** წავიდეს (ნაწილაკი), ბავშვს ჭამა **უნდა** (ზმნა); **იქნება** მოვიდეს დღეს (ნაწილაკი); ეს არ **იქნება** ლამაზი საქციელი (ზმნა).

§ 191. ნაწილაკის ჯგუფები ფუნქციის მიხედვით. ფუნქციურად ნაწილაკი მრავალფეროვანია. ზოგ მათგანს ერთი ფუნქცია აქვს, ზოგს კი ერთდროულად ორი ან მეტი. მაგალითად: **არ** მხოლოდ უარყოფითი ნაწილაკია, **ც** კითხვით ნაცვალსახელს მიმართებითობას ანიჭებს (ვინც) და აგრეთვე, გეხვდება გაძლიერებითი ნაწილაკის ფუნქციითაც (შვილიც წავიდა).

გამოიყოფა ნაწილაკის რამდენიმე შინაარსობრივი ჯგუფი: ჩვენებითი, კითხვითი, განუსაზღვრელობითი, უკუთქმითი, მიგებითი, სიტყვასიტყვითი და სხვა.

ჩვენებითი ნაწილაკებია: ა, აი, აჰა, ჰა. ისინი მიუთითებენ იმაზე, რაც მოლაპარაკის თვალწინ არის ან ხდება. ზოგჯერ **ეს, ეგ** ნაცვალსახელები ჩვენებითი ნაწილაკის ფუნქციითაც გამოდიან. მაგ: ა სტუმარიც მოსულა; **აი**, ჩვენც აქა ვართ; **აჰა**, ქვიშხეთი; **ჰა**, ბურთი და მოედანი; **ეს** ვინ მოსულა?

კითხვითი ნაწილაკებია: ა, თუ, ნუთუ, განა, ხომ, მე.

ა იხმარებოდა ძველ ქართულში მაშინ, როცა წინადადებაში არ იყო კითხვითი სიტყვა (იაკობ შანდ არსა?). ამ ფუნქციით იგი აღარ გამოიყენება თანამედროვე სალიტერატურო ენაში, შემორჩენილია მხოლოდ მთის კილოებში, ახასიათებს სვანურსა და ზანურსაც. ახალ ქართულში **ა** ნაწილაკის დაკარგვის მიზეზი გახდა ის, რომ მახვილიანი იყო **ა**-ს წინა ხმოვანი, ამიტომ უმასვილო ბოლო **ა** დასუსტდა და შემდეგ სულ დაიკარგა (**არნ. ჩიქობავა**).

მე ნაწილაკი ძველ ქართულში გამოდიოდა კითხვითი ნაწილა-

კის ფუნქციით. იგი ზოგჯერ მარტო იყო, ზოგჯერაც კითხვით ა-სთან ერთად იხმარებოდა: რაჲ-მე ვყო? უწყი მეა?

მე ნაწილაკი აღრე გადავარდა, მისი კვალი ახალ ქართულში აღარ ჩანს.

ნუთუ, განა ნაწილაკები გამოხატავენ კითხვა-გაკვირვებას: **ნუთუ** აღარ დაბრუნდება?! **განა** ყველაფერი დამთავრდა?!

განუსაზღვრელობითი ნაწილაკებია: მე, ღა, ღაცა. ისინი დაერთვიან კითხვით სიტყვებს, უკარგავენ კითხვითობას და განუსაზღვრელობითად აქცევენ: ვინ→ვინმე, რა→რაღა, რაღაცა...

უკუთქმითი ნაწილაკებია: არ, ვერ, ნუ, როდი.

არ გამოხატავს მოქმედების კატეგორიულ უარყოფას, რომელიც დამოკიდებულია სუბიექტის ნება-სურვილზე (არ მივდივარ).

ვერ აღნიშნავს, რომ სუბიექტს არ შეუძლია ზმნით გამოხატული მოქმედების შესრულება (ვერ მივდივარ).

ნუ აწარმოებს უკუთქმითს ბრძანებითის (ნუ წახვალ).

როდი გამოხატავს ისეთ უარყოფას, რომელსაც ახლავს განცვიფრების ელფერიც: როდი წამოვიდა ჩვენთან ერთად (არ წამოვიდა).

ზ. ჭუმბურიძის დაკვირვებით **არ, ვერ, ნუ** ნაწილაკებს დაერთვის **ღა, ცა** ნაწილაკები და უარყოფის გამომხატველი სხვა სიტყვები, რის შედეგად მიიღება სამი ჯგუფი: 1) მარტივი უარყოფა (არ, არა, არც, აღარც, არაფერი, არსად...), 2) შესაძლებლობის უარყოფა (ვერ, ვერა, ვერც, ვეღარც, ვერავინ, ვერაფერი, ვერსად...), 3) აკრძალვა (ნუ, ნურც, ნუღარ, ნურაფერი, ნურსად..). უარყოფის ეს ნაირსახეობა დამახასიათებელია ქართულისათვის და ითვლება ჩვენი ენის სპეციფიკურობად (ნათქვამს ანიჭებს მეტ გამომსახველობით ძალას).

მიგებითი ნაწილაკებია: ჰო, კი, დიახ, დიაღ, არა, ვერა, ნურა. ეს ნაწილაკები გამოიყენება კითხვის პასუხად. პასუხი კი შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. ამის მიხედვით მიგებითი ნაწილაკი ორგვარია: დადასტურებითი და უარყოფითი.

დადასტურებითი ნაწილაკებია: ჰო, კი, დიახ, დიაღ. **უარყოფითია** — არა, ვერა, ნურა. მიგებითი ნაწილაკები წინადადებაში განკერძოებით დგანან: **არა,** არ მივდივარ...

სიტყვასიტყვითი ნაწილაკებია: მეთქი, თქო, ო.

მეთქი აღნიშნავს მოუბარი პირის წინათ ნათქვამის ან განაზრახის განმეორებას: ამახ როგორ შემაშინა-**მეთქი.** — მიკვირდა.

თქო (თქვა) იხმარება მაშინ, როცა I პირის ნათქვამი უნდა გადასცეს მეორე პირმა მესამეს: უთხარი, გელოდები-**თქო.**

ო გვიჩვენებს, რომ ნათქვამი მესამე პირს ეკუთვნის: მამამ დაიბარა, დამაგვიანდებაო. იგი მეტწილად ანდაზებში გვხვდება: კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო.

მეთქი და **თქო** დეფისით გამოიყოფა სიტყვისაგან, **ო** კი სიტყვასთან ერთად იწერება.

გაძლიერებითი ნაწილაკებია: ცა, ც-კი, კიდეც, უკვე, მაინც.

ც ყურადღებას ამახვილებს იმ სიტყვაზე, რომელსაც დაერთვის კნეინას მუთაჯაც მოართვეს.

კიდეც გამოიყენება ზმნის გასაძლიერებლად: კიდეც დაღამდა.

გამორჩევითი ნაწილაკებია: ღა, მხოლოდ, მარტო. მათი მეშვეობით წინადადებაში ლოგიკურად გამოიყოფა ესა თუ ის სიტყვა: ბავშვიღა დარჩენილა იმ ოჯახში, მხოლოდ დედამ იცის ყველაფერი...

ნება-სურვილის გამომხატველი ნაწილაკებია: ნეტავი, ნეტა, მცა, მც, ნეტამც, უნდა, ბარემ, დაე, ვინძლო, ამა, მოდი. ამათგან ზოგი გამოხატავს ნატვრას, ნება-სურვილს ან კიდევ აძლიერებს მოწოდება-ბრძანებას: ნეტავი ჩიტად მაქცია; დაე ქვეყნად იყოს მშვიდობა: ვინძლო მტერი არ გაახარო.

შესაძლებლობა-ვარაუდისა და განცვიფრების გამომხატველი ნაწილაკებია: იქნებ (იქნება), ეგებ (ეგების), შეიძლება, რა, არა, აკი, აკი არ. ამათგან შესაძლებლობა — ვარაუდს აღნიშნავს იქნებ, ეგებ, შეიძლება („იქნებ აკვანში ის ყრმა წევს", „ეგებ ინებოს ბატონმა"...), ხოლო გაკვირვება-განცვიფრებას გვიჩვენებს რა, არა, აკი, აკი არ (ეს რა მოსვლია? აკი მოიტანესო?!...).

მიახლოებითი ნაწილაკებია: კინაღამ, ლამის, თითქმის, ოდნ. ზოგი მათგანი დაერთვის რიცხვით სახელს (სამიოდე, ოციოდე) და აღნიშნავს მიახლოებას დასახელებულ რიცხვთან. თითქმის, ლამის, კინაღამ სინონიმური მნიშვნელობის ნაწილაკებია. შიშისაგან ლამის გული გაუსკდა//შიშისაგან კინაღამ გული გაუსკდა.

ქართულში გამოყოფენ სხვა ფუნქციების გამომხატველ ცალკეულ ნაწილაკებსაც: **ხოლმე** მრავალგზისობას აღნიშნავს, **თურმე** — უნახაობას, **ვაითუ** — შიშს, **ვითომ, თითქოს, თითქო** — მსგავსებას, **ვე** უდრის 1) კვლავ, 2) ყველა, უკლებლივ (მისივე სიტყვებით... სამივე ვაჟი...).

§ 192. პროსოდიული ხმოვნები. ზოგჯერ სიტყვას ერთვის **ა** და **ო** ხმოვნები, მაგრამ მათ რაიმე გრამატიკული დანიშნულება არ გააჩნიათ. ისინი გამოიყენებიან ლექსებში სიტყვის ბოლოს მარცვალთა რაოდენობის შესავსებად. სწორედ აქედან გამომდინარე, **ა. შანიძემ** მართებულად ჩათვალა მათთვის ეწოდებინა „პროსოდიული“ ხმოვნები.

პროსოდიული ხმოვნები გეხვდება „ვეფხისტყაოსანსა“ და მომდევნო ხანის ლექსებსა თუ პოემებში. მათი გამოყენება განსაკუთრებით ხშირია ხალხურ პოეზიაში.

პროსოდიული ხმოვნების წარმოშობის მიზეზად თვლიან რელიგიური თუ სხვა სახის გალობა-სიმღერათა სიტყვების განგრძობილად წარმოთქმის ჩვეულებას. ამის საუკეთესო დადასტურებაა გადმონაშთის სახით დღემდე შემონახული გაგრძელება სიტყვებისა ქართულსა და სვანურ ხალხურ სიმღერებში. პროსოდიული ხმოვნების დაცვისა და გავრცელებისათვის ხელი უნდა შეეწყო ნართაულ ხმოვანთა ბედს სახელთა ბრუნების სისტემაში და სხვათა სიტყვის **ო**-ს ხმარებას (**ა. შანიძე**). მაგალითად: „ნაძლევი დავდვათ, მოვასხნეთ მოწმად თქვენნიე ყმანი-ა, „შორს მოუარეთ, მიევდით, შემოვადეგით გარე-ო“.

§ 193. ხაწილაკთა გენეზისის საკითხისათვის. ნაწილაკი მიღებულია სრულმნიშვნელოვანი სიტყვისაგან. მართალია, ბევრ მათგანს დღეს არა აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა და თანაც ძნელია მისი თავდაპირველი გარეგნული სახის აღდგენა, მაგრამ ენაში გვხვდება ისეთი ნაწილაკებიც, რომელთაც ჯერ კიდევ არ აქვთ გაწყვეტილი კავშირი სრულმნიშვნელოვან სიტყვებთან, ამის გამო მათი წარმომავლობაც გამჭვირვალეა.

ნაწილაკის მიღების წყარო შეიძლება იყოს სახელი, ზმნა, ზმნიზედა, ნაწილაკი ან სიტყვათა შეკავშირება:

ერთი (რიცხვ. სახ.), **ეს, რა** (ნაცვალსახელი), **უნდა, იქნება, შეიძლება, დაე, მოდი, ლამის...** (ზმნა), **მერე, ოდე, როდი, აგერ, სწორედ...** (ზმნიზედა), **ვაითუ**←ვაი თუ (ნაწილაკთა შეერთებით), **თითქმის**←თუ ეთქმის, **მეთქი**← ძე ეთქვი (სიტყვათა შეკავშირება).

ზოგიერთი ნაწილაკის გენეზისი ასეთია:

დაე←დაებსენ, ეგება←ეგება გაიგო, როდი←როდის, ოდე←ოდენ, თითქოს←თუ ითქვას, ნეტავი←ნეტარ ვინ, დიახ‖დიაღ←დია ღმერთო, ხოლმე←ხუალმე, ვითომ←ვითარცმა, ვინძლო←ვინძიროო (**ა. შანიძე**), ვინ შეიძლო, ვინიცობაა შეიძლო (**ვ. თოფურია**), მაინც←მა-შინც, თქო←თქვა, მცა←მ-ცა.

§ 194. ნაწილაკის შესწავლის მოკლე ისტორია. ნაწილაკი, როგორც დამოუკიდებელი მეტყველების ნაწილი, არ არის შეტანილი დიონისე თრაკიელის გრამატიკაში. არც ანტონი გამოყოფს ცალკე მეტყველების ნაწილად, თუმცა ენაში მათი არსებობა შეუმჩნეველი არ დარჩენია. იგი მიუთითებდა, რომ **მე, ძი, მცა, რე** და ასეთი ნაწილაკები ზმნას, სახელს ან სხვა მეტყველების ნაწილს სამკაულად და „განსავითარებლად“ დაერთვის. ანტონი ასეთ სიტყვებს ან ბგერათკომპლექსებს ცალკე კი არ გამოყოფდა, არამედ კავშირებთან ერთად განიხილავდა. ანტონის გრამატიკის გავლენით, ნაწილაკი ცალკე არაა გაანალიზებული სხვა ძველ ქართულ გრამატიკებშიც, არ ასახელებს მას არც **არნ, ჩიქობავა**.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიაში **დ. ჩუბინაშვილმა** გამოყო ნაწილაკთა კატეგორია. მეცნიერულად იგი პირველად შეისწავლა **ა. შანიძემ** და მას მიაკუთვნა დამოუკიდებელი ადგილი მეტყველების ნაწილთა სისტემაში.

ძველი და ახალი ქართულის დონეზე ნაწილაკის კვლევას მიეძღვნა არაერთი ნაშრომი. მკვლევართა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა **მცა** ნაწილაკის გენეზისი და ფუნქციური ცვალებადობა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე.

ა. შანიძის აზრით, **მცა** რთულია: **მ-ცა**. პირველი **მ** ნაშთი უნდა იყოს რაღაც სიტყვისა, **ცა** კი არის ცნობილი ნაწილაკი. მნიშვნელობით უახლოვდება **და** კავშირს. **ნ. კოტინოვი მ** ელემენტს გენეტურად და ფუნქციურად უკავშირებს სვანურ **უ** ნაწილაკს.

ძველად **მცა** ახლდა თითქმის ყველა მეტყველების ნაწილს, იგი მხოლოდ თხრობითკილოიან ფორმებს იგუებდა. ამიტომ, როცა **მცა** კავშირებითის ფორმას დაერთოდა, აუცილებლად თხრობითის ფორმად აქცევდა. ოღონდ მნიშვნელობა მაინც კავშირებითისა ჰქონდა (**ა. შანიძე, პ. გაჩეჩილაძე**). მაგ.: მთვარესა მცხრალმან ვარსკვლავმან ვითარ ჰკადროს ფერობა. შდრ. „მთვარესა მცხრალმან ვარსკვლავმან ვითარცა ჰკადრა ფერობა“.

როცა ასპექტის სისტემის შეცვლის შედეგად წარმოიშვა მყოფადის წრის მწკრივები, **მცა** ნაწილაკიანი თხრობითის ფორმა აღარ იყო საჭირო კავშირებითი კილოს გამოსახატავად, ამიტომ მან თან-

დათან დაკარგა ძირითადი ფუნქცია. სამაგიეროდ, საშუალ ქართულში დამატებით შეიძინა სხვა მოდალური ნიუანსებიც: დალოცვის, ნატვრის, წყევლის.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში **მცა** შემოგვრჩა მხოლოდ ცალკეულ ფრაზეოლოგიზმებში, კერძოდ, დალოცვისა და წყევლის გამომხატველ ფორმულებში **(ნ. კოტინოვი)**.

ლიტერატურა

ბაბუნაშვილი ე. — ნაწილაკები ძველ ქართულში: თსუ შრ. ტ. 67, 1957.

გაჩეჩილაძე პ. — კვლავ **მცა** ნაწილაკისათვის: იკე XII, 1960.

თალაკვაძე მ. — ნაწილაკის სწავლება: ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლ. საკითხ. სკოლაში, კრებ. XII, 1962.

თოფურია ვ. — **ძი** ნაწილაკი ქართულში: ენიმკის მოამბე, ტ. XVI, 1944.

თოფურია ვ. — **მე, ვე, ღაცა** ნაწილაკიან სახელთა ბრუნება: თანამედროვე ქართული სალიტ. ენის ნორმები, I, 1970.

კვაშაძე ლ. — ქართული ენა, ნაწილი I, თბ. 1981.

კოტინოვი ნ. — **მცა** ნაწილაკიანი სინტაქსური კონსტრუქციებისათვის ქართულში: მაცნე, 1971, № 2.

ნოზაძე ლ. — **რე** ნაწილაკი ქართულში: იკე, XXVII, 1988.

ნინუა გ. — **მცა** ნაწილაკის ერთი ფუნქციისათვის ძველ ქართულში: მაცნე, 1971, № 2.

უთურგაიძე თ. — კითხვითი **ა** და **მე** ნაწილაკები ქართულში: იკე, IV, 1953.

შამელაშვილი რ. — დადასტურებითი ნაწილაკის მართლწერისათვის: „კომუნისტური აღზრდისათვის", 1957, № 3.

შანიძე ა. — ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.

შანიძე ა. — ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.

ჭუმბურიძე ზ. — უარყოფითი ნაწილაკები ქართულში და მათი ხმარების თავისებურებანი: ქელს, 1970, № 2.

შორისდებული

§ 195. **შორისდებულის რაობა. შორისდებულის როლი წინადადებაში.** შორისდებული, როგორც მეტყველების ნაწილი, თავისებურია თავისი სპეციფიკური სემანტიკისა და ფორმის მიხედვით. ამით იგი მკვეთრად განსხვავდება სხვა მეტყველების ნაწილებისაგან.

შორისდებული თავისი დანიშნულებით უტოლდება სიტყვა-წინადადებას, დამახასიათებელია სასაუბრო ენისათვის.

„**შორისდებული** ჰქვია ბგერას, ბგერათა კომპლექსს ან სიტყვას, რომელიც ადამიანს აღმოხდება პირიდან ბუნების ამა თუ იმ მოვლენის თუ საზოგადოებრივ ურთიერთობათა რომელიმე კონკრეტული ვითარების განცდის გამო, როგორც მოკლე, სწრაფი და უშუალო გამოძახილი ამ განცდისა" **(ა. შანიძე)**.

მაშასადამე, შორისდებული არის ისეთი უცვლელი ბგერა, ბგერათა ჯგუფი ან სიტყვა, რომელიც ადამიანის გრძნობასა და ნებასურვილს გამოხატავს, მაგრამ ისე, რომ არ ასახელებს მას. მაგალითად: **ვიშ**, რა ლამაზია! **ახ**, ნეტავი ჩიტად მაქცია...

წერილობით შორისდებულის ზუსტი გადმოცემა შეუძლებელია, ხერხდება მხოლოდ მისი მიახლოებითი გამოხატვა. მაგალითად, იმე, ჰმ, ნწ, აჰ.. სავარაუდო წარმოთქმას ზუსტად ვერ გადმოსცემენ.

შორისდებული ინტონაციურად მდიდარი და მრავალფეროვანია, რაც განპირობებულია თვით ბუნების მოვლენებისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა გამოვლენის სახეების მრავალფეროვნებით.

მართალია, საზოგადოდ, თითო შორისდებულს თითო სემანტიკა შეესაბამება, მაგრამ ზოგჯერ იგი სხვადასხვა მნიშვნელობითაც გამოიყენება. მაგალითად, „ვიშ, რა მშვენიერია ეს მთა", „ვიშ, რად გავტეხე მამის ნათქვამი". პირველ წინადადებაში **ვიშ** გამოხატავს მოწონება-აღტაცებას, მეორეში — მწუხარება-დანანებას. ასევე **ახ** შორისდებულს შეუძლია აღნიშნოს ნატვრა, მოწონება, აღტაცება, მწუხარება, დანანება. ხდება პირიქითაც: სხვადასხვა ბგერითი შედგენილობის შორისდებულები ერთნაირი მნიშვნელობით რეალიზდებიან. მაგ. უჰ, ოჰ, ახ, ოხ... მწუხარებას გამოხატავს.

შესაძლებელია ზოგჯერ ნათქვამის განსაკუთრებული ემოციური დატვირთვისათვის ერთდროულად ვიხმაროთ რამდენიმე სხვადასხვა შედგენილობის, მაგრამ ერთნაირი სემანტიკის შორისდებულები: „ოჰ, ოჰ, ვაი, ვაი, სულ დავიღუპეთ!"

შორისდებული წინადადებაში განკერძოებით დგას, სხვა წევრებისაგან გამოყოფილია სასვენი ნიშნებით — მძიმით, მძიმეებით, ძახილის ნიშნით.

მაშასადამე, შორისდებული განკერძოებული სიტყვაა, მაგრამ ზოგჯერ იგი წინადადებაში იხმარება სახელის მნიშვნელობით. ასეთ

შემთხვევაში იგი სინტაქსურად შეიძლება იყოს ქვემდებარე, დამატება, განსაზღვრება. სახელად გამოყენებული შორისდებული იბრუნვის, მაგალითად: „ბეერმა ვაიმ სულ დამღუპა“, „ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო“. პირველ წინადადებაში **ვაიმ** ქვემდებარეა (მოთხრობითი ბრუნვა), მეორეში კი — **ვაის** და **ვუის** დამატებებია (მიცემითი ბრუნვა).

§ 196. შორისდებულის ჯგუფები წარმოების მიხედვით. ქართული ენა მდიდარია შორისდებულებით. ზოგი მათგანი პირველადია, ზოგიც — წარმოქმნილი. ამის მიხედვით გამოყოფილია შორისდებულის ორი ჯგუფი: პირველადი და მეორეული. პირველადი შორისდებული სხვა სიტყვისაგან არაა ნაწარმოები. იგი შედგება ერთი ბგერისაგან ან ბგერათა დაუშლელი ჯგუფისაგან. ასეთებია: ო, ა, ჰმ, ტს, უჰ, სს, ერიჰა.

მეორეულ ან ნაწარმოებ შორისდებულთა სფერო უფრო ფართოა. აქ ერთიანდება:

ა) დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვები, რომლებიც ქცეულან შორისდებულად. ასეთი შორისდებულები წარმოქმნილია სხვადასხვა მეტყველების ნაწილისაგან: ბიჭოს! დედა! ქა! (არსებითი სახელი), ჩუ, ჩუთ (ჩუმად: ზედსართავი სახელი), დახე, დახეთ, მო (ზმნა), უიმე, ვაიმე (უი+მე, ვაი+მე: შორისდებული და ნაცვალსახელი), ბეჩა (←ბეჩაე←ბეჩაო←ბეთშაო←ბედშავო: მსაზღვრელ-საზღვრული).

ბ) შორისდებულის მნიშვნელობის მატარებელი სიტყვები და სიტყვათა მყარი შეხამებანი, რომლებიც გამოყენებულია საფიცრად, მისალმება-გამოთხოვების დროს, საალერსოდ, სამადლობლად (ჩემმა მზემ, დედაშვილობას, გმადლობთ, ნახვამდის...), ასევე ფრაზეოლოგიური ერთეულება (**ო. გაჩეჩილაძე**).

შორისდებულის სემანტიკით ფუნქციონირებს ზოგიერთი ნაწილაკიც: **აი, აი,** როგორა არ გრცხვენია? **აბა, აბა,** რა დიდებული სანახავია?! გარდა ამისა, ფუნქციურად შორისდებულებს უახლოვდება ხმაბაძვითი სიტყვები, რომლებითაც გამოხატულია ფრინველების, მწერების, ცხოველებისა და მისთანათა მიერ გამოცემული ხმა: ჭივ-ჭივ, ყვა-ყვა, კრუხ-კრუხ, ყიყლიყო...

§ 197. შორისდებულის შინაარსობრივი ჯგუფები. **ა. შანიძე** შინაარსის თვალსაზრისით შორისდებულებს ყოფს 3 ძირითად ჯგუფად. ესენია:

ა) შორისდებულები, რომლებიც ამა თუ იმ გრძნობის გამოძახილს წარმოადგენენ;

ბ) შორისდებულები, რომლებიც გამოხატავენ ფიცილს, ალერსს;

გ) შორისდებულები, რომლებიც მოუბრის ნება-სურვილს ასახავენ.

ლ. კვაჭაძე ყველა შორისდებულს აერთიანებს ორ ძირითადს ჯგუფში. პირველს მიაკუთვნებს შორისდებულებს, რომლებიც ადამიანის შინაგანი განცდებისა და გრძნობების გამოძახილი არიან, მეორეს კი — შორისდებულებს, რომლებიც მთქმელის ნება-სურვილის გამოსახატავად იხმარებიან.[1]

აქვე სამართლიანადაა შენიშნული, რომ შორისდებულთა შინაარსობრივი დაჯგუფება რამდენადმე მაინც პირობითია, რადგან ზოგიერთი შორისდებული სხვადასხვა სემანტიკის მქონეა და ერთდროულად სხვადასხვა ჯგუფში უნდა მოექცეს.

გამოყოფილია შორისდებულთა რამდენიმე ცალკეული ჯგუფი, რომელთა მიერ გამოხატულია:

ნატვრა: ეჰ, ოჰ, ახ...

მოწონება — სიხარული, აღტაცება: ოჰ, უჰ, ყოჩაღ, ო, იჰ, ვიშ, იფ! იფ! ახ, ბარაქალა...

მწუხარება: ჰოი, ოჰ, უუ, ვაჰმე, ვაიმე, უი, ვაი, ვუი, უიმე, ჰმ, ოხ, ახ...

გაკვირვება-გაოცება: ეჰ, ოჰ, აბა-აბა, ვა, ქა, ერიჰა, ბიჭოს, დახე, უჰ, ვიჰ, იმე (იმე)...

დანანება-სიბრალული: ეჰ, აჰ, აფსუს (სომხური სიტყვაა), ოო, ახ, გლახ (ვაგლახ)...

დაცინვა: ხა! ხა! ხა! იფ, იფ! ჰაი...

ნიშნის მოგება: ჰი, ჰე, ოლოლო...

ზიზღი: ფუჰ! ფუ, ფუი...

დასტური: ჰო, ო, ჰაი, ჰაი...

წაქეზება-გამხნევება: ჰა.

ნება-სურვილის გამომხატველი შორისდებულები ენაში შედარებით ცოტაა. ისინი გამოიყენებიან ადამიანის, ცხოველების, ფრინველების, გაპიროვნებული, უსულო საგნების მისამართით, რომ

[1] სამეცნიერო ლიტერატურაში პირველი ჯგუფის შორისდებულთა აღსანიშნავად დამკვიდრებულია ტერმინი „ემოციური შორისდებული“, მეორისათვის — „იმპერატიული შორისდებული“.

მათ შეასრულონ მთქმელის ნება-სურვილი, რაც, თავის მხრივ, შეიძლება გულისხმობდეს მოწოდებას, დაძახებას, ბრძანებას... ასეთებია: ჰაუ, არიქა, ეი, ჰეი, ჰაუ! ჰაუ, ჰაუ!., სუ, სუთ, ჩუთ, ციც, ცს...

ამათ გარდა, დასახელებულ ჯგუფში აერთიანებენ იმ შორისდებულებსაც, რომლებიც ცხოველებისა და ფრინველების მოსახმობად გამოიყენებიან: ჯი-ჯი! წიპ-წიპ! აქშა-აქშა! ქუცი-ქუცი! ჩიშ-ჩიშ!

ნება-სურვილის გამომხატველი შორისდებული მნიშვნელობითა და მოხმარების თვალსაზრისით უახლოვდება ზმნის ბრძანებითი კილოს ფორმებს.

შორისდებულთა ამ მეორე ჯგუფს აკუთვნებენ აგრეთვე ე. წ. ფიცილის ფორმულებს, მისალმება-გამოთხოვებისა და მადლობის გამომხატველ სიტყვებს: ღმერთმანი, მამაშვილობამ, ძმობამ, გამარჯობა, გაგიმარჯოს, ხელი მოგიმართოს, გადღეგრძელოს, მშვიდობით, გენაცვალე (ვენაცვა), გეთაყვანე (გეთაყვა), შენი ჭირიმე, შენი კვნესამე...

ნება-სურვილის გამომხატველი შორისდებულები, როცა მიმართული არიან მრავლისადმი, გრამატიკულადაც არიან გაფორმებული **თ** სუფიქსის მეშვეობით: არიქათ, აჰათ, სუთ, გამარჯობათ, ძილი ნებისათ, თქვენი ჭირიმეთ...

მიუთითებენ, რომ სემანტიკის მიხედვით ქართული შორისდებულები ემსგავსებიან ევროპული ენების შორისდებულებს, მაგრამ აქ სესხებასთან როდი გვაქვს საქმე. სხვადასხვა სისტემის ენებში ისინი დამოუკიდებლად უნდა ჩამოყალიბებულიყვნენ. ჩანს, სხვადასხვა ენას რთულ ემოციურ გრძნობათა გამოსახატავად ერთნაირი ენობრივი მასალა გამოუყენებია. მეორე მხრივ, იშვიათად შორისდებულის სესხებაც შესაძლებელია (ურა! ბრავო! აფსუს!).

§ 198. შორისდებულთა გენეზისის საკითხისათვის. შორისდებულთა უმრავლესობა წარმოქმნილია სხვადასხვა მეტყველების ნაწილისაგან, ამდენად, ზოგი მათგანის წარმომავლობაც ნათელია, მისი გენეზისური გზის აღდგენაც ადვილად ხერხდება. მაგალითად:

ქა←ქალო.

ვა←ვაჟო.

ბეჩა←ბეჩავ←ბეჩაო←ბეთშაო←ბედშაო←ბედშავო.

ვაგლახ, ვაგლახმე←ვა+გლახ←გლახ←გლახა←გლახაკი.

ვაჰმე←ვაი-მე.

ღმერთმანი←ღმერთმან იცის.

§ 199. შორისდებულის შესწავლის მოკლე ისტორია. შორისდებულის ფორმობრივ-სემანტიკურად მკვეთრად განსხვავდება სხვა მეტყველების ნაწილებისაგან. იგი არაა სრულმნიშვნელოვანი სიტყვა. მეორე მხრივ, ძნელდება მისი აღიარება დამხმარე მეტყველების ნაწილად. შორისდებული დიონისე თრაკიელის გრამატიკაში არ იყო წარმოდგენილი, იგი მეტყველების ნაწილად პირველად **რომაელებმა** ჩათვალეს და შემდგომ ლათინურის გზით სხვა ენის გრამატიკაშიც დამკვიდრდა მეტყველების ნაწილთა ტრადიციულ სისტემაში.

ზ. შანშოვანის გრამატიკაში შორისდებული შეტანილია ზმნისართებში, დასახელებულია მისი რამდენიმე ჯგუფიც.

ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიაში შორისდებული, როგორც დამოუკიდებელი მეტყველების ნაწილი, **ანტონის** გრამატიკიდან იღებს სათავეს. აქ განხილულია შორისდებულის 12 ჯგუფი. ანტონის განმარტებით, შორისდებული არის მეტყველების ნაწილი, რომელიც სულის სხვადასხვა ვითარებას აღნიშნავს.

ანტონის გრამატიკის გავლენით შორისდებული მკვიდრად იკავებს ადგილს ქართულ ლინგვისტიკაში.

ტერმინი „შორისდებული" ანტონმა შემოიღო ლათინური ტერმინოლოგიის შესაბამისად, ამ ტერმინს, რომელიც მტკიცედ არის დანერგილი თანამედროვე ქართულ გრამატიკულ სახელძღვანელოებში,[1] ტრადიციული გაგება აქვს და იგი პირობითადაა ჩათვლილი **(ო. გაჩეჩილაძე).**

შორისდებულები ქმნიან თავისებურ სისტემას. ამის შესახებ არაერთგზის აღინიშნა სამეცნიერო ლიტერატურაში. მაგალითად, **ა შანიძის** აზრით, შორისდებული, როგორც ფორმაუცვლელი სიტყვა, მორფოლოგიური თვალსაზრისით ზმნიზედის, თანდებულის კავშირისა და ნაწილაკის გვერდით დგას, მაგრამ სინტაქსური ფუნქციით მკვეთრად განსხვავდება სხვა დანარჩენი მეტყველების ნაწილებისაგან. იგი სხვა სიტყვასთან ვერ ამყარებს კავშირს და ამდენად სემანტიკური კლასიფიკაციის გარეშე რჩება, თუმცა სხვა სი-

[1] მხოლოდ **ზ. შანშოვანმა** ისმარა ტერმინი „ართემა", პ. **კვიცარიძემ** — „სიმწუხარონი".

ტყვებს უპირისპირდება, როგორც წინადადების ეკვივალენტი. **არნ. ჩიქობავას** აზრით, „შორისდებული სემანტიკური ოდენობაა". იგი შეიძლება ჩაითვალოს დამხმარე მეტყველების ნაწილად მხოლოდ მაშინ, თუ საერთოდ იქნებოდა მიჩნეული მეტყველების ნაწილად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **ლ. კვაჭაძე** საგანგებოდ მიუთითებს, რომ შორისდებული გამოხატავს გრძნობას, განცდებს, ემოციებს, მაგრამ ისე, რომ არ ასახელებს მათ. შორისდებულს გამოშეტყველებითი ფუნქცია აქვს. იგი სინტაქსურად განკერძოებულია და ქმნის წინადადების განსაკუთრებულ ტიპს.

სწორედ ამ სპეციფიკურობის გამო, ზოგიერთი გრამატიკოსი საცილობლად თვლის შორისდებულის მეტყველების ნაწილად მიჩნევას. მაგალითად, **გ. მაჭავარიანი** და **გ. ნებიერიძე** შორისდებულს განიხილავენ არა როგორც დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილს, არამედ ერთ-ერთ გრამატიკულ კატეგორიას.

ქართული ენის შორისდებულის ზოგადი ბუნება, მისი (როგორც ენობრივი ერთეულის) სპეციფიკურობა შესწავლილია მონოგრაფიებსა თუ სპეციალურ წერილებში **ს. ჟღენტის, ო. გაჩეჩილაძის, მ. ჩინჩალაძისა** და სხვათა მიერ.

ლიტერატურა

გაჩეჩილაძე ო. — შორისდებული ახალ სალიტერატურო ქართულში, თბ., 1979.

კვაჭაძე ლ. — თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1988.

ჟღენტი ს. — შორისდებული ახალ სალიტერატურო ქართულში: ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, თბ., 1965.

შამელაშვილი რ. — განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები ქართულში და მათი სწავლების მეთოდიკა, თბ., 1958.

შანიძე ა. — ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.

ჩინჩალაძე მ. — შორისდებულის სწავლება VI კლასში: „სკოლა და ცხოვრება", 1962, № 2.

ჩიქობავა არნ. — ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.

შინაარსი

წინასიტყვა 4

მორფოლოგიის საგანი. სიტყვის მორფოლოგიური შედგენილობა 5

§ 1. მორფოლოგია, როგორც გრამატიკის დარგი. მორფოლოგიის საგანი. § 2. სიტყვა. სიტყვა მორფოლოგიური თვალსაზრისით. ფორმაცვალებადი და ფორმაუცვლელი სიტყვები. § 3. გრამატიკული კატეგორია და მისი გამოხატვის საშუალებანი. § 4. სიტყვის მორფოლოგიური შედგენილობა. § 5. ქართული ენის, როგორც აგლუტინაციური ენის, აფიქსთა ერთფუნქციანობა. § 6. აფიქსთა კლასიფიკაცია. აფიქსები ადგილმდებარეობის მიხედვით. § 7. აფიქსები ფუნქციის მიხედვით. § 8. პროდუქტიული და არაპროდუქტიული აფიქსები.

მეტყველების ნაწილები 14

§ 9. მეტყველების ნაწილების კლასიფიკაცია. საფუძველი და მისი კრიტერია. ლიტერატურა.

არსებითი სახელი 19

არსებით სახელთა შინაარსობრივი ჯგუფები 19

§ 10. არსებითი სახელის რაობა. მისი მნიშვნელობა. § 11. არსებით სახელთა დაჯგუფება შინაარსის მიხედვით.

არსებით სახელთა ბრუნება 22

§ 12. ბრუნვები და მათი ნიშნები. § 13. ბრუნვის ნიშნის გავრცობა. ემფატიკური ა და მისი გამოყენების შემთხვევები ქართულში. § 14. ემფატიკურ ა-ს შესწავლის საკითხისათვის.

არსებითი სახელის რიცხვი 28

§ 15. რიცხვის რაობა. მხოლობითი და მრავლობითი რიცხვი. § 16. მრავლობითი რიცხვის წარმოება. ლიტერატურა.

სახელის ფუძე 33

§ 17. ფუძე. ფუძე დაბოლოების, ცვლილებისა და შედგენილობის მიხედვით. § 18. ფუძის მონაცვის საკითხი ქართულ ლინგვისტიკაში. § 19. ბრუნების ტიპები ფუძეთა მიხედვით.

ბრუნვათა რიგი 36

§ 20. ბრუნვათა რიგის საკითხი ქართულ ლინგვისტიკაში.

ბრუნვისა და რიცხვის ნიშანთა გენეზისი 38

§ 21. ბრუნვის ნიშანთა გენეზისი. § 22. რიცხვის ნიშანთა გენეზისი. § 23. ბრუნვათა სემანტიკური ანალიზის პრინციპისათვის ქართულში.

ბოლოთანხმოვნიანი არსებითი სახელის ბრუნება § 24. ფუძეუკუმშველი არსებითის სახელის ბრუნება. § 25 ფუძეკუმშვადი არსებითი სახელის ბრუნება

ბოლოხმოვნიანი არსებითი სახელის ბრუნება 49

§ 26. ბოლოხმოვნიან სახელთა ბრუნების ზოგადი დახასიათება. § 27. ფუძეგაცდენი არსებითი სახელების ბრუნება. § 28. კუმშვად-კვეცადი სახელები. § 29. ფუძეუკვეცელი არსებითი სახელების ბრუნება. § 30. ადამიანის სახელისა და გვარის ერთად ბრუნება. § 31. მრავლობითი რიცხვის უმთავრესი არსებითი სახელები. § 32. მართლწერის საკითხები არსებითი სახელის ბრუნებასთან დაკავშირებით. § 33. თავისებურად ბუნებადი არსებითი სახელები. § 34. ნაწილაკიანი ბრუნვები. ლიტერატურა.

თანდებულიანი ბრუნვები 59

§ 35. თანდებულის გამოყენება არსებით სახელებთან. § 36. თანდებულიანი სახელობითი. § 37. თანდებულიანი მიცემითი. § 38. თანდებულიანი ნათესაობითი. § 39. თანდებულიანი მოქმედებითი. § 40. თანდებულიანი დითარებითი. § 41. თანდებულის გამოყენებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები. § 42. ლოკალურ ბრუნვათა საკითხი ქართულში. ლიტერატურა.

ზედსართავი სახელი 69

§ 43. ზედსართავი სახელის მნიშვნელობა და ფუნქცია. ვითარებითი და მიძართებითი ზედსართავი სახელები. § 44. ხედსართავი სახელის ხარისხის ფორმები. § 45. უფროობითი ხარისხის წარმოება. § 46. ოდხაობითი ხარისხის წარმოება. § 47. ხარისხის ფორმათა ჯოჯოების თავისებურებანი. § 48. მსახღვრელ-საზღვრული. მსაზღვრელის ტიპები. მსაზღვრელ-საზღვრული რიგი (წყობა. § 49. ზედსაოთავი სახელის ბრუნება. § 50. ატრიბუტული მსაზღვრელის ბრუნება საზღვრულთან ერთად. § 51. სუბსტანტიური მსაზღვრელის ბრუნება საზღვრულთან ერთად. § 52. წყობის როლი მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების დროს. ლიტერატურა.

რიცხვითი სახელი 86

§ 53. რიცხვითი სახელის რაობა, მნიშვნელობა, ჯგუფები. § 54. რაოდენობითი რიცხვითი სახელი. მარტივი და რთული სახელები. § 55. ქართული თვლის სისტემა. § 56. რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელების წარმოება. § 57. რიცხვითი სახელის ბრუნება ცალკე და არსებითთან ერთად. § 58. ხაწილაკიანი რიცხვითი სახელები. § 59. რიცხვითი სახელის მართლწერა. ლიტერატურა.

ნაცვალსახელი 96

§ 60. ნაცვალსახელის მნიშვნელობა და ფუნქცია. § 61. პირის ნაცვალსახელები და ძათი ბრუნება. § 62. ჩვენებითი ნაცვალსახელები და მათი ბრუნება. § 63. კითხვითი ნაცვალსახელები და ძათი ბრუნება. § 64. კუთვნილებითი ნაცვალსახელები და მათი ბრუნება. § 65. კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები და ძათი ბრუნება. § 66. მიძართებითი ნაცვალსახელები. § 67. ურთიერთობითი ნაცვალსახელები. § 68. განსაზღვრებითი ნაცვალსახელები. § 69. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები. § 70. უარყოფითი ნაცვალსახელები. § 71. ნაცვალსახელის წარმოება. § 72. მართლწერის საკითხები ნაცვალსახელთან დაკავშირებით. ლიტერატურა.

ზმნა

ზმნის ზოგადი დახასიათება 114

§ 73. ზმნის მნიშვნელობა. ზმნის კატეგორიები.

ზმნის პირი და რიცხვი 117

§ 74. ზმნის პირი რომელობისა და რაოდენობის მიხედვით. § 75. როგორობა პირისა. § 76. ზმნის აგებულება. § 77. სუბიექტური პირის მაჩვენებელი აფიქსები მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში. § 78. ობიექტური პირის მაჩვენებელი აფიქსები მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში. § 79. პირის ნიშნების მართლწერა. § 80. წყობა სუბიექტური და ობიექტური. § 81. პირის ნიშანთა გენეზისის საკითხი. § 82. მესამე პირდაპირ ობიექტური პირის ნიშნით გამოხატვის საკითხი ქართულში.

ინვერსიის საკითხი ქართულ ლინგვისტიკაში . 128

§ 83. ინვერსია და მისი საფუძველი. § 84. ინვერსიის საკითხი უყვარს ტიპის ზმნებში. ლიტერატურა.

დრო 134

§ 85. დროის რაობა. დროთა რაოდენობის საკითხი. § 86. უდროო ფორმები. დროის ფორმათა არაპირდაპირი მნიშვნელობით გამოყენება. § 87. დრო, როგორც გრამატიკული კატეგორია. ლიტერატურა.

კილო 138

§ 88. კილოს რაობა. § 89. ბრძანებითი კილოს სახეები. § 90. პირობითი კილო.
§ 91. კილოს კატეგორიის შესწავლის მოკლე ისტორია. ლიტერატურა.

გვარი და ორიენტაცია 143

§ 92. გვარისა და ორიენტაციის რაობა. ორიენტაციის საკითხისათვის.

ზმნისწინი 145

§ 93. ზმნისწინის რაობა. ზმნისწინთა შედგენილობა. § 94. ზმნისწინის ფუნქციები. § 95. ზოგიერთი ზმნისწინის დამატებითი მნიშვნელობის შესახ. § 96. მართლწერის საკითხები ზმნისწინთან დაკავშირებით. § 97. ზმნისწინთა შესწავლის მოკლე ისტორია. ზმნისწინისა და თანდებულის ურთიერთობა. § 98. ტძესი. ლიტერატურა.

ასპექტი 154

§ 99. სრული და უსრული ასპექტი. სრული ასპექტის გამოხატვის საშუალებანი. § 100. უასპექტო ზმნები. § 101. ასპექტის კატეგორიისა და მისი შესწავლის ისტორია. ლიტერატურა.

სერიები და მწკრივები 161

§ 102. მწკრივის რაობა. მწკრივი როგორც გრამატიკული კატეგორია. § 103. მწკრივთა სახელდების პრინციპი. § 104. სერიები. § 105. პირველი სერიის მწკრივები. § 106. მეორე სერიის მწკრივები. § 107. მესამე სერიის მწკრივები. § 108. მწკრივის ნიშნებისა და საურობების გენეზისი და ფუნქცია. § 109. მწკრივების სერიებად დაყოფის საფუძველი. ლიტერატურა.

გვისობა (ჯერობა) 173

§ 110. გვისობის რაობა. გვისობის გამოხატვის საშუალებანი. § 111. გვისობა, როგორც გრამატიკული კატეგორია. ლიტერატურა.

აქტი 175

§ 112. აქტის რაობა. ნახული და უნახავი აქტი. § 113. აქტი, როგორც გრამატიკული კატეგორია. ლიტერატურა.

გარდამავლობა 178

§ 114. გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები. § 115. მართლწერის საკითხები გარდამავლობასთან დაკავშირებით. § 116. გარდამავლობის შესწავლის მოკლე ისტორია, გარდამავლობა, როგორც გრამატიკული კატეგორია. ლიტერატურა.

გვარი 183

§ 117. გვარის რაობა. გვარის სახეები. § 118. მოქმედებითი გვარის ზმნები. კონვერსია.

ვნებითი გვარი 186

§ 119. ვნებითი გვარის სახეები. დინამიკურობა-სტატიკურობის საკითხი ქართულ ლინგვისტიკაში. § 120. დინამიკური ვნებითის წარმოება. § 121. ვნებითის მაწარმოებელ აფიქსთა გენეზისის საკითხი ქართულ ლინგვისტიკაში. § 122. სტატიკური ვნებითი. § 123. ვნებითის ნიუანსები. § 124. აღწერილობითი ვნებითი. § 125. დეპონენსები.

საშუალი გვარი 194

§ 126. მედიოაქტივი და შედიოპასივი ზმნები. § 127. მედიაქტივ ზმნათა კვალიფიკაციის საკითხისათვის. § 128. გვარის საკითხი მესამე სერიის ფორმებში. § 129. გვარი და გარდამავლობა. § 130. უგვარო ზმნები. § 131. მართლწერის საკითხები გვართან დაკავშირებით. § 132. გვარის კატეგორიის შესწავლის მოკლე ისტორია. ლიტერატურა

ქცევა 202

§ 133. ქცევის რაობა. ქცევის სახეები. § 134. ქცევა გარდამავალ ზმნებში. § 135. ერთნაირი ნიშნის მქონე სათავისო და სასვრისო ქცევათა ერთმანეთისაგან გარჩევის საშუალებანი. § 136. ქცევა გარდაუვალ ზმნებში. § 137. ქცევის საკითხი III სერიის ფორმებში. § 138. უქცეო ზმნები. § 139. მართლწერის საკითხები ქცევასთან დაკავშირებით. § 140. მდებარეობა (სიტუაცია) და მისი ნიშანი. § 141. ქცევის ნიშანთა ფუნქციური კვალიფიკაციის საკითხი. § 142. ქცევის კატეგორიის შესწავლის მოკლე ისტორია. ლიტერატურა.

კონტაქტი 212

§ 143. კონტაქტის რაობა. კონტაქტის სახეები. § 143[1]. შუალობითი კონტაქტის წარმოება. § 144. შუალობითი კონტაქტის ფორმათა მართლწერა. § 145. შუალობითი კონტაქტის შესწავლის მოკლე ისტორია. ლიტერატურა.

ზმნის ფუძე და თემა 215

§ 146. ზმნის ფუძე მწკრივთა მიხედვით. § 147. ზმნის თემა ერთთემიანი და ორთემიანი ზმნები. § 148. თემა შედგენილობის მიხედვით. § 149. თემა მოქმედებითი გვარის ზმნებში. § 150. თემა ვნებითი გვარის ზმნებში. § 151. თემა საშუალი გვარის ზმნებში § 152. მართლწერის საკითხები თემასთან დაკავშირებით. § 153. თემის ნიშანთა შესწავლის მოკლე ისტორია. ლიტერატურა.
დეფექტური ზმნები 225
§ 154. დეფექტურ ზმნათა ზოგადი დახასიათება. § 155. რთული და მიმღეობითი ზმნები. § 156. ფუძემონაცვლე ზმნები. § 157. პირხაკლი და ქცევანაკლი ზმნები. § 158. მწკრივგაჟღერებული ზმნები. § 159. დეფექტურ ზმნათა შესწავლის მოკლე ისტორია. ლიტერატურა.
უღლება 231
§ 160. უღლების ტიპებად დაყოფის საკითხი ქართულში. § 161. პირველი ტიპის უღლება. § 162. მეორე ტიპის უღლება. § 163. მესამე ტიპის უღლება. § 164. მეოთხე ტიპის უღლება. ლიტერატურა.
სახელზმნა 241
§ 165. სახელზმნის რაობა და სახეები. § 166. მეტყველების ნაწილთა სისტემაში სახელზმნათა ადგილის შესახებ.
საწყისი 243
§ 167. საწყისის რაობა. საწყისის კატეგორიები. § 168. საწყისის წარმოება.
მიმღეობა 245
§ 169. მიმღეობის რაობა და სახეები. § 170. მოქმედებითი გვარის მიმღეობა. § 171. ვნებითი გვარის მიმღეობა. § 172. საშუალი გვარის მიმღეობა. § 173. **ნაცარქექია** ტიპის სახელთა წარმოების საკითხი ქართულ ლინგვისტიკაში. § 174. სახელზმნის შესწავლის მოკლე ისტორია. ლიტერატურა.
ზმნიზედა 252
§ 175. ზმნიზედის რაობა. მისი მნიშვნელობა და ფუნქცია. § 176. ზმნიზედა ფორმის თვალსაზრისით. § 177. ზმნიზედის ჯგუფები შინაარსის მიხედვით. § 178. დამატებითი ცნობები ზმნიზედის შესახებ. § 179. ზმნიზედათა მართლწერა. § 180. ზმნიზედის შესწავლის მოკლე ისტორია. ლიტერატურა.
თანდებული 260
§ 181. დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელი მეტყველების ნაწილები. § 182. თანდებულის რაობა და ფუნქციები. § 183. თანდებულის შედგენილობა. § 184. თანდებულის გამოყენება ბრუნვის ფორმებთან. § 185. თანდებულის შესწავლის მოკლე ისტორია. ლიტერატურა.
კავშირი 264
§ 186. კავშირის რაობა და შედგენილობა. § 187. კავშირის ფუნქცია. § 188. კავშირთა გენეზისის საკითხისათვის. § 189. კავშირის შესწავლის მოკლე ისტორია. ლიტერატურა.
ნაწილაკი 268
§ 190. ნაწილაკის რაობა. § 191. ნაწილაკის ჯგუფები ფუნქციის მიხედვით. § 192. პროსოდიული სმოვნები. § 193. ნაწილაკთა გენეზისის საკითხისათვის. § 194. ნაწილაკის შესწავლის მოკლე ისტორია. ლიტერატურა.
შორისდებული 274
§ 195. შორისდებულის რაობა. შორისდებულის როლი წინადადებაში. § 196. შორისდებულის ჯგუფები წარმოების მიხედვით. § 197. შორისდებულის პირსარსობრივი ჯგუფები. § 198. შორისდებულთა გენეზისის საკითხისათვის. § 199. შორისდებულის შესწავლის მოკლე ისტორია. ლიტერატურა.